



საქართველო



1-2

2006

საუნჯე

(130)

იანვარი-

აპრილი



ქართული
წიგლიერთა
კავშირი




მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელობითი
ჟურნალი

დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა
კავშირი და ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია

2006, № 1-2

შინაარსი



პროზა, პოეზია

დენი დიდრო, რამოს ძმისწული, რომანი, ფრანგულიდან თარგმნა დავით კახაბერმა	3
უოლტ უიტმენი, ამერიკული პოეზია, თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ	84
ვიქტორია ტოკარევა, კაცის ერთგულება, მოთხრობა, თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ	94
კოლონური პოეზია, პოლონურიდან თარგმნა რენე კალანდიამ	112
მისაილ ბულგაკოვი, მეფაშული ქუნძული, პიესა, თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	134
ბაბრატ შინკუბა, ბაკოვილი ძემა, აფხაზური პროზა, გაგრძელება, თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ	134
ინგებორგ ბახმანი, გერმანული პოეზია, თარგმნა ლულუ დადიანმა	228
სერგეი ესენინი, რუსული პოეზია, რუსულიდან თარგმნა გულო პირველმა	230
გი და მოკასანი, ქოლბა, ნოველა, ფრანგულიდან თარგმნა ნანა ახალაძემ	233

წერილები

ნიკოლაი გოგოლი, წერილები, რუსულიდან თარგმნა ლევან აბულაძემ	240
ლევ ტოლსტოი, აღსარება, რუსულიდან თარგმნა ნანა ახოზაძემ	260
ზურაბ ავაშიყა, გორგ ბიუსნერი	200
კატერინა ზიუსკინდი, AMNESIE IN LITTERIS, გერმანულიდან თარგმნა რუსულიდან ბეჟამევილმა	316



ქართული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ნანა ღარჩია-პოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი

მანანა ამისულაშვილი

ნანა ასობაძე

ჯემალ აჯიაშვილი

ნანა ბართია

გურამ გოგიაშვილი

ნანა გოგოლაშვილი

თამარ ერისთავი

რუსუდან ქეზულაძე

დალი ფანჯიკიძე

ეთერ ყურაშვილი

გივი შაჰნაზარი

ქეთევან ჩიჯავაძე

ვაჟა ჩორდელი

პ/მმ მღივანი

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41, 33-46-80, 60-23-40.

გადაეცა წარმოებას 6.01.2006 წ., ხელმოწერილია დასაბუჯდად 31.03.2006 წ., ქაღალდის ზომა 70x108¹/₈ მ. სააღრიცხვო-სავაჭრომცემლო თაბაში 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 3.

შ. პ. ს. „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა,
თბილისი, მ. კოსტავას 14.

დანი დიდრო



რამოს კმინული

ფრანგულიდან

თარგმნა დავით კახაბერიძე

Vertumnis, quotquot sunt, natus iniquis'

როგორი ამინდიც უნდა იყოს, კარგი თუ ცუდი, სალამოს ხუთ საათზე, ჩვეულებისამებრ, პალე-რუაილისკენ მივდივარ სასეირნოდ. მუდამ ერთსა და იმავე ადგილას, არჟანსონის მერხზე² მარტოდმარტო მჯდარს, ფიქრებში ჩაძირულს მხედავენ ხოლმე. პოლიტიკაზე, სიყვარულზე, გემოვნებაზე, ფილოსოფიაზე ვესაუბრები საკუთარ თავს და გონებას უსაზღვრო თავისუფლებას ვაძლევ; პირველსავე იდეას, ჭკვიანურსა თუ ბრიყვულს, ნებაზე ვუშვებ იმ ჩვენი გარყვნილი ახალგაზრდების მსგავსად, დე ფუას ხეივანში უკან რომ დასდევენ ქარაფშუტა გარეგნობის, მოცინარე, მკვირცხლოვალა და ცხვირაბზეკილ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს; მერე ამას მიატოვებენ—მეორეს მისდევენ, ყველას ეპოტინებიან და არც ერთზე გული არ უჩერდებათ. ჩემი აზრები — ჩემი მსუბუქი ყოფაქცევის ქალები არიან. თუ ძალიან ცივა, ან ძლიერ წვიმს, თავს რეჟანსის ყავახანას³ ვაფარებ; შევყურებ ჭადრაკის თამაშს და ვერთობი. პარიზი ის ადგილია მსოფლიოში, ხოლო რეჟანსის ყავახანა ის ერთადერთი ადგილი პარიზში, სადაც ყველაზე კარგად თამაშობენ ჭადრაკს. სწორედ რეისტან⁴ ეჯიბრებიან ერთმანეთს ღრმა მოაზროვნე ლეგალი, მოხერხებული ფილიდორი, დინჯი მაიო⁵. აქ ნახავთ ყველაზე განსაცვიფრებელ სვლებს, მოისმენთ ყველაზე უცენზურო სიტყვებს; რადგან, თუ შეიძლება კაცი გონიერი და დიდებული მოჭადრაკე იყოს ლეგალივით, ასევე შეიძლება დიდებული მოჭადრაკე იყოს, ოღონდ ბრიყვიც ფუბერისა და მაიოსავით. ერთხელ, ნასადილევს, ყავახანაში ვიყავი, თვალყურს ვადევნებდი თამაშს, ვცდილობდი ცოტა მელაპარაკა და არც სხვებისთვის დამეგდო ყური; მოულოდნელად, ერთი ერთობ უცნაური ტიპი მომიახლოვდა, ერთ-ერთი იმ გასაოცარ ქმნილებათაგა-

საქართველოს
 კარლამუნთის
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ნი, უფლის წყალობით, მათი უკმარისობა რომ არ იგრძნობა აქ. იგი ქედმაღლობისა და სიმდაბლის, გონიერებისა და უგუნურობის ნაზავს წარმოადგენს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მის თავში ფრიად უცნაურად არის არეული პატიოსნებისა და უპატიოსნობის მცნებები, ბუბებისგან მომადლებული ნიჭით არ ტრიაბახობს, ცუდს კი მოურჩევლებად ამულავნებს. გარდა ამისა, ძლიერი ორგანიზმით, აღზნებულია წყნარად და უჩვეულოდ ჯანსაღი ფილტვებითაც არის დაჯილდოებული. 'თუ ოდესმე სადმე შეხვდებით და თავისი ორიგინალობით არ მოგნუსხათ, ყურებს დაიცობთ თითებით, ან გაქცევით უშველით თავს. ღმერთო დიდებულო, რა საშინელი ფილტვები აქვს! კაციშვილი არ არის მასავით ცვალებადი გარეგნობისა. დღეს რომ გამხმარი და გამოფიტულია, დაუძლურებული და დამჭლევებული ავადმყოფი; ლოყებში გამომკრთალ კბილებს ადვილად დაითვლის კაცი; თითქოს რამდენიმე დღე არაფერი უჭამოს ან ტრაპისტების⁶ მონასტრიდან ახლახან დაელწიოს თავი; შემდეგ რაღაც ერთ თვეში ისე ჩასუქდება, ჩამრგვალდება, თითქოს მთელი ეს ხანი ვინმე ფინანსისტის სუფრას არ მოშორებია, ან ბერნარდინების⁷ მონასტერში ჰყოლიათ ჩამწყვდეულიო. დღეს რომ ჭუჭყიანი პერანგი და დასეული შარვალი აცვია, თითქმის ფეხშიშველაა და თავჩაქინდრული დადის, ნაცნობებს გაურბის, თქვენ კი მზადა ხართ მოიხმით და მოწყალება გაიღოთ, ხვალ გაპუდრული, თმადახუჭუჭებული, დიდებულად მორთულ-მოკაზმული, თავადერილი, ამაყად ჩაგივლის, ყოველნაირად ცდილობს ყურადღება მიიქციოს, მიიქცევს კიდევ და შეიძლება წესიერად ამიანადაც მოგეჩვენოთ. დღის ავ-კარგით ცხოვრობს, ნალველსაც და მხიარულებასაც გარემოება კარნახობს. დილაადრიანად გამოღვიძებულს მაშინვე ფიქრი იპყრობს, სად ისადილოს; სადილის შემდეგ კი, სად ივასშმოს. მისთვის ღამესაც საზრუნავი და საწყუხარი მოაქვს. სახლამდე ფეხით მიდის, რომლის სხვენში ერთი პატარა ოთახი უკავია, თუკი, რა თქმა უნდა, ბინის ქირის მოლოდინით ილაჯგაწყვეტილმა დიასახლისმა გასაღები არ წაართვა. ასეთ შემთხვევაში ქალაქის გარეუბნის სამიკიტნოს უხიზნება, სადაც ნატეხი პურისა და კათხა ლუდის ამარა გათენებას ელის. და თუ ჯიბეში ექვსი სუც არ აღმოჩნდება, და ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე, თავშესაფარს რომელიმე მეგობრის ეტლში, ან რომელიმე დიდი ბატონის საჯინიბოში პოულობს. მეჯინიბეც საწოლად თივის ბულულს აქლევს და ადგილს ცხენების გვერდით უჩენს. დილით გაღვიძებულს საკუთარი ლეიბის ერთი ნაწილი თმაში აქვს აბურდული. კარგ დარში დედოფლის ხეივანში⁸ ან ელისეს მინდვრებზე ბოლთასა სცემს მთელი ღამე. გათენებისას ისევ გამოჩნდება ქალაქში გუშინდელ ტანსაცმელში გამოწყობილი და ხშირად მთელი კვირა არაფერს იცვლის. ასეთ ორიგინალებს პატივს არ ვცემ; თუმცა ბევრი მეგობრობს კიდევ მათთან. იშვიათად, ალბათ წელიწადში ერთხელ. სადმე თუ შეხვდები, ვაკვირდები, რადგან თავიანთი ხასიათით მკვეთრად განსხვავდებიან სხვა ადამიანებისგან, მოსაწყენ ერთფეროვნებას არღვევენ, რომელიც ჩვენი აღზრდის, ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობის, ჩვეულებად ქცეული ზრდილობის წესების შედეგია. თუ ერთი ამათგანი რომელიმე საზოგადოებაში გამოჩნდება, საფუარას მარცვალვით ყველას გაფუებას იწვევს და თითოეულში ბუნებრივ ინდივიდუა⁹

ლობას აღვიძებს. იგი აჯანჯლარებს, აფხიზლებს, ალაგზნებს საზოგადოებას და მოწონებას ან დაწუნებას აიძულებს; ჭეშმარიტება დღის სინათლეზე გამოაქვს, საზოგადოებას აცნობს პატიოსან ხალხს და ხილავს ხდის გაიფერებს. და აი მაშინლა აკვირდება ჭკვიანი ადამიანი და ეცნობა თავის გარშემო მოტრიალე საზოგადოებას.

ამ კაცს კარგა ხანია ვიცნობდი. იმ ოჯახში დადიოდა, რომელიც კარიც მისივე ნიჭმა შეაღებინა. ამ ოჯახს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა და მის დედ-მამას ეფიცებოდა ცოლად შევირთავ თქვენს ქალსო. ქალის მშობლები მხრებს იჩეჩდნენ, ექილიკებოდნენ, შეშლილი ხარო, და მაინც ჩემ თვალწინ მოხდა მათი საქმის გარიგება. ამ კაცმა იცოდა ხოლმე, რამდენიმე ეკიუს მოხოვდა სესხად და მეც ვაძლევდი. არ ვიცი როგორ, მაგრამ რამდენიმე პატიოსან ოჯახშიც შეაღწია. ყველგან საკუთარი სასადილო ჭურჭელი ედგა, მაგრამ იმ პირობით შეაღწია, რომ უნებართვოდ ხმა არ უნდა ამოეღო. ისიც დუმდა და განრისხებული ილუკებოდა. დიდებული სანახავი კი იყო ამგვარ მძიმე მდგომარეობაში. თუ პირობის დარღვევის სურვილი მოუვლიდა და პირს დააღებდა, პირველსავე სიტყვაზე თანამეინახენი შეჰყვირებდნენ ხოლმე: „ოო, ჩამო!“ მაშინ თვალები ბრაზით ენთებოდა და კიდევ უფრო მეტი მრისხანებით ილუკებოდა. თქვენ ამ ადამიანის სახელის გაგება გაინტერესებდათ, პოდა, აი, უკვე გაიგეთ კიდევ.“ იგი იმ სახელგანთქმული მუსიკოსის¹⁰ ძმისწულია, რომელმაც თავიდან მოგვაშორა ლიულის¹¹ ის ერთხმიანი საეკლესიო მუსიკა, მთელი ასი წელი რომ ვგალობდით, და რომელმაც ბევრი გაუგებარი აზრებდა და აპოკალიფსური ჭეშმარიტება დაწერა მუსიკის თეორიაზე, რისიც არც მას და არც სხვას არაფერი გაეგებოდა; რამომ რამდენიმე ოპერა დაგვიტოვა, სადაც უხვად შეგხვდებოდა ჰარმონიაც და მელოდიის ნაგლეჯებიც, ერთმანეთთან დაუკავშირებელი აზრებიც და გრიალი, აღმაფრენა და ტრიუმფი, შუბების ჩახაჩუხიც და ქება-დიდება, დრტვინვა, გამარჯვებები და დაუსრულებელი საცეკვაო ჰანგებიც, რითაც საბოლოოდ დაასამარა ფლორენციელი¹², და მერე, მასაც დაასამარებენ იტალიელი ვირტუოზები¹³, რასაც თავადაც გრძნობდა წინასწარ და ამიტომაც იყო დაღვრემილი, მწუხარე და ისეთი ღვარძლიანი, როგორიც არავინ. ახლად გაღვიძებული ლამაზი ქალი საკუთარ ცხვირზე პატარა მუწუკის დანახვაზე ისე არ მძვინვარებს, როგორც ავტორი, რომელსაც სახელისა და დიდების დაკარგვა ემუქრება. ამისი მაგალითები გახლავან მარივო¹⁴ და კრებილიონი-შვილი¹⁵.

ის მომიახლოვდა... „ა! ა! მაშ, თქვენც აქ ბრძანდებით, ბატონო ფილოსოფოსო? რას აკეთებთ ამ ფუქსავატ ბრბოში? ნუთუ თქვენც დროს კარგავთ ამ ნაფოტების გაწევ-გამოწევაში?“ (ამგვარი ზისლით იხსენიებდნენ ჭადრაკის ან შაშის თამაშს).

მე — არა, მაგრამ უკეთესი საქმე ვერ მიპოვია. და ცოტა ხნით თავს ვირთობ იმ ადამიანთა ცქერით, ვინც კარგად იცის ამ ნაფოტების გაწევ-გამოწევა.

ის — თუ ასეა, მაშინ იშვიათად მოგიწევთ გართობა, რადგან ლეგალისა და ფილიდორის გარდა, სხვას არა გაეგება რა ამ თამაშისა.

მე — და კიდევ გრაფ დე ბისისა¹⁶!

ის — იგი ისეთივე მოჭადრაკეა, როგორი მსახიობიც მადმუაზელ კლერონია¹⁷. ერთმაცა და მეორემაც მხოლოდ ის იცის, რაც/ყველას შეუძლია ისწავლოს.

მე — რთული პიროვნება ბრძანდებით და ვხედავ, სახელოვანი ადამიანების გარდა არავის სწყალობთ.

ის — დიახ, მართალი ბრძანდებით, ჭადრაკში, მჭადრაკში, პოეზიაში, მჭევრმეტყველებაში, მუსიკაში და სხვა მსგავს მიქარვეებში; ხელოვნების ამ სახეებში, აბა, რა სიკეთის მოტანა შეუძლია საშუალო ნიჭს?!

მე — გეთანხმებით, არც ისე დიდი. მაგრამ რომელიმე ამ დარგში ერთი გენიოსიც რომ გაჩნდეს, ადამიანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ამ საქმეს უნდა შესწიროს თავი. მრავალთა შორის იგი ერთია. მაგრამ მოვეშვათ ამას. მთელი საუკუნეა არ მინახიხართ. როცა არ ვხედავთ, არცა ვფიქრობ თქვენზე, მაგრამ თქვენთან შეხვედრა ყოველთვის მსიამოვნებს. რას შვრებით? რას საქმიანობთ?

ის — იმას, რასაც თქვენ ან სხვები საქმიანობენ, ხან კარგს, ხან ცუდს და ხანაც არაფერს. გარდა ამისა, მშობი და ვჭამდი, როცა საამისო შესაძლებლობა მომეცემოდა. დავნაყრდებოდი თუ არა, უკვე მწყუროდა და ხანდახან წყურვილსაც ვიკლავდი. ამასობაში წვერი ამომდიოდა და როცა კარგა გამეზრდებოდა, ვიპარსავდი.

მე — ამაოდ გარჯილხართ. ეს ერთადერთია, რაც გაკლიათ, ბრძენი კაცის სახე რომ მიიღოთ.

ის — დიახ, ცხადია. ფართო და ნაოჭებით დასერილი შუბლი მაქვს, ფიცხი თვალები, წაწვეტებული ცხვირი, მსუქანი ლოყები, შავი და ხშირი წარბები, ლაზათიანი პირი და ოთხკუთხა სახე. და ეს გრძელი წვერით დაფარული განიერი ნიკაპი, იცით, რა მშვენივრად გამოჩნდებოდა ბრინჯაოში ჩამოსხმული, ან მარმარილოში გამოქანდაკებული?

მე — ცეზარის, მარკუს ავრელიუსის, სოკრატეს გვერდით!

ის — არა დიოგენეს და ფრინეს¹⁸ შორის ყოფნას ვამჯობინებდი. უტიფარი ვარ პირველივით და სიამოვნებით ვატარებ დროს მეორისნაირ ქალებთან.

მე — თავს ხომ კარგად გრძნობთ?

ის — დიახ, როგორც ყოველთვის კარგად. მაგრამ, აი, დღეს არც ისე კარგად.

მე — რას ბრძანებთ? სილენოსივით¹⁹ გასიებულხართ და სახეც...

ის — სახე, მუცლის უკან რაცა მაქვს, იმას მიმიგავს, ჯავრი, რომელიც ჩემს ძვირფას ბიძას ახმობს, ალბათ ხორცს ჰმატებს მის უძვირფასეს ძმისწულს.

მე — რაც შეეხება თქვენს ბიძას, ხანდახან მაინც თუ ხვდებით?

ის — ხანდახან, ქუჩაში.

მე — არ გეხმარებათ?

ის — თუ ვინმეს ოდესმე დახმარებია, თავისდა უნებურად, შეუგნებლად ჩაუდენია. ისიც თავისებური ფილოსოფოსია. მართო საკუთარ თავზე ფიქრობს, სხვა რამ ამ ქვეყანაზე გროშად არ უღირს. თუნდაც ქალიშვილი და ცოლი მოუკვდეს, არას დაგიდევთ, ოღონდ ეკლესიის ზარებმა მათი სულის მოსახსენიებლად დიოდეციმითა და ტერცი-

ის ორმაგი ოქტავით რეკონ და ყველაფერი მისთვის რიგზე იქნება. აი, რა არის მისი ბედნიერება; და ეს სწორედ ის გახლავთ, რაც განსაკუთრებით მაოცებს გენიალურ ადამიანებში. ისინი მარტო ერთ რამეში არიან კარგი, დანარჩენში კი არაფერში ვარგანან. მათ არ უწყობს, რას ნიშნავს იყო კარგი მოქალაქე, მამა, დედა, ძმა, ნათესაფი, მეგობარი. ჩვენს შორის დარჩეს და, ადამიანი მათ უნდა ჰგავდეს მკვლევარში, ოღონდ სასურველი არ არის გენიოსთა მოდგმა გამრავლდეს და განივრცოს. ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები გვჭირდება და არა გენიოსები. მერწმუნეთ, ბევრი გენიოსი სულაც არ გვჭირდება. ისინი ცდილობენ დედამიწას სახე უცვალონ, სისულელე კი ისე საყოველთაოა და იმდენად ძლიერი თვით წვრილმანებშიც კი, რომ ღრიანცელისა და ალიაქოთის გარეშე ვერ გარდაქმნი. რაც გენიოსებმა აღმოაჩინეს, ცხოვრებაში მხოლოდ ნაწილი შედის, დანარჩენი კი უცვლელად რჩება. აქედან მოდის არლეკინის ჭრელი სამოსის მსგავსი ორი სახარება. რაბლეს ბერის²⁰ სიბრძნე ჭეშმარიტი სიბრძნეა, საკუთრივ მისი და სხვების სიმშვიდისთვის: უნდა ეცადო და შეასრულო შენი მოვალეობა, კარგად მოიხსენიო საკუთარი მოძღვარი, ხალხი კი თავის ნებაზე მიუშვა, დაე იცხოვრონ ისე, როგორც მოესურვებათ. თუ ხალხი კმაყოფილია ამგვარი ცხოვრებით, ეტყობა, ყველაფერი კარგად მიდის. მე რომ ისტორია ვიცოდე, დაგიმტკიცებდით — ბოროტება ამ ქვეყანაზე ყოველთვის რომელიღაც გენიოსის გამო აღმოცენდება-მეთქი. მაგრამ ისტორიისა არაფერი გამეგება, რადგან საერთოდ არაფერი ვიცი. ეშმაკმა წამილოს, თუ ოდესმე რამე მესწავლოს, ამით არც რამე დამკლებია. ერთხელ საფრანგეთის მეფის მინისტრთან ვსადილობდი, რომლის ჭკუაც ბარე ოთხ კაცს ეყოფა. მან ისე ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ხალხს ისე არაფერი წაადგება, როგორც სიცრუე, და არაფერი მოუტანს იმდენ ზიანს, რამდენსაც სიმართლე; როგორც ორჯერ ორი ოთხია. ახლა კარგად არც მახსოვს მისი მტკიცებები, მაგრამ ყოველი მაგალითიდან გარკვევით ჩანდა, რომ გენიალური ადამიანები რაღაც საზიზღრობას წარმოადგენენ, და თუ ხსალდაბადებულ ბავშვის მუბლზე ამ საშიში ბუნებრივი ნიჭის დამახასიათებელი ნიშნებია აღბეჭდილი, ეს ბავშვი ან მაშინვე უნდა მოაშთონ, ანდა მაწანწალა ძაღლებს მიუგდონ.

მე — ამ დროს კი გენიოსების მოძულე ეს ვაჟბატონები თვითონვე იჩემებენ გენიოსობას.

ის — სულის სიღრმეში უთუოდ ასეც ფიქრობენ, მაგრამ არა მგონია, ამისი თქმა აშკარად გაბედონ.

მე — თავმდაბლობის გამო აღბათ. თქვენ კი იქ, საშინელი სიძულვილი იგრძენით გენიოსისადმი, არა?

ის — დიას, და აზრს არც შევიცვლი.

მე — მაგრამ, მახსოვს, იყო დრო, როცა სასოწარკვეთილი ბრძანდებოდით, ჩვეულებრივი მოკვდავი რატომ ვარო. ბედნიერი არასოდეს იქნებით, თუ ერთნაირად შეგაწუხებთ რაიმეს დასტურიცა და უარყოფაც. საჭიროა მათ შორის რომელიმე აირჩიოთ და მერე მტკიცედაც მიჰყვეთ. გეთანხმებით, გენიალური ადამიანები თავისებურნი არიან, ანუ როგორც ერთი ანდაზა ამბობს: არ არსებობს დიდი ჭკუა-გონება, პატარა სიგიჟე მაინც რომ არ ახლდესო, და მაინც, გენიოსებზე

უარს ვერ ვიტყვით. ის საუკუნე რა საუკუნეა, ერთ გენიალურ ადამიანს რომ არ შექმნის. ისინი სახელსა და პატივს უხვევენ იმ ხალხს, რომლის პირმშონიც არიან. ადრე თუ გვიან, მათ ძევლებს აღუმაშენებენ და ადამიანთა მოდგმის კეთილისმყოფელებად მოიხსენიებენ; ნუ განპირისხდება თქვენი დიდებული მინისტრი, რომელიც წელზე მოხსნულ, ჩემი აზრით, სიცრუემ შესაძლოა წუთიერი სამსახური გასწავლიდა, საბოლოოდ კი უთუოდ ვნებას მოიტანს; ჭეშმარიტება კი პირიქით, მუდამ სასარგებლოა, თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთი ხანობა ზიანიც მოიტანოს. აქედან შევეცდები დავასკვნა: გენიალური ადამიანი, რომელიც რომელიმე საყოველთაო ცდომილებას აღწერს, ანდა რაიმე დიდი ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზას აღმოაჩენს, ყოველთვის ჩვენი უღრმესი პატივისცემის ღირსია. შეიძლება ასეთი ადამიანი ცრუმორწმუნეობისა და კანონის მსხვერპლიც გახდეს, მაგრამ არსებობს ორგვარი კანონი: ერთი დაფუძნებულია საერთო აბსოლუტურ სამართლიანობაზე, მეორე კი შემთხვევის ნაყოფია და თავის ძალას ხალხის სიბრძავეში, ან დროებით შექმნილ გარემოებაში პოულობს. ის, ვინც ამ ბოლო კანონს არღვევს, მხოლოდ დროებით არის სახელგატეხილი და შერცხვენილი; ეს დროებითი სახელგატეხა და სირცხვილი ერთ დღეს თავს დაატყდება მოსამართლეებსა და ხალხს, და თავს დაატყდება სამუდამოდაც. დღეს ვინ არის თავლაფდასხმული, სოკრატე თუ ის მოსამართლე, საწამლავის დალევა რომ მიუსაჯა?

ის — დიდი არაფერი მოუგია სოკრატეს! განა უკვე სასიკვდილოდ განწირული არ იყო? განა სიცოცხლეს არ წაართმევდნენ? განა შფოთიან მოქალაქედ არ ითვლებოდა? ცუდ კანონებს რომ ზიზღით ეპყრობოდა, განა უგუნურთ ამით არ აქეზებდა, კარგიც შეზიზღებოდათ? განა უტიფარი და ახირებული კაცი არ იყო? სულ ახლახანს თქვენც კი მზად იყავით გელიარებიანთ, არცთუ სასიამოვნო რამ გენიალურ ადამიანებზე.

მე — მისმინეთ, ძვირფასო, საზოგადოებაში ცუდი კანონები არ უნდა არსებობდეს; და თუ მას მხოლოდ კარგი კანონები ექნება, მაშინ გენიოსს არასოდეს დაუწყებდა დევნას. მე არ მითქვამს, რომ გენიოსობა მუდამ დაკავშირებულია ბოროტებასთან, ან ბოროტება გენიოსობასთან. სულელი უფრო ხშირად სჩადის ბოროტებას, ვიდრე ჭკვიანი. მაგრამ, აი, გენიალური ადამიანი მკაცრიც რომ იყოს, შარიანიც, აუტანელიც და თუნდ ავიც, მაშინ რაღას იტყვით, რაღა დასკვნას გამოიტანდით?

ის — მაშინ აჯობებდა წყალში ჩაეხრჩოთ.

მე — წყნარად, ძვირფასო, ნუ აჩქარდებით. აბა, ერთი მითხარით... ბიძათქვენს მაგალითად არ დავასახელებ; ის უკმეხი, მკაცრი, შეუბრალებელი და ძუნწი კაცია, ცუდი მამაა, ცუდი ქმარი, ცუდი ბიძა; თანაც ჯერ საკითხავია, გენიოსია თუ არა; თავისი ხელობა განა ისე წასწია წინ, რომ ათი წლის მერეც მის ნაწარმოებებზე ილაპარაკონ? რასინი²¹? ის უდაოდ გენიოსი იყო, მაგრამ არც ისე კარგ ადამიანად ითვლებოდა. ან კიდევ ვოლტერი...

ის — ასე ნუ მაჩქარებთ. მე თანმიმდევრობა მიყვარს.

მე — რას აირჩევდით, რასინი კარგი ადამიანი ყოფილიყო, ერთ არსებად შერწყმოდა თავის დუქანს, წიგნით მოვაჭრე ბრიასონივით? ანდა ფართლელის მოვაჭრე ბარბიესავით თავის ადლს? ყოველ წელს გაეჩინა კანონიერი შვილები, ყოფილიყო კარგი ქმარი, კარგი მამა, კარგი ბიძა, კარგი მეზობელი და პატიოსანი ვაჭარი, ყოველწლიური ცბიერი, დაუნდობელი, პატივმოყვარე, შურიანი, აფიჭმეჭმე კანდრომაქეს, „ბრიტანიკუსის“, „იფიგენიას“, „ფედრასა“ და „ატალას“ ავტორი?

ის — ჩემი აზრით, მისთვის უმჯობესი იქნებოდა ამ ორიდან პირველი ყოფილიყო.

მე — ეს უფრო მართალი გახლავთ, ვიდრე თქვენ ფიქრობთ.

ის — ოო! ყველანი ასეთები ხართ! თუ რამე საფუძვლიანი ვთქვით, გგონიათ, რომ გიჟისა არ იყოს, შემთხვევით მოგვდის, ან შთაგონებით. მართლ თქვენ შეგიძლიათ იაზროვნოთ და იმსჯელოთ. დიას, ბატონო ფილოსოფოსო, ოღონდ მეც ვმსჯელობ და მეც რაღაცა გამეგება. მეც ისევე კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, როგორც თქვენ იცით, რასაც ამბობთ.

მე — დავუშვათ, ასეა, მაშინ რატომ იქნებოდა პირველი უმჯობესი?

ის — იმიტომ რომ, მის მშვენიერ ნაწარმოებებს ავტორისთვის ოცი ათასი ფრანკიც არ მიუცია, მაგრამ, აი, სენ-დენის, ანდა სენტონორეს ქუჩებზე აბრეშუმით რიგიანი მოვაჭრე რომ ყოფილიყო, ან საბაყლო საბითუმო ვაჭრობა ჰქონოდა, ან აფთიაქი გვარიანი მუშტრით, უზარმაზარ ქონებას შეიძენდა. და ვიდრე ქონებას დააგროვებდა, ცხოვრებით დატკბებოდა. ათასში ერთხელ ორიოდე პისტოლს მისცემდა ისეთ საცოდავ მასხარას, როგორიც მე ვარ, რომელიც გულიანად გააცინებდა, გაართობდა და ხანდახან ლამაზ გოგოსაც მიუყვანდა, რათა ცოლქმრობის მოსაწყენი ერთფეროვნება დაევიწყებინა მისთვის. დიდებულად ვისადილებდით ერთად, დიდ ფულზეც ვითამაშებდით, შევსვამდით საუცხოო ღვინოს, ლიქიორს, ყავას და ქალაქგარეთაც გავისეირნებდით. ხომ ხედავთ, ვიცი, რასაც ვამბობ. თქვენ იცინით. მაგრამ ნება მიბოძეთ დავამთავრო: ასე უკეთესი იქნებოდა მისი ახლობლებისთვის.

მე — არ გედავებით, უკეთესი იქნებოდა, თუ პატიოსნად გამოიყენებდა თავის სიმდიდრეს, რომელიც კანონიერი ვაჭრობით შეიძინა; თუ თავისი სახლიდან გააძევებდა ყველა მოთამაშეს, ყველა პარაზიტს, ყველა საზიზღარ ფარისეველს, მუქთახორასა და გარყვნილ უსაქმურს; თუ თავის ბიჭებს უბრძანებდა კეტებით მიეხევათ ის მამებლები, რომლებიც ქმრებს ცოლებთან ერთფეროვანი ყოფის გადატანაში ესმარებიან.

ის — რას ბრძანებთ, ბატონო, რას ბრძანებთ! კეტით მიხევათ? კულტურულ ქალაქში კეტით არავის სცემენ. ეს ხომ პატიოსანი ხელობაა. ბევრი ადამიანი, მათ შორის ტიტულების მფლობელიც კი, ამას არ თაკილობს. და თანაც, ეშმაკმა წაიღოს, თქვენი აზრით, მდიდარმა კაცმა თავისი ფული რაში უნდა დახარჯოს, თუ არა ბარაქიან სუფრა-

ში, სასიამოვნო საზოგადოებაში, კარგ ღვინოში, ლამაზ ქალებში, ყოველგვარ სიამესა და ათასგვარ გასართობზე? მირჩევნია მსოფლიო ვიყო, ვიდრე დიდი ქონება მქონდეს და ამ სიამოვნებით არ ვსარგებლობდე. ახლა რასინს დავუბრუნდეთ. ეს ადამიანი მხოლოდ იმათთვის არის ღირსეული, ვინც მას არ იცნობდა, და ისიც მაშინ მისი ცოცხალი აღარ გახლავთ.

მმ — გეთანხმებით, ოღონდ კარგად აწონ-დაწონეთ ავიცა და კარგიც. იგი ათასი წლის შემდეგაც ცრემლს დააღვრევინებს ხალხს, დედამიწის ყველა კუთხეში მისით იქნებიან აღფრთოვანებულნი, ადამიანებს შთააგონებს კაცთმოყვარეობას, თანაგრძნობას, სინაზეს, დაიწყებენ გამოკითხვას ვინ იყო, რომელი ქვეყნიდან იყო და საფრანგეთისადმი შური აღუძერებათ. რასინმა რამდენიმე ადამიანი გატანჯა, ახლა ისინი ცოცხლები აღარ არიან. და ჩვენთვისაც თითქმის არავითარ ინტერესს აღარ წარმოადგენენ. ჩვენ არც რასინის ბიწიერებისა უნდა გვეშინოდეს და არც ნაკლის. ცხადია, კარგი იქნებოდა დიდ ადამიანს ნიჭთან ერთად ბუნებისგან სათნოებაც დაკუთლოდა. ის ხე იყო, რომელმაც მის გარშემო დარგული რამდენიმე ხე გაახმო და საკუთარ ძირში ამოზრდილი რამდენიმე ყლორტიც დალუბა. სამაგიეროდ, კენწერო ღრუბლებამდე აღმართა და ტოტები ფართოდ გაშალა; თავის ჩრდილს ყველას გაუნაწილებს, ვინც მისი მძლავრი ტოტების ქვეშ თავს შეაფარებს. მან უჩვეულოდ გემრიელი ნაყოფი გვარგუნა, რომელიც მარად და მარად ახლდება. ცხადია, სასურველი იქნებოდა, ვოლტერს პქონოდა დიუკლოს²² საამო ზნე, აბატ ტრიუბლეს²³ უბრალოება, აბად დოლივეს²⁴ პირდაპირობა, მაგრამ რაკი ეს შეუძლებელია, საგანს იმ მხრიდან შევხედოთ, რა მხრიდანაც მართლა საინტერესოა. ერთი წუთით დავივიწყოთ ის ადგილი, რომელიც გვიჭირავს დროსა და სივრცეში და გავხედოთ მომავალ საუკუნეებს, ყველაზე შორეულ ქვეყნებსა და ხალხებს, რომლებიც მერე მოვევლინებიან დედამიწას. დავუფიქრდეთ ჩვენი მოდემის სიკეთეს, და თუ საკმაოდ სულგრძელები არ ვართ, ბუნებას მაინც მივუტევოთ, რომ ჩვენზე გაცილებით ბრძენი აღმოჩნდა. გრეზის²⁵ ცივი წყალი რომ გადაასხათ თავზე, მედიდურობასთან ერთად შეიძლება მისი ნიჭიც ჩაქრეს. თუ ვოლტერს კრიტიკისადმი ნაკლებ მგრძნობიარედ აქცევთ, მაშინ მეროპს²⁶ გულში წვდომის ძალა აღარ ექნება და აღარც აგალელებით.

ის — მაგრამ თუ ბუნება ისეთივე ძლევამოსილია, როგორც ბრძენი, რატომ გენიოსებს არ დაანათლა ისეთივე სიკეთე, როგორი ბუმბერაზებიც შექმნა?

მმ — ნუთუ ვერ ხვდებით, რომ მაგგვარი განსჯით თავდაყირა აყენებთ საყოველთაოდ მიღებულ წესს? თუ დედამიწაზე ყველაფერი მშვენიერი იქნება, მაშინ მშვენიერი აღარაფერი იქნება.

ის — მართალი ბრძანდებით. მთავარია, რომ თქვენ და მე ვარსებობთ, და მართლაც ვარსებობთ თქვენ და მე. ყველაფერი დანარჩენი კი, ვისაც როგორც მოეპრიანება ისე იყოს. ჩემი აზრით, საგნების ყველაზე საუკეთესო წესრიგი იქ არის, სადაც მე მიწევს ყოფნა და ეშმაკსაც წაუღია ისეთი სრულქმნილი სამყარო, თუ მე არა ვარ მასში.

მირჩევნია ვიარსებო და კიდევ ვიარსებო, თუნდაც უტიფარ ენაქლაქად, ვიდრე სულ არ ვარსებობდე.

მე — ყველა, ვინც კი თქვენსავეთ ფიქრობს, თავს უსახურ არსებულ წესს, და ვერც კი ამჩნევს, რომ სწორედ ამით ამბობს უარს საკუთარ არსებობაზე.

ის — მართალია.

მე — მაშინ ყველა საგანი ისე მივიღოთ, როგორც არის. ვნახოთ, რა ფასეულობას წარმოადგენს და რას გვაძლევს; და რასაც იმდენად არ ვიცნობთ, რომ ვაქოთ ან ვაძაგოთ, ისევე დავტოვოთ, როგორც არის, არც კარგი და არც ცუდი, რადგან იგი აუცილებლად საჭიროა, როგორც ეს ბევრ პატიოსან ადამიანს შიამნია.

ის — ცოტა რამ თუ გავიგე თქვენი ნათქვამიდან. ალბათ ფილოსოფიაა. გაფრთხილებთ, ამ სფეროში მე არ ვერევი. ერთადერთი რამ ვიცი მხოლოდ — მსურს სხვა ვიყო, თუნდაც გენიოსი, დიდი ადამიანი. დიას, უნდა გამოვტყდე, ისეთი გრძნობა მაქვს, გამოვდგები. და ყოველთვის, როცა ჩემი თანდასწრებით ერთ რომელიმე გენიოსს აქებენ, ეს ჩემში ფარულ სიშმაგეს იწვევს. შურიანი ვარ. როგორც კი გავიგებ ამ გენიოსის პირადი ცხოვრების რაიმე დამამცირებელ წვრილმანს, სიამოვნებით ვუსმენ. ეს მე და მას გვაახლოვებს. და უფრო ადვილად ვიტან საკუთარ საშუალო მდგომარეობას. საკუთარ თავს ვეუბნები: „ცხადია, შენ ვერასოდეს შექმნიდი „მუჰამედს“²⁷, მაგრამ არც მოპუს²⁸ ქებას დაწერდი“. დიას, ასეთი ვარ, გაბრაზებული საშუალო ადამიანი. დიას, დიას საშუალო და გაბრაზებული ადამიანი. არასოდეს ისე არ მომისმენია „გალანტური ინდოეთის“ უვერტიურა, ან არიები „ტუნარის უძირო უფსკრულო“, „ო, ღამევ, მარადიულო ღამევ“²⁹, ნაღვლიანად არ გამეფიქროს: „აი, რას ვერ შევქმნიდი ვერასოდეს“. მშურს ბიძაჩემისა, და თუ მისი გარდაცვალების შემდეგ, მის პორტფელში, კლავესინისთვის დაწერილი რამდენიმე ლამაზი ნაწარმოები დარჩება, უყოყმანოდ მივითვისებდი.

მე — თუ მართლაც ეს არის, რაც თქვენ განაღვლებთ, დამერწმუნეთ, თავის შეწუხებად არ ღირს.

ის — არაფერია. ეს იმგვარი წუთებია, სწრაფად რომ გადის.

მერე „გალანტური ინდოეთის“ უვერტიურა და არია „უძირო უფსკრულო“ წაიმღერა და დაუმატა:

— ჩემში ჩასახლებული რაღაც ბუნდოვანი ხმა მეუბნება: „რამო, ხომ ძალიან გინდა ამ ორი ნაწარმოების ავტორი იყო; ეს ორი ნაწარმოები რომ დაგეწერა, ორ სხვასაც დაწერდი; და როცა უკვე რამდენიმე ნაწარმოები დაგიგროვდებოდა, ყველგან დაუკრავდნენ და იმღერებდნენ. შენ ამაყად თავაწეული გაივლიდი; თვითონვე აღიქვამდი შენსავე დამსახურებას. შენსკენ თითხ გამოიშვერდნენ და იტყოდნენ: „აი, ამან შექმნა ის მომხიბლავი გავოტები“³⁰. (და გავოტების შესრულება წამოიწყო. მერე იმ ადამიანივით, რომელიც სიამოვნების მორევში შეცურდა, ნეტარებით მიღულა თვალი და ხელების ფშვნივით დაუმატა): მშვენიერი სახლი გექნებოდა (ხელებით გამოხატა მისი სიდი-

დე), დიდებული საწოლი (დაუდევრად გაიშლართა), კარგი ღვინო (ენის წკლაპუნით ვითომ გემო გაუსინჯა), მშვენიერი ეტლი (და შიგ ჩასაჯდომად ფეხი ასწია), ლამაზი ქალები (რომელთა მკერდსაც თითქოს უკვე ეხებოდა და ვნებიანად შეჰყურებდა), ასობით უსაქმური რეგენი გუნდრუკის საკმევლად ყოველდღე გეხლებოდა, უკვე ხედავდა მათ თავის ირგვლივ. ხედავდა პალისოს, შუანსინეს, მამაშვილ ფრერონებს, ლა პორტს³¹. იგი მათ უსმენდა, იბღინებოდა, ხან ეთანხმებოდა და უღიმოდა, ხან ზინლით უყურებდა, ხან ერეკებოდა, მერე ისევ იხმობდა, ბოლოს თქვა): ასე და ამგვარად, ყოველ დილით გეუბნებიან, რომ დიდი ადამიანი ხარ, „სამი საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში“³² ამოიკითხავდი, რომ დიდი ადამიანი ხარ, სალამოთი კი თავად დარწმუნდებოდი, დიდი ადამიანი რომ ხარ; და დიდ ადამიანს, რამოს ძმისწულს, ჩაეძინებოდა მამებელთა ჩურჩულში, რომელიც დაუტკბობდა ძილსა და სმენას; ძილშიც კი მეტისმეტად კმაყოფილი სახე ექნებოდა: გულმკერდი მძლავრად გაუგანივრდებოდა, გაუფართოვდებოდა, მსუბუქად აიწევდა, ძალდაუტანებლად დაიწევდა და ახვრინდებოდა, როგორც დიდ ადამიანს შეჰფერის.

ლაპარაკის დროს განცხროპით წვებოდა სკამზე, ხუჭავდა თვალებს და ბედნიერი კაცის ნეტარ ძილს გამოხატავდა. ამ ნეტარების მწვერვალზე რამდენიმე წუთს გაატარებდა, მერე წამოდგებოდა, ხელებს გაშლიდა, დაამთქნარებდა, თვალს მოისრესდა, მიმოიხედავდა და თავის უგვანო პირმოთნეებს დაეძებდა.

მე — მაშ, თქვენ გგონიათ, ბედნიერ ადამიანს განსაკუთრებული ძილი აქვს?

ის — როგორ არ უნდა მეგონოს, როცა მე, საცოდავი, ბედკრული, ჩემს სხვენში ვბრუნდები სალამოობით, უბადრუკ საწოლში ვწვები, საბნის ქვეშ ვიკლაკნები, გული მეკუმშება და საცოდავად ვსუნთქავ, ამ დროს კი, ვილაც ფინანსისტი ისე ხვრინავს, რომ მისი ბინის კედლები ზანზარებს და მთელი ქუჩა განცვიფრებაში მოჰყავს. მაგრამ დღეს სულაც აღარ მაწუხებს, რომ ბოგანოსავით ვცხოვრობ და ვხვრინავ...

მე — მაინც სამწუხაროა.

ის — ის უფრო სამწუხაროა, რაც მე გადამხდა.

მე — რა გადახდათ?

ის — თქვენ ყოველთვის გამორჩეულ ინტერესს იჩენდით ჩემდამი. ალბათ იმიტომ, რომ კარგი ბიჭი ვარ. გულის სიღრმეში გეზიზღებით, მაგრამ, მაინც ჩემი პიროვნება რაღაცით გართობთ.

მე — მართალია.

ის — მაშინ ყველაფერს ვიამბობთ.

სანამ დაიწყებდა, ღრმად ამოიოხრა და ორივე ხელი შუბლთან მიიტანა, მერე ისევ სიმშვიდე გადაეფინა სახეზე და მოჰყვა:

— კარგად იცით, რომ მე ერთი უვიცი, შერეკილი, უგუნური, თავხედი და ზარმაცი კაცი ვარ, სწორედ იმგვარი, რომელთაც ჩვენი ბურგონელები გამოუსწორებელ მაწანწალას, გაიძვირას, ღორმუცელას ეძახიან...

მე — როგორი პანევირიკია!

ის — და თანაც ზუსტზე ზუსტი. ერთ სიტყვას ვერ შევცვლი. ნუ შემეპასუხებით, გეთაყვა. ისე კარგად არავინ მიცნობს, როგორც თავად ვიცნობ საკუთარ თავს. მაგრამ ჯერ ხომ ყველაფერი არ მითქვამს.

მე — თქვენი წყენინება არ მინდა და წინასწარს შევწყვიტე გეთანხმებით.

ის — მაშ ასე, ამ ცოტა ხნის წინ ისეთ ხალხთან ვცხოვრობდი, სწორედ ამ იშვიათი თვისების გამო რომ მიყურებდნენ წყალობის თვალთ.

მე — უცნაურია. აქამდე მეგონა, რომ ადამიანი ამგვარ თვისებებს საკუთარ თავსაც უმაღლავდა, ან პატიობდა, სხვებისა ხომ ეზიზღებოდა და ეზიზღებოდა.

ის — განა შეიძლება ამგვარი რამ საკუთარ თავს დაუმალო? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, როცა პალისო მარტო რჩება და საკუთარ თავს უღრმავდება, სულ სხვანაირად ფიქრობს. ხოლო როცა თავის კოლეგასთან პირისპირ რჩება, ორივე გულწრფელად აღიარებს, რომ დიდი გაიძვერები არიან. სხვათა ეს თვისებები კი ეზიზღებათ! აი, ის ჩემი ნაცნობები უფრო სამართლიანები იყვნენ და ჩემი ხასიათის წყალობით მათთან საოცარ წარმატებას მივაღწიე. თავს ისე ვგრძნობდი, ვით თევზი წყალში. პატივსაც მცემდნენ და ზარ-ზეიმით მიღებდნენ. უჩემოდ მოწყენილები იყვნენ. მათი პატარა რამო ვიყავი, მათი ლამაზი რამო, შემლილი რამო, უტიფარი, თავხედი, უვიცი, ზარმაცი, ხარბი, ღორმუცელი, მასხარა, პირუტყვი რამო. ეს ეპითეტები ისე არ წარმოითქმებოდა, რომ ღიმილი, ალერსი, მხრებზე ხელის ტყაპუნის, ლოყაზე წკიპურტი, პანჩური არ მოჰყოლოდა. სადილზე გემრიელ ნაჭერს მე მიღებდნენ, ნასადილევს ცოტა არ იყოს მოურიდებელ უფლებასაც აძლევდნენ საკუთარ თავს. ყოველივე ამას ყურადღებასაც არ ვაქცევდი. საერთოდ, იშვიათად თუ რამეს ვაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას. მიდით, რაც გნებავთ ის ქენით ჩემთან ერთად, ჩემი თანდასწრებით, არ მეწყინება. ამიტომაც იყო, რომ საჩუქრები თავზე წვიმასავით მცვიოდა. და ისეთმა ბებერმა ძაღლმა, როგორიც მე ვარ, ყველაფერი დავკარგე! და დავკარგე მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ცხოვრებაში ხმა ამოვიღე, როგორც საღად მოაზროვნე ადამიანმა. და ეს აღარასოდეს განმეორდება!

მე — რა მოხდა?

ის — გამოუსწორებელი, მიუღებელი, მიუტევებელი სისულელე ჩავიდინე.

მე — კიდევ რა სისულელე?

ის — ოჰ, რამო, რამო, განა ამიტომ მიგიღეს და დაგიახლოვეს? ვის ჭირდება შენი ცოტაოდენი გემოვნება, ცოტაოდენი ჭკუა, ცოტაოდენი ჯანსაღი აზრი! რამო, ჩემო მეგობარო, ახლა მაინც დააფასებ და დაინახავ, რაც უფალმა ღმერთმა შენთვის ვააკეთა და რაც შენს მწყალობლებს შენგან სურთ. ტყუილად კი არ ჩავავლეს მხრებში ხელი, კარამდე მიგათრიეს და გითხრეს: „გაეთრიე, რეგვენო, თვალთ აღარ დაგვენახო. ჭკვიანური მსჯელობა არ მოგვიწოდოდა? ამას დამისხედეთ!

გაეთრიე! უშენოდაც არ გვაკლია ეგ სიკეთე“. თითების კვნეტიო წა-
 მოხვედი. უკეთესი იყო, ეგ შეჩვენებული ენა მოგეკვნიტა. გერ მოი-
 ფიქრე და ახლა ქუჩაში გდინხარ, ჯიბეში გროში არ გიჭყავის და არც
 ის იცი, თავი სად შეაფარო. სულს და გულს, ყველფერი გქონდა.
 რაც გნებავდა, იმას მიირთმევდი, ახლა ნამუსრევიც გაქონდა. გა-
 ვიხდა. მშვენიერი სახლი გქონდა, ახლა კი ბედნიერად იქნები, ისე შენს
 სხვენზე მაინც აგიშვეს. დიდებულ ლოგინში იწექი, ახლა კი ბატონ
 სუბიზის³³ მეეტლისა და შენი მეგობრის რობეს³⁴ თივა გელოდება...
 იმის მაგივრად, რომ ძველებურად ტკბილი და მშვიდი ძილი გქონოდა,
 ახლა ერთი ყურით ცხენების ხვიხვისა და ბაკუნს მოისმენ, მეორეთი
 კი ათასჯერ უფრო აუტანელ, მშრალ, ტლანქ, ბარბაროსულ ლექსებს³⁵.
 შე უბედურო, წინდაუხედავო, მილიონობით ქაჯებისგან დამარცხე-
 ბულო.

მე — განა უკან დასაბრუნებლად რამე საშუალება არ არსებობს?
 განა თქვენი შეცდომა ასე გამოუსწორებელია? თქვენს ადგილას რომ
 ვიყო, იმ ხალხს ისევ დაუბრუნდებოდი. მათ უფრო მეტად სჭირდებით,
 ვიდრე თქვენ გგონიათ.

ის — ოო, დარწმუნებული ვარ. ახლა, როცა მათგან შორსა ვარ,
 ველარავინ ართობთ და ამხიარულებთ; ძაღლებივით მოწყენილ-მოკუნ-
 ტულები იქნებიან.

მე — ამიტომაც ჩემი ფეხით მივიდოდი, იმის შიშით, არ გადამეჩ-
 ვიონ და სხვა გასართობი არ იპოვონ-მეთქი. რა არ შეიძლება მოხდეს,
 ვინ იცის...

ის — ამისი კი მართლა არ მეშინია; ეს არ მოხდება.

მე — ვარსკვლავებსაც რომ წყვეტდეთ, მაინც აღმოჩნდება ვი-
 ლაცა, ვინც დაიკავებს თქვენს ადგილს.

ის — არა მგონია. ძნელია.

მე — ღმერთმა ქნას, მაგრამ მაინც მივადგებოდი იმ ხალხს ვასა-
 ვათებულები, თვალგაბრუნებულები, კისერგაშიშვლებულები, თმააბურღ-
 ნული, სწორედ იმგვარად, ახლა რომ ხართ, ღვთაების³⁶ ფერხთით და-
 ვემხობოდი და აქვითინებული შევევედრებოდი: „ოო, მომიტევეთ,
 მოწყალეო ქალბატონო, შემინდეთ, რამეთუ უღირსი, საზიზღარი ვინმე
 გახლავართ. რაღაც ავბედითმა წამმა წამომაროშინა ისე უხიაგად ყვე-
 ლაფერი. ხომ მოგესხენებათ, ჭკვიანური აზრების თქმა არ მეხერხება,
 და პირობას გაძლევთ, არასოდეს აღარავისთან ჩემი აზრები აღარ
 გამოვთქვა“.

თავშესაქცევი ის იყო, რომ როცა ამას ვამბობდი, ის პანტომიმით
 გამოხატავდა ჩემს ნათქვამს: პირქვე დაემხო, სახით მიწას მიეკრა, თი-
 თქოს ქალის ფეხსაცმლის ჭკინტს სტაცა ორივე ხელი, ქვითინებდა და
 მოსთქვამდა: „დიახ, ჩემო პატარა დედოფალო, დიახ, პირობას გაძ-
 ლევთ ყოველივე დავივიწყო და არასოდეს გამოვთქვა ჩემი აზრები“.
 მერე უცბად წამოდგა, ჩაფიქრებულმა დინჯად დაუმატა:

ის — დიახ, მართალი ბრძანდებით. ასე თუ მოვიქცევი, უკეთესი იქნება. გულკეთილი ქალია. ბატონი ვეიარი ამბობს, ზედმეტად გულკეთილიცო! მეც ხომ ვიცი, რომ ნამდვილად გულკეთილია. მაგრამ მოდი და თავი დაიმცირე ვილაც უნამუსო დედაკაცის წინაშე; მაგრამოყრილმა პატიება ითხოვე იმ მანჭია ქალის ფეხებთან, რომელსაც პარტერი განუწყვეტლივ უსტვენს! ბოდიში მოვიხადო მეგობრებო, აფთიაქარის ბატონ რამოს³⁷ შვილმა, რომელიც პატიოსან ადამიანად ითვლებოდა და არავის წინაშე ქედი არ მოუხრია! მე, რამომ, იმ სახელგანთქმული კაცის ძმისწულმა, რომელსაც დიდ რამოს უწოდებენ, და რომელიც ყველას დასანახად პალე-რუაიალში სეირნობს ამაყად წელგამართული, ხელებგაშლილი დადის, მას შემდეგ, რაც ბატონმა კარმონტელმა³⁸ წელში მოხრილი, სერთუკის კალთებში ხელებშემაღლილი დახატა! თავი დავიმცირე მე, არაერთი საკლავესინო პიესის ავტორმა, რომელთაც დღეს აღარავინ უკრავს, მაგრამ რომლებიც შეიძლება შთამომავლობამ დააფასოს და მხოლოდ ისინი დაუკრავს! მე, მე, წავიდოდი, მაგრამ!.. გამიგებთ, ბატონო, ეს შეუძლებელია (მარჯვენა ხელი გულზე დაიდო და დაუმატა): ვგრძნობ, რალაცა ჩემში ზევით ამოდის და მეუბნება: „რამო, შენ ამას არ ჩაიდენ“. ადამიანს უნდა გააჩნდეს ღირსება, რომელსაც ვერავინ ვერაფრით შელახავს. ღირსება სრულიად უბრალო რამითაც იღვიძებს. დიახ, სრულიად უბრალო საბაბითაც. თუმცა ისეთი დღეებიც გამოერევა, როცა არაფრად მიღირს, გათახსირებული და უნამუსო ვიყო. ამგვარ დღეებში კი ერთი ლიარდის³⁹ გულისთვის პაწია იუსს ტრ..ზე ვაკოცებ.

მე — ეჰე, მისმინეთ, მეგობარო, ის თეთრყირმიში, ლამაზი, ნაზი და ფუნთუშა ახალგაზრდა ქალია; და თქვენზე გულაზიზმა კაცმაც შეიძლება ათასში ერთხელ ასეთი დამამცირებელი საქციელი ჩაიდინოს.

ის — მოდით შევთანხმდეთ. ტრ..ზე კოცნა შეიძლება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. ამაზე სქელუა ბერეიეს⁴⁰ ჰკითხეთ, რომელიც ქალბატონ დე ლა მარკს⁴¹ ტრ..ზე კოცნის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. მე კი, ღმერთს გეფიცებით, არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით არ მომწონს უკანალზე კოცნა.

მე — თუ ჩემი რჩევა არ მოგწონთ, მაშინ ვაჟკაცობა მაინც გამოიჩინეთ და ღარიბ-ღატაკივით იცხოვრეთ.

ის — სიღარიბე ძალზე მძიმეა, როცა გარშემო გახვევია ამდენი სულელი მდიდარი, რომელთა სარჯზეც შეიძლება ტკბილად ცხოვრება. ამას დაუმატეთ საკუთარი თავისადმი ზიზღიც.

მე — განა ამგვარ გრძობასაც იცნობთ?

ის — როგორ არა! რამდენჯერ მითქვამს საკუთარი თავისთვის: როგორ, რამო, პარიზში ათი ათასი მშვენიერი სასადილო მაგიდაა გაშლილი, თითოეულზე თხუთმეტი თუ ოცი კაცისთვის აწყვია ჭურჭელი. და მათ შორის ერთიც არ არის შენთვის! მრავალი ქისაა ოქროთი საყსე, ფული მარჯვნივ და მარცხნივ იბნევა, შენ კი ერთი გროშიც არ უნდა გერგოს! ათასობით დაძრწის წვრილფეხა სიტყვამანვილი არსება, არც ჭკუით ბრწყინავენ და არც ღირსებით, ათასობით უღიმღამო ქმნი-

ლება, არაფრით რომ მივიზიდავს, ათასობით უგვანო ინტრიგანი... ყველას კარგად აცვია, შენ კი შიშველი დადიხარ! როდემდე იქნები სულელი? განა სხვებზე ნაკლებად შეგიძლია მლიქვნელობა? განა ვერ შეიძლება ტყუილის თქმას, დაფიცებას, ფიცის გატეხვას, დაპირობას, დაპირების შეუსრულებლობას ანდა პირობის გატეხვას? განა ვერ შეიძლება აკეთებს? განა შენ კი ვერ შეიძლება, სხვებივით რომ ცოცხვას? განა შენ კი ვერ შეუწყობდი ხელს ქალბატონს ინტრიგების მოწყობაში? ანდა ვერ წაიღებდი ბატონის სატრფიალო ბარათებს? განა სხვებზე ნაკლებად შეიძლება ახალგაზრდა კაცის წაქეზებას ლამაზ ქალიშვილს წაღლაბუცებოდა, ხოლო ქალიშვილის დარწმუნებას, რომ ჭაბუკისთვის მოესმინა? ხუთუ ვერ შეიძლება მიგვეხედებინა რომელიმე ჩვენი ბურჟუას ქალიშვილი, რომ უშნოდ არის ჩაცმული, მშვენიერი იქნებოდა, თუ კარგ საყურეს ჩამოიკიდებდა, ცოტა ფერუმარილს წაისვამდა, მაქმანებითა და პოლონური კაბით მოირთვებოდა? და რომ, მისი პატარა ფეხები იმისთვის კი არ არის შექმნილი, ქუჩაში ფეხით იარონ? რომ არის ვინმე ლამაზი ბატონი, ახალგაზრდა და მდიდარი, რომელსაც ოქროთი მოსირმული ტანსაცმელი აცვია, დიდებული კარეტა აქვს, ექვსი ახმახი ლაქია ჰყავს და რომ მისთვის მოუკრავს თვალი და გაგიყვებით მოსწონებია, იმ დღის მერე აღარც სვამს, აღარც ჭამს, ძილი გაუკრთა და შეიძლება ნაღველმაც მოკლას?

— „მერე მამაჩემი?

— მამათქვენი? თავიდან ცოტა გაწყრება...

— დედაჩემი, რომელიც სულ იმას ჩამჩინებს პატიოსანი ქალი იყავიო; ამქვეყნად ქალისთვის პატიოსნებაზე მალლა არაფერი დგასო.

— ძველი ზღაპრებია და არაფერსაც არ ნიშნავს.

— ჩემს მოძღვარს რაღა ვუთხრა?

— თქვენს მოძღვარს ველარ ნახავთ. და თუ სურვილი მაინც მოგივლით, თქვენი ცელქობის ამბავი ვაუზბილოთ, მის დასამშვიდებლად რამდენიმე გირვანქა შექარი და ყავა დაგჭირდებათ.

— ერთობ მკაცრი კაცია. ერთხელ ცოდვა იმის გამო არ შემინდო, რომ „მოდო ჩემს სავანეში“ ვიმღერე.

— იმიტომ, რომ მაშინ მისაცემი არაფერი გაგაჩნდათ... მაგრამ, როცა მაქმანებით მორთული გამოჩნდებით...

— მაშ, მაქმანები შექნება?

— ცხადია, გექნებათ. ათასნაირი ხარისხისა... ბრილიანტის ლამაზი საყურეებიც...

— მაშ, ბრილიანტის ლამაზი საყურეებიც შექნება?

— დიას.

— როგორც იმ მარკიზას აქვს, რომელიც ზოგჯერ ჩვენს დუქანში ხელთათმანების საყიდლად მოდის?

— ზუსტად ისეთი. კონტა ცხენებშებმულ, მშვენიერ ეტლში ჩაჯდებათ, მხლებლებად ორი ბრვე ლაქია და კიდევ პატარა ხანგის ბიჭი გამოგყვებათ, წინ კი შათირი გაგიძღვებათ. ფერუმარილი, სახეზე ხალები, გრძელი შლეიფი.

— მეჯლისებზე ვივლი?

— მეჯლისებზეც... ოპერაშიც, თეატრშიც... (სიხარულისგან გული უთრთის უკვე. შენ კი თითებში რაღაც პატარა ქალაღდს ათამაშებ...).

- ეგ რაღაა?
- არაფერი.
- მგონი, რაღაც უნდა იყოს.
- წერილია.
- ვისთვის?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თქვენთვის. ცოტათი რომ ცნობისმოყვარე ბრძანდებოდეთ...
— ცნობისმოყვარეო? ძალიანაც ვარ. აბა, მომეცით... (კითხულობს). პაემანი? შეუძლებელია.

— როცა წირვაზე წახვალთ. გზაში...

— მუდამ დედასთან ერთად დავდივარ. მაგრამ თუ დილაადრიანად მოვა, ვიდრე სხვები გაიღვიძებენ, მე უკვე დახლში ვდგავარ...". ბატონიც მოდის, გოგონა მოეწონება, და ერთ მშვენიერ დღეს, საღამო ხანს, გოგო გაქრება. შენ კი ორი ათას ეკიუს ჩაგითვლიან...

ასეთი ნიჭის პატრონს ერთი ლუკმა პური უნდა გენატრებოდეს? არა გრცხვენია შე უბედურო ჩემო თავო? გაიძვერების მთელი ბრბო მაგონდება, ჩემს ფრჩხილადაც არ ღირან და სიმდიდრეში კი ცურავენ. მე უხეში ქსოვილის სერთუკი მაცვია, ისინი კი სულ ხავერდებში გამოწყობილნი დადიან; ოქროს ბუნიკიან ხელჯოხზე ყვავის თავი აქვთ გამოსახული; მათ ძვირფას ბეჭდებზე არისტოტელესა და პლატონის სახეებია ამოკვეთილი. მერედა, რას წარმოადგენდნენ ადრე? საცოდავი მუსიკოსები ბრძანდებოდნენ, დღეს კი ვაჟბატონებად გადაქცეულან. შევყურებდი მათ და ვგრძნობდი, როგორ მემატებოდა სიმხნევე, როგორ ამიმაღლდა სული, გონება გამინათდა და უკვე ყოვლის შემძლე გავხდი. მაგრამ ამგვარი ბედნიერი განწყობილება დიდხანს არ გამგრძელებია, რადგან ჯერ მაინც ვერ გავიკვლიე გზა და წინ ვერ წავედი. აი, ამგვარად ვსაუბრობ ჩემს თავთან, და იგი შეგიძლიათ ისე განსაჯოთ, როგორც გსურთ, ოღონდ კი თქვენთვისაც ნათელი იყოს ის, რაც ჩემთვისაა ნათელი: ეს არის ზიზღი საკუთარი თავისა, სინდისის ქენჯნა, რასაც ზეცისგან მომადლებული ნიჭის უსარგებლობის შეგნება იწვევს ჩემში. საშინელი სატანჯველია. უმჯობესი იქნებოდა, ადამიანი ამქვეყნად სულაც არ გაჩენილიყო.

ვუსმენდი და იმის მიხედვით, თუ როგორ თამაშობდა მაჭანკლისა და შეცდენილი ქალის სცენას, ჩემს სულს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა ეუფლებოდა; აღარ ვიცოდი სურვილს დავმორჩილებოდი და გადამეხარხარა, თუ აღშფოთებას მივცემოდი. ვიტანჯებოდი, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. მოწოლილი ხარხარი ოცჯერ მაინც ჩააქრო მრისხანების ხმამ; გულის სიღრმეში დაგუბებული მრისხანება ოცჯერ მაინც დასრულდა შეუკავებელი ხარხარით. თავგზა ამირია ამგვარმა გამჭრიახობამ და ამგვარმა სულმდაბლობამ, ერთდროულად სიმართლითა და სიყალბით სავსე აზრებმა, გახრწნილმა სულმა, გულის-

ამრევმა საძაგლობამ და თანაც არაჩვეულებრივმა გულწრფელობამ. იმანაც შეამჩნია რა ხდებოდა ჩემში და მკითხა: — რა დაგემართათ? მმ — არაფერი.

ის — აღელვებული მეჩვენებით.

მმ — მართალი ბრძანდებით.

ის — საბოლოოდ მაინც რას მიჩვევთ?

მმ — შევიცვალეთ საუბრის თემა. უბედურო, რა დაბლა დაშვებულხართ და სიბილწეში ჩავარდნილხართ.

ის — გეთანხმებით, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ნურც ასე შევაწუხებთ. როცა გადავწყვიტე გულს გადავუშლი-მეთქი, სულაც არ მსურდა უსიამოვნებაში ჩამეგდეთ. ვიდრე იმ ხალხში ვცნობრობდი, შავი დღისთვის ცოტა რამ გადავინახე. მათთან ყოფნისას არაფერი მაკლდა და არც არაფერი მჭირდებოდა, წვრილმანი სიამოვნებისთვის ფულსაც მაძლევდნენ.

მერე ისევ დაიწყო შუბლზე ხელის ცემა და ტუჩების კვნეტა. ტვინ-შერყეულივით ჭერისკენ აცეცებდა თვალებს და თან ამბობდა: — მაგრამ ყველაფერი უკვე დასრულდა. ცოტაოდენი რაღაც შავი დღისთვისაც გადავინახე; ამასობაში დროც გავიდა, და მკონი, მოგებულებიც დავრჩი.

მმ — წაგებული გინდოდათ გეთქვათ.

ის — არა, არა, მოგებული... ჩვენ ყოველ წამს ვმდიდრდებით: ერთი დღით ნაკლები სიცოცხლე დაგრჩება, თუ ერთი ეკიუ ზედმეტი გექნება, განსხვავება არ არის. ამქვეყნად ყველაზე მთავარი ისაა, ყოველ საღამოს ადვილად, თავისუფლად, სიამოვნებითა და ბარაქიანად განვიდე კუჭში: *O stercus pretiosum*⁴¹. აი, უპირველესი რამ ყოველი წოდებისა და შეძლების ადამიანისთვის. ბოლო წუთებში ყველა მდიდარია, სამუელ ბერნარიც⁴², რომელიც სიკვდილის შემდეგ, ქურდობითა და ძარცვა-გლეჯით, სხვათა გაკოტრებით შეძენილ ოცდაშვიდ მილიონ ოქროს დატოვებს, და რამოც, რომელსაც არაფერი დარჩება; რამოც, რომელსაც ქველმოქმედნი სამადლოდ მიუტანენ ხამის ნაჭერს სუდარისთვის. ამაოდ ღრიალებს ასამდე მღვდელი, ამაოდ მიემართება ანთებული ჩირაღდნების გრძელი ჯაჭვი, მიცვალებულის სული დამკრძალავი პროცესიის განმრიგეს გვერდით არ მისდევს. მარმარილოს ძეგლის ქვეშ დაღპება უბედური თუ მიწის ქვეშ, განა სულ ერთი არ არის? დაღპობა დაღპობაა. შენი კუბოს ირგვლივ წითლად და ცისფრად მოსილი ბავშვები⁴³ დადგებიან თუ სულაც არავინ, განა მნიშვნელობა აქვს? აბა, შეხედეთ ამ ხელს? იგი ეშმაკივით ჯიუტი და გაშეშებული იყო. ეს ათი თითი ჯოხებივით ჩასობოდა გამხმარი ხელის მტევნებს; ეს გამომშრალი მყესები უფრო მოუქნელი, მკვრივი და მაგარი იყო, ვიდრე ის ღვედები, რომელსაც სახარატო დაზვის ბორბლებზე ხმარობენ ხოლმე. მაგრამ ისინი ისე ვაწვალე, იმდენი ვლუნე და ვამტვრიე... მაშ, არ მიჯერებ, ეშმაკმა წაგიღოს, გეუბნები, დამიჯერებ-მეთქი, მოიღუნები.



ამ ლაპარაკის დროს, მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის თითებზე იტაცა და დაიწყო მათი ტრიალი; თითების ბოლო მკლავს მიაწვდინა, სახსრებს ტკაცატკუსი აუყენა. შემეშინდა ხელი არ ეღრძო.

მე — ფრთხილად, თავს არაფერი აუტეხოთ.

ის — ნუ გეშინით, შეეჩვივნენ. ათი წლის მანძილზე ვიყავი მათ თუ არ უნდოდათ, იმდენი ვავარჯიშე, რომ მეტი რა გზა ვერ ვიპოვე, ის წავლეს კლავიშებზე სირბილი და სიმებზე ფრენა. სამაგიეროდ, საქმე ისე მიდის, როგორც საჭიროა. დიახ, უკეთესად რომ აღარ შეიძლება.

ამ დროს მევიოლინეს პოზა მიიღო და ლოკატელის⁴⁴ „allegro“ დააღიღინა. მარჯვენა ხელით თითქოს ქამანს ამოძრავებდა, მარცხენა ხელსა და თითებს ტარის გასწვრივ ათამაშებდა; ყალბი ნოტის ალების დროს ჩერდებოდა, სიმს ჭიმავდა, ან უშვებდა; ფრჩხილით სინჯავდა, ზუსტი იყო თუ არა ბგერა, მერე კი დაკვრას იმ ადგილიდან განაგრძობდა, სადაც შეჩერდა; ტაქტს ფეხს აყოლებდა, ამოძრავებდა ხელებს, ფეხებს, მკლავებს, მთელს სხეულს, საეკლესიო კონცერტებზე გამოსული იტალიელი მევიოლინეების ფერარის, შიაბრანის და სხვა ვირტუოზთა მსგავსად. დაკვრისას მათსავე იკრუნჩხებოდა, რაც ჩემში მუდამ საშინელ ტანჯვას იწვევდა, მაძრწუნებდა. განა საშინელი არ არის, როცა შესცქერი, ადამიანი როგორ იტანჯება, რათა სიამოვნება მოგანიჭოს? თუ აუცილებელია მან წამებული ადამიანის ტანჯვა გამოხატოს, მაშინ, არ მაყურებინოთ, ჩემსა და მას შორის ფარდა დაუშვით. და როცა ამ მღელვარებასა და წამოყვირებას პაუზა მოჰყვებოდა, ერთი იმ ჰარმონიული მომენტთაგანი, რომლის დროსაც ქამანი რამდენიმე სიმზე მოძრაობს, სახეზე აღფრთოვანება ეხატებოდა, ხმაც ნაზი უხდებოდა და კმაყოფილებით უსმენდა საკუთარ მუსიკას. დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ აკორდები მასაც ჩაესმოდა და მეც. ბოლოს, მარცხენა მკლავქვეშ ამოიღო ინსტრუმენტი, ქამანიანი მარჯვენა ხელი დაუშვა და თქვა: — აბა, რას იტყვი?

მე — მშვენიერია.

ის — მგონი, მართლა არ უნდა იყოს ცუდი. თითქმის ისევე ჟღერს, როგორც სხვებთან.

და მაშინვე კლავესინთან მიმჯდარი მუსიკოსივით მოიხარა.

— გთხოვ, მეც შემიცოდო და საკუთარი თავიც. — ვუთხარი მე.

ის — არა, არა. რაკი ხელში ჩაგიგდეთ, კეთილი ინებეთ და მომისმინეთ. სულაც არ მინდა შემაქოთ და თანაც არ იცოდეთ რატომ. თქვენ ახლა ძალიან მოიწონებთ ჩემს დაკვრას, და ეს რამდენიმე ახალ მოწაფეს შემმატებს.

მე — ისე იშვიათად დავდივარ სადმე, მხოლოდ ტყუილუბრალოდ დაიღლით თავს.

ის — მე არასოდეს ვიღლები.

ვხედვდი, ეს ადამიანი ამაოდ მებრალებოდა, თუმცა ვიოლინოზე შესრულებული სონეტის შემდეგ ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, გადავწყვიტე ხელი აღარ შემეშალა და სრული თავისუფლება მივეცი.

აი, მიუჯდა კლავესინს, მუხლები მოხარა, თავი ასწია, თვალები ჭერს მიაპყრო, თითქოს ზემოთ ნოტებიან პარტიტურას კითხულობსო და სიმღერა წამოიწყო. ჯერ შესავალი აკორდები აიღო. კარგად არ ვიცი, რას ასრულებდა ალბერტისა თუ გალუპის⁴⁵ პიესას. მისი ხმა ქარივით ირხეოდა; თითები კლავიშებზე გამალებით დარბობდნენ. ჯერ ბანამდე, მერე კვლავ უკან, ან აკომპანიმენტიდან მატარებელზე გადადიოდნენ. სახეზე ერთი გრძნობა მეორეთი ეცვლებოდა, ხან სინაზე ესატა, ხან მრისხანება, ხან ნეტარება, ხან მწუხარება; ისე ადვილად იგრძნობოდა და განირჩეოდა მთელი forte, მთელი piano, რომ დარწმუნებული ვარ, ადამიანს, რომელსაც ჩემზე უკეთ ესმის მუსიკა, თავისუფლად შეეძლო ეცნო პიესა, შესრულების მანერით, გამომეტყველებით და ზოგიერთი პანგის ნაწყვეტების გაელვებით, მის ბაგეს რომ აღმოხდებოდა ხოლმე. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ხანდახან თითქოს ცდებოდა, ყალბ ნოტას აიღებდა, მაგრამ მაშინვე თავიდან იწყებდა და ჯავრობდა, თითები არ მემორჩილებოდა.

— ასე რომ, — იგი წამოდგა და სახეზე ოფლი მოიწმინდა. — ჩვენც მივმართავთ ტრიტონებს⁴⁶, კვინტების⁴⁶ გაძლიერებას, დომინანტთა გადაბმაც ჩვენთვის უცხო არ არის. ეს პარმონიული პასაჟებიც, რომელმაც ჩემს ძვირფას ბიძას სახელი გაუთქვა, არც ისე დიდი რამეა და ამასაც ადვილად ვასრულებთ.

მე — ამაოდ დაშვრით გეჩვენებინათ, რა დახელოვნებული მუსიკოსი ბრძანდებით. ამას ისედაც დაგიჯერებთ.

ის — დახელოვნებული? ოო, არა! ასე თუ ისე რალაც გამეგება ჩემი ხელობისა და ეს იმაზე მეტია, ვიდრე საჭიროა; განა ამ ქვეყანაში აუცილებელია, კაცმა ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცოდეს, რასაც ასწავლის?

მე — ის მაინც უნდა იცოდეს, რისი ცოდნაც აუცილებელია, როცა ასწავლის.

ის — მართალია, ეშმაკმა დალახვროს! სრული სიმართლეა. აბა, ბატონო ფილოსოფოსო, გულზე ხელი დაიდეთ და გამოტყდით, რომ იყო დრო, როცა ასეთი მდიდარი არ იყავით.

მე — არც ახლა ვარ მდიდარი.

ის — მაგრამ ზაფხულობით ლუქსემბურგის ბაღში ხომ აღარ დადიხართ?.. გახსოვთ?..

მე — დავანებოთ ამას თავი. დიახ, მახსოვს!

ის — ნაცრისფერი პლუშის სერთუკი...

მე — დიახ, დიახ.

ის — გაქუცული, სახელოგამოხეული... შავი შალის წინდა, ქუსლთან თეთრი ძაფით გქონდათ ამოკემსილი.

მე — დიახ, დიახ... ილაპარაკეთ. როგორც გენებოთ.

ის — და რას აკეთებდით „სევდის ხეივანში“⁴⁷?

მე — საკმაოდ საცოდავი სანახავი ვიყავი.

ის — იქიდან გამოსული კი ქუჩაში დაეხეტებოდით.

მე — ასე გახლდათ.

ის — მათემატიკის გაკვეთილებით ირჩენდით თავს.

მე — და მათემატიკისა არაფერი გამეგებოდა. ამის თქმა გინდათ, ასე არ არის?

ის — სწორედ ეს მინდოდა მეთქვა.

მე — სხვებს ვასწავლიდი და თვითონაც ვსწავლობდი, რამდენიმე კარგი მოწაფეც გამოეზარდე.

ის — შეიძლება, მაგრამ მუსიკა ალგებრა და გეომეტრიაში ვსწავლობდი. და ახლა, როცა უკვე დიდი კაცი გახდით...

მე — არც ისე დიდი.

ის — ... და ბევრი ფულიც იშოვეთ.

მე — არც ისე ბევრი.

ის — თქვენ თვითონ იწვევთ მასწავლებლებს თქვენი გოგონასთვის.

მე — ჯერ არა. მისი აღზრდა დედამისს აკისრია, რადგან ოჯახში მშვიდობის დაცვა აუცილებელია.

ის — მშვიდობა ოჯახში? ეშმაკმა დალახვროს! მშვიდობა ოჯახში მაშინ არის, როცა მსახური ხარ, ანდა ბატონი. უკეთესია ბატონი იყო. მეც მყავდა ცოლი¹⁸. ღმერთმა აცხონოს მისი სული! მაგრამ, როცა ზოგჯერ მკვახედ მეტყობდა რამეს, ყალბზე ვდგებოდი, ჭექა-ქუხილს ვიწყებდი და უფალი ღმერთივით ვაცხადებდი: „იყავ ნათელი“. და ნათელიც სწრაფად ჩნდებოდა. სამაგიეროდ, მთელი ოთხი წლის მანძილზე ერთმანეთზე ათასში ერთხელ თუ ამოგვიღია ხმა. რა ხნისაა თქვენი შვილი?

მე — ეს საქმეს არ ეხება.

ის — რამდენი წლისაა თქვენი შვილი?

მე — რა ეშმაკად გინდათ?! მოვეშვათ ჩემს შვილს და მის ასაკს. დავუბრუნდეთ მასწავლებლებს, მომავალში რომ ეყოლება.

ის — ღმერთს ვფიცავ, ფილოსოფოსებზე ჯიუტი ხალხი არავინ მეგულება. და მაინც უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ბრწყინვალეებას, ბატონ ფილოსოფოსს, კეთილი ინებოს და თუნდაც მიახლოებით ბრძანოს თავისი ქალიშვილის წლოვანება.

მე — დავუშვათ, რომ რვა წლისაა¹⁹.

ის — რვა წლისა! ოთხი წლის წინ უკვე კლავიშებზე უნდა დაერთყა თითები.

მე — იქნებ სულაც არ მინდა ვასწავლო საგანი, რომელიც მოწაფეს დიდ ღროს ართმევს, სარგებლობა კი მცირედი მოაქვს.

ის — მაშ, რაღას შეასწავლიდით, გეთაყვა?

მე — თუ ღმერთი შემეწევა, სწორედ მსჯელობას შევასწავლი, რასაც ასე იშვიათად ვხვდებით მამაკაცებში და კიდევ უფრო იშვიათად ქალებში.

ის — ეჰ! როგორც უნდა ისე იმსჯელოს, ოღონდ ლამაზი, მხიარული და კობწია იყოს.

მე — და რაკი ბუნება მისდამი უღმობელი აღმოჩნდა, რადგან სინაზითა და მგრძნობიარე გულით დააჯილდოვა, რაც ცხოვრებისეულ ისეთ გაჭირვებებს უქადის, რომლებიც სხეულის სიმაგრესა და ბრინჯაოს გულს მოითხოვს, ამიტომ ვეცდები, თუ შევძლებ, ვასწავლო ყოველი გაჭირვების ვაჟკაცურად ატანა.

ის — დაე, იტიროს, იწუხოს, როგორც ყველამ, ოღონდ ლამაზი, მხიარული და კოპწია იყოს. როგორ! ნუთუ ცეკვასაც არ ასწავლით?

მე — იმაზე მეტს არა, რაც რევერანსისთვის, წესიერი თავდაჭერისთვის და ლამაზი მიმოხერხისთვის არის საჭირო.

ის — სიმღერასაც არ ასწავლით?

მე — იმაზე მეტს არა, რაც საამო გამოთქმისთვის საჭირო.

ის — არც მუსიკას ასწავლით?

მე — ჰარმონიის კარგ მასწავლებელთან ერთ-ორ წელიწადს სიამოვნებით ვამეცადინებდი დღეში ორ-ორ საათს.

ის — ამ თქვენგან უარყოფილი საგნების მაგივრად რას შეასწავლიდით?

მე — გრამატიკას, მითოლოგიას, ისტორიას, გეოგრაფიას, ცოტა მხატვრობას, განსაკუთრებით კი ზნეობრივ განათლებას მივცემდი.

ის — ჩემთვის ძალიან ადვილია, ყველა მაგ ცოდნის უსარგებლობის მტკიცება, მეტადრე იმისთანა საზოგადოებაში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ. უსარგებლობა-მეთქი, ვამბობ, მაგრამ შეიძლება საზიანოც იყოს. ჯერჯერობით კი ერთი კითხვით დავკმაყოფილდები: ხომ არ დასჭირდება თქვენს გოგონას ერთი ან ორი მასწავლებელი?

მე — ცხადია, დასჭირდება.

ის — აი, რა არის მთავარი. და თქვენ იმედი გაქვთ, რომ ამ მასწავლებლებს ეცოდინებათ გრამატიკაც, მითოლოგიაც, ისტორიაც, გეოგრაფიაც და ზნეობასაც შეასწავლიან? ზღაპარია, ჩემო ძვირფასო მეტრ, ზღაპარია. იმათ რომ ისე კარგად იცოდნენ ეს საგნები — სხვასაც ასწავლონ, ხომ არასოდეს გახდებოდნენ მასწავლებლები?

მე — რატომ?

ის — იმიტომ, რომ ამ საგნების შესწავლას მთელი მათი სიცოცხლე დასჭირდებოდა. ხელოვნებაში და მეცნიერებაში ღრმად უნდა შეიჭრა, კარგად რომ ჩასწვდეს მათ საფუძვლებს. ჭეშმარიტი კლასიკური ნაწარმოების შექმნა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მასზე მუშაობაში ჭაღარავდება. მხოლოდ შუა და დასასრული ანათებს დასაწყისის სიბნელეს. ჰკითხეთ თქვენს მეგობარს, მათემატიკური მეცნიერების კორიფესს, ბატონ დ'ალამბერს, შეუძლია თუ არა გადმოგვცეს ამ მეცნიერების საფუძვლები? ბიძაჩემმა მხოლოდ ოცდაათი და ორმოცი წლის ვარჯიშის შემდეგ დაინახა მუსიკის თეორიის პირველი სხივები.

მე — ოჰ. დამთხვეულო, არქიდამთხვეულო! — წამოვიძახე მე. — როგორ შეიძლება, მაგ სულელურ თავში, სადაც ამოდენა დომხალია, ასეთი ჭეშმარიტი იდეები გროვდებოდეს?

ის — ეშმაკმა უწყის. ეს აზრები შემთხვევით იბადებიან თავში და იქვე რჩებიან. მაგრამ როგორც უნდა იყოს, როცა ყველაფერი არ იცი, მაშინ რიგიანადაც არაფერი იცი. ისიც კი არ იციან, რა რისი შედეგია; საიდან რა მოდის; რას რა უნდა მოსდევდეს; რამ უნდა დაიკავოს პირველი ადგილი და რამ მეორე. შეიძლება მეთოდის გარეშე ვასწავლოთ თუ არა? ან საიდან იბადება მეთოდი? იცით, ჩემო ფილოსოფოსო, რომ, ჩემი აზრით, ფიზიკა ყოველთვის საცოდავი მეცნიერება იქნება, ნემსის წვერს ამოყოლილი წვეთი უზარმაზარი ოკეანიდან, ალპების მთებიდან მოწყვეტილი ქვიშის მარცვალი. მიდი და ეძებე ამ მო-

ელენათა მიზეზი! სიმართლე რომ ითქვას, უმჯობესია არაფერი იცოდე, ვიდრე იცოდე ასე ცოტა და ასე უხეიროდ. აი, ამ აზრამდე მივყავართ, როცა აკომპანიმენტსა და კომპოზიციას ვასწავლიდი. რაზე ვაფიქრდით?

მე — იმაზე, რომ ყველაფერი, რაც თქვით, უსაფუძვლოა, ვიდრე საფუძვლიანი. მაგრამ მოვეშვათ ამას. თქვენ თქვენს აკომპანიმენტსა და კომპოზიციას ვასწავლიდი.

ის — დიახ.

მე — და ამ საგნებისა არაფერი გაგეგებოდათ?

ის — ღმერთს გეფიცებით, არაფერი. მაგრამ სხვა მასწავლებლები ჩემზე უფრო ცუდნი აღმოჩნდნენ. ეგონათ, რაღაც ვიცითო. მე ბავშვებს გემოვნებასა და ხელებს მაინც არ ვუმახინჯებდი. როცა კარგ მასწავლებელთან გადადიოდნენ, მართალია არაფერი იცოდნენ, მაგრამ დასავიწყებელიც არაფერი ჰქონდათ. ეს კი ფულსაც ზოგავდა და დროსაც.

მე — ამას როგორღა ახერხებდით?

ის — როგორც ყველა ახერხებს. მივიდოდი, სავარძელში ღონე-მიხდილი დავეცემოდი და ვიტყოდი: „რა საშინელი ამინდია! რა დამლულია ფეხით სიარული!“ მერე ვიწყებდი ახალი ამბების მოყოლას: „მადმუაზელ ლემიერს ახალ ოპერაში ვესტალის როლი უნდა ეთამაშა, მაგრამ მეორედ დაორსულებულა და ახლა აღარ იცინა, მის მაგივრად ვინ გამოიყვანონ. მადმუაზელ არნუმ¹ კი ახლახანს მიატოვა თავისი პატარა გრაფი² და ახლა ფინანსების გენერალურ პროკურორ ბერტენთან აწარმოებს მოლაპარაკებასო, ხოლო პატარა გრაფმა თავისი საქმე მაინც იპოვა ბატონ დე მონტამის³ ფაიფურის მოხატვის სამუშაო. მოყვარულთა მიერ გამართულ ბოლო კონცერტზე ერთი იტალიელი ქალიშვილი გამოვიდა, რომელიც ანგელოზივით გალობდა. პრევილი⁴ მართლაც იშვიათობაა და ღირს მისი ნახვა „გალანტურ მერკურში“. გამოცანის სცენა შეუდარებელია. ამ საცოდავ დიუმენილს⁵ აღარაფერი გაეგება, არც ის, რასაც ამბობს და არც ის, რასაც აკეთებს. აბა, მადმუაზელ, აიღეთ თქვენი ნოტების წიგნი“. ვიდრე ქალიშვილი სადღაც მიგდებულ წიგნს დაეძებს, ვიდრე მოახლე გოგოს დაუძახებენ და დატუქსავენ, მე ჩემსას განვაგრძობ: „კლერონისას კი ნამდვილად ვერას გაიგებ. ხმა დადის რაღაც სულელურ ქორწინებაზეც: თხოვდება... რა ჰქვია? იმ პატარა არსებას, რომელიც ბატონ N-ს კმაყოფაზე იყო და რომელმაც ორი თუ სამი ბავშვით დააჯილდოვა იგი. ის პატარა ქალი თურმე სხვების კმაყოფაზეც ყოფილა. — გეყოთ, რამო, აჭარბებთ, შეუძლებელია! — სულაც არ ვაჭარბებ. იმასაც ამბობენ, საქმე უკვე გადაწყვეტილიაო. ხმა გავარდა, ვოლტერი⁶ მოკვდაო. მით უკეთესი. — რატომ მით უკეთესი? — როგორც ჩანს, ისევ გამასხარავენას აპირებს. ჩვეულებად აქვს, მასხარაობის დაწყებამდე ორი კვირით ადრე კვდება ხოლმე“. კიდევ რას ვიტყოდი? რას და, რაიმე ორაზროვან სისულელეს, იმ ოჯახებიდან გამოტანილს, სადაც დავდიოდი. ჩვენ ხომ დიდი ჭორიკანები ვახლავართ. მე ვცულლუტობდი, ისინი მისმენდნენ, იცინოდნენ და იძახდნენ: „რამო, ყოველთვის მომნიბლავი ხართ“. ამა-

სობაში ქალიშვილი სადღაც სავარძლის ქვეშ მონახავდა ნოტების კრებულს, რომელიც იქ ძაღლს, ან კატას შეეთრია და დაეფლირებდა, მიუჯდებოდა თავის კლავესინს, ჯერ მარტო აბრაზუნებდა, მერე მის მივუახლოვდებოდი, ოღონდ ჯერ მოწონების ნიშნად დედას თავს დავუქნევდი. დედა: „არც ისე ცუდად მიდის საქმე. მხოლოდ სურნული საჭირო, მაგრამ ვაი, რომ ამ სურვილს ვერ ვხედავ. უჩინო სურნული სობაში, ძონძების კერვაში, სირბილში და კიდევ ვინ იცის რაში გაატაროს დრო. ვერც კი მოასწრებთ წასვლას, რომ ნოტების წიგნი დაიხურება და თქვენს მოსვლამდე აღარც გადაიშლება. თქვენ კი არასოდეს ტუქსავთ...“. და ამ დროს, რადგან რალაციის გაკეთება აუცილებლად იყო საჭირო, ვიღებდი მოწაფის ხელებს და მდგომარეობას ვუცვლიდი. მოსაჩვენებლად ვბრაზობდი, ვყვიროდი: „სოლ, სოლ, სოლ, მადმუაზელ, ეს არის სოლ“. დედა: „მადმუაზელ, სულ დაკარგეთ სმენა? მე კლავესინს არ ვუზივარ და ვერც თქვენს ნოტებს ვხედავ, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რომ აქ „სოლ“ უნდა იყოს. რამდენ თავსატეხს უჩინთ ამ ბატონს. პირდაპირ მაოცებს მისი მოთმინება. რაც გინდა გითხრათ, არაფერს იმახსოვრებთ, ამიტომაც წინ ვერ მიდიხართ...“. ამ დროს ოდნავ ვჩუმდები, თავს ვაქნევ და ვამბობ: „მომიტევეთ, ქალბატონო, მომიტევეთ. რა თქმა უნდა, უკეთ წავიდოდა მეცადინეობის საქმე, თუ მადმუაზელი მოინდომებდა, თუ ცოტას მაინც იმეცადინებდა. მაგრამ საქმე არც ისე ცუდად გახლავთ“. დედა: „თქვენს ადგილზე რომ ვიყო, მთელ წელიწადს მარტო ერთ პიესაზე შევაჩერებდი. — ოპ, დიას, პიესას არ შევიცვლით, ვიდრე ყველა სიძნელეს არ გადავლახავთ. მაგრამ საამისოდ იმდენი დრო არ დაგვჭირდება, როგორც ქალბატონს ჰგონია.“ დედა: „ბატონო რამო, თქვენ მას ეფერებით. ძალიან კეთილი ბრძანდებით. მთელი დღევანდელი გაკვეთილიდან მხოლოდ ამ სიტყვებს დაიმახსოვრებს, და თუ შემთხვევა მიეცემა, მეც წამომაძახებს“. საათიც სრულდება. ჩემი მოწაფე პატარა კონვერტს მომართმევდა ხელის გრაციოზული მოძრაობითა და რევერანსით, რაც ცეკვის მასწავლებელთან ისწავლა. კონვერტს ჯიბეში ჩავიდებდი, დედამისი კი განაგრძობდა: „ძალიან კარგია, მადმუაზელ, აქ რომ ჟავილიე⁵⁶ ყოფილიყო, უთუოდ ტაშს დაგიკრავდათ“. ზრდილობის გამო ერთხანს კიდევ ვიყბედებდი და მერე მოვუსვამდი. აი, რა ეგონათ მაშინ მუსიკის გაკვეთილი.

მე — განა ახლა სხვანაირადაა?

ის — რას ბრძანებთ! ეშმაკმა წაიღოს! ახლა სულ სხვაა. შევდივარ სახლში! სახე სერიოზული და მკაცრი მაქვს. ვჩქარობ ხელთათმანი წავიძრო ხელიდან. ვაღებ კლავესინს, ვამოწმებ კლავიშებს. ყოველთვის ვჩქარობ; თუ ერთი წუთით მაცდევინეს, ისეთ ყვირილს ვტყვ, თითქოს ეკიუ მოეპაროთ: ერთი საათის შემდეგ იქ უნდა ვიყო, ორი საათის შემდეგ ამა და ამ პერცოგინიასთან. სადილად მშვენიერ მარკიზასთან მეღიან, იქიდან ნევ-დე პტი-მანის ქუჩაზე, პარიზელი მელომანის ბარონ დე ბავეს სახლში კონცერტზე უნდა წავიდე-მეთქი.

მე — მაგრამ არსად გელიან, ხომ?

ის — რა თქმა უნდა, არა.

მე — მერე და რაში გჭირდებათ ასეთი წვრილმანი და იაფფასიანი ოინები?

ის — იაფფასიანო? ნება მომეცით გკითხოთ, რატომ იაფფასიანი? ჩემი ხელობის კაცისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. თავს სულაც არ ვიმცირებ, რადგან ისე ვიქცევი, როგორც ყველა იქცევა. ოინები მე არ მომიგონია, და ჩემი მხრით სისულელე და უგუნურება იქნებოდა, არ მესარგებლა ამით. რასაკვირველია, კარგად ვიცი, თუ ამ წვრილმანს რომელიღაც მორალის ზოგადი პრინციპების მიხედვით განიხილავთ, რომელიც ყველას პირზე აკერია, მაგრამ სინამდვილეში კი არავინ იცავს, მაშინ თეთრი შავად გამოჩნდება, და ის, რაც შავია, თეთრი გახდება. მაგრამ ბატონო ფილოსოფოსო, ხომ არსებობს მორალის ერთი საზოგადო კოდექსი, ისევე როგორც არსებობს ერთი საზოგადო გრამატიკა, მაგრამ გარდა ამისა ყველა ენაში არსებობს გამონაკლისები, რომელსაც, თქვენ, სწავლული ხალხი, უწოდებთ... დამეხმარეთ... უწოდებთ...

მე — იდიოტიზმებს?

ის — დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, კეთილი და პატიოსანი. მორალის საერთო კოდექსში ყველა წოდებას თავისი გამონაკლისი აქვს, რომელსაც სიამოვნებით ვუწოდებდი პროფესიის იდიოტიზმებს.

მე — მესმის. ფონტენელი კარგად ლაპარაკობს, კარგად წერს, თუმცა მის სტილში ფრანგული იდიოტიზმები ფუთფუთებენ.

ის — ახლა ხელმწიფე, მინისტრი, ფინანსისტი, მოსამართლე, სამხედრო, ლიტერატორი, ვექილი, პროკურორი, კომერსანტი, ბანკირი, ხელოსანი, სიმღერის მასწავლებელი, ცეკვის მასწავლებელი, ყველანი ძალიან პატიოსანი ხალხია, თუმცა საერთო მორალურ კოდექსს ხშირად შორდებიან და მათი საქციელიც სავსეა მორალური იდიოტიზმებით. რაც უფრო ძველია წესწყობილება, მით უფრო მეტია მასში იდიოტიზმები; რაც უფრო მძიმეა ეპოქა, მით უფრო მრავალფეროვანია იდიოტიზმები. როგორც ადამიანია, ისეთივეა ხელობაც, და პირიქით, როგორც ხელობაა, ისეთივეა ადამიანიც. აი, ამიტომაც ცდილობენ რაც შეიძლება მეტად აამაღლონ თავიანთი ხელობის ფასი.

მე — მთელ ამ აბდაუბდაში, მხოლოდ ის გახდა ჩემთვის ნათელი, რომ ცოტაა ისეთი ხელობა, რომელსაც კეთილსინდისიერად ეკიდებიან, ან კიდევ ცოტაა პატიოსანი ხალხი თავის ხელობაში.

ის — უარესი, ისინი სულაც არ არსებობენ. სამაგიეროდ, იშვიათია, რომ ვინმე თაღლითობდეს თავისი დუქნის გარეთ. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არ იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც ბეჯითებს, წესიერებს, თავის მოვალეობის ზუსტად შემსრულებლებს უწოდებენ, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი, ვინც დილიდან საღამომდე თავიანთ საქმეს უსხედან და მხოლოდ საკუთარი ხელობა აინტერესებთ, სხვა არაფერი. სამაგიეროდ, მართო ისინი მდიდრდებიან და დიდ პატივშიც არიან.

მე — იდიოტიზმების ძალით?

ის — დიახ, დიახ ასეა. ვხედავ, მიმიხვდით. ამგვარად, არსებობს იდიოტიზმი, რომელიც თითქმის ყველა წოდებას ახასიათებს, რადგან არსებობს იდიოტიზმები, რომელიც საერთოა ყველა ქვეყნისა და ყვე-

ლა დროისთვის, საყოველთაოდ გავრცელებული სისულელის მსგავსად; და ეს საყოველთაო იდიოტიზმი გამოიხატება მისწრაფებაში, რაც შეიძლება გააფართოვო კლიენტურის წრე; საყოველთაოდ გავრცელებული სისულელე კი ჩაგჩინებს, თავისი საქმის ოსტატი ის არის, ვისაც მეტი კლიენტი ჰყავსო. აი, ორი გამონაკლისი საერთო კუთხლის სინდისიერებისა, რომლის წინაშეც ქედი უნდა მოიხაროს. ^{სინდისიერებისა} იმ კრედიტის სახეობაა, რომელიც თავისთავად არავითარ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის მეოხებით გარკვეულ ღირებულებას იძენს. ამბობენ, კარგი სახელი ოქროს ქამარზე ძვირიაო. მაგრამ ვისაც კარგი სახელი აქვს, ოქროს ქამარი არ მოეძევება. ჩვენს დროში კი, ვისაც ოქროს ქამარი აქვს, არც კარგი სახელი აკლია. საჭიროა შეძლებისდაგვარად შეიძინო სახელიცა და ქამარიც. მე სწორედ ეს მიზანი მაქვს, როცა სხვის თვალში საკუთარი ფასის მომატებას ვცდილობ იმის დახმარებით, რასაც თქვენ დამამცირებელს, უღირსს, წვრილმან ოინებს უწოდებთ. ვაძლევ გაკვეთილებს და კარგადაც ვასწავლი. აი, ეს არის საზოგადო წესი. ვცდილობ, ვილაცუბო დაფარწმუნო, რომ გაკვეთილები უფრო მეტი მაქვს, ვიდრე დღე-ღამეში საათია, ესეც იდიოტიზმი გახლავთ.

მე — მაგრამ კარგად კი ასწავლით?

ის — არც ისე ცუდად, საკმაოდ კარგად. ძვირფასი ბიძაჩემის მთავარმა ბასმა ეს საქმე გააადვილა. წინათ ჩემს მოწაფეს ფულს ვპარავდი, დიახ, ვპარავდი. დღეს კი მეც ისეთივე შრომით ვშოულობ, როგორც სხვები შოულობენ.

მე — როცა პარავდით, სინდისის ქენჯნას არ გრძნობდით?

ის — ოო! სინდისის ქენჯნის გარეშე ვიპარავდი. ამბობენ, ქურდი ქურდს პარავს, ეშმაკი კი ხარხარებსო. მოწაფეთა მშობლები ყელამდე იყვნენ ჩაფლულნი, ღმერთმა იცის საიდან ნაშოვნ სიმდიდრეში. ესენი იყვნენ მეფის კარისკაცები, ფინანსისტები, მსხვილი კომერსანტები, ბანკირები, საქმოსანი ხალხი. მეცა და სხვა მრავალი კიდევ, რომლებიც ამ ქურდებს ვემსახურებოდით, ვეხმარებოდით ნაქურდალის უკან დაბრუნებაში. ბუნებაში ყველა სახეობის ცხოველი ერთმანეთს ანადგურებს; საზოგადოებაში კი ერთმანეთს სხვადასხვა წოდებანი ანადგურებენ. ჩვენ კანონების დაუხმარებლად გამოგვაქვს ერთმანეთისთვის განაჩენი. უწინ დეშანი¹⁾, ახლა გიმარი²⁾, პრინცის მაგივრად ფინანსისტს უხდის სამაგიეროს. ხოლო მოდის სახელოსნოს მფლობელი ქალი, ოქრომჭედელი, მემპალიერე, მრეცხავი, ოინბაზი, მოახლე, მზარეული, სირაჯი სამაგიეროს უხდის დეშანს ფინანსისტის გამო. მთელ ამ აურზაურში მხოლოდ დოყლაპია და უსაქმური რჩება ხელცარიელი, და ახიც არის მასზე. აქედან ხედავთ, რომ ეს გამონაკლისები საერთო კეთილსინდისიერების კოდექსიდან, ანუ ეს მორალური იდიოტიზმები, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ და ბნელ საქმეს უწოდებენ, საშინელებას არ წარმოადგენს, და საბოლოო ანგარიშში მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ კაცს სწორი თვალთახედვა ჰქონდეს.

მე — თქვენი თვალთახედვით მოხიბლული ვარ.

ის — აბა, წარმოიდგინეთ გაჭირვება. სინდისისა და პატიოსნების ხმა ძალიან სუსტად ჟღერს, როცა ნაწლავეები მთელი ხმით ღრიალებენ.

თუ ოდესმე გავმდიდრდები, მეც მომიწევს ნაპარავის უკან დაბრუნება და მტკიცედაც მაქვს გადაწყვეტილი უკან დავაბრუნო ყოველგვარი შესაძლებელი საშუალებით: წვეულებები იქნება, ბანქოს თამაში, ღვინო, ქალები თუ სხვა.

მე — მაგრამ ვშიშობ, ვერასოდეს გამდიდრდებით. უკეთესი
ბიზნისითაა

ის — მაგას მეც ვშიშობ.

მე — და მაინც, რომ გამდიდრებულიყავით, რას იზამდით?

ის — იმასვე, რასაც ყველა გამდიდრებული გლახა სჩადის. გავხდებოდი ყველაზე უტიფარი არამზადა, რომლის მსგავსიც ამქვეყნად არავის უნახავს. მაშინვე გავიხსენებდი ყველაფერს, რითაც იმათგან ვიტანჯე და სამაგიეროს გადავუხდიდი. მიყვარს ბრძანებების გაცემა და ბრძანებებს გავცემდი. მიყვარს, როცა მაქებენ და შემაქებდნენ კიდევ. ჩემს სამსახურში ჩადგებოდა ვილმორენის¹ მთელი ხროვა, და მეც ისევე ვეტყოდი მათ, რასაც მე მეუბნებოდნენ: „აბა, გამართეთ, მუქთახორებო“, ისინიც გამართობდნენ. „აბა, პატიოსანი ხალხი გაჭორეთ“, და ისინიც გაჭორავდნენ, თუ კიდევ სადმე არსებობდა პატიოსანი ადამიანი. ქალებს გავიჩენდი, როცა მთვრალები ვიქნებოდით, ერთმანეთს შენობით მივმართავდით. დავიწყებდით ლოთობას, ტყუილებს, გარყვნილებასა და ბიწიერებას. ეს ყოველივე საუცხოო იქნებოდა. დავამტკიცებდით, რომ ვოლტერი უნიჭოა, რომ ბიუფონი მხოლოდ და მხოლოდ გაფუყული „აქტიორია“, რომ მონტესკიე ერთი ჩვეულებრივი ოსუნჯია. და ლამაზებს თავისივე მათემატიკაში შევღვენიდით, ყველა თქვენნაირ პატარა კატონებს კარგად გავჯორავდით, რომლებსაც ჩვენი შურთ და ვეჯავრებით, რადგან ისინი ამპარტაუნობის გამო მორიდებულნი არიან და თავდაჭერილნი გაჭირვების გამო. მუსიკა! აი, მაშინ მოვკიდებდი ხელს მუსიკას.

მე — ვხედავ, ღირსეულად გამოიყენებდით სიმდიდრეს. რა სამწუხაროა, რომ ასეთი ღარიბ-ღატაკი ხართ. თქვენს ცხოვრებას ისე წარმართავდით, ადამიანთა მოდგმას პატივსა და ღირსებას მიანიჭებდით, მეტად სასარგებლო იქნებოდით თანამოძმეთათვის და დიდებით აღვსილი თქვენივე თავისთვის.

ის — მგონი დამცინით. მაგრამ ის კი არ იცით, ბატონო ფილოსოფოსო, ვის დასცინით. ფიქრადაც არ მოგდით, რომ ამ წამს მე წარმოვადგენ ქალაქისა და სასახლის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. ყველა წოდების ჩვენი მდიდრები შეიძლება საკუთარ თავს გამოუტყდნენ, ან შეიძლება არც გამოუტყდნენ, რაც მე ვაღიარე, მაგრამ ის კი უდავოა, რომ ცხოვრება, რომელსაც მე დავადგებოდი, მათ ადგილას რომ აღმოჩენილიყავი, ზუსტად ისეთივე იქნებოდა, როგორსაც ისინი მისდევენ. თქვენ, ჩემო კარგებო, ნუთუ გჯერათ, რომ ერთი და იგივე ბედნიერება ყველასთვის გამოდგება? რა ახირებული ცდომილებაა! თქვენი აზრით, ბედნიერებაა, როცა გაგაჩნია გონების გარკვეული რომანტიკული მიმართულება, სულის უჩვეულო განწყობილება და თავისებური გემოვნება, რაც ჩვენ არ გვაქვს. ამ უცნაურობებს თქვენ სათნოების სახელით აფერადებთ; ფილოსოფიას უწოდებთ, მაგრამ განა სათნოება ან ფილოსოფია ყველასთვისაა ხელმისაწვდომი? ვისთვისაც ხელმისაწვდომია, დაე ჰქონდეს იგი და გაუფრთხილდეს კიდევ, რო-

გორც შეუძლია. ოღონდ, აბა, ერთი წარმოიდგინეთ, სამყაროში რომ ყველა ბრძენი და ფილოსოფოსი იყოს, დამეთანხმებით, რა საშინელი მოწყენილობა დაგვერეოდა. მაშ, გაუმარჯოს ფილოსოფიას, გაუმარჯოს სოლომონის სიბრძნეს: ვსვათ კარგი ღვინო, გავძლეთ ნუგბარი საჭმელებით, დავწვეთ ლამაზ ქალებთან, დავიძინოთ ~~ფილოსოფიის~~ ღვინებში, სხვა ყველაფერი კი ამაოებაა.

მე — როგორ, სამშობლოს დაცვა?

ის — ეგეც ამაოებაა! აღარ არსებობს სამშობლო. ერთი პოლუსიდან მეორემდე მხოლოდ მტარვალებსა და მონებს ვხედავ.

მე — მეგობრები?

ის — ამაოებაა! განა მეგობრები გვყავს? კიდევ რომ გვყავდეს, განა ღირს უმადურთა რიცხვის გამრავლება? კარგად დააკვირდით და დაინახავთ, რომ დახმარებას თითქმის ყოველთვის უმადურობა მოსდევს. მადლიერება ტვირთია, ყოველი ტვირთი კი შექმნილია იმისთვის, რომ თავიდან მოიშორო.

მე — საზოგადოებრივი მდგომარეობა და მასთან დაკავშირებულ მოვალეობათა აღსრულება?

ის — ამაოებაა! მოვალეობა მთავარი როდია, იგი შეიძლება არც არსებობდეს, მთავარია სიმდიდრე; მდგომარეობა კი იმისთვის არის საჭირო, რომ გამდიდრდნენ. მოვალეობის აღსრულება რას შეგძენს? შურს, მღელვარებას, დევნას. განა ასე წახვალ წინ? ეშმაკმა წაიღოს! მლიქვნელობაა საჭირო, თავის მდაბლად დაკვრა, გავლენიან პირებთან მისვლა, მათი გემოვნების შესწავლა. მათი ახირებებისა და ჟინის წაქეზება, მათ ბიწიერ მისწრაფებათა ხელის შეწყობა, მათი უსამართლობის გამართლება. აი, რააა მთელი საიდუმლოება.

მე — საკუთარი ბავშვების აღზრდაზე ზრუნვა?

ის — ამაოებაა! ეგ აღმზრდელის საქმეა.

მე — მაგრამ თუ ეს აღმზრდელიც თქვენს პრინციპებს გაიზიარებს და უდიერად მოეპყრობა თავის მოვალეობას, ვინ იქნება ამით დასჯილი?

ის — ცხადია, მე არა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ჩემი ქალიშვილის ქმარი, ან ჩემი ვაჟის ცოლი აღმოჩნდნენ დასჯილნი.

მე — თუ ერთიცა და მეორეც გარყვნილებასა და ბიწიერებას მიეცემიან?

ის — ეს ბუნებრივი იქნება მათი მდგომარეობისთვის.

მე — თავი რომ შეირცხვინონ?

ის — რაც უნდა ჩაიდინოს კაცმა, თავს ვერ შეირცხვენს, თუ მდიდარია.

მე — თუ გალატაკდებიან?

ის — მით უარესი მათთვის.

მე — ვხედავ, ყველაფერს უარყოფთ, და თუ თვალყურს არ მიადევნებთ თქვენი ცოლის, თქვენი ბავშვების, თქვენი მსახურების საქციელს, ფულის საქმესაც ადვილად შეუშვებთ ხელს.

ის — მომიტევეთ, მაგრამ ხანდახან ძალიან ძნელია ფულის შოვნა და კეთილგონიერება მოითხოვს ამ საქმეზე წინასწარ ფიქრს.

მე — როგორც ჩანს, ნაკლებად იზრუნებდით თქვენს მეუღლეზე?

ის — თქვენი ნებართვით, სულაც არ ვიზრუნებდი. ყველაზე საუკეთესო საშუალება ძვირფას მეორე ნახევართან კარგი დამოკიდებულებისა, ჩემი ღრმა რწმენით, ის გახლავთ, რომ გააყვანოთ ეს ქალი მის უინს დააკმაყოფილებს. როგორ გგონიათ, ყველა ჩვენს ცხოველებს მოვალეობა კარგად რომ აესრულებინა, განა საზოგადოებაში საშინელი მოწყენილობა არ იქნებოდა?

მე — რატომ იქნებოდა მოწყენილობა? საღამო მუდამ მშვენიერზე მშვენიერია, დილას ჩემთვის განსაკუთრებული სიამოვნება მოაქვს.

ის — ასევე ჩემთვისაც.

მე — წარჩინებული ადამიანები გასართობებს იმიტომ ირჩევენ, რომ უქმად ცხოვრობენ.

ის — ასე ნუ ფიქრობთ, ისინიც საქმიანობენ.

მე — რადგან არასოდეს იღლებიან, იმიტომ არც არასოდეს ისვენებენ.

ის — ასე ნუ ფიქრობთ, ისინიც იღლებიან.

მე — სიამოვნება მათთვის საქმეა და არა მოთხოვნილება.

ის — მით უკეთესი. მოთხოვნილება მუდამ ტანჯვაა.

მე — ყველაფერი მობეზრებული აქვთ. სული დაჩლუნგებით და მოწყენილობა ძვალსა და რბილში გასჯდომიათ. ის, ვინც ამ დამამძიმებელ დოვლათში მათ სიცოცხლეს წაართმევს, დიდ სამსახურს გაუწევს. ისინი მხოლოდ ბედნიერების იმ ნაწილს იცნობენ, რომელიც მალე ცვთება. სრული ბედნიერება მათთვის უცნობია. მე არ უარვყოფ გრძნობათა სიტკბოს. პირი მეცა მაქვს, რომელსაც ძალზე სიამოვნებს შერჩეული საჭმელები და კარგი ღვინო; მეცა მაქვს გული და მაქვს თვალები. მეც მსიამოვნებს, როცა ლამაზ ქალს ვხედავ; მიყვარს, როცა ჩემს ხელში ვგრძნობ მის მკვრივსა და დამრგვალებულ ძუძუებს, მინდა დავეწაფო მის ტუჩებს, შევსვა მისი თვალების ვნება და გავინაბო მის მკლავებში. ხანდახან მეგობრებთან ცოტა აყალმაყალიან ქეიფსაც არ ვიწუნებ. მაგრამ არ დაგიმაღავთ, უსაზღვრო სიამოვნებას მანიჭებს, დავეხმარო ვინმე უბედურს, კეთილად დავასრულო რომელიმე მძიმე საქმე, გავცე სასარგებლო რჩევა, წავიკითხო სასიამოვნო წიგნი, გავისეირნო ჩემთვის ძვირფას კაცთან ან ქალთან ერთად, რამდენიმე საათი გავატარო ჩემს შვილებთან მეცადინეობაში, ცოტა რამ კარგი დავწერო, შევასრულო ჩემი საზოგადოებრივი მოვალეობანი, რამდენიმე ტკბილი და საალერსო სიტყვა ვუთხრა იმას, ვინც მიყვარს, რომ კისერზე ჩამომეკიდოს. ზოგი რამ სხვაც ვიცი იმგვარი, რის გასაკეთებლადაც მთელს ჩემს ქონებას არ დავიშურებდი. „მუჰამედი“ დიდი ნაწარმოებია, მაგრამ ვამჯობინებდი კალასის⁶² სახელისთვის ლაქა ჩამომერეცხა. ერთი ჩემი ნაცნობი თავშესაფარს კარტახენში ეძებდა. იგი იმ ქვეყნის ოჯახის უმცროსი შვილი იყო, სადაც წესად აქვთ მშობლების ქონება უფროს ვაჟს დარჩეს. აქ მან შეიტყო, რომ ოჯახის მიერ განებივრებულმა მისმა უფროსმა ძმამ დედ-მამას ყველაფერი წაართვა, საგვარეულო ციხე-დარბაზიდან გამოყარა და დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილი ეს კეთილი მოხუცები რომელიღაც პატარა პროვინციულ

ქალაქში ცხოვრობდნენ. როგორ მოიქცა უმცროსი შვილი, რომელსაც მშობლები ისე მკაცრად ექცეოდნენ, რომ უცხო მხარეებს მოედო ბედნიერების საძიებლად? ის ფულს უგზავნის თავის მშობლებს, ჩქარობს ყველა საქმე მოაწესრიგოს და საბოლოოდ მდიდარიც ბრუნდება. მშობლებს მამაპაპეულ სახლში დააბრუნებს, დებსაც უბრუნებს. ეჰ! ჩემო ძვირფასო რამო, ეს კაცი თავის ცხოვრებაში ამხანაგს უკეთეს ბედნიერ ხანად მიიჩნევდა და თვალცრემლიანი მიამბობდა. მის ამბავს ვიყვებით, და ვგრძნობ, რა სიამოვნებით მითრთის გული, როგორ მაყვებენ სიხარული სიტყვას.

ის — უცნაური პიროვნება ხართ!

მე — თქვენ კი სიბრაღის ღირსი პიროვნება ბრძანდებით, თუ არ გაგეგებათ, რომ ადამიანს შეუძლია ამაღლდეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც ბედმა ჩააყენა და რომ შეუძლებელია უბედური იყოს იმ დროს, როცა ორ ისეთ მშვენიერ საქმეს გააკეთებს, რაზეც ახლა ვიამბეთ.

ის — ამგვარ ბედნიერებას ძნელად შევეთვისებოდი, რადგან იმ ვითარებად ხდება. მაშ, თქვენი აზრით, ადამიანები პატიოსნები უნდა იყვნენ?

მე — თუ სურთ ბედნიერები იყვნენ — აუცილებლად!

ის — და მაინც, ძალიან ბევრ პატიოსან ადამიანს ვიცნობ, რომელიც ბედნიერი არ არის და ძალიან ბევრს, რომელიც ბედნიერია, მაგრამ უპატიოსნო.

მე — თქვენ ასე გგონიათ.

ის — განა ერთი წუთით გაღვიძებული ხალი აზრისა და გულწრფელობის შედეგი არ არის, რომ არ ვიცი, სად წავიდე და სად ვივახშმო ამაღამ?

მე — ეს იმიტომ დაგეშართათ, რომ ყოველთვის არ ფლობთ ამ თვისებებს. თავის დროზე უნდა გეფიქრათ, რათა დამოუკიდებელი არსებობისთვის რაიმე გზა გამოგენახათ. დამოუკიდებლობისთვის, რომლისთვისაც მონობა უცხოა.

ის — დამოუკიდებელია იგი, თუ დამოუკიდებელი, ყოველ შემთხვევაში ის, რასაც მე ვაკეთებ, ყველაზე მოსახერხებელია.

მე — და ყველაზე ნაკლებ საიმედო და ყველაზე ნაკლებ პატიოსნური.

ის — მაგრამ ყველაზე უფრო შეეფერება ჩემნაირი უსაქმური სულელი და გაიძვერა ადამიანის ხასიათს.

მე — გეთანხმებით.

ის — და რადგან შემიძლია, შევქმნა პირადი ბედნიერება ჩემთვის ჩვეული, უშრომელად შეძენილი ბიწიერებით, დაცვაც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და რომელიც სავსებით შეესაბამება ჩემი ტომის ზნე-ჩვეულებებს, შეეფერება ჩემი მფარველების გემოვნებას, მათ წვრილმან მოთხოვნილებებს, ვიდრე იმ სათნოებით, რომელიც მათ შეავიწროვებდა; დღენიადაც მათ ნაკლოვანებებს გაამუღავნებდა. და ფრიად უცნაური იქნებოდა საკუთარი თავი მეწამებინა იმგვარად, როგორც ცოდვილი ეწამება ჯოჯოხეთში, წამეშალა ჩემი არსება და გადამექცია იმად, რაც არა ვარ ბუნებით, ოღონდ კი შემეთვისებინა ჩე-

მთვის სრულიად შეუფერებელი ხასიათი, ფრიად პატივსაცემი თვისებები. თანახმა ვარ ვაღიარო ისინი, კამათს თავი რომ დავაღწიო, მაგრამ მეტისმეტად გამიჭირდება მათი შეფასებაც და გამოყენებაც, რადგან სასიკეთოს არას მიქადის, ცუდს კი მრავალს; ვერ გადავერჩებოდი მდიდართა მუდმივ დაცინვას, რომელთა წყალოყიფაც ცხვერობენ ჩემსავით უქნარები. სათნოებას აქებენ, მაგრამ ეჭვგაუთხრებლად, რადგან სიცივესავით ყინავს, ამქვეყნად კი, სხვათა შორის, ფენი მუდამ თბილად უნდა გქონდეს. გარდა ამისა, ეს ყოველივე მწარე ნაღველით ამივსებდა გულს, რადგან, აბა მითხარით, რატომ არის, რომ ღვთისმოსავნი ასე მკაცრნი, ასე სასტიკნი და მიუკარებელნი არიან? მიზეზი ის არის, რომ იმგვარი მიზეზი დაუსახავთ, რაც მათ ბუნებას არ ესადაგება. ისინი იტანჯებიან, ხოლო ის, ვინც იტანჯება, სხვასაც ტანჯავს. ეს არ შედის ჩემს განზრახვაში და არც ჩემი მფარველების განზრახვას მიუსადაგება. საჭიროა მხიარული ვიყო, მოქნილი, ოხუნჯი, მასხარა, სასაცილო. სათნოება კი მაიძულებს პატივი ვცე საკუთარ თავს, პატივისცემა კი მოუხერხებელი რამეა. სათნოება აღფრთოვანებას გაიძულებს, აღფრთოვანებაში კი თავშესაქცევი არაფერია. მე ისეთ ადამიანებთანა მაქვს საქმე, რომლებიც მოწყენილები არიან და, მაშასადამე, ისინი უნდა გავართო, გავამხიარულო და ვაცინო. იმათი გართობა და გაცინება კი მხოლოდ სასაცილოთი და სიგიჟით შეიძლება, ამიტომ საჭიროა თვითონ ვიყო სასაცილო და გიჟი; თუნდაც ბუნებით ასეთი არ ვიყო, თავი უნდა მოვივიჟიანო და როგორმე ასეთად ვიქცე. საბედნიეროდ, მე არ მჭირდება თვალთმაქცობა. თვალთმაქცები ისედაც ბლომად არიან, და თანაც მრავალგვარნი, თუ იმათ არ ჩავთვლით, საკუთარ თავთან რომ თვალთმაქცობენ. თუნდაც ეს შევალე დე ლა მორლიერი¹⁾, ქუდი ყურებზე ჩამოუფხატავს, თავი ქარისთვის მიუშვერია, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, გამვლელებს თავხედურად უყურებს, გვერდზე გრძელი ხმალი ჰკიდია და მზად არის, ვისაც იარაღი არ აქვს, უტიფარი სიტყვებით შეურაცხყოს, ყოველ შემხვედრს ლამის საომრად იწვევს. რისთვის აკეთებს ამას? იმისთვის, რომ საკუთარი თავი დაარწმუნოს, მამაცი და ვაჟკაცი ვარო. მაგრამ ლაჩარია. გაპკარით ცხვირის წვერზე წკიბურტი და ისიც სრული მორჩილებით გადაყლაპავს შეურაცხყოფას. გნებავთ აიძულოთ ხმა დაიდაბლოს? თვითონ აიმაღლეთ ხმა. თქვენი ჯოხი დაანახეთ, ან უკანალზე წიხლი ამოართყით და მაშინვე მიხვდება, რომ ლაჩარია და გაკვირვებით შეგეკითხებათ: ვინ გითხრათ, საიდან გაიგეთ, რომ მშიშარა ვარო. აქამდე თვითონაც არ იცოდა, თუ ასეთი იყო. თავისი პერსონის ვაჟკაცად წარმოდგენის ხანგრძლივმა მაიძუნურმა თამაშმა საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა შეუქმნა. და ისე დიდხანს თამაშობდა ამ როლს, რომ სინამდვილედ მიიღო.

ანდა აგერ ის ქალი, რომელიც საკუთარ თავს შეუბრალებლად ექცევა, ციხეებში დადის, ყველა საქველმოქმედო შეკრებას ესწრება, თავდახრილი დადის და ვერ ბედავს სახეში შეხედოს მამაკაცს იმის შიშით, ვაითუ გრძნობამ შემაცდინოსო; მაგრამ ეს ყველაფერი სულაც არ უშლის ხელს მისი გული ვნებით აინთოს, დაიფერფლოს, ოხვრა აღმოხდეს; სადაც უნდა წავიდეს, სურვილები თან სდევს, და დღედაღამ

თვალწინ უტრიალებს უხამსი სცენები და პოზები „შარტრის მეკარი-დან“ და არეტინოს“ სონეტებიდან. რა ემართება მაშინ? რას ფიქრობს მისი მოახლე, რომელიც პერანგის ამარა ლოგინიდან წამოვარდება ხოლმე და თავისი მომაკვდავი ქალბატონის მისაშველებლად გარბის? წადით, ეიუსტინ, დაიძინეთ, ამ ბოდვის დროს ქალბატონს თქვენ არ გინძობთ.

და თუ ჩვენი მეგობარი რამო, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვეტდა და ზიზლით აითვალისწუნებდა სიმდიდრესაც, ქალებსაც, გემრიელ სასმელ-საჭმელსაც, უსაქმურობასაც და კატონად გადაიქცეოდა, მაშინ ვინლა გახდებოდა? პირმოთნე ფარისეველი. რამო ისეთი უნდა იყოს, როგორც არის: ბედნიერი ავაზაკი მდიდარ ავაზაკთა შორის, და არა ბაქია, რომელსაც თავისი სათნოება საკვეხნად გაუხდია; და არც სათნო ადამიანი, რომელიც მარტოდმარტო, ან სხვა გლაზაკებთან ერთად, პურის გამხმარ ქერქს ლოდნის; არ დავმალავ, პირდაპირ გეტყვით, ვერ შევეგუები მაგ თქვენს ბედნიერებას და ვერც თქვენნაირ ფანტაზიორთა ნაოცნებარ კეთილდღეობას.

მე — ვხედავ, ჩემო კარგო, რომ არც კი უწყით რა არის ბედნიერება და არც შეგიძლიათ მისი გაგება.

ის — მით უკეთესი, ეშმაკმა დალახვროს, მით უკეთესი! თორემ მიმშილით, მოწყენილობითა და იქნებ სინდისის ქენჯნითაც სული ამომხდომოდა.

მე — თუ ასეა, მაშინ შემიძლია ერთი რჩევა მოგცეთ: რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდით იმ სახლს, საიდანაც თქვენივე წინდაუხედაობის წყალობით გამოგაგდეს.

ის — და გავაკეთო ის, რასაც თქვენ პირდაპირ არ სდებთ მსჯავრს, და რაც მე ნართაული აზრით ცოტა ზიზღსა მგვრის?

მე — ასეთია ჩემი აზრი.

ის — მიუხედავად იმ მეტაფორისა, რომელიც ახლა მომწონს და სხვა შემთხვევაში შეიძლება არ მომეწონოს?

მე — რა უცნაურობაა!

ის — უცნაური არაფერია. მზად ვარ ვიყო არამზადა, მაგრამ სხვისი ძალდატანებით კი არა... მზად ვარ ჩემი ღირსება შევწირო... იცინით?

მე — დიას, თქვენი ღირსება მაცინებს.

ის — ყველა ადამიანს თავისი ღირსება აქვს. მე მზად ვარ ჩემი ღირსება დავივიწყო, ოღონდ საკუთარი ნება-სურვილით და არა სხვისი ბრძანებით. კარგია, მიწაზე იხობო, რომ გეტყვიან და შენც ხოხავ? ჭია ვარ? ორივენი ვხობავთ, მაგრამ როცა კუდზე ფეხს დაგვადგამენ წამოვიმართებით ხოლმე. მეც კუდზე დამადგეს ფეხი და წამოვდექი. გარდა ამისა, ვერც კი იფიქრებთ რა ბროვასთან გვაქვს საქმე. წარმოიდგინეთ, ერთი ვინმე პირქუში, მელანქოლიური, სნეულებით გატანჯული, ხალათში გახვეულ-ჩაფუთნული ადამიანი; უკმაყოფილო თავისი თავითაც და მთელი ქვეყნიერებითაც; ძნელად თუ გააცინებ, თუნდაც ათასნაირად დამანჭო სახეცა და სულიც; იგი ცივად შესცქერის ჩემს თავშესაქცევ მანჭვას და უფრო ცივად — ჩემი გონების მანჭვას, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო მეტადაა თავშესაქცევი. ჩვენს შორის და-

რჩეს და ეს მამაო ნოელი⁶⁵, ეს უბადრუკი ბენედიქტელი, რომელიც ასე განთქმულია თავისი მანჭვით, მიუხედავად ასეთი დიდი წარმატებისა სასახლის კარზე, ისე ვამბობ ამას, თორემ თავს კი არ ვიქცებ, ~~დამელოძა~~ დამიფაროს, არც იმას ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ჩემთა შედარებით, ხის უბრალო ჯამბაზია. რას არ ვაკეთებ, რომ ~~მეჩვენებოდა~~ მივალწიო, რითაც სულით ავადმყოფთა სახლებია განთქმული, მსგავსად არაფერი გამოძღის. გაიცინებს? არ გაიცინებს? აი, რას ვაქცევ ყურადღებას, როცა ვიმანჭები და თვითონ შეგიძლიათ განსაჯოთ, რა საზიანოა ტალანტისთვის მსგავსი დაურწმუნებლობა. ჩემი იპოპონდრიული პატრონი კი, თვალეზამდე ჩამოფხატული ღამის ჩაჩით თავდახურული, ნიკაპზე ძაფგამობმულ ჩინურ ტიკინას ჰგავს. უცდით ძაფი როდის ამოძრავდება, მაგრამ ის არ მოძრაობს. თუ ისე მოხდა, რომ ტიკინა პირს დააღებს, დააღებს მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენზე მწარე-მწარე რამე თქვას, ხომ ხედავთ, ვერ შეგამჩნიეს, მანჭვა-გრესამ ამოდ ჩაგიართო. და ეს ნათქვამი იმ კითხვის პასუხია, რომელიც, მაგალითად, ამ ოთხი დღის წინ მიეცით; სიტყვა ითქვა, მექანიზმი სუსტდება და პირი იკუმება...

მერე ამ კაცის გამოჯავრება დაიწყო: დაჯდა სკამზე, თავი გააშეშა, ქუდი წარბებამდე ჩამოიფხატა, თვალები სანახევროდ მოჭუტა, ხელები ძირს დაუშვა, ყბები ავტომატურად აამოძრავა და წარმოსთქვა:

„— დიახ, მართალი ბრძანდებით, მადმუაზელ. ამას არც ისე ცოტა ეშმაკობა სჭირდება“. იგი მუდამ რალაცას წყვეტს, ყველაფერს წყვეტს, თანაც გაუსაჩივრებლად, დილით, საღამოთი, საპირფარეშოში, სადილის, ყავის, თამაშის დროს, თეატრში, ვახშამზე, ლოგინში, ღმერთმა შემინდოს, მგონი, მაშინაც კი, როცა სატრფოსთან არის ჩახვეული. ამ უკანასკნელი გადაწყვეტილებების მოსმენის შესაძლებლობა არა მქონია, მაგრამ დანარჩენებისგან საშინლად დავიღალე. დაღვრემილი, ბნელი და უდრეკი, როგორც ბედი, ასეთია ჩვენი პატრონი.

მის პირდაპირ მიუკარებელი, პრანჭია არსება ზის, რომელიც თავს ისე გაჩვენებთ, თითქოს პატივსაცემი ქალბატონი ბრძანდებოდეს, რომელზეც შეიძლებოდა გეთქვა კიდევ რა ლამაზიაო, რადგან მართლაც ჯერ კიდევ კარგად გამოიყურება, თუმცა სახეზე აქა-იქ ლაქებიც ემჩნევა და მოცულობით ქალბატონ ბუვიონსაც⁶⁶ გადააჭარბებს. მეც მიყვარს სხეული, როცა იგი ლამაზია, ოღონდ ასეთი არა. მატერიისთვის მოძრაობა აუცილებელია! Item⁶⁷, ქალბატონი უფრო ბოროტია, უფრო ამპარტავანი და ბატივით სულელი. Item, მას გონებამახვილობაზე აქვს პრეტენზია; Item, საჭიროა დაარწმუნო, რომ მასზე გონებამახვილი არავინაა ამქვეყანაზე. Item, არაფერი იცის და მაინც ყველაფერს წყვეტს. Item, მის გადაწყვეტილებებს ხელებითა და ფეხებით უნდა დაუკრა ტაში, ალტაცებული მოჰყვე ხტუნაობას და აღფრთოვანებისგან გულიც წაგივიდეს: აჰ, რა მშვენიერია, რა კარგადაა ნათქვამი, რა დიდებულადაა დანახული, რა საოცრადაა შეგრძნობილი! ნეტავ საიდან აღებენ ყოველივე ამას ქალები? არსად უსწავლიათ, ინსტინქტით გრძნობენ, თანდაყოლილი ნიჭით. სასწაულსა ჰგავს! და ამის შემდეგ

კიდევ გვეტყვიან, სიბუჯითე, სწავლა, აზროვნება, აღზრდა რაღაცას ნიშნავსო! კიდევ მრავალი სხვა სისულელე უნდა თქვა და სიხარულისგან იტირო. დღეში ათჯერ მაინც უნდა სცე თავიანი ამ ქალს: ჯერ ცალი ფეხი უნდა მოხარო, მეორე ფეხი უკან გასწიო, დღეებისკენ ხელები გაიწვდინო, მის თვალებში ამოიკითხო რა ქაღალდისკენ ტუჩების მოძრაობა დაიჭირო, ელოდო, რას გიბრძანებს, და ელოდო, რას დასწრათ ფით აღასრულო. აბა, ვინ იკისრებს ასეთი როლის შესრულებას, თუ არა ის საცოდავი ქმნილება, რომელიც კვირაში ორ-სამჯერ თუ ჰპოვებს თავისი ნაწლავების დასამშვიდებელ საშუალებას? აბა, რა უნდა ითქვას სხვებზე, ისეთებზე, როგორიც პალისთა, ფრერონია, პუანსინეებია, ბაკულარია⁶⁸, რომელთაც რაღაც სახსარი გააჩნიათ და ამიტომ მათ სიმდაბლეს ვერ გავამართლებ იმ მიზეზით, რომ შიმშილით იტანჯებოდა.

მე — ვერასოდეს ვიფიქრებდი ასეთი მკაცრი თუ იქნებოდი.

ის — მკაცრი სულაც არა ვარ. თავდაპირველად ვუკვირდები როგორ აკეთებენ საქმეს სხვები და მეც ასევე ვაკეთებ, ოღონდ ცოტათი უკეთ, რადგან ჩემში უფრო მეტია გულწრფელი უტიფრობა, უკეთესად ვთამაშობ კომედიას, უფრო მეტი ვიშიმშილე და ფილტვებიც უკეთესი მაქვს. როგორც ეტყობა, სახელგანთქმული სტენტორის⁶⁹ პირდაპირი შთამომავალი ვარ.

და მერე, ჩემთვის ნამდვილი წარმოდგენა რომ შეექმნა ამ საშინელი ორგანოს ძალაზე, ისეთი ხველება დაიწყო, ყავახანაში ფანჯრის მინები შეხანზარდა და მოჭადრაკეების ყურადღება მიიპყრო.

მე — მერე რა სარგებლობას მოგიტანთ ეგ ნიჭი?

ის — ვერ ხვდებით?

მე — ვერა, ასე ადვილად ვერ ვხვდები ხოლმე.

ის — წარმოიდგინეთ, რომ კამათი გაჩაღდა და ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვის მხარეზეა გამარჯვება: მაშინ ვდგები და ჩემი მქუხარე ხმით ვამბობ: „ქალბატონო, თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით. აი, ამას ჰქვია სწორი განსჯა! სანაძლეოს ვდებ, ვერც ერთი ოხუნჯი თქვენთან ვერ მოვა. პირდაპირ გენიოსის საკადრი სიტყვებია“. მაგრამ ქება თუ ერთნაირი ხერხებით გამოხატე, არ ივარგებს, რადგან ერთფეროვანი გამოვა, გულწრფელობა აღარ შეემჩნევა და ყველას თავს მოაბეზრებს. მოხერხებული კაცი ამას თავიდან ადვილად აიცილებს. უნდა მოამზადო და დროზე ამოქმედო მაჟორული და გადამწყვეტი კილო, ისარგებლო შემთხვევით და შესაფერი წუთით. მაგალითად, როცა გრძნობებსა და აზრს შორის უთანხმოება უმაღლეს წერტილს მიაღწევს, როცა უკვე ერთმანეთს აღარ უსმენენ და ყველა ერთად გაიძახის თავისას, უნდა განზე გადგე, ოთახის კუთხეში, რაც შეიძლება მოშორებით ბრძოლის ველიდან, ხანგრძლივი დუმილის მერე მოემზადო და უეცრად მოკამათეთა შორის ჩავარდე, როგორც კომენჯი⁷⁰. ჩემზე უკეთ ამ ხელოვნებით ვერავინ სარგებლობს. შეუდარებელი ვარ საპირისპირო ხერხებშიც: მაშინ რბილი ხმა მაქვს, რომელსაც ღიმილი ახლავს, მარაგად მაქვს ათასნაირი ქლესური მანჭვა-გრება, რაშიც მონაწილე-

ობს: ცხვირი, პირი, შუბლი, თვალები. მაქვს არაჩვეულებრივად მოქნილი წელი და ხერხემალი, შემიძლია მხრებაჩეჩილმა, თითებგამოიღმა, თავდახრილმა, თვალდახუჭულმა ისე გავირინდო, თითქოს ციდან მოვლენილი ანგელოზებისა და ღვთის ხმა მესმოდეს. აი, ეს არის მლიქვნელობა, რომელიც ყველაზე ძალიან მოქმედებს. არ ვთქვამს, რომ ეს არა თქვენთვის ამ ოინის მთელი ძალა. ეს მე არ გამომჩნობია მაგრამ მის გამოყენებას ჩემზე უკეთ კაციშვილი ვერ ახერხებს. აბა, შემომხედეთ, შემომხედეთ!

მე — მართლაც, რომ შეუდარებელია.

ის — ნუთუ ფიქრობთ, რომ ქედმაღალ ქალთა ტვინი ამას გაუძლებს?

მე — არა, უნდა ვაღიარო, რომ მასხარას ნიჭი და საკუთარი თავის დამცირების უნარი სრულყოფილებამდე ავიყვანიათ.

ის — როგორც უნდა ეცადნენ, რამდენიც უნდა იყვნენ, ისინი ამ დონემდე ვერასოდეს მიაღწევენ. იმათგან ყველაზე საუკეთესო, პალისო, მაგალითად, მხოლოდ კეთილსინდისიერ მოწაფედ რჩება. მაგრამ თუ ეს როლი თავდაპირველად გართობს და რამდენადმე კმაყოფილებას განიჭებს, გულში რომ დასცინო იმათ სისულელეს, ვისაც ასულელებ, საბოლოოდ ესეც კარგავს თავის ხიბლს და რამდენიმე სხვა გამონაგონის შემდეგ, ძალაუნებურად ხელახლა გიწევს გამეორება. გონებასაც და ხელოვნებასაც თავისი საზღვრები გააჩნია. მხოლოდ ღმერთისა და რამდენიმე იშვიათი გენიოსისთვის ფართოვდება სარბიელი, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიიწევს წინ. მგონი, ერთი იმათგანი ბურე⁷¹ იყო; მას ისეთ თვისებებს მიაწერენ, რომ მეც კი, დიახ, დიახ, მეც კი მეჩვენება, რომ სრულყოფილების ყველაზე უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ფინია, ბედნიერების წიგნი, ჩირაღდნები ვერსალის გზაზე⁷²; ეს ყველაფერი მაშფოთებს და მორგუნავს. ასე შეიძლება კაცს საკუთარი ხელობისადმი ზიზღიც დაეუფლოს.

მე — ფინია რომ ახსენეთ, რას გულისხმობდით?

ის — საიდან მოხვედით? როგორ, მართლა არ იცით, რა ჩაიდინა ამ იშვიათმა ადამიანმა იმისთვის, რომ მისი ძალღი სამეფო ბეჭდის მცველს⁷³ მისჩვეოდა, რომელსაც ძალღი ძალიან მოსწონდა?

მე — გამოგიტყდებით, არ ვიცი.

ის — მით უკეთესი. ამაზე ბრწყინვალე რამეს ვერაფრით წარმოიდგენთ. მთელი ევროპა აღტაცებული იყო და კარისკაციც არ დარჩა, შური რომ არ აღძვროდა. აი, თქვენ გამჭრიახობა არ გაკლიათ და ვნახოთ, მის ადგილზე რომ ყოფილიყავით, რას მოიფიქრებდით. არ დაგავიწყდეთ, რომ ფინიას თავისი ბურე უყვარდა და ამ პატარა ცხოველს მინისტრის უცნაური ტანსაცმელი აშინებდა; ბურეს ერთი კვირის ვადა ჰქონდა მიცემული დავალების მოსაგვარებლად. ცხადია, ამოცანის ყველა პირობა უნდა იცოდეთ, რომ ღირსეულად ჩასწვდეთ მისი ამოხსნის ყველა სირთულეს. აბა, გამოიცანით, რა მოხდა?

მე — რა მოხდა? უნდა გამოგიტყდეთ, ამგვარი რამეები, და უფრო ადვილიც კი, ჩიხში მამწყვდევს.

ის — მაშ, მისმინეთ (მითხრა და მისთვის დამახასიათებელი ფამილიარობით მხარზე მსუბუქად დამკრა ხელი). მისმინეთ და აღფრ-

თოვანდით. ბურე უკვეთავს ნილაბს, რომელიც სამეფო ბეჭდის მცველის სახეს ჰგავს; კამერდინერის დახმარებით შოულობს მინისტრის ფარფარა მოსასხამს. სახეზე ნილაბს იკეთებს, მოსასხამში ~~ესევე~~ და თავის ძაღლს ეძახის, უაღერსებს, გემრიელ ნამცხვარს ატყვევს. ბურე უცებ დეკორაცია იცვლება, უკვე სამეფო ბეჭდის მცველი ~~კუჩხუჭუჭითონ~~ ბურე ეძახის ძაღლს და მათრახით სცემს. ორი-სამი ~~მდე~~ ~~მდე~~ გახშმის შემდეგ, რომელიც დილიდან საღამომდე გრძელდებოდა, ძაღლი მიეჩვია, გაეპარა ბურე-ფინანსისტს და ბურე-სამეფო ბეჭდის მცველთან მივიდა. ოო, არა, მეტისმეტად კეთილი ვარ, თქვენ კი უვიცი, რომელიც არ იმსახურებთ იცოდეთ ის სასწაულები, თქვენს გვერდით რომ ხდება.

მე — მიუსხედავად ამისა, მაინც მითხარით, გვედრებით, წიგნისა და ჩირაღდნების ამბავი.

ის — ოო, არა, არა. ქუჩაში პირველივე შემხვედრს ჰკითხეთ და ყველა გაამბობთ. დღეს კი ისარგებლეთ შემთხვევით, რომელმაც ჩვენ შეგვახვედრა და ჩემგან ის ამბები გაიგეთ, რაც ჩემს გარდა არავინ იცის.

მე — მართალი ბრძანდებით.

ის — აბა, წარმოიდგინეთ, იშოვო მოსასხამი და პარიკი. ჰო მართლა, სამეფო ბეჭდის მცველის პარიკი დამავიწყდა! შეუკვეთო ნილაბი! განსაკუთრებით ნილაბს მოვყუევარ ალტაცებაში. ამიტომაც სარგებლობს ეს კაცი უდიდესი პატივისცემით და მილიონებიცა აქვს. წმინდა ლუის ჯვრების კავალერებს ლუკმაპური ენატრებათ. რა აზრი აქვს ორდენებს, მის მოპოვებაში შეიძლება კისერიც მოიტეხო, მაშინ როცა შეიძლება საქმე ისე აკეთო, საფრთხე თავიდან აიცილო და ჯილდოს მიღებაც გაინაღდო? აი, რას ჰქვია ფართო გაქანება. ასეთი მაგალითები ადამიანს სასოწარკვეთაში აგდებს. საკუთარი თავის წინაშე საცოდავი ხდები და სევდა გიპყრობს. ნილაბი! ნილაბი! თითის მივცემდი მოსაჭრელად, ოღონდ ეს ნილაბი მაშოვნინა.

მე — ნუთუ მშვენიერებისკენ თქვენმა ლტოლვამ და უხადო მხერხებულობის საოცარმა ნიჭმა ვერაფერს მიაგნო?

ის — მომიტევეთ, მაგრამ ქედის დიდებული მოდრეკა, რის შესახებაც უკვე გელაპარაკეთ, ჩემს აღმოჩენად მიმჩნია, თუმცა ვინმე მოშურნე შეიძლება შემომედავოს კიდევ. ცხადია, ქედის მოდრეკას ჩემამდეც იყენებდნენ, მაგრამ განა ვინმემ შეამჩნია, ეს ხერხი რამდენად ხელსაყრელია, გულში დასცინო გაიძვერას, ვის მიმართაც გარუგნულად აღფრთოვანებას გამოხატავ? ასზე მეტი საშუალება მაქვს გამონახული ახალგაზრდა ქალის შესაცდენად, მისივე დედის თანდასწრებით, რომელიც ვერაფერს შეამჩნევს და წარმოიდგინეთ, შეიძლება თანამონაწილედაც კი გამიხდეს. როგორც კი ამ ასპარეზზე გამოვედი, მაშინვე უარი ვთქვი სასიყვარულო ბარათების გადაცემის ვერაგულ ხერხებზე. საამისოდ ათიოდე საშუალება მაინც მაქვს, რომ იმათ თავადვე გამოგლიჯონ ხელიდან. გავბედავ და დავიტრაბახებ კიდევ, რომ აღმოვაჩინე სრულიად ახალი საშუალებაც. განსაკუთრებულ ნიჭ-

სა ვფლობ ახალგაზრდა, მორცხვი კაცის გასამხნეველად. ჩემი წყალობით ისეთებსაც მიულეწვით წარმატებისთვის, რომლებიც არც გონებით გამოირჩეოდნენ და არც გარეგნობით. ეს ყველაფერი არის ხული რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, ბევრს აღმოაჩენდნენ ჩემში გენიოსურს.

მმ — სახელს მოიხვეჭდით?

ის — ეჭვიც არ მეპარება.

მმ — თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ყოველივე ამას ქალაქზე გადავიტანდი. ცოდოა, უკვალოდ გაქრეს.

ის — მართალია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ მეთოდსა და შეგონებებს. ვისაც ოქმები სჭირდება, შორს ვერასოდეს წავა. გენიოსები ცოტას კითხულობენ, სამაგიეროდ, პრაქტიკულად ბევრს აკეთებენ და თვითონვე ჰქმნიან საკუთარ თავს. ავიღოთ თუნდაც ცეზარი, ტიურენი,⁷⁴ ვობანი,⁷⁵ მარკიზა დე ტანსენი,⁷⁶ მისი ძმა კარდინალი და მისი მდივანი, აბატი ტრიუმლე. ახლა ბურე? ვინ უტარებდა ბურეს გაკვეთილებს? არავინ. ამ იშვიათ ადამიანებს, თვითონ ბუნება აყალიბებს. იქნებ გგონიათ, ძალღისა და ნილაბის ამბავი სადმე ამოიკითხა?

მმ — კი მაგრამ, დასვენების უამს, როცა განაწამები ცარიელი ან საჭმლით მეტისმეტად გადატვირთული თქვენი კუჭი ძილში გაწუსებთ...

ის — მაგაზეც ვფიქრობ. უმჯობესია დიდ რამეზე წერო, ვიდრე პატარ-პატარას მოჰკიდო ხელი. როცა სცენაზე პატარა იუსს უცქერი, სული მალღდება, წარმოსახვა იძაბება, ენთება და მაინც ეს შთაბეჭდილება კნინღება, როცა სულელი მაყურებელი ტაშს უკრავს პრანჭია დანუევილს,⁷⁷ რომელიც უმსგავსოდ თამაშობს, ძლივს დაიფლახვება სცენაზე, პარტნიორებს თვალებში უაზროდ შეჰყურებს, თავისი მანჭვანატიფი ხელოვნება ჰგონია, ჩორთით სიარული — გრაციად. ანდა ეს მედიდური კლერონი, რომელიც იმდენად გამხდარია, იმდენად არაბუნებრივი, იმდენად ხელოვნური, იმდენად დაჭიმული, რომ სიტყვა ვერ მომიძებნია მისი უვარგისობის გადმოსაცემად; ეს სულელი პარტერი კი, რაც ძალა და ღონე შესწევს, მას ტაშს უკრავს და ვერ ამჩნევს, რომ ზუსტად ჩვენ წარმოვადგენთ მშვენიერების თაიგულს.⁷⁸ მართალია, თაიგული რამდენადმე დიდია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ჩვენ ხომ ყველაზე ლამაზი კანი გვაქვს, ყველაზე ლამაზი თვალები და ყველაზე ლამაზი ცხვირი. მართალია, შინაგანი ცეცხლი გვაკლია და მიხვრა-მოხვრა არც ისე მსუბუქი გვაქვს, მაგრამ, როგორც ზოგიერთები ამბობენ, არც ისე უშნო და ტლანქი. სამაგიეროდ, რაც გრძნობას შეეხება, ამ მხრივ ყველას დავამარცხებთ.

მმ — როგორ გავიგოთ თქვენი ნათქვამი? ხუმრობთ თუ მართლა ამბობთ?

ის — საუბედუროდ, ეს ეშმაკისეული გრძნობა ისე ღრმად არის ჩამალული შიგნით, რომ გარეთ ერთი სუსტი სხივიც არ გამოკრთის. მაგრამ, როცა ვამბობ, ვიცი და კარგადაც ვიცი, რომ ეს გრძნობა მას

აქვს: თუ ნამდვილი გრძნობა არა, რაღაც ნამდვილის მსგავსი მაინც უნდა ნახოთ, როცა გუნებაზე არა ვართ, ან ოდნავ მაინც საგმარისად არ მოგვეპყრობიან, როგორ ვექცევით ლაქიებს, როგორ სიდას გავაწნავთ ხოლმე მოახლეებს, რა პანლურს ამოვარტყამთ ხოლმე „განსაკუთრებულ შემოსავალს“.⁷⁹ ეს პატარა ეშმაკი, გეუბნებით, გრძნობებითა და ღირსებით არის სავსე... ოო, მკონი, მაინც ვერ გაიგეთ, რა მინდოდა მეტქვა, ხომ?

მე — გამოგიტყდებით, მართლაც ვერ ვავიგე, გულწრფელად ლაპარაკობთ თუ გაბოროტებით. გულუბრყვილო კაცი ვარ და კეთილი ინებეთ, პირდაპირ თქვით სათქმელი, თავი დაანებეთ მაგ სიტყვაკაზმულ ლაპარაკს.

ის — ჩვენ მხოლოდ პატარა იუსის სახელით ვილაპარაკეთ დანუევილზე და კლერონზე, აქა-იქ გესლიც ჩაფურჩეთ. რანაირ არამზადადაც გნებავთ ჩამთვალეთ, ოღონდ სულელი არ გეგონოთ, რაკი მართლა სულელსა და სიყვარულისგან თავგზააბნეულ კაცს თუ შეუძლია გადმოალაგოს ამდენი უტიფრობა.

მე — მერე როგორ გყოფნით თავხედობა, რომ ამას ამბობთ?

ის — ეს უცებ კი არ მიიღწევა, თანდათანობით მიდიხართ იქამდე. „Ingenii largitor venter“.⁸⁰

მე — შიმშილი ძალზე მტანჯველი უნდა იყოს.

ის — შეიძლება. თუმცა რა სისულელედაც უნდა მოგეჩვენოთ ჩემი ნათქვამი, მერწმუნეთ, ვისდამიც ეს არის მიმართული, ის უფრო მეტად არის მიჩვეული იმის მოსმენას, ვიდრე ჩვენ ვბედავთ მის თქმას.

მე — ნუთუ ვინმეს ეყოფა გამბედაობა, რომ თქვენი აზრი გაიზიაროს?

ის — რას ნიშნავს „ვინმეს“? ასე ფიქრობს და მსჯელობს მთელი ჩვენი საზოგადოება.

მე — მაშ ის, ვინც თქვენს შორის უდიდესი არამზადა არ არის, უდიდესი სულელი უნდა იყოს?

ის — სულელი? გეფიცებით, ჩვენ შორის მხოლოდ ერთი სულელია, ის, ვინც გვიმასპინძლდება კიდეც, რაკი მასვე ვასულელებთ.

მე — მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ასე ადვილად ვასულელებინებთ თავს ვინმე. დანუევილისა და კლერონის ნიჭის უპირატესობა ხომ აღიარებულია.

ის — პირმოთნე სიცრუეს უცბად ვყლაპავთ, მწარე სიმართლეს კი წვეთ-წვეთად. გარდა ამისა, იერიც ძალზე მართალი და გულწრფელი გვაქვს.

მე — მაგრამ, ალბათ, ერთხელ მაინც შეგიცოდავთ თქვენი პრინციპების საწინააღმდეგოდ და, თქვენდა უნებურად, წარმოგიტყვამთ მწარე და გულსაკლავი ჭეშმარიტებანი. რადგან, მიუხედავად იმ საცოდავი, მდაბლი, ბილწი როლისა, რომელსაც ასრულებთ, მე მაინც ვფიქრობ, რომ სათუთი სული გაქვთ.

ის — მე? სულაც არა. ეშმაკმა წამიღოს, თუ ვიცოდე, რა ვარ და ვინა ვარ. საერთოდ კი, ბურთივით მრგვალი გონება მაქვს, ხასიათი კი ტირიფივით მოქნილი. თუკი სიმართლის თქმა ოდნავ მაინც სასარ-

გებლოა, არასოდეს ვცრუობ და არასოდეს არ ვარ მართალი, თუკი ჩემთვის თდნავ მაინც სასარგებლოა სიცრუე, რაც ენაზე მომადგება, იმას ვამბობ. თუ ნათქვამი ჭკვიანური გამოძივიდა, მით უკეთესი, თუ სისულელე გამოდგა, არც ამაზე ვიხეთქავ გულს. ასე ვიყენებ ჩემს თავისუფლებას და სიტყვისთვის ჯიბეში არ ვაფათურებ ხელნაწილს. მელზე ჩემს სიცოცხლეში არ დავფიქრებულვარ, არც სამამულს და ვიწყებდე, არც მაშინ, როცა ვლაპარაკობ, და არც მას მერე, როცა ვიტყვი. საშაგიეროდ, არც არავის ვაყენებ შეურაცხყოფას.

მე — და მაინც მარცხი იგემეთ იმ ხალხთან, ვისთანაც ცხოვრობდით და ვინც ასე კეთილად გეპყრობოდათ.

ის — რა ვუყოთ. ეს უბედურება იყო. მარცხი, რომელიც ზოგჯერ ცხოვრებაში მოგვდის ხოლმე. მუდმივი კეთილდღეობა არ არსებობს. მეტისმეტად კარგად ვგრძნობდი თავს და ეს არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენთან ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა. ეს თავისებური სკოლა გახლავთ კაცთმოყვარეობისა და აღდგენილი სტუმართმოყვარეობისა. ყველა ხელმოცარული პოეტი ჩვენთან იყრიდა თავს. ჩვენთან მოვიდა პალისო თავისი პიესის „ზარეს“ მარცხის შემდეგ, ბრეტი¹ „თვალთმაქცი ქველმოქმედის“ წარუმატებლობის შემდეგ; ყველა ხელმოცარული მუსიკოსი, ყველა ავტორი, რომლებსაც არავინ კითხულობს, ყიჟინით მიღებული და ბოლოს გაკილული ყველა მსახიობი, უსირცხვილობისა და უგვანო პარაზიტების საცოდავი ხროვა, რომელთა წინამძღოლადაც, პატივი მაქვს გამოვაცხადო საკუთარი თავი, როგორც ლაჩართა ჯარის მამაცი მეთაური. დიახ, მე ვიწვევ მათ მაგიდასთან პირველივე გამოჩენისთანავე, ვბრძანებ მოუტანონ ღვინო, რადგან მორცხვობენ. აქ არიან ჩამობრძანებული ვილაც ჭაბუკები, რომელთაც არ იციან სად შეაფარონ თავი, მაგრამ თვალტანადები კი არიან. აქვეა რამდენიმე არამშადაც, პატრონს რომ ეპირფერებიან და თვალს უბნელებენ, რომ მერე ქალბატონთან ნახონ ხეირი და გონგორა მთავროვონ. მხიარულად გამოვიყურებით, სინამდვილეში კი, ცუდ ხასიათზე ვართ და ძალიანაც გვშია. მგლებზე უარესად ვართ დამშეულნი; ვეფხვებზე უარესად დაუნდობელნი. რაც კი ხელთ მოგვხვდება, ყველაფერს იმ მგლებივით ვსანსლავთ, ხანგრძლივი თოვლიანი ზამთრის მერე საზრდოს რომ იპოვნოთ. ვეფხვებივით ვფლეთ ყველას, ვინც კი წარმატებას მიაღწევს. ზოგჯერ ბერტენის მონსოჟისა და ვილმორენის ხროვა თავს ერთად იყრის, და მაშინ სამხეცეში გაცოფებული ღრიანცელი იწყება. ვერსად ნახავთ ასეთ ღვარძლიან, შხამიან, გაბოროტებულ და განრისხებულ მხეცებს. აქ მხოლოდ ეს სახელები გაისმის: ბიუფონი, დიუკლო, მონტესკიე, რუსო, ვოლტერი, დ'ალამბერი, დიდრო და დმერთმა იცის, რა ეპითეტებით აღარ ამკობენ მათ. ჭკვიანია მხოლოდ ის, ვინც ჩვენსავით სულელია. თქვენც არ გზოგავენ.

მე — მით უკეთესი! იქნებ ისინი მეტისმეტი პატივითაც მეპყრობიან, ვიდრე დამიმსახურებია. შემრცხვებოდა კიდევ, თუ ის, ვინც

ცუდად იხსენებს ნიჭიერსა და პატიოსან ხალხს, ჩემზე რამე კარგს იტყოდა.

ის — ბევრნი ვართ და თითოეულმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. დიდრონი მხეცების მსხვერპლად შეწირვის შემდეგ, ახლა სხვები მიგვეყავს ხოლმე სამსხვერპლოზე.

მამ — ლუკმაპურისთვის შეცნირებასა და სათნებებას⁸² ანუ ავით; აი, რა ძვირი ჯდება პური!

ის — აკი გითხარით, ჩვენ უბრალო ხალხი ვართ-მეთქი; ყველას ვკიცხავთ, წყენით კი არავის ვაწყენინებთ. ხანდახან ჩვენთან მოდის ტლანქი აბატი ოლივე, სქელუა აბატი ლე ბლანი,⁸² ფარისეველი ბატი.⁸³ სქელუა აბატი მხოლოდ სადილობამდეა გაბოროტებული. დალევს ყავას, ჩაეშვება სავარძელში, ფეხებს ბუხრის ლობურს მიაწყობს და ჩაიძინებს, ვით ბებერი თუთიყუში ქანდარაზე. როცა ხმაური მატულობს, იგი იზმორება, ამთქნარებს, თვალს იფშვნეტს და იძახის: „ — ჰა? რა ამბავია? რა ხდება? — კამათობენ, პირონი⁸⁴ უფრო გონიერი კაციად ვოლტერზე.

— ჯერ შევთანხმდეთ: საუბარი გონიერებას ეხება თუ გემოვნებას? თუ გემოვნებას ეხება, მაშინ თქვენს პირონს გემოვნებაზე საერთოდ არა აქვს წარმოდგენა.

— წარმოდგენა არ აქვს?

— არა“.

მერე იწყება კამათი გემოვნებაზე. მაშინ პატრონი ხელით ნიშანს იძლევა, მისმინეთო, აქაოდა გემოვნებაში სხვაზე მეტი გამეგებაო. „გემოვნება, — ამბობს ის, — გემოვნება... ეს ისეთი საგანია...“. მაგრამ, ვფიცავ, არ ვიცი, „საგანში“ რას გულისხმობს, მგონი, თვითონაც არ იცის.

ხანდახან ჩვენთან მოდის მეგობარი რობე, ისიც გვიმასპინძლდება თავისი უტიფარი მოთხრობებით კონფულსური სასწაულების შესახებ, რომლის მხილველიც თავად არის, და კიდევ რამდენიმე სიმღერას გვიკითხავს თავისი პოემიდან, რომელიც მისთვის კარგად ცნობილ სიუჟეტზე⁸⁵ აგებული. მეჯავრება მისი ლექსები, თუმცა ცქერა მიყვარს, რადგან კითხვისას შეშლილის სახე აქვს. მის ირგვლივ ყველა აღტაცებული ყვირის: „აი, ეს არის პოეტი!“ ჩვენს შორის დარჩეს და, ეს პოეზია სხვა არაფერია, გარდა ბგერების უწყესრიგო გროვისა, გარდა ბაბილონის გოდოლის ბინადართა ბარბაროსული ლულლულისა.

კიდევ ერთი მიაშიტი კაცი⁸⁶ გვესწრება, გარეგნობით უგვანო და მოსულელო, სინამდვილეში კი ქაჯივით ჭკვიანი და ბებერ მაიმუნზე ცბიერი. იგი ერთი იმ პიროვნებათაგანია, დაცინვასა და ცხვირში წკიპურტის წაკვრას მართლაც რომ იმსახურებს, და ღმერთმა იმ ადამიანების ჭკუის სასწავლებლად შექმნა, რომლებიც გარეგნობის მიხედვით მსჯელობენ. თუმცა თავად რომ ჩაეხედათ სარკეში, ადვილად დაინახავდნენ და დარწმუნდებოდნენ, რომ იყო ჭკვიანი და ჰგავდნენ სულელს, ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც სისულელის დაფარვა ჭკუის საფარქვეშ. ფართოდ გავრცელებული საძაგლობა ის არის, როცა, მი-

ამიტ, კეთილ კაცს სხვათა გასართობად გასწირავ. ვინმე რომ გავართოთ, არცთუ იშვიათად მივძართავთ ხოლმე მიაშიტ კაცს. ეს ხაფანგი გახლავთ, რომელსაც ყოველ ახალბედს ვუგებთ და რძელმაც თითქმის ყველა ებმება.

უჩინუნი
ბიბლიოთეკა

ხანდახან განცვიფრებული ვიყავი, რა ზუსტად აკვირდებოდა ეს შერეკილი კაცი სხვებს, მათ ხასიათებს, ვუთხარი კიდევ.

— საქმე ისაა, — მიპასუხა, — ცუდი საზოგადოებიდან, ისევე როგორც გარყვნილებიდან, შეიძლება ზოგიერთი სასარგებლო რამ შეიძინო. უმანკოების დაკარგვა ცრუმორწმუნეობის დაკარგვით ნაზღაურდება. ბოროტ ადამიანთა საზოგადოებაში, სადაც ბიწიერება უნიღბოა, ავისა და კარგის გარჩევას ვსწავლობთ. გარდა ამისა, ცოტა რამ მეც წამიკითხავს.

მე — რა წავიკითხავთ?

ის — წამიკითხავს, ვკითხულობ და კიდევ წავიკითხავ თეოფრასტეს, ჟან დე ლა ბრიუიერს⁷ და მოლიერს.

მე — დიდებული წიგნებია.

ის — გაცილებით უკეთესი, ვიდრე ჰგონიათ. მაგრამ ვის შეუძლია მისი წაკითხვა?

მე — ყველას, თავისი გონებრივი პორიზონტის მიხედვით.

ის — თითქმის არავის! შეგიძლიათ მითხრათ, რას ეძებენ ამ წიგნებში?

მე — გართობასა და ცოდნას.

ის — მაგრამ, როგორ ცოდნას? საქმე სწორედ ეს არის...

მე — საკუთარი მოვალეობის შეცნობას, სათნოებისადმი სიყვართულს და ბიწიერებისადმი ზიზღს.

ის — მე ამ წიგნებიდან ვიძენ ყველაფერს, რისი ჩადენაც საჭიროა, და ყველაფერს, რისი თქმაც საჭირო არ არის. ასე რომ, როცა „ძუნწს“ ვკითხულობ, საკუთარ თავს ვეუბნები: იყავი ძუნწი, თუ გინდა, მაგრამ მოერიდე ძუნწივით ლაპარაკს. როდესაც „ტარტიუფს“ ვკითხულობ, მაშინ ვამბობ: თუ გინდა, იყავით ფარისეველი, მაგრამ ფარისეველივით არ ილაპარაკო. გქონდეს ის ნაკლოვანებები, რაც შენთვის სასარგებლოა, მაგრამ, სასაცილო რომ არ გახდე, თავი აარიდე ამ ნაკლოვანებებისთვის დამახასიათებელ ტონსა და გარეგნულ მხარეს. თავი რომ დაიცვა ამ ტონისა და გარეგანი მხარისგან, მათი ცოდნაა საჭირო, ამ ავტორებმა კი სწორედ ეს გამოხატეს მშვენივრად. მე ვარ, მე ვრჩები იმად, რაც ვარ, მაგრამ ისე ვლაპარაკობ და ვიქცევი, როგორც პატიოსან ადამიანს შეჰფერის. მე იმით არ ვეკუთვნი, რომლებსაც მორალისტები ათვალისწინებული პყავთ; მათ ბევრი რამ სასარგებლო შეიძლება გასწავლონ; განსაკუთრებით იმით, რომლებიც თავიანთი მორალით ცხოვრობენ. მანკიერება ადამიანებს შემთხვევიდან შემთხვევამდე აღიზიანებთ და შეურაცხყოფთ, მისი გარეგანი მხარე კი — დილიდან საღამომდე. ალბათ უმჯობესია თავხედი იყო, ვიდრე თავხედის სასუ გქონდეს. ვინც ბუნებით თავხედია მხოლოდ ხანდახან აღიზიანებს ადამიანებს, არ იფიქროთ, თითქოს ამგვა-

რად მართო მე ვკითხულობ. ჩემი დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ სისტემით, ზუსტი მსჯელობით, გონიერი და სამართლიანი ცვალებადობის წყალობით ვაკეთებ იმას, რასაც უმრავლესობა მხოლოდ ინსტიქტით აკეთებს. ამიტომაც ამ წიგნების კითხვით ისინი ჩემზე უკეთესები ვერ ხდებიან და სასაცილონი რჩებიან. მე კი სასაცილოდ მამინ ვარ, როცა მოვიხდომებ, ასეთ ღროს ყველა უკან მჩივს, რადგან იგივე ხელოვნება ზოგ შემთხვევაში მასწავლის, როგორ მოვიქცე, რათა სასაცილო არ გამოვჩნდე, ზოგში კი, როგორ შევასრულო კარგად ჩემი როლი და წარმატებით გამოვიწვიო სიცილი. მამინ ყველაფერს ვიხსენებ, რასაც სხვები ამბობენ, რაც თავადაც წამიკითხავს და ვამატებ იმას, რასაც საკუთარი ფონდიდან ვიღებ, რომელიც ამ ჟანრში განსაცვიფრებლად უხვია.

მე — კარგია, ეს საიდუმლოებები რომ გამიმჟღავნეთ, თორემ მეგონებოდა, თქვენსავე თავს ეწინააღმდეგებით.

ის — სულაც არა, რადგან ერთი შემთხვევაა, როცა არ ღირს სასაცილო იყო, მაგრამ მასხარას როლის შესრულება მაინც გიწევს. საბედნიეროდ, არსებობს ასი სხვა შემთხვევა, როცა სასაცილო უნდა იყო. არ არსებობს უკეთესი როლი ძლიერთა ანაქვუნისათა წინაშე, ვიდრე მასხარას როლია. კარგა ხანს არსებობდა მეფის მასხარას თანამდებობა, მაგრამ ჯერ არასოდეს არსებულა მეფის ბრძენის თანამდებობა. მე კი ბერტენისა და სხვა მრავალთა მასხარა ვარ, შეიძლება, ამ წუთში თქვენიც, ან იქნებ პირიქითაც, თქვენა ხართ ჩემი მასხარა. ვინც ბრძენია, ის მასხარას არ იყოლიებს. აქედან, ვისაც მასხარა ჰყავს, ბრძენი არ არის, და თუ ბრძენი არ არის, მამინ მასხარა ყოფილა; თუნდაც ხელმწიფე იყოს, ისიც კი თავისი მასხარას მასხარაა. ნუ დაივიწყებთ, რომ ზნეჩვეულებასავით ცვალებადი არაფერია; მასში არაფერია აბსოლუტურად, არსებითად და საზოგადოდ ჭეშმარიტი ან ყალბი გარდა იმისა, რომ სწორედ ისეთი უნდა იყო, როგორიც უნდა იყო: კარგი ან ცუდი, ბრძენი ან მასხარა, წესიერი ან სასაცილო, პატიოსანი ან უსინდისო. სათნოებას რომ ასე თუ ისე სიმდიდრემდე მიჰყავდეს კაცი, მეც სათნო ადამიანად ვიქცეოდი, ან სხვებივით თავს მოვაჩვენებდი, სათნო ვარმეთქი. მაგრამ ჩემგან მოინდომეს სასაცილო ვყოფილიყავი და მეც სასაცილო ვავხდი. რაც შეეხება ჩემს მანკიერებას, მას ბუნებას უნდა ვუმაღლოდე. როდესაც სიტყვა „მანკიერებას“ ვამბობ, თქვენს ნათქვამს ვიყენებ, რადგან, თუ კარგად ჩავუკვირდებით, შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ, რასაც თქვენ მანკიერებას ეძახით, მე სათნოებას ვუწოდებდე, ხოლო, რასაც თქვენ სათნოებას უწოდებთ, მე მანკიერებას ვეძახოდე.

ჩვენთან არიან ასევე „კომიკური ოპერის“ ავტორები, მათი მსახიობები ქალებიცა და კაცებიც, უფრო ხშირად კი მათი ანტრეპრენიორები, კორბი და მოეტი, შეძლებული და დიდად ღირსეული ხალხი.

აჰ, დამავიწყდა, დიდი ლიტერატურული კრიტიკოსები, მჯღაბნელთა გროვა: „ლ'ავან-კურიერიდან“, „ლე პტიტ აფიშიდან“, „ლ'ანე ლიტერერიდან“, „ლ'ობსერვატერ ლიტერერიდან“, „ლე სანსერ ევდომადერიდან“.⁸⁸

მე — „ლ'ანე ლიტერერიდან“, „ლ'ობსერვატერ ლიტერერიდან“? შეუძლებელია! იმათ ხომ ჭირივით ეჯავრებათ ერთმანეთი.

ის — მართალია, მაგრამ როცა გლახაკებს წვნიანი უდვით წინ, ერთმანეთს ურიგდებიან ხოლმე. ოჰ, ეს დაწყევლილი „ობსერვატერ ლიტერერი“! ეშმაკმა წაიღოს ისიცა და მისი რედაქტორიც. უნდა ებძაღლი, ხარბი, მყრალი ხუცესი და ლაპორტია ჩემი უმეტესესი ხასი და თავი. ეგ გაცვეთილი მევახშე, ეგა. გუშინ გამოჩნდა პირველად ჩვენს პორიზონტზე, სწორედ იმ დროს, როცა სადილობის დრო მოვიდა და ბუნაგებიდან გამოფხვერით. ბედნიერები ვართ, როცა რომელიმე ჩვენგანს ცუდ ამინდში მეეტლისთვის მისაცემი ოთხმოცი სოლი აღმოაჩნდება ხოლმე! მას შეუძლია თანამოძმე სასაცილოდ აიგდოს, რომელიც მხრებამდე ტალახში ამოსვრილი და ძვლებამდე დასველებული გამთუნისას ბრუნდება შინ; მეორე დღეს კი შეიძლება თვითონვე მოუწიოს სახლში ამგვარად მოსვლა. ამ რამდენიმე თვის წინ, ახლა აღარ მახსოვს ვინ იყო, ცხარე ჩხუბი რომ აუტეხა ჩვენს სადარბაზოსთან მოკალათებულ სავოიარს. ერთმანეთში რაღაც ფულადი ანგარიშები პქონდათ გასარკვევი: კრედიტორი ვალის გადახდას მოითხოვდა, მოვალეს კი გროშიც არ გააჩნდა. შემოაქვთ სადილი. აბატს საპატივსაცემო სტუმარივით ექცევიან და სუფრის თავში დააბრძანეს. ამ დროს მეც შემოვედი, სუფრის თავში დავინახე თუ არა, ვუთხარი: როგორ, აბატო, თავმჯდომარის ადგილი გიკავიათ? კეთილი, დღეისთვის ასე იყოს, ხვალ კი ერთი თეფშით ქვევით ჩაიწევო, გუთაყვა, ზეგ კიდევ ერთით, და ამნაირად დაიწყებთ გადანაცვლებას თეფშ-თეფშ მარჯვნიდან მარცხნივ, იმ ადგილამდე, რომელიც ოდესღაც თქვენამდე მეკავა, შემდეგ ფრერონს, შემდეგ დორას,⁸⁹ დორას შემდეგ პალისოს, საბოლოოდ კი ჩემს გვერდით — თქვენაირი თაღლითის გვერდით დაიმკვიდრებთ ადგილს: „qui siedo sempre come un maestoso cazzo fra duoi coglioni“.⁹⁰ კეთილსა და მუდამ გულთბილ აბატს გაეცინა; გაეცინა მადმუაზელსაც, რომელიც აღტაცებული დარჩა ჩემი შედარებითაც და დაკვირვების სამართლიანობითაც. ყველამ გაიცინა. არ იცინის მხოლოდ ჩვენი ბატონი და გაბრაზებული ისეთ სიტყვას მეუბნება, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, მარტო ორნი რომ ვყოფილიყავით: „ — რამო, თქვენ თავხედი ხართ!

- ეს მეც მშვენივრად ვიცი, და სწორედ ამ პირობითაც მიმიღეთ.
- არამზადა.
- როგორც ყველა.
- გლახაკი.
- ასე რომ არ ყოფილიყო, განა აქ ვიქნებოდით?
- გაგაგდებთ.
- ნასადილევს მე თვითონ წავალ.
- გირჩევთ, წაეთრიოთ“.

დაიწყო სადილი. ჩემი ყბები გამალებით მუშაობენ. კარგად გეასე-ლით და კარგადაც დავლიე, რადგან ჩემი მდგომარეობა მაინც არ შეიცვლებოდა. ბატონი კუჭი ისეთი პერსონაჟია, რომელსაც არასოდეს გაგბუტვივარ. დავემორჩილე საკუთარ ხვედრს და წასასვლელად მოვემ-

ზადე. იმდენმა სალხმა გაიგო ჩემი სიტყვა, რომ მიწოდდა თუ არ მიწოდდა, უნდა შემესრულებინა. საკმაოდ დიდხანს ვიწვრიალე ოთახებში, ჩემს ჯოხსა და ქუდს ვეძებდი იქ, სადაც არც მეგულებოდა, იმდენი მქონდა, იქნებ ბატონმა ისევ ჩემი ვინება დაიწყოს და ვინმე შუკაცი გამოჩნდეს, და ეს ჩხუბიც ბოლოს და ბოლოს შერიგებით უკიდურეს-მეთქი. გულში სამდურავი არა მქონდა რა, ამიტომ ვტრიალებდი იქნით ადგილზე. მაგრამ ბატონი ისე მოღუშული და მრისხანე იყო, ვით კომეროსის აპოლონი, რომელიც ბერძნების ჯარს ისრებს უშენს. თავისი ჩაჩი ჩვეულებრივზე მეტად ჩამოფხატოდა და ნიკაპით მჯილზედაყრდნობილი, წინ და უკან დადიოდა ოთახში. მადმუაზელი მომიახლოვდა, „ — ისეთი განსაკუთრებული რა მოხდა, მადმუაზელ? განა დღეს ისეთივე არ ვიყავი, როგორიც საერთოდ ვარ სოლმე?

— უნდა წახვიდეთ.

— წავალ, მაგრამ დამნაშავე არა ვარ.

— ბატონი აბატი მოიპატიუეს, თქვენ კი...

— ბატონმა საკუთარი თავი თვითონ დაიმცირა, როცა აბატი მოიწვია და იმავ დროს მეც მიმიღო; ჩემთან ერთად ამდენი ჩემნაირი არამზადაც.

— გეყოფათ, ჩემო კარგო რამო, ბოდიში უნდა მოუხადოთ ბატონ აბატს.

— რაში მჭირდება მასთან ბოდიშის მოხდა?

— გეყოფათ. იმად გჭირდებათ, რომ ყველაფერი მოწესრიგდეს...“.

ხელი ჩამავლეს და აბატის სავარძელთან მიმათრიეს. მე ხელი გავუწოდე, გაკვირვებული შევყურებ: განა ვინმეს ოდესმე აბატისთვის ბოდიში მოუხდია? „ — აბატო, — მივმართავ, — აბატო, ყველაფერი ძალზე სასაცილო გამოვიდა, არა?...“ . მერე ვიწყებ ხარხარს და აბატიც იცინის. მაშ ასე, აქ ყველაფერი მაპატიეს, მაგრამ საჭირო იყო იქაც მისვლა და თავისებური მიდგომა; იქ სულ სხვაგვარი საუბარი მელოდა. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, როგორ დავიწყე ბოდიშის სიტყვები:

„ — ბატონო, აი, ეს შემლილი...“

— ეგ უკვე იმდენ უსიამოვნებას მაყენებს, რომ აღარ მსურს რამის მოსმენა.

— გაჯავრებული ბრძანდებით...

— დიახ, ძალიან გაჯავრებული.

— მსგავსი აღარაფერი განმეორდება.

— რომ პირველივე არამზადამ...“.

არ ვიცი, იქნებ ეს დღე ერთ-ერთი იმ დღეთაგანი იყო, როცა ბატონი იმგვარ გუნებაზეა, როცა მადმუაზელსაც ეშინია მიახლოვება, და თუ ხელს შეახებს, მხოლოდ თავისი ხავერდის ხელთათმანებით. შეიძლება ცუდად გაიგო ჩემი ნათქვამი, ან შეიძლება ცუდად ვთქვი, მოკლედ, ყველაფერი ცუდად გამოვიდა. ეშმაკმა დალახვროს! განა არ მიცნობს? განა არ იცის, რომ ზოგჯერ ბავშვივითა ვარ და ყველაფერი ფეხებზე მკიდია? და თანაც, უფალო მომიტევე, განა მეც არ მიწდა სულის მოთქმა? ფოლადის ჯამბაზიც კი წახდება, დილიდან საღამომდე თოკით რომ ამოძრავ. მათ მოწყენილობა უნდა გავუფანტო, ეს ჩემი მოვალეობაა, ასეთია პირობა. მაგრამ ზოგჯერ მეც მჭირდება გართობა. მთელი

ამ ახლართულ-ჩახლართული დაუიდარაბის დროს, ერთმა საბედისწერო აზრმა გამიელვა თავში, რამაც ქედმალლობა დამიბრუნა, თავმოყვარეობა გამიცოცხლა და დიდგულა გამხადა: წარმოვიდგინე, რომ უჩემოდ ვერას გახდებოდნენ და მე შეუცვლელი კაცი ვიყავი.

მე — დიახ, მჯერა, რომ მათთვის ძალზე საჭიროა ყველაფრით, მაგრამ ისინი უფრო საჭირონი იყვნენ თქვენთვის. სადღეს უმჯობესაქმეორე ასეთ კეთილ ოჯახს, ისინი კი ერთი მასხარას მაგივრად ასს იპოვნიან.

ის — ას ჩემნაირ მასხარას! ბატონო ფილოსოფოსო, ჩემნაირი მასხარები არც ისე ბევრნი არიან. უგვანო სულელები კი სხვა საქმეა. სისულელისგან უფრო მეტს მოითხოვენ, ვიდრე ტალანტისგან, ან სათნოებისგან. მე ჩემს ხელობაში იშვიათობა ვარ, დიახ, დიდი იშვიათობა. ახლა, როცა მათ ოჯახში აღარ ვარ, რას აკეთებენ? ძაღლებივით დაღვრემილ-მოწყენილები არიან. მე ოხუნჯობის ამოუწურავი წყარო ვარ. ყოველ წამს მზად მქონდა რაიმე უცნაური ოინი, რომელიც მათ ცრემლის ღვრამდე აცინებდა. მე, ერთი, მთელი საგიჟეთის მაგივრობას ვეწეოდი.

მე — სამაგიეროდ, გქონდათ სასმელ-საჭმელი, ლოგინი, ტანსაცმელი, ქურთუკი და შარვალი, ფეხსაცმელი, თვეში ერთი პისტოლი.

ის — დიახ, ეს კი კარგი რამ იყო, მაგრამ თქვენ ერთი სიტყვაც არ გითქვამთ ჩემს მოვალეობებზე. ჯერ ერთი, თუ ხმა გავარდებოდა რომელიმე ახალ პიესაზე, როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, მთელი პარიზის ყველა სხვენი უნდა შემომეველო, რათა ავტორი მეპოვა და ხელნაწერი შეთხოვა წასაკითხად, შემდეგ ავტორისთვის ნელ-ნელა შემეპარებინა თხოვნა, პიესაში არის როლი, რომელსაც ერთი ჩემი ნაცნობი ქალი დიდებულად შეასრულებდა-მეთქი. „ — ნება მომეცით, გკითხოთ, ვინ არის?

— ვინა? დიდებული შეკითხვაა. იგი თვით გრაციაა, სანდომიანობა და სინაზე.

— თქვენ მადმუაზელ დანჟევილი გყავთ მხედველობაში? შემთხვევით ხომ არ იცნობთ?

— დიახ, ცოტათი ვიცნობ, მაგრამ მასზე არ გელაპარაკებით.

— მაშ, ვისზე? “ ჩურჩულით ვამბობ მის სახელს. „ ის?

— დიახ, ის“, — ვიმეორებ ცოტა არ იყოს მორცხვად, რადგან სირცხვილის გრძნობა ზოგჯერ მეც გამაჩნია. და უნდა გენახათ, იმის სახელის გაგონებაზე ავტორებს სახე როგორ უგრძელდებოდათ, ხანდახან მოურიდებლადაც იცინოდნენ. და მაინც, უნდოდა თუ არა, ეს კაცი მათთან სადილად უნდა მიმეთრია. ხოლო ეს, რაკი ეშინოდა დაპირებებით თავი არ შეებორკა, დიდი მადლობით აცხადებდა უარს მიწვევაზე. უნდა გენახათ, რა დღეში მაგდებდნენ თუ მოლაპარაკება არ გამოვიდოდა: ყუყუჩი ვიყავი, რეგენი, ხეპრე, ყოვლად უმაქნისი, გროში იყო ჩემი ფასი. როცა წარმოდგენა იმართებოდა და მაყურებელი უკმაყოფილო იყო, მაშინ უარესი ხდებოდა. მაყურებელი კი, რაც უნდა თქვათ, მშვენივრად აფასებს მსახიობის თამაშს. მე კი უშიშრად, სრულიად მარტოს ტაში უნდა დამეკრა: ყველას უურადლება მიმექცია და ხანდახან ამ სა-

შუალებით დამესხნა მსახიობი ქალი სტვენისა და შერცხვენისგან. უნდა მესმინა როგორ ჩურჩულებდნენ ჩემ გვერდით: „ეს კაცი მისი საყვარლის გადაცმული ლაქიაა. როდის დაწყნარდება ეს არამზად?“. ვინ იცის, რა აიძულებს ადამიანს ამნაირად მოიქცეს. ფიქრობენ, ჭკუათხელობააო ამისი მიზეზი. სინამდვილეში კი, არსებობს მკვლევარ-მედიკოსების ძალითაც ყველაფრის მიტევება შეიძლება.

მე — სამოქალაქო კანონების დარღვევაც კი?

ის — ამასობაში უკვე გამიცნეს კიდევც და ამბობდნენ: „ოო, ეს რამოა“. დროზე წამოსროლილი ირონიული სიტყვა ამ მდგომარეობიდან მართლაც რომ მიხსნიდა ხოლმე, რათა დაცინვისგან გადამერჩინა ჩემი ობოლი ტაში, რომელსაც ისინი სულ სხვანაირად იღებდნენ. დამეთანხმეთ, მხოლოდ უზარმაზარი სარგებელისთვის თუ შეიძლება არაფრად ჩაავადო მაყურებელი და ყოველი ასეთი საბატონო ბეგარა უფრო მეტი ღირს, ვიდრე ერთი საცოდავი ეკიუა.

მე — დამხმარეები რატომ არ აგყავდათ?

ის — ხანდახან მათი აყვანაც მიწევდა და ცოტა ხელსაც ვითბობდი. ვიდრე წამების ადგილზე მივიდოდი, საჭირო იყო საუკეთესო სცენების კარგად გახეობრება, იქ სადაც ტაშის დაკვირვისთვის ტონი უნდა მიმეცა. ვაი ჩემი ბრალი, თუ გამომეპარებოდა ეს ადგილები, ან ამერეოდა. თეატრიდან შინ მიმავალი შიშით ვკანკალებდი, იქ კი წარმოუდგენელი ყვირილი და ალიაქოთი მხვდებოდა. მათ სახლში ძაღლების მთელ ხროვას ვუვლიდი, უნდა გამოგიტყდეთ, თვითონვე ჩავიდინე სისულელე და ავიკიდე ეს ტვირთი. კატებისთვისაც უნდა მომეცლო. უაღრესად ბედნიერი ვიყავი, თუ მიკუ¹ ღირსად გამხდოდა და ბრჭყალებით მანუეტებს ჩამომახევდა, ან ხელს დამიკაწრაფდა. კრიკეტს² კი ჭვალი ხშირად ადგებოდა და ჩემს მოვალეობას შეადგენდა მისთვის მუცელი დამეზილა. ოდესღაც მადმუაზელს იპოქონდრიის შეტევეები მქონდა ხოლმე, ახლა რომ სხვა სახელი უწოდეს და ნერვების აშლა დაარქვეს. აღარას ვიტყვი სხვა მსუბუქ უქეიფობათა შესახებ, რისიც სრულიად არ რცხვენოდა და არც მე მერიდებოდა. ჯანდაბას მისი თავი. თავად არასოდეს მქონია სურვილი ვინმე რითიმე შემევიწროვებინა. სადღაც ამომიკითხავს, ოღონდ არ ვიცი სად, რომ რომელიღაც პრინცი, რომელსაც დიდს უწოდებდნენ, ხანდახან თავისი საყვარლის ღამის ქოთანთან ჩერდებოდაო სკამის ზურგზე დაქრდნობილი. აბა, შინაურებისა ვისა რცხვენია და იმ დღეებში მადმუაზელისთვის ყველაზე შინაური მე გახლდით. მე ვიყავი შინაურულობისა და უბრალოების მოციქული. ამას საკუთარი მაგალითით ვქადაგებდი და არც არასოდეს მირისხდებოდნენ. ოღონდ ხელი არ უნდა შემეშალა მათთვის. პატრონი უკვე დაგისატეთ. მადმუაზელი წონაში მომატებას იწყებს. უნდა მოგესმინათ, რას არ ჰყვებოდნენ ამაზე.

მე — თქვენც ჰყვებოდით?

ის — რატომაც არა?

მე — იმიტომაც არა, რომ უწესობაა საკუთარ კეთილისმყოფელებს დასცინოდეს კაცი.

ის — კი მაგრამ, განა უარესი არ არის, რაღაც ქველმოქმედების უფლებით იმისი დამცირება, ვისაც მფარველობ?

მე — თუ ეს უკანასკნელი თავადვე არ არის სულმდაბალი, მის კეთილსმყოფელს არავითარი საფუძველი არ ექნებოდა დამცობებისა.

ის — მაგრამ ეს ხალხი თავისთავად სასაცილო რომ არ იქნება, ვინ შეთხზავდა მათზე თავშესაქცევ ამბებს? და თანაც, რა ჩემი ბრალია, თუ მათ ნაძირალების ბრბო შემოიკრიბეს? განა მე მიმიძღვნა მხრები, რომ ეს საეჭვო ადამიანები ლალატობენ, ატყუებენ და დამსცინიან? როცა ჩვენნაირებთან ცხოვრება ვიწყებს, მართო საღი აზრია საჭირო, რომ მიხვდეთ, რაოდენ დიდი საზიზღრობა მოგელის. განა არ იციან, რომ ანგარებიანი, გათახსირებული და მუხთალი ხალხი ვართ? თუ იციან და გვიცნობენ, ყველაფერი რიგზე ყოფილა, უსიტყვო შეთანხმებაც დადებულია, რომ ისინი სიკეთეს დათესენ, ჩვენის მხრივ კი, ადრე თუ გვიან, სიკეთისთვის ბოროტად გადავუხდით. განა ამგვარი შეთანხმება არ არსებობს ადამიანსა და მის მაიმუნს ან თუთიყუშს შორის? ბრიუნი⁹² ხმამაღლა ჩივის, რომ პალისომ, მისმა მუდმივმა თანამეინახემ და გულითაღმა მეგობარმა, მასზე ეპიგრამები შეთხზა. პალისოს ეს ეპიგრამები უნდა შეეთხზა! ამაში დამნაშავე პალისო კი არა, ბრიუნია დამნაშავე. პუანსინეც ხმამაღლა ჩივის, ბრიუნზე შეთხზული ეპიგრამები პალისომ მე მომაწერაო. მაგრამ პალისოს უნდა დაებრალეებინა პუანსინესთვის იმ ეპიგრამების შეთხზვა, თავად რომ შეთხზა ბრიუნზე, და ცხადია, პუანსინეა დამნაშავე. პატარა აბატი რეი გაიძახის, ჩემმა მეგობარმა პალისომ საყვარელი წამართვაო, ჰოდა, რა საჭირო იყო ისეთი კაცის საყვარელთან მიყვანა, როგორც პალისოა, და თუკი მიიყვანა, ისიც უნდა ეფიქრა, რომ ქალს დაკარგავდა. პალისომ თავისი მოვალეობა შეასრულა, დამნაშავე კი აბატია. წიგნების გამომცემელი და მოვაჭრე დავიდი მოთქვამს, რომ მისი კომპანიონი პალისო მიუწვა, ანდა სურდა მისწოლოდა მის ცოლს. დავიდის ცოლი კი ჩივის, პალისომ ქვეყანას მოსდო, თითქოს ჩემთან იწვაო. იწვა თუ არა პალისო წიგნით მოვაჭრის ცოლთან, ძნელი დასადგენია, რადგან ცოლს უნდა უარეყო, რაც მოხდა, პალისოს კი შეეძლო ეთქვა რაც არ იყო. პალისომ თავისი როლი შეასრულა და ის კი არა, დავიდი და მისი ცოლი არიან დამნაშავენი. დაე, პელვეციუსმა⁹³ იწუწუნოს, პალისომ ერთ პიესაში უპატრიოსნო ადამიანად გამოიყვანაო, თანაც პალისოს მისი ფული მართებდა ჯანმრთელობის აღსადგენად, საჭმლისა და ტანსაცმელის შესაძენად რომ ესესხა, მაგრამ, განა იგი სხვა რამეს ელოდა იმ კაცისგან, ათასნაირი ბიჭიერებით რომ არის გაჟღენთილი, და რომელიც, უბრალოდ, სამასხარაოდ, ერთ თავის მეგობარს არწმუნებდა, სარწმუნოება შეიცვალეო?⁹⁴ კაცი, რომელიც საკუთარი კომპანიონის ქონებას იგდებს ხელთ; რომელსაც არც რწმენა გააჩნია, არც სინდისი, არც გრძობა, და რომელიც „par fas et nefas“⁹⁵ ცდილობს გამდიდრებას, რომელიც ჩადენილი ავკაცობის მიხედვით ანგარიშობს დღეებს, და რომელმაც საკუთარი თავი სცენაზე საშინელ გაიძვერადა⁹⁶ გამოიყვანა? ის არც ერთ დღეს არ გააცდენს, ბოროტება არ ჩაიდინოს. როგორც მე მგონია, ასეთი უსირცხვილობის მაგალითი არც წარსულში ყოფილა და არც მომავალში იქნება. არა, პალისო არ არის დამნაშავე, პელვეციუსია დამნაშავე. ახალგაზრდა პროვინციელი ვერსალის სამხეტეში რომ შეიყვანო, მან სულელურად ვეფხვის ან ავაზას გალიაში შეჰყოს ხელი, და ეს ხელი ცხოველის

ხახაში დარჩეს, ვინ იქნება დამნაშავე? ეს ყოველივე უსიტყვოდაა შეთანხმებული, და მით უარესი იმისთვის, ვინც ამ შეთანხმებისა არაფერი უწყის, ანდა ივიწყებს. ამ უნივერსალური და წმინდა შეთანხმების საფუძველზე აუარებელ ხალხს გაგამართლებდი, რომელთაც ბოროტ განზრახვას აბრალებენ, მაშინ როცა საკუთარ თავს სისუფიერებას უნდა დასდო ბრალად. დიას, ზორზოხა გრაფინიაც,⁸⁷ თავადვე ხელს უწყობდა დასდო ბრალად. ამით კი პატიოსანი ხალხის უკმაყოფილებას იწვევთ. პატიოსანი ხალხი იმას აკეთებს, რაც უნდა გააკეთოს, ხროვაც იმას სჩადის, რაც უნდა ჩაიდინოს. ბერტენიუსს⁸⁸ რომ მშვიდად და წყნარად ეცხოვრა საკუთარ ხასიათთან, წესიერ ადამიანებთანაც გაება ნაცნობობა, გარშემო ნიჭიერი საზოგადოება, სათნოებით სახელგანთქმული ხალხი შემოეკრიბა, რამდენიმე საათი სატრფოსთან განცხრომისა და ნეტარებისთვის წაერთმია და ეს დრო პატარა, მაგრამ განათლებული ადამიანების ჯგუფთან ურთიერთობისთვის შეეწირა, განა მათზე ცუდ ამბებს გაავრცელებდნენ? და რა მიიღეს? რაც დაიმსახურეს! საკუთარი წინდაუხედაობის გამო დაისაჯნენ. ჩვენ კი განგებამ გვარგუნა სამაგიერო მივუზღოთ თანამედროვე ბერტენებს; ისევე როგორც ჩვენ, ჩვენს შთამომავლებსაც მოუწევთ საკადრისი მიუზღონ მომავალ მონსოჟებს და ბერტენებს. როცა ჩვენ განგების სამართლიან განაჩენს ვასრულებთ უგუნურთა მიმართ, თქვენც ისეთებად გვხატავთ, როგორებიც ვართ, და თქვენც, თქვენის მხრივ, განგების სამართლიან განაჩენს ასრულებთ ჩვენ მიმართ. რას იფიქრებდით ჩვენზე, თუ ასეთი სამარცხვინო ხალხი პრეტენზიას განვაცხადებდით საზოგადო პატივისცემაზე? რომ ჩვენ გიჟები ვართ! განა გონიერი კაცი პატიოსან საქციელს უნდა ელოდოს იმათგან, ვინც ბუნებით გახლავთ მანკიერი და ხასიათიც გაბრწყინილი აქვს? ამქვეყნად ყველას თავისი წილი მიეგება. არსებობს ორი გენერალური პროკურორი, ერთი ის, რომელიც კარის ზღურბლზე დგას და სჯის ბოროტმოქმედებას საზოგადოების წინაშე, მეორე თვით ბუნებაა. ამ უკანასკნელმა ყველა მანკიერება იცის, რომელიც კი კანონებს შეუმჩნეველი დარჩენიათ. თუ სულ ქალებთან დამრწმინდართ და გარყვნილებაში ხართ ჩაფლული, წყალმანკით დაავადდებით. თუ ლოთი ბრძანდებით, ფილტვები დაგიავადდებათ. თუ კარს ყველა ოხერს უღებთ და მათთან ცხოვრობთ, ადრე თუ გვიან მოგატყუებენ, დაგცინებენ, სახელს გაგიტეხენ. სხვა რაღა დაგრჩენიათ, სამართლიან განაჩენს უნდა დაემორჩილოთ და საკუთარ თავს უთხრათ: „ახია, ჩემზე“. ან გონს უნდა მოეგოთ და გამოსწორდეთ, ან იყოთ რაცა ხართ და იცხოვროთ იმგვარ პირობებში, რაზედაც ზემოთ მოვახსენეთ.

მე — მართალი ბრძანდებით.

ის — მთელი ეს საზიზღარი ამბები ერთიც არ გამომიგონია. მე მარტო მთხრობელის როლს ვასრულებ. ხმები დადის, ამ რამდენიმე დღის წინ, დილის ხუთ საათზე, საშინელი ღრიანცელი ამტყდარა პატრონის სახლში. ყველა ზარი წკრიალებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყრუ ყვირილი ისმოდა თურმე, თითქოს ვიღაცას ახრჩობენო: „მიშველეთ,

ვისრჩობი, ვკვდები!“ ეს ყვირილი პატრონის აპარატამენტებიდან გამოდიოდა. გაიქცნენ დასახმარებლად. ჩვენს ზორზოხა ქმნილებას თავგზა დაუკარგავს, ჭკუა აბნევიდა და თვალთ დაბნელებია, რაც ჩვეულებრივი ამბავია ასეთ დროს, ორივე ხელით აწეულა და მთელი თავისი ორასი თუ სამას გირვანქიანი სიმძიმით დასცემია პატრონის ხელების გარკვეულ ნაწილს, და თანაც ისეთი სისწრაფით, რომედამანს ძლიერ განცდილმა კმაყოფილებამ შეიძლება მისცეს. დიდი ძალ-ლონე დასჭირებით პატრონის დასახსნელად. რა ეშმაკი შეუჯდა თავში ამ პატარა ჩაქუჩს იმ მძიმე გრდემლს რომ დაუწვა ქვეშ?

მე — თავი გაქვთ აშვებული. მოდით, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. აი, რაც უსაუბრობთ, სულ ერთი შეკითხვა მაღვას ენაზე.

ის — მერე და ამდენ ხანს რატომ არ მკითხავთ?

მე — მეშინოდა უტაქტობაში არ ჩამთვლოდა.

ის — მას მერე, რაც ამდენი გელაპარაკეთ, უკვე აღარ ვიცი რაღა საიდუმლო უნდა დამრჩენოდა.

მე — მოგესხენებათ, რა აზრისა ვარ თქვენზე.

ის — არცთუ კარგად. ვიცი, თქვენს თვალში ძალზე საძაგელი, ძალზე საზიზღარი არსება ვარ. ზოგჯერ ჩემს თვალშიც ასეთი ვარ, მაგრამ იშვიათად. ჩემი მანკიერებით ხშირად ვხარობ კიდევ, ვიდრე ვწუხვარ. ჩემდამი თქვენი ზიზღი კი უფრო მტკიცე ჩანს.

მე — მართალია. მაგრამ რაში დაგჭირდათ ჩემთვის მთელი თქვენი საძაგლობის გამხელა?

ის — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრი რამ თქვენთვის უკვე ცნობილი იყო, და თუ დანარჩენსაც გაგიმხელდით, ამით უფრო მოვიგებდი, ვიდრე წავაგებდი.

მე — როგორ? ამიხსენით, თუ შეიძლება.

ის — თუ სიდიადე რამეშია საჭირო, ცუდ საქმეში უფრო გვჭირდება. წვრილმან თაღლითს აფურთხებენ, დიდ დამნაშავეს კი გარკვეულ პატივსაც მიუზღავენ. მისი ვაჟკაცობა გვაკვირვებს, სიმხეცე კი ურუანტელს გვგვრის. ხასიათების მთლიანობა ყველაფერში ფასდება.

მე — მაგრამ მგონი თქვენ ჯერ ვერ მიაღწიეთ, მაგ მოსაწონი ხასიათის მთლიანობას და როგორც ვამჩნევ, ხშირად, არც საკუთარ პრინციპებში ხართ მყარი. გაურკვეველია ბუნებით გამომხვედით ასეთი არამზადა, თუ მერე შეიძინეთ, და თუ შეიძინეთ, მაშინ ამ გზამ საკმაოდ მაღლა აგიყვანათ თუ არა.

ის — გეთანხმებით, გარჯა არ დამიშურებია. და განა იმდენი თავმდაბლობა არ გამოვიჩინე, ჩემზე უკეთესები, ჩემზე მაღლა დამეყენებინა? განა ბურეზე აღფრთოვანებით არ ვილაპარაკე? ჩემი აზრით, ბურე მსოფლიოში პირველი კაცია.

მე — მაგრამ ბურეს შემდეგ პირველი ადგილი თქვენ გიჭირავთ, ხომ?

ის — არა.

მე — მაშ, პალისოს?

ის — პალისოს, მაგრამ მარტო პალისოს არა.

მე — მასთან ერთად ადგილის განაწილების პატივი კიდევ ვისა ხვდა?

ის — ერთი ავინიონელი ერეტიკოსია.⁹⁹

მე — მაგ ავინიონელ ერეტიკოსზე არაფერი მსმენია, მაგრამ ყოველად საკვირველი ადამიანი იქნება.

ის — სწორედ ასეა.

მე — დიდი პიროვნების ამბავი ყოველთვის მაინტერესებდა.

ის — მჯერა. ეს კაცი ცხოვრობდა აბრაამის ერთ კეთილ და პატიოსან შთამომავალთან, რომლის გამრავლებაც ღმერთმა ისრაელთა პატრიარქს ვარსკვლავთა უმრავლეს აღუთქვა.

მე — ებრაელთან ცხოვრობდა?

ის — დიახ, ებრაელთან. ჯერ თავი შეაცოდა, მერე გული მოუგო და ბოლოს სრული ნდობა მოიპოვა. ყოველთვის ასე ხდება ხოლმე: ჩვენ იმდენად ვენდობით ჩვენსავე სიკეთეს, რომ იშვიათად ვუმაღავთ ჩვენს საიდუმლოს იმათ, ვინც მოწყალებით ავავსეთ. განა შეიძლება უმაღურობა მოისპოს, როცა ჩვენვე ვაცდუნებთ ადამიანს დაუსჯელად გამოიჩინოს უმაღურობა? ამგვარი ჭკვიანური აზრი ჩვენს ებრაელს თავში არ მოსვლია. მან თავის ერეტიკოსს გაანდო, რომ სინდისი ღორის ხორცის ჭამას უკრძალავდა. თქვენ ახლავე დარწმუნებით თუ რა სარგებელი ნახა გამჭრიახმა გონებამ ამგვარი აღიარებით. რამდენიმე თვე გავიდა და ჩვენმა ერეტიკოსმა პატივისცემა გაუორმაგა ებრაელს, როცა მიხვდა, ებრაელი უკვე მოხიბლული და დამორჩილებული მყავსო, და თანაც დარწმუნებული, ისრაელთა მთელ ტომში მასზე უკეთესი მეგობარი არავის ჰყავდა — მოიხიბლეთ ამ კაცის წინდახედულობით! — იგი არ აჩქარდა, მსხალი კარგად უნდა დამწიფდეს, მერე დაიკრიფოს. ზედმეტმა სიფიცხემ შეიძლება მთელი საქმე დაღუპოს. ხასიათის სიდიადე, ჩვეულებრივ, რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებას შორის ბუნებრივი წონასწორობის შედეგია.

მე — მსჯელობას თავი დაანებეთ და ამბავი განაგრძეთ.

ის — სხვანაირად შეუძლებელია. არის დღეები, როცა აუცილებლად უნდა მსჯელობდე. ეს თავისებური ავადმყოფობაა, რომლის მდინარებასაც თავისი გზა უნდა მისცე. სად ვიყავი?

მე — ებრაელსა და ერეტიკოსს შორის მტკიცე მეგობრობაზე მიაშობდით.

ის — ამასობაში მსხალიც დამწიფდა... მაგრამ არ მისმენთ. რამ ჩავაფიქრათ?

მე — თქვენი ხმის არათანაბრობამ, ხან ამაღლებთ, ხან ადაბლებთ.

ის — განა ბიწიერი ადამიანის ხმა შეიძლება თანაბარი იყოს?.. ერთ საღამოს თავის მეგობართან დაბნეული შედის, მღელვარებისგან ხმა უწყდება, სახე მიცვალებულივით ჩაჰყვითლებია, თავით ფეხამდე კანკალებს. „— რა მოგივიდათ? — დავილუპეთ! — როგორ თუ დავილუპეთ? — დავილუპეთ, გეუბნებით, სამუდამოდ დავილუპეთ! — ამის სენით ერთი... — ახლავე, სული მოვიბრუნო. — დამშვიდდით, სული მოიბრუნეთ“, ეუბნება ებრაელი იმის მაგივრად, რომ ეთქვა: „შენ დიდი თაღლითი ხარ და ახლა შეშინებული კაცის როლს თამაშობ“.

მე — ასე რატომ უნდა ეთქვა?

ის — იმიტომ, რომ ერეტიკოსის სიტყვები ყალბი იყო და რომიერებას მოკლებული. ეს ჩემთვის ნათელია და გთხოვთ, ნუ მანყვეტი-ნებთ. „ — დავიღუპეთ, სამუდამოდ დავიღუპეთ!“ განა ვერ გოდნობთ ამ აჩემებულ „დავიღუპეს“ სიყალბეს? „ — ვილაც მოლატატიმ წაშინდა ინკვიზიციაში დაგვასმინა, თქვენ, როგორც ებრაელი, შენც; როგორც სარწმუნოებისგან განდგომილი საზიზღარი ერეტიკოსი“. ნუ დაივიწყებთ, რომ მოლალატე არც კი წითლდება, ისე აფრქვევს საშინელ გამოთქმებს. დიდი ვაჟკაცობაა საჭირო, საკუთარ თავს ნამდვილი სახელი უწოდოს კაცმა. თქვენ არ იცით, რად უღირს ადამიანს ამ ზომამდე მი-სვლა.

მე — არა, არ ვიცი. მაგრამ ამ საზიზღარმა ერეტიკოსმა...

ის. — თავი მოაჩვენა, ტყუილი უთხრა, თანაც მეტად მოხერხე-ბული ტყუილი. ებრაელს შეეშინდა, წვერი დაიგლიჯა, მიწაზე გაგო-რდა, თავის კართან უკვე ხედავდა სბირებს,¹⁰⁰ აგერ უკვე სან-ბენი-ტოც¹⁰¹ ჩამოაცვეს, კოცონიც გამზადებულია. „ — ჩემო მეგობარო, ჩემო მეგობარო, ჩემო ტკბილო მეგობარო, ჩემო ერთადერთო მეგო-ბარო, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?.. — რა ვქნათ? სხვათა დასანა-ხად ყველგან გამოვჩნდეთ და სავსებით მშვიდად დავიჭიროთ თავი. ისე მოვიქცეთ, როგორც ვიქცეოდით. სასამართლო საიდუმლოდ მუშაობს, მაგრამ ძალიან ნელა. ეს დრო უნდა გამოვიყენოთ და ყველაფერი გავ-ყიდოთ. დავიჭირავენ გემს, ან ვინმეს დავავალებ მესამე პირის მეშვე-ობით დაიჭირავოს; დიახ, მესამე პირის მეშვეობით, ასე უკეთესი იქ-ნება. გემში მთელ თქვენს ქონებას ჩავტვირთავთ, რადგან ყველაზე უფრო მათ თქვენი ქონება არ აძლევთ მოსვენებას, და თავისუფლების საძებნელად ერთად გავემგზავრებით უცხო ცის ქვეშ. ვილოცებთ ჩვენს ღმერთზე და უშიშრად აღვასრულებთ აბრაამისა და ჩვენი სინდისის კანონებს. ახლა, რაკი საფრთხე ასერიგად გვემუქრება, უმცირესი გა-უფრთხილებლობაც კი დაგვღუპავს“.

თქმა და აღსრულება ერთი იყო. გემი დაქირავებულია, სურსათ-სანოვაგით მომარაგებული, მეზღვაურებიც შერჩეული ჰყავთ და ებ-რაელის ქონებაც უკვე გემზეა. ხვალ, გათენიისას, იალქანს აღმართა-ვენ. ახლა შეუძლიათ მხიარულად ივანშმონ და მშვიდად დაიძინონ: ხვალ მდევრებს უკვე ხელიდან დაუსხლტებიან. ღამით ერეტიკოსი ადგა, ებრაელის საბუთები, ფულის ქისა, ძვირფასი ნივთები მოიპარა, ჩაჯდა გემში და გაქრა. მაგრამ გგონიათ, ამით დამთავრდა ეს საქმე? არა, ბატონო, როცა ეს ამბავი მიაშბეს, სწორედ ის გამოვიცანი, რაც თქვენთვის არ მითქვამს, რათა თქვენი შორსმჭვრეტელობა გა-მომეცადა. კარგად იქცევით, პატიოსნად რომ ცხოვრობთ, რადგან თქვენგან მხოლოდ წვრილმანი თაღლითი თუ გამოვიდოდა. აქამდე ეს ერეტიკოსიც ასეთი იყო, საძაგელი გაიძვერა. კაციშვილს არ გაუჩ-ნდება სურვილი მას დაემსგავსოს. მისი ავაზაკობის სიდიადე ის არის, რომ თავადვე დაასმინა თავისი კეთილი ისრაელელი მეგობარი, რომე-ლიც წმინდა ინკვიზიციაში გაღვიძებისთანავე შეიპყრო და რამდენიმე დღის შემდეგ მოგიზგიზე კოცონზე დანაცრა. ამგვარად, ერეტიკოსი

მშვიდად დაეუფლა იმ შეჩვენებულ იუდეველთა მოდგმის ქონებას, რომლებმაც ჯვარზე აცვეს ჩვენი მაცხოვარი.

მე — არ ვიცი, ამ ორიდან რომელი უფრო მზარავს, თქვენი ერეტიკოსის ბოროტება თუ თქვენი თხოვნი ტონი.

ის — მეც ეს გითხარით: მოქმედების სისასტიკეში სიმღვილს ახშობს, და ამიტომაც ვარ ასეთი გულწრფელი. მინდა გცოდნოდათ, რა სრულყოფილებას მივალწიე ჩემს ხელობაში. მინდოდა გელიარებიანათ, რა ორიგინალური ვარ ჩემს სიმდაბლეში. მინდოდა, თქვენს ფიქრებში ჩემი თავი დიდი გაიძვერების გვერდით დამეყენებინა და დამეყვირა: „Vivat Mascarillus, fourbum Imperator!“¹⁰² აბა, მხიარულად, ბატონო ფილოსოფოსო, აბა, ერთად გავიმეოროთ...

და აი, აქ, ფუგით სრულიად უცნაური სიმღერა წამოიწყო: მელოდია ხან დიდებული იყო და ზეიმურობით აღსავსე, ხანაც მსუბუქი და ლაღი; ერთ წუთში თუ ბასით ღიღინებდა, მეორე წუთში მაღალ რეგისტრში ადიოდა. კისერწაწვედენილი ხელით იმ ადგილებს მიანიშნებდა, რომელიც დაყოვნებას მოითხოვდა. იქვე თხზავდა რაღაც საზეიმო სიმღერას, რომლის მიხედვითაც ჩანდა, რომ კარგი მუსიკა უფრო ახლობელი იყო მისთვის, ვიდრე ზნეობა.

ალარ ვიცოდი რა მექნა, დავრჩენილიყავი თუ გავქცეულიყავი, მეცინა თუ მეტირა. დავრჩი იმ განზრახვით, რომ ლაპარაკი სხვა რამეზე გადამეტანა, რათა ჩემს გულში დაგროვილი საშინელებანი გაფანტულიყო. ამ ადამიანთან დარჩენა უკვე აუტანელი ხდებოდა: საზიზლარი საქციელის, საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ ისე მსჯელობდა, როგორც ფერწერის, ანდა პოეზიის მცოდნე მსჯელობს ხოლმე ნატიფი ხელოვნების ნაწარმოების სილამაზეზე, ან მორალისტი, ან ისტორიკოსი ნათელს პფენს გმირული წარსულის რომელიმე მონაკვეთს. ჩემდა უნებურად მოვიღუშე, მან შემამჩნია:

ის — რა დაგემართათ? ცუდად ხომ არ ხართ?

მე — ცოტათი. მალე გამივლის.

ის — ისეთი შეფიქრიანებული, შეწუხებული ჩანხართ, თითქოს უსამოვნო აზრები აწუხებსო.

მე — ასეც არის.

ერთი ხანობა ორივე ჩუმად ვიყავით. ის ბოლთას სცემდა სტვენითა და სიმღერით. მის ნიჭზე საუბარი რომ განმეახლებინა, ვკითხე:

მე — ახლა რას აკეთებთ?

ის — არაფერს.

მე — უსაქმურობა ძალზე დამღლევი იქნება.

ის — ისედაც საკმაოდ სულელი ვიყავი, ხოლო მას მერე, რაც დიუნის¹⁰³ და სხვა ჩვენი ახალგაზრდა ოსტატების მუსიკა მოვისმინე, სულ ამეზნა გონება.

მე — მოგწონთ მუსიკის ეს ჟანრი?

ის — რაღა თქმა უნდა.

მე — ამ ახალ სიმღერებში სილამაზეს პოულობთ?

ის — ვაოულობო? ეშმაკმა დამლახვროს, ამაზე უკეთესი თუ რამე იყოს! რა პათოსია! რამდენი სიმართლე! რამდენი ძალაა გამოძახატველობისა.

მე — ყოველი ხელოვნება მიბაძვაზეა დაფუძნებული და მოდელს ბუნებიდან იღებს. რა არის მუსიკოსის მოდელი, როცა მისი მოდელია კქმნის? ნიკოლოსი

ის — რატომ არ შევხედოთ საკითხს უფრო მაღალი თვალსაზრისით? საერთოდ, რა არის მელოდია?

მე — უნდა გამოგიტყდეთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემს ძალას აღემატება. ჩვენ ხომ ყველანი ასეთები ვართ, მართო ის სიტყვები გვამახსოვრდება, რომელიც უფრო გასაგები გვეჩვენება, ესეც, ხშირი გამეორებების და სწორი გამოყენების გამო. გონებაში კი მხოლოდ გაურკვეველი მცნებები გვაქვს. როცა ვამბობ „მელოდია“, ჩემი წარმოდგენა ამ ცნებაზე იმაზე ნათელი არ არის, ვიდრე თქვენი და მრავალი თქვენი მსგავსისა, როცა ამბობთ — რეპუტაცია, გაკიცხვა, პატიოსნება, ბიწიერება, სათნოება, მორცხვობა, მოკრძალება, სირცხვილი...

ის — მელოდია გახლავთ მიბაძვა ბგერის საშუალებით, რომელიც განლაგებულია განსაზღვრულ ბგერით სკალაზე, რაც ხელოვნებას შეუქმნია, ან თვით ბუნებას შთაუგონებია ადამიანისთვის, როგორც გნებავთ ისე იფიქრეთ; იგი მიბაძვია ხმის, ან ინსტრუმენტის, ან ფიზიკური ხმაურის, ან ვნებათა ინტონაციის დახმარებით. და თქვენ ნახავთ, რომ ეს განმარტება სათანადო შესწორების შემდეგ ერთნაირად მიუდგება მხატვრობას, მჭევრმეტყველებას, ქანდაკებას და პოეზიას. ახლა თქვენს კითხვას დავუბრუნდეთ: რა არის მუსიკოსის ან სიმღერის მოდელი? ეს სიტყვები გახლავთ იმ შემთხვევაში, თუ მოდელი ცოცხალი და მოაზროვნეა. თუ მოდელი უსულო საგანია, მაშინ ეს ხმაურია. სიტყვები უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი ხაზი, სიმღერა კი — როგორც მეორე, რომელიც სუროსაგით ეხვევა პირველს. რაც უფრო ძლიერი იქნება სიტყვები, ეს პირველი სახე სიმღერისა, მით მეტად გადაჰკვეთს მისი შესაფერი მელოდია, მით ახლო იქნება სიმართლესთან და უფრო მშვენიერიც. ეს კარგად იგრძნეს ჩვენმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა. როცა ისმენთ სიმღერას: „მე ერთი საცოდავი კაცი ვარ“,¹⁰⁴ გვეგონებათ, თითქოს ძუნწის ჩვილი მესმისო. თუნდაც არ ემღერა, მაინც იგივე ტონი ექნებოდა მის წარმოთქმულ სიტყვას, როცა ოქროს ჩაფლობისას მიმართავდა მიწას: „ოო, მიწავ, მიიღე ჩემი საგანძური“.¹⁰⁴ ანდა ის გოგონა, რომელიც გრძნობს როგორ უცემს ვული, როგორ წითლდება, როგორი შეცბუნებულია, როცა დიდ ბატონს ევედრება, შინ გამიშვიო. განა მას სხვანაირი ვედრება შეუძლია? ყველა ამ ნაწარმოებში გადმოცემულია მრავალნაირი ხასიათი, უსაზღვროდ მრავალფეროვანია სიტყვაც. დიდებულია, დამიჯერეთ, ამას მე გეუბნებით. წადით და მოისმინეთ ის ნაწყვეტი, სადაც ჭაბუკი, რომელიც სიკვდილის მოასლოებას გრძნობს, როგორ ყვირის: „სიცოცხლე მიღის“.¹⁰⁵ მოუსმინეთ სიმღერას, სიმფონიას, და მერე მითხარით, არის თუ არა განსხვავება ნამდვილი მომაკვდავის ხმასა და ამ

სიმღერის ჰანგებს შორის? თქვენ ნახავთ, რომ მელოდიის ხაზი მთლიანად ემთხვევა მეტყველების ხაზს. არაფერს გეუბნებით რიტმზე, რომელიც სიმღერის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საკმარისია მხოლოდ გამომხატველობაზე შევჩერდეთ. უდავო ჭეშმარიტებაა ეს სიტყვები, რომლებიც სადღაც ამოვიკითხეთ: „Musicians' seminarium accentus“ — „ინტონაცია მელოდიის საფუძველზე“ — და ამდენად ძნელია და მნიშვნელოვანი, დაწერო კარგი რეჩიტატივი. არ არსებობს არც ერთი კარგი არია, რომლისგანაც არ შეიძლებოდეს კარგი რეჩიტატივის გამოყვანა, და არ არსებობს კარგი რეჩიტატივი, რომლისგანაც მარჯვე ადამიანს არ შეეძლოს კარგი არიის შექმნა. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ რეჩიტატივის კარგი შემსრულებელი კარგადაც იმღერებს, მაგრამ ძალიან გამიკვირდებოდა, თუ კარგი მომღერალი ვერ შეძლებდა რეჩიტატივის კარგად შესრულებას. დაიჯერეთ ყველაფერი, რასაც გეუბნებით, რადგან ეს სრული ჭეშმარიტებაა.

მე — სულითა და გულით დაგიჯერებთ, რომ ერთი პატარა დამბრკოლებული მიზეზი არ მაჩერებდეს.

ის — რომელი მიზეზი?

მე — ის რომ, თუ ეს მუსიკა დიადია, მაშინ ლიულის, კამპრას, დეტუშის, მურეს¹⁰⁶ ღვთაებრივი მუსიკა, მაპატიეთ, და თქვენი ძვირფასი ბიძისაც, მდარე ყოფილა.

ის (დაიხარა და ყურში მითხრა). — არ მინდა ვინმემ გაიგოს ჩემი ნათქვამი, აქ ბევრი მიცნობს. მათი მუსიკა მართლაც მდარეა. ჩემს ძვირფას ბიძაზე, როგორც თქვენ მოიხსენეთ, სრულებით არ ვწუხვარ, იგი ქვაა. მის თვალწინ ენაგადმოგდებული მწყურვალი რომ ვკვდებოდე, ჭიქა წყალს არ მომაწვდის. რამდენადაც უნდა ეცადოს და კარგად აკეთოს ოქტავეები და სექტიმები: ჰონ, ჰონ, ჰონ, ტიუ, ტიუ, ტიუ, ტიურელიუტიუტიუ, ქაჯისებური ხმაურის მეტს ვერას მიაღწევს. ყოველ შემთხვევაში ის, ვისაც ხელოვნებისა ცოტა რამ გაეგება, ამ უღარუნს მუსიკად არ მიიღებს და ვერც ვერასოდეს შეეგუება. პოლიციის ბრძანებით უკლებლივ ყველას უნდა აეკრძალოს, ვინც უნდა იყოს, თუნდაც მაღალი კლასის მომღერალი, პერგოლეზის „Stabat“-ის¹⁰⁷ შესრულება. ეს „Stabat“-ი ჯალათის ხელით უნდა დაიწვას. ჩემი აზრით, ამ შეჩვენებულმა მასხარებმა თავიანთი სიმღერებით „მოახლე ქალბატონი“, „ტრაკოლო“¹⁰⁸ კარგა მაგარი ჭიტლაყი ამოგვკრეს. ადრე „გალანტური ევროპა“, „ტანკრედი“¹⁰⁹, „ისეა“,¹¹⁰ რამოს ოპერები და ბალეტები: „ინდოეთი“, „კასტორი“, „ლირიული ნიჭი“ ოთხი, ხუთი, ექვსი თვის განმავლობაში მიდიოდა სცენაზე. „არმიდამ“¹¹¹ ხომ ყველას გადააჭარბა. ახლა ეს ოპერები ერთიმეორის მიყოლებით კაპუცინებმომხატული სათამაშო ქალღმებრთვით¹¹² ძირს ეცემიან. ამიტომაც აფრქვევენ ცეცხლს რებელი და ფრანკერი,¹¹³ ყველაფერი დაინგრევა, დაიკარგებაო თუ არ მოვსპეთ ბაზრის ეს მომღერალი არამზადები, მთელს ჩვენს ეროვნულ მუსიკას ეშმაკები დაეპატრონებიან და მუსიკის სამეფო აკადემიას პალე-რუაილის ჩიხში¹¹⁴ დახურვა მოუ-

წევსო. ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. ძველი კონსერვატორები, რომლებიც აგერ უკვე ოცდაათი თუ ორმოცი წელია პარასკევობით აქ გროვდებიან, ახლა წინანდელი გართობისა და სიამოვნების მაგივრად, მოწყენილები სხედან, ამთქნარებენ და თვითონაც არ იციან რაზე კარგავენ დროს; ამას საკუთარ თავსაც ეკითხებიან და არ უწყვიან რა უპასუხონ. რატომ მე არ მომმართავენ? თუ შემდეგშიც უნდა გავგრძელებ, დიუნის წინასწარმეტყველება მართლაც ასრულდება; თავს ვდებ, ოთხი-ხუთი წლის შემდეგ, ვანგარიშობ „თავის მოდელზე შეყვარებული მხატვრის“¹¹⁵ პირველი დადგმიდან, ამ სახელგანთქმულ ჩინში კატასაც ველარ შეხვდებით. საინტერესო ხალხია! თავიანთი სიმფონიები უარყვეს და იტალიური სიმფონიების შესრულება დაიწყეს. თანაც დარწმუნებულნი იყვნენ, მას თავიანთ სმენას ისე მოარგებდნენ, ვოკალურ მუსიკაში ცვლილებას არ შეიტანდნენ, თითქოსდა მუსიკა სიმღერაზე ისევე არ იყოს დამოკიდებული, როგორც სიმღერა ნამდვილ მელოდიაზე, ზოგიერთ იმ თვისებათა გამოკლებით, რომლის ნებასაც ინსტრუმენტის დიდი დიაპაზონი და თითების მოძრაობა იძლევა. თითქოსდა მევიოლინე მაიმუნივით არ აჯავრებდეს მომღერალს, ისევე როგორც ერთ დღეს სილამაზის ადგილს ეშმაკობა დაიჭერს, და მომღერალი მაიმუნივით თვითონ დაიწყებს მევიოლინეს გამოჯავრებას. ლოკატელის პირველი შემსრულებელი ახალი მუსიკის მოციქული გახდა. არა, ჩვენი მოტყუება უკვე აღარ შეიძლება. რა არის ეს? მაგათ უნდათ ვნებათა მოძრაობასა და ბუნების მოვლენათა ფენომენს, სიმღერის, სიტყვის, საკრავების მეშვეობით, მიბაძვითა და გამოჯავრებით მიგვაჩვიონ, რადგან ეს არის მუსიკალური გამოსახულების მთელი ზღვარი. ნუთუ ისევ ვირჩევთ ფრენას, შუბების ჩახუნს, ტრიუმფების, გამარჯვებისადმი სწრაფვას? „მოხდეს, რაც მოსახდენია, ჟან“. მათ წარმოიდგინეს, რომ, როცა სცენაზე მუსიკალურ ტრაგედიებში ან კომედიებში ტირილს ან სიცილს დაიწყებენ, იმ დროს, როცა მათ სმენას მისწვდება მძვინვარე სიძულვილის, ეჭვის, ჭეშმარიტი სიყვარულის ოხვრა-კვნესა, დაცინვა, ფრანგული ან იტალიური თეატრის ოხუნჯობა, ისევ ძველებურად „რაგონდას“ „პლატეს“¹¹⁶ თაყვანისმცემლებად დარჩებიან. სრული გაუგებრობაა. რაც უნდა თქვა, ეს არის: ტრა-რა-რა, ტრა-რა-რა. განუწყვეტლივ გრძნობდე, რა მსუბუქად, რა მოქნილად, რა სინაზით ეგუება იტალიური მეტყველების პარმონია, პროსოდია, ელიპსები, ინფერსიები, ხელოვნების მოთხოვნილებებს, მოძრაობას, გამომსახველობას, ხმის რიტმულ მონაცვლეობას, და ამასთან ვერ შეამჩნიო, რომ მათი მშობლიური ენა რა მოუქნელია, ყრუა, მძიმეა, პედანტურია და მონოტონური! დიახ, დიახ, სასაცილოა. ამათ თავი დაირწმუნეს, რომ მას მერე, რაც თავიანთი ცრემლი შეურიეს იმ დედის ცრემლს, რომელიც უნუგეშოდ დასტიროდა მკვდარ შვილს, მას მერე, რაც ტირანის ბრძანებაზე აკანკალდნენ, რომლის განაჩენითაც ეს მკვლელობა მოხდა, ეგონათ, მოსაწყენი აღარ გამოჩნდებოდა მათი ფეერიები, მათი უბადრუკი მითოლოგია, მათი დაშაქრული მადრიგალები, რომლებშიც პოეტის ცუდი გემოვნება და ხელოვანის უსუსურობა ჩანს. საინტერესო ხალხია! ეს ასე არ არის, და

არც შეიძლება იყოს. ჭეშმარიტებას, სიკეთეს, სილამაზეს საკუთარი უფლებები აქვს. ამაზე დაობენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოხიბლულნი რჩებიან. იმას, რაც სიმართლით, სიკეთით და სილამაზით არის აღბეჭდილი, შეუძლია მხოლოდ დროებით აღგვაფრთოვანოს, მაგრამ საბოლოოდ მთქნარებას მაინც დაგვაწყებინებს. მაშ, ამტყნებრუტატონებო, ამტყნარეთ, რაც შეგიძლიათ, ნუ შეგრცხვებათ. მტყნებრუტატონებო ჩემის სამეზის მეუფება, რომელსაც ჯოჯოხეთის ბჭენი ვერასოდეს შეარყევს, სადაც ჭეშმარიტება მამაა და სიკეთეს ჰქმნის; სიკეთეს, რომელიც არის ძე და რომლისგანაც მომდინარეობს მშვენიერება; მშვენიერება, რომელიც არის სულიწმიდა, სულ უფრო და უფრო მტკიცე ხდება. უცხოთა ღმერთი თავმდაბლად დგას საკურთხეველზე ადგილობრივი კერპის გვერდით. ნელ-ნელა ფენს იკიდებს, ერთ მშვენიერ დღეს იდაყვს გაჰკრავს თავის ამხანაგს, და ტყაპ! კერპი მიწაზე აღმოჩნდება. ამბობენ, ასე ავრცელებდნენ იეზუიტები ქრისტიანობას ჩინეთში და ინდოეთშიო. და რაც უნდა თქვან იანსენისტებმა, ყველაზე კარგი პოლიტიკური მეთოდი, ჩემი აზრით, ის მეთოდია, რომელიც მიზნისკენ უხმაუროდ, სისხლის დაუღვრელად, წამების გარეშე, უმსხვერპლოდ მიდის.

მმ — ყველაფერი, რაც თქვით, საკმაოდ გონივრულია.

ის — გონივრული? მით უკეთესი. მაგრამ ეშმაკმა წამილოს, თუ ამას ცოტათი მაინც ვცდილობდე. თავისთავად გამოდის ასე. მე იმ მუსიკოსებს ვგავარ, რომლებიც ბიძაჩემის გამოჩენის მერე ჩინში მოექცნენ. თუ მიზანში მოვარტყი ხომ კარგი, გზა მშვიდობისა! საქმე ის არის, რომ ყოველი მენახშირე უკეთ მოგიყვებათ თავისი საქმიანობის შესახებ, ვიდრე მთელი აკადემია და ყველა დიუმელი¹⁷ ამქვეყნად.

და აი, ბოლთის ცემას მოჰყვა, თავისთვის არიებს ღიღინებდა სხვადასხვა ოპერებიდან; დროდადრო ხმამალლა წამოიყვირებდა, თან ხელებს და თვალებს ზეცისკენ აღაპყრობდა: „განა ეს მშვენიერი არ არის, ეშმაკმა დალახვროს! განა ეს მშვენიერი არ არის! განა შეიძლება წყვილი ყური გებას და მსგავსი კითხვა დაგებადოს?“ მერე უფრო და უფრო აღეგზნო. ჯერ დაბალ ხმაზე მღეროდა, თავისთვის ჩუმად, მერე და მერე, რაც უმხში შევიდა, მით უფრო უმატა ხმას. ბოლოს საქმეში ჩაება ჟესტი, გრიმასი და სხეულის კრუნჩხვა. და ჩემს თავს 'ვუთხარი: „მაშ ასე, ისევ გარეკა და ახალ სცენას ამზადებს“. მართლაც დასტექა: „მე საცოდავი და უბედური... გამიშვით, ბატონო, გამიშვით... ოო, მიწავ, მიიღე ჩემი ოქრო. კარგად შემინახე ჩემი განძი... ჩემი სული, ჩემი სიცოცხლე! ოო, მიწავ!..“¹⁸ ერთად ახვავებდა და ერთმანეთში ურევდა ოცდაათ არიას იტალიურს თუ ფრანგულს, ტრაგიკულს თუ კომიკურს, ათასნაირ ხასიათს. ხან ძლიერი ბანით ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩადიოდა, ხან ფალცეტზე გადიოდა, ზეციურ მწვერვალებს ეჭიდებოდა; მიხვრა-მოხვრით, მთელი ტანით ცდილობდა გადმოეცა სხვა-

დასხვა საოპერო როლები, ხან გამძვინვარებული იყო, ხან დამშვიდებული, ხან მბრძანებლური, ხან დამცინავი. აი, ჩვენს წინ მტირალი ქალიშვილია, ნაზი და აღელვებული. ეს კი მღვდელია, ეს მეფე-ტირანი... იგი იმუქრება, მბრძანებლობს, მრისხანებს. ახლა მორჩილი მონაა, მშვიდი, მაგრამ სასოწარკვეთილი; ხან ჩივის, ხან იცინის; ცდილობს, არც ტონი დაარღვიოს, არც რიტმი, არც სიტყვის აზრი, ახსენებდასი-ათი. „ნაფოტებით“ მოთამაშებმა ჭადრაკის დაფებს თავი მიანებეს და რამოს შემოეხვივნენ. გამვლელები ხმაურმა მოიხიდა და ყავახანის ფანჯრებს მოაწყდნენ. ხარხარისგან ჭერი ირყეოდა, ის კი ვერაფერს ამჩნევდა და შემლილივით აღგზნებული, იმ ენთუზიაზმით იყო შეპყრობილი, რაც ასე ახლოა სიგიჟესთან, ამან ეჭვი აღმიძრა და მაფიქრებინა დაუბრუნდებოდა კი გონება, თუ ეტლში ჩასმა მომიწევს და პირდაპირ საგიჟეთში წაყვანა-მეთქი. სიმღერას განაკრძობდა, იომელის¹⁹ „ჩივილიდან“ ხაწყვეტს ასრულებდა. უჩვეულო სიზუსტით, დამაჯერებლობითა და ცეცხლით იმეორებდა ყოველ საუკეთესო ადგილს ოპერიდან. ის მშვენიერი რეჩიტატივი, სადაც წინასწარმეტყველი იერუსალიმის დაღუპვას ხატავს, ტირილით წარმოსთქვა და სხვებიც აატირა. მისი მოთქმა აღსავსე იყო სინაზით, გამომხატველობით, ღრმა მწუხარებით. იმ ადგილებს გამოყოფდა, სადაც განსაკუთრებით იგრძნობოდა კომპოზიტორის დიდი ხელოვნება. ვოკალურ პარტიას ტოვებდა და ორკესტრის მიბაძვაზე გადადიოდა, მერე ისევ სიმღერას უბრუნდებოდა. ამნაირად აერთებდა ერთს მეორესთან, მათ შორის განუწყვეტელ კავშირს და სრულ ერთიანობას იცავდა; ეუფლებოდა ჩვენს სულებს და რაღაც არაჩვეულებრივ დაძაბულ მდგომარეობაში ვყავდით, რაც არასოდეს განმიცდია... აღვფრთოვანდი? დიახ, აღვფრთოვანდი. სიბრალულმა შემიაყრო? დიახ, შემიაყრო; მაგრამ, მაინც რაღაც სასაცილო ელფერი ეძლეოდა ჩემს გრძნობას და ამახინჯებდა.

ხარხარს ვერ შეიკავებდით, რომ გენახათ, როგორ ბაძავდა სხვადასხვა საკრავს. ლოყებგამობერილი გადმოსცემდა ვალტორნებისა და ფაგოტების ხრინწიანსა და ყრუ ხმებს. პობოისთვის მყვირალა ნოტებს და დუდლუნა ხმებს იღებდა. როცა სიმებიანი საკრავების ხმებს გამოსცემდა, ცდილობდა რაც შეიძლება ზუსტად და სწრაფად გამოეხატა მათი ხმოვანება. პატარა ფლეიტები სტვენდა; დიდი ფლეიტები ღულუნებდა; როგორ ყვიროდა, მღეროდა, შემლილივით დაბორილობდა, ანსახიერებდა მოცეკვავე თუ მომღერალ ვაჟებსა და ქალებს, მთელ ორკესტრს, მთელ საოპერო თეატრს და ოც სხვადასხვა როლს მაინც ასრულებდა ერთდროულად; დარბოდა, შემლილის მხერით ჩერდებოდა, აღგზნებულ თვალებს აცეცებდა და ტუჩზე ქაფი ადგებოდა. აუტანელი სიცხე იდგა, შუბლის ნაოჭებიდან ოფლი ლოყებზე წურწურით ჩამოსდიოდა, ტანსაცმელზე ეცემოდა, და ნაკვალევს უტოვებდა. რაღას არ აკეთებდა ჩემს თვალწინ! ტიროდა, ყვიროდა, ოხრავდა, ხან ნაზად იყურებოდა, ხან მშვიდად, ხან გამძვინვარებული იყო; აგერ, მწუხარებისგან გრძნობადაკარგულ ქალად იქცა; თავის სასოწარკვეთილებაში ჩაფლული უბედური ქალი წარმოაჩინა; აი, ტადარი აღიმართა; ჩიტები მზის ჩასვლისას ჩაჩუმდნენ. ახლა განმარტოე-

ბულ, გრილ ადგილებში შხუილი გააქვს წყალს ან ძალაღი მთებიდან წარღვნასავით ეშვება. აი, გრიგალი, ქარიშხალი, დასაღუპად განწირულთა ყვირილს ჭექა-ქუხილი ერთვის. ხან სიბნელითა და დუმილით მოცული ღამე იყო თვალშეუდგამი, უკუნი წყვდიადი, ხანაც სიჩუმე, რადგან სიჩუმეც მელოდით გამოიხატება. აღარაფერი უკმოდდა უმცაოს. მერე ძალზე მოქანცული, თითქოს ღრმა ძილიდან, ანაწინაწინა ფიქრიდან გამოერკვაო, დადგა უძრავად, განევეებული და გაკვირვებული. მიიხედ-მოიხედა, როგორც გზაკვალაბნეულმა კაცმა, რომელიც ცდილობს გაიგოს სად არის. უცდიდა, როდის დაუბრუნდებოდა ძალა და გონება. თავისდაუნებურად სახეს იწმენდდა. ნამძინარევს ჰგავდა, რომელმაც გამოიღვიძა და საწოლთან თავმოყრილი ბევრი ხალხი დაინახა. ეტყობა, აღარც აბსოვდა, რასაც სჩადიოდა და რამდენიმე წამის შემდეგ წამოიყვირა: „რა ამბავია, ბატონებო, რა მოხდა? რას იცინით და რამ გაგაკვირვათ? — მერე დაუმატა: „აი, როგორი უნდა იყოს მუსიკა და მუსიკოსი. მაგრამ მაინც, ბატონებო, ლიულს აქვს პასაჟები, რომლებიც კრიტიკოსის ლანძღვას არ იმსახურებენ. აბა, ვინმემ სცადეთ და უკეთესად დაწერეთ მელოდია „აჰ, მე დავუცდი“¹²⁰ ისე, რომ სიტყვები არ შეცვალოთ. არა მგონია, ასეთი ვინმე გამოჩნდეს. კამპარას ზოგიერთი ნაწყვეტის უგულვებელყოფაც არ შეიძლება, ასევე ბიძაჩემის სავიოლინო მელოდებისა, მისი ვაჟოტებისა, ჯარისკაცთა და ქურუშთა გამოსვლებისა... „მკრთალი ჩირაღდნები. ღამეა საშინელი. უკუნი წყვდიადია... ჯოჯოხეთის სული, სული დავიწყებისა“. აქ მან ხმას ძალა დაატანა და იმგვარი ბგერები ამოუშვა პირიდან, რომ მეზობლები ფანჯრებს მოაწყდნენ და ჩვენც თითებიტ ყურები დავიცვით. მერე დაუმატა: „აქ ძლიერი ფილტვებია საჭირო; მთელი სხეული უნდა ჩართო, ბლომად ჰაერია საჭირო. ძალიან სწრაფად ჩაიარა ცად ამალლებამ, მას მოჰყვა მარხვაც და ნათლისღებაც. ამ მუსიკოსებმა კი ჯერ არ იციან, რა უნდა გადაიტანონ მუსიკაზე; ეს ნიშნავს, რომ არ იციან რა მოეთხოვება მუსიკოსს. ლირიული პოეზია ჯერ არ დაბადებულა. მაგრამ ამასაც მიაღწევენ, თლონდ ხშირად უნდა ისმინონ პერგოლეზი, საქსონელი,¹²¹ ტერადელიასი,¹²² ტრაეტა¹²³ და სხვები, მეტსატაზიოს¹²⁴ კითხვის დახმარებით აუცილებლად მიაღწევენ.

მე — ეს როგორ? მაშ, თქვენი აზრით, კინოს,¹²⁵ ლა მოტს,¹²⁶ ფონტენელს¹²⁷ არაფერი გაეგებოდათ?

ის — ახალი სტილისა — არაფერი. მათ მშვენიერ ლექსებში ერთსაც ვერ იპოვით, რომელთა გადატანა მუსიკაზე შეიძლებოდეს. ისინი ოსტატურად გაკეთებული სენტენციებია, მსუბუქი, დახვეწილი და მოხდენილი მადრიგალები. მაგრამ, თუ გნებავთ გაიგოთ, რამდენად უსარგებლოა ჩვენი ხელობისთვის, გამონაკლისი არ არის თვით დემოსთენეს ხელოვნებაც კი, ხმამაღლა წაიკითხეთ ეს ნაწყვეტები და ნახავთ, რა ცივი, მოშვეებული და მონოტონური არიან! მათში არაფერია იმგვარი, რაც შეიძლებოდა სიმღერის საფუძველი გამხდარიყო. დიდი სიამოვნებით გადავიტანდი მუსიკაზე ლა როშფუკოს¹²⁸ „მაქსიმებს“, ანდა პასკალის¹²⁹ „აზრებს“! მხოლოდ ვნების ცხოველური ყვირილი მო-

გვცემს იმას, ჩვენ რომ გვჭირდება. ერთი გამომსატველობა მეორეს უნდა მოსდევდეს. ფრაზა მოკლე უნდა იყოს, აზრი — გარკვეული და გამოკვეთილი, რათა კომპოზიტორს შესაძლებლობა ჰქონდეს დაეფიქსოს როგორც მთელს, ისე ცალკეულ ნაწილს, გამოტოვოს ან გაიმეოროს ერთი სიტყვა, ჩაურთოს ის, რაც აკლია, ღრუბეჭეჭიან კონტრალოს ფრაზა, ოღონდ ისე, არ დააზიანოს. ამიტომაცაა, რომ ფიქსირებული ლირიული პოეზია გაცილებით რთულია, ვიდრე იმ ენების პოეზია, რომელთაც ბუნებით ახასიათებს ინვერსიები, რადგან მათში სიტყვათა რიგი თავისუფალია... „სასტიკო ბარბაროსო, გულში ჩამკარ ხანჯალი. მე მზად ვარ მივიღო ეს საბედისწერო განაჩენი. დამკარ. გაბედე... აჰ! მოვეშვი, ვკვდები... საიდუმლო ცეცხლი ინთება ჩემს გულში... უღმობელო სიყვარულო, რა ვინდა ჩემგან? დამიტოვე ტკბილი სიმშვიდე, რითაც ვხარობდი... დამიბრუნე გონება...“. ვნება ძლიერი უნდა იყოს; მუსიკოსისა და ლირიული პოეტის სინაზემ უნდა უმაღლეს ზღვარს მიაღწიოს. არია თითქმის ყოველთვის სცენის დასკვნითი ნაწილია. ჩვენ გვჭირდება შეძახილები, ვაკვირვება, პაუზები, დროებითი შეჩერებები, მტკიცება, უარყოფა. ჩვენ ვეძახით, ვემდურებით, ვყვირით, ვკვნესით, ვტირით, გულიანად ვიცინით, არ გვჭირდება ჭკუამახვილობა, ეპიგრამები, არც აზრის დახვეწილობა, ყოველივე ეს ძალზე შორს დგას უბრალო ბუნებისგან. და არ იფიქროთ, რომ მსახიობთა თამაში, მათი დეკლამაცია შეიძლება ნიმუშად გამოგვადგეს. რაში გვჭირდება! ნიმუშად ჩვენ გვჭირდება უფრო ძლევა მოსილი, ნაკლებად ხელოვნური, უფრო მართალი რაღაც. უბრალო მეტყველება, ჩვეულებრივი ვნება მით უფრო აუცილებელია ჩვენთვის, რაც უფრო მონოტონური და ნაკლებ გამომსახველია ენა. ცხოველური ყვირილი და ვნებით შეპყრობილი ადამიანის გმინვა გამომსახველობასაც მისცემს და სიცოცხლესაც.

ვიდრე ასე მელაპარაკებოდა, ირგვლივ შემოჯარული ხალხი დაიშალა, ეტყობა, ვერაფერს მიხვდნენ, ან ნაკლებად აინტერესებდათ ის, რასაც ამბობდა, რადგან როგორც ზავშევებს, ისევე მოზრდილებსაც, სწავლას თავშესაქცევი ამბები ურჩევნიათ. ყველა შეწყვეტილ თამაშს დაუბრუნდა და მარტონი დავრჩით. რამო კუთხეში სკამზე იჯდა, თავი კედელზე მიეყრდნო, ხელები ჩამოეშვა, თვალები ნახევრად დაეხუჭა. და მითხრა: — არ ვიცი, რა დამემართა. აქეთ რომ მოვდიოდი, თავს მხნედ და კარგად ვგრძნობდი. ახლა დაღლილი და დაქანცული ვარ, თითქოს ათი ლიე გამევიდეს ფენით. უცებ მომერია რაღაცა.

მე — გასაკრილებელი ხომ არ მოგიტანოთ რამე?

ის — სიამოვნებით. ვგრძნობ ხმა ჩამეხრინწა, ძალა გამომელია და მკერდშიც რაღაცა ცოტა მტკივა. თითქმის ყოველდღე მემართება ასე, არ ვიცი რად.

მე — რას დალევთ?

ის — რაც ვნებავთ. განსაკუთრებული მოთხოვნების კაცი არ გახლავართ. გაჭირვებამ მასწავლა იმით დავკმაყოფილდე, რაზეც ხელი მიმიწვდება.

ლუდი მოგვიტანეს და ლიმონათი. დიდი ჭიქა ორჯერ თუ სამჯერ გაივსო და ზედიზედ უცბად გადაჰკრა. მერე თითქოს გამოცოცხლდაო, მძლავრად ჩაახველა, ისევ აბორვდა და განაგრძო:

— მაგრამ, აბა განსაჯეთ, ბატონო ფილოსოფოსო, ვინა განსაცვიფრებელი არ არის, რომ ვიღაც უცხოელი, ვიღაც ექსტრემული ვინმე დიუნი გვასწავლის, როგორ გავხადოთ ჩვენი მუსეგა-გამომსახველი, როგორ დავუმორჩილოთ სიმღერა რიტმს, ტაქტს, ინტერვალს, დეკლამაციის წესებს და არ დავარღვიოთ პროსოდია. მაგრამ ეს ხომ არც ისე დიდი სიბრძნეა. ვისაც კი მოუსმენია, როგორ თხოულობს გლახაკი ქუჩაში მოწყალებას, ან განრისხებული კაცი უნახავს, ან ეჭვით გამძვინვარებული ქალი, სასოწარკვეთილი მიჯნური, ან პირმოთნე ვინმე... ოო, როგორ უხდება პირმოთნეს შემპარავი ხმა და დათაფლული სიტყვები; ერთი სიტყვით, ვინც მოწმე გახდება დიდი ვნებისა და სულერთია როგორი ვნებისა, ოღონდაც კი თავისი ძალით მუსიკოსის შთამაგონებლად გამოდგეს, მაშინვე მიაქცევენ ყურადღებას ორ გარემოებას: პირველი, რომ გრძელ და მოკლე მარცვლებს არა აქვთ მუდმივი სიგრძე და მათ ხანგრძლივობაშიც არავითარი განმსაზღვრელი დამოკიდებულება არ არსებობს; რომ ვნება პროსოდით ისე სარგებლობს, როგორც სურს. არ ჩერდება არავითარი ინტერვალის წინაშე, და ადამიანი, რომელიც უკიდურეს მწუნარებაშია, წამოიყვინებს: „ვაი, რა უბედური ვარ!“ ამოძახილის გამომხატველ ბგერას ყველაზე მაღლა სწევს და ძლიერ მკვეთრად გამოთქვამს, სხვებს კი მთელი ოქტავით ადაბლებს, ან დიდ ინტერვალამდე დაჰყავს, ყველა ბგერას, რომელსაც მელოდის ხასიათს უთანხმებს, ხანგრძლივობას ანიჭებს. ამით არ შეურაცხყოფს სმენას, გრძელსა და მოკლე მარცვლებში არც ხანგრძლივობას იცავს, არც ხანმოკლეობას, რაც მშვიდად წარმოთქმული სიტყვის დამახასიათებელია. რა გზა გავიარეთ იმის შემდეგ, რაც „არმიდას“ შესავალი ნაწილი, არია „ურყევი მორჩილება“ და „გალანტური ინდოეთი“ სასახელოდ გვექონდა და მუსიკალური დეკლამაციის სასწაული გვეგონა. ახლა კი ამ სასწაულზე მხოლოდ მხრებს აიჩეჩავ, რადგან ხელოვნება ისე სწრაფად მიიწევს წინ, რომ არ ვიცი სადამდე მივა. მანამდე კი მოდით დავლიოთ.

ორი თუ სამი ჭიქა ზედიზედ უაზროდ გადაჰკრა, ბოთლი რომ განზე არ გამედგა, ისევე უნებურად შეიძლება ჩამხრჩვალყო წყალში, როგორც წელან მოიქანცა, რადგან გონგაფანტული მაინც ბოთლს ეძებდა. ვკითხე:

მე — როგორ მოხდა, რომ ასეთი დახვეწილი გონების კაცი, მუსიკალური ხელოვნების აღქმაში ამგვარი გრძნობის პატრონი, ესოდენ ბრმა ხართ მორალის მშვენიერებისადმი და ასეთი უგრძნობი — სათნოების მომხიბვლელობის წინაშე?

ის — ალბათ იმიტომ, რომ არ გამაჩნია მათთვის ესოდენ აუცილებელი გრძნობა, საჭირო სიმი, ან თუ გამაჩნია, ისეთი სუსტია, რომ რამდენიც უნდა ამოძრაო, ხმას არ გამოსცემს. შეიძლება ამისი მიზეზი ისიც გახლავთ. რომ ყოველთვის კარგ მუსიკოსებსა და ცუდ ადამიანებს

შორის ვცხოვრობდი, რის გამოც სმენა გამიმახვილდა, გული კი დაძი-
 ყრუვდა. ვარდა ამისა, რაღაცა თანდაყოლილიც უნდა იყოს: სისხლი,
 მამაჩემი და ბიძაჩემი ერთი სისხლისა იყვნენ. ჩემი სისხლიც ისეთივეა,
 როგორც მამაჩემისა იყო. მამისეული მოლექულა კი მკვრივი და ჭლა-
 გვი გახლდათ. და ამ დაწყევლილმა პირველადმა მოლექულამ უფულა
 დანარჩენი შთანთქა.

მე — შეილი³⁰ გიყვართ?

ის — მიყვარს თუ არა ის პატარა ველური? დიახ, სიგიჟემდე მი-
 ყვარს.

მე — და ნუთუ არაფერს იღონებთ მაგ დაწყევლილი, მამისეული
 მოლექულის წინააღმდეგ?

ის — ვფიქრობ, შრომა ამაოდ ჩამივლის. და თუ მას პატიოსან
 ადამიანად ყოფნა უწყურია, ხელს არ შევუშლი. მაგრამ თუ მოლექუ-
 ლამ მოისურვა და იგი ისეთივე გაიძვერა გამოვიდა როგორც მამამი-
 სია, მაშინ მთელი ჩემი მცდელობა, პატიოსნად ვაქციო, მხოლოდ უდი-
 დეს ზიანს მოუტანს. აღზრდის გავლენა გადაეხლართება მოლექულის
 გავლენას, ორი საწინააღმდეგო ძალის ქვეშ მოიქცევეს და აიძულებს
 ცხოვრების გზაზე ბარბაცით იაროს; როგორც ბევრი დადის, მოუხე-
 შავი და მოუქნელი, ერთნაირად ხელმოცარული, როგორც კეთილ, ისე
 ბოროტ საქმეში. ასეთ ხალხს პირუტყვს ვეძახი, ეპითეტთაგან ყველა-
 ზე საშინელს, რადგან იგი ზიზლის უკანასკნელ საფეხურს აღნიშნავს.
 დიდი გაიძვერა დიდ გაიძვერად დარჩება, მაგრამ არავითარ შემთხვე-
 ვაში პირუტყვი არ იქნება. ვიდრე მამისეული მოლექულა ბავშვში გა-
 ბატონდება და იქამდე მიიყვანს, სადამდეც მე მივედი ანუ სრულ დაცე-
 მამდე; გაივლის უსაზღვროდ დიდი დრო და დაკარგავს საუკეთესო
 წლებს. ჯერ არაფერში ვერევი, მარტო თვალყურს ვადევნებ. უკვე ლო-
 რმუცელაა, ცბიერი, გაიძვერა, ზარბაცი, მატყუარა, და მეშინია, რომ
 შემკვიდრეობით ბუნებას არც ის უღალატებს.

მე — და თქვენ მუსიკოსად აქცევთ, რომ მსგავსება სრული იყო,
 ხომ?

ის — მუსიკოსი! მუსიკოსი! ხანდახან კბილების ღრჭილით შევ-
 ყურებ ხოლმე და ვეუბნები: თუ ოდესმე ერთი ნოტიც კი შეგისწავ-
 ღია, იცოდე კისერს მოგიგრეს-მეთქი.

მე — რატომ, გეთაყვა?

ის — იმიტომ, რომ ამით ადამიანი ვერაფერს მიაღწევს.

მე — ყველაფერსაც მიაღწევს.

ის — დიახ, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ სრულყოფილებამდე მი-
 ვა. მაგრამ საიდან უნდა გქონდეს იმედი, რომ შენი შეილი სრულყო-
 ფილებას მიაღწევს? სანაძლეოს ვდებ, ათი ათასს ერთის წინააღმდეგ,
 რომ ჩემი შვილისგან ისეთივე უხეირო დამკვრელი გამოვა, როგორც
 მე ვარ. იცით კი, რომ ისეთი ბავშვის პოვნა უფრო ადვილია, რომელიც
 სამეფოს მართვას შეძლებს, ვიდრე იმ ბავშვისა, რომელიც დიდი მევიო-
 ლინე გამოვა?!

მე — ვფიქრობ, საშუალო, მაგრამ სასურველი ნიჭით დაჯილ-
 დობული ადამიანი ზნეობრივად შერყეულ, გარყვნილებასა და ფუფუ-

ნებაში ჩაფლულ საზოგადოებაში სწრაფად მიაღწევს დიდ წარჩინებასა და სიმდიდრეს. მე თვითონ ვყოფილვარ მფარველსა და მთხოვნელს შორის გამართული საუბრის მოწმე. ამ ყოვლისშემძლე კეთილდღეობა მთხოვნელს ჰკითხა: „— რა ცოდნა გაქვთ, ბატონო?“

— არა უშავს რა, მათემატიკა ვიცი.

— მაშინ ასწავლეთ მათემატიკა. პარიზის ქუჩებში ათი თუ თორმეტი წელი იარეთ ტალახში ამოსვრილმა და წელიწადში სამასი-ოთხასი ლივრი გექნებათ შემოსავალი.

— კანონმცოდნეობას ვსწავლობდი და სამართლისაც გამეგება რაღაცა.

— პუფენდორფი¹³¹ და გროციუსი¹³² რომ წამოდგნენ საფლავებიდან, ღობის ძირში დაიხოცებიან შიმშილით.

— კარგად ვიცი ისტორია და გეოგრაფია.

— ისეთი მშობლები რომ არსებობდნენ კიდევ, რომლებსაც საკუთარი ბავშვების აღზრდა გულთან მიაქვთ, თქვენ კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნებოდა, მაგრამ ასეთი მშობლები სადღა არიან?

— საკმაოდ კარგი მუსიკოსი გახლავართ.

— რატომ მაშინვე არ მიიხარით, რათა თქვენთვის ამეხსნა რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს კაცს ამ ნიჭმა. ქალიშვილი მყავს, ყოველდღე მობრძანდით, საღამოს რვის ნახევრიდან ცხრა საათამდე მუსიკის გაკვეთილებს ჩაუტარებთ და წელიწადში ოცდახუთ ლუიდორს მიიღებთ. ჩვენთან ისაუზმებთ, ისადილებთ, ისამხრებთ და ივასშმებთ. დღის დარჩენილი ნაწილი კი თქვენ გეკუთვნით, შეგიძლიათ ისე მოიხმაროთ, როგორც გნებავთ“.

ის — მერე რა მოუვიდა იმ კაცს?

მე — ჭკვიანი რომ ყოფილიყო გამდიდრდებოდა, მგონი, ეს იფიქრეთ არა?

ის — ცხადია. დიან, ოქრო, ოქრო ყველაფერია და სხვა ყველაფერი ოქროს გარეშე არაფერია. ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ ტვინი გამოვულაყო ნატიფი ქცევების სწავლებით, რომელიც, რა თქმა უნდა, მალე დააფიწყდება, გლახაკად რომ არ იქცეს, ისა სჯობია, ჩემს შვილს ფულის ყადრი ვასწავლო. როცა ლუიდორი მაქვს, რაც არც ისე ხშირად ხდება ხოლმე, მის პირდაპირ ვჯდები, ლუიდორს ჯიბიდან ვიღებ და აღფრთოვანებული ვუჩვენებ, თვალებს ზეცისკენ აღვაპყრობ, მის დასანახად ვკოცნი ფულს; უკეთესად რომ გაიგოს ამ წმინდა მონეტის მნიშვნელობა, დავტიკტიკებ, ხელებით გამოვხატავ ყველაფერს, რისი შექენაც ამ ლუიდორის მეშვეობით შეიძლება: მშვენიერი შარვალი, ლამაზი ქუდი, გემრიელი ნამცხვარი. მერე ლუიდორს ჯიბეში ვიღებ, ოთახში ამაყად დავდივარ, სერთუკის კალთას ვიწვევ, ხელს ვირტყამ ჯიბეზე: აი, ასე ვაგებინებ, რომ ამ ლუიდორისგან მოდის მთელი ჩემი რწმენა.

მე — უკეთესს ვერც მოიგონებს კაცი. მაგრამ, უცბად რომ მოხდეს და, ამ ლუიდორის სიდიადით გატაცებულმა, ერთ მშვენიერ დღეს, მან...

ის — მიგისვდით. ამაზე თვალი უნდა დახუჭოთ. არ არსებობს ისეთი ზნეობრივი კანონი, რომელსაც თავისი შეუსაბამობა არ გააჩნდეს. უარეს შემთხვევაში, რამდენიმე უსიამოვნო წუთის განცდა მოგიწევთ და ამით ყველაფერი დამთავრდება.

მე — ასეთი თამაში და ბრძნული მსჯელობის შემდეგ ვლინდები აზრისა ვარ, რომ კარგი იქნებოდა მუსიკოსი გამოგეყვანათ ქვეყანაში. შუალება არ ვიცი საიმიხსოდ, რომ, რაც შეიძლება სწრაფად მიუახლოვდეს კაცი ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ემსახუროს მათ ბიწიერებას და თავადაც ნახოს სარგებლობა.

ის — მართალია. მაქვს ისეთი გეგმა, რითაც სწრაფად და უფრო ზუსტად უზრუნველყოფ წარმატებას. აჰ, ჩემი შვილი რომ გოგონა ყოფილიყო! მაგრამ რადგანაც ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რაც გვაქვს და იქიდან ვნახოთ სარგებელი. იმ მაშებისგან განსხვავებით, რომლებიც ისე იქცევიან, თითქოს თავიანთი შვილების დაღუპვა განუზრახავთო, გადავწყვიტე სისულელე არ ჩავიდინო და იმ ბავშვს, რომელსაც პარიზში ცხოვრება უწერია ლაკედემონურად არ აღვზარდო.¹¹³ თუ აღზრდა ცუდი აღმოჩნდება, დამნაშავე ჩემი ერის ზნე-ჩვეულებები იქნება და არა მე. ვისაც უნდა, იმან აგოს პასუხი. მე კი ჩემი შვილის ბედნიერება მინდა, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მინდა პატივისცემით სარგებლობდეს, მდიდარი იყოს და გავლენიანი. ცოტა რამ ვიცი იმ ყველაზე მოხერხებული გზების შესახებ, რომელიც ამ მიზნამდე მიიყვანს და თავის დროზე ვასწავლი კიდევ. თუ თქვენ და თქვენი მსგავსი ბრძენები განმსჯიან, ბრბო და წარმატება გამამართლებს. ჩემს შვილს ოქრო ექნება, ამას მე გეუბნებით; თუ ბევრი ოქრო ექნება, მაშინ არაფერი დააკლდება, თვით თქვენი პატივისცემა და რიდიც კი.

მე — აქ კი შეიძლება შეცდეთ.

ის — არადა, სხვებივით ისიც გაძლებს უამისოდ.

მის ნათქვამში ბევრი რამ იყო იმგვარი, რასაც ხშირად ფიქრობს ადამიანი და რითაც ცხოვრებაში ხელმძღვანელობს, მაგრამ ლაპარაკით კი არ ლაპარაკობს. აი, არსებითად, რა არის ყველაზე მკვეთრი განსხვავება ჩემს მოსაუბრესა და ირგვლივ მყოფ უმრავლესობას შორის. მან აღიარა საკუთარი და სხვისი ბიწიერებანი, მაგრამ ფარისეველი არ იყო. სხვებზე არც მეტად და არც ნაკლებად საზიზღარი, ოღონდ — უფრო გულღია და თანამიმდევრული საკუთარ უზნეობაში, და ზოგჯერ უფრო ღრმაც თავის გარყვნილებაში. შემაყრეოლა იმის გაფიქრებაზე, თუ რა დაემართებოდა მის შვილს ამგვარი აღმზრდელის ხელში. ეჭვი არ არის, მსგავსი შეხედულებებით, რომელიც ასე ზუსტად იყო მორგებული ზნე-ჩვეულებებთან, იგი შორს წავიდოდა, თუ გზაზე, საერთოდ, რამე არ შეაჩერებდა.

ის — ოო, ნუ გეშინიათ, — მითხრა მან. — ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ძნელი, რაზეც განსაკუთრებით უნდა იზრუნოს ნამდვილმა მამამ, ის კი არ გახლავთ, რომ ბავშვში ის მანკიერება განა-

ვითაროს, რაც მას გაამდიდრებს, ანდა ის სასაცილო თვისებები, რითაც წარჩინებულთა ყურადღებას მიიპყრობს (ამას ყველა აკეთებს, თუ სისტემით არა, როგორც მე, სწვების მიბაძვით მაინც), არამედ ის, რომ ზომიერების გრძნობა შთაუწერვოს, შერცხვენისგან, სახეობის გატეხისგან და კანონიერებისგან თავის დაღწევის ხელოვნებას შეასწავლოს. ეს ყოველივე საზოგადოებრივი პარმონიის დისონანსების შემთხვევაში სწორი განლაგება, მომზადება და დაცვა უნდა იცოდეს. იმაზე უხამსი არაფერია, ვიდრე მთლად სწორი აკორდების რიგი. აუცილებელია ისეთი რალაცა, რაც ბასრია, რაც სინათლის სხივების კონას ჰკვეთს და ირგვლივ ფანტავს.

მმ — ძალიან კარგი. ეს შედარება საშუალებას მაძლევს ხნეობიდან ისევ მუსიკაზე გადავიდეთ, რომლისგანაც, ჩემდა უნებურად, განზე გავდექი. ამისთვის მადლობას მოგახსენებთ, რადგან, უნდა გითხრათ, თქვენში მუსიკოსს უფრო ვაფასებ, ვიდრე მორალისტს.

ის — მაგრამ მე მდარე მუსიკოსი განლაგართ, მორალისტი კი დიდებული.

მმ — ეჭვი მეპარება, მაგრამ ასეც რომ იყოს, მაინც ეჭვი შემეპარებოდა. პატიოსანი კაცი ვარ და თქვენი პრინციპები ჩემს პრინციპებს არ ეთანხმება.

ის — მით უარესი თქვენთვის. აჰ! თქვენი ნიჭი რომ მქონდეს!..

მმ — თავი დაანებეთ ჩემს ნიჭს და დავუბრუნდეთ თქვენსას.

ის — თქვენსავით რომ შემეძლოს აზრის გამოსატყვა! საზიზღარი, საშინელი, გაუგებარი ენა მაქვს, სანახევროდ მაღალი წრისა და მწიგნობრული, სანახევროდ კი ქუჩის ბიჭებისა.

მმ — მეც ცუდად ვლაპარაკობ. მარტო სიმართლის თქმა შემეძლია, ეს კი, როგორც თქვენთვის ცნობილია, მუდამ სასიამოვნო არ არის.

ის — თქვენი ნიჭი იმისთვის სულაც არ მჭირდება, რომ სიმართლე ვთქვა, პირიქით, იმისთვის მინდა, რომ უკეთ ვიცნო. წერა რომ შემეძლოს, წიგნის შეთხზვა, მიძღვნების გალექსვა, სულელს მისი ღირსებების აღწერით დავახვევდი თავბრუს, ქალებს კი სანდო ადამიანად მოვაჩვენებდი თავს.

მმ — ყოველივე ამას ათასჯერ უკეთ შეძლებთ, ვიდრე მე და თქვენს მოწაფედაც კი არ გამოვდგები.

ის — ბევრი ისეთი თვისება გაქვთ, რომლის ფასიც თვითონაც არ იცით!

მმ — ზუსტად იმდენს ვღებულობ, რაცა ვღირვარ.

ის — ასე რომ იყოს, ამ ცუდად შეკერილ ტანსაცმელს, ამ უხეში ნაჭრის გამზოლს, ამ შალის წინდებსა და მძიმე ფეხსაცმელს არ ჩაიცმევდით, არც ამ ძველმოდურ პარიკს დაიდებდით თავზე.

მმ — გეთანხმებით. მაგრამ კაცი, რომელიც სიმდიდრის მოსაპოვებლად არაფერს თაკილობს და მაინც ღარიბია, ძალზე მოუხერხებელი ვინმე უნდა იყოს. მაგრამ ხომ არსებობენ ჩემნაირი უცნაური ადამიანები, რომლებიც ამქვეყნად სიმდიდრეს ყველაზე დიდ განძად არ მიიჩნევენ.

ის — უცნაურზე უარესია! ამგვარი ჭკუით არაფინ იბადება. ადამიანები თვითონვე იწრთობენ ჭკუას, რადგან იგი თავისთავად ბუნებაში არ არსებობს.

მე — ადამიანის ბუნებაში?

ის — ადამიანის ბუნებაში. ყველა ცოცხალი არსება, ყველაფერივე არც ადამიანი წარმოადგენს, თავის ბედნიერებას აგებს თავისივე ვისზედაცაა დამოკიდებული. დარწმუნებული ვარ, ჩემი პატარა ველური ბიჭი მეტვალყურეობის გარეშე რომ დავტოვო, არაფერი ავუხსნა, მაინც მოინდომებს მდიდრულად ჩაცმას, ნუგბარ საჭმელ-სასმელს, ადამიანების კეთილგანწყობას, ქალების სიყვარულს და მოიხვეჭს ყველა სიკეთეს, რაც კი ქვეყანაზე არსებობს.

მე — თუ პატარა ველურს მწვრთნელი არ ეყოლება და საკუთარი ჭკუის ანაბარა დარჩება, ის მთელს თავის უფიცობას შეინარჩუნებს და პატარა ბავშვის უგუნურობას ოცდაათი წლის მამაკაცის ვნების სიმძაფრეს მიუმატებს, მაშინ მამას კისერს მოუგრებს, დედას კი ნამუსს ახდის.

ის — ეს კარგი აღზრდის აუცილებლობას ამტკიცებს. ვინ დავობს? რა არის კარგი აღზრდა, თუ არა ის, რასაც ადამიანი ნეტარებისკენ მიჰყავს, ოღონდ ისე, რომ არავითარი განსაცდელისა და უხერხულობის შიში არ ჰქონდეს?

მე — თითქმის გეთანხმებით. მაგრამ შემდეგი ახსნა-განმარტებებისგან თავი შევიკავოთ.

ის — რატომ?

მე — იმიტომ, რომ ვშიშობ, ჩვენი შეთანხმება მხოლოდ გარეგნული იქნება, და თუ კიდევ დავიწყებთ განსაცდელისა და უხერხულობათა აცილებაზე კამათს, იქნებ, ველარც კი შევთანხმდეთ.

ის — მერე რა?

მე — მოვრჩეთ დავას. იმას, რაც ამ საკითხზე ჩემთვისაა ცნობილი, სულერთია, ვერ შეგაგნებინებთ. თქვენთვის გაცილებით ადვილია მასწავლოთ ის, რაც მუსიკაში არ ვიცი, ძვირფასო რამო, ვილაპარაკოთ მუსიკაზე; მითხარით ერთი, როგორ მოხდა, რომ თქვენი ალლოსა და მახსოვრობის პატრონმა, რომელსაც ამგვარი ზედმიწევნით შეგიძლიათ გადმოსცეთ დიდი კომპოზიტორების ნაწარმოებების საუკეთესო ადგილები, თანაც მათეული მძაფრი შთაგონებით და ამგვარადვე გადასცემთ სხვასაც; ვერ შექმენით რაიმე ღირსეული.

პასუხის ნაცვლად თავის ქნევას მოჰყვა, თითი ცისკენ აღმართა და წარმოთქვა: „— ვარსკვლავი! ვარსკვლავი! როცა ბუნება ქმნიდა ლეოს, ვინჩის,¹³⁴ პერგოლესს, დიუნს, იგი იღიმებოდა. მაგრამ მედიდური და პირქუში სახე მიიღო, როცა ჩემი ძვირფასი ბიძის რამოს შექმნას შეუდგა, რომელსაც ათიოდე წელი კიდევ თუ მოიხსენიებენ დიდ რამოდ, მერე კი სულაც დაივიწყებენ. მაგრამ როცა ბუნებამ მისი ძმისწულის ძერწვა დაიწყო, დაიღმიჭა, და კიდევ დაიღმიჭა“. ამ სიტყვების თქმაზე თავადაც იღმიჭებოდა და ყველანაირად იცვლიდა სახის გამო-

მეტყველებას, ხან ზიზღს გამოხატავდა, ხან სიძულვილს, ხან ირონიას, ხოლო მისი თითები თითქოს ცოტს ზელსო, ისე მოძრაობდნენ, თავად კი იღიმებოდა იმ სასაცილო ფორმებზე, რომელსაც ვითომდა აძლევდა. მერე ვითომ შორს მოისროლა გამოძერწილი მახინჯი ფიგურა და თქვა: — აი, ამგვარად შექმნა ბუნებამ და ასე მოქცეულა მახინჯთა გვერდით, რომელთაგან ზოგი ღიპიანი იყო, ზოგი კი ღიპიანი გადმოკარკლული, ზოგს მოკლე კისერი ჰქონდა, ზოგს აპოპლექსური იერი, ზოგი კისერმოღრეცილი იყო, ზოგი გამხდარ-გალეული და ცხვირნისკარტა. როგორც კი დამინახეს ყველა ახარბარდა. მათ დანახვაზე ფერდებზე ხელები მოვიჭირე და მეც ავხარხარდი; სულელები და გიჟები ხომ თავს იმით ირთობენ, რომ ერთმანეთს შეჭურებენ, ერთმანეთს ეძებენ და ერთმანეთს იზიდავენ. მათთან მისვლისას ეს ანდაზა რომ არ არსებულყო, თვითონ შევთხზავდი: „სულელთა ფულები ჭკუიანთა საკუთრებააო“. ვგრძნობდი, რომ ბუნებამ ამ მახინჯთა ქისაში ის წილი ჩადო, რაც მე მერგებოდა და ათასგვარი საშუალება გამოვიგონე, რომ მართლა ამომეღო იქიდან.

მე — ვიცი ეგ საშუალებები. უკვე მიაბნეთ და ფრიად აღფრთოვანებულიცა ვარ. მაგრამ ამდენი საშუალებებიდან რატომ არ სცადეთ კარგი ნაწარმოების შექმნა?

ის — ეს იმ საუბარს მაგონებს, რომელიც ერთი მაღალი წრის ადამიანსა და აბატ ლე ბლანს შორის გაიმართა... აბატი ამბობდა: „— მარკიზა პომპადურმა ხელში აყვანილი მიმიყვანა აკადემიის ზღურბლამდე, იქ კი ხელი გამიშვა, ძირს დავეცი და ორივე ფეხი მოვიტეხე...“. მაღალი წრის კაცმა უპასუხა: „— მერე რა, აბატო, უნდა წამოდგეთ და შუბლით შეამტვრიოთ ჯარი...“. აბატმა მიუგო: „— მეც ასე მოვიქეცი, და იცით როგორ დასრულდა ყველაფერი? შუბლზე კოპი დამაჯდა“.

ეს მიაბნო და თავჩაღუნულმა, დაფიქრებულმა, დაბეჩავებულმა ბოლთის ცემა დაიწყო. ოხრაგდა, ტიროდა, სასოწარკვეთილმა ზეგით აღაპყრო ხელებიცა და თვალებიც, თავში ისეთი ძალით იკეცდა მუშტს, შემეშინდა თავი არ გაიტეხოს, ან თითები არ დაიმტვრიოს-მეთქი. ამას აკეთებდა და თან ამბობდა: „— მე მაინც მგონია, რომ ამ თავში რალაც არის, მაგრამ რაც უნდა გაყანყალო, მაინც არაფერი გამოდის“. მერე ისევ მოჰყვა თავის ქნეკას, შუბლზე ხელის ცემას და დაუმატა: „— ან შიგ არავინ არის, ან არ სურს მიპასუხოს“.

ერთი წუთის შემდეგ ამაყი გამომეტყველება მიიღო, თავი ასწია, მარჯვენა ხელი გულზე მიიღო, აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა და თან იმეორებდა: „— ვგრძნობ, დიახ, ვგრძნობ“. იგი ბაძავდა ადამიანს, რომელიც ბრაზობს, შფოთავს, გულანვილებულია, მბრძანებლობს, ემუდარება და ყოველგვარი მომზადების გარეშე წარმოთქვამდა რისხვით, თანაგრძნობით, სიძულვილით, სიყვარულით სავსე სიტყვებს. საკვირველი სინატიფითა და განსაცვიფრებელი სიმართლით გადმოსცემდა გრძნობათა ხასიათს. მერე დაუმატა: — მგონი, ასეა. საქმე წინ მიდის.

აი, რას ნიშნავს დროზე იპოვო ბებია ქალი, რომელსაც შეუძლია, გამოიწვიოს, დააჩქაროს მშობიარობა და ბავშვს დაბადება აიძულოს. როცა მარტო ვარ, კალამს ვიღებ, მინდა რამე დაეწერო, ფრანგებს ვიკვნეტ, შუბლს ვისრეს, მაგრამ, საღამო მშვიდობისა, თქვენი ძორჩილი მსახური, ღვთაებრივი ცეცხლი არ ჩანს. თავს ვირწმუნებდი რომ ნიჭი მქონდა, მაგრამ ჩემს დაწერილ სტრიქონებში ვუჩინებდი რომ სულელი ვარ, სულელი, სულელი... მაგრამ, განა შეიძლება იგრძნო, სულით ამალდებ, იაზროვნო, ბრწყინვალედ აღწერო და ძლიერი სახეები შექმნა, როცა ხალხს იმისთვის ეტანები მაძლარი რომ იყო, როცა მხოლოდ ასეთი ჭორები და ლაყბობა გესმის: „— დღეს ბულვარი ზღაპრული იყო. პატარა მარმოტს უსმინეთ? შეუდარებლად თამაშობდა. ამა და ამ ბატონს ისეთი საოცრად ლამაზი ნაცრისფერხალეებიანი ცხენები ჰყავს, რომ უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია. ამა და ამ ქალბატონის სილამაზე უკვე ჭკნება. განა შეიძლება ორმოცდახუთი წლის ქალმა ასეთი ვარცხნილობა ატაროს? ესა და ეს ახალგაზრდა ქალი სულ ბრილიანტებით არის დაფარული, რომლებიც არაფერი დაფდომია, — გინდოდან გეთქვათ, ძალიან ძვირი დაუჯდათ? — რას ბრძანებთ, სრულიადაც არა. — სად ნახეთ? — გოლდონის პიესის „არლეკინის დაკარგული და ნაპოვნი ბავშვის“ წარმოდგენაზე. სასოწარკვეთის სცენა კარგად შეასრულა, ასე არასოდეს უთამაშია. ბაზრის ეს პოლიშინელი¹³⁵ მთელი ხმით ღრიალებდა, არც სიფაქიზე აქვს და არც სული. ამა და ამ ქალბატონმა ტყუპი ბავშვი შობა; ორი მამა ჰყავთ და სათითაო შეხვდებით“. ნუთუ გგონიათ, რომ, როცა ყოველდღიურად ამგვარ მონაჩმახს ისმენთ, ლაპარაკობთ, იმეორებთ თქვენი შემოქმედებითი ცეცხლი აინთება რაიმე დიდის შესაქმნელად?

მე — არა. უმჯობესია მანსარდაში ჩაკეტილი, მხოლოდ წყალსა და გამხმარ პურზე იჯდე და საკუთარი თავი ეძებო.

ის — შეიძლება ეს მართლაც უმჯობესი იყოს, მაგრამ საამისოდ ვაქცავთ არ მყოფნის. გარდა ამისა, საკუთარი ბედნიერება მსხვერპლად როგორ უნდა მიუტანო საეჭვო წარმატებას? ანდა სახელი, მე რომ მქვია, რამო! რა დღეში აღარ ჩაგაგდებს ეს სახელი — რამო! ნიჭი გვაროვნული კეთილშობილება არ გახლავთ, რომლის სახელი და დიდება შემკვიდრეობით გადადის პაპიდან მამაზე, მამიდან შვილზე, შვილიდან შვილიშვილზე, და გადადის ისე, რომ პაპის პაპა არ მოითხოვს თავისი შემკვიდრეებისგან რაიმე განსაკუთრებულ დამსახურებას. ძველი საგვარეულო შტო უამრავ გაფუჭებულ, უვარგის ღეროდ განშტოვდება, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? სულ სხვაა ნიჭის შემკვიდრეობა. მამის სახელს რომ მიაღწიო, მამაზე მარჯვე უნდა იყო, მისი ფხა უნდა გამოგყვეს. მე კი მაკლია ეს ფხა, სამაგიეროდ, მარჯვენა მაქვს მოქნილი, ქამანი უკრავს, ქოთანს კი დულს. თუ დიდება არ არის, ბულიონი ხომ არის.

მე — თქვენს ადგილზე რომ ვიყო, არც ვიფიქრებდი, ამით ყველაფერი ითქვა-მეთქი. ისევ ჩემსას ვეცდებოდი.

ის — გგონიათ, არ მიცდია? თხუთმეტი წლისაც არ ვიყავი, პირველად რომ ვკითხე საკუთარ თავს: რა მოგივიდა, რამო? ოცნებობ?

რაზე ოცნებობ? იმაზე, რომ კარგი იქნებოდა გაკეთებული მქონდეს, ან გამეკეთებინა იმგვარი რამ, მთელს ქვეყანას რომ გააკვირვებდა. დი-
ახ, ამაზე ადვილი რა უნდა იყოს, მხოლოდ შეუბერე, ხელი გაანძრიე
და გეშველება. გინდა დაიჭირო ფრინველი? მახე დაუგე, ყრმობის დროს
წამოჭრილ კითხვებს მოწიფულობის ხანშიც ვიმეორებდე, დღესაც ვი-
მეორებ, და მემნონის¹³⁵ ქანდაკების გვერდით დგომას ვახსენებ.

მე — რას გულისხმობთ, მაგ თქვენი მემნონის ქანდაკებაში?

ის — მგონი, გასაგებია, რასაც ვგულისხმობ. მემნონის ქანდაკების
ირგვლივ უამრავი სხვა ქანდაკება არსებობდა, ცხადია, მათაც ეცემოდა
მზის სხივები, მაგრამ მხოლოდ ის ერთი გამოსცემდა ხმას. პოეტი ვოლ-
ტერია. კიდევ ვინ არის პოეტი? ვოლტერი. მესამე ვინაა? ისევ ვოლ-
ტერი. მეოთხე? ისევ ვოლტერი. კომპოზიტორი ვინაა? რინალდო და
კაპუა, პასე, პერგოლეზი, ალბერტი, ტარტინი, ლოკატელი, ტერადე-
ლიასი, ბიძაჩემი, ის პატარა დიუნე, რომელიც არც შეხედულია და
არც ტანადი, მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს, გრძნობა აქვს, მელოდიურია და
ექსპრესიული. ყველა დანარჩენი კი ამ მცირერიცხოვან მემნონთან ირ-
გვლივ ყურებში ჯოხვარაილი ხალხია. ჩვენ კი გლახაკები ვართ, ისეთი
გლახაკები, რომ ღმერთო შეგვიწყალებ. ეჰ, ბატონო ფილოსოფოსო,
გლახაკობა საშინელებაა. აგერ, ვხედავ, რა მოკუნტული და პირდაღე-
ბული ზის ის უბედური გლახაკი, დანაიდების კასრიდან ჩამონადენი,
თუნდაც რამდენიმე წვეთი ცივი წყალი რომ ჩაყლაპოს. არ ვიცი, ეს
წყალი ფილოსოფოსის გონებას ამახვილებს თუ არა, მაგრამ პოეტის
თავს კი საშინლად აცვიებს. ამ კასრის ქვეშ მყოფი კაცი, კარგად ვერ
ამღერდება. მაგრამ მაინც ძალზე ბედნიერია ის, ვინც როგორღაც ამ
კასრის ქვეშ შეაფარა თავი. მეც იმ კასრის ქვეშ ვიყავი, მაგრამ იქ და-
რჩენა ვეღარ მოვახერხე. ერთხელაც ჩავიდინე ასეთი სისულელე. მო-
ვიარე ბოჰემია, გერმანია, შვეიცარია, პოლანდია, ფლანდრია, ვიყავი
ეშმაკებში, ქაჯებში.

მე — და სულ უძირო კასრის ქვეშ იყავით?

ის — დიახ, სულ უძირო კასრის ქვეშ ვიყავი. იყო ერთი მდიდა-
რი და მფლანგველი ებრაელი, რომელსაც მუსიკა და ჩემი პამპულაობა
უყვარდა. ვუკრავდი, ვსულელობდი და არც არაფერი მაკლდა. ჩემმა ებ-
რაელმა თავიანთი ადათ-წესები კარგად იცოდა, მთელი სიმკაცრით იც-
ავდა, მეგობრებთან — ხანდახან, უცხოელებთან კი — ყოველთვის.
ერთხელ ცუდი რამ დაემართა, მოყოლა ღირს, საკმაოდ თავშესაქცევი
ამბავია. უტრესტში ერთი მშვენიერი, გარყვნილი ქალი ცხოვრობდა.
ის ამ ქრისტიანი ქალით მოიხიბლა. ჩემმა ებრაელმა მსახურის ხელით
კარგა დიდი თანხის ვექსილი გაუგზავნა. ამ უცნაურმა ქმნილებამ სა-
ჩუქარზე უარი თქვა. ებრაელი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მსა-
ხური ეუბნება: „— რატომ წუხხართ ასე? ლამაზ ქალთან გნებავთ
ლამე გაატაროთ? ამაზე ადვილი არაფერია. იმ ქალზე უფრო ლამაზ
ქალთან შეიძლება დაწოლა. ის ჩემი ცოლია და იმავე ფასად დაგიტ-
მობთ“. ითქვა და გაკეთდა კიდევ. მსახური ვექსილს იტოვებს, ხოლო
ჩემი ებრაელი მის ცოლთან ატარებს ლამეს. და აი, ვექსილის განადღე-
ბის დროც მოვიდა. ებრაელი მას ყალბ ვექსილად აცხადებს და სასამა-
რთლოში ჩივის. არჩევენ საქმეს. ებრაელმა იფიქრა: „ეს კაცი ვერა-

სოდეს გაბედავს იმის თქმას, რა ფასადაც ჩემი ვექსილი მიიღო და მეც ვერაფერს გადამანდევინებენო“. სასამართლოზე ებრაელი მსახურს ეკითხება: „— ეს ვექსილი ვისგან მიიღეთ?

— თქვენგან.

— ნასესხები ფულის სამაგიეროდ?

— არა.

— იქნებ თქვენგან მიღებული საქონლის ღირებულების მაგიერად?

— არა.

— ან რაიმე სამსახურისთვის?

— არა. მთავარი ეს არ არის. მთავარია ის, რომ ვექსილი ჩემია, თქვენ ხელი მოაწერეთ და უნდა გადაიხადოთ კიდევ.

— მე არ მომიწერია ხელი.

— მაშ, ყალბი საბუთი გავაკეთე?

— ან თქვენ გააკეთეთ, ან სხვამ, ვის სამსახურშიც ბრძანდებით.

— მე არამზადა ვარ, თქვენ კი გაიძვერა. უკიდურეს მდგომარეობამდე ნუ მიმიყვანთ, თორემ ყველაფერს ვიტყვი. მე თავს შევირცხვენ, მაგრამ თქვენც დაგლუპავთ...“. ებრაელმა ეს მუქარა არად ჩააგდო. სასამართლოს შემდეგ სხდომაზე მსახურმა ყველაფერი ისე თქვა, როგორც იყო. ორივე მკაცრად დაგმეს: ებრაელს ვექსილის განაღდება მიუსაჯეს და ფული საქველმოქმედო საზოგადოებას გადასცეს ღარიბთა დასახმარებლად.

მეც დავშორდი ებრაელს და აქეთ წამოვედი. როგორ უნდა მოვქცეულიყავი? ან შიმშილით უნდა ამომხდომოდა სული, ან არადა, რაღაც უნდა მეღონა. ათასნაირი აზრი მიტრიალებდა თავში. ერთ დღეს გადაწყვეტილი, ხვალ რომელიმე პროვინციული დასის წევრი გავხდებო-მეთქი, სულერთი იყო სცენაზე ვიმუშავებდი თუ ორკესტრში, მაგრამ მეორე დღეს უკვე იმაზე ვფიქრობდი, ერთი ისეთი სურათი შემეკვეთა, გზაჯვარედინების ბოძებზე რომ კიდებდნენ. დავდგებოდი იმ ბოძებთან და მთელი ძალ-ღონით ვიყვირებდი: „აი, ქალაქი, სადაც დავიბადე. აი, მამაჩემის აფთიაქს ვემშვიდობები. დედაქალაქში ჩავდივარ და ბიძის სახლს ვეძებ. აი, მუხლმოყრილი ვდგევარ ბიძის წინაშე, რომელიც გარეთ მაგდებს. ახლა ებრაელთახა ვარ“, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. მომდევნო დღეს კი იმ გადაწყვეტილებით ვდგებოდი, ქუჩის მოხეტიალე მომღერლებს შევერთებოდი. ეს არც ისე ცუდი იქნებოდა. ძვირფასი ბიძის ფანჯრებქვეშ კონცერტებს გავმართავდი და ბრაზისგან გულზე გავხეთქავდი, მაგრამ სულ სხვა გადაწყვეტილება კი მივიღე.

თხრობა შეწყვიტა. მევიოლინის პოზა მიიღო, რომელსაც ინსტრუმენტი ეჭირა და გულმოდგინედ აწყობდა სიმებს; მერე დაღლილობისა და შიმშილისგან ღონეშიხდილ გლახაკს დაემსგავსა; თავის უკიდურეს მდგომარეობას იმით გამოხატავდა, რომ ნახევრად გაღებულ პირისკენ იშვერდა თითს; მერე დაუმატა: — ცხადია, ერთ ლუკმას გვიგდებენ. ჩვენ კი, სამი თუ ოთხი მშიერი კაცი, ამ ერთი ლუკმისთვის ერთმანეთს

ვეჩხუბებით. აბა, სცადეთ ამგვარ გაჭირვებაში რაღაც ამალღებულისა და მშვენიერის შექმნა!

მე — დიახ, ძნელია.

ის — ამგვარად, საფეხურებზე სტომა-სტომით იმათთან/მოვხვდი. ყელამდე ვიყავი სავსე და არხეინად ვცხოვრობდი. მკურნალებმა მომაგდეს. ისევ დამჭირდება სიმების ხერხვა და თითოთ დაღებულობის ხვეწება. ამქვეყნად მყარი არაფერია. დღეს მწვერვალზე ხარ, ხვალ კი ტალახში ვართხმული. შეჩვენებული გარემოებები განაგებენ ჩვენს ბედს და განაგებენ უხეიროდაც?

მერე ბოთლში ჩარჩენილი სასმელი ერთბაშად შესვა და მეზობელს მიუბრუნდა: — ბატონო ჩემო, გამოიჩინეთ სიკეთე და ერთი მწიკვი ბურნუთი მიბოძეთ. ლამაზი ყუთი გაქვთ. მუსიკოსი ხომ არ ბრძანდებით?..

— არა.

— შით უკეთესი თქვენთვის. მუსიკოსები საცოდავი, შესაბრალისი ბიჭები არიან. მე კი ბედისწერის ნებით ერთ-ერთი მათგანი გახლავართ, და ეს იმ დროს, როცა მონმარტრის ერთ წისქვილში შეიძლება ვინმე მეწისქვილე, ან მეწისქვილის მოჯამაგირე იჯდეს, არასოდეს არაფერი მოესმინოს გარდა წისქვილის ქვების რახრახისა, მაგრამ მშვენიერი არიების შეთხზვაც კი შეძლოს! მაშ, აბა, რამო, წისქვილისკენ, წისქვილისკენ! იქ არის შენი ადგილი.

მე — რასაც ადამიანი აკეთებს, ყველაფერი ბუნებისგან მოდის. იგი აკეთებინებს ადამიანს ყველაფერს.

ის — ბუნება მეტად საკვირველ შეცდომებს სჩადის. რაც შემეხება მე, იმ სიმაღლიდან არ ვიყურები, საიდანაც ყველაფერი ერთმანეთში არეული, ერთნაირი ჩანს: ადამიანი, რომელიც მაკრატელით სხლავს ხეხილს და მუხლუხოც, რომელიც ფოთოლს ხრავს. ისინი მხოლოდ ორ სხვადასხვა მწერად მოჩანან და თითოეულს თავისი საქმე აქვს. აცოცდით მერკურის ეპიცოკლზე¹³⁷ და იქიდან, თუ ეს მოგწონთ, რეომიურის¹³⁸ მსგავსად, რომელიც მწერების კლასიფიკაციას იძლევა, თქვენც დაყავით ადამიანთა მოდგმა დურგლებად, სუროებად, მოცეკვავეებად, მომღერლებად... ეს თქვენი საქმეა, ხოლო მე ჩემს სამყაროში ვარ და აქვე დავრჩები. მაგრამ თუ ადამიანს ბუნებისგან მადა აქვს ბოძებული (ჩემში კი ხშირად იღვიძებს მადა და შიმშილის გრძნობაც არ მშორდება) და საჭმელი კი მუდამ აკლია, რაღა ცხოვრებაა? რაღაც ეშმაკური ამბავი გამოდის — ზოგი ყელამდეა მაძლარი, ზოგს კი, რომელთაც ისეთივე თავხედი კუჭები აქვთ და ისეთივე გაშმაგებული მადა, ლუკმაპური ენატრებათ. მაგრამ ყველაზე უარესი, რომელსაც გაჭირვება გვიქმნის არის დაჩაგრული მდგომარეობა. გაჭირვებული ადამიანი, ისე როდი დადის, როგორც სხვები დადიან: იგი ხტუნავს, ცოცავს, ლასლასებს, იკრუნჩხება. ლამის მთელი სიცოცხლე ნაირ-ნაირ პოზებს იღებს.

მე — რა არის პოზები?

ის — წადით და ნოვერს¹³⁹ ჰკითხეთ. ჩვენს სამყაროში უფრო მეტი პოზაა. ვიდრე შეიძლება ნოვერის ხელოვნებამ გამოხატოს.

მე — და თქვენც, თქვენი ან მონტენის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აცოცდით მერკურის ეპიცოკლზე“ და იქიდან აკვირდებით კაცობრიობის მოდგმის ნაირ-ნაირ პანტომიმებს?

ის — არა, არა, გარწმუნებთ, მეტისმეტად მძიმე ვარ საიმისოდ, რომ ამგვარ სიმაღლემდე ავალწიო. ღრუბლებს ქვემო სივრცეს წვრილებს ვუთმობ, მე კი დედაძინაზე დავრჩები, მივიხედ-მოვიხედო, მივყულ პოზებს მივიღებ, ან სხვათა პოზების ცქერით გავირთობ თავს. მე მშვენიერი მიმისტი გახლავართ და ამაში ახლავე დაგარწმუნებთ?

მერე იღიმება და წარმოადგენს სხვადასხვა ადამიანებს: ალფრთოვანებულს, მავედრებულს, ხათრიანს... მარჯვენა ფეხი წინ წასწია, მარცხენა უკან, მოიხარა, თავი ზემოთ ასწია, თითქოს ვილაციის თვალებს მიაშტერდა, პირი გააღო, ხელები გაიწოდა; ბრძანებას ელის და მიიღო კიდევ. ისარივით გაფრინდა. უკან მობრუნდა. ბრძანება შესრულებულია. მოახსენა. მთლად ყურადღებად იღვრება. იატაკიდან აიღო, რაც დაუვარდა. ფეხქვეშ ბალიშს უდებს, ან სკამს უდგამს. ფინჯანი უჭირავს. სკამს მიუწევს. კარს აღებს. ფანჯარას ხურავს. ფარდებს გადასწევს. თვალში შეჰყურებს ბატონსა და ქალბატონს. გაიტრუნა. ხელები დაუშვა. ფეხები ერთმანეთს მიატყუპა. უსმენს, ცდილობს მათ სახეებზე რამე ამოიკითხოს. მერე ამბობს: „— აი, ჩემი პანტომიმა, თითქმის იგივეა, რაც მლიქვნელებს, კარისკაცებს, მსახურებსა და მათხოვრებს ახასიათებთ“.

ამ კაცის სიგიჟეს, აბატ გალიანის¹⁴⁰ ზღაპრებსა და რაბლეს ექსტრაგავანტურ ოინებს ბევრჯერ ჩაუუფიქრებია. ეს გახლავთ სამი წყარო, საიდანაც სასაცილო ნიღბებს ვიღებ, მედიდურ პერსონაჟებს ვუკეთებ სახეებზე და მაშინ პრელატში პანტალონეს¹⁴¹ ვხედავ, პრეზიდენტში — სატირს, განდევნილში — დაკოდილ ტახს, მინისტრში — სირაქლემას, ხოლო მის პირველ მდივანში — ბატს.

მე — თქვენი სიტყვებიდან გამოდის, რომ ამ სამყაროში მათხოვრების დიდმა უმრავლესობამ თქვენი ცეკვიდან რამდენიმე პა მაინც იცის.

ის — მართალი ბრძანდებით. მთელ სამეფოში მხოლოდ ერთი ადამიანი დადის, ეს ადამიანი ხელმწიფეა. ყველა დანარჩენი კი პოზებს იღებს.

მე — ხელმწიფე? ამაში კი შეიძლება კაცი შეგედავოთ. განა თქვენ გჯერათ, რომ დროდადრო მის ახლოს არ გამოჩნდება პაწია ფეხი, დახვეწილი ვარცხნილობა, პატარა ცხვირი, რომელიც ხელმწიფეს აიძულებს ცოტა მაინც შეასრულოს პანტომიმის ილეთები? ვისაც სხვა ადამიანი სჭირდება, პოზიორობს კიდევ. მეფე თავისი საყვარლის წინაშე პოზიორობს, და კიდევ ღმერთის წინაშე ასრულებს პანტომიმის საკუთარ ილეთს. მინისტრი მეფის წინაშე ასრულებს პანტომიმას, კარისკაცის, მლიქვნელის, ლაქიისა და გლახაკის წინაშე კი პოზას იღებს. პატივმოყვარე ბრბო მინისტრის წინაშე ცეკვავს და ასნაირ ილეთს ასრულებს ერთიმეორეზე უარესს და საზიზღარს. თავმომწონე აბატი თავისი ნაოჭიანი საყულოთი და გრძელი ანაფორით, კვირაში ერთხელ ამასვე

სჩადის იმათ წინაშე, ვისზედაც ბენეფიციების ვალეზაა დამოკიდებული. დამიჯერეთ, რასაც ვლახაკთა პანტომიმას უწოდებთ, ამ სამყაროს უდიდესი ფერხულია. ყველას თავისი პატარა იუსი ჰყავს და თავისი ბერტენი.

ის — მეც ეს მამშვიდებს.

ქართული
ბიბლიოთეკა

იმ დროს, როცა ველაპარაკებოდით, რამო იმ პერსონაჟებს ბაძავდა სასაცილოდ, რომლებსაც მე ვასახელებდი. მაგალითად, პატარა აბატი რომ წარმოედგინა, ილღის ქვეშ ქუდი ამოიდო, მარცხენა ხელში კურთხევანი დაიჭირა, მარჯვენა ხელით კი ანაფორის კალთები აიწია. დადიოდა ოდნავ თავგადახრილი, თვალდახრილი და ისე კარგად გამოხატა მლიქვნელი, მეგონა, მართლა „უარყოფის“ ავტორს ვხედავდი ორლეანის ეპისკოპოსის წინაშე. როცა მლიქვნელებზე და პატივმოყვარეებზე ვლაპარაკობდი, ის უკვე მუცლით ხობავდა მიწაზე, როგორც ბურე გენერალური კონტროლიორის წინაშე.

მე — ჩინებულად ასრულებთ; მაგრამ, მაინც არის ერთი არსება, პანტომიმა რომ არ სჭირდება. იგი უპოვარი ფილოსოფოსია, რომელიც არაფერს თხოულობს.

ის — სად არის ეგ ცხოველი? თუ არაფერი აქვს, მაშინ აუცილებლად იტანჯება. თუ არაფერს თხოულობს, არც არაფერს მიიღებს და და მუდამ ტანჯვაში იქნება.

მე — არა, დიოგენე ადამიანთა მოთხოვნილებებს დასცინოდა.

ის — მაგრამ ჩასაცმელი ხომ საჭიროა.

მე — არა, სულ შიშველი დადიოდა.

ის — ხანდახან ხომ ციოდა ათენში?

მე — ნაკლებად, ვიდრე აქ.

ის — ჭამა ხომ საჭიროა?

მე — რასაკვირველია.

ის — ვის ხარჯზე?

მე — ბუნების ხარჯზე. ველური ვის მიმართავს? მიწას, ცხოველებს, თევზებს, ხეებს, ბალახს, ფესვებს, წყაროს.

ის — უხეირო სუფრაა.

მე — სამაგიეროდ, უხვია.

ის — ცუდად გაწყობილი.

მე — სწორედ ბუნებიდან მოდის სასმელ-საჭმელი, როცა ჩვენს ტაბლას აწყობენ.

ის — მაგრამ დამეთანხმეთ, ჩვენი მზარეულების, მეშაქარლამეების, ყასბების, მიკიტნების, კონდიტერების ხელოვნებას თავისი საკუთარი წვლილი შეაქვს საჭმლის გემოში. თქვენს დიოგენეს კი ასეთი მკაცრი დიეტის დაცვისას საკმაოდ თვინიერი კუჭი გაუხდებოდა.

მე — სცდებით. კინიკების¹⁴² ცხოვრების წესი ოდესღაც ისეთივე იყო, როგორიც ჩვენი ბერებისაა დღეს და ისეთივე სათნოებაც გააჩნდათ. კინიკები იყვნენ ათენელი კარმელიტები და ფრანცისკელები.

ის — სიტყვაზე დაგიჭირეთ. მაშ, დიოგენეც თამაშობდა პანტომიმას პერიკლეს¹⁴³ წინაშე თუ არა, ლაისის¹⁴⁴ ან ფრინეს წინაშე მაინც.

მე — ისევ ცდებით. სხვები ძვირს უხდიდნენ კურტიზან ქალებს, კინიკს კი სიამოვნების გამო ნებდებოდნენ.

ის — მაგრამ, როდესაც კურტიზანი ქალი სხვასთან იკავებულა, ხოლო კინიკი ველარ ითმენდა?

მე — შეძვრებოდა თავის კასრში და უიმისოდაც იოლად გადიოდა.

ის — და თქვენ მირჩევთ, მას მივბაძო?

მე — თავს ვღებ, თუ ეს უკეთესი არ იყოს, ვიდრე თავის დამცირება, ფეხქვეშ გაგება და როსკიპობა.

ის — მაგრამ მე კარგი ლოგინი მჭირდება, კარგი სასმელ-საჭმელი, ზამთარში თბილი, ზაფხულში კი გრილი ტანსაცმელი, სიმშვიდე, ფული და ბევრი კიდევ სხვა რამ, რომლითაც უკეთესია დავალებული ვიყო მწყალობლებისგან, ვიდრე ჩემი შრომით მოვიპოვო.

მე — ეგ იმიტომ, რომ მუქთახორა, ღორმუცელა, ლაჩარი და სულმდაბალი ბრძანდებით.

ის — მგონი, ეს თავადაც მოგახსენეთ.

მე — ცხოვრებისეულ სიკეთეს, ცხადია, თავისი ფასი აქვს, მაგრამ თქვენ არ იცით, რა ღირს ის მსხვერპლი, რის ფასადაც ამ სიკეთეს ღებულობთ. თქვენ წინათაც გიცეკვიათ, ახლაც ცეკვავთ და კვლავაც იცეკვებთ იგივე საზიზღარ პანტომიმას.

ის — მართალია. მაგრამ იაფიც მიჯდებოდა, ახლა კი საერთოდ არაფერი მიჯდება. და ამის გამო, თუ ცხოვრების სხვაგვარ წესს გავყვებოდი, იგი იმდენად შემავიწროვებდა და გამაწვალებდა, იძულებული გავხდებოდი უარი შეთქვა მასზე. გიყურებთ და ახლა ვხვდები, რომ ჩემი საცოდავი ცოლი, თავისებურად ფილოსოფოსი ყოფილა: უშიშარი იყო, როგორც ლომი. ბევრჯერ ვყოფილვართ ულუკმაპუროდ და უგროშოდ. თითქმის ყველაფერი გავყიდეთ. საწოლზე დაგდებული თავს ვიმტვრევდი, ვისგან შესესხა ერთი ეკიუ, რომელსაც აღარ დავუბრუნებდი. ჩემი ცოლი კი, სკვინჩასავით მხიარული თავის კლავესინს მიუჯდებოდა და მღეროდა. ბულბულის ყელი ჰქონდა, ვნანობ, რომ თქვენ არ მოგისმენიათ მისი სიმღერა. როცა რომელიმე კონცერტში ვმონაწილეობდი, თან მიმყავდა. ვხაში ვეუბნებოდი: „ — აბა, ქალბატონო, აიძულეთ აღფრთოვანდნენ თქვენით, გამოფინეთ ნიჭი და მშვენიერება. დაახვიეთ თავბრუ ყველას და გააოცეთ“. მივიდოდით, ის მღეროდა და მართლაც თავბრუს ახვევდა და აოცებდა ყველას. ვაი, რომ დავკარგე ის საცოდავი! ნიჭის გარდა ისეთი პატარა პირი ჰქონდა, ნეკა თითი ძლივს ჩაეტეოდა. კბილები მარგალიტის რიგით ჩამწყკრივებოდა, რა თვალები, რა ფეხები, კანი, ლოყები, ძუძუს თავები... ფეხები შვლის ფეხებს მიუგავდა. რა თქოები, რა ქანდაკი ტანი... ადრე იქნებოდა თუ გვიან, სულ მცირე, მოიჯარეს მაინც იშოვიდა. რა მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. რა გავა! აჰ, ღმერთო, რა გავა ჰქონდა!

მერე თავისი ცოლის მიხვრა-მოხვრის წარმოდგენა დაიწყო. მოკლე ნაბიჯებით დადიოდა, თავი უკან გადასწია, მარაოს ათამაშებდა, გავას არხევდა. ეს იყო ყველაზე სასაცილო და ყველაზე თვფშესაქცევი კარიკატურა ჩვენი პატარა კომპიებისა.

თხრობა ისევ განაგრძო:

ქართული
ზნობრივობა

— ყველგან დამყავდა სასეირნოდ: ტიულერში, პალე-რუაიალში, ბულვარებში. ვერც კი ვიფიქრებდი თუ ჩემთან დარჩებოდა საცხოვრებლად. როცა დილით ქუჩაში უქუდოდ, საშინაო მოკლე ქურთუკჩაცმული გადიოდა, უსათუოდ შეჩერდებოდით და თვალს ვედარ მოაშორებდით. ხუთ თითს თავისუფლად შემოაწვდენდით წელზე. ვინც უკან აედევნებოდა, მის პაწაწკინტელა ფეხებს, მის რხევას უყურებდა და მუშტრის თვალით ზომავდა თხელ ქვედა კაბაში გამოკვართულ ფართო გავას. ესეც თითქოს ფეხს აუჩქარებდა, მაგრამ ადევნებულს მიახლოების ნებას მაინც აძლევდა, მერე უცბად მოუბრუნდებოდა და თავისი დიდი, შავი და ბრდღვიალა თვალებით მიაშტერდებოდა, იქვე გააქვავებდა მდევარს, რადგან მედლის წინა მხარე უკანა მხარეს არ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ ვაი, რომ დავკარგე და სიმდიდრეზე ყველა ჩემი ოცნებაც მასთან ერთად გაქრა. მე ხომ მასზე ქონების გამო დავქორწინდი, და მთელი ჩემი გეგმაც წინასწარ გავუმხილე. იგი მეტად გამჭრიახი და ჭკვიანი იყო საიმისოდ, ჩემი გეგმა არ უარეყო, არ დაეწუნებინა.

მერე აქვითინდა და ტირილით დაუმატა: — არა, არა, ამას ვერ გადავიტან. მას მერე ბერივით ვცხოვრობ.

მე — მწუხარებისგან?

ის — თუ გნებავთ, ასეც იყოს. უფრო იმიტომ, რომ ლუკმაპური სადმე ვიშოვო... ერთი ნახეთ, რომელი საათია, მგონი, დროა ოპერაში წავიდე.

მე — დღეს რა სპექტაკლია?

ის — დოვერნის¹⁴⁵ ოპერაა. მუსიკაში კარგი ადგილებიც აქვს, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ეს პირველს არ დაუწერია. მიცვალებულთა შორის ყოველთვის აღმოჩნდებიან ხოლმე ისეთებიც, რომლებიც ცოცხლებს სასოწარკვეთილებაში აგდებენ. მაგრამ, რას ვიზამთ? „Quisque suos (non) patimur manes“.¹⁴⁶ მაგრამ უკვე ექვსის ნახევარია. ზარის ხმა მესმის,¹⁴⁷ რომელიც აბატ კანეს¹⁴⁸ და მე მწუხრის ლოცვაზე გვიწვევს. მშვიდობით ბატონო ფილოსოფოსო, როგორც ხედავთ, ისევ ისეთი ვარ, რაც ვიყავი. არა?

მე — დიახ, საუბედუროდ, ასეა.

ის — დაე, ამ უბედურებამ ერთი ორმოციოდე წელი კიდევ გასტანოს. იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს.

კომენტარები

1. „ვერტუმნისი, დაბადებული მწუხარე ცვალებადობისთვის“ (პორაციუსი, წიგნი II, სატირები VII). ვერტუმნისი — ბალებისა და მიწათმოქმედების ეტრუსკული ღვთაება. ძველ იტალიაში მისი ღვთაება ცვალებადობისა და გარდაქმნის ღვთაებად. მას მიიჩნევდნენ ცვალებადობის ღმერთადაც. ხალხის რწმენით, სახეცვლილების უნარი ჰქონდა.

2. არქანსონის მერხი — დიდროს საყვარელი სკამი მარკიზ დ'არქანსონის სასახლის შორიახლო იდგა. პიერ დ'არქანსონი ენციკლოპედისტების მეგობარი იყო.

3. რეჟანსის ყავახანა — პალე-რუაილის მოედანზე მდებარეობდა და მოჭადრაკეების თავშესაყრელი ადგილი იყო.

4. რეი ყავახანის მფლობელი გახლდათ.

5. დიდროს დროის განთქმული მოჭადრაკეები.

6. ტრაპისტები — ბერმონაზონთა ორდენი. გამოირჩეოდა მკაცრი ასკეტური წესებით. დააარსეს 1122 წელს.

7. ბერნარდინები — ბერმონაზონთა ორდენი, მკაცრი ასკეტური რეჟიმით არ გამოირჩეოდა და მიწიერ სიამოვნებებზე უარს არ ამბობდნენ.

8. დედოფლის ხეივანი — სენის ნაპირებს ჩაყოლებული ხეივანი, რომელიც მარია მედიჩის ნება-სურვილით გააშენეს (1616 წ.).

9. დიალოგის გმირი, რამო, ნამდვილად არსებული პიროვნებაა (ადრე დიდროს ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევდნენ). ჟან ფრანსუა რამო დაიბადა 1716 წლის 30 იანვარს, ორლანისტის კლოდ რამოს ოჯახში, რომელიც ცნობილი კომპოზიტორის ჟან ფილიპ რამოს ძმა იყო. ჟან ფრანსუა რამო ბობოქარ ცხოვრებას ეწეოდა. რა არ გამოსცადა. სამხედრო პირიც იყო, მხატვრობასაც სწავლობდა, მუსიკოსობაც სცადა, სასულიერო პირიც გახდა. კლავესინისთვის პიესები შექმნა. დაახლოებული ყოფილა ფრერონისა და პალისოს რეაქციულ ლიტერატურულ ჯგუფთან, რომლებსაც ომი ჰქონდათ დიდროსა და სხვა ენციკლოპედისტებთან. გარდაიცვალა სულით ავადყოფთა თავშესაფარში.

10. ჟან ფილიპ რამო (1683-1764) — ფრანგი კომპოზიტორი, ორლანისტი და მუსიკის რეფორმატორი.

11. ჟან ბატისტ ლიული (1632-1687) — ფრანგი კომპოზიტორი (წარმოშობით იტალიელი). ფრანგული მუსიკალური კლასიციზმის წარმომადგენელი. სამეფო კარის ოპერის ჟანრის შემქმნელი.

12. იგულისხმება ლიული.

13. იტალიელი ვირტუოზები — დიდრო და სხვა განმანათლებლები მუსიკაში კლასიციზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათთვის მიუღებელი იყო როგორც ლიულის, ასევე რამოს ოპერებიც. ჭეშმარიტების მაგალითს იტალიურ კომიკურ ოპერა-ბუფში ხედავდნენ, რომლებიც იმხანად პარიზში იყო გასტროლებზე.

14. პიერ კარლე დე შამპლენ დე მარივო (1688-1763) — ფრანგი მწერალი.
15. კლოდ პროსპერ ჟოლიო კრეზილიონი (1707-1777) — დრამატურგ პროსპერ ჟოლიო კრეზილიონის შვილი. ფრივოლური რომანებისა და ნოველების ავტორი. ლუდოვიკო XV ერთი მასწავლებელი თავგადასავალის აღწერისთვის საფრანგეთიდან გააძევეს და წერა აუკრძალეს.
16. გრაფი დე ბისი (1721-1810) — ლიტერატორი. აკადემიის წევრი.
17. მადმუაზელ კლერონი — კლერ ჟოზეფინ ლერის დე ლატიუდი (1723-1803). სახელგანთქმული დრამატული მსახიობი. მეგობრობდა ენციკლოპედისტებთან, განსაკუთრებით დიდროსთან. გრაფ დე ბისის საყვარელი.
18. ფრინე („*Flryne*“ — „გომბეშო“) — ათენელი პეტერა, უმშვენიერესი ქალი (ძვ. წ. IV ს.) პირველად ღარიბი, მერე აურაცხელი სიმდიდრის პატრონი. „გომბეშოს“ სიფერმკრთალის გამო ეძახდნენ.
19. სილენოსი — დემონი. დიონისეს აღმზრდელი. მუდამ მთვრალი, მხიარული და კეთილი მოხუცი, გამუდმებული სმისგან გასიებული.
20. ფრანსუა რაბლე (1494-1553) — საფრანგეთის უდიდესი მწერალი. აქ დიდროს მხედველობაში ჰყავს ძმა ჟანი, „გარგანტუა და პანტაგრუელის“ პერსონაჟი.
21. ცნობილი ფრანგი დრამატურგი ჟან რასინი (1639-1699).
22. შარლ პინო დიუკლო (1704-1772) — ფრანგი მწერალი, მორალისტი.
23. აბატი ნიკოლა შარლ ჟოზეფ ტრიუბლე (1697-1770) — ლიტერატორი, საფრანგეთის აკადემიის წევრი.
24. აბატი პიერ ჟოზეფ ტულიე დ'ოლივე (1682-1768) — ფილოლოგი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. დიდრო ამ თვისებებს ამათირონიული ვაგებით მიაწერს.
25. ჟან ბატისტ გრეზი (1725-1805) — ფრანგი მხატვარი. ფრანგული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი დამაარსებელი. დიდრომ დიდი შეფასება მისცა მის შემოქმედებას თავის „სალონებში“.
26. მეროპი — ვოლტერის ფსიქოლოგიური ტრაგედიის გმირი, რომლის სახეში ხორცშესხმულია დედობრივი სიყვარული და სამშობლოს მიმართ მოვალეობის გრძნობა.
27. „მუჰამედი“ („მუჰამედი, ანუ ფანატიზმი“) — ვოლტერის ტრაგედია მიმართული რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ.
28. რენე ნიკოლა დე მოპუ (1714-1792) — ლუდოვიკო XV კანცლერი. 1771 წელს პარლამენტი დაშალა. ვოლტერი, რომელიც პარლამენტს მტრობდა ოფიციალური ეკლესიის მხარდაჭერისთვის, ამ აქციას მიესალმა.
29. არიები ჟან ფილიპ რამოს ოპერა-ბალეტიდან „გალანტური ინდოეთი“.

30. გავოტი — მუსიკა და ცეკვაა ერთგვარი.
31. შარლ დე მონტენუა პალისო (1730-1814). ანტუან ალექსანდრ პუანსინე (1735-1769). ელი კატრინ ფრერონ-მამა (1718-1776) — ლუი მარი ფრერონ-შვილი (1754-1802) — რეაქციონერი ლიტერატორები. ენციკლოპედისტების მტრები. ჟოზეფ ლა პორტი (1713-1772) — ჟურნალ „ობსერვატორ ლიტერერის“ რედაქტორი, მერვეტიანი ნათლებლებსა და ფრერონის რეაქციულ ჯგუფს შორის.
32. „სამი საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორია“ — აბატ ანტუან საბატიე დე კასტროს (პალისოს მონაწილეობით) ნაშრომი. მასში მოცემულია ენციკლოპედისტების მოწინააღმდეგეთა ქება.
33. პერცოგ დე სუბიზის საჯინიბოში ხშირად თავშესაფარს პოულობდნენ უსახლკარო მაწანწალები.
34. პიერ ონორე რობე დე ბოვეზე (1714-1792) — ფრანგი პოეტი.
35. იგულისხმება რობე დე ბოვეზეს ლექსები.
36. იგულისხმება ადელაიდა იუსი (1734-1805) — კომედი-ფრანსეზის მსახიობი, რომელიც იმ დროს ფინანსების გენერალური კონტროლიორის ბერტენ დე ბლანის საყვარელი იყო; მერე კი ვეიარის სატროფო გახდა.
37. დიდროს შეცდომა. რამოს მამა აფთიაქარი კი არა ორლანისტი იყო.
38. კარმონტელი (ლუი კაროჟი 1717-1806) — თავისი დროის ცნობილი დრამატურგი, პორტრეტისტი, არქიტექტორი, გრავიორი. მას ეკუთვნის რამოსა და დიდროს პორტრეტები.
39. ლიარდი — ძველი ფრანგული სპილენძის ფული.
40. ნიკოლა სილვესტრ ბერჟიე (1718-1790) — ფრანგი თეოლოგი. ენციკლოპედისტების მტერი. პერცოგინია დე ლა მარკი — პალისოს მფარველი.
41. „ოო, ძვირფასო განაუალო!“ (ლათ.).
42. სამუელ ბერნარი (1651-1739) — ლულოვიკო XIV და ლულოვიკო XV ბანკირი. სიკვდილის შემდეგ 33 მილიონი ლივრის ქონება დატოვა.
43. ობოლი ბავშვები, რომლებიც თავშესაფარში იზრდებოდნენ ყოველთვის ღებულობდნენ მდიდრების დასაფლავებაში მონაწილეობას.
44. პიეტრო ლოკატელი (1694-1764) — იტალიელი კომპოზიტორი და მევიოლინე.
45. XVIII საუკუნის იტალიელი კომპოზიტორები.
46. ტრიტონი — ინტერვალი, კვარტის გაძლიერება ან კვინტის შესუსტება. დიდროს დროს ტრიტონმა მთელი რევოლუცია მოახდინა მუსიკალურ ხელოვნებაში და კარგა ხანს აკრძალული იყო. აქ დიდროს შეცდომაა, უნდა იყოს: კვარტების გაძლიერება.
47. ლუქსებურგის ბაღში არსებობდა „სევდისა“ და „ფილოსოფოსთა“ ხეივნები.

48. ორმოცი წლის ასაკში ჟან ფრანსუა რამო დაქორწინდა ოცი წლის ურსულა ნიკოლა პრიუშზე, რომელიც ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

49. დიდროს ქალიშვილი, მარი ანჟელიკა 1753 წლის 2 სექტემბერს დაიბადა.

50. სოფი არნუ (1740-1802) — ოპერის მომღერალი. მღეროდა რამოს ოპერებში. დატოვა მემუარები „არნულდიანა“.

51. მხედველობაში გრაფი ლუი დე ლორგე ჰყავს, რომელიც არნუს საყვარელი იყო.

52. დიდიე ფრანსუა არკლე დე მონტამი — დიდროს მეგობარი. გამოიგონა ფაიფურის მოხატვის განსაკუთრებული წესი. ლორგემ ეს გამოგონება მიისაკუთრა.

53. პიერ ლუი პრევილი (1721-1799) — თეატრ „კომედი ფრანსეზის“ მსახიობი.

54. მარი ფრანსუაზა დიუმენილი (1713-1802) — სახელგანთქმული ტრაგიკოსი მსახიობი. თამაშობდა რასინისა და ვოლტერის ტრაგედიებში. აქ დიდროს მხედველობაში აქვს მისი მიდრეკილება ალკოჰოლისადმი.

55. 1753, 1760, 1762 წლებში ვოლტერის ავადმყოფობის დროს, მტრებმა ხმები გაუვრცელეს გარდაიცვალაო.

56. ჟავილიე — პარიზის ოპერის მოცეკვავე.

57. ირონიული დამახინჯებაა სიტყვა „იდიომატიზმებისა“.

58. ბერნარ ლე ბოვიე დე ფონტენელი (1657-1757) — ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, განმანათლებლების ერთ-ერთი წინამორბედი.

59. დეშანი (1730-1775) — ბალეტის მოცეკვავე. იმყოფებოდა ჯერ ჰერცოგ ორლენელის, მერე გენერალური მოიჯარე ბრისარის კმაყოფაზე.

60. გიმარი, სახელგანთქმული ბალერინის მარი მადლენ მორელის (1743-1816) სცენიური სახელი.

61. დიდროს მხედველობაში აქვს მოიჯარე ვილმორენის გარშემო შემოკრებილი ხალხი. გადატანითი აზრით: ფარისეველთა, პარაზიტთა, მასხარათა, პირმოთნეთა სროვა.

62. ვინმე ჟან კალასს, რწმენით კალვინისტს, ტულუზელ ნეგოციანტს, 1762 წელს ბორბალზე გაკვრით სიკვდილი მიუსაჯეს. იეზუიტებმა მას ცილი დასწამეს, თითქოს შვილი მოკლა, რადგან კათოლიკური სარწმუნოების მიღება მოინდომაო. ვოლტერმა პარლამენტში კალასის საქმის ხელახალ გადასინჯვას მიაღწია და სამწლიანი ბრძოლის შემდეგ კალასი სიკვდილის შემდგომ გაამართლეს.

63. შარლ ლუი ჟაკ დე ლა მორლიერი (1701-1785) — ფრანგი მწერალი. უტიფარისა და ჩხუბისთავის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

64. „შარტრის მეკარე“ — ანონიმური ეროტიკული რომანი, რომლის ავტორობასაც აბატ ლატუმს მიაწერენ.

არეტინო — ნამდვილი სახელია პიეტრო ბაჩი (1492-1556) — ალორძინების ეპოქის მწერალი და დრამატურგი. აქ დიდროს მხედველობაში აქვს არეტინოს სონეტებში გადმოცემული უწმაწური მოხატულობები.

65. მამა ნოელი — რეიმსელი ბენედიქტელი ბერი, სწავლული, მიკროსკოპის ამწყობი.

66. პოლ სკარონის (1610-1660) „კომიკური რომანის“ გროტესკული პერსონაჟი, უჩვეულოდ სქელი ქალი.

67. ამიტომ, ასევე, ამგვარად (ლათ.).

68. ლუი მარი პუანსინე დე სიერი — პოეტი-ტრაგიკოსი და ანრი პუანსინე დე ნუარვილი (XVIII ს.) — ბიძაშვილები იყვნენ.

ფრანსუა ტომა მარი ბაკულარი (1718-1805) — ფრანგი მწერალი. მფარველობდა ვოლტერს. სიცოცხლის ბოლოს პარიზელი მდიდრები სამადლოდ ინახავდნენ.

69. სტენტორი — ჰომეროსის „ილიადას“ ერთ-ერთი გმირი, რომელიც უჩვეულოდ ძლიერი ხმით გამოირჩეოდა.

70. კომენჯი — დიდი კალიბრის ბომბი. გამოიგონა ლუდოვიკო XIV ადიუტანტმა დე კომენჯმა და მისი სახელი უწოდეს.

71. ეტიენ მიშელ ბურე (1710-1777) — ლუდოვიკო XV-ის ფინანსისტი. ჰქონდა უზარმაზარი ქონება. ცნობილი იყო თავისი ლაქიური გულმოდგინებით.

72. როცა ლუდოვიკო XV ეწვია ბურეს ქალაქგარეთ სასახლეში, ამ უკანასკნელმა ხელმწიფეს წიგნი მიართვა სათაურით „ჭეშმარიტი ბედნიერება“, რომლის პირველ გვერდზე ეწერა „ხელმწიფე ბურეს ესტუმრა“. სხვა დროს კი მეფის გასავლელი გზის, ვერსალიდან ბურეს სახლამდე, ყოველ ოც ნაბიჯზე ანთებულ ჩირაღდნებიანი ხალხი დააყენა.

73. იგულისხმება ჟან ბატისტ მაჟო დარნუვილი — ლუდოვიკო XV ფინანსების მთავარი კონტროლიორი და მეფის მდივანი. მფარველობდა ბურეს, რომელიც თავის მხრივ მფარველს ყველა სურვილს უსრულებდა.

74. ანრი დე ლა ტურ დ'ოვერნი, ვიკონტი დე ტიურენი (1611-1675) — სახელგანთქმული მხედართმთავარი, საფრანგეთის მარშალი.

75. სებასტიან ლეპრეტრ დე ვობანი (1633-1707) — საფრანგეთის მარშალი. სამხედრო ინჟინერი.

76. კლოდინა ალექსანდრა გერენი, მარკიზა დე ტანსენი (1682-1749) — ფრანგი მწერალი. დიდი გავლენით სარგებლობდა სასახლის კარზე. ჰქონდა ლიტერატურული სალონი. მათემატიკოსი დ'ალამბერი მისი უკანონო შვილი იყო.

მარკიზას ძმა კარდინალი პიერ გერენ დე ტანსენი ლიონის ეპისკოპოსი და ლუდოვიკო XV მინისტრი იყო.

77. დანჟევილი — ნამდვილი სახელი ანა მარი ბოტო (1714-1796) — „კომედი ფრანსეზის“ მსახიობი.

78. მხედველობაში ჰყავს მადმუაზელ იუსი. აქ რამო ირონიულად ლაპარაკობს იმ სპექტაკლზე, რომელშიც იუსი მთავარ როლს თამაშობდა.

და, მაყურებელი მას სტვენით შეხვდა, ხოლო კლერონი, რომელსაც უმნიშვნელო როლი ჰქონდა, ტაშით დააჯილდოვა.

79. აქ იგულისხმება მადმუაზელ იუსი, „განსაკუთრებულ შემოსავალში“ კი ბერტენი, რომელიც სახაზინო უწყების, განსაკუთრებული შემოსავლების ნაწილში მსახურობდა და მსახიობის სატრეფო ფული,

80. „კუჭი კუჭს მოისყიდის“ (ლათ.). შინჯ-ლირიძე

81. ანტუან ბრეტი (1717-1792) — ნაკლებად ცნობილი ფრანგი მწერალი და დრამატურგი.

82. ლე ბლანი (1707-1781) — ფრანგი მწერალი.

83. შარლ ბატე (1713-1780) — ესთეტიკოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი.

84. ალექსის პირონი (1689-1773) — ფრანგი პოეტი და დრამატურგი, ე. წ. „მსუბუქი პოეზიის“ წარმომადგენელი.

85. რობემ დაწერა პოემა ათაშანგზე, რომელზეც პირონმა თქვა: ავტორი თავისი სიუჟეტისგან არის გამოთხრილი.

86. შეიძლება აქ პუანსინე იგულისხმება.

87. ჟან დე ლა ბრიუიერი (1645-1696) — ფრანგი მწერალი. ძველი ბერძენი ფილოსოფოსის თეოფრასტეს „ხასიათების“ მთარგმნელი. თვითონაც დაწერა ამავე სახელწოდების წიგნი „ხასიათები ანუ ამ საუკუნის ზნე-ჩვეულებები“, მიმართული ძველი არისტოკრატიული საზოგადოების წინააღმდეგ.

88. XVIII საუკუნის ფრანგული გაზეთები, რომლებიც განმანათლებლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

89. კლოდ ჟოზეფ დორა (1734-1780) — ფრანგი პოეტი და დრამატურგი.

90. „დიდი გაიძვერა ორ ბრიყვს შორის ზის“ (იტალ.).

91. მიკუ, კრიკეტი — მსახიობ დანუევილის კატების სახელებია.

92. პენდარ ლე ბრიუნი (1729-1807) — ფრანგი პოეტი, ეპიგრამების მთხზველი.

93. კლოდ ადრიან პელვეციუსი (1715-1771) — ფრანგი ფილოსოფოსი.

94. პალისო თავის მეგობარ პუანსინეს არწმუნებდა, პრუსიის მეფემ თავისი ვაჟის აღზრდა შემოგთავაზა, ოღონდ იმ პირობით, თუ პროტესტანტი გახდებო.

95. „სიმართლითა თუ უსამართლობით“ (ლათ.).

96. იგულისხმება პიესა „საშიში ადამიანი“, რომელშიც პალისომ საკუთარი თავი განასახიერა.

97. მხედველობაში ჰყავს გრაფინია დე ლა მარკი, პალისოს მფარველი.

98. ბერტენიუსი — ბერტენი.

99. ავინიონელი ერეტიკოსი პალისოა, რომელიც ავინიონიდან გაიქცა და თან თავისი კლიენტების ფული გაიტაცა.

100. სპირები — პოლიციის აგენტები.
101. სან-ბენიტო — ყვითელი ბალახონი, რომელსაც ინკვიზიტორები დასაწვავად გამზადებულ ადამიანს აცმევდნენ.
102. „გაუმარჯოს მასკარილიუსს, თაღლითთა იმპერატორს!“ (ლათ.). მასკარილიუსი — XVII-XVIII საუკუნეების კომედიების ავტორ-სონაჟი, გაიძვერა და ინტრიგანი მსახური.
103. ეჟიდო რომუალდო დიუნი (1709-1775) — იტალიელი კომპოზიტორი.
104. არიები დიუნის ოპერა „შეშლილთა კუნძულიდან“. ტექსტში ნახსენები ძუნწი და გოგონა ამ ოპერის პერსონაჟები არიან.
105. არია ფილიდოსის კომიკური ოპერიდან „მჭედელი“.
106. ანდრე კარდინალ კამპრა (1660-1744); ანდრე დეტუმი (1669-1749); ჟან ჟოზეფ მურე (1682-1738) — ფრანგი კომპოზიტორები.
107. „Stabat Mater“ — „მწუხარე ღვთისმშობელი“ გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორის ჯოვანი ბატისტ პერგოლესის (1710-1736) ნაწარმოები. კათოლიკური ჰიმნი.
108. პერგოლესის ოპერა-ბუფები.
109. კამპრას ოპერებია.
110. დეტუმის ოპერა და გმირული პასტორალი.
111. ლიულის ოპერა. ფრანგული კლასიციზმის მნიშვნელოვანი ნაწარმოები.
112. ბაშვების სათამაშო ქალაქი იმ დროისა: მუყაოს ქალაქზე დახატული იყო კაპუცინთა ორდენის ბერები; მუყაო ისე იყო გადატეხილი, რომ მათი ერთმანეთის მიყოლებით განლაგებისას გამოდიოდა პროცესია.
113. ფრანსუა რებელი (1701-1775) და ფრანსუა ფრანკერი (1698-1787) — კომპოზიტორები და პარიზის ოპერის დირიჟორები.
114. პალე-რუაიალის ჩიხში 1763 წლის ხანძრამდე მოთავსებული იყო მუსიკის სამეფო აკადემია.
115. დიუნის კომიკური ოპერა.
116. „რაგონდა“ — მურეს ოპერა — დივერტისმენტი. „პლატე ანუ ეჭვიანი იუნონა“ — რამოს კომიკური ბალეტი.
117. იგულისხმებიან აკადემიკოსები, ბოტანიკოსები ძმები ანრი ლუი დიუამელ დიუ მონსო (1700-1782) და ჟან გიომ დიუამელ დე დენენვიელი (1730-1816).
118. არიები დიუნის ოპერიდან „შეშლილთა კუნძული“.
119. ნიკოლო იომელი (1714-1774) — იტალიელი კომპოზიტორი.
120. არია ლიულის ოპერიდან „როლანდი“.
121. გერმანელი კომპოზიტორის იოჰან ადოლფ ჰესეს (1699-1783) მეტსახელი.
122. დომენიკ ტერადელიასი (1711-1751) — იტალიელი კომპოზიტორი.

123. ტომაზი ტრაეტა (1727-1779) — იტალიელი კომპოზიტორი.
124. პიეტრო მეტსატაზიო (პიეტრო ტრაპასი, 1698-1782) — იტალიელი პოეტი, დრამატურგი, ლიბრეტისტი, მის-ტექსტებზე წერდნენ ოპერებს ჰაიდნი, ჰენდელი, გლიუკი, მოცარტი და სხვა.
125. ფილიპ კინო (1635-1688) — ფრანგი პოეტი, დრამატურგი, ლიბრეტისტი.
126. ანტუან ლა მოტი (1672-1731) — ფრანგი კრიტიკოსი, პოეტი, ლიბრეტისტი.
127. ბერნარ ლე ბოვიე ფონტენელი (1657-1757) — ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი. დაწერილი ჰქონდა რამდენიმე საოპერო ლიბრეტოც.
128. ფრანსუა დე ლა როშფუკო (1613-1680) — ფრანგი მწერალი-მორალისტი.
129. ბლეზ პასკალი (1623-1662) — გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ფილოსოფოსი, მწერალი.
130. ჟ. ფ. რამოს ურსულა პლიუშოსთან შეეძინა ვაჟი, რომელიც ოთხი წლისა გარდაიცვალა.
131. სამუილ პუფენდორფი (1632-1694) — გერმანელი ისტორიკოსი და სამართლის მცოდნე, ახალი იურისპრუდენციის ფუძემდებელი.
132. ჰუგო დე გროტ გროციუსი (1583-1645) — ჰოლანდიელი მოაზროვნე, პოეტი, ისტორიკოსი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის შემქმნელი.
133. ლაკედემონური აღზრდა — სპარტანული აღზრდა.
134. ლეონარდო ლეო (1694-1744); ლეონარდო ვინჩი (1690-1777) — იტალიელი კომპოზიტორები.
135. პოლიშინელი — ფრანგული ხალხური თეატრისა და თოჯინების თეატრის კომიკური პერსონაჟი.
136. მემნონი — ცისკრის ქალღმერთის ეოსის შვილი. ტროას ომის მონაწილე. მოკლა აქილევსმა. არსებობს აზრი, რომ მემნონი და ეგვიპტის ფარაონი ამენხოთეპ ერთი და იგივე პიროვნება იყო. მემნონის სახელით ეგვიპტეში, თებეს ახლოს იდგა ამენხოთეპის ქანდაკება და მზის ამოსვლისას გამოსცემდა მწუხარე, ნატანჯი გოდების ხმას. ამბობდნენ, ამ ხმით მიესალმებოთ თავის დედას — ეოსს.
137. გამოთქმა ნასესხებია ფრანგი მწერლისა და მოაზროვნის მიშელ მონტენისგან (1533-1594). პტოლემიას (II ს.) მიხედვით ეპიციკლი პლანეტების მრუდი მოძრაობაა დედამიწის ირგვლივ. მონტენის მიხედვით კი ნიშნავს ამაღლებას მდაბალი სულიერი სამყაროდან ამაღლებულ, განზოგადოებულ ოცნებებამდე.
138. რენე ანტუან დე რეომიური (1683-1757) — ფრანგი ფიზიკოსი და ბუნების მკვლევარი.
139. ჟან ჟორჟ ნოვერი (1727-1810) — ფრანგი ბალეტმეისტერი, ქორეოგრაფიის რეფორმატორი.

140. ფერნანდო გალიანი (1727-1787) — იტალიელი ეკონომისტი, განმანათლებელი. დიდროს მეგობარი.

141. პანტალონე — იტალიური კომედიის ტრადიციული პერსონაჟი — ჭირვეული, ძუნწი, ავხორცი მოხუცი, რომელსაც ახალგაზრდა საყვარლები ატყუებენ.

142. კინიკი — კინიკური სკოლის მიმდევარი. სკოლა ^{ქველმოქმედების} რძნეთში დააარსა ანტისტენემ და სოკრატეს მოძღვრებას ავითარებდა ძირითადად ეთიკაში. ანტისტენე და დიოგენე სინოპიელი ადამიანს ურჩევდნენ ბუნებასთან დაახლოებას, პირველყოფილ მდგომარეობაში დაბრუნებას.

143. პერიკლე (490-429 ძვ. წ.) — ათენის სახელმწიფო მოღვაწე.

144. ლაისი (IV ს. ძვ. წ.) — ათენელი პეტერა.

145. ანტუან დოვერნი (1713-1797) — ფრანგი კომპოზიტორი და ღირსიერი.

146. „ყველა თავის სასჯელს (არ) ატარებს“ — ვირგილიუსი „ენეიდა“. წიგნი VI, ლექსი 743. ვირგილიუსთან არ ნაწილაკი არ არის.

147. კაფე „რეჟანსში“ მართლაც ისმოდა ზარის რეკვა, რომელიც ოპერის სალაროების გაღებას იუწყებოდა.

148. აბატი ეტიენ კანე (1694-1782) — ფრანგი ლიტერატორი, აკადემიის წევრი, მელომანი.



შოლბ შიტკენი



თარგმნა სიღოვან ნაკიმაანიძემ

შენლაში

მგზავრო, შემხვედრო,
თუკი ოდესმე მოისურვებ ჩემთან საუბარს,
რატომ არ უნდა ვისაუბრო, მითხარ, მე შენთან?..
ანდა, შენც ჩემთან?..

ღღის ბოლოს, როცა მოვისმინე

ღღის ბოლოს, როცა მოვისმინე ჩემი სახელი,
აღტაცებულთა კრებულისგან მომესმა იგი,
როს ტაშისცემით გაბრუებულ კაპიტოლიუმს
შეძახილებით გადაუქროლა ჩემმა სახელმა, —
მაინც არ ვიყავ ბედნიერი, —
ის ღამე ჩემთვის ბედნიერი არ იყო ღამე!
არც მაშინ ვიყავ ბედნიერი, როცა ვღრუობდი,
ჩემს მძიმე ფიქრებს არ ეწერა რადგან ახდენა,
მე არ ვიყავი ბედნიერი და ვამბობ ამას!
ღღეს კი სულ სხვაა;
წამოვდექი რა დილით ადრე,
დამწიფებული შემოდგომის ცვრიანი დილის,
რა შევისუნთქე ჰაერი ხარბად,
როცა ვიგრძენი, რომ ჯანმრთელი ვარ, რწმენით სავსე
და ხალისიანი,
როცა გავხედე დასავლეთის კრიალა ზეცას,
მთვარე რომ შთანთქა დილის ნათელმა,
ზღვის სანაპიროს გავუყევ და
ზვირთებს ვეღავე, —
როცა სხეულზე გადავივლე ტალღა კრიალა
და მზის ამოსულას შევეგებე ხალისიანი,
როცა ვიცი, რომ მეგობარი შორი გზებიდან
თავდავიწყებით მოიჩქარის ჩემს სანახავად,
ბედნიერება უფრო დიდი ეს იყო ჩემთვის!
ჰაერი უფრო თბილი გახდა,

საჭმელი მსუყე,
 ო, რა დღე იყო ის ბედნიერი,
 გამორჩეული დღე იყო ის დღე!
 მეორე დღეც ხომ იმედია და მხიარული
 გათენდა ჩემთვის,



ხოლო მესამე?..
 უფრო რე დიდი ბედნიერება არ შეიძლება წარმოიდგინო.
 ჩემი ძვირფასი მეგობარი მეწვია იმ დღეს...
 როდესაც ღამე ჩამოდგა ბნელი, ელდის მგვრელი
 და ამოუცნობი,
 როცა ველეებზე შემოდგომური სიჩუმე დაწვა
 და გაირინდა,
 როცა ტალღები ფოლორცი ვნებით ეტქმასნებოდა
 ნაპირებს ზღვისას,
 როცა ვუსმენდი მიმოქცევას და ქვიშის ხრამუნს,
 თითქოს სამყარო, — ჩემს გარშემო რომ იყო ირგვლივ,
 ჩემი იყო და ჩემთვის იყო ეს ყველაფერი.
 რადგან ყველაზე საყვარელი ადამიანი,
 ჩემს გვერდით იყო,
 სასთუმალზე ჩემთან ეძინა.
 იმ გრილ ღამეში,
 იმ მთვარიანი შემოდგომის ნათელ ღამეში,
 დაუსრულებლად შეეხაროდი მის ძვირფას სხეულს,
 იმის ხელს ჩემი მკერდი ათბობდა,
 მთვარე კი, მთვარე, მედიდურად ვიდოდა ცაზე,
 და მე ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი!

მამი, გამოდი მინდვრიდან

— მამი, გამოდი მინდვრიდან,
 წერილი მოვიდა პიტიდან,
 დედი, გამოდი სახლიდან,
 წერილია შენი ბიჭიდან... —
 უკვე აგრილდა ოქაიოს სოფლების ირგვლივ,
 ნიაფს მიმოაქვს ჭირნახულის ამო სურნელი.
 შემოდგომაა და ხეების მწვანე სამოსიც
 ყვითლად და წითლად იღებება შემოდგომურად,
 მწიფს ბაღში ვაშლი,
 სარები კი ყურძნის სიმძიმეს ველარ უძლებენ,
 (მწიფე მტევნებით დახუნძლული დგანან ვაზები).
 შრომით გართული მიმოფრენენ ფუტკრები ცაში,
 მათ ტკბილ ნაყოფთა გემრიელი მიმოაქვთ წვენი.
 ო, ოქაიოს ზეცა ამ დროს ისე წყნარია,
 ისე ნაზია, ელვარეა და მშვენიერი,

რომ მთის პირებზე ჩამომდგარი თეთრი ღრუბლებიც
 იმზირებიან რალაც ტკბილი სიცოცხლის ჟინით,
 ავსებულა ფარდულები ხილის ზვინებით,
 თუმცა მინდორი უფრო მრავალს მოელის გამრჯეს.
 გამო, მამილო, მინდვრიდან გამო! ^{უაჩუნეუნი}
 მამას ხომ მისი ქალიშვილი უხმობს, ^{ბეჭლეიქთეა}
 გადმოაბიჯე შენც, დედილო, ზღურბლს სახლისა!
 ეზოში შენი ქალიშვილი დვას და გეძახის.
 სწრაფად აღებს კარს იგი სახლისას,
 რალაც ტკივილს გრძნობს, უთრთის სხეული,
 უკანა რჩება რატომღაც ფენი.
 ხელებიც შიშით უკანკალებს
 და ხილაბანდიც,
 ვერ გაისწორა, გადივარცხნა ველარც თმა რიგზე,
 სასწრაფოდ გახსნა წერილი და, შეკრთა ძალიან,
 — ო, ეს ნაწერი, სხვისი ხელია!
 ვილაცა სხვა გვწერს, ჩემს შვილს როდი დაუწერია, —
 — უძვირფასესო დედა, — სწერდნენ, თვალთ
 დაუბნელდა,
 მერე ბოლომდე ჩაიკითხა შავად ნაწერი, —

მტრის ცხენოსნებთან შეჯახებისას ის ტყვიით დასჭრეს
 მკერდში და ახლა პოსპიტალში წევს, ცუდად არის,
 იმედი არის, რომ სულ მალე განიკურნება
 და წამოდგება, სწერდა ვილაც ავის მხილველი.

და ხვავით სავსე ოჰაიოში,
 მის ქალაქებსა და სოფლებში, ირგვლივ ყოველგან,
 ის ერთადერთი დედა ჩანდა მხოლოდ მწუხარე,
 კარის სახელურს ფერწასული რომ დაყრდნობოდა.
 — ნუ დარდობ, დედა, საყვარელო დედა, დამშვიდდი, —
 იგი ხომ მხოლოდ დაჭრილია,
 პიტეი ჩქარა კარგად გახდება, —
 ეუბნება მას ქალიშვილი,
 პატარები კი სევდიანი, ფართო თვალებით,
 შეშინებულნი, ატირებულს ეკვრიან დედას.
 — ო, ჩემი ბიჭი, მე ვგრძნობ, რომ ის უკვე მკვდარია, —
 (ნამდვილად იგი, გაბედული და უშიშარი, იქ, ომში
 მოკვდა,
 ის მოკვდა მაშინ, როცა ისინი თავშეყრილები იდგნენ
 სახლის წინ და ბჭობდნენ მასზე.
 ო, ერთადერთი მისი ვაჟი გმირულად მოკვდა).
 მაგრამ დედისთვის საჭიროა, ასე იცოდეს, —
 რომ მისი ბიჭი ჯერაც მხნედ არის.
 ის გამოეწყო შავ კაბაში, გვერდით არავინ არ გაიკარა

და საჭმელიც აღარ იგემა.

ხოლო ღამით კი ცრემლებით მორწყა
ლოგინი, ძილიც დაეკარგა, ტიროდა მხოლოდ,
და ჰქონდა ნატვრა ერთადერთი, რომ წასულიყო
იმქვეყნად ჩქარა, სადაც მისი შვილი წავიდა.



ქართული
ბიბლიოთეკა

კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო,
რა ქარიშხლები, სად არ ვიარეთ,
ყველა ქარბუქის შევიცანით საშინელება,
განძი ურიცხვიც მოვიპოვეთ შტრუბთან ომისას.
დღეს კი მიგველის ნავსადგური,
ხალხი ურიცხვი მოჩანს იქ და ხარებიც რეკენ,

უშიშარსა და ომგადახდილ ჩვენს გმირულ ფრეგატს
ყველა მიელის ალტაცებით და სასოებით.
მაგრამ ო, გული, გული, გული!..
სისხლის ნაკადით დასვრილია გემბანი ჩვენი,
სადაც შენ უხმოდ დაეცი მკვდარი.
ო, კაპიტანო, ჩვენო კაპიტანო!
ჩანს მხიარული ზღვის სანაპირო,
ყველა დროშები გაშლილა შენთვის!
დაფდაფები და საყვირები შენ ერთს გიხმობენ.
ხალხიც დიდების გვირგვინებით მოიწევს ჩვენსკენ,
გაცინებული სახეებით, ყველანი ერთად, შენს სანახავად
მოიჩქარიან,

შენ კი...

იქნებ ეს მხოლოდ სიზმარია, —
შენ ჩემს მლკავებზე დახუჭე თვალი.
ო, ჩემი გმირი კაპიტანი,
ხმას რად არ იღებს,
დადუმებულა ბაგე იმისი.
ენა იმისი უტყუვი არი,
მკლავი უღონო,
გამოატარა ათას გრიგალს, ათას ქარიშხალს,
გამარჯვებამდე მოიყვანა ჩვენი ფრეგატი,
თვითონ დაეცა გემბანზე მკვდარი.

დარეკეთ, იტირეთ, ნაპირებო,
მე კი, ნაღვლიანი ნაბიჯებით,
გულჩათხორბილი მიმოვდივარ გემბანზე, სადაც
უხმაუროდ წევს ჩემი კაპიტანი...

ჩემი ანდერძი

ვინმე მდიდარი — საქმოსანი და მომხვეჭელი,
 დააპირებს რა იმქვეყნად წასვლას,
 დაითვლის თავის დიდ ქონებას და განსჯის ^{დაგანდნუა}
 მიწის ნაკვეთებს, სახლს და საქონელს, ^{ბიზაიროთუა}
 უძრავ და მოძრავ ქონებას ყველას.
 სააუადმოფოს, სკოლასა და ყველა აქციებს
 გაუნაწილებს შვილებს, და-ძმებს, ძვირფას მეგობრებს,
 ზოგსაც ფულს მისცემს სამახსოვრო საჩუქრებისთვის,
 ყველას თავისას მიაკუთვნებს შეძლებისამებრ...

მე კი, მე ჩემი ცხოვრების ბოლოს,
 გადავხედავ რა მღელვარე წარსულს,
 იმათ ვერაფერს ვერ ვუანდერძებ,
 ვერც სახლს, ვერც მიწას,
 ვერც ოქრო-ვერცხლსა,
 ვერც მარგალიტს და ვერც ძვირფას თვლებსა.
 მხოლოდდამხოლოდ მოგონება გარდანდილ ომზე
 და ბრძოლის დროის სუვენირები
 მექნება ბოლოს
 ახლობლებისთვის საანდერძებლად,
 და მათთან ერთად, ჩემივე ნაზი სიყვარულიც იქვე
 იქნება.
 აჰა, ავკინძე კიდევ ყველა, რომ გიანდერძოთ,
 რომ თქვენ მოგიძღვნათ
 სტრიქონების პატარა კონად...

ვინც აღრე მოკვდა

ყველა სხვებისგან გამორჩეულთ,
 უნდა გაუწყო ამბავი მძიმე,
 თუმცა თქმა მიჭირს, მაგრამ რა ვქნა, ხომ უნდა გითხრა
 სიმართლე, მეტად უღმობელი: — სიკვდილი გელის!..
 სხვამ სულ სხვა გითხრას, ის, რაც თვითონ სურს,
 იპირფეროს და იფარისევლოს, —
 მე კი გითხარი სიმართლე და არ დაგიმალე.
 აჰა, ხელს გკიდებ ხელზე, თანაც ნაზად გეხვევი,
 შენს თავთან ვჯდები, შენი ბედით ჩაფიქრებული,
 მინდა რომ ვიყო იმათზე მეტი,
 მამა, ძმა როა, სხვა ახლობელი.
 ყველამ დაგვტოვოს,
 მე მივხედავ შენს სულს და სხეულს,
 ამქვეყნიური ბორკილებისგან

სამარადისოდ თავისუფლები, —
 რაც იყავ, იმად იქცევი ისევ...
 ყველა ისინი, ვინც შენს შემდგომ ცოცხლად რჩებიან,
 უსუსურები მოჩანან და ხვედრის მორჩილნი,



ქართველი
 მწიგნობრთა

აი, უეცრად მზით აივსო აღმოსავლეთი,
 მოულოდნელად ცა განათდა და შენც განათდი.
 და წუთით თითქოს დაივიწყე ფიქრი სიკვდილზე,
 მზის სხივებმა კვლავ რწმენით აგავსეს, ილიმები და
 თან გავიწყდება,

რომ ავად ხარ და რომ სიკვდილს ებრძვი,
 ილიმები და მშვიდად ხვდები ამ განათებას,
 ისევ აენტე, რალაც ძალამ გაგახალისა,
 ვერ ამჩნევ წამლებს, ვერც ქვითინს ისმენ, —
 შენთა ძვირფასთა მწუხარება თითქოს არ გესმის.
 მეც შენთანა ვარ, და ვიცი, რომ შენ ეს გჭირდება, —
 გჭირდება, რათა უმფოთველად შეება სიკვდილს.

მე დავითხოვე ყველანი, ვინც თავს გეხვეოდნენ,
 ნუ იდარდებენ ისინი შენზე,
 ჩვენ აქ მოვედით არა ცრემლისთვის,
 არამედ მისთვის, რომ მოგილოცოთ
 ახალ სამყაროდ გარდავლენა — გარდაცვალება.

ფიქრი

შორით ვდგავარ და ვაკვირდები, რაც ხდება იმას,
 ვფიქრობ
 სიმართლეზე, მორჩილებაზე და ერთგულებაზე, —
 და მათებს ძალიან,

რომ მილიონობით ადამიანები
 მიჰყვებიან იმათ ნება-სურვილს,
 რომელთაც არ სჯერათ ადამიანების.

სოფლის სურათი

ფართო ჭიშკრების იქით,
 სახლების მწკრივებს იქით,
 განათებული მოჩანს მინდორი ცხვარ-ძროხის ჯოგით
 და მთის პირის ღრუბლებით.
 და უსასრულო
 ვრცელი ჰორიზონტით...

დამნაშავენო, საბრალდებო სკამზე
რომ სხედხართ



მკვლელეხო, სიკვდილმისჯილეხო,
ცინის ჯურღმულთა ბინადარხო,
ბორკილდებულხო,
კატორღის ტვირთით ჯანდაცლილო
დამნაშავეხო,
ვინა ვარ მე და,
რად არ ვინდი სასჯელს თქვენსავით.
მეც ხომ თქვენსავით უსინდისო
და ავკაცი ვარ,
მეც რად არ მადევს ხუნდი თქვენსავით...
მეძავეხო, უსირცხვილოდ რომ დასეირნობთ
და ბნელ სოროებს ირჩევთ ხოლმე თქვენი სურვილით,
თვითონ ვინა ვარ,
რომ გიწოდოთ ურცხვი და ბილწი.
დამნაშავე ვარ, გულახდილად გამოგიტყდებით,
თვითონ მოვდივარ იმისთვის, რომ
დამდონ ბორკილი...
(ნუ მაქებთ ხოლმე პირფერულად,
თქვენ ხომ არ იცით ის, რაც მე ვიცი,
და რაც მე ვიცი, თქვენ მას ვერ ხედავთ,
და ჯანდაბას ეგ თაყვანისცემა).
ნაკლიც, ბოროტიც ჩემშიც არი, მეც დავსეირნობ
გარყვნილებთან და
მთელი გულით ვეძლევი ვნებას.
მეც თვითონ ვარ
გამყიდველი და კაცის მკვლელი.
მე არ უარყოფ,
რომ სხვებისგან არ გავირჩევი,
ასეთი ვარ და საკუთარ თავს
ვერ განვუდგები.

როცა ვკითხულობ საარაკო გმირობებზე

როცა ვკითხულობ გენერალთა დიდ გმირობებზე,
ამაყ დიდების მაუწყებელ გამარჯვებებზე,
მე არ მშურს მათი!
არც პრეზიდენტის, არც მდიდართა სასახლეების, —
არა მშურს, არა!
თუკი რამეა, — სიყვარულის ერთგულებაა, —
ახალგაზრდობის ოცნებაა, მათი ცხოვრება,
ურთიერთნდობა, უხმაუროდ გავლილი დღენი,

წვდომა და თრობა სიყვარულისა,
 ის კი სულ სხვაა, თვითონ სიცოცხლის დასასრულამდე:
 მე თავს ვუხრი და გვერდზე ვდგები,
 გულს შური მიღრღნის, ტკივილს ვნებდები.



წიგნის კითხვის დროს

როგორ გგონიათ, წიგნს რომ კითხულობთ,
 ბიოგრაფიაც ავტორისა თქვენს გონებაში
 აღიბეჭდება ხოლმე სრულად და არსებითად?..
 იქნება ფიქრობთ, სიკვდილის შემდეგ
 ვინმე აღნუსხავს გარდასულს ჩვენსას?..
 თითქოს და ვინმემ იცის რამე ჩვენი ცხოვრების?..
 სხვამ კი არადა,
 თვითონ მეც არა გამეგება რა,
 რა ვარ, ვინა ვარ, ამა ქვეყნად რისთვის მოვედი...
 არა ვიცი რა, გარდა სუსტი და დახლართული,
 ძლივს შესამჩნევი ნაკვთებისა, —
 წლებს ჩემი სახე რომ დაულარავს მრავალნაირად.
 ამ ნაკვთებიდან ხშირად ვცდილობ, ავხსნა მცირედი,
 ამოვიკითხო, შევიმეცნო არსება ჩემი...

ლუიზიანაში ვნახე ბერმუსა

ლუიზიანაში ვნახე ბერმუსა,
 ის იდგა მინდვრად და ბრვე ტანზე ხავსი ებურა,
 ის ხომ სულ ასე გაიზარდა, უამხანაგოდ,
 მხრების შრიალით მარტოობის სევდას ებრძოდა.
 შეუდრეკელი, ძლიერი და სიავის მთმენი,
 მე მგავდა იგი.
 თანაც ყოველთვის მაოცებდა, რადგანაც ვგრძნობდი
 ამ სიმარტოვეს,
 ამდენ მოლოდინს, უმეგობროდ შორეთში მზერას,
 მე ვერ შევძლებდი.
 აი, მოვტეხე მუხას ტოტი,
 შემოსილი მისივე ხავსით,
 წამოვიღე და, ჩემს ოთახში დავკიდე მალლა.
 არა იმიტომ, რომ მას ჩემთა გარდასულ დღეთა,
 ან მეგობართა ჩემთა ძველთა აღეძრა ხსოვნა,
 (მაშინ ამაზე სულ არ ვფიქრობდი),
 არამედ მსურდა ყოფილიყო, როგორც სიმბოლო, —
 უღალატო და საყვარელი მეგობრობისა...
 დაე, ბერმუსა ლუიზიანაში,

მუხა ამაყი, მარტოდმარტო მდგარი მინდორში,
 ბრწყინავდეს ასე ცადაშლილი, ამაყი მხრებით,
 ფოთლების ლალი შარიშურით,
 მთელი სიცოცხლე მეგობრობას მოწყურებული.
 ვიცი, რომ ამას მე ვერ შევძლებდი.



უკეთესი გაკვეთილები

შენ არ ისმენდი გაკვეთილებს არასდროს მათგან,
 განებივრებდნენ ვინც და შენით აღფრთოვანებას
 გამოხატავდნენ. —

შენს წინაშე იყვნენ დამთმობნი.

აი, იმათგან კი იღებდი ბრძნულ გაკვეთილებს,

ვინც უარგყოფდა,

ან გმტრობდა ძლიერ,

ყველა მათგან ვინც შეურაცხყოფდა, —

სცდიდა გზიდან შენს

ჩამოშორებას?..

მოხუცის მადლობა

სანამ ჯერ კიდევ სული მიღვას

და ცოცხალი ვარ,

მინდა, მოხუცმა, მადლობა გითხრათ

ყველაფრისათვის:

თაკარა მზისთვის, ჰაერისთვის, ჯანმრთელობისთვის,

მადლობა გითხრათ სიცოცხლისათვის,

ფასდაუდებელ მოგონებისთვის,

ჩემს ხსოვნაში რაც უძვირფასეს განძად ანთია.

(თქვენ, დედავ, მამავ, ძმებო, დებო და მეგობრებო);

ყოველი დღისთვის,

არა მარტო მშვიდობიანი,

არამედ ბრძოლის ქარცეცხლიან დღეებისთვისაც,

აღერსისათვის, სიტბოსათვის,

უცხო მხრიდან გამოგზავნილ საჩუქრებისთვის.

ჩემი სისხლის და სორცისათვის, ღვინისთვის, წყლისთვის,

რაც რამ მაღირსეთ, იმისათვის, — სიხარულისთვის!

(თქვენ, შორეულნო, ვისაც გფარავთ მარადი ნისლი,

მკითხველნო ჩემნო, მოხუცნო გინდ ახალგაზრდებო,

ვისაც არასდროს შეგხვედრივართ და არც შეგხვდებით,

იფიქრეთ, თითქოს თქვენთანა ვარ, მაგრად გუხვევით).

ყველა იმისთვის, რაც არის ქვეყნად,

სიტყვებისათვის, წიგნებისთვის, სიყვარულისთვის,

რაც რამ ვიგეშე, უთვალავი სანახავისთვის,

გამბედაობის, ძლიერების, ერთგულებისთვის,
 მამაც მებრძოლებს, შეუპოვარ ადამიანებს, —
 სუყველას ერთად მადლობას ვიხდით...
 (დიდი მადლობა და დაფნის რტო უპირველესი
 ყველა დროის და ყველა მხარის ღირსეულ გმირებს
 მტერთან ბრძოლით რომ დაიმკვიდრეს თავის
 სიმღერების და ფიქრთა მეუფეთ,
 არტილერიისტებს — წინამძღოლებს,
 ბელადებს, ვისაც მივყვებოდი — სულის კაპიტნებს).
 მკაცრი ომიდან მობრუნებულ ჯარისკაცებით,
 მოგზაურებით,
 ვით პროფესიას, გამოვლილ გზას, ისე რომ უმზერს,
 მადლობას გიძღვნიტ გულახდილად, უღრმეს მადლობას,
 ეს მოგზაურის, ჯარისკაცის არის მადლობა!



გაზაფხული პოტომაკის ნაპირებზე

კვლავ პოტომაკის ნაპირზე ვარ და,
 ისევ მომესმის ხმა უძველესი.
 (ის კვლავ ბურღუნებს, დელავს, შფოთავს, არ შეუძლია
 წუთით შესწყვიტოს თავის ბურტყუნს?)
 ჰაერში ისევ სიხალისეა და სურნელი დგას განახლებისა.
 მოხუცის გულიც კვლავ მასთან არის, კვლავ მასთან
 ერთად

ხვდება გაზაფხულს.
 ამ დროს ყოველთვის ვირჯინიაში ცა ნათელი და
 ვერცხლისფერია.

იქ ყოველ დილიტ ბორცვიდან ბორცვზე
 ლურჯად ამოდის ღორთქო ბალახი.
 სისხლისფრად ისევ ყვავილობენ ბალში ატმები.
 შეასვი ჩემს ლექსს შენი ფურცლების სურნელება,
 ხავერდის ვარდო!

უხვად განბანე ლექსები ჩემი
 შენი მღვრიე წყლიტ კვლავ, პოტომაკო!
 უფლება მომეც, რომ შეგინახო, შენ გაზაფხულო,
 ჩემს წიგნში, ვიდრე
 მისი ფურცლები არ დახეულა.

სანამ ზამთრისგან არ დათალხულხართ,
 თქვენც შეგინახოტ მობიბინენო
 ბორცვებო მწვანედ და ღირსეულად,
 შენც შეგინახო, ღორთქო ბალახო,
 და შენც, ამ დღეთა
 ამომავალ მზის წმინდა ნათელიო!





ვიქტორია ტოკარევა

კანის პრეკულა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

თარგმანა ჯუმაზარ თითაძეა

იმ ლაბორატორიის კარზე გამოკრული იყო აბრა — „პროფესორი“, მაგრამ მთელი ლაბორატორია ამ აბრას არად აგდებდა და პროფესორს დენიჩკას ეძახდა. ის ყველას უყვარდა და ასეც უნდა ყოფილიყო: განსაცვიფრებლად ნიჭიერი, კეთილი, დიდი ბავშვივით გულლია კაცი გახლდათ.

მან იცოდა ყველაფერი: საიდან გაჩნდა დედამიწა, როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი, რა ხდებოდა მილიონობით წლის წინათ და რა მოხდება მილიონობით წლის შემდეგ. მასთან საუბარი ბედნიერება იყო. ოღონდ მე მას როგორც მამაკაცს არასოდეს აღვიქვამდი. დენიჩკა სექსს გარეთ იდგა და ეს, რასაკვირველია, ძალიან უშლიდა მას ხელს. რაში? ყველაფერში. მაგრამ მე ეს „ყველაფერი“ არაფერში მჭირდებოდა. მე მოგიზგიზე სიყვარულით ვიყავი ხელდარეული, დენიჩკას კი ჩემს წითურ დაქალ ნადკა აბაკუმოვასკენ გაურბოდა თვალი.

ნადკა ქალთა ჯაზ-ორკესტრში უკრავდა. რიტმის უზადო გრძნობა ჰქონდა. მას მიაჩნდა, რომ ყველაფრის თავი და ბოლო რიტმი იყო. გული რიტმულად ძგერს, ფილტვები რიტმულად სუნთქავენ და სქესობრივი კავშირიც კი რიტმულად მყარდებაო. არსებობს კოსმიური რიტმიც — წელიწადის დროთა ცვლა, მაგალითად... თუმცა, დენიჩკას დავუბრუნდეთ.

ეჭვი მქონდა, რომ ის ნადკას საყვარელი იყო, მაგრამ ნადკა ორივე ხელს ასავსავებდა და აცხადებდა, ჩვენ მხოლოდ ვმეგობრობთო. და საერთოდ, ის ამ საქმის კაცი არაა. ის ბიჭია, მე კი მისი ამხანაგი კოვო ვარო.

ბიჭი უძახე შენ. ჩვენ, ყველანი, მაშინ ორმოცს ვუკაკუნებდით. ერთი სიტყვით, მოწიფული ადამიანები გახლდით. ყველა ჩვენგანს ოჯახი გვყავდა, ყველანი ვმსახურობდით, საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობა, სტატუსი გვქონდა.

ორმოცი წლის ასაკში სტატუსი კი უნდა გქონდეს — გნებავთ ოჯახის ხაზით, გნებავთ საზოგადოებრივი მდგომარეობის თვალსაზრი-

სით, მაგრამ, თუ კარგად გავერკვევით, ეს ყველაფერი ფიქციაა. რომელ საოჯახო სტატუსზეა ლაპარაკი, თუ ქმარი ქალებში ნაფარდობს? ქალებში ნაფარდობს კი არა, ერთი მუდმივი ქალიც კი ჰყავს. და ამას არც მალავს. და არ უშვება მას — ამას ნადკაზე ვამბობ.

მე სულ ამის საპირისპირო დღე მადგას: ჩემი ქმარი ქალებში ნაფარდობს, არაფის არაა გადაკიდებული, მაგრამ მის გვერდში მისი კუნთებისგან ამთქნარებ. წკვარამფსკერიანი ჭაობია. კომპანიონის გაცვლა შესაძლებელია. მაგრამ ვისით შევცვალო? ყველა პრეტენდენტს უნდა აკლდებოდა.

სადგისის ნემსში გაცვლას რა აზრი აქვს, მით უფრო, რომ სადგისი უფრო ძვირად ღირებული რამაა? მე და ჩემს ქმარს ჩვენი ბუნდოვანი სიყმაწვილის გარიჟრაჟზე ვაი და ვუი გვქონდა. ორი შვილი გვყავს. როგორ შეიძლება გაყრა, კომპლექტის დანგრევა? ამაზე კრინტის დაძვრაც კი არ შეიძლება. წარმომიდგენია ის თავისი თვალები რანაირად გადაუსხვაფერდება ჩემს ქმარს, თუ მე ამ საკითხს დავაყენებ. ამას ისევე ჭაობში ყურყუმალაობა მიჯობს.

სიბრალული კარგი გრძნობაა. ის ძალას მატებს იმას, ვინც იბრალებს.

ის ანკარა სამკურნალო წყლის წყაროსავით წმენდს, არწყულებს მას.

მაგრამ მხოლოდ სიბრალულით ვერ იარსებებ, ამიტომ გავახურე პარალელური რომანი. ჩემს რომეოს ვუყვარდი და უნდოდა მთლიანად დამუფლებოდა. და მეკითხებოდა: როდის, როდის? იმას გულისხმობდა, როდის გავყვებოდი ცოლად? მე ვდუმდი, წინ ვიხედებოდი და ჩემი სახე ბიზონის სახესავით ჩლუნგი ხდებოდა. ის კი ჩემს ჩლუნგ სახეს შემოჰყურებდა და მისთვის ყველაფერი გასაგები იყო. ესმოდა, რომ მე ნაძვზე აძვრომაც მინდოდა, და ისიც, რომ უკანალი არ გადამტყავებოდა. ჩვეულებრივ მამაკაცები ასე იქცევიან.

მე მას კიდევ იმიტომ არ მივყვებოდი ცოლად, რომ ინტუიტიურად სიმშვიდისკენ ვილტვოდი, და არა გულგამგმირაფი ვნებებისკენ. მე თან მინდოდა უფრო ვნებიანი ვყოფილიყავი, და თან არ მინდოდა: ეს წინააღმდეგობათა ერთობა და ბრძოლა იყო.

ჩემი პარალელური რომანი გახელებით, კონფლიქტურად სულდგმულობდა. ასეთ გრძნობას კი კვირაში ორ დღეს თუ გაუძლებ. გამუდმებით ასეთი გრძნობით არსებობა ისევე შეუძლებელია, როგორც უნაღქო ყავის კოვზით ჭამა.

ჩემი ცხოვრება სიმშვიდითა და ვნებებით იყო ბალანსირებული, და, ოთხ ფეხზე რომ დგას ტაბურეტი, ისე მყარად იდგა ფეხზე. ოღონდ ჩემს ტაბურეტს საზურგე არ ჰქონდა. არ დავეცემოდი, მაგრამ ზურგით ვერაფერს მივეყრდნობოდი.

ნადკამ თეატრში კულტლამქრობას მოაბა თავი. სრული შემადგენლობით ვიყავით: ის თავისი ქმრითურთ, დენიჩკაც მისი ცოლითურთ, მე ჩემი რომეოთურთ.

მე მაშინ პირველად ვნახე დენიჩკას ცოლი: ეს მსუქანი, მდაბიური სახის ქალი თანადროულად არ გამოიყურებოდა. ოღონდ ლაპარაკის

დაწყებამდე. როცა პირს ვაალებდა, იქიდან იუმორი ოქროს წვიმასავით მოთქრლიალებდა. და უკვე არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, თუ როგორ გამოიყურებოდა. დენიჩკამ ის თავისი სამეცნიერო ვარაუდებიდან იცოლა და იმთავითვე არ შეიძლებოდა ჩერჩეტი ყოფილიყო. ჩერჩეტები მეცნიერებას არ აშურებენ, თუმცა ყველაფერი უფრო უფრო

თეატრში, საზოგადოებაში დენიჩკა მაინც მარტო მოვიდოდა თვალში. რაკი მხედველობის პრობლემა ჰქონდა, მინუს ათი სათვალე ეკეთა. სქელი მინების იქით მისი თვალები ორი წერტილი გეგონებოდა. კაპიციანივით პატარა და მრგვალი პირი ჰქონდა. სხვების ყურებზე ორი სანტიმეტრით გრძელი ყურები ესხა — ყურის ნიჟარის ზედა ნაწილები კი არ უმრგვალდებოდა, დაუთოვებულსავით ბრტყელი ჰქონდა. დენიჩკა სათვალის მგლის ლეკვს ჰგავდა. ის თავდაპირველად მგლის ლეკვად ან ძალღად დაიბადა. დამაფრთხობელი, მაგრამ სასიამოვნო და არასაშიში კაცი იყო.

თანამედროვე ინტერპრეტაციის „რევიზორს“ ვუყურებდი. ჩემის აზრით, „რევიზორი“ უმოსაწყენესი თხზულებაა, და მას ვერავითარი თანამედროვე დადგმა ვერ ასაინტერესოებს. შესაძლოა, სწორი არ ვიყო, ალბათ, ბილეთები ნადკამ გაშანსა.

ნადკას ქმარი აქ იყო, მაგრამ არ იყო, — მისთვისაც, როგორც ჩემთვის, „რევიზორი“ მოსაწყენი რამ გახლდათ, — ან ფიქრით სხვაგან იყო, დიახ, სხვაგან, შორს იყო. ის მოჩვენებითად, ნაძალადევად იღიმებოდა, ბროლის მძივებით კაშკაშებდა. ვიჯექი და ვფიქრობდი: ჩემი ქმარი მოსაწყენია, მაგრამ ის ჩემთანაა. ეს კი — ვირტუალური ქმარი იყო, თუმცა მაშინ სიტყვა „ვირტუალური“ არ არსებობდა, ნადკა რატომ იჯინებს ამ ქორწინებას? აჯობებდა დენიჩკას გაჰყოლოდა. ის მისი ცოლისთვის წაერთვა, მისი პრივატიზირება მოეხდინა. დენიჩკა ხომ ასე ხარისხოვანი საიმედო ვინმეა... ბოლოს და ბოლოს, მისი ყურების თმით დაფარვა შესაძლებელია.

ანტრაქტისას ბუფეტში ასვლა გადავწყვიტეთ. მე კიბის თავისკენ ავდიოდი. დენიჩკამ რაღაც მკითხა. მისკენ მივბრუნდი. ის იდგა და მისი სახე, თავის ჭაბუკური ფორმა, ქოჩორი კინკრინოზე და ხელოვნური გამოძეტვვლელება ქვემოდან ზემოთ ამომცქეროდა. ის სახით თითქოს მზეს იჭერდა.

უცებ მივხვდი, რომ მას მოვწონვარ, მაგრამ ერთის მეორეზე გაცივლა, როგორც ეს ჰემინგუეიმ ჰქნა, მას არ ძალუძს. ჰემინგუეიმ ცოლი მისი დაქალით შეცვალა და ამაზე წიგნი დაწერა, დენიჩკა კი სხვაგვარად იყო აღზრდილი და თავისი თავისთვის ასეთი თავისუფლების მინიჭების უფლება არ ჰქონდა. ეს არც მე ძალმიძდა ან არ მინდოდა. უფრო სწორად, ერთიც იყო და მეორეც. უბრალოდ ვუპასუხე მის კითხვას და კიბის თავისკენ ავიწიე და უკვე ორიოდ საფეხურის შემდეგ დამავიწყდა რა მკითხა.

სპექტაკლის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ერთად გყოფილიყავით. ნადკა ელოდა, რომ მათ ჩემთან მივიპატიებდი, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი. ამ ცხოვრებაში ბევრი რამ შემეძლო: ერთ ღამეში კაბის შეკერვა, სასამართლოში ნებისმიერი ჩახლართული საქმის მოგება, ინგლისურიდან ურთულესი სტატიის თარგმნა, მაგრამ ბოსტნეულის წმე-

ნდა, ქურასთან დგომა, ჭურჭლის რეცხვა... ეს შრომა ყოველთვის მონურ და უაზრო რამედ მიმაჩნდა. ჭამა ხალხის კულტურის ნაწილია, არქიტექტურა არანაკლები ნაწილი. მაგრამ არქიტექტურა რჩება, საჭმელი კი ინელება და რაღაც სულ საწინააღმდეგო რამედ იქცევა.

მე, რასაკვირველია, სწორი არა ვარ. უბრალოდ ჭინჭის ქოშისა-ხლისი გახლავართ, ჩემი ქმარი ამით, ალბათ, ძალიან იტანჯებოდა, მაგრამ მითმენდა. მას ჩემი ესმოდა. შეუძლებელია, რომ ერთ ადამიანს ყველაფერი შეეძლოს. მას ერთი მეორის ხარჯზე ძალუძს. პროფესია სჯობნიდა სხვა ყველაფერს.

ნადკა ჩემგან მიპატიუებას არ დაელოდა და თავისთან მიგვიწვია. მას მყუდრო, მაგრამ ვიწრო ბინა ჰქონდა. სამზარეულო კუბეს ჰგავდა. ის საერთოდ უდერეფნო იყო. სამზარეულოში ვისხედით და ლაბას გეახლებოდით. ლაბა ღარიბთა საჭმელია. იმ დროს ჩვენ ყველანი ღარიბები ვიყავით, მაგრამ ეს არაფერში გვიშლიდა ხელს. ახალგაზრდობაში ძალიან ადვილია ბედნიერი იყო.

რომეო თავისი მუხლით ჩემსას ეკვროდა. არაყს ვსვამდით, ხარბად ვშთანთქმეთ შესაყოლებლები... თანდათან ერთმანეთი უფრო გვიზიდავდა.

დენიჩკას ცოლი ძალიან ეშხიანად ჰყვებოდა რაღაცას. ნადკა ლაბასად ილუკმებოდა, თან ძვლებს თეფშის კიდებებზე აწყობდა.

ის თავის სახლში ლაღად გრძნობდა თავს.

ვახშმობის ბოლოს გუნდურად ვიმღერეთ მოდური ბარდული სიმღერა «Из Ливерпульской гавани всегда по четвергам суда уходят в плавание к далеким берегам...» ესაა კიპლინგის მარშაკის მიერ თარგმნილი სიტყვები. ნადკა გადასარევად აბარტყუნებდა ხელისგულებს მაგიდაზე, დენიჩკა ხმამაღლა მღეროდა, ნადია კი მოძახილს ეუბნებოდა, მე ვცეკვავდი — უმეტესად თეძოებსა და ხელებს ვატრიალებდი, რადგან გასანავარდებლად სივრცე არ მყოფნიდა. და რომეომაც კი, გიტარას ჰკიდა თუ არა თვალი, ჩაბლუჯა, და საკმაოდ წარმატებულად დაუკრა რაღაც. ეს ექსპრომტ-სიგიჟმაჟე იყო.

ნადკას ქმარი ვაჟკაცურად ძლებდა ასეთ ვითარებაში, ის ყველა აზრით — სულიერადაც და სხეულითაც — გაღიაში იყო მომწყვდეული. იქიდან თავის გამოსსნა უნდოდა. და ეს ყველაფერი მას სახეზე ეწერა.

ჩვენ ვცხოვრობდით, ვიტანჯებოდით, ვტყუოდით და უკეთეს ხვედრს ველოდებოდით. გვეჩვენებოდა, რომ სიცოცხლე ღრანტეებში კი ირყეოდა, მაგრამ ბედნიერებისკენ მიჰქროდა. მხოლოდ ბედნიერებისკენ და მეტი არაფრისკენ.

მას აქეთ თხუთმეტი წელიწადი გამოხდა. ქვეყანა შეიცვალა. და ადამიანებიც შევიცვალენით. რუსებმა ისწავლეს ფულის ისე თვლა, როგორც ეს გერმანელებმა იციან.

თხუთმეტი წელი ადამიანის ცხოვრების დიდი ნაწილია. აყვავების პროგრამიდან ჭკნობის პროგრამაზე გადავედით. წყობაც შეიცვალა: იყო განვითარებული სოციალიზმი, მოვლინდა ველური კაპიტალიზმი. ჩვენ კი, — პენსიონერები, — ყველანი, ველური კაპიტალიზმის საუფლოში, ბუნებისა და საზოგადოებისგან ზურგშექცეულნი, ბედის

ანაბარა დავრჩით. დიახ, ბედის ანაბარა — ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

ჩემი შვილები დაიზარდნენ და ცხოვრება აიწყვეს. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო, მანამდე რომ იყო, იმაზე უკეთესი და დედა ანაბარა ზრდებისა და ფხიანების ქაში.

ნადკას ქმარი მოულოდნელად გამდიდრდა და მდიდრული ცხოვრებით შეეძლო ცოლის შენახვაც და იმ მუდმივი ქალისაც. ასევე ახალი საყვარელიც გაიჩინა — მალაყელიანი, ბელურისსახიანი ბალერინა. ბევრს მოგზაურობდა და ის ბალერინა ყველგან დაჰყავდა. ნადკას ეს განსაკუთრებით აღიზიანებდა. მისი სიძულვილი უმთავრესად ქმრის წინა საყვარელს დაატყდა თავს. ნადკა ბედნიერი იყო იმით, რომ წინა საყვარელს არაფერი გამოუვიდა და ნახმარ ბოზებში გადაეწერა.

ჩემი ქმარი რაც იყო, იმად რჩებოდა: დანიაში რომაა, ისეთ ნაღვლიან კუნძულად. მე კი ერთდროულად ხუთ-ხუთი საქმის გაძლოლა მიხდებოდა. მადლობა ღმერთს, ჩემს პროფესიას არც ველურ კაპიტალიზმში გასვლია ყავლი. მე მოდური იურისტი გავხდი და ჩემთვის ცოტა ფულის შემოთავაზება ეუხერხულებოდათ.

რომეო სადღაც დროის მორევში დაინთქა. მე მას არ ვიხსენებდი. ეს წარსოცილი გრძნობა იყო, ჩამქრალი კოცონის მსგავსი რაღაც. როცა კოცონი ანთია — ლამაზია, როცა ის ფერფლი ხდება, საყურებელი არაფერი რჩება: მხოლოდ მტვერი და დომხალია.

ერთხელ რომეომ — ჭალარა, ცისფერსამოსიანმა, ლამაზმა კაცმა — სამსახურში შემომიარა. დავსხედით და ვიმუსაიფეთ.

რომეო სამუშაოს უქონლობას და უფულობას უჩიოდა. მე მას დოვლატოვის ფრაზა ვუთხარი: „მდიდრები არ ხდებიან, მდიდრებად იბადებიან“. სილარიზის საქმეც ასევეა. რომეოს ფული არასოდეს ჰქონია: არც მაშინ, არც ახლა. მაგრამ მაშინ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ის მაშინ არავის ჰქონდა.

რომეო უღვაშებში იცინოდა. მას ფორთოხლის სუნი ასდიოდა. სამუშაოს მოძებნა მოხოვა. შევპირდი. ის საჭაერო ბურთივით, საპნის ბუშტივით მსუბუქი, კალათბურთელის ზამბარისებური მოძრაობით გავიდა ჩემი ოფისიდან.

როცა მის უკან კარი მიიხურა, მიმაჯიწყდა.

ამბობენ, ამერიკაში ქალის ასაკს მნიშვნელობა არა აქვსო. რომანებს რაც შეეხება, როგორც თათრები ამბობენ, იოკ. რუსეთში კი ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასაკობრივი პრინციპით წუნის დადება, ჩამოწერა ყველაზე სასტიკი რამაა. თაობა შეიცვალა, დედამიწა რაღაც გრადუსებით შეტრიალდა; მზე სხვისთვის ბარჩხალებს, ჩვენ კი ჩრდილში ვდგავართ.

ისე, რომ ვთქვათ, მე ისევ იმ ნაზ და თავგანწირულ ქალად დავრჩი. მინდოდა ჩემი არსებით შევხამებოდი ვინმეს, ვისაც ჩემს ცოდნას, აზრებს გავუნაწილებდი. ჩემში იმდენი სიკეთე და სინაზე დახვავდა, რომ ამხელა ტვირთს მარტოკა ვერ ვზიდავდი. ჩემი ხელისგულები უწინდებურად აბრეშუმისებრნი, თვალები კი ადრინდელივით მწველი იყო. წინანდებურად ვნება კი არ მწყუროდა, არამედ გაგება, ვინმეში განზავება, გახსნა და ხვალინდელი დღის რწმენის ქონა მინდოდა. მაგ-

რამ სინაზისა და რწმენის ნაცვლად ნალველი და უპერსპექტივობა შემომჩნა.

დაცვის დროს აღმაფრენები მქონია. ვიკაზმებოდი, სცენაზე გახვლის წინ მსახიობი ქალები რომ იღებებიან, ისე ვიღებებოდი. და დაბაზში გავდიოდი შთაგონებული, წარმტაცი და ახალგაზრდასა და მსახიობს, ვინც მე მიყურებდა, თვალები უბრწყინდებოდა, მქვენი ის სიყვარული კიდევ უფრო მააღმურებდნენ.

შემდეგ ყველაფერი მთავრდებოდა. შინ მივდიოდი. გახვრეტილი საპირველმართისო ბურთიდან რომ გამოდის, ისე ამომდიოდა ორთქლი პირიდან. და მე, მფრინავი და მოზოინე არსება, ხარახურა ვხდებოდი.

ეს რა ცხოვრებაა? მაგრამ არც სიკვდილი მინდოდა. ერთი ცენაზოთ და...

— ალო, — გავიგონე მამაკაცის ხმა.

— დენიჩკა ხარ, — მშვიდად ვუპასუხე.

— შენ მე მიცანი? — გაოგნდა ის.

თხუთმეტი წლის პაუზა მართლაც რომ კარგა დიდი რაბაა. მაგრამ მე ფენომენალური მეხსიერება მაქვს. ხმები, სხვა ყველაფრისგან განსხვავებით, არ იცვლებიან.

— აბა, როგორა ხარ? — მკითხა დენიჩკამ.

— სიმპათიურად, — მივუგე მე.

— სიმპათიურად? — განცვიფრდა დენიჩკა. ის ამ ფორმულირებამ გააოცა.

— ჰო, ჰო, — დავუდასტურე. — შვილებს რიგზე აქვთ საქმე. მე ვმუშაობ. ყველანი ვცოცხლობთ, ჯანმრთელად ვართ. მეტი რა უნდა გვინდოდეს?

— მდა... — დაფიქრებით ამოღერლა დენიჩკამ და გაჩუმდა.

არ მესმოდა რატომ რეკავდა და რა უნდოდა. მაგრამ ამის ჯიქურ კითხვა უხერხული იყო.

— შენ როგორა ხარ? — დავინტერესდი.

— ნადია დაავადდა, — ნალვლიანად მითხრა მან.

ვიცოდი, რომ ნადკა იფურჩქნებოდა და ძვირფას კურორტებს იცვლიდა.

— ჩემი ცოლი დაავადდა, — დააზუსტა დენიჩკამ. — ისიც ხომ ნადიააა.

— ჰო-ო... — ასელა ვუპასუხე.

მაშასადამე, დენიჩკას თანაგრძნობა სჭირდება. ამიტომაც დარეკა.

— რა სჭირს? — ვკითხე მას.

— ტვინის სიმსივნე.

ჩემს პირისპირ იჯდა კლიენტი, რომელმაც იურიდიული კონსულტაციის სალაროში ფული შემოიტანა და პირადი სატელეფონო ლაპარაკი ახლა საქმეს არ უხდებოდა, მაგრამ არც ყურმილის დადება შემეძლო. შეუძლებელია ასეთ სიტუაციაში ადამიანს უთხრა, რომ არა გცალკა.

— ექიმი გჭირდება? — ვკითხე, რათა საუბარი საჭირო მიმართულებით წარმემართა.

— არა, არა... ყველაფერი მაქვს. ინტერნეტით მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტებს დავუკავშირდი. მითხრეს, რომ შესაძლებელია ორი პროგრამის — მოკლესა და გრძელის — ჩატარება. უფრო ექვსი თვეა, გრძელი კი — ექვსი წელი. ნადია კიდევ უფრო მეტი იცოცხლებს. მართალია, უნდა იწვევს...

— და მას უნდა ექვს წელს წოლა? — გულუბრყვილოდ ვკითხე.

— შენ როგორ ფიქრობ?

დავფიქრდი: რა სჯობია? წახვიდე და არავინ გააწამო თუ სააქაოში შენი ძვირფასი ბინადრობა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაჭიმო... ყოფნა-არყოფნა? ეს მაშინ ხდება ცხადი, როცა ამ კითხვას ჯიქურ ეჯახები.

— ჩვენ ბოლომდე გავძალიანდებით, — თქვა დენიკამ. — ოკლაჰომელმა ექიმმა ძალიან საინტერესო მეთოდი შემოგვთავაზა. გინდა ამ მეთოდზე გელაპარაკო?

კლიენტი მაგიდაზე თითებს ათამაშებდა.

— სახლში დამირეკე, — ვთხოვე მე.

— შეიძლება? — იმედიანად მკითხა დენიკამ.

— სალამოს, — კვერი დავუკარი.

— სხვათა შორის, ოკლაჰომელი ექიმი სომეხია, — მაუწყა დენიკამ.

— ამაში განსაკუთრებული არაფერია. სომხები ყველგან არიან.

დენიკა ჯერ კვირაში ერთხელ მირეკავდა, მერე — კვირაში ორჯერ. ყოველთვის აკურატულად მეკითხებოდა:

— გცალია?

მე ვპასუხობდი:

— ორი საათის შემდეგ დამირეკე.

ჩვენს საუბარს ვდებდი სალამოს თერთმეტი საათისკენ, როცა დღე იწურებოდა, ყველა საქმე მოთავებული მქონდა და შესაძლებელი იყო რალაც-რალაცების გააზრება. ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით, და მერე ვამჩნევდი, რომ თვალი მეხუჭებოდა, მაშასადამე, ჩემი დაძინების წერტილს გავცდი და ახლა წინ უძილო დამე მედო.

რაზე ვმუსაიფობდით? ყველაფერზე. იმაზე, რომ სიცოცხლის მეორე ნახევარში დრო ჩქარდება, დღის მანძილზე ნაკლებ რამეს ასწრებ და წელიწადი თვალის დახამხამებაში გადის. ჯერ ისევ გაზაფხული გგონია, მაგრამ ზამთარი დამდგარა. ნადიასთვის კი თითქოს ყველაფერი ერთ წერტილში მოექცა და ის წერტილი ფანჯარაა. ფანჯრის იქით ხან მწვანე ტოტია, ხან დათოვლილი. და ასეა ექვსჯერ, ექვს წელიწადს, და შორია.

— და რა იქნება იქ? — ვკითხე მე. — იქ-სა და აქ-ს შორის რა განსხვავებაა?

— ეს ერთია, — მიპასუხა დენიკამ. — როგორც დღე-ღამე. დღე და ღამე. სიცოცხლე და სიკვდილი.

— და თუ ის წავა, ცოლს შეირთავ? — ჯიქურ ვკითხე მე.

— არა, — მშვიდად მიპასუხა დენიჩკამ. — მე მასთან ერთად წავალ. მე და ის ერთად ვცხოვრობდით და ერთად ვკვდებით.

ჩავფიქრდი. ჩემი ქმარი დენიჩკას ადგილზე წარმდგინებდა, ის მეორე დღესვე დაქორწინდებოდა, მისი ახალი ცოლი კედლებიდან ყველა ჩემს პორტრეტს ჩამოხსნიდა და მე „მადამად“ მომხსენებდა. და ჩემი ქმარი სიტყვას არ შეუბრუნებდა. ის საერთოდ ბიჭუნა მსგავსი ვინმეა.

შუა ზამთარში დენიჩკამ სამსახურში შემომიარა და იმის ნებართვა მოხოვა, რომ ჩემს კაბინეტში ისე, უბრალოდ მჯდარიყო. ძალიან, ძალიან მოუცლელი ვიყავი, მაგრამ უარის თქმა ვერ გავბედე და ვუთხარი:

— როგორც ვინდა, იჯექი... — და ჩაი მოვუტანე.

დენიჩკა ჩაის არ გაჰკარებია, იჯდა ტყავგადაკრულ დივანზე და წინ იყურებოდა. მე კი კომპიუტერთან მისკენ ზურგით მოვკალათდი და ჩემი საქმეების კეთებას შევუდექი. და უცნაური რამაა, ის ხელს არ მიშლიდა. დენიჩკა თითქოს არც იჯდა ჩემს ზურგს უკან. მშვიდად ვმუშაობდი, მას ეჭირა მძიმე კერამიკული ფინჯანი, რომელზეც ეწერა: „ნიუ-იორკი“.

კარში მდივანმა ქალმა სონიამ შემოჰყო თავი და ეგრევე გაქრა.

შემდეგ იმ სონიამ მკითხა:

— ნუთუ იმასთან ვინმე წევს?

— რატომ ამბობ?

— წარმოგიდგენია? გაიღვიძო და გვერდით ბალიშზე ასეთი თავი იდოს...

— ის ნობელის პრემიის ლაურეატია, — რატომღაც ვიცრუე.

— ასე თუა, მკერდზე უნდა ეკიდოს ფირფიტა: ამის და ამის ლაურეატი...

— ფორმას ეჩვევი, — ვუთხარი მე, — მთავარი შინაარსია.

— მთავარი პარმონიაა. ფორმისა და შინაარსის ერთიანობა.

დენიჩკა მაშინ გარკვეულ ხანს იჯდა ჩემს კაბინეტში და წავიდა. არადა, გაუგებარი იყო რისთვის მოვიდა. იქნებ იმისთვის, რომ ვითარება შეეცვალა, ჯანმრთელი ადამიანისგან დამუხტულიყო, საკვები მიეცა თავისი დამჯდარი აკუმულატორისთვის. ის ჩემით იკვებებოდა, მაგრამ უცნაური რამ ისაა, რომ ის საკვები არ მაკლდებოდა. იქნებ მე მას ჩემს დაუხარჯავ სინაზეს ვაძლევდი დასაღვეად და ის მას სვამდა. მე კი ისე ვთავისუფლდებოდი, როგორც ძროხა თავისუფლდება ჭარბი რძისაგან.

მის რეკვებს შევეჩვიე. მე მათ ველოდებოდი და საათზე ვინებდებოდი.

საღამოს თერთმეტზე ტელეფონმა დარეკა, და მე უკვე ვიცოდი, რომ დენიჩკა რეკავდა. მე ასანთი და სიგარეტი მიმქონდა და სამორიგოდ რომ მიდიან, ისე მივდიოდი მისკენ.

— რამდენი დოლარი შემოგდის?

ეს ამერიკული კითხვა არ იყო. ამერიკაში ხელფასზე ლაპარაკი უწყესობად ითვლება. ჩვენთანაც.

— ხუთასი დოლარი, — იოლად მიპასუხა დენიჩკამ. ის მე არაფერს მიძალავდა — მაგრამ ოთხასი დოლარი რეანიმაციულ მომვლელ ქალს, კარინას, მიაქვს.

სალამოს მე მოვდივარ სამსახურიდან და ის მძღვეს.

— მაგრამ შენ სტუმრად ან თეატრში წასვლას თუ მოისურვებ?

— არ მოვისურვებ.

— ნალველმა ხომ არ დაგრია ხელი?

— არა. ყველაფერ ამას შევეჩვიე. კომპიუტერზე მუშაობა მიყვარს. ვზივარ, ვმუშაობ, შემდეგ ნადიასთან მივდივარ და ნადიას ვეუბნები, თუ რა მოვიფიქრე.

— მას ესმის?

— რასაკვირველია. ყველაფერი ესმის.

— მოგინახულოთ? — ვკითხე.

ის გაჩუმდა, თითქოს შექანდა კიდეც, და მივხვდი, რომ მათ არ უნდა ვწვეოდი.

— ჩვენ ნამდვილად არავინ გვჭირდება, — თქვა მან. — ჩვენ ჩვენი სამყარო გვაქვს. გარეშეს ის საშინელი მოეჩვენება. ჩვენ კი კარგად ვართ.

ჩემი საქმე სულ პირიქითაა. გარეგნულად მე ყველაფერი რიგზე მაქვს. ჩემს შიგნით კი უდაბნოა. მე ვეკითხებოდი ხოლმე ჩემს თავს: „რა გაკლია, რა?“ და ამ კითხვას მევე ვპასუხობდი: „მე კი არ ვუყვარვართ, მხოლოდ მიყენებენ.“ — „შენ მათ არ სჭირდები, შენ მათთვის აუცილებელი ვინმე ხარ“, — „მე ვბერდები...“ — „სიანალგაზრდავეს ყოველთვის ტალონით არიგებდნენ, ვილაცას მისცემდნენ, ვილაცას არა. მე რატომ არ მომცეს? მაგრამ ბუნებამ ჭკვიანები და სულელები, ღარიბები და მდიდრები, ღირსეულნი და უღირსნი გაათანაბრა. პრივილეგიები გენიოსებსაც კი არა აქვთ...“ — „მაგრამ მარტოობა..“ — „ვინ არაა მარტოხელა?“ — „ნადია, დენიჩკას ცოლი.“

„გინდა მის ადგილას იყო?“ — „არა. სიცოცხლე სიყვარულზე მეტია. სიყვარული სიცოცხლის მხოლოდ შემადგენელი ნაწილია.“ დაბუდებული რეზონიორისთვის. „მაშასადამე, შენ გინდა ერთდროულად ჯანმრთელი, წარმატებული და საყვარელი იყო.“ — „ეგრეა. რათ, ეს არ შეიძლება?“ — „ჯანმრთელობა ცხოვრების წესი და მემკვიდრეობაა. შენი მშობლები. ფესვები. წარმატება თავად შენა ხარ, შენი შრომაა. მაგრამ საყვარელი თუ გინდა იყო, საჭიროა შენ თვითონ გიყვარდეს. შენ თვითონ გიყვარდა? თუ მხოლოდ სხვის სიყვარულს ხმარობდი?“

ვდუმვარ, არ ვიცოდი რა მეთქვა, არ ვიცოდი, მაშასადამე, მარტოობა ჩვენთა ცოდვათა გამო ჩვენთვის მოვლენილი სასჯელია.

ერთხელ დენიჩკამ დარეკა და თქვა:

— მე მას შენიშვნა მივეცი და ატირდა. ის ცალი თვალით ტიროდა.

— მეორით? — ვერ გავიგე.

— მეორე პარალიზებული აქვს. მხოლოდ ერთი თვალი ტიროდა და ცრემლი მხოლოდ ერთ ლოყაზე ჩამოსდიოდა.

დენიჩკა გაჩუმდა, — თითქოს დამუნჯდაო.

— ტირიხარ? — მივხვდი.

— არა, — მიპასუხა მან.

მაგრამ მე არ დავუჯერე. ის ტიროდა.

— შენც ადექი და დალიე, — ვურჩიე მას.

— ყოველდღე ვსვამ, — გამომიტყდა, — ყველგან ბოთლები მაქვს ჩაჩურთული.

— ოღონდ, იცოდე, სუმთლად არ გალოთდე, ხელიდან არ წახვიდე.

ის დუმდა. ტიროდა.



ქართული
წიგლისათვის

ოკლაპომელი პროფესორის პროგრამის მეექვსე წელი იდგა. ნადე-
ედას ძუძუს ბავშვივით იყო. დღე და ღამე ერთმანეთში აერია. დღისით
ეძინა, ღამე კი წრიალებდა. დენიჩკას აღარ ეძინა. შეიძლებოდა ქანკი
გასცლოდა. მიყვებოდა იმაზე, რომ მედეგი რემისიის ჟამი დადგა. ნა-
დიას ჯანმრთელობა სტაბილური გახდა. ეს შეიძლება ასე რამდენიმე
წელიწადს გაგრძელდეს.

— და შენ რამდენ წელიწადს არ იძინებ? — ვკითხე დენიჩკას.

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ? — გაოცდა დენიჩკა, — მთავა-
რი ისაა, რომ ნადიას აღსასრულის ჟამის დადგომა არ ჩქარდება.

— ჩემის აზრით, პირველი შენ წაიღებ წერილს, — ვაუწყე მას
ჩემი ვარაუდი.

— ეს ცუდი არ იქნებოდა, — სერიოზულად თქვა დენიჩკამ.

მას უნადიოდ დარჩენისა ეშინოდა. მას უნადიოდ არ გაესაძლი-
სებოდა.

— ღამე მორიგეობისთვის ქალი დაიქირავე, — ვურჩიე მე.

— ნადიას არ უნდა ღამე მასთან უცხოების ყოფნა. მე მესმის
მისი.

ყველას, ვისაც კი მე ვიცნობ, შეეძლო ერთ, ჰა, ორ თვეს თანა-
გვრძნო მისთვის. მაგრამ წლიდან წლამდე, ყოველდღე თანაგრძნობის
თავის ფუნქციად გადაქცევა წარმოუდგენელია. ეს უბრალოდ ღვთის-
მოსაგ ადამიანთა გმირობას ეთანაბრება. მე არ ვიცნობდი ნადიას, ის
მხოლოდ ერთხელ ვნახე, მაგრამ მზად ვიყავი, როგორც შემეძლო,
მხარში ამოვდგომოდი დენიჩკას. მე მას არა მხოლოდ ვესაუბრებოდი,
არამედ ვცდილობდი ჩავლრმავებოდი ვითარებას. მე ჩვენს საუბრებს
უფრო და უფრო გულწრფელად წარვმართავდი და უფრო და უფრო
საინტერესოს ვხდიდი. თითქოს ვალვივებდი გულმოდგინების ნაპერ-
წკალს. და ის ნაპერწკალი ღამე ანათებდა.

ჩვენ თუ ადრე ღრანტეებიდან ბედნიერებისკენ მივიწევდით ჭე-
ნებ-ჭენებით, ახლა უკვე ღამეში ბორძიკ-ბორძიკით და ხელიხელჩა-
კიდებულნი მივაბოტებდით.

და თუ ვინმეს მიჰქონდა თავისი მძიმე ჯვარი, სხვები ვალდებული
იყვნენ, შეშველებოდნენ მას, ანდა მის გვერდით მაინც მდგარიყვნენ,

ჩემი დაქალი ნადკა დღეს დროდადრო მირეკავდა. როცა დენიკასთან ვსაუბრობდი, ის ლაპარაკს მაწყვეტილებდა.

— არაა ეს საჭირო, არაა საჭირო...

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე არაფრით შემიძლია დავეხმარებო სხვის სტრესში ჩაყვინთვა არ მინდა, რადგან შემდეგ მე ჩემს სხეულს ამოვყვინთავ...

რა გაეწყობა... ასეთი პოზიციაც არსებობს. რა საჭიროა ამდენი ლაილაი, თუ შეუძლებელია რაიმეს ვაკეთება?

მე ნადკას არ ვძრახავდი. მაგრამ თუ ერთი, მეორე, მესამე არ ისურვებს თანაუგრძნოს დენიკას, ის ისე მართლ დარჩება, როგორც ტყეში. და თუ ერთი, მეორე, მესამე გაიზიარებს დენიკას მწუხარებას, ის ცეროდენა ბიჭივით გაცქვითდება და შესძლებს უკან დასაბრუნებელი გზის პოვნას. სასოწარკვეთიდან სიცოცხლეში დაბრუნების გზის პოვნას.

დენიკა ისევ მოვიდა ჩემთან სამსახურში. ნახევარ საათს იჯდა და წავიდა.

— რისთვის დაიარება ის აქ? — მკითხა სონიამ.

— არც არაფრისთვის, — ვუთხარი მე.

— გეგმავს, — დააზუსტა სონიამ.

— რისი თქმა გინდა?

— აბა, ანაქორეტივით მართლხელა ხომ არ იქნება?

შვრის ნამცხვრის ლეჭვა შევწყვიტე და ერთხანს პირგამოტენილი ვიჯექი. შემდეგ გადავყლაპე.

— ანაქორეტი რაა? — ვკითხე სონიას.

— არ ვიცი, — მიპასუხა მან. — ეგ შენ თუ არ დაგჭირდება, მე ვადმომილოცე.

— რისთვის?

— მომბეზრდა უკაცოდ ყოფნა. თავისუფალი, უცოლო, უშვილებო კაცი მინდა. იმას შვილები ხომ არა ჰყავს?

— არა, არა ჰყავს. მაგრამ ცოლი ჰყავს.

სონია დადუმდა. არის რალაცები, რომლებზეც ფიქრი შეიძლება, მაგრამ რომლებისაც ხმამაღლა წარმოთქმა არ შეიძლება. დენიკაზე არ შეიძლებოდა იმის თქმა, ქვრივიაო. მაგრამ ის „პერსპექტიული ქვრივი“, ესე იგი, საქმრო გახლდათ.

— შენ ის ხომ არ მოგწონს, — შევახსენე.

— მე უკვე ორმოცი წლისა ვარ, — აღიარა სონიამ. — საქმროებში ისე ვიქექები, როგორც სანაგვეში. და მშრალზე დავრჩი. ეს კი, რაც არ უნდა იყოს, ლაურეატია. სულიერი ადამიანია...

სონიამ უნალექო ყავა გაამზადა და ფინჯნებში ჩამოასხა. ჩემთან მომსვლელები არ იყვნენ, უფროსობა აგვიანებდა. სიჩუმისა და დამოუკიდებლობის იშვიათი წუთები მედგა.

— მე უკვე არ მინდა შმაგი ვნებები, ეჭვები, ხელის გადაწევები — იმის გარკვევა, თუ მთავარი ვინაა. მინდა ჩვეულებრივი ცხოვრება: დილას სამუშაოზე წავიდე, საღამოს შინ მივბრუნდე. სანთლის შუქზე

ვივახშმო, თეატრებში ვიარო... ისე კი უსანთლებოდაც და უთეატრე-
ბოდაც იოლად გავალ, — ტელევიზორს მივუჯდები, ვუყურებ, ვუყუ-
რებ და უზენაესი ხელისუფლების ქმედებებს კომენტარს ვაწვდი. მის პოზიციას გავიზიარებ და არ შევეკამათები...

სონია მის პირდაპირ ერთ წერტილს იყო მიმტერებული. მისი ხანდა, რომ ის ცხადლივ ოცნებობდა.

და უცებ გამახსენდა, რომ თეატრში დენიჩკა ისე მიყურებდა, თი-
თქოს სახით მხეს იჭერსო... ერთიც ვნახოთ და, ის მართლა რაღაცას
გეგმავს, თუმც კი გეგმიური, პრაქტიკული და პრაგმატული სულაც
არ ბრძანდება. და მაინც: რატომ მე არა? რატომ ის არა?

ღამე მესიზმრა, თითქოს მე და დენიჩკა ერთმანეთს ჩახვეულნი
მივუყვებოდით ვიწრო ქუჩაზე, მას მკერდზე კი უკიდა ფირფიტა: „ლა-
ურეატი“.

მაშასადამე, მე მისი გარეგნობა მაინც მაცბუნებდა.

— რას ჭამ? — ვკითხე მორიგი საუბრისას. — როგორ იკვებები?

— ნორმალურად, — მიპასუხა მან.

— საჭმელს ვინ გიმზადებს?

— ზოგჯერ სამსახურში ვიხემსები, ზოგჯერ კი კარინა, მეღდა,
მიმზადებს. ის ხომ ნადიას უკეთებს...

— რას უკეთებს? — დავინტერესდი.

— როგორ გითხრა, რაღაცეებს.

დენიჩკას ეს თემა არ აინტერესებს. მას გემრიელი კერძების მი-
რთმევა უყვარდა, მაგრამ სულ უბრალო რაღაცითაც შეეძლო ფონს
გასვლა. პურიტა და ხახვითაც კი.

— გინდა კაზინოში შევიდეთ? — მივიპატიჟე.

დენიჩკა დაფიქრდა, შემდეგ კი თქვა:

— კაზინო რაში მჭირდება? ისა სჯობია, კომპიუტერზე წავი-
მუშავო.

— არ გინდა თუ არ შეგიძლია? — კითხვა დავუზუსტე.

— ერთიცა და მეორეც. რაღაც დავჯღაბნე, გინდა წავიკითხო?

დენიჩკამ ვილაცის საიუბილეოდ დაწერილი სახუმარო მისალმების
კითხვა დაიწყო. ტექსტი გაძეძგილი იყო ამ ტიპის ანგლოზებით: მენეს-
ტრელი — მაშასადამე კილერი, ექსტაზი — მაშასადამე ექსგაზი.

ვუსმენდი და ვასკვნიდი: დენიჩკა დათრგუნული სულაც არაა და
მას ისიც კი ძალუძს, რომ ვილაცის საიუბილეოდ მეგობრული შარუე-
ბიც კი შეთხზას.

ზამთარი მიზოზინებდა და ის თითქოს არც არასოდეს დამთავრ-
დებოდა. და აპრილშიც კი იდო თოვლი. დენიჩკამ მოულოდნელ დროს
დღის ორ საათზე დარეკა, და უჩვეულო ოფიციალური ტონით მაუწყა:

— ჩემი ცოლი ნადია გარდაიცვალა. დამშვიდობება მოხდება ხვალ
მეცხრე საავადმყოფოს საცხედრეში.

ქუჩა და სახლი დამისახელა და ყურმილი დაკიდა.

ვგრძნობდი: ის თითქოს შუაზე გაიკვეთა. ერთი ნახევარი აღარ
არსებობს, მეორე მოქმედებს, ლაპარაკობს, ფიქრობს და ტირის.

ტელეფონის გვერდით ვიდექი თავჩაქინდრული. ხომ ასე ავადმყოფო-
ბდა, მაგრამ ის იყო. ახლა კი ის არაა, და მხოლოდ უფალმა იცის სადაა.

საცხედრეში მისვლა სულ ცოტათი, ოცი წუთით, დავაგვიანე — ბაზარში შევიარე ყვავილებისთვის. დარწმუნებული ვიყავი, რომ ოცი წუთი მარადისობის ფონზე არავითარი დრო არ იყო. მაგრამ, თურმე, პანაშვიდი უკვე დაწყებულიყო.

საცხედრე პატარა, ცალკე მდგარი ერთსართულიანი ნაგებობა იყო. მიცვალებულის გამცილებლები მასში ვერ დაეტოვებინათ, რიგის მოკლე კუდი გარეთ იყო გამობაწრული.

ამ კუდის ბოლოში დაგდექი მოკრძალებულად და საცხედრეში შექურწვა არც მიცდია. ჩემს წინ აყალყული იყო თმებჩამოშლილი, უქუდო, შავგვრემანი, ფეხბურთის ბურთსავით ძუძუებიანი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომლის მთელ ფუფუნებოვნებას წელში გამოყვანილი ტყაპუჭი უსვამდა ხაზს და ამგვარ ვითარებას მისი სიმაღლე ამსუბუქებდა.

ის შემობრუნდა და მშვიდი თაფლისფერი თვალებით მომაჩერდა, და მე რატომღაც გავიფიქრე, რომ ის დენიჩკასთან მომუშავე რეანიმაციელი მედდა კარინა იქნებოდა. საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის ქალი იყო. რეანიმაციაში მედდებად, ალბათ, სწორედ რომ სასიამოვნო გარეგნობის ქალები უნდა მუშაობდნენ.

პანაშვიდზე მოსულნი თანდათან, მგზავრებით გაჭედულ ავტობუსში რომაა, ისე მიუჭეჭყნენ ერთმანეთს და თანდათან გამოთხოვების დარბაზში აღმოვჩნდი, თუ, რასაკვირველია, ამას შეიძლებოდა დარბაზი დარქმეოდა.

ყვავილებში ჩაფლული კუბო შუაში იდგა. განსვენებულს ვერ ვხედავდი, და ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ კუბოში არ ჩამეხედა. ვიცი, რომ მკვდარი სახე ჩემს მესსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდებოდა და ამასთან ვერაფერს გავაწყობ, და იმ ანაბეჭდიანად უნდა ვიარო და ვიძინო. არა, მკვდრებისა კი არ მეშინია. უარესი რამ მეძარტება. ვშეშდები. ცოცხალი ადამიანი უცხოობს, იცილებს, იშორებს მკვდარი ადამიანის გამომეტყველებას, ისევე როგორც ჩემი დაქალი ნადკა უცხოობს, იცილებს, იშორებს სწვეების სტრესებს. მხოლოდ რელიგიურ ან ახლობელ ადამიანს ძალუძს მოთმინებით იდგეს მიცვალებულის გვერდით და უსამველოდ მჭმუნვარებდეს. არც ერთი ვარ და არც მეორე. მე ვაცნობიერებ, რომ რომელიღაც ძალიან მნიშვნელოვანი კარი ჩემთვის დაკეტილია.

დენიჩკამ დამინახა და სწრაფად, ენერგიულად გამოაღწია ჩემამდე, გვერდით დამიდგა და ჩამოშვებულ ხელზე ხელი მომიჭირა.

ის თავს ერეოდა, მყარად იდგა ფეხზე. მაგრამ მთელი კი არ იყო. რასაკვირველია, დენიჩკა შუაზე იყო გაჭრილი. მაგრამ მომქმედი ნახევარი ვაჟკაცი და კეთილშობილი ვინმე იყო. პანაშვიდზე მყოფნი ერთმანეთის მიყოლებით ამბობდნენ გამოსამშვიდობებელ სიტყვებს.

მე მათგან არავის ვიცნობდი, მხოლოდ ვხვდებოდი ვინ ნათესავი იყო, ვინ — მეგობარი, ვინ — კოლეგა. ამბობდნენ იმას, რასაც ასეთ შემთხვევებში ამბობენ: სიკვდილმა ჩვენს შორის საუკეთესო წაიყვანაო. თითქოს ამას მნიშვნელობა ჰქონდეს. ვითომ უარესებს სიცოცხლის ნაკლები უფლება ჰქონდეთ. ნადიას კიდევ, ყველაზე მეტი, ოცდაათი

წელი ეცოცხლა, დროზე ადრე წავიდა ასე მშვენიერი ცხოვრებიდან, სადაც ის ყველას უყვარდა.

დენიჩკა ვაებას არ უნდა დაეთრგუნა. მას ყველაფრისთვის უნდა მიეხედა, ეს ფულადი ანგარიშსწორებებით, ეს ავტობუსით, და კიდევ ბევრი ყოფითი წვრილმანი, რომლებიც მოჰყვება სიკვდილს.

ის ჩემს გვერდით ერთხანს იდგა და შემდეგ სადღესღესადაა.

მე სულითა და გულით ვემაღლიერებოდი დენიჩკას იმის გამო, რომ გამოთხოვება გულწრფელად და ბუნებრივად, გაუთამაშებლად ტარდებოდა.

შემდეგ ყველა ამოძრავდა. კუბოს ახლოს ჩავლა იყო საჭირო. ყვაფილების დაწყობა. მეც მოძრავ მწკრივში აღმოვჩნდი და მიცვალებულს ფეხებთან დავულაგე ყვითელი ვარდები, და ამ დროს ვერ მოვითმინე — დავხედე მას. ნადიას ნაშხეურივით სახე რიტუალური გრიმიორის მიერ მოხატულ თაბაშირის ნიღაბს ჰგავდა. ტუჩები აკურატულად ჰქონდა შეღებილი. გრიმი სიცოცხლის არარსებობას უსვამდა ხაზს. როგორც დოვლატოვი იტყოდა, „უფრო მკვდარი არ არსებობს“. აი, რად იქცა ცოცხალი, ის, რაც „მღეროდა და მიმოძრაობდა“.

საცხედრედან გამოვედი. შეყინულ თოვლს ხრამხარეში გაუდიოდა. ეს ზამთრის მზე გაზაფხულის მზესავით დაჟინებითა და, თუ შეიძლება ასე ითქვას მზეზე, თავხედურად აფრქვევდა სითბოს.

სახე მზეს გულდაგულ მივუშვირე, რათა სითბოსა და გაზაფხულის თანამოწილედ მეგრძნო თავი, თვალეზღაბული ვიდექი და მწამდა, რომ მზეს პრეტენზია კი არ უნდა წავუყენოთ ჩვენი ფუჭი იმედების გაცრუების გამო, არამედ მას მადლობა უნდა ვუთხრათ ყოველი განვლილი დღის ჩუქებისთვის. დაკრძალვები იმისთვის არსებობს, რომ შევჩერდეთ, უკან მოვიხედოთ... დავდგეთ სიცოცხლის, თუნდაც სხვისი სიცოცხლის, ბოლოში, და იქიდან მოვიხედოთ უკან.

დენიჩკა მოვიდა ჩემთან და მითხრა, დრო და სურვილი თუ გაქვს, შეგიძლია ნადია კრემატორიუმში მიაცილოთ.

— რასაკვირველია, მივაცილებ, — ვუთხარი მას.

მე მას ასეთ დროს არ მივატოვებ. ასეთი დღე ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ უდგას. მე მის ტვირთს მხარს შევუდგამ. მაშინ მისი ტვირთი ასე მძიმე არ იქნება.

„დრო თუ გაქვსო...“ დენიჩკა, როგორც ყოველთვის, დელიკატური კაცია, რომელსაც ძალუძს სხვის ინტერესებს ჩაწვდეს და ისინი თავის ინტერესებს გაუთანაბროს.

რაც უფრო მეტს ვიგებდი დენიჩკაზე, მით უფრო მეტად მომწონდა ის.

დამკრძალველთათვის დაქირავებულ ავტობუსში ჩავჯექი. მერსები, სასწავლო თვითმფრინავში რომაა, ისე, კედლის გასწვრივ იდგა. ავტობუსი გამოთხოვების პატარა დარბაზს ჰგავდა. დენიჩკა გვერდით მომიჯდა.

ცოტა ხალხი იყო. ჩვენს წინ მდგარი მერსი ცარიელია, რადგან იქ ფეხის დასადგმელი ადგილი არაა. ერთადერთი მოხერხებული ადგილი კუთხეშია. ფეხებს კუბოზე ხომ არ დააწყობ. იქ მაღალმკერდიანი შავგვრემანი ქალი იჯდა და მზერა წინისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ძალი-

ან კარგად, „მომენტის შესატყვისად“, გამოიყურებოდა. ის შორს, ნათელი, გულწრფელი ნაღველის საუფლოში იმყოფებოდა. თვალების წაბლისფერი ხავერდი, კანის ატმისებური სინაზე. ზღმაზე დიდი ცხვირი, მაგრამ ეს არაფერს აფუჭებდა. ის არაფერ შუაში იყო. მთავარი ცხოვრებისეული გამოცდილებით დაუმახინჯებელი ახალგაზრდა სულის სისუფთავე გახლდათ.

დავიძარი. წინ გრძელი გზა გვედო, მთელი მოსკოვი უნდა გაგვევლო. ეტყობა, ახლომდებარე კრემატორიუმები სულ დაკავებული იყო. წინასწარ, სიკვდილამდე, ხომ არ ჩაეწერები.

დენიჩკა ხმადაბლა მიყვებოდა, თუ როდის გამოაჩნდა ნადიას ავადმყოფობის პირველი ნიშნები. უკვე თხუთმეტი წელია არ გვინახავს ერთმანეთი. მანამდეც ძალზე იშვიათად ვხვდებოდით. მკაცრად თუ ვიტყვით, ჩვენ თითქმის არ ვიცნობდით ერთმანეთს, სატელეფონო საუბრებს თუ არ ჩავთვლით. და, ამასთანავე, არაფის ვიცნობდი და არ ვგრძნობდი ასე ახლოს, როგორც დაობლებულ და მარტოდ მიგდებულ მამაკაც-ბაღს.

დენიჩკას ყურებზე ჩამოფხატული სპორტული ქუდი ესურა. სათვალის ლინზებიდან თვალის წერტილები განმარტოებულად და გამწარებულად იხედებოდნენ. განმარტოებულად დარჩენილი თვალები. მიხდოდა მისთვის მკლავი გამეყარა, რათა მის სხეულში ცოტა ჩემი ენერჯია გადამექაჩა. მაგრამ ეს ვიუხერხულე. ამას სხვანაირად გაიგებდნენ.

დენიჩკა ასევე ხმადაბლა მიყვებოდა ბარველ ოპერაციაზე, რომლის გასაკეთებლადაც ისა და ნადია თამამად და თითქმის აღფრთოვანებით წავიდნენ, ეგონათ, რომ გარკვეული ტკივილების გაძლების შემდეგ ნადია უწინდებურად ჯანმრთელი იქნებოდა და უწინდებურად იცოცხლებდა. მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ ოპერაციაზე რეციდივი აღინიშნა და, აი, მაშინ ორივეს პანიკამ დარია ხელი. თავი ხომ ყუთი არაა, რომელსაც სახურავი შეიძლება ერთმანეთზე მიყოლებით აეხადოს... მათ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბეს და მეორე ოპერაციის გასაკეთებლად წავიდნენ. შემდეგ მესამე ოპერაციის გაკეთება გახდა საჭირო... ჩნდება უცვლელი კითხვა: რისთვის? და ირკვევა — არაფრისთვის. ასეთია შენი ხვედრი.

დენიჩკას ლოყაზე ერთადერთი მღვრიე ცრემლი ჩამოუგორდა. პატარძალივით ყვავილებით დამშვენებული ნადია კი, გულგაციებული ნადია ცივ იატაკზე მდგარი კუბოს სახურავქვეშ წევს.

მომინდა ნადია გამეცილებინა, ის მარადისობისთვის გადამეცა, შემდეგ კი დენიჩკასთან ერთად წავსულიყავი მის სახლში, ცხელი წყლით ამევესო აბაზანა, ჩემი ხელით გამეხადა და ცხელ წყალში ჩამესვა. დაე გათბეს, გათბეს. ის დიდხანს დაჰყოფს შიგ, მანამდე, სანამ შინაგანი სიცივე არ გაუქრება.

ვდუმდით. მე ჩემსაზე ვფიქრობდი, ის თავისაზე.

დენიჩკა ჩემკენ დაიხარა და ხმადაბლა მითხრა:

— მაბატე, გეთაყვა, ორიოდ წუთით ყურადღება უნდა მივაქციო კარინას.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — დავეთანხმე მე.

იცოდი, რომ ძალიან დონეზე მიღებებისას მასპინძელი, ოქმის თანახმად, დროის დიდ ნაწილს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სტუმრებს უთმობს, დროდადრო ყველა მათგანთან მიდის.

დენიჩკამ გადაწყვიტა კარინასთან მისულიყო, მაგრამ არ იცოდა როგორ გაეკეთებინა ეს. ის იჯდა საწინააღმდეგო მხარეს, ცუბრულაქით, და მასთან მოხვედრა მხოლოდ მერხზე გაბობღებით იყო შესაძლებელი. დენიჩკა ასეც მოიქცა. მან კუბოს მძლოლის კაბინის მხრიდან შემოუარა, მერხს მუხლებითა და ხელის მტევნებით დაეყრდნო და გაბობღდა. გაოცებით ვუყურებდი, თუ როგორ მარჯვედ მიბობღავდა ის. მულტფილში რომაა, ისე მიბობღავდა. თავი ძალიან აწეული, კარინასკენ დიდი თეატრის ჭაღვივით გასხვივოსნებული თვალებით მოუთმენლად იყურებოდა. მგლის ლეკვი მიხობავდა. შინაგანი მუსიკით აღტკინებული ბედნიერი ნადიას ძმა, ჭალარა, მაგრამ ძლიერ მაშაკაცი, ჩემსკენ დაიხარა და ქონების გაყოფის თაობაზე მკითხა. ეტყობა, იცოდა, რომ იურისტი ვიყავი. მე კვალიფიციურად და საფუძვლიანად ვპასუხობდი მას ამ კითხვაზე. დენიჩკა მიბობღავდა, ნადია კი სახურავქვეშ იწვა.

დენიჩკა, როგორც იქნა, მიბობღდა სასურველ ადგილამდე და ფეხები იატაკისკენ ჩამოყარა. კუთხეში მისი ფეხებისთვის ადგილი არ რჩებოდა. ის კარინას ყურში რალაცას ჩასჩურჩულებდა. კარინა უსმენდა და მხოლოდ ტუჩების ცმაცუნით რეაგირებდა.

ალბათ, დენიჩკა მას იმაზე ეჩურჩულებოდა, რომ შინ დაბრუნდებოდნენ და იატაკს ერთად მორეცხავდნენ, რათა იქ სხვისი ტანჯვისა და გაქრობის კვალი წარეხოცათ. კარინა ახალგაზრდა და ძლიერია, იატაკს შვაბრით კი არ მორეცხავდა, როგორც ამას მე ვაკეთებდი, არამედ ხელებითა და მძიმე ჩვრით.

ავტობუსი კრემატორიუმის წინ გაჩერდა. კრემატორიუმი, როგორც ყველა თანამედროვე შენობა, ბეტონით იყო აგებული. არც ისე შორს მოჩანდა სოფელი და მზე სოფლურად — ბარაქიანად და მიამიტურად ანათებდა. მას აქ არაფერი უშლიდა ხელს. გაზაფხული ახლოვდებოდა. ჩემი სიცოცხლის კიდევ ერთი გაზაფხული.

მოვიდა მეორე ავტობუსიც, რომელმაც ნადიასა და დენიჩკას მეგობრები, ხანდაზმული მეცნიერები მოიყვანა.

გაცრეცილი სახეები, გაცვეთილი სამოსლები. კამკამა ცისა და თოვლის ფონზე ადამიანთა ნაყარნუყარი იყო დახვავებული. თვალი ასე აღიქვამდა მათ. ისინი, ალბათ, ვერ ამჩნევდნენ, რომ დაბერდნენ.

ერთი მათგანი მომადგა. სტუდენტი, ოღონდ სტუდენტის კვალობაზე გვარიანად ხნიერი.

— მე სვეტა ვარ, — წარმომიდგა ის. მეგონა, რომ თავის სახელს მამის სახელსაც მოაყოლებდა, მაგრამ არა, არ მოაყოლა. — დენისთან ვმუშაობ ლაბორატორიაში.

სხვათა შორის, მამის სახელი დენისსაც აქვს. მაგრამ, კარგი, პო.

— ჩვენ ვიცით, რომ დენისი თქვენ ტელეფონზე გელაპარაკებოდათ...

თავის დაქნევით დავუმოწმე. მაშასადამე, დენიჩკა კაკლავდა ყველაფერს. საზოგადოებრივ საკუთრებად ხდიდა.

— იცით, ის თქვენთან საუბრების შემდეგ, უბრალოდ, პყვაოდა... სულ სხვანაირი ხდებოდა... თქვენ მას ძალიან ეხმარებოდით, ჩვენ, ყველანი, მადლობას გიცხადებთ.

— იცოცხლეთ...

გავჩუმდით. სვეტას რაღაც ბორკავდა.

— მაპატიეთ... — მაინც ამოღერღა სათქმელში. — მაინც ხომ არ შეგეძლოთ, რომ ამას იქითაც გელაპარაკათ ჩვენს დენისთან?

ყესტით კარინასკენ ვანიშნე. ის სამიოდე ნაბიჯზე იდგა — სახე მზისთვის ჰქონდა შეშვერილი. სამხრეთელ ადამიანებს განსაკუთრებით იზიდავთ სითბო.

სვეტამ კარინასკენ გაიხედა, დაფიქრდა და თქვა:

— ეს სულ სხვა რამეა...

— კი მაგრამ, რატომ? — მშვიდად შევეკამათე. — მას გაცილებით მეტი შეუძლია დენისს მისცეს.

— თქვენ ვერ გაშიგეთ.

— გაგიგეთ.

ქიშია და ფიზიკა. ინტელექტი ქიშიაა. ქიმიური პროცესები ტვინში. ფიზიკა კი სხეულია. კარინას ძუძუები გატენილი ბურთებივითაა. მას შეუძლია კაცს შვილი გაუჩინოს და დენიჩკა შეიგრძნობს მამობის საოცრებას. მაგრამ ბაასი... დიდი ამბავი... ჩუმად ყოფნაც შეიძლება.

ჩვენი რიგი დადგა. უფრო ზუსტად, ნადიას რიგი.

კრემატორიუმის ეკლესიის ჭერივით მაღალი ჭერი. რიტუალის გამძლოლი ქალი ჩინებულად უძღვებოდა გამოთხოვებას.

სვეტა კუბოსთან მივიდა, ნადიას ყურისკენ დაიხარა და რაღაცის ჩაჩურჩულებას შეუდგა. რას ეუბნება? ალბათ, ამშვიდებდა: ყველაფერი შესანიშნავად მიდის, უამრავი ყვავილი და ბევრი გამოთხოვებელია. ნადია კუბოში ჩინებულად გამოიყურება... ნადიას, იქნებ, არწმუნებდა, რომ დარჩენილის ბედზე არ ელელვა. მიხედვა და მოვლა ნამდვილად არ აკლია. ეგ არ დაიკარგება.

ან იქნებ სვეტა ნადიას ურჩევდა ეგოისტი ყოფილიყო: ყველაფერ მიწიერს შეშვებოდა, ახალი გზის სიძნელეებისთვის გამზადებულიყო და მათთვის გაეძლო.

სვეტა გვერდზე გადას. კუბოს ქვეშ საგდულები აიხსნა და იქიდან მხურვალეებამ ამოგვბერა. კუბოს ნელ-ნელა უშვებდნენ მის სამკვიდროში.

დენიჩკა ისე შექანდა, თითქოს კუბოზე დაცემა უნდაო. ინსტინქტურად ვტაცე ხელი ხელში, რომელიც საშინლად უკანკალებდა. ეტყობა, დენიჩკა მაღალ ძაბვას იყო მირთული და დავინახე მწუსარების ისეთი სიღრმე, საიდანაც ვერ ამოაღწევდა.

თანა-გრძნობამ, თანა-ტანჯვამ სასო წარმიკვეთა და ავტირდი.

ყველა იდგა და დასტიროდა ნადიას და თავის თავს.

როცა შინ დავბრუნდი, ქმარს უკვე ეძინა. წინკარში ვიხდი და მესმის, როგორ ტრიალებს ის საწოლში, საწოლის ხამბარების ჭრიალი ღრენას ჰგავდა. ბედნიერი ვიყავი, რომ ცარიელ სახლში არ მოვსულვარ, მასში ვილაც სუნთქავდა ლა წრიალებდა. გაუშვი, იტრიალოს, ოღონდ

სიჩუმე არ სადგურობდეს. ქმარმა ტრიალით ფული იჯერა, შემდეგ წამოდგა და კარში გამოჩნდა.

— ნადია დავკრძალეთ, — ვაუწყე მას.

ქმარს ხმა არ ამოუღია. ამისთვის ანგარიშგასაწევი საბაბი შეიძლება.

— გვეგონა, დენისს მწუხარება მოკლავდა, მაგრამ მწუხარება მდენი ხანია მედდასთან წევს.

— მერე რა? — მშვიდად ირეაგირა ქმარმა, — შეიძლება მწუხარებისგან კვდებოდე და მედდასთან იწვე. ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

— უშლის, — არ დავეთანხმე, — ერთი მეორეს გამორიცხავს.

დენიჩკას ორი სახე დამიდგა თვალწინ: ერთი — კარინასთან, მეორე — კუბოსთან. დენისი სავსებით გულწრფელი იყო აქაც და იქაც. ერთი მეორეს მართლაც რომ არ უშლიდა ხელს. დენისი ნამდვილად კვდებოდა მწუხარებისგან, მაგრამ საფლავში ცოცხალი ვერ ჩაწვებოდა და მედდასთან ყოფნით იქარვებდა მას.

და კიდევ: მას სჭირდება ადამიანი, რომელთანაც შეეძლება სჯა და გააზრება. და მთელი მისი გარემოცვა იმაზე ზრუნავდა, რომ დენიჩკაში ფიზიკაც ყოფილიყო და ქიმიაც... გაგება შეიძლება, მიღება — არა.

— გირეკავდნენ, — მითხრა ქმარმა.

— ვინ?

— კლიენტები. სხვა ვინ დაგირეკავდა...

მართლაც, სხვას ვის უნდა დაერეკა? მაგრამ, არა უშავს, ყველა საქმეს გამოწვლილვით, საფუძვლიანად გამოვიძიებ და სამართლიანობას დავადგენ, რამდენიმე პატარა სამართლიანობისგან კი ერთი დიდი სამართლიანობა იქმნება.

გავშიშვლდი, აბაზანაში შევედი და ცხელი წყლის ქვეშ დავდექი. წყალი მბანდა სახეს, მხრებს, ხელებს, ფეხებს და პატარა ნახვრეტში, შავ ხვრელში ჩადიოდა, როგორც ქვესკნელში, ჯოჯოხეთში...

საწოლზე დავენარცხე და საბანზე თავის დადებამდე დავიძინე.

ყავის სუნმა გამაღვიძა. ქმარი ყავას ხარშავდა. ჩემი სახისკენ აღუწერელი სურნელი მონიავობდა. ეს ბრაზილიის ყავის პლანტაციების სუნი იყო: ინგლისურს ნისლის სუნი ასდის, ფინურს — რძისა, ესპანურს კი — ყავისა. „ლივერპულის ნავსადგურიდან ყოველ ხუთშაბათს გემები გადიან, ისინი ბრაზილიაში, ბრაზილიაში, ბრაზილიაში მიდიან, და მეც მიინდა ბრაზილიის შორეულ ნაპირებს მივებლო...“ — რა კარგად მღეროდა ამ სიმღერას დენიჩკა მალაღობით, ნადია დაბალს აყოლებდა, ნადკა მაგიდაზე ხელებს ათამაშებდა, გიტარაჩაბლუჯული რომეო კი რომელიმე რიტმზე აჟღერებდა სიმებს. ეს ახალგაზრდობის, იმედებისა და ბედნიერების რიტმი იყო... გვეგონა, რომ ბედნიერება ავერაა, აქვე, ხელის გაწვდენაზეა... „მხოლოდ დონ და მაგდალინა, მხოლოდ დონ და მაგდალინა, მხოლოდ დონ და მაგდალინა მიდიან ზღვით იქამომდე“.



პოლონური პოეზია



პოლონური დან

თარგმნა რენე კანაველიამ

ანნა სპირჟინსკა

მე აზროვნება მტკივნა

მე აზროვნება მტკივნა, მაწვალეზს.
ეტყობა, დროზე იყო საჭირო მისი თავიდან მოშორება.

გადავაგდეზდი ჭაში,
მაგრამ რატომ მოეწამლო წყალი.
ჩავუდეზდი ცხენს თავის ქალაში,
მაგრამ აკი ცხენს ჩემთვის ცუდი არარა უქნია.
იქნებ მიწაში ჩამემარხა,
მაგრამ არ ამოვა ბალახიც.

მე აზროვნება მტკივნა.

ვაგეზულთა გეღნიერება

ჩვენ გვთელავენ
ფეხები ადამიანთა, ფეხები უყამო ჭამისა,
ფეხები ისტორიისა.

ჩვენ გვთელავენ, ჩვენ გაგვთელეს
და ღრმად ჩავეტკეპნეს მიწაში,
გადაგვმალეს სამაგალითოდ
ადამიანებისგან, დროისგან და ისტორიისგან.

ღვერთი ვეზულილობისა

სიგიჟის ღმერთმა
ადამიანს თმებში ჩაავლო ხელი.
ჰოდა, ჰკიდია ადამიანი, ფეხებს აქნევს,
იკლაკნება — ნამეტნავად სასაცილოა სანახაობა.

სიგიჟის ღმერთს დაავიწყდა, რომ
 თმებით უჭირავს ადამიანი.
 სიგიჟის ღმერთი
 თავის საქმეებზე ჩაფიქრებულა.
 დაავიწყდა, რომ ადამის შვილი
 სულაც არაა უკვდავი.



აზრი ღაქქებს აზრს

მე აზრი ვარ.
 მე ავირეკლები
 სარკეში უაზრობისა.

უაზრობის სარკე
 ამრეკლავს
 ახალი უაზრობის სარკეში.

მე გზა ამეზნა.

გამოვაცხადებ:

— დავეძებ აზრს.

ხელის მოწერა: აზრი.

ათი ფეხი

როცა გავრბივარ,
 მე ფეხებით ვიციანი.
 როცა გავრბივარ,
 მე სამყაროს ფეხებით ვყლაპავ.

როცა გავრბივარ,
 ათი ფეხი მაქვს
 და ყველა მათგანი
 ყვირის.

მე ვარსებობ მხოლოდ მაშინ,
 როცა გავრბივარ.

აჰ, რა მხიარულობაა

მე ვიციანი,
 უკვე ყურებიც კი ამტკივდა
 მუტისმუტი სიცილისგან,
 ებანცალეზ სიცილისგან,
 იატაკზე ვეცემი სიცილისგან,
 ვაგდივარ, ვიხრჩობი სიცილისგან,
 ვხრიალებ სიცილისგან,

აჰა, თვალებიც გადმომიცვივდა
 სიცილისგან.

მე ვკდვები,
 აჰა, კიდევ მოვკვდი სიცილისგან.
 მართლაც, რა სასაცილო ხარ,
 ბედო ადამიანისა.

საავტორო საღამო

გწევარ მოკუნტული,
როგორც შეცივნიული
ძალი.

ო, ღმერთო ჩემო,
ნეტავ ვინ შეტყვის,
რატომ დავიბადე ქვეყნად,
ან რისთვის მერგო მთელი ეს
კოშმარი,
რასაც ცხოვრება ჰქვია.

ანაზღად სატელეფონო ზარი: დროა
საავტორო საღამოზე წასვლისა.

შევდივარ.

ასი ადამიანი, ორასი თვალი
მემზერს.

უცდიან. შიშლინით
თავადაც ვიცი, თუ რას.

მე მათ დღეს უნდა ვუთხრა,
თუ რატომ დავიბადნენ ქვეყნად,
ან რისთვის ერგოთ მთელი ეს
კოშმარი,

რასაც სიცოცხლე ჰქვია.

შ ი შ ი

იგი დამყვება ცხადლივ,
იგი დამყვება სიზმრად.
მან ჯერაც ვერ მომკლა ცხადლივ,

მან ჯერაც ვერ მომკლა სიზმრად.
თუმცა სიზმარში ის მე მკლავს
ყოველდამ.

მხიარული შავი ზეცა

შავი მეომარი სიკვდილის შემდეგ ზეცაში ადის,
შავი უფალი ღმერთი მხიარულად ეგებება მას.
შავი ანგელოსები ცეკვავენ და
მღერიან ალილუიას.

ისინი მშვენიერნი არიან, როგორც უფლის სალოკი თითი
და მხიარულად ამბობენ:
ჩვენ ყველას შენი ცოლობა გვინდა.

შავი მეომარი იცინის,
ის მათთან ერთად ცეკვავს,
მას მართლაც უყვარს ისინი,
და იგი მათთან ერთად მღერის ალილუიას.

ბედნიერი ვარ ქალის კუდივით

ბედნიერი ვარ, როგორც რაღაც, თანაც ფრიად
უმნიშვნელო
და თავისუფალი, როგორც უბრალო რამ საგანი.
როგორც ის, რასაც არვინ აფასებს
და საკუთარ თავს არაფრად აგდებს,

როგორც ის, რასაც დასცინის ყველა,
და თავადაც რომ დასცინის მის გამასხარავებას.
როგორც სიცილი არაფრის გამო.

როგორც ყვირილი, თუნდაც იმიტომ, რომ დაბოლოს

ამოიყვიროს
სიხარულით

ბედნიერი ვარ, როგორც უფალმა უწყის რა.
როგორც ღმერთმა თავად უწყის, რანაირადაც ვარ

ბედნიერი.

ბედნიერი ვარ
ძალღის კუდივით.

ედვარდ სტახურა



ჩვენ ჩავსვავს
კვადრატულ გალიაში,
შემდეგ დაგვაჭრეს ფრთები
და გვიბრძანეს, რომ გვემღერა სიმღერა სიყვარულისა.
ხოლო როდესაც ერთ-ერთი ჩვენგანი,
ცვილისგან გამოძერწილი ფრთებით,
გაიქცა გალიიდან,
რათა ემღერა დიდ სიყვარულზე,
გამოაცხადეს იგი შემლილად.
სიცილ-ხარხარით

მათ სარკეები მიუშვირეს მის ლამაზ ფრთებს,
და... ცვილი დადნა.

ხოლო როდესაც ურჩი ბავშვი ისევ დაბრუნდა გალიაში,
მოტკბო ღიმილით მოუყვინენ არაკს
იმის შესახებ, თუ ერთი ბოროტი ხელმწიფე
როგორ არ უშვებდა დედალოსსა და იკაროსს
მშობლიურ ათენში.

მაგრამ იცოდეთ ერთი რამ,
თქვენ, თხუნულეზო, მაიმუნის სიფათიანო,
სარკეების ელვარება-ბრწყინვალებაში
ყველაფერი არ დნება.

საბავშვო თამაშობანი

ერთნი ჩხირკედელაობენ
მკვდარი მშობლების თვალებით
მეორენი პარავენ ხამლებს
ლიმონისფერ-ყვითელ მეარღნეებს
სხვათა სახეებზე ღიმილია

პეპლებს მოგლეჯილი ფრთების გამო
ვიღაცა სიზმრებს შავად ლებავს
თუმცა მათ იღებს ვარდისფერი
თითებით
ღმერთი კი განზე გამდგარა



აბა მე ვიპოვე ოცნება
რომელიც ოდესღაც
ჩავიტენე ჩემს გამოსულ ჯიბეში
როდესაც ღამე
ვეება ყვავი
მძიმედ დაეშვა
გამჭვირვალე-გულმოწყალე
მდინარეზე
იმ ღამით

ავმა ღამურებმა შესწლეს ყველა
ვარსკვლავი
და ყველა თეთრი ქუჩული
დარჩნენ მხოლოდღაც მსგებრი
ოთხი კვირა
სიმართლე როგორც ახალი მთვარე
დასრიალებდა გლუვ სარკეზე
და აი მოიძებნა ოცნება
მაგარი
მუხის კეტი

ადამიანი ადამიანისთვის

ადამიანი ადამიანისთვის მგელია
ადამიანი ადამიანისთვის გველია
მაგრამ არ მისცე გასრესვის უფლება
მაგრამ არ მისცე მოწამვლის
უფლება

ადამიანი ადამიანისთვის აფთარია
ადამიანი ადამიანისთვის ღალატია
მაგრამ არ მისცე ღალატის უფლება
მაგრამ არ მისცე დაჩაგვრის
უფლება

ადამიანი ადამიანისთვის ციხეა
ადამიანი ადამიანისთვის ჭირია

მაგრამ თუნდ შავ ჭირს ნუ
დანებდები
ციხეს ტყვედ ნუ ჩაბარდები

ადამიანი ადამიანისთვის ძალაყინია
ადამიანი ადამიანისთვის
ჭექა-ქუხილია
მაგრამ ნუ მისცემ დარეტიანების
უფლებას

ადამიანი ადამიანისთვის მგელია
ნუ მისცემ ნებას რომ მგლად
გაქციონ
ადამიანი ადამიანისთვის
მოყვასია და
ის დაგესმარება გადარჩენაში.

ვერ დაგვკორტნიან ყვავ-ყორნები

ვერ დაგვკორტნიან ჩვენ
ყვავ-ყორნები,
ყვავ-ყორნები და მტრები!
ვერ გადარღნიან ჩვენს ყელებს
ეშვები პოეზიისა!

ადექი, ბრუნო, წავიდეთ ლუდზე,
უჩვენოდ სუფრა არცაა სრული!
აბა ჰე, ცოცხლად! მრავლის
მოთმენით
აუარება დაჭკნა ყვავილი!

უჩვენოდაა — ქება საჯაყი
და ოქრო-ვერცხლი ფულის ქისაში,
ჩვენ გვნიბლავს რეალური შლეიფი,
აჩრდილს რომ მისდევს შემკრთალ
ბურუსში!

ადექი, ბრუნო, წავიდეთ ლუდზე,
უჩვენოდ სუფრა არცაა სრული!
აბა ჰე, ცოცხლად! მრავლის
მოთმენით
აურაცხელი დაჭკნა ყვავილი!

არც ისე ჩქარა წავიდებთ წერილს,
როგორც ეს ბატონ სიკვდილს
სწაღია!

მიწა პატარა არის,
მაგრამ ჩვენს უკან მზვობარი
მთებია,

იქ ვერ ამოვა იგი!
ადექი, ბრუნო, წავიდეთ ლუდზე,
უჩვენოდ სუფრა არცაა სრული!
აბა ჰე, ცოცხლად! მრავლის
აუარება დაჭკნა ყვაილი!

იულიან კორნკაუზერი

ალგატროსი

პოეზია კარგა ხანს დგას ლიმონის
რიგში
ხანაც გადის პენსიაზე
ყიდულობს საზღვარგარეთულ
ჯინსებს
სუნთქავს გათომილ
ხელისგულებში

უსტვენს უკანასკნელ შლაგერს
წერს ნაცნობებთან ბარათებს
ხან კი — ევროპის დედაქალაქებს
ენვევა
ითვლის ათამდე —
ძველი გამხმარი ყვაილი
ბოროტებისა

ესკანეთი

პურის ნატეხები კი იატაკის ნაპრალებში იზრდებოდნენ.
ლერწამი — მზეში ჩარჭობილი. დაღლილ ბეჭებზე სინათლის
ჯვრები. ჩვენ მოვედით, თუმცა არც ვუწყოდით, თუ
რა არის თეატრი და რას ნიშნავს ხალხი — თეატრის გა-
რეშე. თარიღები, სახელები, ერთიმეორის მიყოლებით. მი-
მწვარი თევზის ხრაკის სუნი, ზღვა, როგორც ხორცი მოკ-
ლული ცხენის. ტაძრების ცივი სარდაფები, სადაც დედებს
სწამთ იკაროსების და თვალებს გვიწვავს სანთლები. ამ-
ჟამად კი შენი ჯერია, სისხლში მცურავო ქალაღდო.

თეთრი ყვაილი

თეთრი ყვაილი მე მანიჭებს
გამბედაობას
ის იჭერს ჰაერს თითოეული
ფურცლით
და ეძებს მზეს
ხოლო მზე უშვებს ჰაერს
და მიქრის თავის გზაზე
წვრილი ღერო ნელა ირხევა და
ყოყმანობს
წყალზე მწვანე ნამცეცები
თეთრი ყვაილი წამოდგება

და გაიმართება
მას სურს სურნელი ასდიოდეს
კარგად რომ გამოიყურებოდეს
ის ანკარა წყალს იწოვს
მოწყურებული სვამს
და სვამს წინდაუხედავად
ვარდისფერდება
იგუდება და ველარ სუნთქავს
პაწაწინა თავით ეშვება მინაზე
ფურცელს უმწეოდ დახრის
ირგვლივ სურნელი ტრიალებს

საწერი მაგიდა

საწერ-კალამი
 ორი ძველი ფლომასტერი
 ბურთულებიანი ავტოკალმები ფანქრები და მელნები — ცნობილი ფირმა „ორიონი“
 სწრაფჩამკერი
 სანდრარის პაწაწინა ტოტი
 მაგიდის ლამპა
 საწერი მანქანა ქალაღდის შეკვრა ბარათები
 საქალღდეები ჟურნალები
 ძველი უბის წიგნაკები
 აუარებელი წიგნი სერბული ანთოლოგია
 პეტროვიჩი შუიცა შიცელ და სლავომირ პეტროვიჩი
 (ხოლო ის იყო რასტკო) ვუჩეტიჩი ლექსიკონი
 იუგოსლავიელ მწერალთა ტომასი პავეზე
 გოლენიშივე-კუტუზოვი
 ბრესტი კარპენტიერი კორტასარი კორნიუ და კიდევ
 სხვები
 ყველაფერი ეს ახლა ჩემს მაგიდაზე ძევს და
 იცდის როდისღა ვიტყვი რაიმეს.

გოია: ვისაც გონება დატოვებს,
 მას ურჩხულები ელანღებიან

და კვერთხიც მომეცით, როგორც მათრახი ხელში. რომელიც
 ჯერაც იდაყვებამდე არის სისხლში. მღამიობები გამობერტყავენ
 ჰაერს, აწ ურჩხულები — კედლებზე ჯვარცმულნი, ბრტყლად და უკ-
 ბილოდ სუნთქავენ. ნიაღვარში მობანავე ჯარისკაცები ერთიმეორეს
 უყვირიან: ჰეი, მოდით, ხელმწიფეებო. ნახეთ, კუბოში ჩაკეტილი
 ზეცა იხრწნება. მზის ჩასვლისას, ცარიელ და ვერან ადგილას,
 აქტიორია, რომელიც ქრისტეს თამაშობს, ჯვარზე კიდია, როგორც
 ყორანთა საფრთხობელა, ხოლო გვერდით—თეთრი მტრედი, მარცვლებს
 რომ კენკავს — გულმოდგინედ, აშარი ქარის თაველები, შემდეგ
 მეორე აქტიორი უჩინარდება სინათლის წალაში. და მომეცით პურის
 ნატეხიც, ვით გველი ხელში, მომაკვდავთა განსაცვიფრებლად.
 უფრო ადვილი არაფერია, ვინემ დუმილი. და ქალღმერთების ქვის
 მძიმე ფრთები აფრინღებიან თავებს ზემოთ, ფრენენ, ფრენენ, როცა
 თხრილებში მხოლოდ მკვდარი დამცველებია — ქალაქის, როდესაც
 მოსახვევს მიღმა კოცონზე სქელ წიგნებს წვავენ, ქვეყნიერების
 ესტრადაზე დასახვრეტად მიყენებულთა პირქუში კედლის ქვემოთ
 ზრიალებს კოცონი.

ბადეუზ რაქევიჩი

სამშობლოს ხატი

სამშობლო მხარე ბავშვობის
ადგილი დაბადებისა
ის ყველაზე პაწაწინა და
განუსაზღვრელად ახლობელი
სამშობლო

ქალაქი სოფელი უბანი
ჭურჭა სახლი კარ-მიდამო
პირველი გრძნობა
სივრცეში ტყე
ჯვრები საფლავები

სწორედ ბავშვობაში შეიმუცუნება
ყვაფილები ბალახები და
მარცხელთუხუცები
ზიზღილინიშნა

მხეცები
მდელოები ყანები
სიტყვები ნაყოფი

სამშობლო ილიმის
თავიდან სამშობლო განლაგებულია
უბრალოდ
ხელის გაწვდენის არეში
და მხოლოდ შემდეგ იზრდება იგი
სისხლად ედინება და
გტკივა

ა რ ა რ ა

ლამით კი
სიტყვა
არარა
იზრდება და იტოტება
თავაწყვეტილად
დღისით
როდესაც
დანაყრდება
იგი ურჯობა ჩემს ცხოვრებაში
ვით ბასრი დანა ხორცში

დევილი

ლამემ
ჩამითრია
მე თავის სიღრმეში
მისი ხელისგულებით როგორც
ორჩხოველით
მე გავდივარ
მივცურავ აქედან
ყოველივე და ყოველგვარი
დაფარულისგან
გაშიშვლებული
გარიყული ვარ ზედაპირზე

როგორც
მრისხანე ხმელეთზე
და სახე ჩემი ვითარცა ფოთოლი
კვლავ ეკვრის ფანჯრის მინას
ნაბიჯების ხმა
და რეკავს ზარი
კვლავ ჩვეულებრივი ფრაზების
ფარფატი
გავრბივარ კედლიდან კედლამდე
და ძლივს გასაგონად ვყვირი:
ეს მე ვარ

მერაბენა წალია

ყოველწლიურად
 პოეზია თანდათან კვდება
 სულ უფრო ჩქარა
 ახალ ლექსთა
 დაშლა-რღვევის პერიოდი
 გაზეთებში
 ორი ან სამი საათია

მკვდარი პოეტები
 ანაზღად ქრებიან
 ცოცხლები
 გაშმაგებით შობენ
 ახალ წიგნებს
 თითქოსდა სურთ რომ ქალღმერთით
 დაგმანონ
 უხარმაზარი ხვრელი



ვხედავ შეშლილებს

ვხედავ შეშლილებს რომლებიც
 ზღვაზე
 დადიოდნენ როგორც ხმელეთზე
 ბოლომდე სწამდათ
 და კიდევაც წავიდნენ ფსკერზე
 ისინი ახლაც გვერდზე ხრიან

ჩემს დანჯღრეულ ნავს
 და ჩაძირვით გვემუქრებიან
 ძლივსლა ვიშორებ ამ აჩონჩხილ და
 გაძვალტყავებულ ხელისგულებს
 უმოწყალო და ცოცხალი
 ვიშორებ ამ წლიდან
 იმ წლამდე

ხორხი თავისუფლებისა

ავგუსტინო ზოროა ლუკას ნუნისის ხსოვნას

გულუბრყვილოა ის ვინც ირწმუნა
 რომ მხოლოდ ერთხელ კვდებიან
 სამართლიანი საქმისთვის

ხორხი რომელიც იხვეწება
 სიცოცხლეს ითხოვს
 იკლაკნება როგორც ჭია
 ღრმად ჩატკეპნილი
 ბინძურ ტლაპოში

იდეალურად დამუწულია ფართო პირი ქვეყნიერების
 იდეალურად დახუჭულია ფართო თვალები ქვეყნიერების
 ხოლო სხეული — ძალმომრეობით გადავლილი და
 წაბილწული

გადმოკვდებული საპურობილის ალაყაფის კარებთან გდია
 ოქრო — დუმილი არის ნიადაგ გაყიდული ქვეყნიერების

შ ე ლ წ ე ვ ა

სიკვდილი
შედის სიცოცხლეში
როგორც სინათლე
აბლაბუდაში
და ღია კარის
სიოში

მომაკვდავი საიქიოსკენ მიმავალი
დიდხანს ბორგავდა ყვიროდა
და ცდილობდა დროის მოგვსებას
სიკვდილი ხრავდა გულსაქვე
ნაკვთებს
თავის ქალაზე გადასმულ-წასმულ
თუ დაწყობილი
მორიგი სახისა

ს ა ს ჯ ე ლ ი

ამიერიდან
ამ წუთიდან
სიცოცხლე რწმენის გარეშე — როგორც განაჩენი
ღმერთად იქცევა საგანი
ღმერთად იქცევა სხეული

ეს ღმერთი უმოწყალო ბრმაა
რომელიც თავის მონებს ყლაპავს უდასასრულოდ
და მონელებულს ამოარწყევს
ბარაქიანად

კ ო რ ე მ ტ უ რ ა

სიკვდილი არ ჩაასწორებს
თუნდაც ერთ სტრიქონს
სიკვდილი კორექტორი არაა
და რედაქტორიც არ გახლავთ

სიკვდილი

ღიას უკვდავია ცუდი გემოვნება
როდესაც კვდება ჩათლახი პოეტი
ხსოვნაშიც რჩება წუნკალ პოეტად
ჩერჩეტი თუნდ კუბოს მიუყვებოდეს
მაინც მოჩმახავს რაიმე სისულელეს
სევდას მგვრის ბრიყვი
სიკვდილის შემდეგაც

უ ა მ რ ა ვ ს ა ქ მ ე თ ა შ ო რ ი ს

ფრიად საყურადღებო და ძალზე
მნიშვნელოვან
უამრავ საქმეთა შორის
მე როგორღაც გადამავიწყდა
რომ საჭიროა
სიკვდილიც
ფუქსავატურად ვცხოვრობდი და
არაფრად ვაგდებდი იმ
მოვალეობას

ვასრულებდი მას როგორღაც
ზედაპირულად
ხვალინდელი დღიდან ნამდვილად
ყველაფერი შეიცვლება და
დავიწყებ კვდომას ბეჯითად
ბრძნულად და ოპტიმისტურად
არ დავხარჯავ დროს
ტყუილუბრალოდ

ანჯეი გურსა

პ ა ნ ლ უ რ ე ბ ი



ქართული
ლიტერატურის
ქრონიკა

ის აქ მოვიდა მნიშვნელოვან საქმეზე
მაგრამ პირველივე კარიდან იგი გამოაბრძანეს პანლურით
მან გაიღიმა

გაიფიქრა რომ ხუმრობა იყო
და მოსინჯა ხელახლა შესვლა
ისევ პანლური

შეეცადა ასულიყო თუნდაც ერთი სართულით მაღლა
მაგრამ პანლურით მოცელილი ძირს დაებერტყა
და დერეფანში მიყუჩდა თუმცა
ისევ პანლურით მიაბრძანეს გასასვლელისკენ
ქუჩაში კიდევ ერთხელ ამოჰკრეს პანლური

მაშინ მან უკვე გადაწყვიტა რომ ყოველ შემთხვევაში
მოკვდება როგორც პოეტი
და ჩაუვარდა მანქანას
მაგრამ მიიღო მძღოლისგან კარგა მაგარი მამალი პანლური.

დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა

ის უაღრესად თავმდაბალი მუშაკი
იყო

ქალაქისათვის მეტად საჭირო
ისე როგორც სუფთა ჰაერი
სინდისიერი და გულმოდგინე
უანგარო და თავგანწირული

ის არ ეძებდა საყოველთაო დიდებას
არ მოითხოვდა პატივისცემას
იყო უდრეკი მებრძოლი და
ჭეშმარიტი პატრიოტი

(ასაფლავებდნენ ასენიზატორს
განავალის კასრში ჩაძირულს)

ჯ ა ლ ა თ ი

ამბობენ რომ ჯალათი ახლა არ ატარებს
არც ფრაკს
არც ნიღაბს
(პარიზში შესაძლებელია რომ ატარებდეს ჩვენთან კი არა)
ჩვეულებრივად ჩაცმულია „ჩვენი“ ჯალათი
„ჩვეულებრივ“ ესე იგი როგორც ყველანი
ყავისფერნაცრისფერზოლებიანებში
ოპ უბადრუკი გემოვნება
პროვინციელი პიუონებისა

ისინი მუდამ წუხან თეატრის კრიზისზე მაგრამ
 თუნდაც ამის დადგმაც კი არ შეუძლიათ
 ისე როგორც საჭიროა წუწუნის გარეშე სცენაზე

როდესაც ჩემი ჩამოსრჩობის უამი დადგება
 ჯალათი ფრაკში უნდა იყოს გამოწვეპილი.



1957

ბ ა რ შ ი

თავდაპირველად იმ ტიპისთვის ყურადღება არც მიმიქცევია
 შემდეგ შევნიშნე მისკენ მიმავალ ოფიციანტს რაღაცა ჩაუჩურჩულა და
 ერთ წუთში მის წინაშე იდგა
 ბაღლინჯოებით საფსე თეფში
 და პირში ისე იტენიდა ისე გულმოდგინედ ახრამუნებდა
 რომ გარშემო ისმოდა მათი ტკაცანი
 ისე ლეჭავდა რომ ღრძილებიც არ გადმოსცვენია პირიდან
 შემდეგ თითებით მან ფოლადის გასაღებიც გადატეხა და
 როცა ნატეხები გადაყლაპა
 მან დაამთავრა პურობა თვისი

ვფიქრობდი კაი ჯიგარი ვინმეა
 რა მაგარი მოდის თაობა

1957

საუბარი პოეტთან

როგორ გადმოვცეთ სურნელება პოეზიისა...
 პო რა თქმა უნდა არ კმარა მარტო ლექსის ხსენება
 იგი მთლიანად უნდა აფრქვევდეს მუშკ-ამბრის ნათელს
 რითმაც
 და რიტმიც
 თაფლოუანი მდელოს ამბრით უნდა იყოს გაუღენთილი
 ხოლო რიტმის თითოეული მონაცვლეობა
 უნდა იწვევდეს ვარდების ზემოთ
 ჰაეროვნად მიმომქროლი სიოს ზმანებას

ასე ვმსჯელობდით ძალიან დიდხანს და სიმბიოზი ჩვენი იყო იდეალური
 თვით იმ წუთამდე სანამ მე არ ვთქვი:
 „გთხოვ რომ როგორმე გაიტანო ეგ ვედრო თორემ
 აქ საზარლად ყარს შარდისგან“

შესაძლოა რომ ეს უკვე იყო უტაქტობა
 მაგრამ მეტის მოთმენა მე ვერ შევძელი

1957

გ ა მ ო ც ა ნ ა

5 ქუდი
2 თეთრი და 3 შავი
3 მათგან თქვენ სამმა
რომ დაიხურეთ ბნელ ოთახში
აბა ახლა გამოიცანით
რომელი ქუდი ახურავს
ყოველ თქვენთაგანს თავზე

15 წუთში უნდა მოასწროთ
გულსყური მოკრიბეთ
ზედმეტი არ ინერგოთ
პასუხის სიზუსტეზე მთელმანად
დამოკიდებულია თქვენი ცხოვრება

1957

ფრთხილად, ღრამა!

პატარა ადამიანი
ნაცრისფერია იგი როგორც ორშაბათი
ნაცრისფერია როგორც ნაცრისფერი თავვი ნაცრისფერ ფონზე
თვითნებურად დახარისხებულ-დაწყობილი
გასასაღები ცალობით ანდა სულაც ბითუმად
ადამიანი-ჭანჭიკი
ერთ-ერთი იმ უამრავთაგან ქვეყნად არავის რომ არ სჭირდება
უთვალავი ერთნაირი ხრახნი
არსებითად
უფრო და უფრო ზედმეტი
და კიდევ უფრო უზედმეტესი
ვინემ ნომერი რომლითაც იგი ჩაწერილია
მთავარ დავთარში აღნიშნულია
ანაზღად ა ე ნ თ ო დ ი ა დ ი ძ ა ლ ი თ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა

1957

ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ უ კ ა

ბავშვები სჯობია მოზრდილებს
მხეცები სჯობია ბავშვებს
შენ ამბობ და თუ ამგვარი სულისკვეთებით გავაგრძელებთ
გარდუვალა დასკვნა რომ საწუთროში ყველაზე უფრო საყვარელია
ინფუზორია-ფეხსაცმელუკა

მერე რა მოხდა

ფეხსაცმელუკა ჩემთვის უფრო საყვარელია
ვინემ შენ შე ძალლისშვილო.

1957

პ ე ლ ა ბ ო ბ ი კ ა

ბავშვებთან საჭიროა სიმკაცრე
ტანსაცმლის ნაცვლად ძონძები
შეაგროვე ეს ძონძები
შეიბნიე ეს ძონძები
გაუფრთხილდი ამ ძონძებს
ეს ძონძებია ჩემი ნამუშევარი
ჩემი გაფლანგული ძალ-ღონე
მხოლოდ და მხოლოდ ეს ძონძებია
ჩემი გაფანტული ილუზიები

ჩემი განუხორციელებელი საქმე და
ჩემი დანგრეული ცხოვრება
გარდაცვლილი პერსპექტივა
ეს ყველაფერი — ძონძები
შეაგროვე ეს ძონძები
შეიბნიე ეს ძონძები
გაუფრთხილდი ამ ძონძებს

1957

ღ ა ნ ი შ ნ უ ლ ა ბ ა პ ო ე ზ ი ი ს ა

პოეზია განუყრელია ცხოვრებისაგან მისი მიზანია — რომ
ემსახუროს ცხოვრებას
სახლის დიასახლისი ვალდებულია:

გადაწმინდოს
გაიტანოს
გაფერთხოს
დაგავოს
დააპუროს
შეისყიდოს
მორწყას
დაანთოს
მოამზადოს
დარეცხოს
დაბებკოს
დააკეროს
დაკემსოს
დაითვალოს

მტვერი
ნაგავი
ხალიჩა
იატაკი
ბავშვი
სურსათი
ყვავილები
ქურა
სადილი
ჩვრები
შარვალი
ლილები
წინდები
ხარჯები

და გააკეთოს — გადააკეთოს კიდევ ათასი სხვადასხვა საქმე რომლებ-
ზეც ჩვენ არა გვაქვს არავითარი წარმოდგენა

შემდეგ კი ცოტა რომანტიული პოეზიაც
და ნანინა...

უ რ შ უ ლ ა კ ო ზ ე ლ ი

1981-ის შემოდგომა

ნიშანდობლივი პოლონური შემოდგომა
სიმშვიდე — როგორც პოლონური ზლოტი რომელზეც ჩამოწვა
ინფლაციის ღრუბელი
პატრიოტები მიფრინავენ თბილ ქვეყნებში

დროა ზამთრისთვის თადარიგის დაჭერისა
და ძალ-ღონის მოკრებისა
დროა ნალი დავაკრათ რუკას
თუკი გვინდა რომ ქვეყანა დადგეს ფეხზე



ჭაბუკი ლექსების სტროფები უპატაკებენ თავიანთი
ჩამოსვლის შესახებ — სამშობლოს
პოლიტიკოსებს — მაღალ ქუსლებზე სურთ
ტრანსპარანტზე აცოცება — ქუჩის ზემოთ რომ იქანავონ

თითოეული წამი უფრო ფართოდ ახელს ფახულა თვალებს

შეუმჩნეველ ბუხპალტერს შეაქვს რეესტრში პაპილარული საზები
ქარში მიდებ-მოდებულ სიტყვათა

ცხოვრებას შენი გაბრიყვება სწადია
მეექვცემა რომ რამეს მოასწრებ ჭირნახულის აღებამდე
რკინის თანამდებობათა და მსჯელობათა
შარშანდელი თოვლის ფუნჯის დაქნევით
მოვლენათა მანიპულიატორი შენ გადაგიკეტავს ჟანგბადს

იფიქრე საკუთარ თავზეც
ჩაეფლე მიწაში შეუმჩნეველ კარტოფილად
ანდა დადექი გზაჯვარედინზე და ხელები გაშალე
როგორც გვერდზე მოქცეულმა გზის მარვენებელმა ან
უმწეო ფრინველის მომვლელმა და საფრინველემ
ფრთების პროტეზით რომ ხროტინებენ მძაფრი ქარის ქვეშ.

1981

ს ა ლ ა მ ო ს

ღამეული ცის ღრეჩოებში
გააღწევს შუქი
— სამარადისო?

იქნება იქ — ზენაარში ვილაცას
ჯერაც არ სძინავს და
შესაძლოა რომ აჯამებს ბალანსს
ახდენს ყოფის რედუქციას
და ემზადება შეეშვას საქმეს
ან სამყაროს სახურავზე ხანგამომწვევებით დაკაკუნებით
კითხულობს კუშტი უფსკრულებიდან არსაითკენ გაგზავნილი
დასმენის ბარათს — ანონიმურს
ღამით აჩხა-ბაჩხა ნაწერს

ანდა კითხულობს ქურდულ ქსივას მავანისას
 უიმედოს ვით ლექსს ნიადაგ მარტოსულისა.
 მით უმეტეს
 ნუ სთხოვ ამჟამად ნურავის
 არაფრის გამო არაფერს.



უმაღლესი გაიხედე იქით
 სადაც თითქოსდა კიდევ სხვა მხრიდან
 ამგვარილა ორი კენწერო შენს მიერ ვერ შეცნობილი ხისა
 თითქმის როგორც ორი წვერი საერთო
 მაგრამ შენთვის ბუნდოვანი აზრისა

საკუთარი ძალებით სცადე რომ არ მისცე მას
 თუნდ სახელწოდება
 სანამ შენ არ გადუყლაპიხარ მათ შემზარავ წყვილად.

1989



რალაც დროიდან
 ჩემსკენ მოქრის დედაბერი
 კუზიან ღრუბლებზე ამხედრებული.

ზურგს უკან ვაგდებ ჩემს სავარცხელს დაე მის წინ აღმოცენდეს ტყე
 ზურგს უკან ვაგდებ სარკეს რათა მის წინ ტბა აღივლივდეს
 მაგრამ იგი თანდათან უფრო ახლოსაა
 აი საცაა დამეწევა — ცხადში
 ხოლო ძილში უკვე კარგა ხანია მესიზმრება.

ჩვენ კიდევაც ვესალმებით ერთიმეორეს შორიდან
 ის ცივად მიმზერს თვალებში
 ჩვენ უცხონი ვართ ერთმანეთისთვის.
 მე მთელი კანით
 ვგრძნობ ჯერ კიდევ ჩემში ამაყ თანდასწრებას ახალგაზრდა
 ქალიშვილისა —

(ჩვენ მასთან ერთად ვაგროვებდით ბაიებსა და ია-იებს
 და არაერთხელ მთვარიან ღამით
 ნაზად ვკოცნიდით ჭაბუკებს
 და არაერთხელ დამე ცეკვაში გაგვითევია განთიადამდე)
 ქალიშვილი წასვლას აყოვნებს
 და საბაბს ეძებს რომ დარჩეს ჩემში უფრო დიდხანს —
 აი რატომ ხდება ასე რომ
 ჩემი თითები ჯერ კიდევ ისევ ირინდებიან მამაკაცის თითების მწველი
 სიანდლოვისგან
 და ვიღაცის ქვემოდან მზერით
 ჩემში ანაზღად აფრინდება მთრთოლვარე ფრინველი.

1976

ჩვენ ვერ ვუყურებთ სიმაართლეს თვალებში

რადგან სიმაართლეს არა აქვს თვალები
არა აქვს სახე
არა აქვს ენა



რადგან სიმაართლეს არა აქვს ფრთები
იგი სრულებით არ ცხოვრობს
ცხრა ზღვას იქით ტყეებისა და მთების მიღმა

მე მიმაჩნია რომ სიმაართლე
ეს უფრო აბეზარი კორძია
რომელიც ხელს გვიშლის შიგნით გვაბრკოლებს სიღრმეში

მე მიმაჩნია რომ ეს სწორედ იგია რაც
ფისივით მწებვარეა
რაც მოკუნტულა სადღაც იქ კანქვეშ
მყუდროებისადმი მტრულად განწყობილი
უეცრად რომ დაიბერება გასივდება
და შენ გაძლევს საქაგელ ნიშნებს
ბნელს და ბუნდოვანს
როგორც ყრუ-მუნჯთა მიმიკა

ეს გტკივა და
ეს გაწვალებს
შენ უკვე მეტად არ შეგიძლია რომ დუმდე
და ყვირილს იწყებ

1976

ხვიარა მცენარის აღწერა

ნორჩი ყლორტები (მცენარის ხმები)
მიიწევიან სათითაოდ
დრეკად სპირალად
ჰაერს ჩაებურღებიან
ექებენ საყრდენს და ადიან
თითო-თითოდ სულ უფრო მალლა
თავიანთ ვერტიკალებს ექებენ.

სიცარიელეში გააღწევენ
ჯიუტ მწვერვალად
და დაექებენ მალალ საბრჯენებს
ბოძების სარების ზემოთ
მარგილებს ზემოთ რომლებიც
ღრმად ჩარჭობილია ნიადაგში
დაექებენ უმაღლეს ადგილებს.

მარტოხელა კერპი ყლორტები
სივრცეში ერთურთს ეჯახებიან
და წველი წველს ებლაუჭება
ერთი მიცოცავს მეორეზე
მხარში უდგანან ერთმანეთს და
ესმარებიან

მაგრამ არაა მათთვის უკვე
ვერტიკალები.

ხეო დაუთმე მათ შენი ტანი
კლდეო ათხოვე შენი კედელი
შენ კი ფრინველო აიტაცე ისინი
ვიდრე ისინი მოშვებულნი და
დაეცემიან ფსკერზე.

იქ მათ ფრენის უფლებას
 წაართმევენ
 იქ მათ მუცელზე ბობლვას
 ასწავლიან
 იქ მათ ალერსით დაღუპავენ

სრიალა-ორაზროვანი გველები
 საწრეტლიანი ქვეწარმავლები
 რომლებიც ფენენ ცივსისხლიან
 გზებს
 და გაუყრიან დუშაყებს



სხვა ვინმე
 უკვე დიდი ხნის წინათ იქნებოდა
 დამჯდარი მარჯვნივ
 უფლისა

ან ისეთი ხმით როგორიც შენია
 იგი შეუერთდებოდა ქოროს
 ან მის ზვრებში დაიწყებდა სიგრილის ძებნას

შენ კი ისევ ბრაზიანად აკაკუნებ და აკაკუნებ
 იმ შენი ჯოხით ძვირფასო მამა
 შენი ხმა მესმის კუთხის იქით მოსახვევს მიღმა
 სიტყვები —

ბნელ მიწისქვეშა გადასასვლელში
 რატომ და რისთვის
 ნიადაგ ჯოხზე დაყრდნობილი კვლავაც ჯიუტობ
 და არ გინდა რომ სიზმრად გნახო

1991

გ ა მ ო თ ს ო ვ ე ბ ა

თითქმის ყველაფერი აღაგებულია
 და რულონებად დახვეულია
 აწ გადგმულია სახლს გარეთ

რამის კარების ჯახუნნი ხმაური ხრჭიალი ერთიმეორის მიყოლებით
 ამ ბეჩავსა და დანჯღრეულ სახლში
 ძველ სახლში სულისა
 (რომელიც ჩემთვის მაინც ძვირფასი იყო ესოდენ)

ტყუილუბრალოდ გენები და ქრომოსომები
 ტყუილად სხვადასხვა უჯრედები
 შემინებულნი მიმზერენ თუ მითვალთვალებენ

მე მომდევნო კარს ვაჯახუნებ
 და ლამპებს ვაქრობ

რომელიღაც მავთულის შემდეგ კიდევ გადავჭრი სხვა მავთულებსაც
რაც მაკავშირებს ვილაცასთან და რალაცასთან

არავითარი მეტაფსიქოზები
არავითარი ფერისცვალებანი და გარდასახვანი

გავრძელება უკვე არ იქნება
ჰა დისკუსიის დასასრული
it won't be continued*



ის რომლის ახლოს ყოველთვის
დაჭედილი ჩექმები ყრია

ის რაც გროვდება ადამიანის ოფლის წვეთივით —
შიშით

ის რაც დღეს კიდევ ცოტაა ძუნწად
ედინება და უონავს ვიწრო კარით ხოლო შემდეგ
ჩალეწილი კბილების იქით იღვენთება
დასივებული ტუჩების მიღმა ილანდება
შემდეგ თვალისმომჭრელი სინათლით დაბრმავებულნი
გაფართოებულ-გაგანიერებული თვალთა გუგები

ის

რომელიც ჯერაც ბუტბუტებს თანაც ასე გაურკვეველად
და თითით ხატავს მინაზე

სილაზე
შუბლზე

უეცრად შუალამისას გამოჭამს
შენს საცოდავ ძილს გამოხრავს იგი ქუთუთოებიდან

ის

ჩახშობილ-ჩაწიხლულ-ჩამოხრჩობილი სიპართლე
თუმცა დღეს კიდევ ტკეპნიან მას მიწაში დაჭედილი ჩექმებით
მაგრამ ხვალ უკვე იგი

დაა —
იგ —
რგ —

(დაიგრგვინებს, დაიგრუხუნებს, დაიგრიალებს)**

* ეს არ გავრძელებს (ინგ.).

** დედანში სიტყვა გაწყვეტილია. გავრძელება-იეტერპრეტაცია
(სავარაუდო) ჩვენია (მთარგმნ. შენიშვნა).

თითქმის ოდისევსივით

ეცადე ღრანჭი არ მოგექცეს
 ზოგიერთი ჩემი ლექსის
 უცნაური ხვეულების ხილვის უამს



მათ ხშირბეწვიან საწმისში ვმალავ
 ჩემს უპატრონო გაშიშვლებულ და უმწეო „მე“-ს
 როცა თითქმის ოდისევსივით
 რომელიც ცხვრების მუცელს აკრული
 გადიოდა გამოქვაბულიდან
 მეც მომიხდება მალულად გასვლა
 ყოფის გამოქვაბულიდან რომლის გუშაგი
 ახლაც როგორც მაშინ ოდესღაც
 უსასტიკესი ციკლოპია

გამოუცნობში ვერაფერს წავა
 — რადგანაც ნეტავ ვინ რა იცის
 მის შესახებ — იდუმალეზამ? —
 სივრცე იქითა მხარესაა — უდასასრულო

სოციალური პარტიის რეცეპტი

აუცილებლად საჭიროა ბასრი დანა
 საჭირო არის მხოლოდ გლუვი ქვა
 დანის პირის ქვაზე გასმა რათა გრძნობით გიპასუხოს
 დანა უნდა იყოს უხმო ხოლო მისი პრიალი — ელვარება ისე მოქნილი
 რომ თავის თავზე აილოს მთელი ავი სინაზე და ხელების ნერვიული
 დენიც

სხვა დანარჩენი — საოცრად მარტივია
 ფიტარი, მწიკვი მარილი
 მწვანელი სიტკბო თვალი
 და დაფნის ფოთოლი
 რაც შემდეგ ხდება — ჩვეულებრივია
 აკი მთავარია სანელებლები
 (რომელი გარნირით მივართვით როგორ შევახამოთ ფერები)
 ცეცხლის საკითხში კარგად გვაქვს საქმე ჰოდა მადლობა ვუთხრათ
 პრომეთეს.

უპირველესად მთავარია რომ გვექონდეს დანა და ქვა.
 ჰო კიდევ მორჩილი კისერი.

გლოსა: მოგზაურობიდან



ამ ლაბირინთში
სადაც ყოველი მოსახვევი სხვანაირია
სულ სხვა მთავაზობს მორგვს ძაფისა
სულ ახალი ელფერით მხიბლავს
მაცდური

მე გამოვნახე
ნემსი და სათითო შემდეგ კი შულოც სასინჯად
აჰა დავიწყე გადახვევა
ვფიქრობ შეყოფა თუ არა თუნდაც
იმისთვის რომ ამოვკემსო გამოხეული გმირის ქუსლზე
თუნდაც იმისთვის რომ თითზე მაინც დავიხვიო
თუნდაც იმისთვის და იმის გამო —

არ მეყო დამაკლდა

და აი ჩემს თავს ვხედავ თქვენს შორის
ლაბირინთში მობორიალეს
სადაც ყველა ძაფი არის მეტისმეტად მოკლე გარდა
ძაფის აღფას ფირმისა გარდა
ძაფის ბეტას ფირმისა გარდა
ძაფისა იმ ძაფთაგანისა
რომელიც დროებით არის დეფიციტში
ვახვევ და ვახვევ
ჰა თუნდაც ერთ გვირისტულაზე
გაბრეცილი ნიშანია იმისა რომ იქით მივყავდი

არ მეყო დამაკლდა

და აი მე ვიმყოფები
ლაბირინთის შუაგულში
სადაც უკვე სხვა არიადნა სულ სხვანაირ მორგვს მთავაზობს ან
მორგვის გამოცვლას ანდა
რალაცას კიდევ რალაცის ნაცვლად —
დაე ეს იყოს იმის მაგიერ
ყველასთვის ერთი და იგივე იმის მაგიერ

არ მეყო დამაკლდა

და აი გხედავთ თქვენ რომელიც იმყოფებით
ისევ თქვენს შორის ლაბირინთში
ის კედელი კი სულაც არაა კედელი
არამედ კედლის კედელია
ხოლო ეს გვირისტულა სულაც არაა გვირისტულა
არამედ იგი გვირისტულას გვირისტულაა

ეს ნიშანი კი რაც ქვაზეა ამოკაწრული
არის ნიშანი არსაით ანუ
ეს ნიშანია ნიშნისა



ქართული ენის
სამეცნიერო ცენტრი
ოფლისგან

აქ რანაირი სიმყრალეა
უდასასრულო მოლოდინის ოფლისგან და ახალი გაოფლებების
ოფლისგან

რა მოსაწყენია აქაურობა
ადგილიდან ადგილზე ფეხების გადაწყობა ანუ
ერთსა და იგივე ადგილას ფეხების ბაკუნი
მაშ ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები
მაგრად მოვკიდოთ ხელი
მაშ მოდით გამოვყოთ თავები
იქით იმ კედლის მიღმა
იქით —

კიდევ ერთ უფრო ვრცელ შორეთში
იქით —

ამ გვერდითის მიღმა

ნუ შეგვეშინდება
ყოველ შემთხვევაში
ამ ლაბირინთში არ მოიძებნება
კიდევ სხვა ლაბირინთი

ყოველ შემთხვევაში
ნუ შეგვეშინდება
ეს ამაში არაა აქ სულ სხვა არის
ხოლო ეს იმაში არის

ს ი მ ლ ე რ ა

ჭრიჭინას სიმლერა
ცისფერი ჩრდილი
ირწევა ცეკვავს სვატში

მე ისევ გზაში ვარ
მეწყვილე არა მყავს
არავისი ვარ ქოჩი

აჰა ტყის მიხაკის
კარმინის წვეთები
გამოკრთის აქა-იქ ველად

ფოთლად მცურავი
ღრუბლად მაფალი
კავცდები ბებერ მიწას

ზ ა ფ ს უ ლ ი

ან ეს ჩემი შუადღეა
ან მე ჩრდილში ვარ უკვე
ჩამესმის მდევრის ფეხების ბრაგუნი
საათი რეკავს ნალებივით

მე მსურდა რომ დღე გადმომეხარა
როგორც რტო სხვისი ბალიდან
დღემ კი თავად გადამღუნა მე
თვისი უმწეო ტოტივით



მისაილ გულგაკოვი



მენაქული კუნძული

თარგმნა დიდი მჭადიშვიდას

მოქალაქე ყიულ ვერნის პიესის გენერალური რეპეტიცია გენადი პანფილოვიჩის თეატრში. მუსიკა, ამოფრქვეული ვულკანი და ინგლისელი მატროსები.

ოთხმოქმედებიანი პიესა პროლოგით და ეპილოგით

პირველი, მეორე და მეოთხე მოქმედება ხდება დაუსახლებელ კუნძულზე, მესამე მოქმედება ევროპაში, ხოლო პროლოგი და ეპილოგი გენადი პანფილოვიჩის თეატრში.

მოქმედი პირები:

გენადი პანფილოვიჩი — თეატრის დირექტორი, იგივე ლორდ ედვარდ გლენარვანი.

ვასილი არტურიჩ დიმოვაცკი — იგივე ყიულ ვერნი, იგივე კირი-კუკი — თალლითი.

ნიკონორ მეთელქინი — რეჟისორის თანაშემწე, იგივე მსახური პასპარტუ, იგივე გენადი პანფილოვიჩის მესამოვრე, იგივე მოლაპარაკე თუთიყუში.

ქაპ პაბანელი — გეოგრაფიული საზოგადოების წევრი.

ლიდია ივანოვნა — იგივე ლედი გლენარვანი.

გატერასი — კაპიტანი.

ბეტსი — ლედი გლენარვანის მოახლე.

სიზი-გუზი მემორე — თეთრი ზანგი, კუნძულის მბრძანებელი.

ლიპი-ტიპი — სარდალი, თეთრი ზანგი.

სუფლიორი.

ლიპუი ისაიჩი — დირიჟორი.

ტომონა — თეთრი ზანგი გვარდიიდან.

კანი-ქუმი — პირველი დადებითი ადგილობრივი მკვიდრი.

ფარა-ტიტი — მეორე დადებითი ადგილობრივი მკვიდრი.

ვალტორნისტი.

სამა ლუქიჩი.

თეთრი ზანგების გვარდია (არასწორად მოქმედებს, მაგრამ პიესის ბოლოს ინანიებს თავის ცუდ საქციელს), კუნძულის მკვიდრი წითელი მოსახლეობა — კაცები და ქალები (ურიცხვი დადებითი ურდო), სიზი-გუზის პარამხანა, ინგლისელი მატროსები, მუსიკოსები, თეატრის კადრისტები, პარიკმახერები და მკერავები.

პ რ ო ლ ო ზ ი

ფარდა ნაწილობრივ იხსნება. გამოჩნდება გენადი პანფილოვიჩის კაბინეტი — საგრიპიორო: საწერი მაგიდა, აფიშები, საჩუკე. გენადი პანფილოვიჩი წითურია, სუფთად გაპარსული და ძალიან გამოცდილი. იგი მაგიდასთან ზის, შეწუხებულია. საიდანღაც ისმის სასმეობრივი-ტიპული მუსიკა და არაბუნებრივი ყრუ ხმები (მიდის მეჯლისის რეპეტიცია). მეტელკინი ჰაერში გადახლართულ თოკებზე ჰკიდია და მღერის: „მიყვარდა ძლიერ, ვიტანჯებოდი... მან კი იმ ურცხვმა, იმ უსინდისომ... საბოლოოდ გამანადგურა...“

ღღა.

გენადი. მეტელკინ!

მეტელკინი (ზევიდან პირდაპირ კაბინეტში ჩამოეშვება). აქ ვარ, გენადი პანფილოვიჩ.

გენადი. არ მოსულა?

მეტელკინი. არა, გენადი პანფილოვიჩ.

გენადი. ბინაში ვინმე გააგზავნეთ მასთან?

მეტელკინი. კურიერი დღეს სამჯერ იყო. ოთახს კლიტე ადევს. შინ როდის იქნებაო? — დიასახლისს ეკითხება, ის კი: — რას ბრძანებთ, ბატონო, მწევრებიც რომ დაადვენო, მაგის ასავალ-დასავალს მაინც ვერ გაიგებო.

გენადი. რას იზამ, მწერალია! რას იტყვი, ასე არ არის? ეშმაკსაც წაუღია...

მეტელკინი. ჰო, ეშმაკსაც წაუღია.

გენადი. რა თუთიყუშივით წააყარე. თქვი, რის თქმას აპირებდი?

მეტელკინი. მესმის, გენადი პანფილოვიჩ... „მარია სტიუარტის“ უკანა დეკორაცია გაიხა.

გენადი. ჰო, მაგრამ, მე ხომ არ დაგიკერებ იმ შენს უკანა დეკორაციას! რას მიედმოედები, მიდი და დააკერე!

მეტელკინი. ძალიან არის დახეული, გენადი პანფილოვიჩ. ამას წინათ რომ ჩამოეშვეს, ნახვრეტებში ცხაურზე მომუშავე სცენის მუშებიც კი ჩანდნენ...

მაგიდაზე ტელეფონი რეკავს.

გენადი. საკერებელი დაადე. (ტელეფონზე.) დიახ, გისმენთ! დიახ, თეატრია. არა, კონტრამარკებს არ ვიძლევი... კარგად ბრძანდებოდეთ! (ყურმილს დებს.) გასაოცარია! ტრამვაიში რომ ჯდება, კონდუქტორს კონტრამარკას ხომ არ სთხოვს... თეატრში კი თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნია, უფასოდ იაროს... რა თავხედობაა! რას იტყვი, ასე არ არის?

მეტელკინი. დიახ, გენადი პანფილოვიჩ, თავხედობაა.

გენადი. კარგი, განაგრძე.

მეტელკინი. საკერებლისთვის, გენადი პანფილოვიჩ, ფული მჭირდება.

გენადი. ახლავე მოგართმევ, ბლომად — ორმოც თუმანს, აი იმ ბატს ხომ უკვე მივართვი! აიღებ და გამოჭრი...

ტელეფონი რეკავს.

დიახ, კონტრამარკებს არ ვიძლევი. დიახ, დიახ. (ყურმილს დებს.)
ეს რა უცნაური ხალხია, ესენი ვინ არიან! აიღებ და...



ტელეფონი ისევ რეკავს.

საქართველო
საზღვაო მარშალთა

ჰა, აბა გასკდი რეკვით!.. რა? არა, არავის... უკაცრავად... აჰ, ვეგენი რომუალდოვიჩი ხართ? ვერ გიცანით. აბა როგორ!.. მეუღლესთან? შესანიშნავია! რვას რომ თხუთმეტი დააკლდება, სალაროსთან მიბრძანდით... კარგად ბრძანდებოდეთ... (ყურმილს კიდებს.) მეტელკინ, ჰქენი სიკეთე, მოლარეს უთხარი, მეორე რიგში ორი სავარძელი შეუნახონ ამ წყლის ტარტაროსს.

მეტელკინი. ვის, გენადი პანფილოვიჩ?

ბენადი. ვის და, წყალსადენის გამგეს.

მეტელკინი. დიახ, გავიგე, გენადი პანფილოვიჩ!

ბენადი. მაშასადამე... (ჩაფიქრებული.) „ივანე მრისხანე“ აღარ წავა... მოკლედ, აი, რა: აიღებ შესაფერის ნაჭერს და გამოჭრი. გასაგებია?

მეტელკინი. დიახ! (ყვირის.) ვალოდია, აიღებ „ივანე მრისხანის“ უკანა დეკორაციას და „მარია სტიუარტისათვის“ საკერებელს გამოჭრი. „ივანე მრისხანე“ აღარ წავა... აკრძალეს... ესე იგი, არის ამის მიზეზი... რა შენი საქმეა!

ბენადი. კიდევ რა გინდა, რას მთხოვ?

მეტელკინი. გენადი პანფილოვიჩ, კადრისტებს უბრძანეთ, უაბოებით სახეებს ნუ იწმენდენ! რა უბედურებაა!

ბენადი. რაო, რა თქვი? ვერაფერი გავიგე.

მეტელკინი. „ვაი ჭკუისათვის“ უაბოები დავურიგე, ისინი კი ჩვრის მაგივრად გრიმს იმით იშორებენ.

ბენადი. უჰ, ეგ ბანდიტები!.. კარგი, ვეტყვი.

ტელეფონი რეკავს.

(ყურმილის აულებლად.) არა, კონტრამარკებს არ ვიძლევი!
(ტელეფონის რეკვა შეწყდება) კარგი, ახლა წადი.

მეტელკინი. მესმის, გენადი პანფილოვიჩ. (მიდის.)

ბენადი. უკვე პირველი საათია... ძვირფასო მოქალაქენო, თუ თქვენ გინდათ იცოდეთ, ვინ არის ჩვენს დარგში ყველაზე დიდი ვიგინდარა, ახლავე მოგახსენებთ! ვინ არის და, ვასკა დიმოგაცკი, კაცი, რომელიც პატარ-პატარა ჟურნალებში პიესებს ჟიულ ვერნის ფსევდონიმით აქვეყნებს... ამხანაგებო, თქვენ მეტყვი, მაშინ ასე რით მოგხიბლათო? მართლაცდა, ნეტავი რით მომხიბლა, რატომ ვენდე?

მეტელკინი. (შემოდის სწრაფი ნაბიჯით). გენადი პანფილოვიჩ, მოვიდა.

ბენადი (სულმოუთქმელად). უთხარი, ახლავე შემოვიდეს!

მეტელკინი. შემობრძანდით! (გადის.)

დიმოპაცკი (ხელში რვეულების დასტა უჭირავს). გამარჯობა, გენადი პანფილოვიჩი.

ბენადი. გამარჯობა, დიდად პატივცემულო ამხანაგო დიმოპაცკი. ბონჟურ, ბონჟურ მუსიე ჟიულ ვერნი!

დიმოპაცკი. მიბრახდებით, გენადი პანფილოვიჩი? უკრძანებელია?

ბენადი. რა ბრძანეთ? არა, როგორ გეკადრებათ? უკრძანებელია? პუ-პუ! გიბრახდებით კი არა, პირდაპირ აღტაცებული ვარ!

დიმოპაცკი. ავად ვიყავი, გენადი პანფილოვიჩი! საშინელებაა!.. პირდაპირ საშინელებაა!..

ბენადი. რაო, რა თქვით? უჰ, ქუნთრუშით?

დიმოპაცკი. საშინელი ინფლუენცა მქონდა, გენადი პანფილოვიჩი, საშინელი...

ბენადი. დიახ, დიახ...

დიმოპაცკი. აი, მოგიტანეთ პიესა.

ბენადი. მოქალაქე დიმოგაცკი, დღეს, თუ იცით, რა რიცხვია?

დიმოპაცკი. ახალი სტილით — თვრამეტი.

ბენადი. მართალია. მაგრამ თქვენ ხომ პატიოსანი სიტყვა მომეცით, პიესას თხუთმეტში წარმოვიდგენთო?

დიმოპაცკი. გენადი პანფილოვიჩი, სულ რაღაც სამი დღე დავაგვიანე.

ბენადი. სამი დღე! მერედა იცით, რა მოხდა ამ სამ დღეში? საფა ლუკიჩი ხვალ დილის თერთმეტ საათზე ყირიმში მიემგზავრება.

დიმოპაცკი. უჰ, რას ბრძანებთ!

ბენადი. რას ბრძანებთო! ჩვენ კი დღეს გენერალური რეპეტიცია რომ არ ვაჩვენოთ, პიესა კი არა, ხელთ ბრანწი შეგვრჩება. თქვენ მე, ბატონო ჟიულ ვერნო, სეზონი ჩაპიგდეთ. მე კი, ძველმა იდეალისტმა, ეგრევე დაგიჯერეთ. როდესაც თქვენ მე 400 მანეთი გამომცანდლეთ, ალბათ ახალი სტილით ინფლუენცა არ გქონდათ. ვარდა ამისა, ფული დეკორაციაზეც დავხარჯე... საწარმოო გეგმა ჩამეშალა! მწერლები ასე როდი იქცევიან, ძვირფასო მოქალაქე ჟიულ ვერნო.

დიმოპაცკი. გენადი პანფილოვიჩი, ახლა რა ვქნა?

ბენადი. ახლა რა ვქნაო, არა? მეტელკინ! მეტელკინ!

მეტელკინი (შემორბის). გისმენთ, გენადი პანფილოვიჩი!

ბენადი. რა ხდება იქ, რა ალიაქოთია?

მეტელკინი. მსახიობებს მეჯლისის რეპეტიცია აქვთ.

ბენადი. ეშმაკსაც წაუღია მეჯლისი! უბრძანე ახლავე შეწყვიტონ! ხალხი გააფრთხილე, არც ერთმა ფენი არ გაადვას თეატრიდან.

მეტელკინი. გრიმი მოიშორონ?

ბენადი. მაგის დრო არ არის. მე აქ ყველა მჭირდება, როგორც არიან, ისე.

მეტელკინი. მესმის, გენადი პანფილოვიჩი! (სწრაფად გადის.) ვალოდკა! შევიცარს უბრძანე, თეატრიდან არავინ გაუშვას!

ბენადი (მიაღვენებს). უკვე პირველი საათი დაიწყო. აბა, დაგვლოცე, ღმერთო! (ტელეფონზე:) თექვსმეტი, ჩვიდმეტი, ოცი. თუ შეიძლება, საფა ლუკიჩს სთხოვეთ. თეატრის დირექტორი გახლავართ, გენადი პანფილოვიჩი... საფა ლუკიჩი ხართ? გამარჯობა, საფა ლუკიჩი!

დიმოგაცკი. ვიგვამში, ¹ გენადი პანფილოვიჩი.

ბენადი. ჰოდა, გვჭირდება ეგ ვიგვამი, მეტელკინ, გესმის?

მეტელკინი. ვიგვამი არ გვაქვს, გენადი პანფილოვიჩი!

ბენადი. მაშინ „ბიძია თომადან“ ქოხს დადგამ, გარშემო ტროპიკულ მცენარეებს ჩაუმწყრივებ, ტოტებზე მაიმუნებზე დააწყობებენ. იცოდეთ, არც სამოვარი დაგაფიწყდეს... ზიზ-ნი-ნი-ნი

მეტელკინი. სამოვარი ბუტაფორული უნდა იყოს, გენადი პანფილოვიჩი?

ბენადი. ეჰ, მეტელკინ, მეტელკინ, ათი წელია თეატრში ხარ და პატარა ბიჭივით კი იქცევი! გენერალურ რეპეტიციას საუა ლუკიჩი დაესწრება.

მეტელკინი. ჰოო?

ბენადი. მაშ ასე, ჩაი უნდა გააწყო. მეზუფეტეს უთხარი, ორი დიდი, ნოყიერი ბუტერბროდი გაამზადოს, მაგალითად, წითელი ხიზილალით.

მეტელკინი (კარიდანვე). ვალოდია! მეზუფეტესთან შეირბინე. გენერალური რეპეტიციისათვის სამოვარი გაამზადე.

ბენადი. აი ხედავ, არც საჭმელი, არც სასმელი, ფული კი, გიყვარდეს, ბლომად მიდის! აბა თქვენ იცით, უფალო ავტორო! თქვენი პიესიდან ალბათ იქნება რაიმე შემოსავალი... თუმცა, კაცმა არ იცის, იქნება თუ არ იქნება... ვულკანი? ოო, აი ეგ კი... იქნებ ვულკანის გარეშე გავსულიყავით იოლას?

დიმოგაცკი. გენადი პანფილოვიჩი, რას ბრძანებთ! ყველაფერი ამოფრქვევაზეა აგებული, თანაც ამოფრქვევა მეორე აქტშივე ხდება.

ბენადი. ოჰ, რა ხართ ეს ავტორები!.. მეტელკინ, მთები ბევრი გვაქვს?

მეტელკინი. დიას, მთები თავპირზე საყრელად გვაქვს, მთელი ფარდული სავსეა.

ბენადი. მაშინ მეზუტაფორეს უბრძანე, ყველაზე უფარვისი მთა ვულკანად გადააკეთოს.

მეტელკინი (მიღის და თან ხმამაღლა იძახის.). ვალოდია, ბუტაფორს გასძახე, არარატს თავში ნახვრეტი გაუკეთოს, ცეცხლი ამოუშვას... კიდობანი გადაავდეთ.

ლიდია (სწრაფად შემოდის). გამარჯობა, გენია!

ბენადი. გამარჯობა, ფისუნო. აი, ნება მომეცი, გაგაცნო... ვასილი არტურიჩი, ანუ ყიულ ვერნი, ცნობილი ტალანტი.

ლიდია. აჰ, ისე ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ.

ბენადი. ეს ჩემი მეუღლე გახლავთ, ნამდვილი გრან-კოკეტი.

დიმოგაცკი. სასიამოვნოა.

ლიდია. გავიგე ჩვენთვის პიესა მოგიტანიათ?

დიმოგაცკი. დიას, ასე გახლავთ.

1. ვიგვამი — ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების ქოხია, ხის ტოტების, ძირკვების ან ტყავისგან გაკეთებული. (მთ.).

სცენის მიღმა მუსიკა უცებ შეწყდება.

ლილია. ო, ჩვენ ისე გვჭირდება თანამედროვე პიესები, გენადი, იმედი მაქვს, დაკავებული ვიქნები. არა, იქნებ საჭირო არ ვარ თქვენი პიესისთვის?

დიმოგაცკი (არ იცის, საჭიროა თუ არ არის საჭირო) მშვენიერად...

გენადი. რა თქმა უნდა, სულიკო, რასაკვირველია! ბო, მშვენიერად, ლედი გლენარვანი. უგემრიელესი როლია... ზუსტად შენი შესაფერი. აჰა, აიღე.

ლილია (როლს ართმევს). როგორც იქნა! ჩემი გენადი, აქაოდა არ იფიქრონ, ცოლი რომ არის, როლს იმიტომ აძლევსო, სრულ იგნორირებას მიწევს. მთელს ამ სეზონზე მხოლოდ რვაჯერ ვიყავი დაკავებული...

გენადი (დაბნეული). თეატრი, დედილო, ტაძარია... მეტელკინ, ყველანი სცენაზე შემოიყვანე, სწრაფად!

მეტელკინი (სცენის მიღმა). ვალოდია!

ისმის ელექტროზარის გაბმული რეკვა. ფარდა იწევა, იმალება გენადის კაბინეტი. გამოჩნდება უზარმაზარი უკაცრიელი სცენა.

სცენის შუაში მთისგან გაკეთებული ბოლისმფრქვეველი ვულკანია აღმართული.

(მეტელკინი უკან-უკან იხევს.) მშვენიერია, ვალოდია, მშვენიერია! ოღონდ, თავის ადგილას დადგი!

ვულკანი ნელა მიიწევს გვერდით. სცენაზე გამოსვლას იწყებს თეატრის დასი. დირიჟორი ლიკუი ისაიჩი ფრაკშია გამოწყობილი, ასევე სუფლიორი ლიკიც. ფრაკი აცვია სიზი-ბუზისაც. სცენაზე არიან ვილაც ტურნემელეები, ფეხებგაწლიკული ქალიშვილებიც... ისმის მსახიობების გაბმული ლაპარაკი...

სიზი. რა ხდება? რეპეტიციაა?

გამოჩნდება გენადი, ლილია ივანოვნა და დიმოგაცკი. პირდაპირ დიმოგაცკის თავზე მსუბუქად ეშვება ბანანი.

გენადი. ფრთხილად, ქაჯებო, ფრთხილად, ავტორი ნუ გაჭყლიტეთ!

ისმის ქალების ხმები: „ვალოდია, ვალოდია!“

მეტელკინი. ვალოდკა, ფრთხილად! ასწიე, ისევ ზევით ასწიე!

ბანანი ისევ ზევით მიიწევს.

გენადი (ვულკანის კალთაზე შედგება და რვეულებს იქნევს). გთხოვთ, დაწყნარდეთ! ამხანაგებო, მოგიწვიეთ, რათა შეგატყობინოთ...

სიზი (გოგოლიდან). მეტად უსიამოვნო ამბავი...

ლილია. ჩუმად, ანემპოდისტ!

გენადი. ...მოქალაქე ჟიულ ვერნმა ანუ დიმოგაცკიმ მძიმე ტვირთი მოიხსნა. (ვილაც იცინის). მაინტერესებს ვინ იცინის და რა აცინებს?!

ხმა: გენადი პანფილოვიჩი, არ გაგვიცინია.

ბენადი. აშკარად გავიგე, ვილაცამ როგორ გაიცინა — „ჰუ-ჰუ...“ კადრისტებს შორის თუ ვინმე ანგალია, შეუძლია სამუშაოდ რომელიმე იუმორისტულ თეატრში წაბრძანდეს, გზა ხსნილი აქვს. ჰო, მართლაც, არ დავუშვებ, სახიდან გრიმი ვინმემ უბოთი მოიწმინდოს, ერთი ათად ვაზღვევინებ. მოკლედ, ვასილი არტურიჩიჩი კოლოსალურმა ტალანტმა, ჩვენს თეატრს თავისი ახალი იდეოლოგიური ოპუსი — „მეწამული კუნძული“ წარმოუდგინა...

ყველა დაინტერესებულია.

... გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ. ვითარება გვაიძულებს ვიჩქაროთ, ვინაიდან საფა ლუკიჩი ხვალ ზღვაზე მიბრძანდება, მთელი თვით გვტოვებს... დაუყოვნებლივ გენერალურ რეპეტიციას ვნიშნავ, გრიმი გაიკეთეთ და კოსტიუმები ჩაიცვით.

სიზნი. ნიამორივით სწრაფი ხარ, გენადი! მაგრამ, როლი რომ არაფინ იცის?

ბენადი. სუფლიორი გიკარნახებთ. იმედი მაქვს, მთავრობის მიერ ჩემთვის ჩაბარებული თეატრის არტისტები შეგნებულები აღმოჩნდებიან და ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა... მოკლედ, მიუხედავად მორიგი სიძნელეებისა... (სათქმელს თავს ვერ აბამს). მუხინ!

სუფლიორი. გისმენთ, გენადი პანფილოვიჩი!

ბენადი (გადასცემს პიესის ეგზემპლარს). გთხოვთ, გარკვევით უკარნახოთ.

სუფლიორი. დიას, გენადი პანფილოვიჩი!

ბენადი. შესწორებებს გზადაგზა შევიტანთ.

სუფლიორი. დიას.

ბენადი. ნება მომეცით, მოკლედ მადმოგცეთ პიესის შინაარსი. თუმცა თავად ჩვენი ტალანტიც იქ ბრძანდება, ჩვენი ვასილი არტურიჩი! ვასილი არტურიჩი, ამობრძანდით ვულკანზე.

დიმობაცპი. მე... ჰმ... ჩემი პიესა, არსებითად... ეს, უბრალოდ...

ბენადი. თამამად, ვასილი არტურიჩი, გისმენ!

დიმობაცპი. პიესა, როგორც ხედავთ, ალეგორიაა... მოქმედება კუნძულზე ხდება... მოგეხსენებათ, ეს ფანტასტიკური პიესაა... კუნძულის მკვიდრი წითელკანიანი ჩაგრული მოსახლეობა თეთრი ზანგების მონობაშია... უცებ ვულკანი ამოიფრქვევა... ვინაიდან ძალიან მიყვარს ჟიულ ვერნი... მისი სახელი ჩემს ფსევდონიმად ავირჩიე. ჩემი გმირების უმეტეს ნაწილთა სახელებიც ჟიულ ვერნიდანაა... მაგალითად, ლორდ გლენარვანი...

ბენადი. ვასილი არტურიჩი, ნება მომეცით, პიესის შინაარსი, ასე ვთქვათ, უფრო კონსპექტურად გადმოგცე... მაპატიეთ და, თქვენი სატყვე, ჰი-ჰი, მუხები და მეღან-კალამია. მაშ ასე! მოქმედება პირველი. კირი-კუკი პროვოკატორია. აპატიმრებენ ორ ადგილობრივ მკვიდრს.

(დადებით ტიპებს.) ჰოპ და, ორივე ცინეშია! მერე სასამართლო, მერე — ჰოპ და, ჩამოხრჩობას მიუსჯიან. მერე გარბიან ცინიდან; მერე-ჰოპ და, კუნძულზე ევროპელები ჩამოდიან! მოლაპარაკებები... ზეიში... და პირველი მოქმედების დასასრული. ფარდა.

სიზნი. ხედავთ, რა კარგად მოყვა!

ბენადი. დაიხსომეთ, ლიკუი ისაიზ, ზეიშია!

ლიკუი ისაიზნი. დიახ, ვაფიგე, გენადი პანფილოვიჩი, განაგრძეთ.

ბენადი. აი, გაიცანით ჩვენი კაპელმეისტერი. მშვიდად ბრძანდებოდეთ, ისეთ მუსიკას ააჟღერებს, ისეთს... მამამისი და ჩაიკოვსკი, მოგესხენებათ, ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ახლა რაც შეეხება როლებს...

ყველა ერთად ალაპარაკება, ყველა დაინტერესებულია.

სამეფო ტახტზე თეთრი ზანგი, ადგილობრივ წითელკანიანთა მბრძანებელი სიზი-ბუზი — გონებაჩლუნგი ავკაცი ზის. ჰოდა, თუ ავკაცია და თანაც გონებაჩლუნგი, ეს როლი ანემპოდისტ სუნდუჩკოვისა იქნება... აჰა, გამომართვი!

სიზნი. ღმერთმა დაგლოცოს!

ბენადი. შემდეგი როლი მონანიე სარდლის — ლიკი-ტიკის როლია... ეს ალექსანდრ პავლოვიჩ რინსკის! გთხოვთ...

ლიკი. გენადი, ფრაკი ვაფიხადო?

ბენადი. რა დროს ვახდაა, საშა, კოსტიუმი ზევიდან გადაიცვი... ახლა ადგილობრივი მკვიდრი, დადებითი პერსონაჟი კაი-კუმი... ეს როლი ბონდაკლევსკის. გთხოვთ... ადგილობრივი მკვიდრი ფარა-ტეტეც საშინლად დადებითი ტიპია. ეს შურკოვს.

სიზნი. გენადი, პიესა ხომ თეთრი ზანგების გამარჯვებით მთავრდება?

ბენადი. არა, იმარჯვებს წითელი მკვიდრი მოსახლეობა. სხვაგვარად ეს შეუძლებელია.

სიზნი. ესე იგი, მეორე მოქმედებაში მე უკვე აღარა ვარ. ვერც გამარჯვების ზეიმს მოვესწრები.

ბენადი. ანემპოდისტ ტიმოფევიჩი, დაბეჯითებით გთხოვთ, მენშევიკური ენამახვილობით მოწაფეებს უხერხულობაში ნუ ჩააგდებთ. თეატრი — ეს ტაძარია! ახალგაზრდობა მე სახელმწიფომ მომანდო... ღედი გლენარვანი... ჰმ... რახან ეს ქალიც გრანდ-კოკეტია, მაშასადამე ეს როლი ლიდია ივანოვნას. წყალი არ გაუვა... ლიდია!.. აჰ, შენ ხომ უკვე აიღე ეს როლი...

ქალების ჯგუფში ხმაური ატყდება.

ბეტსი. ჰო, რა თქმა უნდა, წყალი არ გაუვა!.. არ გაუვა, აბა რა!

ბენადი. მაპატიეთ, ადელაიდა კარპოვნა. რამე გინდოდათ გეთქვათ?

ლიდია. უკაცრავად...

ბეტსი. არა, ისე, არაფერი. კარგი ამინდია.

ლიდია. არიან მსახიობები, რომლებიც ფიქრობენ...

ბეტსი. რას? იმას, რომ დირექტორის ცოლებისთვის როლების მიღება არც ისე ადვილია?

ბენადი. მაღამ, კატეგორიულად პროტესტს ვაცხადებ!.. ბეტსის, ანუ ლედი გლენარვანის მოსამსახურის როლი თქვენ, ადელაიდა კარპოვნა!

ბეტსი. მე, გენადი პანფილოვიჩი, ათი წელია სცენაზე ვარ, წინ და უკან ლანგრებით სირბილი არ მეკადრება!

ბენადი. ადელაიდა კარპოვნა, ღმერთის მაინც გეჭიხნენ!

ბეტსი. გენადი პანფილოვიჩი, გუშინ საერთო კრებაზე თვითონ არ ამტკიცებდით, ღმერთი არ არისო? ეს იმიტომ, რომ კრებას სავა ლუკინი ესწრებოდა, მაგრამ თეატრის კარის ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, ღმერთიც სცენაზე თვალის დახამხამებაში გაჩნდა.

ლილია. ეს რა ხასიათი აქვს!

ბენადი. ადელაიდა კარპოვნა, პროტესტს ვაცხადებ თქვენი ამგვარი ტონის გამო! თეატრი — ეს...

ბეტსი. ინტრიგების ბუდეა.

ბენადი. ბეტსი! სუბრეტკა!! ეს ხომ ზღაპრული როლია, გემრიელზე გემრიელი! რას იტყვით, აიღებთ თუ გადავცე ჩუდნოვსკაიას?

ბეტსი. კი, ბატონო. (როლს სასწრაფოდ ართმევს.)

ბენადი. ჟაკ პაგანელი, ფრანგი. იმპერიალისტი. ლაპარაკობს აქცენტით. სუზდალცევი-ვლადიმირსკი. კაპიტან გატერასის ეს მსუყე, გემრიელი როლი — ჩერნობოევს.

ბატარასი. მსუყე და გემრიელი კი არა, სულ რაღაც ორი ფურცელია.

ბენადი. ჯერ ერთი, თრი კი არა, ექვსია. მეორეც, გაიხსენეთ რა თქვა ჩვენმა დიდმა შექსპირმა. ცუდი როლები არ არსებობს, არიან მხოლოდ ცუდი აქტიორები, რომლებიც, რა როლიც არ უნდა მისცე, ყველა როლს აფუჭებენო... ახლა ლორდ გლენერვანი. ამ როლს თავად ვითამაშებ, თქვენთვის გავირჯები, ვასილი არტურიჩი... შემდეგ, თეთრი ზანგი ტოხონგა-არშიყი. ეს სოკოლენკოს... პასპარტუ-ლაქია — ეს შენ, მეტელკინ... გარჯა შენც მოგიწევს.

მეტელკინი. მე ხომ მონტაჟი დამავალეთ, გენადი პანფილოვიჩი!

ბენადი. მეტელკინ, ველარ გცნობ, ჩემო ძველო მეგობარო.

მეტელკინი. გენადი პანფილოვიჩი, კარგი, თანახმა ვარ.

ბენადი. აბა ახლა მთავარ როლს მივხედოთ. ეს არის არამზადა კირი-კუკი. კანონით ეს როლი ბარაბა აპოლონოვიჩი მორომეხოვს ეკუთვნის. მორომეხოვს ვინ არ იცნობს!.. ვინ არ იცის, ვინ არის ბარაბა! მაყურებლის საყვარელი, სადა, გულუბრყვილო, თავმდაბალი ადამიანი. ამ დღეებში სახალხო ბარაბას წოდება შესთავაზეს, მაგრამ, რაში მჭირდებაო, — უარი თქვა. ბარაბა აპოლონოვიჩი!

ხმა: „ბარაბა არ არის, არ გვესწრება!“

მეტელკინ, როგორ თუ არ გვესწრება, ახლავე გამოიძახეთ! რა ხდება, რაშია საქმე?

1. სუბრეტკა — ძველებურ კომედიებსა და ვოდევილებში: მხიარული, მოცულლუტო მოსამსახურე ქალი, ჩვეულებრივ თავისი ქალბატონის მესაიდუმლე. (მთარგმნ.).

მეტელკინი (ჩუმად წასჩურჩულებს). გენადი პანფილოვიჩი, ბარაბა მილიციის განყოფილებაშია.

ბენადი. განყოფილებაში? რა განყოფილებაში?! იქ რა უნდა?!

მეტელკინი. გუშინ სალამოს მისი ტალანტის თაყვანისმცემლებთან ერთად „პრალაში“ ვახშობდა. მერე უცებ ჩხუბი ატყდა ჩვენზე!

ბენადი. ჩხუბი?!. რა ჩხუბი! ჩვენ აქ რიგგარეშე ვხედავთ, ყველანი ადგილზე ვართ, ეს კი — ჩხუბი ატყდაო! მსახიობი პქვია ახლა მაგას!.. ეგ არის მსახიობი! მსახიობი კი არა, ბასიაკია! რამდენჯერ ვთხოვე, რამდენჯერ შევეხვეწე, ბარაბა, დალიე, მაგრამ ცოტა თავშეკავებულად-მეთქი!

მეტელკინი. დარეკეს, სალამოზე გამოვუშვებთო.

ბენადი. სალამოს რალაში მჭირდება? რა ჯანდაბად მინდა? სავა ამ სალამოს ყირიმში მიემგზავრება, ერთი თვე არ იქნება. ბარაბა ან ახლავე გაჩნდეს აქ, ან არასდროს! შენც კარგი ვინმე ხარ, მეტელკინ! განყოფილებაშიო!.. განყოფილებაში კი არადა...

მეტელკინი. რას ბრძანებთ, გენადი პანფილოვიჩი! მე დავათვრე თუ რა!

ბენადი. ჯანდაბამდე გზა გქონიათ! არ იქნება რეპეტიციები, არც წარმოდგენები არ იქნება — თეატრს ვკეტავ. არა, არ შემიძლია შემჩანებთან და ლოთებთან მუშაობა! წადით, ყველანი წადით!

მსახიობები წასასვლელად ამოძრავდებიან.

შეჩერდით!.. დაბრუნდით!..

ლიდია. გენადი, ნუ ღელავ.

ლიპი. რომელიმე კადრისტს მიეცი, გენადი, ეგ როლი და წაიკითხავს.

ბენადი. აბა რას ამბობ? დამცინი თუ რა! მაგათი საქმე ჟაბოების წახდენაა... ყველაფერი ჩემს ზურგზე გადადის, ყველაფერი ჩემი საზრუნავია!

დიმოპატკი. გენადი პანფილოვიჩი!

ბენადი. თავი დამანებეთ... მომეშვით! დაე, იდეალისტ გენადის, თეატრის აღორძინებაზე მეოცნებეს, მაწანწალა ძალღივით სული ვულკანზე ამოსძვრეს.

დიმოპატკი. თუ პიესას დალუბვა ემუქრება, ნება მომეცით, დღეს მე ვითამაშო კირი-კუკი. მე ხომ მთელი როლი ზეპირად ვიცი.

ბენადი. რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ! შეცვალო მორომესოვი... (პაუზა.) ჰო, მაგრამ, ვითამაშიათ როდისმე?

დიმოპატკი. ერთხელ აგარაკზე ვითამაშე.

ბენადი. აგარაკზე? (პაუზა.) ძალიან კარგი, ვცადოთ. დაე, ყველამ ნახოს, როგორ გადაარჩინა პიესა ბებერმა გენადიმ. ასე და ამგვარად, არამზადა კირი-კუკის როლს შეასრულებს თავად პიესის ავტორი.

ლიდია. ჰოდა, ისტერიკის გამართვა საჭირო არ იყო.

ბენადი (რვეულში იხედება). მოკლედ ასე: ხანგები, წითელკანიანთა აურაცხელი ურდო — ამაში კადრისტები იქნებიან დაკავებულები.

ისმის ხმაური.

ინგლისელ მატროსებს ქორო ითამაშებს. მოლაპარაკე ^{თუთი-} უშს... კმ... რა თქმა უნდა, მეტელკინი! ლიკუი ისაინ, მუსიკა ^{გვზო-} ტიკური უნდა იყოს!

ლიკუი ისაინი. გავიგე, გენადი პანფილოვიჩ, გაგჩქარებენ ^{სამკი-} რო არ არის. ბიჭებო, აბა ყველანი ორკესტრისკენ!

მუსიკოსები ორკესტრში ჩადიან.

გენადი. გაიკეთეთ გრიმები! ვასილი არტუროვიჩ, ჩემს საპირფარეოში შემობრძანდით.

სიზნი. თერძებო!

ლიკი. პარიკმახერებო!

მსახიობები მირბი-მორბიან.

მეტელკინი. ვალოდია, დაიწყე.

უკანა ფარდა ზევით იწევს, გამოჩნდება ლამპიონებით განათებული სარკეების რიგი... გამოდიან პარიკმახერები. მსახიობები სკამებზე სხდებიან, კოსტიუმებს იცვამენ და გრიმს იკეთებენ.

ლიკი (რვეულში კითხულობს). „როცა გელაპარაკებიან, ხმას ნუ იღებ!“ დე... დე... თეთრი ბუმბული მომეცი.

სიზნი. ფედოსეევ, მე გვირგვინი მჭირდება!

კანი-კუმი. მაინც ყოველთვის მაღალზნეობრივი, ცისფერი როლი მხვდება! მართლაცდა, რა ბედნიერებაა!

სიზნი. თუ გახსოვს, შექსპირმა რა თქვა — არ არსებობს ცისფერი როლები, არის მხოლოდ წითელიო... ეი, თქვენ, ფაშისტებო, ბოლოს და ბოლოს მაძლევთ გვირგვინს ფუ არა?

მეტელკინი (ჩაიქროლებს ქარიშხალივით). ვალოდია!!

ღირიქორი (ორკესტრში). კი, მაგრამ, ვალტორნა სად არის? ავადაა?! გუშინ მაღაზიაში ვნახე, წინდებს ყიდულობდა! სასაცილოა, მართლაც რომ სასაცილოა! ასეთი მუსიკოსებისა არაფერი გამეგება!

გენადი (თავისი საპირფარეოდან). შარვალს ასი წელი ველოდო? თერძებო, შარვალი მსხვილუჯრისანი უნდა იყოს!

მეტელკინი (სცენაზე). ვალოდია, ჩამოუშვი უკანა ფარდა!

ზევიდან ეშვება უკანა ფარდა. ფარდაზე გოტიკური ტაძარია გამოსახული, ხოლო ჩაკერებულ ნაჭერზე — პალატები და ბოიარები. ფარდა სარკეებს ფარავს.

ვალოდკა, ეშმაკმა დალახვროს! ეს რა ჩამოუშვი? გოტიკური კი არა, ეგზოტიკური უნდა იყოს! ოკეანე ჩამოუშვი, ოკეანე და ლურჯი, ლაქვარდისფერი ცა!

უკანა ფარდა ზევით იწევს, სარკეები ისევ გამოჩნდება. სარკეებთან ჩოჩქოლი და ხმაურია, კუნძულებზე პარიკებია ჩამოცმული.

ლიკი. ტრიკო ისევ გასკდა! დიდი წუწურაქი ვინმეა ეს გენადი.

სიზნი. მომჭირნეობის რეჟიმია, ბიძიკო, მომჭირნეობის რეჟიმი.

უხეში ხმაურით ეშვება ოკეანე, ორკესტრში ინსტრუმენტები მო-
კყავთ წესრიგში. სარკეები უჩინარდება. ეშვება ცეცხლმოღებულ სო-
ფიტები და რალაც ბლოკები.

მეტელკინი. ვულკანი მარცხნივ, მარცხნივ გაწიეთ!



კვამლის ნთხევა-ნთხევით ვულკანს მარცხნივ გადატრეზენ.

ღირიშორი. უვერტიურა ნომერი ჩვიდმეტი!

ბიზ-ლირისეა

მეტელკინი. მსახიობებო, მზად ხართ?

ხმები: „მზად ვართ!.. მზად ვართ!“

ვალოდია, ჩამოუშვი ფარდა!

ფარდა ეშვება და სცენას ფარავს.

პროლოგის დასასრული.

მოქმედება პირველი

მეტელკინი (ფარდებშორის). მზად არის. ლიკუი ისაინ, დაიწყეთ!
(უჩინარდება).

ისმის გონგის ხმა.

ღირიშორი. წყნარად.

ორკესტრი უვერტიურას იწყებს.

ფარდის ჭრილში გამოჩნდება მუსიკოსი ვალტორნით. იმის გამო,
რომ დაიგვიანა, აღელვებულია.

ღირიშორი (ჯოხს დაუშვებს, მუსიკა აირევა). ა, ეს თქვენ ხართ?
ძალიან სასიამოვნოა. ასე ადრე რამ მოგიყვანათ? აჰ, ახალი წინდები
გაცვიათ? მომილოცავს, უკვე დაგაჯარიმეს. ახლა კი მიბრძანდით ორ-
კესტრში.

მუსიკოსი ორკესტრში ჩადის. უვერტიურას თავიდან იწყებენ. მუ-
სიკის ბოლო ტაქტზე ფარდა იხსნება. სცენაზე ნამდვილი ზღაპრული
სურათია — მზე ბრდღვიალებს, გაჩახჩახებულ მზეზე აელვარებულ
ტროპიკულ კუნძულს ლივლივი გააქვს. ტოტებზე მაიმუნები წამოს-
კუპებულან, დაფრინავენ თუთიყუშები. ვულკანის კალთაზე სიზი-ბუ-
ზის მესერშემოვლებული ვიგვამი დგას. უკან ოკეანე მოჩანს. პარამსა-
ნის ტყვე ქალებით გარშემორტყმული სიზი-ბუზი სამეფო ტახტზეა
დაბრძანებული. მის გვერდით თეთრ ბუმბულში გახვეული, თეთრად
მოელვარე ლიკი-ტიკი, ტოხონგა და შუბებით შეიარაღებული ზანგები
არიან ჩამწყვრივებულები.

სიზი. თი-თი, არ მეგონა, ჩემი ერთგული კუნძულის მკვიდრნი
თავისი ხელმწიფის წინააღმდეგ დანაშაულს ჩაიდენდნენ. არა, ვერ ვუ-
ჯერებ ჩემს მეფურ ყურებს... სად არიან დამნაშავეები?

ლიკი. ციხის დილეგში, მბრძანებელო! მათთან ერთად კირი-კუკიც
ჩავსვი.

სიზი. რატომ?

ლიკი. წითელკანიანები მის მუხანათობას რომ არ მიხვედრილიყ-
ვნენ, თვითონ მოიფიქრა ასე.

სიზნი. დიახ, ეს ჭკუასთან ახლოსაა.

ლიპი. თქვენო უდიდებულესობავ, რას მიბრძანებთ, მოგგვაროთ ბოროტმოქმედები?

სიზნი. მომგვარე, მამაცო გენერალო!

ლიპი. ეი, ტიხონგა, ამოათრიე ის მცონარები დილეგიდანი

ზანგები ტრაპს ხსნიან და კაი-კუმს, ფარა-ტეტესა და ფორცხუას დილეგიდან მუჯლუგუნ-მუჯლუგუნით ერეკებიან.

სიზნი. აი-აი-აი... გამარჯობათ, ძვირფასო არამზადებო!

პირი. გაგიმარჯოთ, თქვენო უდიდებულესობავ.

კაი და ფარა გაოცებულები არიან.

სიზნი. დაჰკითხე, ჩემო ძვირფასო ლომგულო ვაჟკაცო!

ლიპი. აბა ახლა მომიყევით, ლამაზებო, რას ლაპარაკობდით სიმინდებში?

პანი. არაფერს.

ლიპი. აჰ, აი თურმე რა! შენ კი მანდ თვალებს ნუ აპაჭუნებ! თქვი, რას ლაპარაკობდით?

ფარა. არაფერს!

ლიპი. როცა გელაპარაკებიან, ხმას ნუ იღებ! თქვი, რას ლაპარაკობდით? გეკითხები, რას ლაპარაკობდით-მეთქი?

სიზნი. აი-აი-აი... ხედავ, რა ჯიუტები არიან! თუ ასე უარზე იდგებით, იმქვეყანას ღმერთი ვაიდუა დაგსჯით.

პანი. ჩვენ უკვე აღარა გვწამს ღმერთი ვაიდუა!

სიზნი. უჰ! შორს, შორს დააყენეთ ჩემგან. მეხი რომ დაეცეთ, შეიძლება მეც მაგათთან მოვხვდე.

ლიპი. ეტყობა ამათ ვერაფერს გამოსტყუებ. კირი, შენ მოყევი.

პანი. ძმავო ზანგო, იყავი ვაჟკაცი, ხმა არ ამოიღო.

პირი. უკაცრაფად, თქვენი ძმა არა ვარ... თქვენო უდიდებულესობავ, საშინელებაა! საშინელებაა! საშინელებაა!..

კაი და ფარა გაოცებულები შეჰყურებენ.

უკვე კარგა ხანია ვხვდები, რომ თქვენი ერთგული ქვეშევრდომების თავებში დიდი ქოთქოთია. იმ ფიქრით შეწუხებულმა, ჩვენს ძვირფას კუნძულს რა მოუვა, მოძრაობამ დიდი მამტაბები რომ მიიღოს, მომაკვდინებელ ზღვარს მიაღწიოს-მეთქი, გადავწყვიტე, მეეშმაკა...

პანი. რაო?! კირი, რას ამბობ, რას მიედმოედები!

ფარა. ხომ ხედავ, პროვოკატორია!

ლიპი. ჩუმად.

პირი. ეს ორი გარდანქეშანი რა ხანია შენიშნული მყავს. დღეს დილას მივუჯექი ამათ და ასე და ასე-მეთქი, — ლაპარაკი გავუბი, — ბიჭებო, რათა ხართ ეგეთი მოწყენილები, იქნებ ცუდად ცხოვრობთ-მეთქი?

ფარა. კაი, ხომ ხედავ, მოლაღატის ხელში ვართ. უჰ, შე ბილწო, ბინძურო არამზადავ!

პირი. თქვენო უდიდებულესობავ, დაიცავით თქვენი ერთგული, კირი სახელმწიფო დამნაშავეებისაგან!

ლიპი. ჩუმად!

სიზნი. ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ, განაგრძე!

პირი. საშინელებაა! საშინელებაა! საშინელებაა! მე მათ ვეუბნები, ძმებო, რა საგონებელში ჩავარდნილხართ-მეთქი? ისინი კი — შენ თეთრი ზანგი ხარ, სიზნი-ბუზის კუდი, მისი ამაღის წევრები მივაყოლე და მივაყოლე, რა აღარ ვუთხარი, მართო გარეგნულად ზანგი, თორემ მთელი სულითა და გულით შინაგანად თქვენთან, წითელკანიანებთან, ვდგავარ-მეთქი...

პანი. ო, არა! ამქვეყნად კაცთა ზნედაცემულობას საზღვარი არა აქვს!

პირი. ... მე უკვე დიდი ხანია მაფიქრებდა ეს ამბავი... ის, რომ ამბობებაა, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენს წინააღმდეგ... მე მათ ვეკითხები — რას იტყვით, რამე რომ იყოს, წამომყვებით-მეთქი? ისინი კი, წარმოგიდგენიათ? ასე მპასუხობენ — რატომაც არაო!

სიზნი. სადა ხარ, ცის ელვავ და მეხთატეხავ?! არ არის ცის ელვა, არ არის მეხთატეხა!.. არ არის!

პირი. მე ამ დროს, რა თქმა უნდა, დავუსტვინე და ყველანი შევვიპყრეს.

სიზნი. მართალია, რასაც ამბობს?

პანი. დიახ, მართალია. (სიზნის.) მომიხმინე, წურბელავ!

სიზნი. წურბელა?! ამას მე მეუბნები?

პანი. დიახ!

ლიპი. ამოუყორეთ ეგ პირი!

ტონონგა კაის ძალით აჩუმებს.

ფარა. ათასობით ადგილობრივი მკვიდრი, მრავალტანჯული ადამიანი მზის ღმერთის ამონათებიდან ჩაბრძანებამდე შენთვის წყდება წელში...

ლიპი. მიდით, ჩააწყვეტინეთ ხმა ამასაც!

პირი. საშინელებაა, თქვენო უდიდებულესობავ, საშინელებაა!

ფარასაც ძალით აჩუმებენ.

პანი (ხელიდან უსხლტებათ). მაგრამ, ძრწოდე, უკეთურო! ხედავ, დღემდე მღუმარე ვულკანი მუანგანამი უკვე ავისმომასწავებელ შუქს აფრქვევს. ხედავ?

მზეს ღრუბელი ეფარება და ვულკანის თავზე ცეცხლის ავისმომასწავებელი ანარეკლი ჩნდება.

სიზნი. ფუი, ფუი, ენამ არ გიყივლოს!

ღრუბელი გაიფანტა, აიშუქა. კაის და ფარას პირი ამოტენილი აქვთ.

პირი. ხედავთ, თქვენო უდიდებულესობავ, რა წუბაკი ხალხი აღმოვიჩინეთ.

სიზნი. გმადლობ, ერთგულო მინისტრო კირი! მე შენ ჯილდოს ღირსგყოფ.

პირი. ეჰ, ჯილდოსთვის როდი ვიღწვი, თქვენო უდიდებულესობავ, ყველაზე დიდი ჯილდო ჩემთვის აღსრულებული მოვალეობის შე-

გნებაა! ეს რაც შეეხება ჯილდოს, თქვენო უდიდებულესობავ. კუნძულის მკვიდრთ კი ერთხანს უნდა მოვერიდო, არ უნდა დავენახო. უბრძანე, დილეგში ჩამამწყვდიონ.

სიზი. ჭკვიანური აზრია. კარგი, წაუკითხეთ განაჩენი!

პირი. კუნძულის წითელ მკვიდრთ — კირი-კუმსა და ფარა-ტეტეს — კუნძულის კანონიერი მბრძანებლის — სიზი-ბუზენის მბრძანებლის ამბოხის მცდელობისათვის...

დირიჟორი ნიშანს აძლევს, ისმის ფანფარების ხმა. დაკავებულებს აქეთ-იქიდან მცველები ამოუდგებიან.

პირი. ... მიესაჯოთ ყოველგვარი უფლების ჩამორთმევა... ჩაუტარდეთ ქონების კონფისკაცია... სადა გაქვთ ქონება განთავსებული? ვი, ამოუღეთ პირიდან ძონძები.

პაი. ნაძირალავ!

პირი. მოკეტე-მეთქი!.. მიესაჯოთ ჩამოხრჩობა პალმაზე.

სიზი. მაგრამ, არ დაივიწყო: „ვლებულობ რა მხედველობაში...“

პირი. ეჰ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგ თქვენი „ვლებულობ რათი“ ამათ მხოლოდ წააქეზებთ...

სიზი. არ მინდა ამ არამზადებმა მისაყვედურონ, მკაცრი ხარო...

პირი. აბა როგორ უნდა გისაყვედურონ პალმაზე ჩამოკიდებულებმა? ეკიდებიან ასე თავისთვის წყნარად და თავაზიანად!.. მაგრამ, ვლებულობ რა მხედველობაში, რომ დაცული უნდა იყოს მათი უფლებები, ვბრძანებ, ჩამოახრჩონ ყველა თავისი უფლებით.

კაი და ფარა ზანგებს ხელიდან უსხლტებიან და კლდეზე არბიან.

პაი (ფარას). ჯობია ტალღებში ჩავიხრჩოთ, ვიდრე ყულფში გავყოთ თავი. გამომყევი!

ფარა. ძირს ტირანი!

გადაეშვებიან ოკეანეში.

სიზი. აჰ, რა ჰქენით, თქვე ტარტაროზებო! როგორ გაუშვით! შეიპყარით!

ლიპი. დაიჭირეთ!

ზანგები გარბიან.

პირი. ჩასხედით ნავებში!

ტოხონბა. ნავებში ჩასხედით! (კლდიდან ისარს ისერის.)

ყველა გარბის, გარბის სიზიც.

პასპარტუ (სცენის მიღმა). ევროპელებო, მოემზადეთ გამოსასვლელად! ვალოდკა, ხომალდი რატომ არ ჩაუშვი?

დირიჟორი ნიშანს აძლევს.

მატროსები (სცენის მიღმა ორკესტრთან ერთად მღერიან):

ზღვაში შევცუროთ... ზღვაში შევცუროთ...

დღეს აქა ვართ და ხვალე იქა ვართ...

ციდან გვარლით ეშვება ხომალდი, ხომალდში ლორდი, ლედი, პაგანელი, პასპარტუ, გატერასი და მატროსები სხედან. ყველა უიულ ვერნის წიგნების ილუსტრაციებიდან გადმოღებულ კოსტიუმშია გამოწყობილი.

მატროსები (მლერიან). ეჰ, რა შორია ტიპერერეტი!

სიზლინიანი

ისმის ზარბაზნის ჭეჭა.

მიწა! მიწა გამოჩნდა!..

ლედი. ლორდო ედვარდ, მიწა!

ლორდი. ო, იეს! კაპიტანო!

ბატერასი. ჩაუშვით ტრაპი!.. ბუზიყლაპიებო! ეი, შენ, ფარფარა შარვლიანო, ტრაპზე რა ტილივით მიცოცავ! ციებ-ცხელებამ ლოგინიდან ლოგინში გაგორაოს, თავი არ წამოგაწევინოს, იქნებ მაშინ მაინც შეუშვა მაგ თავში რაიმე!

ლედი. ო, ღმერთო ჩემო, რა უხეშად ლაპარაკობს!

პაბანელი. მუსიე გატერას, მადამის თანდასწრებით ეს რა უშვერი ენით ლაპარაკობთ!

ბატერასი. ბოდიში, ათიათასი ბოდიში, ლედი, ვერ შეგნიშნეთ. ჩაუშვით ტრაპი, ანგელოზებო, ჩაუშვით, კუპიდონებო, ინგლისურ ენაზე გეუბნებით, ჩაუშვით ტრაპი. ტა-რამ, ტრამ-ტრა-ტა-რამ... (ჩუმად იგინება.)

მატროსები ტრაპს უშვებენ. ყველანი ნაპირზე გადადიან.

ლედი. რა საუცხო მიწაა, ლორდ ედვარდ, კუნძული, მგონი, დაუსახლებელია.

პაბანელი. მადამს აქვს ამის თქმის მიზეზი — კუნძული დაუსახლებელია.

გამოჩნდება სიზი და მთელი მისი ამალა.

ო, voila!¹ შეხედეთ!

ლორდი. არა, კუნძული დასახლებულია... თქვენ ვინ ხართ?

პირი. ნება მომეცით, მოგილოცოთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ჩვენს დიდად პატივცემულ კუნძულზე ჩამობრძანება.

ლორდი. აქაურები ხართ?

პირი. დიას, კუნძულზე ვართ ჩაწერილები.

ლედი. ვინ არის კუნძულის მფლობელი?

სიზი (დაბრძანდება სამეფო ტახტზე). ღმერთისა და ვაიდუა სულის წყალობით, მე გახლავართ...

ისმის ფანფარების ხმა

დიას, ამ კუნძულის მფლობელი მე ვარ — სიზი-ბუზი. ეს ჩემი გვარ-დიაა, ჩემი ერთგული ზანგები და გვარდიის წინამძღოლი ლიკი-ტიკი!

1. voila — აი (ფრ.).

პირი. მაქვს პატივი წარმოგიდგეთ. მე გახლავართ კირი-კუკი, მისი უდიდებულესობის დღესასწაულთგანმრივე.

სიზი. მაგრამ, თქვენ თავად ვინ ბრძანდებით, ძვირფასო სტუმრებო?

ლორდი. მე...



მუსიკა.

... ლორდი ედვარდ გლენარვანი გახლავართ. ჩემთან არიან ლედი გლენარვანი და ჩემი კაპიტანი გატერასი თავისი ეკიპაჟით.

პაპანელი. მე...

ცაისმის მარსელიოზა.

... გახლავართ ჟაკ ელიასთან მარია პაპანელი! თან მახლავს ჩემი ლაქია... მარცხნივ...

პასპარტიუ. მე პასპარტიუ ვარ.

სიზი. დიდებულ კაცთა სტუმრობა ჩემს გულს დიდად ეამება.

ლორდი. მოგვართვით დასაკეცი სკამები.

მატროსებს სკამები შემოაქვთ და ევროპელები სხდებიან.

კი მაგრამ, სად არის თქვენი ხალხი?

სიზი. ჩვენი ხალხი — წითელკანიანი მკვიდრი მოსახლეობაა. ისინი იქ, შორს ცხოვრობენ.

ლორდი. ხალხი ბევრი გყავთ?

სიზი. ბევრი, დიახ, ძალიან ბევრი. ერთი... ორი... თხუთმეტი... და უთვალავი ურდო.

ლორდი. თქვენ მართავთ, ისინი კი მუშაობენ?

სიზი. ასეა, ძვირფასო, ასეა.

ლორდი. ოო, ეს ძალზე ჭკვიანურია! ხალხი კეთილია?

პირი. უკეთილშობილესი ხალხია, თქვენო ბრწყინვალეებავ! ამას წინათ აქ თრი კაცი მოიყვანეს... თუმცა, არა, არაფერი...

ლორდი. კუნძული მდიდარი თუა?

სიზი. ღმერთებს მადლობა! აქ ყველაფერია — სიმინდი, კუები, სპილოები, თუთიყუშები... აი, გასულ წელს კი მარგალიტებიც გაგვიჩნდა.

ლედი. მარგალიტები?! ო, აი ეს კი ძალიან საინტერესოა.

პაპანელი. დიახ, რა თქმა უნდა.

ლორდი. თქვენ ამბობთ, მარგალიტებით? მერედა როგორია ამოდება? ბევრია?

სიზი. არა, ძვირფასო, წლიურად, ასე, ხუთასი ფუთი იქნება.

ლორდი.

პაპელი.

ბატერასი.

რამდენი?

სიზი. ო, დიდებულო უცხოქვეყნელებო, ასე რატომ განცვიფრდით?

ლორდი. ამბობთ, ცოტააო?! მერედა რას უშვრებით ამდენ მარგალიტს?

სიზნი. ვყიდით.

ლორდი (ხმადაბლა). სერ, ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რა არის! რას იტყვით? გინდათ?

პაპანელი. სერტენემან!...



ლორდი. სანახევროდ?

პაპანელი. სანახევროდ.

ლორდი (ხმადაბლა). აი, რას გეტყვით... არის ახლა მარგალიტი?

სიზნი. არა, ძვირფასო, ახლა არ არის, გაზაფხულზე გვექნება, სამი თვის შერე.

ლედი. აბა მაჩვენეთ, როგორია?... ნიმუში მაჩვენეთ.

სიზნი. ჩვენება შეიძლება. ტოხონგა, მოიტანე ჩემი დიდი მარგალიტი, აი ის, ლურსმებს რომ ვაჭედებ.

ტოხონგას შემოაქვს უზარმაზარი მარგალიტი.

ტოხონგა. ინებეთ.

ქირი. voila.

ლედი. აჰ, ცუდად ვარ!

ლორდი. აი, რას გეტყვით. მოკლედ, მთელ თქვენს მარგალიტებს მე ვყიდულობ. არა მხოლოდ იმას, რასაც ამ გაზაფხულზე მოიპოვებთ, არამედ იმასაც, რასაც ათი წლის მანძილზე ამოკრეფთ. რაშიც მე თქვენ გადაგიხდით...

პაპანელი. ჩემთან ერთად.

ლორდი. დიას, ბატონ უაკ პაგანელთან ერთად... გირვანქა სტერლინგი თუ გინახავთ?

სიზნი. არა, ძვირფასო. ეგ რაღაა?

ლორდი. დიდად გამოსადეგი რამ, ყველგან, სადაც არ უნდა იყო მთელი დედამიწის ზურგზე... ერთი სიტყვით, ის ქალაქი... აი, ისიც... ყველგან, სადაც არ უნდა წარადგინო, ჩითსაც მოგცემენ, თუთუნის მთებსაც და რამდენსაც მოისურვებ, იმდენ ცეცხლოვან წყალსაც.

სიზნი. ღმერთებმა დაგლოცონ, უცხო მიწელო!

ლორდი. მომისმინე, მე შენ ათას გირვანქა სტერლინგს მოგცემ, სუთას კასრ კონიაკს და ათას არშინ კოლენკორს. კიდევ ორმოცდაათ კოლოფ სარდინს... გინდა კიდევ რამე?

სიზნი. არა, საყვარელო, არაფერი.

ქირი. მე კი მინდა, თქვენო ბრწყინვალეებაე — ჩემოდანი.

სიზნი. უცხო მიწელო, მე შენ მიყვარხარ.

ლორდი. მეც, ოღონდ სულ გამდობრბლე. თუ გინდა, აი მუსიე პაგანელს აკოცე.

პაპანელი. მერსი, მე უკვე ვიკოცნავე ცოტა ხნის წინ.

ლორდი. აი აქ ხელი მოაწერე.

სიზნი. საყვარელო, მე ყველაფერი უკვე დამავიწყდა.

1. სერტენემან — რა თქმა უნდა.

ქირი. ლორდ, ნება მომეცით, მე მოვაწერ. აი ინებეთ: კ. ი. კი.
კირი-კუკი.

ლედი. ო, თქვენ თურმე წერა-კითხვაც გცოდნიათ. (ჩუმად.) ეს
ზანგი ძალიან კარგი ვინმეა. (ხმაძალლა.) ვინ გასწავლათ?

ქირი. გზად გამვლელმა ევროპელებმა, ქალბატონო ~~ქირი-კუკი~~
ლორდი (კითხულობს). „კირი-კუკი და... ჩემოდან...“
არის?

ქირი. ჩემოდანი არ დაავიწყდეთ-მეთქი, შეგახსენეთ, თქვენო
ბრწყინვალება.

ლორდი. ა-ა! მიეცით, აი ის პრიალაშესაკრავიანი ჩემოდანი მი-
ეცით!

პასპარტუ აძლევს ჩემოდანს.

ქირი. რა მშვენიერებაა! ნეტავი უნდა დავუჯერო ჩემს ცისფერ
თვალებს? უჰ, უჰ! არა, მე ასეთი ჩემოდნის ღირსი არა ვარ. ლორდ,
ნება მომეცით, მოგეხვიოთ.

ლორდი თავს არიდებს და მის მაგივრად კირი გულში ლედის
იკრავს.

ლედი. ო, თქვე თავხედო!

ლორდი. არა, არ ვინდათ. აი თქვენი გასამრჯელო... (აძლევს
ფულის სქელ დასტებს.) სამი თვის შემდეგ მარგალიტების წასაღებად
ჩამოვალ. არ ითაღლითოთ, თორემ გავბრაზდები! (ზევით ადის.)

პაბანელი. მეც... და ომს დაგიწყებთ — ბახ-ბუხ-ბახ!

სიზი. აჰ, რატომ აშინებ ბებერ სიზის! ის შენ არ გიმტყუნებს.

ლორდი. მატროსებო, გამოაგორეთ რომი!

ბატერასი. მაგარია! რამ-ტამ-ტამ-ტა-რა-რა...

მატროსები. ეჰეი!.. (გამოყრიან საქონელს, გამოაგორებენ რო-
მის კასრებს.)

სიზი. მადლობა, დიდი მადლობა! მე ჩემს დიდ მარგალიტს გჩუქ-
ნი... აჰა, გამომართვი!

ლედი. მერსი! ღმერთო ჩემო, სასწაულია, ნამდვილი სასწაუ-
ლია!

ქირი. ლედისთვის თუთიყუში დაიჭირეთ.

ტოხონბა. ახლავე.

აფრინდება თუთიყუშების გუნდი. ტოხონდა ერთ ძალიან ლამაზ
თუთიყუშს იჭერს და კირის გადასცემს.

აჰა!

ქირი. ქალბატონო, ნება მიბოძეთ, ეს თუთიყუში საჩუქრად მო-
გართვათ. ევროპაში თქვენი სასტუმრო ოთახისთვის მშვენიერი სამკაუ-
ლი იქნება.

ლიპი. ეს მამაძალი დიდი მოხერხებული ვინმეა.

პაბანელი. ვაჰ, ეს ველური რა გალანტური ვინმე ბრძანდება!

ლედი. მუსიე პაგანელ, ძალიან მომხიბვლელი ფრინველია!.. მე-
რსი, მერსი... ლაპარაკობს?

ქირი. თანაც როგორ!

ბატერასი. სიცოცხლეში პირველად ვხედავ ასეთ ვგზემპლარს!..
ნეტავი კი ჩაძაღღებოდეს!
თუთიყუში. ნეტავი შენ თვითონ ჩაძაღღებოდეს!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა გაოცებულია.

ბატერასი. ამას ვის ეუბნები, შე უკუდო სატანავ!

თუთიყუში. სატანა შენ თვითონ ხარ.

ბატერასი. მე შენ გიჩვენებ!

ლედი. შეჩერდით, კაპიტანო, რას ჩადით! არ გაბედოთ! ერთი სუ-
ლელი ჩიტია...

თუთიყუში. სულელი შენა ხარ...

ლედი. ვაი!

ლორდი. ფრთხილად, მეტელკინ!

თუთიყუში. მესმის, გენადი პანფილოვიჩ.

ბატერასი. ლორდ, მზე ჩადის, კუნძულთან რიფები.

ლორდი. გაშალეთ აფრები!

ბატერასი. დიას, ლორდ!.. ეკიპაჟო! გაშალეთ აფრები!

მატროსები გემისკენ მიემართებიან. იშლება აფრები.

ლორდი. გუდ ბაი!

სიზი. ნახვამდის.

ლედი. პასპარტუ, წამოიყვანე თუთიყუში.

პასპარტუ. დიას, ლედი.

პაბანელი. ო რევუარ.

ბატერასი. ჩაუშვით ტრაპი. ტრამ-ტარა-რა-რა-რამ...

თუთიყუში. დედა, დედა, დედა...

ბატერასი. აჰ, ნეტავი ჩაიწვა და ჩაიფერფლო მაგ კამბუზში. შე-
უკარით ნისკარტი ბაგირით!

იღებენ ლუზას. სომალდი გასვლას იწყებს. მზე ოკეანეში ეშვება.

მატროსები (წყნარდებიან). ზღვაში... ზღვაში... ზღვაში შევცუ-
როთ... ზღვაში შევცუროთ...

თუთიყუში (მღერის). დღეს აქ ვართ და ხვალე იქ ვართ!..

სიზი. წავიდნენ... კარგი ხალხია ეგ უცხოშიწელები.

ქირი. თქვენო უდიდებულესობავ, მაქვს პატივი, მოგილოცოთ
მომგებნიანი გარიგება!

ლიპი. შენ კი ჩემოდანი, ეშმაკის ნაშობო! როცა გჭირდება, იცი,
როგორ ეხვეწო და ელიჭინო!

ქირი. შენ თუ იცი, ლიკი, მგონი, შევუყვარდი იმ უცხოელ ქალ-
ბატონს.

ლიპი. აბა როგორ! მას ხომ თვალითაც არასოდეს უნახავს შენის-
თანა კალმით ნახატი მამაკაცი.

სიზი. კირი, აიღე ფული და შეინახე.

ქირი. მესმის, თქვენო უდიდებულესობავ! (ფულს ჩემოდანში აწ-
ყობს.)

სიზნი. ზანგებს თითო ფიალა საზღვარგარეთული ცეცხლოვანი წყალი დაურიკეთ.

ზანბები. უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ, თქვენო უდიდებულესობავ!

სიზნი. ყოჩაღ, ბიჭებო!

ზანბები. ვცდილობთ, თქვენო უდიდებულესობავ!

სიზნი. კარგი, ოღონდ წყნარად.

ტოხონგა კასრს ხსნის. კასრიდან სიბნელეში ცისფერი შუქი იელვებს.

აი ეს მესმის!

ლიპი. თქვენო უდიდებულესობავ, კარგი იქნებოდა კუნძულის წითელ მკვიდრთათვისაც რაიმე მცირეოდენი მოწყალეობა გაგელოთ.

სიზნი. მოწყალეობა? შენ ასე ფიქრობ? სხვა რა გზაა! ოკეანეში დამხრჩვალ იმ ორ ჩხუბისთავს შეწყალეობას ვუცხადებ... გამოაცხადეთ!

ქირი. კეთილთ ხელმწიფევ! (ჩუმად:) არა, ჯერ დანამდვილებით უნდა გავიგო, მართლა დაიხრჩვნენ თუ არა?

სიზნი. დღეს საღამოს ჩემი ყველა კარისკაცისა და ერთგული გვარდიისთვის დღესასწაულს ვაწყობ, დაე, ღამის მნათობი ამოანათებს თუ არა...

ამოდის იღუმალეებით მოცული მთვარე.

ცეკვით შეგვიქციონ პარამხანის ტყვე ქალებმა!

ღირიუორი ნიშანს აძლევს და ორკესტრი ფერენც ლისტის მეორე რაფსოდის უკრავს. მონა ქალები ცეკვავენ. ყველაზე მეტად კირია გახარებული, იგი ჩემოდნით ხელში ცეკვავს. ფარდა ეშვება.

პასპარტიშ (ფარდის ღიობიდან ხელით ანიშნებს და მუსიკა შეწყდება). ანტრაქტი.

დარბაზში სინათლე ინთება.

პირველი მოქმედების დასასრული.

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

ორკესტრში ავისმომასწავებელი გრუხუნი ისმის. იხსნება ფარდა. სცენა ჩაბნელებულია. მხოლოდ ვულკანს ადგას თავზე ასევე ავისმომასწავებელი შუქი.

ქირი (ფანრით ხელში). რომელი ხარ? ჩემთან! ჩემთან-მეთქი! ვინ ხარ? შენა ხარ, მხედართმთავარო?

ქირი. მე ვარ... ეს რა უბედურებაა!.. გადარჩი?

ლიპი. ღვთის წყალობით, როგორც ხედავ, გადავრჩი!

ქირი. მითხარი, დაიღუპა სიზნი-ბუზი?

ლიპი. პო, დაიღუპა.

ქირი. რამდენს ჩავჩინებდი ბერიკაცს, მოაშორე ვიგვამი ამ ეშმაკეულ პრიმუსს-მეთქი! არა, არ მომისმინა — ღმერთები არ დაუშვებენო. აჰა, ესეც შენი არ დაუშვებენ!.. კიდევ ვინ დაიღუპა?



ქართული
გაზაფხული

ლიპი. მთელი პარამხანა და ნახევარი ზანგობა. მოკლედ, ყველა, ვინც ყარაულში იდგა.

ქირი. მოდი აგერ დავსხდეთ... უჰ!

ლიპი. რა იყო, რა მოხდა?

ქირი. მგონი ფეხი ვიღრძე. უჰ... უჰ... მოკლედ ვერ ვიცი, რა მოხდა... ესე იგი...

ლიპი. ვულკანი ამოიფრქვა.

ქირი. დიახ, ლავამ იფეთქა და მეფის ვიგვამი ერთიანად დაფარა. მბრძანებლის გარეშე დავრჩით.

ლიპი. და ნახევარი გვარდიის გარეშე...

ქირი. ჰო, საშინელებაა, მაგრამ ფაქტია. ნეტავი რა მოხდება ახლა კუნძულზე?

ლიპი. მაინც, რა უნდა მოხდეს?

ქირი. მე შენ გეკითხები, რა მოხდება-მეთქი?

ლიპი. აბა მე რა ვიცი.

ქირი. მე კი ვიცი. ამბოხება დაიწყება.

ლიპი. მართლა?

ქირი. უპირველეს ყოვლისა იმაზე უნდა ვიფიქროთ, ის საშინელი ჯანყი და არეულობა თავიდან როგორ ავიცილოთ.

ლიპი. არ ვიცი.

ქირი. აი მე კი ვიცი. პირველ რიგში ახალი მმართველი უნდა ავირჩიოთ.

ლიპი. აა, მივხვდი. ჰო, მაგრამ, ვინ უნდა ავირჩიოთ?

ქირი. რა თქმა უნდა, მე.

ლიპი. შენ რა, ჭკუაზე ხარ?

ქირი. რატომაც არა.

ლიპი. შენ და — მმართველი? აი თავსედობაც ამას ჰქვია!

ქირი. გაჩუმდი, შენ რა გესმის!.. თუ იცი, ის ორი ტარტაროში ნამდვილად დაიხრჩო?

ლიპი. ვინ? კაი-კუმი და ფარა-ტეტე?

ქირი. ჰო.

ლიპი. რა ვიცი, დავინახე წყალმა როგორ დაფარა.

ქირი. დიდება ღმერთებს! ჩემი ბრწყინვალე გეგმის აღსრულებას ხელს მხოლოდ ის ორი თავსეხელაღებული თუ შეუშლის...

ლიპი. კირი, დიდი უტიფარი კაცი ხარ. ვინ ხარ, რას წარმოადგენ, მეფობას რომ ეპირები?

ქირი. ნუ მეკამათები! ვაი!.. გესმის?

ხმაური სცენის მიღმა.

ლიპი. ეტყობა, გაიღვიძეს იმ ეშმაკის კერძებმა...

ქირი. ჰო, გაიღვიძეს, მაგრამ, თუ არ გინდა შენცა და შენი დარჩენილი გვარდიაც წყალში გადაგიძახონ, ყური მიგდე. მოკლედ ასე, მე მმართველი გავხდები, შენ კი ახლავე მიპასუხე, გინდა თუ არა ჩემთან გვარდიის წინამძღოლად დარჩე?

ლიპი. არა, ეს გაუგონარი რამ არის! მე — ლიკი-ტიკი, ჯარების სახელგანთქმული სარდალი ვილაც ვიგინთარას დავუდგე გვარდიის წინამძღოლად!

ქირი. კი ბატონო, კარგად იყავი, მე ახლა შენთვის არ მცალია.
ლიპი. მოიცა, არამხადავ! თანახმა ვარ!

ქირი. ძალიან კარგი! თაუი მოუყარე ზანგების დარჩენილ გვარ-
დიას და პირში წყალი ჩაიგუბე. აქ რაც არ უნდა მოხდეს, ხმა არ ამო-
იღო!

ლიპი. ვნახოთ, რა გამოვა... ტოხონგა, ტოხონგა ^{ქონძული}
ტოხონგა. აქა ვარ, გენერალო.

ლიპი. ვინც გადარჩა, ყველას დაუძახე, უთხარი აქ მოვიდნენ...
ტოხონგა. მესმის, გენერალო.

ისმის ბრბოს ხმაური. სცენაზე წითელი დროშებით ხელში წითე-
ლი კუნძულელები ჯერ კანტიკუნტად, მერე დიდ-დიდ ჯგუფებად შემო-
დიან. ცეცხლი კრთის, მთელი სცენა მისტიკური შუქით არის განათე-
ბულია.

ქირი (რომის ცარიელ კასრზე შეხტება). ეი! უჰეი! კუნძულის
მკვიდრნო! აქეთ, აქეთ მოდიო!

ქუნძულის მკვიდრნი. რა მოხდა? ვინ იძახის? ვულკანი ამოიფ-
რქვა? რატომ? ვინ? რა?

ტოხონგას სცენაზე შემოჰყავს გვარდია. გვარდიელებს ხელში
თეთრი ფარნები უჭირავთ.

ქირი. მე გეძახით! მე, კირი-კუკი, კუნძულის მკვიდრთა ძმა და
მეგობარი!.. აქეთ! აქეთ!

ქუნძულის მკვიდრნი. ვინ არის? ვინ იძახის?

ქირი. მე ვარ — კირი, კუნძულის მკვიდრთა მეგობარი! წუხელ,
როცა ჩვენს ყოფილ მეფეს — სიზი-ბუზის... (ისმის ფანფარების ხმა)
ცეცხლოვანი წყლით შეზარხოშებულს თავის ჰარამხანაში მშვი-
დად ეძინა, ვულკან მუანგანადან, რომელიც სამასი წელი დუმდა, მოუ-
ლოდნელად ლავა ამოინთხა, სიზი-ბუზის კუნძული მოსრა და, ღმერ-
თი ვაიდუას სულის ნებით, დაიღუპა თავად ტირანიც.

ლიპი. დიდი ენაწყელიანი კია, ეს გაიძვერა!

ქირი. კუნძულის მკვიდრნო! ამიერიდან თავისუფალი ხართ!
მადლობას ვიცხადებთ...!

ქუნძულის მკვიდრნი (ჯერ წყნარად, მერე ძალიან ხმამაღლა).
ვაშაა! ვაშაა! ვაშაა!

ხმაური წყდება.

მართკა მკვიდრი ქუნძულისა. ვინ არის, ვინ ლაპარაკობს?
კირი?

ქირი. დიას, მე ვარ... ვინ არ იცნობს კირი-კუკის! ვინ არ უსმენ-
და კირის ჯერ კიდევ სიმინდებში!

პირველი მკვიდრი ქუნძულისა. დიახ, გისმენდით.

მესამე მკვიდრი ქუნძულისა. სად არიან კაი-კუმი და ფარა-
ტეტი?

ქირი. დილეგში ჩამაგდეს, იქ ერთი დღე-ღამე დამტოვეს, რათა
ჩემთვის განსაკუთრებული სიმკაცრის სასჯელი მოეგონებინათ. როცა

ოქ ნესტიან მიწაზე ვიჯექი, ვავიგე, კაი და ფარა-ტეტე ჯალათს ხელიდან რა გმირულად დაუსხლტნენ. მერე მუაუნგნამადან, ოკეანეში გადახტნენ და გაცურეს. დაე, ღმერთმა ვაიდუამ ცოცხლები გადაარჩინოს ისინი იმ აბობოქრებულ მორევში!

ლიპი (ხმადაბლა). მაგრამ აბა იქიდან როგორ უნდა გაქროს, ამობილო?

პირველი მკვიდრი კუნძულისა. ღმერთმა გაამარჯვებინონ კასა და ფარას! გაუმარჯოს კუნძულის მკვიდრი ხალხის მეგობარს — კირი-კუკის!

ქირი. ძვირფასო მეგობრებო, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ნუთუ ჩვენი აყვავებული კუნძული გამგებლის გარეშე დარჩება?.. ნუთუ უმეთაუროდ ჩვენ ყველას შფოთი და ანარქია გვემუქრება?

კუნძულის მკვიდრნი. მართალია! კირი-კუკი მართალია!

ქირი. ჩემო მეგობრებო, ვთავაზობთ, ახლავე, ადგილიდან ფეხმოუცვლელად ავირჩიოთ ადამიანი, ვისაც შეიძლება თვალდახუჭულად ვანდოთ ჩვენი კუნძულის ბედი და სიმდიდრე! მეგობრებო, ავირჩიოთ ადამიანი, ვინც პატიოსანი და სამართლიანია! ვარდა ამისა, ვინც ამავე დროს განათლებულიც არის, რათა იმ ევროპელებთან ურთიერთობის დამყარება შეძლოს, ვინც ამიერიდან არც თუ იშვიათად ეწვევიან ჩვენს მდიდარ, ბარაქიან კუნძულს. მეგობრებო, რას იტყვით, ვის დაასახელებთ?

კუნძულის მკვიდრნი. შენ, კირი-კუკი, შენ!

ქირი. დიას... თუმცა არა... არავითარ შემთხვევაში! მე ასეთი პატივის ღირსი არ ვარ.

კუნძულის მკვიდრნი. კირი, უარს ვერ გვეტყვი! ვერ მიგვატოვებ ამ მძიმე წუთებში! შენ ერთადერთი ხარ!

ქირი. არა, არავითარ შემთხვევაში!

ლიპი. კირი, რატომ იპრანჭები?

ქირი (ჩუმად). მოწყდი აქედან, რეგვენო! **(ხმამალლა.)** ეს საშინელი ტვირთი და პასუხისმგებლობა მე უნდა ვიკისრო? ნუთუ მე უნდა ვიკისრო?! კარგი, თანახმა ვარ.

კუნძულის მკვიდრი (მჭექარედ). ვაშაა! გაუმარჯოს კირი-კუკი პირველს — წითელ კუნძულელთა დიდ მეგობარს!

ქირი. თვალები ცრემლით მევსება, ჩემო ძვირფასებო, გული მიჩუყდება... დიას, საყვარელო წითელო კუნძულელებო, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა არასოდეს ინანოთ, რატომ ავირჩიეთო! ხოლო ნიშნად იმისა, რომ მთელი სულითა და გულით თქვენთანა ვარ, თეთრი ზანგების თავსაბურავს ვიხდი და თქვენი კუნძულის უმშვენიერესი ფერებით ვირთვები... **(თავსაბურავს იხდის და კუნძულის მკვიდრთა მსგავსად თავს მეწამული ბუმბულებით იმშვენებს.)**

წითელი კუნძულელები ზეიმობენ. ისმის მუსიკის ხმა.

ქირი. მე, კირი-კუკი პირველი, ვაცხადებ ჩემს პირველ დეკრეტს. ზეიმის ნიშნად ჩვენს ძვირფას კუნძულს, რომელსაც სიზი-ბუზის დროიდან დღემდე ადგილობრივ მცხოვრებთა კუნძული ერქვა, სახელს ვუცვლი და მეწამულ კუნძულს ვარქმევ.

კუნძულები დიდ ზეიმში არიან.

ქირი. ისმის კითხვა, რა ვუყოთ სიზი-ბუზის გვარდიის იმ წევრებს, რომელიც გადარჩა? აი ისინიც აქ არიან.



ლიკი და ზანგები დაბნეულები შეპყრებენ

კუნძულის მკვიდრნი. წყალში... წყალში გადავყაროთ!
ტოსონბა. გენერალო, გესმის?

ლიკი. მოდალატევ!

კუნძულის მკვიდრნი. ოკეანეში გადავუძახოთ!

ქირი. არა! მისმინეთ ჩემო ერთგულო ქვეშევრდომებო! ვინ დაიცავს კუნძულს უცხო ტომების შემოსევებისაგან? ვინ დაიცავს იმ ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც ასე ძალიან სჭირდება კუნძულს? მე თქვენ აი რას გთავაზობთ, ჩემო მეგობრებო — თუ მოინანიებენ, ვაპატიოთ და სამსახურში ავიყვანოთ! (ლიკის.) მიპასუხე, დამნაშავე გენერალო, ხარ თუ არა თანახმა, მოინანიო და ერთგულად გვემსახურო, მეც და კუნძულის მკვიდრ ხალხსაც?

ლიკი ხმას არ იღებს.

რომ გეკითხები, პასუხი გამეცი, შე მუტრუკო!

ლიკი. თანახმა ვარ, მბრძანებელო.

ქირი. გვემსახურები?

ლიკი. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ!

ქირი. არ წახვალ ხალხისა და ჩემს წინააღმდეგ?

ლიკი. არავითარ შემთხვევაში, თქვენო უდიდებულესობავ!

ქირი. ყოჩაღ, ბერიკაცო!

ლიკი. მზად ვარ, გემსახუროთ, თქვენო უდიდებულესობავ!

ქირი (ზანგებს). რას იტყვით, თანახმა ხართ თქვენც?

ზანგები. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ!

ქირი. მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, რა ხდება! ლამის ყურის ბარბნები დამისკდეს. უბრძანე, გაჩუმდნენ.

ლიკი. ჩუმაღ!

ქირი. გვარდიას სამოსი გამოუცვალეთ, ჩვენი მკვიდრი მოსახლეობის ფერებში გამოაწყეთ.

ლიკი. მესმის, თქვენო უდიდებულესობავ!

ქირი. თუ შეიძლება, ნუ ყვირით!

ლიკი. მესმის.

ტაშს უკრავს, ზანგები თეთრ ბუმბულებს იცილებენ და თავებს მეწამული ბუმბულებით იმკობენ. მათი ფარნები თეთრი ფერის ნაცვლად ვარდისფრად ენთება.

ქირი. კუნძულის მკვიდრო ხალხო, აი ეს უკვე შენი გვარდიაა!

კუნძულის მკვიდრნი. ვაშააა!

ლიკი. საზეიმო მარშით...

ღირიყორი ჯოხს იქნევს.

ნაბიჯით იარ!

ორკესტრი მარშს უკრავს. ზანგები საზეიმო მარშით კირის წინ ჩაივლიან. კუნძულის მკვიდრთა აურაცხელი ურდო ფარნებს აქნევს.

ქირი. გამარჯობათ, გვარდიელებო!

ზანბუბი. გამარჯვებას გისურვებთ... თქვენო უდიდებულესობაე!..

პირი. აი, ხედავ!

ლიპი. შენ ნამდვილი გენიოსი ხარ, კირი! ჩემთვის ეს უკვე ამ-
კარაა!

პირი. მაშ, მაშ!..



ფარდა

სურათი მეორე

კირი-კუკის სამეფო ვიგვამი

პირი. ერთი კვირაა, რაც ამ ჩვენს დაწყევლილ კუნძულს ვმარ-
თავ და ამ მარგალიტებისაგან უკვე თავქაჯი მაქვს შეყრილი.

ლიპი (საუზმობს). დამნაშავე შენ თვითონ ხარ. უშმაკმა უწყის ამ
საცოდავ ხალხს რას აღარ შეჰპირდი! ჰოდა, იმტვრიე თავი, მკვიდრი
ხალხის მეფობარო! (ღეჭავს.) ვინ გაპყვიროდა — ყველაფერი თავ-
პირზე საყრელად გექნებათ, საჭმელ-სასმელიცა და ცეცხლოვანი წყა-
ლიცაო? ყველაფრის ბატონი თქვენ იქნებითო? ხომ გახსოვს, ხალხს
რას ეუბნებოდი? ჰოდა, თვლიან კიდევ თავს ბატონ-პატრონად...

პირი. გესმის, რას ითხოვენ კუნძულელები? ევროპელებს მარგა-
ლიტი არ მისცეო! კარგი ამბავია, ხომ იცი! მათ ხომ ამაში ფული აქვთ
გადახდილი!

ლიპი. და ცეცხლოვანი წყალიც!.. ახლა კეთილი ინებე და მიარ-
თვი და მიართვი მარგალიტები ინგლისელებს!

პირი. ჰო, მაგრამ, ესენი რომ უარზე არიან? ამოკრეფით ამოვკ-
რეფთ, მაგრამ ისევ ჩვენ უნდა მოგვხმარდესო! იმის გაფიქრებაზე, რო-
გორ გამოგვეცხადება ხომალდით ის სქელი წითურ-ბაკენბარდებიანი
სიფეთი, ტანზე ეკალს მაყრის. კიდევ კარგი, ის ორი წამქეზებელი ხა-
ლხისა — კაი-კუმი და ფარა-ტელე დაიხრჩვენ.

შემოდის ტონონგა

ტონონგა. სალამი, მმართველო!

პირი. გმადლობ... აბა რას მეტყვი, ძვირფასო?

ტონონგა. ისევ მოვიდნენ წითელი კუნძულელები. უნდათ, შენი
უდიდებულესობა იხილონ.

პირი. ისევ? ეს რა უბედურებაა, ეს რა სასჯელია! შემოიყვანე...
კაბინეტში შემოიყვანე.

ტონონგა. მესმის, მბრძანებელო! (გადის.) შემოდით!

შემოდის კუნძულის პირველი, მეორე და მესამე მკვიდრი.

პირველი მკვიდრი კუნძულისა. სალამი, კირი, ჩვენო მბრძანე-
ბელო და ჩვენო ძმაო! გფარავდნენ ღმერთები!

პირი. აა! დაე, თქვენც გფარავდნენ. დიდად სასიამოვნოა. მომენა-
ტრეთ, ძალიან მომენატრეთ, თქვენ ხომ დილას აქეთია არ მინახისართ!

მეორე მკვიდრი კუნძულისა. ღმერთები ჰფარავდნენ ლიკი-ტი-
კის, სახალხო გვარდიის გულად სარდალს!

ლიპი. თქვენც, თქვენც გფარავდნენ ღმერთები!

პირველი მკვიდრი კუნძულსა. ნაყრდები, გულადო ლიკი?
ლიკი. არა, ვცეკვავ!
მეორე მკვიდრი კუნძულისა. პოო, ხუმარაა ჩვენი ლიკი. ცო-
ტა წახუმრება უყვარს.



პირი. მხიარული კაცია. სხვათა შორის, სარდალო, ჩემქვეყნად, შეგიძლია ჩემს ძვირფას ქვეშევრდომებს ცოტა უფრო უბრალოდ და პარაკო.

ლიკი ბუზღუნებს.

პირი. ბიჭებო, ჩაიცუცქეთ.

ტუზემცები ჩაცუცქლებიან.

პირი. ბევრი დრო რომ არ დავკარგოთ, ჩემო მტრედებო, აბა ახ-
ლა მომიყევით, რამ მოგიყვანათ ჩემს ვიგვამში, მზის ღმერთის ზენიტში
დგომის ჟამს, როცა მარტო მმართველები კი არა, სიმინდის ალებით
ქანცგაწყვეტილი უბრალო მომაკვდავებიც კი თავიანთ ვიგვამებში ის-
ვენებენ? (ჩუმად) გადაკრულად ნათქვამს ვერ იგებენ ეს ქაჯები!

პირველი მკვიდრი კუნძულისა. მოვედით, რომ ერთი სასიხა-
რულო ამბავი შეგატყობინოთ.

მესამე მკვიდრი კუნძულისა. იმის სათქმელად მოვედით, რომ
მარგალიტის ამოკრეფა დღეს ძალიან წარმატებული იყო. თხუთმეტი
დიდი მარგალიტი ამოვიღეთ. ყველაზე პატარა აი ამ ჩემი მუშტის ხე-
ლაა.

პირი. აღფრთოვანებული ვარ! მაგრამ ერთი რამ მაინც მაკვირ-
ვებს. რატომ მაშინვე ჩემს ვიგვამში არ მოიტანეთ? დილას ხომ გი-
თხარით!

პირველი მკვიდრი კუნძულისა. ო, კირი მბრძანებელო! ხალხი
ძალიან ღელავს მარგალიტების გამო. თქვენთანაც სწორედ ამიტომ
გამოგვგზავნეს, უნდათ გაიგონ, მარგალიტებს რას უპირებთ?

პირი. ჩემო ძვირფასებო, ახლა ძალიან ცხელა, რათა ერთი და
იგივე ათჯერ გაგიმეოროთ. მიუხედავად ამისა, მეთერთმეტედ გიმეო-
რებთ — მარგალიტები ჩემს ვიგვამში მოიტანეთ! 500 ფუთი რომ მო-
გროვდება, ჩამოვა ინგლისელი და წაიღებს.

მეორე მკვიდრი კუნძულისა. კირი, ხალხი წინააღმდეგია, ინგ-
ლისელებისათვის მარგალიტების გატანება არ უნდათ.

პირი. სხვა რა გზაა, მოგვიწევს. სიზიმ საფასური მთლიანად აიღო
და ინგლისელს ხელწერილიც მისცა.

მესამე მკვიდრი კუნძულისა. კირი, თუ იცი, რაზე ყბედობდა
დღეს ხალხი ყურეში, მარგალიტების ამოკრეფისას?

ლიკი (კბილებში გამოსცრის). არაფერი მინდა, წამოაყრანტალე-
ბდნენ რამეს სიზიზე!..

პირველი მკვიდრი კუნძულისა. რაო, რა თქვი, მცველო?

ლიკი. ისე, არაფერი... ჩემთვის წავილიდინე.

პირი. სარდალო, ამ პაპანაქება სიცხეში სიმღერა ჯანმრთელობას
ვნებს.

ლიკი. ვჩუმდები, კირი, ვჩუმდები!..

ქირი. რას ყბედობდა ხალხი?

მესამე მკვიდრი კუნძულისა. რას ყბედობდა და, ჩვენი კირი, დიდხანს გვიცოცხლონ ღმერთებმა, ცუდად იქცევა, როცა ანუ დაუინებით ითხოვს, გინდა თუ არა, მარგალიტები ინგლისელებს მოვცეთო.

ქირი. ძვირფასებო, ადგილობრივი ენა ხომ ვესმით? ინგლისელები ზარბაზნებით მოგვადგებიან, ქალაღზე კი მე მსჯელისხელთა მოწერილი.

პირველი მკვიდრი კუნძულისა. ხალხის მეგობარი კირი, ქალაღდს ხელი რომ მოაწერა, დაუფიქრებლად მოიქცა.

ქირი. საყვარელო, როგორ ფიქრობ, ცოტა უხერხული ხომ არ არის, აქაური უბრალო მცხოვრები კუნძულის მმართველს ასე რომ მოიხსენიებს?

პირველი მკვიდრი კუნძულისა. მიყვარს და ასე იმიტომ მოვიხსენიებ.

ქირი. მეც სიყვარულით გეუბნებით, რომ თქვენ... ღმერთები გფარავდნენ, მარგალიტები აქ უნდა მოიტანოთ!

მეორე მკვიდრი კუნძულისა. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ამას არასოდეს იზამს.

ქირი. მე კი გეუბნებით, რომ იზამს.

კუნძულის მკვიდრნი. არა, არასოდეს არ იზამს!

ქირი. იზამს.

კუნძულის მკვიდრნი. არ იზამს!

ქირი. ტოხონვა!

ტოხონვა. რას მიბრძანებთ?

ქირი. ცეცხლოვანი წყალი მოიტანე! (სვამს და ყვირის.) იზამს!..

პირველი მკვიდრი კუნძულისა. ასე თუ იყვირე, კისერზე ძარღვები დაგისკდება.

ქირი. არა, თქვენთან ლაპარაკის არაქათი აღარა მაქვს. რახან ასეა, მეც სხვაგვარად მოგექცევით. სარდალო! კეთილ ინებეთ და ამოკრეფილი მარგალიტები ახლავე აქ მოატანინეთ! წავალ, ჭილოფზე წამოვწვები, ცოტას დავისვენებ!

ლიპი. ესე იგი, ევ საქმე მე გადმომაბარე?

ქირი. დიან. (გაღის.)

ლიპი. გასაგებია... (სახელოებს იკაპიწებს.)

პირველი მკვიდრი კუნძულისა. რას აპირებ, გულადო უფროსო?

ლიპი. რას და, მინდა ეს მუშტი შიგ კბილებში გდრუზო, სახელოებსაც სწორედ ამიტომ ვიკაპიწებ!

პირველი მკვიდრი კუნძულისა. არ ვიცი, უნდა დავუჯერო თუ არა ჩემს ყურებს?! გაიგეთ, ძვირფასებო? კბილებში მინდა გდრუზოო! მე, კუნძულის თავისუფალ მკვიდრს! ამას ჩვენი გვარდიის უფროსი მეუბნება... ხედავთ, კბილების ჩამტვრევას მიპირებს...

მეორე და მესამე მკვიდრი კუნძულისა. ეკ-ჰე-ჰეე!..

ლიკი პირველ მკვიდრს კუნძულისას კბილებში მუშტს ხეთქავს. მეორე და მესამე მკვიდრი თავზარდაცემულები მიწაზე ჩაიკეცებიან.

ლიპი. მოიტანთ მარგალიტებს, უსათუოდ მოიტანთ!

მეორე და მესამე მკვიდრი კუნძულისა. დაცვა!
ლიპი. ჰო, დაუძახეთ, დაუძახეთ!
ტოხონბა. ეჰეი!

შემორბიან ზანგები.



ქართული
ბიბლიოთეკა

ლიპი. ჩაიყვანეთ ეს არამზადები დილეგში!
მეორე და მესამე მკვიდრი კუნძულისა. რა? ჩვენ?
სცენის მიღმა ისმის საშინელი ხმაური. გამოჩნდება კუნძულის
მკვიდრთა ბრბო. უკან კირი-კუკი და ფარა-ტეტე მოჰყვებიან.
კუნძულის მკვიდრნი. შეგვიშეით!.. კირი! სად არის კირი?
ტოხონბა. გაჩერდით!.. სად მიდიხართ?
ლიპი. უკან! უკან დაიხიეთ! როგორ ბედავთ მბრძანებლის ვიგვამ-
ში შეცვივნას?

მეოთხე მკვიდრი კუნძულისა. ლიკი, მოეშვი მაგ ლაპარაკს! მო-
რჩა, დამთავრდა მბრძანებელთა ვიგვამების დრო! აქეთ, მეგობრებო,
აქეთ!

მეორე და მესამე მკვიდრი კუნძულისა. ყარაულო!
პირველი მკვიდრი კუნძულისა. მეგობრებო, თქვენ უკვე იცით,
რაც მოხდა... მან...

ლიპი. ისევ მარგალიტები? მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ არ უნდა
დაემორჩილეთ თქვენს მიერვე არჩეულ კანონიერ მბრძანებელს! ეი!
მეოთხე მკვიდრი კუნძულისა. არაფითარი მარგალიტები! მარ-
გალიტები კი არა, უფრო საინტერესო რამ მოხდა. სად არის კირი?

კუნძულის მკვიდრნი. კირი! კირა!
ლიპი. ეშმაკმა დალახვროს, რა იყო, რა მოხდა?! შეწყვიტეთ ღრი-
ალი! ეი, ტოხონბა, გაწიე ეს ხალხი!

მეოთხე მკვიდრი კუნძულისა. რა იყო, რა ხელს იკვრევენებით!
კუნძულის მკვიდრნი. კირი! სად არის კირი!

პირი (გამოდის). რა ხდება?
კუნძულის მკვიდრნი (აღელვებით). აი, ისიც! აი, ისიც!
პირი. დიახ, მე ვარ. გამარჯობა, ძვირფასო მეგობრებო! ეს რა
ბევრნი ხართ! შესანიშნავია!

მეოთხე მკვიდრი კუნძულისა. კირი, შენთვის ახალი ამბავი
გვაქვს.

პირი. ჩემო მეგობრებო, მე უკვე მოვისმინე დღეს ახალი ამბავი...
გარდა ამისა, ახლა ძალიან მეძინება... მაინც რაშია საქმე?

მეოთხე მკვიდრი კუნძულისა. დღეს მარგალიტების მომპოვე-
ბელთა მეორე პარტიამ ყურეში რომ ჩაყვინთა... კირი, როგორ ფიქ-
რობთ, მარგალიტების გარდა რა ამოათრიეს იქიდან?

პირი. საინტერესოა!.. ალბათ კიბორჩხალები ან რაიმე უხეირო
ფარღული.

მეოთხე მკვიდრი კუნძულისა. არა, კირი, კიბორჩხალები არა,
წყლიდან ორი ღონემიხდილი კაცი ამოვიყვანეთ... აჰა, შეხედე! ძმებო,
გაიწიეთ! გაიწიეთ, ძმებო!

ადგილობრივმა მკვიდრებმა გაიწ-გამოიწიეს, წინ წამოდგებიან
კაი და ფარა. ჩამოწვება სამარისებური სიჩუმე.

ქირი (ტახტიდან ვარდება). ეშმაკმა დალახვროს!
ლიპი. აი სერიც ამას ჰქვია!

ქპი. გამარჯობა, კირი! გვიცანი?

ქირი (აკვირდება). არა... ჰმ... არა, ვერ გიცანით...

ფარა-ტიტი. ოჰ, შე გათახსირებულო!



ქუნძული

ქირი. როგორ ბედავთ მბრძანებელთან ასეთ დაბადებულს? (ლიკის ჩუმად.) მოამზადე გვარდია!.. მალე აქ დიდი აურზაური ატყდება.

ლიპი. ვიცი... ტოხონგა! ჰეი, ტოხონგა!

ქპი (გზას გადაუღობავს). უკან, მეგობარო, უკან!

ფარა. მაშ, ვერ გვცნობ, არა?

ქირი. მეცნობით, მაგრამ ვერ გინსენებთ... ვერ გამიხსენებია, სად ვნახე თქვენი პატროსანი, თქვენი გულდია, იდეოლოგიური თვალე-ბი და ფიზიონომია... ნეტავი სიზმარში ხომ არა?

ფარა. არამზადავ! უკანასკნელად აი აქ, ამ ადგილას გვნახე, ზუსტად იმ დღეს, რა დღესაც სიზი-ბუზის წინაშე გვასამართლებდნენ. (ლიკის.) შენც, ჯალათო!

ლიპი. ჰო, მაგრამ, მე ხომ უარს არაფერზე ვამბობ! შფოთისთა-ვებო, მე თქვენ მაშინვე გიცანით!..

ქირი. ვა! მაშ მე თვალეები სადღა მქონდა? არა, ნამდვილად სათ-ვალე უნდა შევიძინო. უკვე ორ ნაბიჯზეც ველარ ვხედავ!.. ეს ხომ კაი და ფარა-ტეტეა! ესე იგი, გადარჩით. ბედნიერებაა... დიდი ბედნიერე-ბაა! დიდება უკვდავ ღმერთებს!

ქპი. ძალღისშვილო!

ქირი. მე შენი არ მესმის, საყვარელო კაი-კუმ. რა გჭირს?! დაგა-ვიწყდა, როგორ ვიტანჯებოდით მე და შენ დილეგში. აი აქ, ამ ადგილას, სადაც ახლა შენი პატროსანი ფეხები გიდგას?

ქპი. თქვენ კი, თქვენ, დაბრმავებულო, უპირო ადამიანებო, ვინ აირჩიეთ თქვენს განმგებლად?

ქირი. სწორედაც ვინ! როგორც დიდი ჰამლეტი ამბობს — აი ეს არის საკითხავი!.. ლიკი, მოამზადე მშვილდოსნები!

ლიპი. ნუ აჭიანურებ, ჯობია ახლავე დავერიოთ... ტოხონგა, ტო-ხონგა! ეგ შუბი მე მომეცი!

ქპი. ვინ?! არამზადა, რომლის მსგავსი დიდი ღმერთების მიერ ქვე-ყნიერების შექმნის დღიდან არავის უნახავს! პროგოკატორი, სალახანა, ნამუსგარეცხილი!.. ძმებო! აი ამ არამზადად, ვინც თავი თქვენებური ბუ-მბულეებით შეიმკო, ზუსტად აი ამ ადგილას სასიკვდილო განაჩენი წავვი-კითხა. ამან, გესმით, აი ამ სინდისგარეცხილმა არაკაცმა მოგვატყუა, როცა იქ, სიმინდებში, თავი ხალხის მეგობრად და რევოლუციონერად მოგვაჩვენა. მაგრამ, მეგობარი კი არა, მეფე სიზის უანდარმია!

ქირი. ოი, ოი... რა საშინელებაა, რა მელის!

ქუნძულის მკვიდრნი. მოლალატეე!

ქპი. სიკვდილი მაგას!

ფარა. სიკვდილი, სიკვდილი საზიზღარ მკვლელს — ლიკი-ტიკის!

ლიპი. აბა, აბა! ცოტა ფრთხილად!.. მე, ძმაო, ასე არ დაგნებ-ღებით.

პირველი და მეოთხე მკვიდრი კუნძულისა. სიკვდილი, სიკვდილი მაგათ!

ქანი. დაგვნებდი, უკეთურო!
კუნძულის მკვიდრნი. დაგვნებდი!
ლიპი. წინ, გვარდიავ!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღირიუორი ნიშანს აძლევს — ისმის საყვირის ხმა. სცენაზე შემორბიან მშვილდით შეიარაღებული ზანგები. არის ერთი ფუსფუსი და აურზაური.

ქანი. ძმებო, თანამემამულენო! იარაღი აიღეთ!.. აიღეთ იარაღი!.. კუნძულის მკვიდრნი (ყვირილით მიმორბიან). იარაღი, იარაღი ავიღოთ!

ლიპი. ხედავ, ხალხის მეგობარო? ტოხონგა, ჩაკეტეთ ჭიშკარი! გვარდიელებო, მოეწყეთ!

ზანგები მესერს მიაწყდებიან.

პირი. ჩემო მტრედო, ლიკი, ჩემო ლამაზო, განდევნე, უკუაქციე! უნდა გავიქცეთ, ნავებთან მისვლა უნდა მოვასწროთ! ჩემო ერთგულ გვარდიელებო, იარაღი აღმართეთ! (შევარდება ვიგვამში, ჩემოდანს ხელს დასტაცებს და გამორბის.)

ლიპი. შენის აზრით, ჩემოდანი იარაღია? ნება იბოძე და მესერთან მიდი! შენ უნდა აჩვენო გვარდიელებს პირადი მაგალითი!

პირი. მირჩევნია აქედან ვაჩვენო ვაჟკაცობის პირადი მაგალითი... ღმერთო, ეს რა საშინლად ღრიალებენ!.. ვიგვამიდან...

ლიპი. საცოდაო მშიშარავ! შენი ბრაღია, შენა ხარ მიზეზი... კუნძულის მკვიდრნი (სცენის მიღმა). აქეთ, ამხანაგებო, აქეთ!

სიკვდილი მოლაღატე კირი-კუკის! მკვლელი დაჯილდოვდება!..

პირი. გესმის, რას ყვირიან? საშინელებაა, საშინელებაა, საშინელებაა!

ლიპი. ეგდე აქ, ბინძურო პირუტყვო! ტოხონგა, ჩაკეტილია ჭიშკარი?

ტოხონგა. დიას, გენერალო.
ლიპი. გვარდია, მოემზადეთ კუნძულის მკვიდრებზე თავდასხმისთვის!.. ზალპი, ზალპი მიეცით!

უცებ მესერზე კუნძულის პირველი მკვიდრი გამოჩნდება.

ლიპი. ცეცხლი!

ზანგები ისრებს ისვრიან.

პირველი მკვიდრი კუნძულისა (მკერდში ისარგარჭობილი). ვკვდები! (მესერიდან ვარდება.)

კირის ვიგვამში მინა ზრიალით იმსხვრევა.

პირი. ვაიმე, რა ხდება?

ლიპი. ეს შენი პირველი საჩუქარია, ხალხის მეგობარო — ფანჯარაში ქვა ისროლეს! ზანგებო, არ შეშინდეთ! ცეცხლი! (კირის ჩუმად.) არამზადავ, არ გაბუდო, გვარდიას არ დაანახვო, რომ გეშინია!

ქირი. საყვარელო ლიკი, მე ხომ სამხედრო საქმის სპეციალისტი არა ვარ. ახლა შენი რიგია. მე ვიგვამში შევალ და შემდგომი მოქმედების გეგმას მოვიფიქრებ. მითუმეტეს, რომ ექიმმა მკაცრად ამიკრძალა ნერვიულობა.

ლედი. თუთიყუშო, გახსოვს შენი კუნძული? მჩინუნუში
ზიზუნინიქა

სცენაზე კუნძულის მკვიდრთა ისრები ღრუბელივით შემოიჭრება.

პირველი ზანბი. ვაი, ვკვდები!

ლიკი. გაამხნევე გვარდიელები, ერთი-ორი სიტყვა უთხარი!

ჩამოიმსხვრევა მეორე მინაც.

ქირი. გვარდიელებო, ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთ! (ჩემოდანს გახსნის, შიგ ჩაჯდება და ჩემოდნიანად მიჩოჩავს.)

ლიკი. სალახანა!

ისრები ცვივა და ცვივა.

ფ ა რ დ ა

მეორე მოქმედების დასასრული

მესამე მოქმედება

სურათი პირველი

ლორდ გლენარვანის მდიდრული სასტუმრო ოთახი, გაწყობილი 60-იანი წლების გემოვნების მიხედვით. სასტუმრო ოთახის ფანჯრები სანაპროს გადაჰყურებს.

ლედი. თუთიყუშო, გახსოვს შენი კუნძული?

თუთიყუში იფოფრება.

ლედი. თუთიყუშო, კუნძულზე უკეთესია, არა? იქ ვირჩევნია, არა? გინდა, წახვიდე შენს კუნძულზე?

თუთიყუში. კუა...

ლორდი. პო, რაც შეეხება კუნძულს, მე და შენ ჩინებულად ვივაჭრეთ, არა, პატივცემულო სერ? ხომ ასეა?

პაპანელი. დიახ, შესანიშნავად...

ლედი. ის განსაცვიფრებელი მარგალიტი ახლაც თვალწინ მიდგას!.. როდის წამოვიღებთ? ველარ ვითმენ... პირდაპირ ველარ ვითმენ!

ლორდი. ერთ თვეში...

ლედი. ერთ თვეშიო, გესმის თუთიყუშო? ჩვენც წავალთ, მე და შენაც წავალთ. შენს მშობლიურ სანაპიროს ისევ ნახავ... ეპ, ნეტავ ვიცოდე, რა ხდება ახლა იქ? ო, შორეულს, იდუმალებით მოცულს კუნძულს... მაქრის თეთრი ნატეხივით რომ ბრწყინავ ოკეანის ლაყვარდოვანი აბრეშუმის ფონზე. ის ფაფარაყრილი ტალღები თუ გახსოვთ, ბატონებო?

ლორდი. მახსოვს, ჩინებულად მახსოვს...
 პასპარტიუ. იქ მართლაც არაჩვეულებრივი ტალღებია, თქვენო
 ბრწყინვალეზავ!
 ლორდი. პასპარტიუ, გადი, ამ ჯენტლმენებს შენი აზრები არ წინ-
 ტერესებთ.
 პასპარტიუ. მესმის, თქვენო ბრწყინვალეზავ.
 ლედი (ოცნებით). ჩვენთან კი საშინელი მოწყენილობაა... ლამის
 სული ამომხდეს... უჩვეულო თავგადასავლები მენატრება...
 ლორდი. უჩვეულოს ვერაფერს ვიტან.

კარზე ზარის ხმა ისმის

ლედი. ბეტსი, გააღეთ!
 ბეტსი (კარის გასაღებად მირბის, კარს აღებს და თავზარდაცემუ-
 ლი უკან-უკან იხევს). ვაი!
 ლორდი. რა მოხდა?
 ბეტსი. იქ... აი იქ...
 ლედი. ბეტსი, რა იყო, რა მოხდა? მაგ თქვენი ფოკუსების ვერა-
 ფერი გამიგია!
 ბატმირასი. რა ჯანდაბაა! წავალ, ვნახავ.
 გამოჩნდება გაოგნებული პასპარტიუ.
 კარი იღება, შემოდინან ლიკი, კირი და ტოხონგა. კირის ხელში ჩე-
 მოდანი უჭირავს, სახე შეხვეული აქვს. ლიკი კოჭლობს.
 ძირი. ბონ სუარ, თქვენო ბრწყინვალეზავ.
 ლორდი. რა ხდება? ვინ ხართ?
 ძირი. ლორდ, თქვენს წინაშეა ბედკრული კირი-კუკი კუნძული-
 დან.
 ლედი. ეს ხომ ის არის?!
 პაბანელი. ვფიცავ ეტუალის მოედანს, ეს ის ველურები არიან!
 ძირი. ზუსტად ასე გახლავთ, მუსიე პაგანელ. ეს ჩვენი მამაცი სა-
 რდალი ლიკია, ეს კი მისი ადიუტანტი ტოხონგა.
 ლორდი. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რა გნებავთ, რით გემსახუ-
 როთ?
 ბეტსი. ღმერთო ჩემო! ესენი ვინ არიან, პასპარტიუ?
 პასპარტიუ. ჩუმად, ახლავე გაიგებ.
 ძირი. კმ. აი, ვიისხედით, ვიისხედით კუნძულზე... მოგვეწყინა...
 ვიფიქრეთ, მოდი, ევროპაში გავისეირნოთ, ჩვენი ლორდი მოვიინახულო-
 თო. ამინდი მართლაც რომ ჩინებული იდგა. ჩავსხედით ნავებში და წა-
 მოვედით.

ლორდი განცვიფრებულია.

პაბანელი. ჯანდაბა! ველურები გვესტუმრნენ.
 ლედი. გახსოვთ, ჯერ ისევ კუნძულზე ვამბობდი, ეს კაცი არაჩ-
 ვეულებრივად გალანტური-მეთქი. რა საყვარელია!.. დაბრძანდით, ბა-
 ტონო.
 ძირი. მერსი... დაბრძანდი, ტოხონგა, ლორდი კეთილი კაცია.
 ლედი. ეს რა გჭირთ, რა დაგემართათ?

ქირი. ვიტკინე.

ლედი. საბრალო! რაზე იტკინეთ?

ქირი. ვულკანზე, დიდად პატივცემულ ლედი.

ლედი. მართლა? ალბათ ცეცხლოვანი წყალი დალიეთ?

ქირი. ეჰ, თქვენო ბრწყინვალეებავ, რას ბრძანებთ, დაღვინა?

ლორდი. ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდად სასწაშრეხრეხსტუმრად

რომ მეწვიეთ, მაგრამ, მე მეგონა, ისხდებოდით იმ თქვენს კუნძულზე და ზღვიდან მარგალიტებს ამოკრეფდით.

ქირი. ეე, თქვენო ბრწყინვალეებავ!..

ლედი. როგორ ბრძანდება თქვენი ჩასუქებული გულუხვი მეფე? სახელი დამავიწყდა, რა ჰქვია?

ქირი. აჰ, დიახ, სახელი... აბა რა!.. სიზი-ბუზი, ქალბატონო... აბა რა!.. იცით, მოგიკითხათ...

ლიქი (ჩუმად). კარგი ახლა, ნუ გაახურე, ცრუპენტელავ!

ქირი. იცით, ქალბატონო, დღევრძელობა გისურვათ.

ვაბანელი. როგორ თუ დღევრძელობა?! შემთხვევით, ხომ არ მოკვდა?

ლიქი. რა შემთხვევით! მოკვდა ბერიკაცი და ეგ არის!

ქირი. ეეჰ, თქვენო ბრწყინვალეებავ!..

ლორდი. ჰო, მაგრამ, რა მოხდა! ბოლოს და ბოლოს, თქვი, რა მოხდა?!

ქირი. საშინელება, თქვენო ბრწყინვალეებავ, საშინელება, საშინელება! ძვირფასო ლორდ, ნება მომეცით, ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვებ.

ლორდი. გელოდებით...

ქირი. თავს უბედურება დაგვატყდა!

ლედი. აჰ!

ქირი. კუნძულზე რომ იყავით, ვულკანი ხომ შენიშნეთ?

ლორდი. არა, არ მახსოვს.

ქირი. რას ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, ის უზარმაზარი ვულკანი როგორ ვერ შენიშნეთ? აგერ აქ მეფის ვუგვამი დგას, მის უკან კი ვულკანი მუანგანამია, არაჩვეულებრივად დიდი, უზარმაზარი.

ლორდი. მართლა?

ქირი. კოლოსალური... თავზე ნახვრეტი აქვს.

ლორდი. ეგ წვრილმანები რა ეშმაკად მჭირდება!

ქირი. მაშასადამე ვულკანი... ოჰო-ჰო-ჰო!

ყველანი. მერე?

გეტირასი. სტუმარო, დაგვცინი თუ რა?.. ძვირფასო ლორდ, ნება მომეცი, თავში ერთი მაგარი წამოვარტყა, რათა დროზე ამოშაქროს სათქმელი.

ლიქი. მოყევი, დალახვროს ეშმაკმა!

ქირი. აჰ, ისე ვღელავ... მაშ ასე... ვიგვამი, არა, ვიგვამი კი არა, ვულკანი... საშინელებაა! საშინელებაა! საშინელებაა! და აი, თქვენო ბრწყინვალეებავ, ერთ მშვენიერ ღამეს ძლიერი ამოფრქვევა მოხდა, მბრძანებლის ვიგვამი ლავამ მთლიანად დაფარა...

ლედი. ო, რა საინტერესოა!

ქირი. ... და ჩვენი მეფე სიზი-ბუზი დაიღუპა.

ლორდი. გასაგებია. კუნძულს ახლა ვინ განაგებს?

ქირი. ლორდ, ვაი, რომ თქვენს წინაშეა მეწამული კუნძულის ბედ-
კრული მბრძანებელი — კირი-კუკი პირველი.

ლედი. ოი, თქვენ მეფე ხართ?

ლორდი. ჰო, მაგრამ, ევროპაში რისთვის ჩამოხვედით?

ქირი. თქვენო ბრწყინვალეზავ, კუნძულზე ჩემი გამოჩენა ახლა
შეუძლებელია!

ლიქი. მით უმეტეს იქ ახლა შავი ჭირი მძვინვარებს.

ყველა. როგორ თუ შავი ჭირი?!

ქირი. საშინელებაა! საშინელებაა! ორმა მაწანწალამ, კაი-კუმმა
და ფარა-ტეტემ კუნძულის მკვიდრთა ურდოები ააჯანყა. ამბოხებულ
მონათა აურაცხელმა ურდომ ვიგვამს შეუტია, ჩვენ კი გადარჩენილ
გვარდიელებთან ერთად თავს ძლივს ვუშველეთ. საშინელებაა! საში-
ნელებაა! საშინელებაა!

ლორდი. ეშმაკმა დალახვროს! მაინც ვის ხელშია ახლა კუნძული?

ქირი. ვისი და, ბოროტმოქმედი კაი-კუმისა და ფარა-ტეტეს ხე-
ლში.

ლორდი. როგორ? ძვირფასო სერ, ხედავთ, რა სარფიანად გვი-
ვაჭრია?

პაპანელი. თავზარდაცემული ვარ, ლორდ, პირდაპირ თავზარდა-
ცემული ვარ! მოიცა, მოიცა, ჩვენს მარგალიტებს ხომ მოგვცემენ?

ქირი. ვაი, რომ, ძვირფასო ჯენტლმენებო, სწორედ მაგით დაიწყო
ყველაფერი. ადგილობრივმა მკვიდრებმა გამოგვიცხადეს, მარგალიტებს
არავითარ შემთხვევაში არ მივცემთო!

ლედი. როგორ თუ არ მივცემთო? მერედა ჩვენი მარგალიტები?
ფული ხომ გადავიხადეთ? ლორდ, თქვენ ამას არ დაუშვებთ!

ლორდი. დიას, რა თქმა უნდა.

პაპანელი. ო, არა! თანახმა არა ვრ. ამას... ამას ხომ შარავის
ყაჩაღობა ჰქვია!..

ლორდი. სად არის თქვენი გვარდია?

ქირი. აქ არის, თქვენო ბრწყინვალეზავ!

ლიქი. ბიჭებო, შემოდით!

ყველა ფანჯრიდან და კარიდან თავპირისმტვრევით შემოდიან ფა-
რებით და შუბებით შეიარაღებული ზანგები.

ლედი და ბეტსი აქეთ-იქით წივილ-კივილით გარბიან.

ლორდი.

პაპანელი.

ბატმარასი.

ო, ეს რა ჯანდაბაა!

ლიქი. სმე-ნაა!

პაპანელი. უჰ, ეშმაკმა დალახვროს!

ლორდი. დაადეთ თავი და ჩემთან ჩამოხვედით?

ზანგები (გამაყრუებლად). დიას, თქვენო ბრწყინვალეზავ!

ლორდი (თავზარდაცემული). გმადლობთ!

ზანგები. თქვენს სამსახურში გვიგულეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ!

ლელი. ღმერთო ჩემო, რა საშინლად ყვირიან!

ლორდი. უბრძანეთ, ასე ნუ...

ლიპი. ჩუუ-მად!

ზანბზბი. ჩუმად ვართ, თქვენო ბრწყინვალეებავ!

პირი. აი, ძვირფასო ლორდო! აი ის, რაც სასწაულებრივი სიზმარივით შემომრჩა! საშინელებაა! საშინელებაა! საშინელებაა!

ლორდი (გონს მოსული). თქვენო უდიდებულესობავ, კეთილ ინებეთ და ამიხსენით, რამდენი ხნით ჩამოვიდა ეს ხროვა... ანუ გვარდია?

ლიპი. სამუდამოდ...

ლორდი.

პაპანელი.

რა?!

ბატმრასი. უჰ, შენი!

პირი. დამნაშავე ვარ, ლორდო, დიას, დამნაშავე ვარ. შენ კი, ნუ ჩქარობ, მამაცო მხედართმთავარო ლიკი!.. არა, ძვირფასო ლორდ, ჩვენ მხოლოდ ცოტა ხნით ჩამოვედით. იმისთვის, რომ კუნძულზე დაბრუნება შეეძლოთ, იმედი გვაქვს, დახმარებას გაგვიწევთ, როგორც სამხედრო, ისე მატერიალურ დახმარებას.

ლორდი. აა, მივხვდი. თუ ასეა, ახლავე დაბრუნდით... კაპიტანო!

პირი. არა, ლორდ, არა!.. როგორც უკვე მოგახსენეთ, კუნძულზე შავი ჭირი მძვინვარებს. ვიდრე არ ჩაცხრება, წასვლაზე ფიქრიც შედემა.

ლორდი. რაც დრო გავა, უარესი იქნება.

პაპანელი. სულ რაღაც უშლით ხელს!.. რა, ფილთაქვა?

პირი. დიას. ფილთაქვა.

პირი. ადგილობრივ მკვიდრებთან ბრძოლის შემდეგ კუნძულზე გვამების გორა დადგა. ის საშინელი შავი ჭირიც სწორედ იმ გვამების ხრწნას მოჰყვა.

ლორდი. მაგრამ, მიბრძანეთ, ვინ უნდა არჩინოს ეს ხალხი? ფული გაქვთ? გაქვთ სურსათ-სანოვაგე?

პირი. უჰ, უჰ, უჰ! რომელი სურსათ-სანოვაგე, ლორდ, ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ, ცოცხლებმა რომ გამოვალწიეთ.

ლორდი. როგორ, გამოდის, რომ მე უნდა ვკვებო მთელი თქვენი ურდო? რას იტყვი, მუსიე პაგანელ, ძალიან მომგებიანი გარიგება გამოგვივიდა, არა?

პაპანელი. ჰო, რა თქმა უნდა...

პირი. ძვირფასო ლორდ, თუ კი რამ კეთილშობილი გრძნობა გაგაჩნიათ, როგორც ადამიანს და როგორც მოქალაქეს, გთხოვთ, გემუდარებით... გარდა ამისა, პატივცემულო ლორდო, გარწმუნებთ, რომ კუნძულიდან ვერასოდეს ვერაფერს მიიღებთ, რაიმე ძალამ ისევ კუნძულზე თუ არ დაგვამკვიდრა.

ლორდი (პაგანელს). თქვენ რაღას იტყვით ამაზე, მუსიე პაგანელ?

პაპანელი (ჩუმად). ზანგების მეფე გონივრულად მსჯელობს, რას იზამ, მოგვიწევს მთელი ამ კომპანიის მიღება და შენახვა. მაგრამ, როგორც კი მათი ის შავი ჭირი ჩათავდება, კუნძულზე ხომალდი გააგზავ-

ნეთ, იქ კირი-კუკი, ეს ძალიან ჭკვიანი, საზრიანი ზანგი დაამკვიდრეთ და მაშინ იმ ჩვენს მარგალიტებსაც მივიღებთ. ვფიცავ კომიკურ ოპერას, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ბატერასი. მზად ვარ, პოლონური მარკის წილ ნაილეგში ვაშინგტონური დოლარი დავდო, ფრანგი ჯენტლმენი ასი პროცენტით მართალია!



ლორდი. მოდით, მე და თქვენ სანახევროდ ვკვებოთ!

პაბანელი. კი, ბატონო, თანახმა ვარ.

ლორდი. იეს! მომეცით ხელი.

პაბანელი. გარდა ამისა, მუქთად რომ არ ვაჭამოთ, შეგვიძლია აქ ვამუშაოთ კიდევაც.

ლორდი. იეს! ჭკვიანი კაცი ხართ! მოკლედ, ვღებულობ თქვენს ამ წინადადებას.

ქირი. ო, კეთილშობილო გულო! სერ, თქვენი მაღალი ზნეობისა და სათნოებისათვის ცაში მიიღებთ ჯილდოს. ერთგულო გვარდიელეზო, ლორდი ჩვენს მასპინძლობას კისრულობს!

ზანბუბი. უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ!

ლორდი. წყნარად! ყვირილის გარეშე! მაგრამ გიცხადებთ, რომ თქვენ აქ მუშაობა მოგიწევთ. რაც მთავარია, წესიერად უნდა მოიქცეთ. პირველ რიგში კი, კეთილინებეთ და დაყარეთ იარაღი.

ლიპი. რა?

ლედი. ო, რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! ედვარდ, ვიდრე ესენი ამ საშინელი შუბებით არიან შეიარაღებულები, წუთითაც ვერ მოვისვენებ!

ლიპი. კირი, გესმის? ამას უნდა იარაღი ჩამოგვართვას. ნება მომეცით, მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ეს შეუძლებელია. თქვენ თვითონ განსაჯეთ, აბა რაღა გვარდია იქნება, დასწყევლოს ეშმაკმა, იარაღს თუ აპყრით! საკითხავია, კუნძული როგორღა უნდა დავიპყროთ უიარაღოდ?

ქირი. ნუ კამათობ, გეთაყვა.

ლიპი. შენ რა, დამცინი?

ბატერასი. ოჰ-ოჰ... თქვენო ბრწყინვალეზავ... გაჩუმდით!

ისმის ზანგების დრტვინვა.

ლორდი. კაპიტანო, მოუხმეთ მატროსებს!

ტოხონბა. ესეც შენი მეგობრული ვიზიტი!

თუთიყუში. დასცხე მაგას, დასცხე!

მოულოდნელად პულტთან დირიჟორი გამოჩნდება. ორკესტრში უცებ სინათლე ინთება.

ბატერასი. ლორდ, ახლავე, ამწუთასვე ეკიპაჟი აქ იქნება.

ორკესტრში ჯერ საყვირის ხმა ისმის, მერე მარშის... ისმის მწყობრი ფეხის ხმა.

ლედი. ედვარდ! დაბეჯითებით გთხოვთ, არ ისროლოთ... ოღონდ არ ისროლოთ! ეს საშინელებაა! ბეტსი, ბეტსი! სად არის ჩემი ოდეკოლონი?

ბეტსი. ახლავე, ლედი.
 ძირი. ძმებო, დაემორჩილეთ! რას აკეთებთ!
 ლიპი (კირის). ეშმაკმა დასწყევლოს, თუ გინდა, შენ თვითონ და-
 იპყარი კუნძული შეუიარაღებელი ჯარით!



კედლები იხსნება, გამოჩნდება შეიარაღებული მატროსების მწყრი-
 ვები.

ტონონბა. ესეც ამათი სტუმარ-მასპინძლობა! ძალა აღმართს
 სნავს! დაყარეთ შუბები!
 ზანბები. ეე-ჰე-ჰეე...
 ბატერასი. ერთი!

ისმის საყვირების ხმა.

ლედი. გემუდარებით, არ ისროლოთ.
 პაბანელი. ევროპას არ უყვარს ჯანყი. დაყარეთ იარაღი, თორემ —
 ბაახ... ბაახ!..
 ბატერასი. ორი!

! ზანგები შუბებს ყრიან.

პაბანელი. კეთილი.
 ლედი. მადლობა ღმერთს!
 ლორდი. არა, სარდალო! იმ სკანდალისთვის, რაც აქ ჩამოსვლის-
 თანავე მოაწყეთ, თქვენ ყველანი უნდა დაისაჯოთ. მთელი ერთი კვირა
 ცარიელ ბრინჯზე იჯდებით, ცხელ კერძს ვერ იგემებთ.

ისმის ზანგების კვნესა.

ლორდი. თქვენ კი სარდალო, იმის გამო, რომ თავს უფლება მი-
 ეცით და შეგვეკამათეთ, სასტიკად გსჯით. ყველანი ქვის სამტვრევში
 წაიყვანეთ. ვიდრე აქ იქნებიან, ქვის სამტვრევში იმუშავებენ.
 ლიპი. თქვენო აღმატებულება! რატომ? რისთვის? (კირის.)
 შენთვის კი, ეშმაკის მოციქულო, დიდი მადლობა მომიხსენებია.
 ძირი. ხომ გეუბნებოდი, ნუ ეწინააღმდეგები-მეთქი!

ორ მატროსს გაჰყავს ლიკი.


ბატერასი. ახლა კი თქვენი რიგია, ბატონებო, იარ!

მატროსებს ზანგები ბადრაგით გაჰყავთ.

ტონონბა. ახია ჩვენზე, მოუხდება ჩვენისთანა სულელებს!
 თუთიყუში. მოუხდება თქვენისთანა სულელებს!
 ძირი. ძალიან სწორად მოიქეცით, თქვენო ბრწყინვალება! ხელი
 მაგრად თუ არ ჩასჭიდეთ, შიშსა და მორჩილებაში თუ არ იყოლიეთ...
 ლორდი. ძალიან საზრიანი მმართველი ხართ. მე ამას ახლა უკვე
 ვხედავ.
 პაბანელი. ჰო, ჭკვიანია ეს თეთრი ზანგი. ესმის საქმის ვითარება.
 ძირი. თქვენო ბრწყინვალება, მესმის, როგორ არ მესმის. მად-
 ლობა ღმერთს, ევროპაში ნამყოფი ვარ.

ლორდი. თქვენ ჩემთან დარჩებით საცხოვრებლად, ჩემი სტუმარი იქნებით!

ქირი. სასიამოვნოა, ძალიან სასიამოვნოა. (პასპარტუს.) სირჩა კონიაკი დამისხი!



პასპარტუსი. ახლავე. (აწვდის.)

ქირი. ვოტრ სანტე, მადამ! მაშ ასე, ნება მომეცით, ღირსეულად წარმოვთქვა. ვადღეგრძელებ მის ბრწყინვალეობას — ლორდ ედვარდ გლენარვანსა და მის მომხიბვლელ მეუღლეს.

ლედი. მერწმუნეთ, საოცრად გალანტური მამაკაცია! ბეტსი, ცხვირსახოცი მომეცით. ბეტსი! აჰ, როგორი უყურადღებო ხართ, ბეტსი!

ბეტსი (თავისთვის). პრანჭია! (ხმამალლა.) ინებეთ, ლედი.

ქირი. კუნძულის დამორჩილებას და ლორდ გლენარვანისა და მუსიე პაგანელის მიერ გაღებული ხარჯების მშვიდობიან დაბრუნებას ვაუპირდები! ვაშაა!

პაგანელი. ხედავთ, თურმე ველურსაც შეუძლია დიპლომატობა. სერ, ვფიცავ პალე-როიალს, საპასუხო სადღეგრძელო თქვენც უნდა წარმოთქვათ.

ლორდი. იეს. (ნიშანს აძლევს ორკესტრს.) მე ვსვამ კუნძულზე მისი კანონიერი მმართველის — კირი-კუკი პირველის მშვიდობიანი დაბრუნების სადღეგრძელოს!

ქირი (აღტაცებულია). ვაშაა!

თუთიყუში. ვაშაა! ვაშაა! ვაშაა!

მუსიკა.

ფარდა

სურათი მეორე

საღამო ლორდ გლენარვანის სახლში. ბეტსი ბუფეტთან ფინჯნებს წმენდს.

ქირი (ევროპულ კოსტიუმში). ბეტსის მიეპარება და თვალებზე ხელს აფარებს.

ბეტსი. ვაიძე! (ფინჯანი ხელიდან უვარდება და ტყდება.)

ქირი. ჩემო ტურფავ, აბა გამოიცანი ვინა ვარ?

ბეტსი. ამ სულელური ხუმრობის ავტორის გამოცნობა ძნელი არ არის... ბატონო, კეთილინებეთ და თავი დამანებეთ.

ქირი. საყვარელო, სულაც არ შეცდები, „თქვენო უდიდებულესობას“ თუ მიწოდებ!

ბეტსი. თქვენო უდიდებულესობავ, ხელით ნუ მესხებით!

ქირი. ჩუმად!

ბეტსი. არ გავჩუმდები... განგებ ვიყვირებ ლედის გასაგონად!

ქირი. ჩუმად!

ბეტსი. კუნძულელო სერ, თავი ნუ მომაბეზრეთ, ასე რას გადამეკიდეთ! იქნებ მითხრათ, ლედის გატეხილ ფინჯანზე პასუხს ვინ აგებს?

ქირი. ვინ და, თქვენ.

ბეტსი. რა?

ქირი. ვითომ რატომ გიკვირს? შენ არ გაგივარდა ხელიდან?

ბეტსი. იცით, რას გეტყვით, სერ, თქვენ ისეთი სალაშანა ბრძანდებით, ისეთი!..

ქირი. ბეტსი, დაგავიწყდათ, ვის ელემენტარობით? როგორ მიბედავთ!

ბეტსი. არა, არ დამვიწყებია! ვის და, საეჭვო ვიგინდარას.

ქირი. აჰ, ასე, არა? მეწამული კუნძულის მბრძანებელს ჰკადრებ, არა, ასეთ სიტყვებს!.. იცოდეთ, ძვირად დაგიჯდება, ძვირფასო ფისუნია!

ბეტსი. თქვენი სულაც არ მეშინია. ის კი არა, მეზიზღებით კიდევაც! თქვენ აქ ლორდთან დიდ განცხრომაში ხართ, თქვენს ამხანაგებს კი ქვისსამტვრევში მუშაობით სული სძვრებათ!.. თქვენ მათ საზიზღრად მოექცით... მომწყდით თავიდან, არამზადავ!..

ქირი. აბა, აბა!

ლედი (უცებ შემოდის). ვაი!

ქირი. ჰმ... რაო, რაზე შევჩერდი? ჰო, გატეხილ ფინჯანზე... ტყუილად გარბინართ, ძვირფასო ბეტსი, ტყუილად ცდილობთ დანაშაულის დამალვას. არ შეიძლება, არ შეიძლება ჭურჭლის ასე მტვრევა!..

ბეტსი. ო, შე უნამუსო კაცო!

ლედი. რა არის, რას ნიშნავს ეს, თქვენო უდიდებულესობავ? მოახლეებს დასდევთ?

ქირი. უკაცრავად, პატივცემულო ლედი, ამ ტურფა ფამ დე შამ-ზრმა ერთი თქვენი ფინჯანი გატეხა და მხილება რომ დავუპირე, გაქცევა სცადა...

ლედი. როგორ?! ჩემი ფინჯანი? ჩემი საყვარელი ფინჯანი? მარია ანტუანეტასეული ცისფერი ფინჯანი?... ო, ღმერთო!

ბეტსი. ქალბატონო!..

ლედი. არ გაბედო, სიტყვა არ შემაწყვეტინო! თქვენი საქციელი აუტანელია! მხოლოდ იმას სჩადით, რომ ყველაფერს ამტვრევთ!

ბეტსი. ქალბატონო, ნება მომეცით...

ლედი. ხედავ, ენას მაინც არ აჩერებს, ნერვებს მიშლის! საშინელებაა, ეს საშინელებაა! სად არის ჩემი საყვარელი მარტილის ფლაკონი?... აჰ...

ქირი. ბეტსი, როგორ არ გრცხვენიათ, თქვენს კეთილ დიასახლისს ნერვებს რატომ უშლით? საშინელებაა, საშინელებაა, საშინელებაა!

ბეტსი. იცით, სერ, ისეთი არამზადა ხართ...

ქირი. ხედავთ, ლედი?

ლედი. ჩემი მოთმინების ფიალა აივსო, საკმარისია. ჩემს სახლში უკმეხი ადამიანის ატანა აღარ შემიძლია, გაეთრიე!.. წადი აქედან! აი თქვენი პასპორტი. ათი შილინგი გეკუთვნით? კი ბატონო... მაგრამ იმ ათი შილინგიდან ათს გატეხილ ფინჯანში გიქვითავთ. ანუ თქვენ გერგებათ... სერ, რამდენი ერგება?

ქირი. ახლავე... ნუღს რომ გამოვაკლოთ ნული უდრის ნუღს. ერთს გამოვაკლოთ ერთი უდრის ნუღს. ლედი, არა, არაფერი ერგება.

ლედი. გაეთრიე აქედან!

ბეტსი. გმადლობთ, დიდი მადლობა. (გადის ქვითინით.)

შემოდინ პაგანელი, ლორდი და გატერასი.

სუფლიორი (რიხიანად). საუცხოო ამინდია.

პაგანელი. საუცხოო ამინდია, ლედი. თავს უფლებას ვაძლევ და ვბედავ, ეტლით პატარა გასეირნება შემოგთავაზოთ.

ლედი. სიამოვნებით. მით უმეტეს, დღეს ისე გავნერვიულდეთ, თუ შეგიძლიათ. მი მოახლე ბეტსი გავაგდე, ლორდ... პირდაპირ აუტანელია ლორდი. არაუშავს, ძვირფასო, სხვას მოვძებნით.

ლედი. მაგრამ, ინებებს თქვენი უდიდებულესობა გასეირნებას?

პირი (კირის). ავეკ პლეზირ, მადამ, ხელი მომეცი.

ლორდი. პასპარტუ! უბრძანე ცხენები შეაბან. ამ მთვარიან ღამეში ცოტას გავისეირნებთ ესპლანდიზე!

პასპარტუ. დიას, სერ!

ყველა გადის. სცენა ერთხანს ცარიელია. ესპლანდიდან მუსიკის ხმა ისმის. გამოჩნდება ბეტსი ბოლჩით ხელში.

ბეტსი. აი, მთელი ჩემი ქონება აქ არის. რა ვქნა, სად წავიდე? სად გადავიკარგო? მშვიდობით ციხე-დარბაზო! ჩემმა გულბოროტმა ქალბატონმა გამომაგდო. მხოლოდ ისლა დამრჩენია, წავიდე და სანაპიროდან პირდაპირ ოკეანეში გადავეშვა...

ტონონბა (გამოჩნდება უცებ ფანჯარაში). ბეტსი! ბეტსი!

ბეტსი. აჰ, ღმერთო ჩემო! ეს შენ ხარ, ტონონბა?

ტონონბა. მე ვარ, ძვირფასო! (ფანჯარაში გადმოძვრება.) მარტო ხარ?

ბეტსი (მოწყენით). დიას.

ტონონბა (ეხვევა). ო, ჩემო ფასდაუდებელო ბრილიანტო! რა იყო, რა მოხდა, რატომ იტირე, ჩემო საყვარელო?

ბეტსი. ეჰ, ტონონბა, ეს-ესაა გლენარვანმა სახლიდან გამაგდო. ახლავე ციხე-დარბაზი უნდა დავტოვო.

ტონონბა. როგორ, სამუდამოდ?

ბეტსი. ჰო, სამუდამოდ, მაგრამ, არ ვიცი სად წავიდე, წასასვლელი არსად არ მაქვს.

ტონონბა. რატომ? რატომ გაგაგდო?

ბეტსი. ეს კირი-კუკია თუ ვილაც, რა ხანია მოსვენებას არ მაძლევს, ექარშიყება. დღეს უცებ მომეხვია, მე კი ხელიდან ფინჯანი გამივარდა და გავტეხე...

ო, ეგ სინდისგარეცხილი! მე შენ გიჩვენებ გაქნილო გაიძვერავე, ლორდის ქვის სამტეხლოში ჩვენო გამრეკო, „კუნძულის მკვიდრთა ძმავ და მეგობარო“, მალე შენი დროც დადგება!

ბეტსი. საბრალო ტონონბა! ახლა ვინლა გამოგკვებავს? ვიდრე კუნძულზე იქაურებთან საბრძოლველად წაგიყვანენ, ხომ სული ამოგძვრა ქვის იმ სამტეხლოში. შენ იქნებ იქ დახლო თავი, მე კი... მე კი თავშესაფარს ოკეანის ტალღებში ვპოვებ.

ტონონბა. რას ამბობ, ძვირფასო! მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად იქნება. მომისმინე, ახლა აქ მარტონი ვართ მე და შენ?

ბეტსი. ჰო, სახლში არავინ არ არის.

1. ესპლანდი — მოედანი რაიმე შენობის წინ, სასეირნო გაშლილი ადგილი. (მთ.)

ტოხონბა. გიყვარვარ?

ბეტსი. მიყვარხარ, ტოხონგა, მიყვარხარ!

ტოხონბა. ო! (ეხვევა.) მომისმინე, ჩემო საყვარელო, გინდა, ჩემი მძიმე ხვედრი გაიზიარო?

ბეტსი. დიას, რა თქმა უნდა.

ტოხონბა. მაშინ, მოდი, კუნძულზე გავიქცეთ.

ბეტსი. კი მაგრამ, როგორ?

ტოხონბა. ქვისსამტეხლოში გლენარვანების ზედამხედველთა მათრახქვეშ ამდენი შიმშილის ატანა აღარ შემიძლია. ამ ბოლო დროს ერთი საინტერესო გეგმა მოვიფიქრე. სანაპიროზე ძრავიანი ნაფი შევიგულე. შესანიშნავი ნაფია... მთვარე რომ ჩავა, კარგად რომ ჩამობნელდება, კლიტეს გავტეს, ნავს ავუშვებ და ზღვაში გავალ. მიჯობს ოკეანის გადაცურვა მილიონჯერ გავრისკო დანჯღრეული ნავით, ვიდრე მთელი ცხოვრება აქ მონობაში გავატარო.

ბეტსი. იქ ხომ მოგკლავენ!

ტოხონბა. არა, დარწმუნებული ვარ, ხელსაც არ მახლებენ, იქაურები კეთილი ხალხია. მე კი მათ წინაშე მხოლოდ ერთ რამეში ვარ დამნაშავე. გვარდიაში რომ ვმსახურობდი, მათ წინააღმდეგ წავედი. მაგრამ მაშინ ბრმა ვიყავი. ასლა კი, როცა ჩემს თავზე გამოვცადე მონობა რას ნიშნავს, ყველაფერს მივხვდი... ცოდვებს მოვინანიებ, ვიცი, მაპატიებენ. მერე მე და შენ ვიგვამს ავიშენებთ და ვიცხოვრებთ ტკბილად და გემრიელად ჩემს სამშობლოში, სადაც არც ქვის სამტეხრეები და არც ლედი გლენარვარები არიან.

ბეტსი. აჰ, ტოხონგა! მეშინია... კუნძული ხომ ჩემთვის უცხოა.

ტოხონბა. მალე მიეჩვევი. იქ ისეთი მზეა, ისეთი ცაა! მთელი დამე ოკეანის შრიალი ისმის, ტალღებს დგაფა-დგუფი გააქვს. ისეთი სითბოა, შეგიძლია ღამით შიმველ მიწაზეც კი დაიძინო... ბეტსი, გავიქცეთ!

ბეტსი. თანახმა ვარ, გავიქცეთ.

ტოხონბა. ო, ჩემო მშვენიერო! (ეხვევა.)

ლიპი (უცებ ფანჯარაში გამოჩნდება სახეშეშლილი და ჩამოსხეულ-ჩამოგლეჯილი). სად არის ის კატარლა?

ბეტსი. ვაი!

ტოხონბა. ეტყობა, ყურს გვიგდებდნენ. ვინ ხარ? ო, ღმერთო, ეს ხომ ლიკი-ტიკია! ყურს გვიგდებდი?

ლიპი. რა თქმა უნდა.

ტოხონბა (დანას დააძრობს). მაშინ მოკვდი! ვერ გაიტან ჩემს საიდუმლოს ამ ოთახიდან, ხელს ვერ შემიშლი გაქცევაში! (მივარდება დანით ლიკის.)

ბეტსი. ტოხონგა, გონს მოდი, რას აკეთებ, რას სჩადი!

ტოხონბა. ხელს ნუ მიშლი! დაგვლუპავს!

ლიპი (ხელიდან დანას გამოსტაცებს). ჯანდაბამდე ვზა გქონია მაგ შენი დანიანად. ქალიშვილო, დააშოშმინეთ თქვენი საქმრო!

ტოხონბა. რა გინდა ჩემგან, მამაცო ლიკი?

ლიპი. უპირველეს ყოვლისა, ის მინდა, რომ იდიოტი არ იყო. და-ჯექი.

ტოხონბა. ნუთუ გვილატებ, ლიკი? ეჰ, ყველაფერი დაი-ლუპა!

ლიპი. არა, სულ გადაირია! დაჯდები თუ არა? ხმას ნუ იღებ!..

რომ გეუბნებიან, დაჯექი!

ბეჭსნი. რას უპირებთ? იცოდეთ, ვიყვირებ!

ლიპი. ახლა შენლა მაკლდი... გაჩუმდი და დაჯექი!..

ქალიშვილო! (ტოხონგა და ბეჭსნი შეშინებულები სხდებიან.)

სად არის კატარღა?

პარდონ,
მიპასუხე,
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭსნი. უპასუხე, ტოხონგა!

ტოხონგა. მაგრამ, ლიკი, შენ თუ...

ლიპი. როცა გელაპარაკებიან, გაჩუმდი! სად არის კატარღა?

ტოხონგა. ფანჯრის ქვეშ დგას.

ლიპი. გასაგებია. შეშა არის?

ტოხონგა. დიას, საკმარისია.

ლიპი. ნამდვილი ღორი ხარ!

ბეჭსნი. კი მაგრამ, რატომ შეურაცხყოფთ?

ლიპი. იმიტომ, რომ სხვებზე არ იფიქრა... იმიტომ, რომ მასთან

ერთად ქვის სამტვრევში მისი უშუალო უფროსი და მეგობარი იტან-

ჯება, ვისაც არაერთხელ უბრძოლია მის მხარდამხარ.

ტოხონგა. ლიკი, რომ მცოდნოდა, შენ აქ კეთილი განზრახვით...

ლიპი. მოკლედ, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ.

ტოხონგა. ლიკი! (გადაუხვევია.)

ლიპი. მომწყუდი თავიდან.

ტოხონგა. მოიცა, ლიკი, იმაზე თუ იფიქრე, კუნძულის მკვიდრ-

ნი როგორ შეგხვდებიან?

ლიპი. ნუ ღელავ... ვიფიქრე. მაშ ასე — სურსათის საქმე რო-

გორაა?

ტოხონგა. ცუდად, ლიკი, სურსათი არ არის.

ლიპი (იღებს ბუფეტს და მთლიანად გადასცემს ტოხონგას.) ნავში

ჩატვირთე იარაღი? იარაღი სადა აქვს ლორდს?

ბეჭსნი. აგერ, აქ... კარადაში.

ლიპი. ესეც ასე! (იღებს კარადას და ფანჯრიდან ტოხონგას გა-

დააწვდის.) ფრთხილად, იარაღია.

ბეჭსნი. ღმერთო, რა ღონიერი ხართ... ჰო, მაგრამ, ლორდი რას

იტყვის?

ლიპი. ჩუმად!.. პარდონ, მადმუაზელ... რას იტყვის? რა უნდა

თქვას, მძარცველია. ის ერთი უშველებელი მარგალიტი, რომელიც კუ-

ნძულიდან აწაპნა, გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მთელი ეს ხარახურა.

(ფანჯრიდან ტოხონგას სავარძელს, მაგიდას, ფარდასა და სურათებს

უყრის.)

ბეჭსნი. თქვენ... თქვენ შესანიშნავი ადამიანი ხართ...

ლიპი. ჩუმად!.. არის კიდევ რაიმე? ხომ არაფერი გვრჩება?

თუთიყუში. არ დაგვრჩეთ... მე არ დაგვრჩეთ!

ლიპი. უპ, ჩემო მეგობარო! არ დაგვრჩები! არც შენ არ დაგვრჩე-

ბი! აჰა, გამომართვი, ტოხონგა! (ტოხონგას თუთიყუშის გალიას ფანჯ-

რიდან აწვდის.) ფანჯრის ქვეშ სასმელი წყლით საფსე კასრია, არ და-

გაეიწყდეს!

ტოხონგა (ფანჯრის გარეთ). დიას, დიას...

ლიპი. მობრძანდით, ქალიშვილო. (ბეტსი ხელში აყავს და ფანჯარაში აწვდის ტოხონგას.)

ბეტსი. აჰ!

ლიპი. ჩუმად, რომ გელაპარაკებინ... ჰო, მართლა... ახლა ბარათს მივხედოთ... (ბარათს წერს და დანით კედელზე ამჯერებს.)

ოთახში კედელზე ჩამოკიდებული ანთებული ლამპისა და არაფერი რჩება. ლიკი ლამპასაც ჩამოსხნის და ლამპიანად ფანჯრიდან გადადის. სცენა ჩაბნელებულია. სცენის გარედან ხალხის ხმაური ისმის.

ბეტსი. ნავი ისე დატვირთეთ, შეიძლება გადაბრუნდეს კიდეც.

ლიპი. ჩუმად, როცა... დაჯექით, ქალიშვილო, კლავიშებზე. აი ასე... მოიცა, ამოვიყირაოთ... (სიმებს უღრიალი გააქვს.) ესეც ასე...

ტოხონგა. ლამპა არ დაჭეჭყო, ლამპა!..

ლიპი. დაქოქე...

ნავში ძრავის ბრახუნი ისმის.

თუთიყუში (თანდათან მშვიდდება. მღერის.) ზღვაში შევცუროთ...

პ ა უ ზ ა .

მერე სიბნელეში ხალხის ხმა გაისმება.

ლორდი. ასეთი წყვილი რატომ არის?

ბატერასი. ისეთი სიბნელეა, თავი კასრში ვეგონება...

ლორდი. პასპარტუ, ანთეთ ლამპა.

პასპარტუ. მესმის, სერ.

ყველა შემოდის.

პასპარტუ. სერ, ლამპა აქ აღარ არის. ვერაფერი გამიგია...

პაბანელი. პასპარტო, მგონი, ცოცხალი მთვრალი ხარო.

პასპარტუ. არა, მუსიკე, არაფერი დამიღვია.

ლორდი. მეშინია სკამს არ დავეჯახო.

ბატერასი. მეზობელი ოთახიდან მაინც გამოიტანეთ ლამპა. სავარძელი რაღა იქნა, მიწამ ჩაყლაპა თუ რა!

პასპარტუ. ახლავე. (შემოდის ლამპით ხელში.)

ყველა გაოგნებულია.

ლორდი. რა ხდება?

პაბანელი. მართლაც!..

ლორდი. რა მართლაც?

პასპარტუ. სერ, თქვენს სახლში ქურდები ყოფილან.

ლორდი. ბეტსი, ბეტსი!

ბატერასი. მოიცა, მოიცა! აგერ ბარათია. (კედლიდან ხსნის ბარათს.)

ლორდი. მომეცით...

პირი. ეგ ტოხონგას დანაა. ეტყობა, ზანგების ნამუშევარია. ოი, ოი, ოი! საშინელებაა, საშინელებაა, საშინელებაა!

ლორდი (კითხულობს). „ქვის სატეხისთვის გმადლობთ... ზედა-მხედველების მათრახებისთვისაც... ჩამობრძანდით კუნძულზე, ჩვენ იქ თავებს წაგაცლით... ნამუსგარეცხილ კირის ჩვენგან სალამი. თქვენ ლიკი და ტოხონა“.

ქირი. ღმერთო ჩემო!

პაპანელი. ვფიცავ... არც კი ვიცი, რა დავიფიცო, პირდაპირ თქვენ ზარდამცემია!

ლორდი. მოიცა, აქ კიდევ რაღაც მინაწერია. რა ჯანდაბაა, ვერაფერი გამიგია! თუთ... წერია. აჰა! ბე... თუთ... „ბეტსი და თუთიყუში ყველას მოგიკითხავთ“.

ლედი. საზიზლარი!.. აჰ, ცუდად ვარ...

პაპანელი. ო, მადამ! არა, მადამ, გული არ წაგივიდეთ!

ლედი. საკითხავია, გული რომ წამივიდეს, რაზე უნდა დავეცე?

ბატერასი. მთელი ოთახი მშიერი ბოცმანის გალოკილი თეფშითაა. ერთი ჩაძაღვებოდნენ! უფრო სუფთა ნამუშევარი არასოდეს მინახავს. ურმით ხომ არ წააჩიალებდნენ მთელ ამ ბარვს?! გულადი გაყები ბრძანდებიან, ეშმაკსაც წაუღია! მაინც როგორ, რით წავიდნენ? (მივარდება ფანჯარას.) სერ, იმ ქაჯებმა თქვენი ნავი წაიყვანეს!

ლორდი (გააფთრებულია. პასპარტუს ყელში სწვდება). აი შე უგვანო! შენ უნდა მიგეხედა, თვალი შენ უნდა გჭეროდა!

პასპარტი (ლამპით ხელში). ყარაულო! მიშველეთ, ბატონო პაგანელ! მე რა შუაში ვარ!

პაპანელი. მუსიე, გთხოვთ, ხელი გაუშვით ჩემს ლაქიას.

პასპარტუ ლამპას იატაკზე დადგამს და უჩინარდება.

ლორდი (კირის ეცემა). თქვენი კი... ჩემს სახლში მთელი ამ ბანდის მოყვანისთვის მადლობელი გახლავართ! მე თქვენ...

ქირი. ძვირფასო ლორდ, რას ბრძანებთ! მე რა შუაში ვარ, რა დავაშავე?.. მე... მე... (იმალება ლედის კაბის კალთის უკან.)

ლედი. ლორდ, რისთვის, ლორდ? რა დააშავა მისმა უდიდებულესობამ, რა შუაშია?

ლორდი. გაჩუმდით! ნუ იცავთ!

პაპანელი. ძვირფასო ლორდ, დამშვიდდით, ავწონ-დავწონით და ისე მოვიქცეთ, როგორც საჭირო იქნება.

ლორდი. მართალი ხართ... ვერაფერს იტყვი, მშვენივრად ვივაჭრეთ! აღარც ფულია, აღარც ავეჯი და აღარც მარგალიტები.

ქირი. თქვენო ბრწყინვალებაგ...

ლორდი. გაჩუმდით! (კირი იმალება.) მოდი ავწონ-დავწონოთ ვითარება... (ფიქრობს.) ეი, კაპიტანო!

ბატერასი. არის, ლორდ!

ლორდი. მოამზადეთ ხომალდი! შეაიარაღეთ ყველა ზანგი! მივდივართ კუნძულის დასალაშქრად! შავი ჭირისა არ მეშინია!

პაპანელი. ევროპა არ დაუშვებს ძარცვა-გლეჯას. სად არის ჩემი საკვოიაჟი? ლორდ, გარწმუნებთ, მარგალიტებსაც დაფიბრუნებთ და ნივთებსაც.

ბატერასი. ზუსტად ასეა. (სასტვენით უსტვენს.) მოემზადოს ეკი-
პაჟი! ტრამ-ტა-რამ-ტამ-ტარამ...

უკანა პლანზე გამოჩნდება ელექტრონათურებით განათებული,
მატროსებით სავსე სომალდი.

ლედი. ლორდ, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ, მინდა ჩემი თვა-
ლით ვნახო, როგორ დაიჭერენ ქურდბაცაცა, ნამუსხვარეცხელ ბეტსის
ლორდი. კი, ბატონო, ჩაიცვით... (არის ერთი ფუსფუსი და ფაცი-
ფუცი.)

პასპარტიუ (შემორბის დაბნეული). ლორდ! ლორდ! ლორდ!
ლორდი. კიდევ რა უბედურება მოხდა ჩემს ციხე-დარბაზში?
პასპარტიუ. სავა ლუკიჩი მობრძანდა!

ორკესტრში ცნობისმოყვარე მუსიკოსები თავებს წამოყოფენ.
სუფლიორი (ჯიხურიდან). გენადი პანფილოვიჩ, სავა ლუკიჩი!
მატროსები (სომალდიდან მოისმის სიმღერა „ტიპერერის“ მოტი-
ვზე) სავა ლუკიჩი... ვესტიბულშია, კალოშებს იხდის!..

ლორდი. მესმის, მესმის... რა გაეწყობა, მივიღოთ, დავუძახოთ,
ვთხოვოთ, ვუთხრათ, რომ დიდად გახარებულები ვართ... ძმებო, სცენა
ცარიელია! კაცი ვერაფერზე დაჯდები. რალაც მაინც დააბრუნეთ წალე-
ბული ავეჯიდან!..

პაგანელი ფანჯარას ეცემა და სცენაზე თუთიყუშს შემოათრევს.

ლორდი. მოქალაქე ჟიულ ვერნო... პო, რა მიხდოდა მეთქვა? დი-
ახ, თეატრი — ეს ტაძარია... მოკლედ, ასეა... მეტელკინ, შემოიტანეთ
ბენგალური!

პასპარტიუ. ვეფხვი, გენადი პანფილოვიჩ?

ლორდი. ეშმაკმა წაგიღოს, ვეფხვი კი არა, ბენგალური ცეცხლი
სოფიტით.

პასპარტიუ. ვალოდია! ზევითა სოფიტში ბენგალური მგონი უფრო
მსუყე წითლად უნდა ანათებდეს!

სცენას თანდათან არაბუნებრივი წითელი შუქი ეფინება.

ლორდი. მეტელკინ! თუთიყუშმა რაიმე სასიამოვნო დაიძახოს,
ვთქვათ, რაიმე ლოზუნგისმაგვარი... ნამეტან ლანძღვას ნუ მოჰყვება!

პასპარტიუ. გისმენთ, გენადი პანფილოვიჩ! (იმალეა თუთიყუშის
უკან.)

ლორდი. ღმერთო ჩემო! როგორც იქნა!.. რამდენი ხანია გელოდე-
ბით!.. გამარჯობა, ძვირფასო სავა ლუკიჩ!

სამა (შემოდის). ჰე-ჰე... ბოდიშს გიხდით, დამაგვიანდა... სომ
მოგეხსენებათ, ბევრი საქმე მაქვს... სხდომამ შემაყოვნა. გამარჯობათ,
გამარჯობათ...

ლორდი. აი, ნება მომეცით, სავა ლუკიჩ, რეკომენდაცია გავუ-
წიო... მოქალაქე ჟიულ ვერნი... ავტორი... უზარმაზარი ტალანტი...
ნათელი პიროვნება... სულის იდეოლოგიური სიღრმე... ჩვენს დროში,
სავა ლუკიჩ, ასეთ ავტორებს ოქროს ფასი აქვს. წესით, ორმაგ ჰონო-
რარს უნდა უხდიდნენ... (კირის ჩუმად) ვიხუმრე, აბა, რა!

სამა. დიდად სასიამოვნოა... რა უცნაური თმა გაქვთ, ახალგაზ-
რდავ...

პირი. გრიმი მიკეთია, სავა ლუკიჩ.

სამა. როგორ, შენც თამაშობ, ავტორო?

ლორდი. სწორედ ასეა, სავა ლუკიჩ. დადგმისთვის არაფერი და-
იშურა. ბარაბა აპოლონოვიჩი ავად გახდა... ამიტომაც მის მაგივრად
ავტორი კირი-ვიგინდარას როლზე დათანხმდა...

სამა. დიახ, დიახ... მაშინვე აშკარაა... მაშინვე... ^{ეროვნული} ^{რეჟისორები}
განაგრძეთ. ვეთაყვა.

ლორდი. გასაგებია... ნება მომეცით, პიესის ეგზემპლარი მოგარ-
თვათ...

სამა. ეს თუთიყუშია? რა მშვენიერია!

ლორდი. საგანგებოდ ამ პიესისთვის შევუკვეთე, სავა ლუკიჩ.

სამა. ბევრი გადაიხადეთ?

ლორდი. ...შვიდასი... ხუთას ორმოცდაათი მანეთი, სავა ლუკიჩ!..
მოლაპარაკეა... სხვა არც ერთ თეატრს არ ჰყავს, აი ჩვენ კი გვყავს!

სამა. ერთი ამას უყურე! გამარჯობა, თუთიყუში!

თუთიყუში. გამარჯობა, სავა ლუკიჩ!.. პროლეტარებო, ყველა
ქვეყნისა შეერთდით!.. ხელის ჩამორთმევა აკრძალულია!

სამა (შეძრწუნებული იატაკზე დაეცემა და ლამის პირჯვარს იწ-
ერს). გნებდებით!

ლორდი. მეტელკინ, აი შე სულელი! ღმერთო ჩემო, როგორი
ჩერჩეტი ხარ!

სამა. ეს რა არის? ვერა გამიგია რა! (იყურება თუთიყუშის გა-
ლიის უკან.)

პასპარტუ გვერდით იწევს და იმალება.

ლორდი. მეტელკინ, ნუ ამლაშებ!

პასპარტუ. მესმის, გენადი პანფილოვიჩ.

სამა. მშვენიერი რამ არის! ყველა თეატრს, რომელიც ჩემს გან-
მგებლობაშია, რეკომენდაციას გავუწევ. მაშ ასე... რაზე შეჩერდით?

ლორდი. ჩვენ ახლა უკაცრიელ კუნძულზე მივემგზავრებით, სა-
ვა ლუკიჩ. ჩვენ კაპიტალისტები ვართ. მივდივართ, რათა აჯანყებული
კუნძულები დავიპყროთ. ხომალდით მივემგზავრებით. საიდან გირ-
ჩვენიათ ყურება — პარტერიდან თუ ლოჟიდან? ან იქნებ აქ, სცენაზე
ამოხვიდეთ, თან ერთი ფინჯანი ჩაიც მიირთვათ.

სამა. არა, ნება მომეცით, მეც — ბერიკაცმაც, ხომალდით თქვენ-
თან ერთად ვიმგზავრო. მინდა ცოტა გავისეირნო ამ სიბერეში.

ლორდი. რას ბრძანებთ, მობრძანდით! ბატონებო, გთხოვთ, გან-
ვაგრძოთ! (ტაშს უკრავს.)

ბატერასი. ლორდ, ხომალდი მზად არის.

ლორდი. შემოიყვანე ზანგები.

ბატერასი. დიახ, ლორდ! (უსტვენს.)

კედლები იხსნება და მწკრივ-მწკრივად შუბოსანი ზანგები შე-
მოდიან.

ლორდი. გამარჯობათ, ზანგებო!

ზანგები (გამაყრუებლად). გამარჯობათ, თქვენო ბრწყინვალება!

სამა. ძალიან კარგი. შეიძლება კიდევ ერთხელ გაიმეოროთ? გამარჯობა, ზანგებო!

ზანგებო. გამარჯობა, სავა ლუკინ!



სავა ლუკინი აღელვებულია.

ეროვნული

ლორდი. ზანგებო, თქვენმა სამხედრო მეთაურმა სამხედრო გვილატა. ეს-ეს არის ჩემი ციხე-დარბაზი გაძარცვა და კუნძულზე გაიქცა, რათა იქაურებს ჩაბარდეს. ურჩ ამბოხებულებთან ერთად ისიც ისე უნდა დავსაჯოთ, როგორც ჯერ არს. სათავეში თქვენი მეფე — კირი-კუკი პირველი ჩაგიდგებათ, მე კი მას დავუხმარები.

ზანგებო. მზად ვართ, გემსახუროთ, თქვენო ბრწყინვალეზე!

ლორდი. თქვენო უდიდებულესობა, კეთილ ინებეთ და პირადი გამირობით მაგალითი უჩვენეთ.

პირი. გასაგებია. მაგრად გავები, ეშმაკმა წამილოს!

ლედი. კირი, ძვირფასო, გულს ნუ გაიტყვით, სულითა და გულით თქვენთანა ვარ. დარწმუნებული ვარ, გაიმარჯვებთ.

პირი. აჰ, ღვთის გულისთვის, თავი დამანებეთ! სად არის ჩემი ჩემოდანი?

პასპარტი. აი, ინებეთ, თქვენო უდიდებულესობა. უჰ, რა მძიმეა!

პირი. შიგ ორი ფუთი მოწოდებაა ჩემი გზააბნეული ხალხისათვის.

ლორდი. ყველანი ხომალდზე! ასწიეთ ტრაპი! მობრძანდით, სავა ლუკინ! ოღონდ ტრაპზე ფეხი არ იტკინოთ.

ყველა ხომალდზე ადის. პაგანელი გზაში ფანჯრიდან აგდებს თუთიყუშს.

ლორდი. წინ!.. სიკვდილი კუნძულელებს! სიკვდილი ლიკის! სიკვდილი ტოხონგას!

მატროსები. სიკვდილი მათ!

პატერასი. შორს, შორს ზღვის უბიდან!

ღირიჟორი ჯოსს აიქნევს. ორკესტრი დაკვრას იწყებს: „აჰ, შორს არის ჩვენგან ტიპერერი!..“ ლორდი სავა ლუკინის ზურგს უკან ღირიჟორს მუშტს უღერებს. ორკესტრი დაუყოვნებლივ მელოდიას ცვლის და უკრავს ამ სიმღერის მელოდიას: „ჩვენ ყველანი ხალხის შეილები ვართ...“

პირი. როგორ გეკადრებათ, გენადი პანფილოვიჩ, ევროპელი მატროსები ამას როგორ იმღერებენ!

ლორდი (იმასაც მუშტს უღერებს). გაჩუმდით, ბედშაო!

ხომალდი სვლას იწყებს.

სამა (ხომალდზე. თავს იწონებს.) მართლაც ჩინებული ფინალი აქვს მესამე მოქმედებას.

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

კუნძული. კირის ყოფილ ვიგვამზე წითელი დროშა ფრიალებს. კაი-კუმი, ფარა-ტეტე და კუნძულის მკვიდრნი ზღვას გასცქერიან.

მეზამე მკვიდრი კუნძულისა. რომ არ ვიცოდე, ლიკი-ტიკი ახლა ევროპაშია, დავიფიცებდი, ის კაცი კიჩოზე ლიკი-ტიკია-მეთქი! მეოთხე მკვიდრი კუნძულისა. აი ის მეორე კი, ნავის ცხვრზე, შედგამოჭრილი ტოხონგაა...



შარბ. მოამზადეთ ისრები!
პანი. ღმერთმანი, ის კაცი ლიკის წყლის ორი წვეთი დასაძინებელია. შარბ. იმ რაღაც შავ ყუთზე კი, მგონი, ქალი ზის. კუნძულის მკვიდრნი. და კიდევ თუთიყუში... ლიკია? არა, ლიკი არ არის... მოკლედ, ვერ გაიგებ ლიკია თუ არა.
პანი. ჰო, ლიკია!

ნავი ყურეში შეღის. გადმოდიან ლიკი, ტოხონგა და ბეტსი.

კუნძულის მკვიდრნი. ლიკი-ტიკი!.. ლიკი-ტიკი!
ლიპი. დიას, მე ვარ. ოღონდ, ნუ ყვირით! გაჩუმდით, როცა... ასე რას მომშტერებხართ?
პანი. მომისმინე, თუთრო ზანგო. ჩვენ შენ სამართალში მიგცემთ!..
შარბ. დააგდე იარაღი!
ლიპი. ძმებო, ასე რატომ ყვირით?
პანი. ხელები მაღლა!

ლიკი, ტოხონგა და ბეტსი ხელებს სწევენ და სამივეს ჩხრევენ.

ბეტსი. ტოხონგა, ვაიმე, მეშინია! რა გველის, რას გვიზამენ?
ტოხონგა. ნუ გეშინია, ძვირფასო. ჩვენ ახლა მათ ყველაფერს ავუხსნით — გაგვიგებენ... ლიკი ყველაფერს მოუყვებათ.
ლიპი. ახლავე, ახლავე!.. ცოტა გაიწიეთ! ორმოცდაათი კაცი შიგ სახეში რომ მართქლებს, ლაპარაკი არ შემიძლია.
პანი. კუნძულის ერთ მკვიდრსაც კი თითი რომ დააკარო...
ლიპი. ჩუმად, როცა... რაც უნდა იყოს, არც ისეთი იდიოტი ვარ, რომელიმე თქვენგანს ხელი ვახლო... მე ერთი ვარ, თქვენ კი... ხუთასი!

პანი. რატომ გამოგვეცხადე?
ლიპი. მეც სწორედ ეგ მინდა ავიხსნათ. სად არის ის ადგილობრივი მკვიდრი, მე რომ კბილები ჩავუმტვრიე?
შარბ. თქვენმა ზანგებმა მოკლეს ალყის დროს...
ლიპი. სამწუხაროა. დაე, ღმერთებმა მიიღონ იგი თავის წიაღში. ვაიდუას სულიც იქ განისვენებს უჩინრად, იქ, მართალთა საუფლოში...
პანი. ამინ. ამინ... მაგრამ, რაშია საქმე? მიპასუხე, ოღონდ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე.
ლიპი. ესე იგი, მოკვდა. პატიებას ვთხოვ იმასაც და თქვენც. პატიებას ვთხოვთ, ჩემი სიბრძავის, ჩემი გაუნათლებლობის გამო, იმის გამო, სიზი-ბუზის რომ ვემსახურე, მის გვერდით რომ ვიყავი. სწორად ვამბობ?

ბეტსი. სწორად, გულადო ლიკი, განაგრძეთ.
ტოხონგა. განაგრძე ლიკი, ესენი ვაგიგებენ.
ლიპი. მე მხოლოდ ჩაგვრის იარაღი ვიყავი. ამას რას ვაკეთებ-მეთქი, თავს ანგარიშს არ ვუწევდი... მეორეც... ჰო, რა მინდოდა მეთ-

ქვა? კუნძულის მკვიდრ ხალხს პატიებას ვთხოვ, პატიებას იმის გამო, რომ არამზადა კირი-კუკის მიერ მოტყუებული, ხალხის წინააღმდეგ წავედი, ერთს კბილები ჩავუმტვრიე, ბევრისა კი სიკვდილის მიზეზიც გავხდი.

კუნძულის მკვიდრი. ინანიებს, გესმით, ინანიებს ლიპი. დიას, ვინანიებს... შეგიძლიათ გამასამყრთ... ტოხონბა. ჩემსედაც თქვი!

ლიპი. დიას, ჩემი ადიუტანტიც ინანიებს... ტოხონგა.

ტოხონბა. ასეა, დიას, ასეა!

პანი. ეს თეთრი ქალი ვინ არის?

ტოხონბა. ნუ გეშინია, ბეტსი... ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ.

ეს ქალი ლორდის მოახლე და ჩემი შეყვარებულია. გამოაგდეს. ცუდი არასოდეს არავისთვის გაუკეთებია, იმიტომ, რომ კეთილი გული აქვს. მიიღეთ და არ აწყენინოთ, მაშინაც კი სიკვდილით თუ დამსჯით.

პანი. კუნძულელები უდანაშაულო ქალებს არ სჯიან!

ფარა. თქვენ აქ იმიტომ ჩამოხვედით, რომ მოინანიოთ?

ლიპი და ტოხონბა. დიას.

ბეტსი. ამას მეც ვადასტურებ.

ფარა. ლიკი, ჩვენ ხშირად გვატყუებდნენ. თავდებად ვინ დაგვიდგება, რომ შენი სიტყვების უკან ღალატი არ იმალება?

ლიპი. ვფიცავ!

ფარა. მაინც ვინ დაგვიდგება თავდებად?

ლიპი. რა სულ თავდებაობა-თავდებაობაო, გაიძახი! გაჩუმდი, როცა...

ფარა. როგორ, მიყვირი კიდევაც?

ლიპი. შარს რატომ მდებ? უბრალოდ, ასეთი ჩვევა მაქვს. გაიგე, იმ ყველაფერმა, რაც თქვენ აქ სიზი-ბუზისაგან იწვნიეთ, ევროპაში ჩემს ზურგზეც გადაიარა. ახლა კი ყველაფერი ავწონ-დავწონე, არავის მხარეს არ დავდგები. გადატანილმა მონობამ ჭკუა მასწავლა. ვფიცავ!

ტოხონბა. მეც!

ფარა. დაუმტკიცებთ ამას კუნძულის მკვიდრ ხალხს?

ტოხონბა. დიას.

ლიპი. რა თქმა უნდა. უფრო მალე, ვიდრე მე ამას თავად ვისურვებდი. გახედე პორიზონტს!

მეორე მკვიდრი კუნძულისა. ჰო, საშინელი კვამლია!

ლიპი. დიას კვამლია... ავის მომასწავებელი კვამლი! ეჭვი! ვინ არის ახლა თქვენი მეფე?

კუნძულის მკვიდრი. მეფე არ გვყავს და არც არასოდეს გვეყოლება!

ლიპი. ჰო, მაგრამ ვინ გმართავთ?

ტუზემცეპი. აი ესენი — ჩვენს მიერ არჩეული ხალხი.

ლიპი. ასეც ვფიქრობდი. სალაში, მბრძანებლებო! კაი, უბრძანე გახსნან კარადა.

ფარა. ფრთხილად, კაი.

ლიპი. როგორ არ გრცხვენია! მე — ხანდაზმულმა კაცმა დავიფიცე!

ბატსი. ო, დაუჯერეთ, დაუჯერეთ ამათ...
პანი. გახსენით კარადა!

კუნძულები კარადას ხსნიან.



კუნძულის მკვიდრი. იარაღია! იარაღი ყოფილა! ღიქი. დიას, ევროპული თოფებია. მეორე მკვიდრი კუნძულისა (პალმაზე). ჰორიზონტზე სომალდი ჩანს!

ღიქი (მჭექარე ხმით). მომისმინეთ, კუნძულენო! ეს სომალდი ლორდი გლენარვანისაა. მოდიან, რომ გაგანადგურონ, კირი ტახტზე დასვან და გაგძარცვონ... ხოლო მე, ლიკი-ტიკი, თქვენს მხარეს გამოსული სამხედრო მეთაური, მოვედი, რათა მათ მოგერიებაში დაგეხმაროთ. საინტერესოა, რას იზამდით უჩემოდ — ოკეანის მთელი ამ კუნძულების ყველაზე დახელოვნებული სარდლის გარეშე! დაირიგეთ იარაღი!

ფარა. ახლა უკვე გვჯერა შენი, ლიკი-ტიკი. შენ უკვე გამოისყიდე შენი ცოდვები. ხალხნო, რას იტყვიან? ვაპატიოთ?

კუნძულის მკვიდრი. ვაპატიოთ! ვაპატიოთ!

პანი. ლიკი და ტონონგა, ხალხმა ვაპატიათ, შენდობილები ხართ!

ღიქი. გმადლობთ, თქვენ ამას არ ინანებთ.

ფარა. ძმებო, იარაღი აიღეთ!

კუნძულები სწრაფად იარაღდებიან.

ღიქი. მართლა შავი ჭირია კუნძულზე?

პირი. ჰო, მაგრამ, თითქმის უკვე ჩაიარა.

ღიქი. დაუმარხავი გვამი არის?

პანი. კი, არის.

ღიქი. მაშინ აი რას გეტყვით! თქვენი ისრები ახლავე შავი ჭირის შხამში ამოაწეთ. შავი ჭირი ერთადერთია, რისაც გაუმძღარ ევროპელებს ეშინიათ. ხომ გაიგეთ?

პანი. ო, ლიკი, შენ მართლაც დიდი სარდალი ხარ. მოუსმინეთ და დაუჯერეთ!

მეორე მკვიდრი კუნძულისა (პალმაზე). სომალდი გვიანლოვდება.

ყველა სწრაფად იარაღდება. მთელ კუნძულს ისრების ღრუბელი ფარავს.

ღიქი. დაიმაღეთ... ბუჩქებსა და ლოდებს ამოეფარეთ.

ისმის ბუკის ხმა.

ტონონგა. დაიმაღეთ!

ყველა იმალება. სცენა ცარიელდება. გაისმის ავის მომასწავებელი მუსიკა. სომალდი ყურეში შედის. სომალდიდან პირველი გადმოდის სავა პიესის ეგზემპლარით ხელში და ყოფილ სამეფო ტახტზე ჯდება. კუნძულზე ახლა ის მეფობს.

ლორდი. ლედი, გთხოვთ, თავი არ გამოყოთ.

ბატერასი. ეკიბაუო, მისმინე! მოიტანეთ ტრაპი!..

ლორდი (კირის). ახლა კი, თქვენო უდიდებულესობავ, კეთილ-ინებეთ და თქვენს არმიას სათავეში ჩაუდევით. თქვენ ახლა ტახტის დაბრუნების შესაძლებლობა გაქვთ, მე კი ჩემი მარგალიტების დაბრუნების.

პაპანელი. დიას, დიას, ვფიცავ საფრანგეთის რეპუბლიკას, მოვ-გებურდა თქვენი ხალხის შფოთი და აურზაური.

ქირი (ჩემოდნით ხელში). მესმის თქვენო აღმა... თქვენო უკეთელ... ტფუი, დასწყევლოს ეშმაკმა, ეს რა დღეში ჩავვარდი... ჩამცემენ შუბს მუცელში და ეგ არის. რა მინდოდა, ამ ხათაბალაში რას გავები...

ლედი. აჰ, მის უდიდებულესობას საფრთხეში ნუ აგდებთ!

ლორდი. ლედი, თქვენი ეს თავის გამოდება უცნაურად მეჩვენება. ზანგების მეფე! სად ხართ, რა გჭირთ?

ქირი. მოვდივარ, მოვდივარ, ფრიად პატივცემულო ლორდ. მოვდივარ, მაგრამ სიმაპაციისა და მოუთმენლობისაგან მუხლი მეკვეთება. უჰ-უჰ-უჰ-უჰ!.. აბა, საყვარელო ზანგუნებო, არ გამცეთ!

ბატერასი. ზანგებო, წინ!

სამხედრო მუსიკის თანხლებით ზანგები ტრაპზე ჩამოდიან.

ქირი. ვინმემ აქედან მოკურცხვლა რომ არ მოინდომოს, მე უკან გამოვეყვები... თქვენო ბრწყინვალეზავ, ხომ იცით, რა ხალხია!

ლედი. უი, თქვენ თურმე მშიშარაც ყოფილხართ! მძულხართ!

ქირი. მაშინ როცა ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, ძალიან არ მჭირდება შენი სიყვარული!

კირი კუნძულისკენ მიმავალ, მშვილდებმომარჯვებული ზანგების რაზმს უკან მიჰყვება. მატროსები გემბანზე მწკრივებად ეწყობიან. პა-უზა. მოულოდნელად გამოჩნდება ლიკი რევოლვერით ხელში.

ლიქი (პრისხანედ). საით მიეშურებით, ქარიყლაპიას ნაშიერნო?

ზანბები (შეშინებულები). მხედართმთავარი! მხედართმთავარი!

ლიქი. დიას, მე ვარ, კუნძულებზე უშიშრად სახელდებული ლიკი-ტიკი! საით გაგიწევიათ?

ზანბები (დაბნეულები). ლიკი... ჩვენ რა შუაში ვართ!.. ჩვენ პატარა ხალხი ვართ!..

ისმის გუგუნი.

ლიქი. ჩუმად, როცა გელაპარაკებიან!

პაპანელი. ლორიგანის ფლაკონს გეფიცებით, ესენი დაბნეულები არიან... ლორდ...

ლორდი (დურბინდით). მიიღეთ ზომები, კაპიტანო გატერას!

ბატერასი (რუპორში). წინ, ეშმაკმა დაგლახვროთ!

ლიქი. უკან!.. როცა გელაპარაკებიან...

ზანბები. ჩვენო მშობელო მამებო, რა არის ეს, რა ხდება?

გაოგნებულები.

ბატერასი. წინ!

ლიქი. უკან!

კუნძულის მკვიდრნი. (სცენის მიღმა). ვაშაა!.. გაუმარჯოს მთავარსარდალ ლიკის!

კანი და შარბ (გამოჩნდებიან კლდეზე). ყოჩაღ, ლიკი!
ზანგები (უცებ კვნესა-გოდებით მოცელილებივით დაეცემიან).
 გნებდებით!

ლიკი. იარ, ადგილობრივი მკვიდრებისკენ!

ზანგები სცენიდან უჩინარდებიან.



ქართული
 ენის ენციკლოპედია

კუნძულის მკვიდრნი (ხმამალლა ღრიალებენ). ვაშაა!..

სცენაზე რჩება კირი ჩემოდნით ხელში.

ქირი. თქვენო ბრწყინვალებაავ! (სასოწარკვეთილი.) ყარაულ! ყარაულ! თქვენო ბრწყინვალებაავ, მიშველეთ... ბედის ანაბარა მიმატოვეს... საშინელებაა, საშინელებაა, საშინელებაა...

ლიკი (ავბედიტად). ა-ა, აი თურმე სად ყოფილა! ამ წუთს დიდი ხანია ველოდი. აბა, ილოცე, ავაზაკო, უკვე დადგა შენი დრო.

ქირი. ჩემო საყვარელო, ჩემო ბაჯალლო ოქროვ, ჩემო ლიკი, გნებდები. უფრო სწორად, დიდი ხანია დაგნებდი — პლიუსკვამ პერფექტუმ. დიახ, დიდი ხანია! ო, ლიკი, ნუთუ სიცოცხლეს გამოასალმებ უბედურ ჭაბუკს — კირი-კუკის, ვისაც შენ ყოველთვის ნაზი სიყვარულით უყვარდი?

ლიკი. უპ, შე არამზადავ!

პაბანელი. ლორდ... ისინი გაიქცნენ, კუნძულის მკვიდრთა მეფე კი შეიპყრეს.

ლედი. ო, ლორდ, უშველეთ, იხსენით!

პასპარტუ. ტუზემცების მეფე ჩავარდა.

ლორდი. კაპიტანო! კაპიტანო!

ბატმარასი. ეკიპაჟო, მოემზადე!

ლიკის ზარბაზანს უმიზნებენ. ლიკი კირის ხელს სტაცებს და ფარივით აიფარებს.

ქირი. თქვენო ბრწყინვალებაავ, არ ისროლოთ.

ლედი (გატერასს ხელში ხელს სტაცებს). ო, თქვენ მას მოკლავთ! არა, არ ისროლოთ!

ლორდი. ლედი, ეს რას ნიშნავს?!. მე უკვე ვეჭვიანობ.

ქირი. მართალიც ხართ, თქვენო ბრწყინვალებაავ. მე თქვენ უდიდეს საიდუმლოს გაგიმხელთ, ოღონდ არ მესროლოთ.

ლორდი. რა საიდუმლოს?

ქირი (სახეზე ხელებს აიფარებს). თქვენმა ცოლმა გიღალატათ ჩემთან.

ლედი. პირუტყვო! (დაეცემა გულწასული.)

ლიკი. არა, გინახავთ ამისთანა არამზადა!

ლორდი. ვაი, რომ შეურაცხყოფილი და პატივახდილი ვარ! (რევოლვერს ამოიღებს და თავს იკლავს.)

პასპარტუ. თავი მოიკლა!.. ლორდმა თავი მოიკლა!

პაბანელი. ღმერთო ჩემო, რა ხდება ამ დაწყევლილ კუნძულზე! წყეულიმც ვიყო სამგზის, ამ მარგალიტების საქმეში რომ გავები!

ლიკი. ეი, კუნძულის მკვიდრნო! ყველანი აქ მოდით!

სცენაზე შემოსულმა კუნძულელებმა და ზანგებმა სცენა დაფარეს. კანი და ფარა. აქეთ, აქეთ წამოდით! ლიპი. ეი, თქვენ, ევროპელებო, მოგვისმინეთ!



სომალდზე სიჩუმე ჩამოვარდება. *ეჩინუნული
ზიზლირთუკა*

თქვენ ხედავთ, რომ თქვენი დახმარებით კუნძულის დაპყრობის მცდელობა... ეშმაკმა წამილოს, აბა რა დიდი ორატორიც მე ვარ!.. ჩუ-მად, როცა გელაპარაკებიან... კაი, შენ უთხარი, შენ გააგებინე!

კანი. მომისმინეთ ევროპელებო! კუნძულის დაპყრობას ტყუილად ეცდებით, არაფერი გამოვა, კუნძულის მკვიდრთა აურაცხელი ლაშქარი უფლებას არ მოგცემთ.

ფარა. მარგალიტა თვალთაც ვერასოდეს იხილავთ. ის მხოლოდ კუნძულის თავისუფალ ხალხს ეკუთვნის, მხოლოდ მკვიდრ ხალხს!

პირი. სწორეა, მართალია! მეც სწორედ ასე ვფიქრობდი, კაი.

კანი. ხმა ჩაიკმიდე, ნაგავო, შენი ჯერიც დადგება!

პირი. ჩუმად ვარ, როგორც თევზი ყინულზე.

კანი. ჩვენი ბოლო სიტყვა ასეთია — თქვენსკენ ათასობით მშვილ-დია მომართული, ისრები შავი ჭირითაა მოწამლული.

პაბანელი. როგორ თუ შავი ჭირით! ეშმაკმა დალახვროს!

ისმის მატროსების დრტვინვა.

ფარა. კუნძულს ახლავე თუ არ დატოვებთ, მოწამლულ ისრებს ისრებზე დაგაყრით და ზარბაზნები ველარაფერს გიშველით...

ბატერასი. ეშმაკსაც წაუღია ეს ლაშქრობა! მეგონა, ბომბებით მშვილდოსნებს ვებრძოდით და არა შავ ჭირს!

პასპარტუ. მუსიე! ეკიბაჟი დაშალეს მაგ ქაჯებმა! ძალიან ღე-ლავენ.

პაბანელი. კაპიტანო, შინისკენ!

ბატერასი. გავდივართ ყურედან!

ღუზას ხმაურით იღებენ, სომალდი სვლას იწყებს. მატროსები მღერიან: „ზღვაში შევცუროთ... ზღვაში შევცუროთ...“

ლედი (მოწყენილი გემის ქიმთან დადგება). ო, მე უბედური! წამ-ში ყველაფერი დავკარგე — მარგალიტებიც, ქმარიც და საყვარელიც... რა შეშველება?

პაბანელი. ქალბატონო, უყურეთ თქვენი მეუღლის გვამს და ეწამეთ. ევროპის საზოგადოებრივი აზრი გაგანადგურებთ!

ლედი (სევდიანად). მიმიფურთხებია საზოგადოებრივი აზრისა-თვის.

მატროსები: „ზღვაში შევცუროთ!.. ზღვაში შევცუროთ...“ მათი სიმღერა სულ უფრო ყრუდ, სულ უფრო შორიდან ისმის.

სომალდი თვალს ეფარება. მზე ჩადის.

კანი (კლდიდან). ძმებო, კუნძულის მკვიდრო, გილოცავთ! დამთა-ვრდა თქვენი ტანჯვა! მეწამულ კუნძულს საფრთხე აღარ ემუქრება! გაიხარეთ და ერთად დასტექეთ — „ვაშაა!“..

ყველა. ვაშაა!.. ვაშაა!..

კანი. გაიწიეთ.

ყველა გაიწ-გამოიწევს და გამოჩნდება ჩემოდანზე ჩამომჯდარი კირი.

ქირი. მეგონა, დაგავიწყდებოდით ამ საყოველთაო ზეიმში, მაგრამ, ვაი, რომ ასე არ არის!



ფარა. რას იტყვით, რა ვუყოთ ამ ნამუსგარეცხილს? *უკუნძული ლიპი. მოვკლათ! სიკვდილიც ცოტაა მაგისათვის!* *ზიზღიერება*

ქირი. რა ვქნათ?

კუნძულის მკვიდრნი. როგორ მოვიქცეთ?

ქირი. სხვა რა უნდა ქნათ, მაპატიეთ! ნუთუ თქვენ, ძვირფასო მმართველებო — კაი-კუმ და ფარა-ტეტე, არ გესმით, რომ არ შეიძლება ასეთი უზარმაზარი სახალხო ზეიმის ჩამწარება ადამიანის სისხლით, თუნდაც ის ადამიანი დამნაშავე იყოს!

ლიპი. შეგვიძლია ჩამოგახრჩოთ, სისხლის წვეთიც არ დავღვაროთ.

ქირი. შენც ხომ ასე უსისხლოდ გინდოდა ჩემი და ფარა-ტეტეს ჩამოსრჩობა...

ქირი. ო, ძვირფასო კაი! ნუ იქნები ასეთი გულღრძო, თქვენ კი, კუნძულის მკვიდრო ხალხო, იცით თუ არა, რა მაქვს ამ ჩემოდანში?

ფარა. მაინც რა, შე ბილწო?

ქირი. ის ორი ფუთი სტერლინგი, რომელიც აწგარდაცვლილმა ლორდმა სიზის მარგალიტებში გადაუხადა... ხალხის ეს ქონება, როგორც ხედავთ, ხელუხლებელია, კაპიკიც არ მომიკლია.

ლიპი. იმიტომ, რომ მიგეთვისებინა. გამოტყდი, ასე არ არის?

ქირი. კი, მაგრამ, ხომ არ მიმითვისებია. აჰ, ლიკი, რა გინდა, რატომ ღუპავ ადამიანს? საშინელებაა, საშინელებაა, საშინელებაა...

ლიპი. შენი დანახვაც არ მინდა! შენი ადგილი ლორებთანაა. აპატიეთ, ძმებო, არ მინდა ამაზე ხელი გავისვარო.

ქირი. რას იტყვით, ვაპატიოთ ჩვენი ამ გამარჯვებისა და დღესასწაულის აღსანიშნავად?

კუნძულის მკვიდრნი და ზანბები. ვაპატიოთ!

ფარა-ტეტე. ადექი, ხომ გესმის, ვაპატიოთ ხალხმა, თუმცა არამზადას წოდება მოგანიჭა, ამიერიდან არამზადას იარლიყით ივლი.

ქირი. ო, დაგლოცოთ ღმერთებმა ამ სულგრძელობისათვის! როგორც იქნა, მომეშვა გულზე! სტერლინგები კი ცოტა მაინც მენანება. ეჰ, ადამიანის სიცოცხლე, თუნდაც არამზადა ადამიანისა, ყოველგვარ სტერლინგებზე ძვირფასია! ნება მომეცით ზეიმში მეც მივიღო მონაწილეობა.

მთვარე ამოდის.

ქირი. კუნძულის მკვიდრნო, აი, ისიც, ღამის ქალღმერთი! ათას ჭირგამოვლილ კუნძულს თავის სხივებში ახვევს! სიხარულით შევგებოთ!

ერთბაშად აინთება უთვალავი ფარანი. მომღერალთა დიდი გუნდი ორკესტრთან ერთად მღერის:

„განსაცდელმა ჩაიარა,
სიმშვიდემ მოიცვა ოკეანე.
გაუმარჯოს მეწამულ კუნძულს
ყველაზე დიადს და ყველაზე დიდებულს!“



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქირი. პიესა დამთავრებულია!..

ფარნები ქრება, მთვარე უჩინარდება. ნათდება სცენა.

ეპილოგი

არის ერთი ხმაური და ფაციფუცი... კუნძულის მკვიდრნი იშლებიან. სცენაზე გამოდიან გარდაცვლილი ლორდი, ლედი, პაგანელი, გატერასი და პასპარტუ. სავა ლუკიჩი გაუნძრევლად ზის ამალღებულ სამეფო ტახტზე. აქვს ღრმააზროვანი და მოღუშული გამოძეცველება. ყველას მზერა მისკენ არის მიმართული.

ლორდი. ჰმ... აბა, რას გვეტყვიტ პიესის თაობაზე, სავა ლუკიჩ?

სამარისებური სიჩუმე.

სამპა. პიესა უნდა აიკრძალოს.

მთელ დასს კვნესა გადაუვლის. ჯიხურიდან სუფლიორი, ხოლო ორკესტრიდან განცვიფრებული მუსიკოსები თავებს წამოყოფენ.

ლორდი (ფერწასული). სავა ლუკიჩ, რაო, რა თქვით? მე მგონი, მომესმა.

სამპა. არა, არ მოგესმათ. პიესის დადგმა აკრძალულია.

ლიპი. ესეც შენი იდეოლოგიური პიესა! გილოცავთ, გენადი პანფილოვიჩ!

ლორდი. სავა ლუკიჩ, აზრს ხომ არ გამოთქვამდით? ჰო, მართლა, იქნებ ერთი ჭიქა ჩაი დაგელიათ?

სამპა. რატომაც არა, დავლევდი... მერსი... პიესა კი არ წავა... ჰა-ჰა-ჰა...

ლორდი. პასპარტუ! სავა ლუკიჩს ერთი ჭიქა ჩაი მოუტანეთ!

პასპარტუ. ახლავე, გენადი პანფილოვიჩ. (ჩაის მიართმევს.)

სამპა. მერსი... მერსი, გენადი პანფილოვიჩ. თქვენ? თქვენ რატომ არ სვამთ?

ლორდი. წელან უკვე დავლიე.

ლიპი. „ჯერ გავყიდე საქონელი, აწ მოგებას ნულარ ელი...“ ჰე-ჰე-ჰე...

პასპარტუ. გენადი პანფილოვიჩ, კადრისტები გეკითხებიან, შეიძლება გრიმი მოვიშოროთ?

ლორდი (ხმაჩახრინწული). ვაჩვენებ მე მაგათ გრიმის მოშორებას!..

პასპარტუ. მესმის, გენადი პანფილოვიჩ! (გადის.)

უცებ გამოჩნდება სამოქალაქო კოსტიუმში გამოწყობილი სიზი. სახეზე ისევ გრიმი აქვს, თავზე სამეფო გვირგვინი ადგას.

სიზი. მე თქვენთან ვარ, მოქალაქე ავტორო... ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ. მე სუნდუჩკოვი გახლავართ! ჩინებული პიესაა... შესანიშნავი... მისგან შორიდანაც კი შექსპირის სიო გცემს. არაჩვეულებრივი

უნოსვა მაქვს. ოცდახუთი წელია სცენაზე ვარ. აწ გარდაცვლილ ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვთან ყირიმში ხანდახან... სხვათა შორის, თქვენ მას ძალიან გავხარო ანფასში. მაგრამ, ძამიკო, განა შეიძლება ასე მოქმედებო შეფეებს!.. აბა ეს რას ვავს! მეფე ვერვც უკვალოდ ქრება... პიროველსავე მოქმედებაში.

პირი (**უაზროდ შეპყურებს**). მე მკვდარი ვარ. ეროვნული
ზიზღით
სიზნი. გასაგებია... გასაგებია! ასე მოუხდება მეფეს. მათ ყველას ჩემი ხელით დავხოცავდი. მაღლობა ღმერთს, შეგნებულნი ადამიანი ვარ. ჩემს ოჯახში ყველა ნაროდოვოლეცია... სხვა არც ყოფილა... კაი, ბატონო, მომკალი, მაგრამ მეორე მოქმედებაში მაინც!

ლიპი. ეს რა ჩვევა გაქვს, ანეპოდისტ, ადამიანს აბუჩად რატომ იგდება? ხომ ხედავ, კაცი მკვდარია!

სიზნი. როგორ თუ მკვდარია?!

ლიპი. როგორ და, სავამ პიესა დაგვიხურა.

სიზნი. აა, დიახ, მესმის... კარგად მესმის... განა შეიძლება ასე მოქმედებო მეფეს? რაც არ უნდა ზანგი იყოს, მაინც ხომ მირონცხებულია!

ლორდი. ანეპოდისტ, ძალიან დამავალებ, წუთით თუ გაჩუმდები.

სიზნი. ვმუნჯდები. კანონის წინაშე ვმუნჯდები. სულელი ლექსი... სულელი.

თუთიყუში. სულელი!

სიზნი. არა, ეს მე არ ვყოფილვარ, გენადი პანფილოვიჩ, ეს შენი შვიდასმანეთიანი თუთიყუში იყო.

ლორდი. მეტელკინ ნუ სულელობ! სავა ლუკიჩ, იმედი მაქვს, თქვენი ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ არის?

საპა. რა თქმა უნდა, საბოლოოა... მიყვარს მუშაობის დროს ჩაის სმა. ალბათ ცენტროკავშირში იყიდეთ, არა?

ლორდი. სენტრო... კავშირში?... დიახ, სავა ლუკიჩ.

პირი (**მოულოდნელად**). სხვენი? მაშასადამე ისევ სხვენი? ისევ პრიმუსზე მომზადებული ფაფა? ისევ დახეული ზეწარი?

საპა. კმ... უკაცრავად, მე მეუბნებით? ცოტა ყურს მაკლია...

სამარისებური სიჩუმე.

პირი. მრეცხავი ყოველდღე კარებს მიმტვრევს, კალსონების გარეცხვაში ფულს როდის ვადამისდითო? ღამით ფანჯარაში ვარსკვლავები იმზირებიან, ფანჯარაში მინა დამტვრეულ-დაბზარულია, ახლის ჩასასმელად კი ფული არ არის... ნახევარი წელიწადი... მთელი ნახევარი წელიწადი ხან სიციხისგან ვიწოდო, ხან ვიყინებოდო, პლუშიჩხაზე განთიადს კალმით ხელში და ცარიელი მუცლით ვხვდებოდო. ქარბუჩი ღრიალებს, რკინის ფურცლებს ზრიალი გააქვს... მე კი ფეხზე კალოში არ მაცვია, არა მაქვს!..

ლორდი. ვასილი არტურიჩ!

საპა. რალაც ვერ ვხვდები... ეგ რომელი პიესიდანაა?

პირი. ეს? ეს აქედანაა. ჩემგან. ჩემი გულის სიღრმიდან... აი ჩემი „მეწამული კუნძული“... ო, ჩემო „მეწამულო კუნძულო!“

ლორდი. ვასილი არტურიჩ, დალიეთ ჩაი!.. ეს მონოლოგია, სავა ლუკიჩ, დიახ, მონოლოგია.

საპა. მონოლოგი? რაღაც არ მაგონდება.

ქირი. ნახევარი წელიწადი... მთელი ნახევარი წელიწადი რედაქციაში დავრბოდი, კარებს ვუტალახებდი. ხანძრის თაობაზე თითოს სამ მანეთად და სამოცდაათ კაპიკად ანგარიშებს ვწერდი... მაგრამ, რა გგონიათ, როგორ ვიღებდი პონორარს? კარის წირთხლზე წაჭრული და ქუდმოშვლებილი... (პარიკს იხდის.) ფული გადამიხადებდა მანეთი მაინც მომეცი ავანსად... აი, მალე დავამთავრებ „მეწამულ კუნძულს“... მაგრამ გამოგვეცხადა ეს ავისმომასწავებელი ბერიკაცი და...

საპა. უკაცრავად, ამას ვისზე ამბობთ?

ქირი. ... და ხელის ერთი მოქნევით, კალმის ერთი მოსმით სიცოცხლეს მასალმებს... აჰა, აი ჩემი მკერდი, განგმირე მაგ შენი ფანქრით...

ლორდი. რას სჩადი, უბედურო?! ჩაი, ჩაი მოიტანეთ!..

ქირი. ეჰ, დასაკარგი მე არაფერი მაქვს!.. შეაფურთხეთ სახეში დაჩოქილს, ფეხით გათელეთ ცოცხალმკვდარი, ლეშადქცეული არწივი!

ბეტსი.

ლენი.

საბრალო, საბრალო ვასილი არტურიჩი, დამშვიდდით!..

ლორდი. თქვენ არაფერი გაქვთ დასაკარგი, მე კი მაქვს! ძმებო, წაიყვანეთ საგრიმიოროში! თეატრი — ეს ტაძარია! პასპარტუ!

სიზი, ლიკი და პასპარტუ კირის მიათრევენ.

ბეტსი. ვასილი არტურიჩი... დამშვიდდით, ყველაფერი კარგად იქნება... რა დაგემართათ!

ქირი (ხელიდან უსხლტებათ). მაგრამ ვინ არის განმკითხავი? ამ გადარძუებულებს თავისუფალი ცხოვრება სძულთ, მისი შეურიგებელი მტრები არიან. აზრებს ყირიმის დაპყრობისა და კოლჩაკის დროინდელი მივიწყებული გაზეთებიდან ხაპავენ...

ლორდი. ეს კაცი მე უბედურებაში გამხვევს! სერგეი სერგეიჩი... წავედი. ძმებო, გაიყვანეთ ეს კაცი!

ლენი. ძვირფასო, დამშვიდდი, მე ახლა თქვენ გაკოცებთ.

ბეტსი. მეც!

საპა. ეს რა არის, რა უბედურებაა?

ლორდი. პოლონეთის ფრონტზე თავში კონტუსია აქვს მიღებული... უზარმაზარი ტალანტია... პირწავარდნილი იდიოტი... ჭკუა... იდეოლოგია... ეგ ერთხელ უკვე ბრძანდებოდა კანატჩიკის აგარაკზე. სავა ლუკიჩი, თეატრი ეს — ტაძარია! მაგას ყურადღებას ნუ მიაქცევთ! სავა ლუკიჩი, დღეს ხომ არ გამიცანით, სავა ლუკიჩი! სამი თვის თავაუღებელი მუშაობა... თხუთმეტი ათასი მანეთი... მითხარით, რაშია საქმე...

საპა. პიესა კონტრრევოლუციურია.

ლორდი. სავა ლუკიჩი, გეშინოდეთ ღმერთ!.. არა, ამას რას ვამბობ! გეშინოდეთ, მაგრამ ვისი... კაცმა არ იცის... არა, არავისი... კონტრრევოლუციის... ჩემს თეატრში, სავა ლუკიჩი?! როგორ გეკადრებათ!

კონტრრევოლუციონერებს თეატრს სათოფეზეც არ ვაკარებ! მაინც, რას უწუნებთ პიესას?
საპა. ფინალს!

ყველანი ახმაურდებიან.



ქართული

ლორდი. სრული სიმართლეა. რალაცას კი ვგრძნობდით, მაგრამ არ არის-მეთქი, გულს მაკლდა. სავა ლუკიჩ, ნამდვილი განძი ხართ თეატრისთვის! გეფიცებით... მე ამას ყოველ ნაბიჯზე ვადასტურებ! საბჭოთა კავშირში ჩვენ სწორედ ასეთი ადამიანები გვჭირდება! მაინც რა ხდება ისეთი პიესის ფინალში?

საპა. როგორ გეკადრებათ, გენადი პანფილოვიჩ! თავად როგორ ვერ მიხვდით? თქვენ მე პირდაპირ მოცუბთ!

ლორდი. მართალი ბრძანდებით! არა, მაინც როგორ ვერ მივხვდი?! მართლაც რომ სამოციანელი ბებერი ვირი ვარ!

საპა. როგორ გგონიათ, მაინც ვინ არიან ის მატროსები?

ლორდი. პროლეტარები, სავა ლუკიჩ, პროლეტარები, ეშმაკმა წამიღოს!..

საპა. ჰო, მაგრამ, მაშინ როცა კუნძულელები განთავისუფლებას შეიმობენ, ისინი ისევ...

ლორდი. მონობაში, სავა ლუკიჩ, ისევ მონობაში რჩებიან! უჰ, პირწავარდნილი კრეტინი ვარ!

სიზი. არ გეკამათებით!.. არა, გეკამათებით!

ლორდი. ანემპოდისტ!!

საპა. მერედა სად არის საერთაშორისო რევოლუცია, სად არის სოლიდარობა?

ლორდი. ჰო, აბა სად არის, სავა ლუკიჩ? აჰ, მე სულელი... გამოტვინებული... მეტელკინ, თუ შენ ხუთ წუთში საერთაშორისო რევოლუციას მოაწყობ, გესმის? ოქროში ჩაგსვამ...

პასპარტუ. საერთაშორისოს, გენადი პანფილოვიჩ?

ლორდი. დიახ, საერთაშორისოს!

პასპარტუ. არის, გენადი პანფილოვიჩ!

ლორდი. აბა შენ იცი, ახლა კი გაფრინდი! სავა ლუკიჩ, ახლავე... ახლავე დავამთავრებთ პიესას საერთაშორისო რევოლუციით.

საპა. მაგრამ, ხომ შეიძლება მოქალაქე ავტორს არ სურს საერთაშორისო რევოლუცია?

ლორდი. ვის? ავტორს? ნეტავი ერთი ადამიანი მაჩვენა, ვისაც საერთაშორისო რევოლუცია არ სურს! (პარტერისკენ.) იქნებ ვინმეს არ სურს? ასწიეთ ხელი!


სიზი. ვინ არის წინააღმდეგი? ჰი-ჰი... აშკარად არავენაა, სავა ლუკიჩ, არავენ!

ლორდი (გრძნობით). ასეთი ხალხი ჩემთან თეატრში არ არსებობს. არა, ასეთ ტიპებს მოლარე ბილეთს არასოდეს მიჰყიდის... ანემპოდისტ, შენ რომ არ დაიბნე, ჯობია ავტორს ვთხოვო, ტექსტი პიესის პირველი მოქმედების ბოლოში მიგიწეროს.

სიზი. აი ამისთვის კი მადლობელი ვარ.

ლორდი. ყველანი სცენაზე!

პასპარტუ. ვალოდია, მოამზადე ყველანი ვარიანტისათვის!
 ლორდი. ლიკუი ისაინ, საერთაშორისო... საერთაშორისო არ და-
 გავიწყდეს!
 ღირიშორი. ნულარ გააგრძელებთ, გენადი პანფილოვიჩ, ნახე-
 ვარი საათის წინ მე უკვე გავიგე და უკვე დავიწყებე!
 ლორდი. მოიყვანეთ ავტორი!



ბეტსისა და ლედის კირი ხელკავით შემოჰყავთ.

ლორდი (ჩახრინწული ჩურჩულით). ჩვენ ახლა ფინალის ვარი-
 ანტს გავითამაშებთ... მოახდინეთ საერთაშორისო რევოლუციის იმპ-
 როვიზაცია, მატროსებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ... თუ თქვენთვის
 პიესა ძვირფასია...
 პირი. ა-ა, მივხვდი. მივხვდი.
 ლედი. ჩვენც დაგეხმარებით.
 ბეტსი. დიას... დიას.
 ისმის გონგის ხმა. ცაზე მთვარე ამოანათებს. კუნძულელთა ხელ-
 ში უცებ ფარნები იელვებს. წითლად ნათდება სცენა...
 სუფლიორი. აი ისიც, ღამის დედოფალი.
 პირი. ზეიმით შევხვდეთ — მთვარე... მთვარე ამოვიდა!

გუნდი ორკესტრთან ერთად მღერის:

„დე, იდღეგრძელოს კუნძულმა მეწამულმა,
 ყველაზე დიადმა და ყველაზე მშვენიერმა!..“

კუნძულის მეორე მკვიდრი. ზღვაში სინათლეები გამოჩნდა!..
 პირი. ჩუმად, ზღვაში სინათლეები გამოჩნდა!..
 პანი. რა ხდება? ხომალდი ბრუნდება?! ლიკი მოემზადე...
 ლიკი. ლიკი ყოველთვის მზად არის.
 ყურეში წითელი სინათლეებით განათებული ხომალდი შემოდის.
 გემბანზე მატროსები არიან ჩამწკრივებულები, ხელში წარწერიანი მე-
 წამული დროშები უჭირავთ: „გაუმარჯოს მეწამულ კუნძულს“. მატ-
 როსების წინ პასპარტუ დგას.

პასპარტუ. ამხანაგებო! იახტა „დუნკანის“ ეკიპაჟი ზღვაში გას-
 ვლისას მოძალადე კაპიტალისტებს აუჯანყდა. შემზარავი ბრძოლის შე-
 მდეგ ყველანი — პაგანელი, ლედი გლენარვანი და კაპიტანი გატერასი
 ზღვაში გადაუძახეს. ეკიპაჟის მეთაურობა მე ვიკისრე. ევროპელმა რე-
 ვოლუციონერმა მატროსებმა გვთხოვეს, კუნძულის მკვიდრ ხალხს გა-
 დავცეთ, რომ ამიერიდან მათ თავისუფლებას ველარავინ ხელყოფს.
 ჩვენი ძმური სალამი კუნძულის მკვიდრ ხალხს...

ბეტსი (კლდეზე დგას). ო, რა ბედნიერი ვარ, პასპარტუ, ბოლოსა
 და ბოლოს, როგორც იქნა, შენც განთავისუფლდი ლორდის უღლისა-
 გან. გაუმარჯოს თავისუფალ ევროპელ მატროსებს, გაუმარჯოს პას-
 პარტუს!

კუნძულის მკვიდრნი. გაუმარჯოს რევოლუციონერ მატროსებს!..
 ვაშა! ვაშა! ვაშა!
 თუთიყუში. ვაშა! ვაშა! ვაშა!

ხმამალალი მუსიკა.

საგა ფეხზე წამოდგება და ტაშს უკრავს.

ლორდი. გამასვენეთ... გამასვენეთ! ვაი, ვაი, ვაი...

გუნდი ორკესტრთან ერთად მღერის:

„აი ჩვენი ლოგიკური დასკვნა...
სულერთია ასეთი თუ ისეთი...
გამარჯვებული (სოპრანო) ფინალით!!!
ვაგვირგვინებთ ჩვენს სპექტაკლს!!!“



ქართული
ნაციონალური
თეატრი

ჩამოწვება სიჩუმე. კირი ყურებს იცობს.

სიზნი. მეფე იქნებ სადმე გვერდზე მაინც იდგეს... ვითომ არ და-
ლუპულა ვულკანის ამოფრქვევისას, უბრალოდ, დაიმალა, მერე კი მო-
ინანიდა...

ლორდი. ანეპოდისტ! გადი აქედან!

სიზნი. ვუჩინარდები... შთავარდი, სულთ ჩემო, ჯოჯოხეთში, სა-
უკუნოდ... ო, მთელი სამყარო ჩემთან ერთად რომ დაილუპებოდეს!
(ჩავარდება ჯოჯოხეთური ალით განათებულ ლიუკში.)

ლორდი. საგა ლუკიჩ! საგა ლუკიჩ! საგა ლუ... ნახეთ, როგორ
ითამაშეს? გესმოდათ, როგორ მღეროდნენ? საგა ლუკიჩ... თეატრი —
ეს ტაძარია...

სიჩუმე.

საშა. პიესის დადგმა (პაუზა.) ნებადართულია.

ლორდი (სლუკუნ-სლუკუნით). საგა ლუკიჩ!!

აღტაცების ხმაური იფეთქებს, ირგვლივ ალიაქოთი და აურზაუ-
რია. უკანა ფარდა ხევიტ-ხევიტ იწევა. გამოჩნდება მოკაშკაშე ლამპი-
ონები, გაბზინებული სარკეები და კუნძურებზე ჩამოცმული პარკები.

ყველა. ვაშაა!.. დიდება უფალს!.. გილოცავთ!.. ბრავო!.. ბრა-
ვო!..

ლიპი. პარიკმანერებო!!

სიზნი (ამოდის ლიუკიდან შუა სცენაზე). თერძებო!!

ბანი. უჰ, მაგარი ფინალი გამოგვივიდა!

ფარა. ჩემი შარვალი სად არის?

ლორდი. ვასილი არტურიჩ, ადექით, გილოცავენ...

ქირი. არაფრის გაგონება არ მინდა... არაფრის... მე უკვე მკვდა-
რი ვარ...

ლორდი. გონს მოდით, ვასილი არტურიჩ, პიესა ნებადართულია.

ბეტსი.

ლენი.

ვასილი არტურიჩ, ძვირფასო ეიულ ვერნ, ყველაფერი დამთავრებუ-
ლია, გილოცავთ!.. გილოცავთ...

ქირი. რა? ვის?

ლორდი.

ბეტსი.

ლელი.

გილოცავთ, პიესა ნებადართულია!

პირი. როგორ თუ ნებადართულია?! ო, ჩემო „მეწამული კუნძული“? ოო, ჩემო „მეწამული კუნძული“!

საპა. გმადლობთ, ახალგაზრდავ, თქვენ მე დამამშვიდეთ... პირდაპირ გეტყვით, დამამშვიდეთ... ხომალდისთვისაც ცხელი წყალი, შორს წახვალთ, ახალგაზრდავ, შორს წახვალთ. ამას მე — სავა ლუკიჩი გინასწარმეტყველებთ...

ლორდი. ხომ გეუბნებოდით, ნამდვილი ტალანტია-მეთქი!

საპა. მაგრამ სხვა ქალაქში უსათუოდ ავკრძალავ თქვენს პიესას... რაც არ უნდა იყოს, არ შეიძლება... დაწერო პიესა და უცებ ხედავ, ყველგან ნებადართულია! ეს ხომ ნამდვილი კურიოზია!..

ლორდი. ბუნებრივია, სავა ლუკიჩ, რა თქმა უნდა, ბუნებრივია!.. განა შეიძლება ხალხი ასეთი პიესებით კვებო! აბა ეს როგორ შეიძლება! ხალხი ჯერ ვერ ამაღლდა ამ პიესამდე! (ჩუმად კირი.) ჰო, ვასილი არტურიჩ, თქვენს ამ პიესას ჩვენ მონოპოლიურად ვიღებთ. პროფინციელებს ახლოს არ გავაკარებთ... ჩვენ გავქაჩავთ. ჰო, მართლა, ვასილი არტურიჩ, ამ საქმეს წყალი რომ არ შეუდგეს, სხვა თეატრში საერთოდ ნუ შეივლით, პირდაპირ სახლში წადით, ძამიკო. ხუთი თუმანი უკვე მოგეცით, ახლა ას მანეთსაც მოგცემთ... ბარი-ბარს რომ ვიყოთ. სამაგიეროდ თქვენ მე ხელწერილი დამიტოვეთ... აი ასე... მერსი... ჰა-ჰა-ჰა...

ბეტსი. რა შთაგონებული სახე აქვს.

სიზი. მომეცი ასი ოქრო და მეც შთაგონებული ვიქნები. მეფე პირველ მოქმედებაშივე მოკლეს...

პირი (გაურკვევლად). ფული! თუმნიანები!

თუთიჩუში. თუმნიანები! თუმნიანები!

პირი. სხვენი... თექვსმეტ კვადრატულარშინიანი სხვენი და საბნის მაგიერ მთვარის შუქი... ო, თქვენ ჩემო სხივჩამქრალი მინებო! უფერულო, უნიათო ალიონო... ოქროს თუმნიანებო!.. ვინ დაწერა „მეწამული კუნძული“? ვინ და მე — დიმოგაცკიმ, ანუ ჟიულ ვერნმა. ძირს, ძირს ხანძრები მეშჩანსკაიაზე... მაწანწალა ცოფიანი ძაღლები... გაუმარჯოს მზეს... ოკეანეს... მეწამულ კუნძულს...

სიჩუმე.

სიზი. პიესაში კი ასეთ მონოლოგებს არ წერს.

ყველა. ჩჩუუ...

პირი. ვინ დაწერა „მეწამული კუნძული“?

ლორდი. თქვენ... თქვენ, ვასილი არტურიჩ!.. ცხელ გულზე თუ გიყვირეთ, მაპატიეთ... ჰე-ჰე... რას იზამ, ჰო, რას იზამ, ფიცხი ხასიათი აქვს ბებერ გენადის...

საპა. ჩვენი ახალგაზრდა ავტორი გატაცების კაცია. მეც ასეთი ვიყავი ოდესღაც... სამხედრო კომუნიზმის დროს... ახლა კი...

პირი. ახლა რეპორტიორები! რეცენზენტები! ეჰ!.. ასეა! სახლშია ჟიულ ვერნი? არა, სძინავს, ანდა დაკავებულია, წერს... ნუ შეაწუ-

ხებთ... გვიან შემოიარეთ... მისი მგზნებარე გული ვერ თავსდება თქვენს მეტარშინიან ოთახში, მას ფართო, თავისუფალი სამყარო სჭირდება...
ლორდი. რა საინტერესო ადამიანია!

დირიჟორი. ორკესტრი გილოცავთ, ვასილი არტურიჩ...
პირი. მერსი... გმადლობთ, დანკე ზერ. მოქალაქენო, უცხოელებო, ჩემს ახალ ბინაში, დრამატურგ დიმიტრიას — ყიულ გენერალის ბიჭის, ბელეტაჟზე... შავი ხიზილალით გაგიმასპინძლებით... აბა მუსიკა...

პირი. ჰო, რას იტყვით, ჩემო სენიორ? როგორ გგონიათ, არის ჩემში შთაგონების ნიჭი?
ლორდი. რა თქმა უნდა, ვასილი არტურიჩ... აბა ვის შეიძლება ეკონდეს შთაგონების ნიჭი, თუ არა თქვენ!

პირი. განდიდებულია ჩვენი უფალი სიონში... ეჰ, რა შორსაა ჩვენგან ტიპერერი.
სამპა. ამას რაზე ამბობს?

პასპარტიუ. გაგიყვებულია ფულისგან... ადვილი ხომ არ არის... ასი ოქროს თუმნიანი... გენადი პანფილოვიჩ, მოლარე გეკითხებათ — დაგვრთეს ნება? შეიძლება გაიყიდოს ბილეთები?

ლორდი. შეიძლება... საჭიროა... აუცილებელია... ახლავე, დაუყოვნებლივ...

მუსიკა.

დე, ორივე სალარომ დილის ცხრიდან სალამოს ცხრა საათამდე იმუშაოს... დღესაც, ხვალაც... მოკლედ, ყოველდღე...

პირი. და, მუდამ და მარადის!
ლორდი. მოხსენით „ოიდიპოსი“... „მეწამული კუნძული“ მიდის!

ხომალდზე, ვულკანზე და მაყურებლების დარბაზში ცეცხლოვანი ასოები აბღღვრილდება: „მეწამული კუნძული“ — დღეს და ყოველდღე!

პირი. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!!
სამპა. ამინ!

ფარდა
დასასრული



ბაბრატ შინკუბა



უჩრუხუაღი
შინკუხიჩიქუა

გ ა გ ო ბ ო ლ ო ქ ვ ა

თარგმნა თამარ ჩიჯავაძე

გაშიშვლებული ყანები, სადაც გადმოზრუნებული ბელტების გარდა თვალს ვერაფერს მოჰკრავდა კაცი, ახლა ხასხასა ჯეჯილმა დაფარა. საკმარისი იყო, ნიავს წამოებერა და ისე აბიბინდებოდა, ჯერ კიდევ სუსტი ღერები ისე დაიწყებდნენ დელვას და ნორჩი ფოთლების რხევას, თიოქოს საშველად გიხმობდნენ: „არიქა, ჩქარა, მოგვეშველეთ, გვიხსენით ამ ოხერი სარეველებისგან“.

ეს დრო რომ მოახლოვდებოდა, მამაჩემი, ბაბუა და ძია ელიზბარი თავთავიანთ თოხებს გადმოიღებდნენ, რომლებსაც იარაღივით უფრო ხილდებოდნენ და ძალიანაც რომ არ ჰქონოდათ მოცვეთილი პირები, მაინც მჭედელთან წაიღებდნენ გამოსაპირავად. მაგრამ ჩვენი კაცები ჯერ ტყეს მიაშურებდნენ, მუხის კუნძებიდან ნახშირს გამოწვავდნენ და როცა საკმაოდ დააგროვებდნენ, ბაბუა პირთამდე აავსებდა კალათს, ზურგზე მოიგდებდა თოხს, ნაჯახს, ამ კალათსაც და მჭედელ ზამასთან გაუდგებოდა გზას. მე ხტუნვა-ხტუნვით მივდევი, სამჭედლოში ჩემთვისაც მოიძებნებოდა საქმე...

მე საბერველს ვბერავდი, ზამა კი უროს ურტყამდა გავარვარებულ ლითონს, აქეთ-იქით ატრიალებდა. ზამა ნამდვილი ოსტატი იყო; საკმარისი იყო ერთხელ მოეკრა თვალი რაიმე საგნისთვის, სულერთია, ეს სამეურნეო ხელსაწყო იქნებოდა თუ საბრძოლო იარაღი, მაშინვე გამოჭედავდა ზუსტად ისეთსავეს. გაოცებული მივჩერებოდი, რა მსუბუქად ატრიალებდა ხელში მძიმე უროს, რა მორჩილად ბრტყელდებოდა მისი დარტყმებისგან ფოლადის ნაჭერი.

ზამას ნაცრისფერი თვალები აქვს, წითურია, წითურივე უღვაშები დარდიმანდულად აქვს აპრეხილი, მკერდისა და მკლავების ღონიერმა კუნთებმა ლამის პერანგი გაგლიჯონ... მაგრამ საუბედუროდ ზამა ხეიბარია. გამხმარი ფეხები ყავარჯნებითაც ძლივს მოძრაობენ. სამჭედლოს გარდა ზამასთვის სხვა გზა არ არსებობს...

თოხებს რომ გამოგვიპირავდა, სახლში ვბრუნდებოდით, საქმეს სახვალიოდ არ გადავდებდით — მაშინვე დავუგებდით თოხებს ტარებს. თოხის ტარები უსათუოდ თხილის უნდა ყოფილიყო. ტყავგაცლილ სატარეებს ჯერ კიდევ შემოდგომაზე გადებდნენ სახურავის ქვეშ დირეებზე და მთელი ზამთარი ყველივით იბოლებოდნენ კერიის კვამლში. მერე ჩამოიღებდნენ და ბასრი დანით ისე საგულდაგულოდ გასხეპავდნენ, გვეჩვენებოდა ხელიდან გაგვისხლტება გლუვი სატარეებიო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3-4, № 5-6, 2005 წ.

„ხვალ პირველი მარგველა... მზადა ხართ კაცებო?“ — იკითხავდა ვახშობისას ბაბუა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მზად იყვნენ და ირიყრაქებდა თუ არა, მხრებზე თოხებგადებულელები ყანისკენ გაუტევდნენ.

ზოგჯერ მეც ავეტორლიალებოდი მათ. მე ჩემი თოხები მქონდა, პატარა, ჩემთვის საგანგებოდ გაკეთებული. თოხივენი ეჭმანებისევე რდით დავდებოდი ყანის ბოლოს, როგორც მორბენლები დგებიან სტარტზე და ყველანი ველოდებოდი რიგს. პირველად ბაბუა იწყებდა; მიწას დალოცავდა და თოხს დაჰკრავდა, მერე ჩვენც მწყობრად ავყვებოდით. ჩემი ადგილი ბაბუასა და ძია ელიზბარს შორის იყო. სიამოვნებით ვისმენდი მოთოხნილი მიწის შხრიალს, სიმინდის ღერებს ბორცვებად რომ ედებოდა და ვცდილობდი კაცებივით მარჯვედ და სწრ. ფად შემუშავა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ ვეწეოდი. ჯერ კიდევ კარგად ვერ ვიმორჩილებდი ხელებს და თოხიც ხან ტენიან ბელტში გამეჭედებოდა, ხან ქვაზე გაიკაკუნებდა და გვერდზე გამისხლტებოდა, ხან კიდევ სარეველას ნაცვლად სიმინდს მივაჭრიდი ძირში. „არა უშავს, თუ არ გამოიხშირა, სუსტი გაიზრდება“ — მამხნევებდა ძია ელიზბარი და უკან ბრუნდებოდა, ჩემი ხარვეზების გამოსასწორებლად.

ორ სვრელს რომ გავიტანდი, მომწყინდებოდა თოხნა და ერთადერთი ვერხვის ჩრდილს მივაშურებდი. არაფერს მეკითხებოდნენ, არც მარცხვენდნენ და არც უკან მამბრუნებდნენ. თოხს მივაგდებდი, ჩემს დანას ამოვიღებდი და მასალას ვარჩევდი კარვის ასაშენებლად, ან გვრიტებს ვაკვირდებოდი, საქმიანად რომ დაგოგმანობდნენ და ღირსეული თავდაჯერებით ღულუნებდნენ. მოხიბლული ვიყავი მათი საოცრად ლამაზი და თავმომწონე სიარულით. მერე კი წყაროსკენ დავემვებოდი და დოქით მიმქონდა რაკრაკა წყალი. ყველას ვუკლავდი წყურვილს. მეტი რაღა მინდოდა? თავზე ბავშვობის უღრუბლო ცა დამნათოდა, გარშემო სანეტარო მყუდრო გარემო იყო, რომელიც მზესავით მიგზავნიდა სითბოსა და სინათლეს, მხოლოდ და მხოლოდ სიხარულს.

თოხნის დროს გლეხები შუადლისას დიდი ცაცხვის ქვეშ გაბობილ ქვასთან იყრიდნენ თავს. იქ განუწყვეტლივ ქიქინებდა მაცოცხლებელი ნიავი, ბუზების ჭაჭანება არ იყო და ბუმბულზე უფრო რბილი ბალახი ბიბინებდა. ცოტა ხნით წამოწვებოდნენ, წათვლემდნენ, ვისაც არ ეძინებოდა ცისას და ბარისას მიედმოედებოდნენ, ან დანასობიას თამაშობდნენ.

იმ დღესაც, როგორც ყოველთვის, ცაცხვის ქვეშ ისხდნენ, ის-ის იყო ისადილეს. საჭმლის ამომტან ქალებს თავზე შეედგათ ცარიელი ჭურჭელი და უკვე ქვევით მიუყვებოდნენ გზას. ამ დროს გორაკზე ზაფასი გამოჩნდა. ამ ოხუნჯის დანახვაზე გლეხები გამოცოცხლდნენ და ახლოს მიუჩოჩდნენ. ისინიც კი წამოდგნენ ფეხზე, ერთი ნახევარი საათით მაინც რომ აპირებდნენ წაძინებას.

— სად დაიკარგე, სადილობამდე სად იყავი? — ხეირიანად დაჯდომაც არ აცალეს, ისე დააყარეს კითხვები.

— ორ სახელმწიფოს ერთმანეთისთვის ომი უნდა გამოეცხადებინა, მაგრამ მე არ დავუშვი, გამოვიძახე ჩემთან მათი მეთაურები და შევარიგე, — ხალისიანად უპასუხა ზაფასმა.

— დასაჯდომად არ გვცალია, ქვეყნის საქმე გვაქვს და დროს ნუ აჭიანურებ, ზაფას, მიდი, გაგვამხიარულე.

— ერთი ის მოგვიყევი, როგორ ყიდულობდნენ ხილკანისგან.

ზაფასს ოღონდ არ ემუშავა და... მაგრამ მაინც გაინაზა ცოტა.

— რა ისე წამესიეთ, ჩიტები რომ წაესევიან ბუს... ეტყობა, სანამ თქვენსას არ მიაღწევთ, არც თქვენ მოისვენებთ და არც მე მომასვენებთ... — ზაფასმა ნამწვი გადააგდო, ქუსლით მოსრისა, თვალი მოავლო ყველას, თითქოს ითვლისო და დაიწყო: — კარგი, აბა მისმინეთ... ერთხელ მოსაწევი შემომელია, პირდაპირ ვკვდები, ისეთ დღეში ვარ. კარგად მოგეხსენებათ, მოწევა რომ მოგინდებათ კბილის ტკივილივითაა, არაფერი გშველის. ავდექი და ხილკანთან წავედი. მივედი და ვეუბნები: ასე და ასე-მეთქი, ღვთის გულისათვის, გუშინდლიდან არ მომიწევია, მეტის მოთმენა არ შემიძლია და თუთუნი მომეცი, ნუ გეშინია, მოწყალებას კი არ ვთხოვლობ, უსათუოდ გადაგიხდი, ოღონდ დღეს არაფერი გამაჩნია-მეთქი. ხილკანმა იფიქრა, იფიქრა და სამი შეკვრა დამიწყო. ისეთი თუთუნია, სულ ბზინავს, ელვარებს, პომადასავით წითელია. სუნს ხომ ნულარ იკითხავთ, ვერც აგიწერთ... ორი შეკვრა ავიღე, მესამე უკან დავუბრუნე, ეს შენთან დარჩეს გირაოდ, ფულს რომ მოგიტან, მაშინ წავიღებ-მეთქი.

იქვე მოვწიე მისი თანდასწრებით და სახლისკენ გავწიე. მივდივარ და მივაბოლებ არხეინად. გავიდა ერთი თვე, მეორე, მესამე, მე კი არ მიმაქვს ხილკანთან ფული. ერთხელ ორი ამხანაგი შემხვდა ქუჩაში, ვდგავართ და ვლაპარაკობთ. ამ დროს სოფელში ვილაცის ქორწილი იყო. წავიდეთ, მივულოცოთ ახალგაზრდებს, თითო ჭიქას დაგვალევიანებენ-მეთქი. რას ამბობ, დაუპატიჟებლად მისვლა როგორ შეიძლებაო, კიდევ რაღაცეები დაიწყეს და წავკამათდით.

ამ დროს ხილკანი არ გაჩნდა საიდანღაც? „ასეთი რამე გაგონილა?“ — მეცა ის, — „თუთუნი წაიღე და ფული არ მოგაქვს“. „რაზე მეუბნები, ხილკან, გენაცვალე? რა ფული, არ გახსოვს, გირაო რომ დაგიტოვე? დაგავიწყდა?“ „გირაო? უი, მართლა დამავიწყდა, მაპატიე, ზაფას!“ — მითხრა ხილკანმა და ის-ის იყო, თავის გზას უნდა გასდგომოდა, შეჩერდა, იქნებ ეუხერხულა, ტყუილუმბრალოდ რომ მაწყენინა და იკითხა „ასე ხმამაღლა რაზე კამათობდით?“ აზრზე არა ვარ, რაში დასჭირდა ამისი გაგება, მაგრამ სისულელე ხომ ციცაბო მთასა ჰგავს, ფეხი თუ დაგიცდა, თავის შეკაფება ძნელია. როგორ არ ვიკამათოთ-მეთქი, დაგვავალეს, გავარკვიოთ როგორი ქალები უფრო მეტია ქვეყანაზე ჭკვიანი თუ სულელი. ესენი ამტკიცებენ — ჭკვიანო, მე კიდევ სულელი-მეთქი. რა ვქნათ, როგორ გავარკვიოთ, ძვირფასო ხილკან? ეს რომ გაიგონა, ჭარხალივით გაწითლდა და მაშინვე გამეცალა. მის მერე ახლოს აღარ შეკარება.

დიდხანს არ შეწყვეტილა ცაცხვის ქვეშ ხარხარი, სხვებთან ერთად ზაფასიც იცინოდა, მაგრამ მე მხოლოდ იმას ვხედავდი, როგორ უხტოდა და უცახცახებდა უღვაშები, როგორ უგრძელდებოდა და უმრგვალდებოდა ტურები, ვხედავდი მის გაშიშვლებულ კბილებს, სიცილის ხმა კი არ მესმოდა.

— ეს კარგი იყო, ზაფას, მაგრამ არ გვეყოფა, მიდი, ^{უჩინებელი} გაისმა აქეთ იქიდან.

— კიდევ მოგიყვებოდით, მაგრამ მეშინია მუცლები არ დაგისკდეთ. — იღიმებოდა იგი.

— თუ გინდა შახანის ჩოხაზე გვიამბე და მორჩა, დღეს გვეყოფა.

— ჩოხაზე, ჩოხაზე, მიდი, ზაფას! — იძახდნენ ყოველი მხრიდან. ბოლოს და ბოლოს რომ გაჩუმდნენ, ზაფასმა ახალი ამბავი დაიწყო:

— რა თქმა უნდა, ყველას კარგად გახსოვთ, შახანი, მაგრამ მე მაინც გეტყვი, რანაირი გარეგნობის იყო... ვინმეს თუ შეგხვედრიათ გზაში მოკლე ფეხებიანი ორმოცვედროიანი კასრი, შეგეძლოთ თამამად გეთქვათ, რომ შახანი შეგხვდათ. ჰო, ასე დაბალი და ღიპიანი იყო. წელზე და სხვა რამეებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. ერთხელ შახანმა ახალი ჩოხა შეიკერა, გამოეწყო და სასეირნოდ გამოვიდა. გზაში ამხანაგებს შეხვდა. დგას იმათთან და თავს იწონებს ახალი ტანსაცმლით. ამ დროს, მისდა საუბედუროდ, მეც მივედი. „ოჰ, ზაფას! — კარგი ძმაცაცივით მეძახის, — შენ გამჭრიახი თვალი გაქვს და აბა შემომხედე, როგორ მადვას ახალი ჩოხა“. წინ მიტრიალებს, ხან აქედან შემობრუნდება, ხან იქიდან. თანაც მხოლოდ მუცელია, ვერ გაიგებ, რომელი წინაა და რომელი უკანა. ქამარიც კასრის სარტყელივითაა. ვუყურე, ვუყურე და ვუთხარი: „იცი, რა უნდა ჰქნა, შახან? ერთი ჩოხაც შეუკვეთე და უკანა მხრიდან მოიწებე. მერე მეორე ქამარი ისე შემოირტყი რომ უკან იკვრებოდეს. მაშინ აღარ დაიწყებს ხალხი მკითხაობას, სად გაქვს წინა მხარე და სად — უკანა“. ამის გამგონე შახანი ისე გადაიხრია, რომ მეგობრებიც ველარ აკაგებდნენ. „როგორ გამიბედე ამის თქმა, შე დამპალო ღიპო!“ — მიყვიროდა ის. „სწორედ ეს უნდა მეთქვა შენთვის და დამასწარი“, — ვუპასუხე მე. შახანი მთლად გაგიჟდა, ჩემკენ იქაჩებოდა და ღრიალებდა: „მაგ სიტყვებისთვის კისერს მოგიგრებს!“ მე კი სავსებით მშვიდად ვუპასუხე: „ვერ მომწვდები, შახან, ღიპი არ დაგანებებს“. სიბრაზისგან ენა ჩაუვარდა და კარგა ხანს იდგა თვალებგადმოკარკლული.

— პატივცემულებო, ახლა კი დროა საქმეს მივხედოთ, კარგა ხანია, შუადღე გადავიდა, — გაისმა უცბად ბაბუას ხმა.

— გლახებმა წამოდგომა დაიწყეს. ყველას გავასწარი, ცაცხვთან მივირბინე და ყველას თავის თოხს ვაწვდიდი. ცაცხვის ძირზე მიყუდებული თოხებიდან არც ისე ადვილი გასარჩევი გახლდათ, რომელი რომლის იყო. მხარზე თოხგადებული გლახები ბაასით ეშვებოდნენ გორაკიდან და თავთავიანთ ნაკვეთებისკენ მიდიოდნენ. მხოლოდ ზაფასი არ ჩქარობდა, ყველაზე უკან მიდიოდა და უფრო და უფრო ითრევდა ფეხს.

VIII

„მეწველ ძროხას ეძახდა ბაბუა ბოსტანს. დედაჩემისთვის კი ის თავისებური საკუჭნაო იყო, ასე ვთქვათ, საცავი, ყველანაირი ნედლი თუ შესაკაზმად გამზადებული სანელებლებისა. ხან ქინძი მოჰქონდა მუჭით ლობიოსთვის, ხან ხახვი ან ბოლოკი სადღესღვის ცხრახუში, კამა და ცერეცო აჯიკისთვის. მოკლედ, რაღა არ მოჰქონდა დედას ბოსტნიდან. დღეში სულ ცოტა, სამჯერ-ოთხჯერ მაინც უწევდა იქ ჩასვლა, ამიტომ ბოსტანი შიგ ეზოში გვქონდა ხოლმე, ამაცურტის ახლოს. ასე რომ მწვანილი და ბოსტნეული ხელისგაწვდენაზე ჰქონდა დედას.

ბოსტანს სამი-ოთხი წლის შემდეგ ადგილს უცვლიდნენ. მიწასაც ელევა ძალა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ასე მიაჩნდათ. როგორც კი გაზაფხულის მზე გამლხვალ მიწას გაათბობდა და გააფუებდა, როგორც კი ტყეებსა და კორომებს კოდალების მხიარული კაკუნი გამოაცოცხლებდა, უახლოეს ხუთშაბათს დედაჩემი თქვენთვის უკვე ცნობილ მოხარშულ კვერებს წაიღებდა ჯამით ბოსტანში. მიდიოდა და თან ჯამიდან ადენილ ორთქლს ფანტავდა ხელის ქნევით. ბოსტანში ქალიშვილებს ამოიყენებდა გვერდით, სადღესასწაულო თეთრ თავსაფარს უკან გაინასკვავდა და ჯაჯას მიმართავდა:

ო, ცხოველყოფელო ჯაჯა,
დალოცე ჩვენი ჯაფა,
აღმოაცენე და დააფესვიანე
ნათესი ჩვენი!..

მზით გაათბე
და წვიმით დაარწყულე,
წვენი ჩაუყენე აღმონაცენს,
ირხეოდეს, ილუნებოდეს,
ოღონდ არ ტყდებოდეს...

ო, ჯაჯა, მარჩენალო ჩვენო,
ოდითგან გასხამთ სოტბას,
და არც არასოდეს მოგაკლებთ
ქება-დიდებას...

ლოცვის დამთავრების შემდეგ დედა და გოგოები თესვასა და დარგვას იწყებდნენ...

ჩვენი ბოსტანი და მისი სურნელი რომ მახსენდება, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ათასნაირი ნუგბარით გაწყობილ სუფრასთან ვიჯდე... და ისევ სულ უმნიშვნელო წვრილმანებით მიდგება თვალწინ მიწის ის ერთი ბეწო ნაგლეჯი, დედაჩემი უხვმოსავლიანად რომ აქცევდა ხოლმე... აი ნიავი ამრიალებს ბუჩქა-ბუჩქად ამოსულ ქინძს, მევიხრები და მათ ხშირ ბიბინა ქოჩორს ვეფერები. ნამის ვერცხლისვერი ბურთულები ცვივა და იმსხვრევა. ახლად ამოქოჩოჩებული ქინძი ჩვილის თავზე აბუსუსებულ ღინღლს მოგაგონებთ. რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მკვრივ მწვანე ისრებად აყრილა ნიორი, თითქოს ძვლისგან გამოთლილ ფეხებზე დგას სათესლე ხახვი. ცოტა მოშორებით ფართო დათრთვილული ფოთლების გვირგვინები ადგას კოლრაბებს.

ზოლ-ზოლად ბრდღვიანებენ მთელი ბოსტნის გასწვრივ წიწაკის ბარდები. თითოეულ პარკში თითქოს ცეცხლი ჩაუსხამთო, პატარა ფანრებივით განათებენ...

... საღამოა. დედაჩემი ბოსტანში ფუსფუსებს, — ამჟამად ბოსტანი ჭიშკართანაა ახლოს — ხახვის კვლებს მარგლავს თუხჩიფუნსხადახან დაინრება და ხელით გლეჯს ფესვგამდგარ სარეველას და ლოჭიქიქით ისვრის. მე კი ლობეზე ვარ შემომჯდარი და ახლად მოწყვეტილ კიტრს ვახრამუნებ, თან დედაჩემს ვებუზლუნები, მდინარეზე რომ არ გამიშვა სათამაშოდ, სადაც ბავშვები კამეჩებს მწყემსავდნენ.

გავარფარებული მზე ზღვაში ეშვება და ქვეყანა ცეცხლოვანი დაინის თქეშში ეხვევა. ცეცხლოვან ფერში იძირება მთებიც, სახლებიც და ხეებიც, წითელი საღებავივით ჩამოედინება ჭადრების ქათქათა ტანზე.

უცბად ჩვენს ჭიშკართან ვილაც კაცი გაჩერდა. დედა რომ დაინახა, ეზოში შემოვიდა, ცხენიდან ჩამოსტა, ალვირი ხელზე გადაიკიდა და გაბედულად წამოვიდა ბოსტნისკენ. ვერ ვიცანი, იქნებ ოდესმე ნანახი მყავდა, მაგრამ ვერ გავისხენე და ისე ვუყურებდი, როგორც საერთოდ უყურებენ ხოლმე უცნობს. მაღალი და მოხდენილი იყო, გახუნებული ჩოხა მუხლამდე წვდებოდა, მკერდზე თეთრი ახალუსი მოუჩანდა. ქამარზე ხანჯალი ეკიდა, რომელიც უცბად ვერც კი შევნიშნე, რადგან მისი ტარი და ქარქაში მთლად ჩოხისფერი იყო. მაღალი ბოხოხის ბეწვი ბზინავდა და ლაპლაპებდა, ბეჭებშია მხარზე გადაგდებული ყაბალახის ფუნჯი უქანავებდა.

უცნობი რომ გამისწორდა, მთლად დაკენკილი ნაყვავილარი სახე შევნიშნე.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, დაო! — მიესალმა ის დედაჩემს.

არასოდეს გამეგონა დედას ასეთი ძმა თუ ჰყავდა და ძალიან გამიკვირდა, მოგვიანებით, როცა გავიცანი, მივხვდი, ის ყველას დასა და ძმას ეძახდა, სულერთი იყო ნათესავად მოხდებოდნენ ისინი თუ არა. „ჩემთვის ყველა დაა და ძმა!“ ასე უნდა აგვეხსნა მისი საქციელი.

— მიხარია, ძალიან მიხარია შენი ნახვა. — გულლიად მიესალმა დედა. თოხი ტოტზე ჩამოდო და ჭიშკრისკენ წავიდა ჩქარი ნაბიჯით სტუმრის შესახვედრად.

— როგორ დაგვივიწყე, ჩიჩინ, — ალერსიანად უსაყვედურა დედამ უცნობს. — გეტყობა, ბევრი საქმე გაქვს.

— ჩემი საქმეებისას რას გაიგებ, ფარები გადამყავს უღელტეხილზე, ან ვჩარჩობ აბა... დილიდან საღამომდე ამ ჩემი ლურჯათი ვტრიალებ სოფელში. ზოგჯერ ერთი და იგივე გზას თხუთმეტჯერ მაინც გავივლი. ვინმეს თუ მოუვა აზრად ჩემს კვალზე სიარული, მიხვდება, რომ ჩემი გზა ვაზის რქასავითაა დახვეული, დახვეული და დახვეული... — უცნობი ლაპარაკობდა, ხელი კი ცხენის ფაფარში ჰქონდა ჩაყოფილი და ნაზად უჩეჩავდა თითებით. — შენთან საქმეზე მოვედი, დაო ჩარიმხან... შენ რომ ჩოხა შემიკერე, აქამდე ვატარებ, თუმცა გვარიანადაა გაცვეთილი. ახლა სასწრაფოდ მჭირდება ახალი. ვიცი, ჩემო დაო, რომ ჩემგან, ერთი მოხეტიალე კაცისგან არც გამოჩენა გაქვს და

არც ხეირი, მაგრამ გთხოვ, ძალიან გთხოვ, გეხვეწები, რაღაც არ უნდა დაგიჯდეს, ხვალ სალამოსთვის ჩოხა უნდა მომიწრო.

ამ სიტყვებით უნაგირზე მიმაგრებული შეკრულა გახსნა და შავი მაუდის ნაჭერი დაუდო ხელზე დედაჩემს.

— კი, მაგრამ რა მოგივიდა, ჩიჩინ? ასე საჩქაროდ რა არის? სამხიარულოდ გინდა თუ... — დედამ ხელში შეატრიალა მარცხენა

— სამხიარულოდ, ჩარიმხან, სამხიარულოდ! როგორც იქნა დავიყოლიე ერთი ქალიშვილი, გაგონებაც კი რომ არ უნდოდა გათხოვებაზე. მალე მაყრულს იმღერებენ.

— შენი წყალობით კიდევ ორი ადამიანი რომ გაბედნიერდება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ საკუთარ თავზე რომ იფიქრო, იმის დრო აღარ არის?

— ამას რაზე ამბობ, ჩარიმხან? — ჰკითხა ჩიჩინმა და ყასიდად გაიცინა. — კარგი, კარგი, აღარ გავაჭიანურებ, ჩემთვისაც ვიპოვი საცოლეს! ცხრა მთას გადავიარ, ცხრა წყალს გადავცურავ და ვიპოვი! ოღონდ იქიდან სახლამდე მოსვლას ათი წელი დასჭირდება... თუ არ ვცდები, ეს შენი ბიჭია არა? აბა მოდი ჩემთან, ბეჟანის შვილიშვილო, მოდი! აი, შენ უნდა გაგაგზავნო საცოლის ასარჩევად.

წინ რომ დავუდექი, ნიკაპზე მომკიდა ხელი, თავი ამიწია, თვალებში ჩამხედა და მკითხა:

— რას იტყვი, თანახმა ხარ? შევიძლია ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარო?

მე გავჩუმდი. ჩიჩინმა თავზე ხელი გადამისვა, მერე ისევ დედას მიუბრუნდა:

— ო, ჩემო დაო ჩარიმხან, ნუთუ ხვალ ახალ ჩოხაში გამოვეწყობი? მითხარი, დამამშვიდე, იმედი მომეცი. იქნებ ზომები აგელო?

— რად მინდა? რამდენჯერ შემიკერავს შენთვის ჩოხა, ახალი ზომები არ დამჭირვებია, არც ახლა ხარ შეცვლილი, ისევ ისეთი ხარ, — გაუღიმა დედამ.

— აივანზე ვინ ზის, ბეჟანია? ვის ესაუბრება? მგონი მახასი და თანასი უნდა იყვნენ, თუ არ ვცდები. მივალ იმათთან, ცოტა ხნით ჩამოვჯდები, დავისვენებ, ჭკვიან ხალხს მოვუსმენ. — ლურჯას აღვირში ჩაჰკიდა ხელი ჩიჩინმა და თავლისკენ წავიდა.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, შემობრუნდა და მხიარულად დაუძახა დედას:

ჩემო დაო, მალე
შემიკერე ჩოხა,
ოღონდ დაიხსომე:
ტანზე მაღგეს კოხტად.

სადავე ცხენსაბმელს შემოახვია ჩიჩინმა და ამაცურტისკენ წავიდა, რომლის აივანზეც ბაბუა იჯდა სტუმრებთან ერთად.

— როგორი კაცია, — თვალი გააყოლა და ამოიოხრა დედამ. — მთელ ცხოვრებას უნაგირზე ატარებს, სხვის ბედნიერებას აშენებს და თავისთვის ამდენხამს ბუდეც ვერ მოუწყვია! სადღაც სხვის კუთხეში მიაბარებს ალბათ სულს უფალს.

დედამ ქსოვილი სახლისკენ წაიღო. მე უკან ავედევენე. ძალიან მომეწონა ეს კაცი და მინდოდა მის შესახებ რაიმე გამეგო.

— დედა, ვინ არის ეს კაცი? — ვკითხე კიბეზე რომ აუღიროდით.

— ეს ჩინის შვილია — ჩიჩინი, მუსიკოსი და მაჭანკალი.

— ჩინის შვილს რატომ ეძახიან, გვარია?

— არა, შვილო, ჩინი დედამისი იყო, ღმერთმა აცხონებდეს.

— დედის სახელს ამის გარდა არავის ეძახიან და...

დედამ მკაცრად შემომხედა, აშკარად არ ესიამოვნა ჩემი შეკითხვა.

— „რატომ... რატომ?“ ჯერ პატარა ხარ და ყველაფერი არ უნდა იცოდე. მაგას ჯობია, ბაბუასთან ადი აივანზე, იქნებ ზღაპრებს ჰყვებიან, — მირჩია დედამ, თავიდან რომ მოვეშორებინე. მერე მაუდი მაგიდაზე გამალა და უკანა კარებიდან გავიდა.

მე მარტო დავრჩი ხალაში. არ ვიცოდი რა მექნა, ბაბუასთან ავსულიყავი აივანზე, თუ ისევ მეკითხა დედაჩემისთვის რაღაცეები ჩინის შვილზე ჩიჩინზე. „რა შესმატკბილებული სახელებია ჩიჩინის და დედამისის. თანაც რა დალაგებულად და მოხერიებულად თხოვა დედაჩემს ჩოხის შეკერვა. ნეტა ვინ არის ეს კაცი?“ ვფიქრობდი ჩემთვის. ტუჩები კი ჩემდა უნებურად იმეორებდნენ ამ ძარღვიან სახელებს, რომლებიც ტოტზე მჯდარი ორ მოჟღურტულე ბელურასავით ეხშიანებოდნენ ერთმანეთს.

ჩან-ჩინ, ჩან-ჩინ-ჩინ,
ჩინა-ჩინ, ჩი-ჩინ,
ჩინის შვილი — ჩიჩინ!

ერთხელ ეს მეტისმეტად ხმამაღლა წამომცდა; შევშინდი, ვაი თუ ვინმემ გაიგონა-მეთქი და პირი მოვკუმე.

... საბუა ახალუხის ამარა იჯდა აივანზე, შიშველი ფეხები ჩუსტებში წაეყო, თავი ოდნავ ჩაელუნა და ადგილობრივი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს მახაზს უსმენდა, რომელსაც ძველებურად ზოგი სტაროსტას ეძახოდა და ზოგი კომისარს. ეს იყო ახოვანი, უღვაშებაპრეხილი შავგვრემანი კაცი. ის დრო და დრო ხელს ისვამდა ამ უღვაშებზე. ისწორებდა და ისეთი ბოხი ხმით ლაპარაკობდა, რომ თითქოს სკამი, რომელზეც იჯდა ძაგძაგებდა. მახაზის პირდაპირ ტაბურეტზე მისი მოადგილე თანასი მოთავსებულიყო — დედაჩემის უმცროსი ძმა. თვალები იმასაც დედაჩემივით ღურჯი ჰქონდა, თმა — ქერა და სახე — მოვარდისფერო, როგორიც წითურებს აქვთ ხოლმე. საოცრად კმაყოფილი ვიყავი, რომ ბიძაჩემმა გვერდით მომიხვა, თანაც იმ მხარეს, შავბუდიანი ნაგანი რომ ეკიდა. ჩუმად შევციცინებდი იარაღს და თავს ძლივს ვიკავებდი, ხელი რომ არ შემეხო.

კუთხეში კი მაღალ სკამზე ფეხი ფეხზე გადაედო ჩინის შვილს ჩიჩინს, მუხლზე ორად მოკეცილი მათრახი ედო, დრო და დრო ბოხოსს იხდიდა და შეჭალარავებულ თმაზე ისვამდა ხელს.

უკვე ჩამობნელებული იყო და მოსაუბრენი ძლივს ხედავდნენ ერთმანეთს მოაჯირზე შემოდგმული ჭრაქის შუქზე.

— ... ხალხი ნაღდად დაგვიჭერს მხარს, ამიტომ მათი მოვლა არ გაგვიჭირდება. დროა გავანთავისუფლოთ ჩვენი სოფელი ქურდებისა და მძარცველებისაგან. რამდენ ხანს უნდა ვუთმინოთ? — ბუბუნებდა მახაზი. მერე პაპიროსის ნამწვი ჩააქრო და ბაბუას მიუბრუნდა, — მაგრამ ერთი საქმეცაა, არ დაგიმაღავთ და ძალზე სწრაფად საქმეც. ამიტომაც მოვედით შენთან მე და თანასი, ძვირფასი ბუბუნები და დედოფანებით, რომ დაგვეხმარები.

— ეს ბებრუხანა კაცი რით უნდა დაგვეხმაროთ, ეზოდან ძლივს გამოვდივარ, — ამას რომ ამბობდა, ბაბუა ხელისგულზე ჩიბუხს იბერტყავდა.

— ამას ნუ ამბობ, პატივცემულო ბეჟან, შენი დახმარება ჩვენთვის ფასდაუდებელია, — უთხრა თანასმა, რომელიც რაღაც ნაფოტს თლიდა თეთრტარიანი დანით — რაღა შორს წავიდეთ მაგალითის მოსაყვანად, ყველას ახსოვს რამდენი ძალა და დრო დახარჯე ორი ოჯახის შესარიგებლად. აბაგბასა და ახსაბას ოჯახებს შორის სისხლიან მტრობას მოუღე ბოლო. მთელი კვირა ყოველდღე დადიოდი და შენსას მიაღწიე, შეარიგე ეს ორი ოჯახი. შენ რომ არა, დიდი ხნის ამოსოცნილი ეყოლებოდათ ერთმანეთი... ახლა ჩვენ გვჭირდება შენი დახმარება, ბეჟან!

— რამდენ ხანს უნდა ვირბინოთ ბერძენ იანკოს დუქანში და ყოველ წვრილმანში ზედმეტი ფული ვაძლიოთ? შენობა რომ გვაშოვნინა, მთავრობა სვალვე გაგვასხნევენებს კოპერატივს. იქ ყველაფერს თავისი ფასი ექნება... ასე რომ ახლა მხოლოდ შენობა გვჭირდება. — მახაზმა ერთი ამოსუნთქვით წარმოთქვა სიტყვა. ეშინოდა, ბლუკუნს დავიწყებ და ვერ დავამთავრებო. ასე ემართებოდა ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ღელავდა.

— მერე სად იშოვით შენობას? არა მგონია, ვინმემ თავისი სახლი შემოგთავაზოთ, თანაც უფასოდ. აშენება კი... არა, ამას თქვენი ჯიბე ვერ გაუძლებს. — თქვა ბაბუამ იატაკზე ჯოხის კაკუნით.

— რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ჯერ არ შეუძლია ჩვენი დახმარება არც მასალით და არც თანხით. მაგრამ რა ვქნათ, ვისხდეთ ასე გულხელდაკრეფილი და ველოდოთ? მე მგონი, რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

— მაინც რა გაქვთ მოფიქრებული? ბაბუამ სოფლის საბჭოელებს გადახედა.

— აი რა, ჩვენს ეკლესიას შარშანდელს აქეთ კლიტე ადევს. კაციშვილი არ ჭაჭანებს იქ, მარტო თავვეები და ბელურები ბუდობენ. მერე რა მასალისგანაა აშენებული?! სულ წაბლია, უკეთესს ვერსად იშოვი კაცი... ერთ დურგალს ველაპარაკე, მითხრა ამ ფიცრებიდან მალაზიაც აშენდება და მორჩება კიდევო... მახაზს ენა დაემა და მაშინვე გაჩუმდა.

— ეკლესიის დანგრევას ვფიქრობთ და სოფლის საბჭოს ახლოს მალაზიის აშენებას... — გააგრძელა მახაზის აზრი თანასმა. — სულერთია, ეს ეკლესია მაინც არაფერში გვარგია. მსახურიც კი არ არის იქ. მღვდელი გაიქცა, თავი შეირცხვინა სიხარბით, ახალს კი არ გვიგზავნიან...

სიჩუმე ჩამოწვა. ჩინის შვილი ჩინი გაშეშდა, სუნთქვაშეჩერებული ისმენდა საუბარს, ხან ერთ ფეხს გადადებდა მეორეზე, ხან პირიქით.

— მღვდელი რა შუაშია, განა ეკლესიის ბრალია, მღვდელმა რომ არ გაგვიმართლა? — ხმადაბლა წარმოთქვა ბაბუამ და ^{უფრო უფრო დაბნა} ხარა.

— არ შეგინიშნავს, ძვირფასო ბეჟან, ამ ბოლო დროს ხალხი იშვიათად რომ დადის ეკლესიაში? არ ვიცით, მღვდლის ბრალია თუ სხვა რამის, მაგრამ... — მახაზმა კითხვის ნიშნით შეხედა ბაბუას, თითქოს ეუბნებოდა, ახლა შენ თქვი შენი მოსაზრებაო.

ბაბუა ხმას არ იღებდა, ოღონდ წინანდელზე უფრო მაგრად დააბრახუნა ჯოხი.

— უცნაური სოფელი გვაქვს, — ბაბუას სიტყვისთვის არ დაუცდია, ისე დაიწყო მახაზმა, დრო და დრო ჩერდებოდა, იცდიდა, ენის ბორძიკს რომ გაევიდა. — თავში ეკლესია დგას და ბოლოში, მთების ახლოს, მეჩეთი. ყურადღებით თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ ეკლესიაშიც და მეჩეთშიც ერთი და იგივე ხალხი დადის. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ არავის არ სწამს ღმერთი, არც ქრისტე და არც მაჰმადი.

— მე კი ის ბავშვები მეცოდებიან, მთის ძირას რომ ცხოვრობენ, — ჩაერია საუბარში თანასი, რომელიც თავის უფროსს უჭერდა მხარს. — სკოლა სოფლის ცენტრშია, რვა კილომეტრია გასავლელი. აბა დაფიქრდით, ადვილია ბავშვებისთვის ამ სიშორიდან სიარული? მერე უკანაც სომ უნდა დაბრუნდნენ? ჩემი აზრი ასეთია — დავხუროთ მეჩეთი და სკოლად გადავაკეთოთ.

ისევ სიჩუმე გამეფდა.

— ვხედავ, საკუთარ თავზე კი არა ბავშვებზე ფიქრობთ. კარგი დაგემართოთ, მაგრამ გულახდილად გეტყვი — ნუ აჩქარდებით. — თქვა ბოლოს ბაბუამ და ცერა თითით თუთუნის ჩატენა ყალიონში. — ეკლესია სალოცავია და მისი ხელისხლება არ შეიძლება. ღმერთმა შეგინდოთ თქვენი ცოდვიანი ზრახვანი. ჩვენ სოფელში ეკლესია რომ არ იყო, ხალხი მოქვაში ან ილორში დადიოდა სალოცავად, განსაკუთრებით დღესასწაულებზე მდინარესავით მიედინებოდა. ჩემი წინაპრებით მეც ილორის ხატზე ვლოცულობ. მის სახელზე ღვინით სავსე ქვევრი მაქვს ჩაფლული. დიდებული ღვინოა, დიდება გამჩენს! — ბაბუამ პირჯვარი გადაისახა.

— ბეჟან, ძვირფასო, როგორც ვიცი, შენ მეჩეთსაც გვირდს უვლი და არც ეკლესიაში უნახიხარ ვინმეს... ვისზე ლოცულობ? ა? სდუმხარ? მაშინ მე გეტყვი: მხოლოდ ჯაჯაზე და აითარზე, მთვარესა და მზეზე და ყველა ძველ ღმერთებზე, აი, ვისზე ლოცულობ, — გაიიმა თანასმა და თეთრი კბილები გამოაჩინა.

ბაბუამ ხელისგული წვერის წვეტზე ჩამოისვა და გვერდზე გაიხედა. ეტყობოდა, თანასის სიტყვები მიზანში მოხვდა.

— ხეზეც რომ ილოცო, თუ გულწრფელად და უანგაროდ ლოცულობ, შენი ლოცვა მაინც მიაღწევს ჭეშმარიტ ღმერთამდე, რა სახელსაც არ უნდა არქმევდეს მას ხალხი.

ბაბუამ ეს სიტყვები ჩვეულებრივზე უფრო ხმაძალლა წარმოთქვა. ყალიონი გააჩაღა. იჯდა და ბოლქვა-ბოლქვა უშვებდა ბოლს. ცხადი იყო, ბოლომდე არ ჰქონდა დამთავრებული სათქმელი, ამიტომ სანამ ის ეწეოდა, არავის დაურღვევია დუმილი.

მოწევა რომ დაამთავრა, ბაბუამ ფრთხილად დადო უფლები თუ-თუნით გატენილ ფუთაზე და მაგრად დააწვა ჯოხს.

— ყველაფერი, რასაც ხალხი შეეჩვია, რასაც შეეთვისა და შეესისლხორცა, ყველაფერი რაც ისე შემოეხვია და შემოეწნა მის სულს, როგორც ვაში შემოეხვევა ხეს, გინდათ ერთი ხელისდაკვრით მოიკვეთოთ? გაფიცვით, ნუ აჩქარდებით! მაგ ჩანაფიქრმა შეიძლება ხალხთან შეგაჯახოთ, შეიძლება ზურგი გაქციონ.. არ დაგაფიწყდეთ, ვინც სალოცავზე ხელს აღმართავს, მის წაბილწვას მოინდომებს, შეჩვენდება. რა მნიშვნელობა აქვს ღმერთი იხამს ამას თუ ხალხი? რად გინდათ ეს წყევლა-კრულვა, ჯერ ხომ სულ ახალგაზრდები ხართ. — ბაბუამ ჯოხი მუხლებზე დაიდო, თავი ასწია და თვალი თვალში გაუყარა გაქვავებულ ჩიჩინს. — შენ რა პატარძალივით გაჩუმებულხარ, თუ სულაც არ გაღელვებს, რაზეც ვდაობთ?

ჩიჩინი ჩინის შვილი შეკრთა, შეირხა და გაოცებული თვალები გადმოკარკლა. უცბად გაღვიძებულ კაცს ჰგავდა, მოულოდნელად რომ დაინახავს თავზე დამდგარ ხალხს, რალაცას რომ ითხოვენ მისგან.

— რა უნდა ვთქვა, ძვირფასო ბეჟან? — დაიწყო მან თავისმართლება და ჩოხის კალთები აიკეცა. — ჩემი ღმერთი დიდი ხანია მოკვდა, ჯერ კიდევ დედის მუცელში რომ ვიყავი, მაშინ მოკვდა. ისე მოკვდა, ოდნავადაც არ უზრუნია ჩემს ბედზე და რალა მე უნდა ვიზრუნო მასზე? ან რაში ჭირდება კაცს ტაძარი თუ სულში არა ჰყავს ღმერთი?!

— დავუშვათ ასეა, მაგრამ იმათ მიმართ რატომ უნდა იყო გულგრილი ვისაც იგი ჰყავს? — უსაყვედურა ბაბუამ.

— ბეჟან, ძვირფასო, თვითონ განსაჯე: რატომ უნდა ჩავყო ცხვირი სხვის საქმეებში, როცა ამდენხანს საკუთარი ვერ მომიგვარებია? — მორიდებულად უთხრა ჩიჩინმა და თითზე მარყუჟით წამოცმული მათრახი ასწია. ეტყობა, ამით აგრძნობინა, რომ მისი წასვლის დრო იყო.

— ჩიტო რომ ჩიტია, იმასაც კი თავისი ბუდე აქვს, ჩიჩინს ჩინის შვილს კი არაფერი აბადია, — ჩაერია მახაზი. — ნუთუ ასე ძნელია, ცოტა ხნით მაჭანკლობას და ჩონგურზე ჩხაკუნს თავი რომ მიანებო და საკუთარი სახლის აშენებას მოჰკიდო ხელი? რამდენჯერ დავაპირეთ მიწის მოცემა, გიბარებდით შენ თითონ რომ აგერჩია სამოსახლო, მაგრამ არ ინებე მობრძანება. რა დაგეშართა, რატომ არ გინდა დაინახო, რომ ახლა სხვა დროა. ახლა შრომა და გარჯაა საჭირო და არა ლაზღანდარობა. ახლა შრომისმოყვარე გლეხისთვის ყველაფერი კეთდება, ყველა გზა ხსნილი აქვს! — მახაზი ისე გულმოდგინედ წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, თითქოს ძაფს უყრიდა ნემსში.

— ეს, ჩემო მახაზ, მე თუ მართლა ჩემი ქვეყნის შვილი ვარ და თუ მეც მეკუთვნის მიწის ნაგლეჯი, რომელსაც როგორც მინდა ისე გამოვიყენებ, გთხოვ, იმ შრომისმოყვარე გლეხებს მისცე იგი, რომლებ-

ზეც ასე ლამაზად ლაპარაკობ. ბეჟანმა და მისმა შვილებმა აიღონ. ისინი მაპურებენ, მათ კერიაზე ვთბები... გუშკა, ჩემო საყვარელო დაიკო, — უცბად დაიძახა სახლისკენ მიბრუნებულმა, რომლის აივანზეც თეთრად ქათქათებდა ჩემი უფროსი დის კოფთა. — ერთი ჩონგური მომიღებენინე, მალე მომიტანე თორემ ეს ხალხი მთლად გამოიფიტა. დაუთავებელი კამათით. დაუკრავ რამე გულისამაჩუყებელს დასწავლს შემეგზით.

გუშკა მაშინვე ზალაში შევიდა, ჩონგური გამოიტანა, წამში ჩამოირბინა კიბე და ჩიჩინ-ჩინის შვილს გაუწოდა. მან მათრახი მოაჯირზე დადო, ჩონგური მუხლებზე დაიდო და აწყობა დაუწყო.

— ჭრაქი მოუწიეთ ახლოს! — აწრიალდა ყველა.

— მადლობთ, არ არის საჭირო. ჟანა აჩბა მთლად ბრმა იყო, მაგრამ მისი აფხიარცის ხმა მკვდარს წამოაყენებდა ფეხზე. ხელები კი არა, სული ამღერებს და ატირებს ჩონგურს. ხვალ ქორწილში მივიჩქარი, ნამდვილ ქორწილში. როგორც ამბობენ, ქორწილიც არის და ქორწილიც. აბა, რა დაგიკრათ? „რა საოცარი წყვილია? გინდათ? — გამოაცხადა ჩინის შვილმა ჩიჩინმა ცოტა ყოყმანის შემდეგ და დაამთავრა:

მაწანწალა ქორწინდება
უსახლკაროს შვილზე.
ლატაკი და ოხერი
მიწვეულია ღზინზე.

...და ბოლოს ჩიჩინმა სიმღერა ასე დაამთავრა:

ბრძები ვერ ხედავენ
მეფეს და დედოფალს,
მაინც იძახიან:
„აუ რა წყვილია“!
ქეიფი არის... უკეთესი ტყუილია!..

სიმღერა რომ დაამთავრა ჩინის შვილმა ჩიჩინმა ჩონგური გუშკას გაუწოდა, წაიღეო.

— არ გამოართვა, კიდევ დაუკრას რამე! — უთხრა თანასმა.

— ვიცი, რომ გეჩქარება, ამიტომ ძალას არ გატან, მაგრამ ერთი სიმღერა კიდევ გვიმღერე! — ჩაიბუბუნა მახაზმა, თითქოს რამდენიმე წუთის წინ თითონ არ ეუბნებოდა, თავი დაანებე ჩონგურზე ჩხაკუნსო.

— გთხოვთ, გთხოვთ! — მხარი აუბეს მახაზს სხვა თავმჯდომარეებმაც.

ჩინის შვილმა ჩიჩინმა თავპატიჟი არ დაიდო, ისევ აიღო ჩონგური და ჩაფიქრდა.

— კარგი, „კალტი კუკ“ გიმღერებო, გადაწყვიტა მან და სიმე-ბმაც მორჩილად გაიმეორეს „კალტი კუკ“.

ჩინის შვილმა ჩიჩინმა ჩუმად ჩაიმღერა:

შუალამეს კაკუნია — კალტი კუკ!
ცოცხალი ხარ, მეგობარო — კალტი კუკ!
მეც არ ვიცი, ჩემო კარგო — კალტი კუკ!

ქვეყანა მევიწროება — კალტი კუკ!
 რაკი მესმის ცოცხალი ვარ — კალტი კუკ,
 რა შეგემთხვა, მომიყუევი — კალტი კუკ!
 „არაფერი საოცარი“ — კალტი კუკ, —
 შენც ხომ იცი, როგორც არის — კალტი კუკ,
 ნაჯახი თუ საჭიროა, კალტი კუკ, —
 აქებენ და აღიდებენ, — კალტი კუკ, —
 როცა აღარ დაგჭირდებათ — კალტი კუკ, —
 ჭაობში გადააგდებენ, — კალტი კუკ,
 მეც ასე ვარ, ჩემო კარგო, — კალტი კუკ,
 ახლობლებმა დამივიწყეს, — კალტი კუკ,
 ვჭირდებოდი, პატივს მცემდნენ, კალტი კუკ,
 არ ვჭირდები, მიმატოვეს, — კალტი კუკ,
 უშენოდ რომ ვერ ივარგეს, — კალტი კუკ!
 ეს როგორ ქნეს, რა იკადრეს, — კალტი კუკ!
 ნუ გალანძლავ, ნუ აგინებ, — კალტი კუკ, —
 სანაცვლოდ არა მინდა რა, — კალტი კუკ, —
 ტკივილი და ნალველი დამიფარავს, — კალტი კუკ,
 მხოლოდ იმედითლა ვცოცხლობ, — კალტი კუკ, —
 რაც სიკეთე მითესია, — კალტი კუკ.
 ყველა სიკეთეთ მოიმკის, — კალტი კუკ.
 შუალამისას კაკუნია: — კალტი კუკ!
 ცოცხალი ხარ, მეგობარო, — კალტი კუკ?
 „— მეც არ ვიცი, ჩემო კარგო, — კალტი კუკ, —
 ქვეყანა მევიწროება!“ — კალტი კუკ.



სიმებმა გაჩუმება ძლივს მოასწრეს და ჩინის შვილი ჩიჩინი წამოხტა, ჩონგური იმ სკამზე დადო, რომელზეც სულ ახლა იჯდა, მოაჯირზე დადებულ მათრახს ხელი დასტაცა და უკან მოუხედავად გავარდა აივნიდან. ეტყობა, ეშინოდა (და არც უსაფუძვლოდ), კიდევ არ მთხოვონ, კიდევ გვიმღერე, ერთი სიმღერა მაინც გვიმღერეო. მერე კიდევ ერთიო, კიდევ ერთიო და ასე გაგრძელდება მთელი ღამე. ჰოდა, ისიც ისე გავარდა, თითქოს ხანძრიდან კეთილი ადამიანების დასახსნულად გარბისო. გასაცილებლად არავინ გამოჰყოლია, სადავის მიწოდებაც ვერავინ მოასწრო, უზანგები არავის დაუჭერია, ცხენს მოახტა და ქარიშხალივით გავარდა გარეთ.

ასე ვნახე პირველად ჩინის შვილი ჩიჩინი და მოვისმინე მისი სიმღერა.

IX

მდინარე კეტუანის ნაპირებზე ბევრი მოჭრილი კაკლის ხე იყო, მაგრამ გამოტანა ვერ ხერხდებოდა. მცოდნე ხალხი კი ამბობდა: ეს ძვირფასი ხე ძალიან ჭირდება სახელმწიფოსო.

და აი, სოფლის საბჭომ მამაჩემს და კიდევ ორ კაცს ჩვენი ოლქიდან დაავალა სასწრაფოდ ჩაეტანათ ოჩამჩირეში დამზადებული ხე-ტყე.

ორი დღე ემზადებოდა მამაჩემი გასამგზავრებლად. მასთან ერთად მეც ვემზადებოდი, რადგანაც ბაბუას მხარდაჭერით მეც უნდა წავყოლოდი მამაჩემს მდინარემდე.

ძია ელიზბარიც უნდა გასდგომოდა გზას. ბაბუას გუხდახზე ამხედრებული ცხენების რემას უნდა გაჰყოლოდა, რომელიც დიდი ხანია მთებში უნდა გაერეკათ საზაფხულო საძოვრებზე. ჩვენი ცხენებიც იქ უნდა ბოღნენ. ძია ელიზბარი ბავადის ხილამდე გაჰყვებოდა რემას, იქიდან კეტუანისკენ გადაუხვევდა, მეურმეებს შეუერთდებოდა და მძიმე მორების დაწყობაში მიეხმარებოდა, მერე მე წამომიყვანდა და შინ დავბრუნდებოდი.

მოკლედ, ტყეში ურმით წავიდოდი, ტყიდან კი ცხენით...

ამაცურტაში ვზივართ და ვახშამს შევექცევით. მე, როგორც ყოველთვის, ბაბუას გვერდით ვზივარ. ის შაშხს ანაწილებს და ყველაზე მსუქან და გემრიელ ნაჭრებს მე მიწყობს; იცის ჩემი სუსტი მხარე.

სწორედ სუფრაზე გადაწყდა ჩემი წაყვანა. „რატომ უნდა გვყავდეს ბიჭი ასე ჩაკეტილი, წავიდეს და თავისი თვალთ ნახოს ქვეყანა. არც თქვენ მოგაწყენთ, მთელი გზა იტიკტიკებს“. — თქვა ბაბუამ და ამ სიტყვებით ზღვარი დაუდო მსჯელობას.

ორმაგად გახარებული ვარ. ჯერ ერთი, ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა, მეორეც — დიდი დავიდარაბა არ გამხდარა ამისთვის საჭირო.

შხლოდ დედაჩემს არ უნდა ჩემი გაშვება. ამის ნება რომ იყოს, საერთოდ ნაბიჯს არ გადამადგმევინებდა მარტოს. ამიტომაც არის მოლუშული. თავს გვერდზე წევს, ჩემი გახარებული სახე რომ არ დაინახოს, მაგრამ გაჩუმებულია, მამამთილს უარის თქმას ვერ გაუბედავს. ამხარში რომ შევედით დასაძინებლად, მაშინ კი იფეთქა. მთელი წყენა მამაჩემს დაატეხა თავზე.

— დიდიხანია გამჩნევ, როგორც კი ჩვენ ბიჭზე ჩამოვარდება სიტყვა, პირში წყალდაგუბებული ზიხარ, კრინტს არ ძრავ, ისე კი იცი, ჩემზე უკეთესად იცი, რომ მაგას ყველგან უბედურება სდევს თან. პოდა, რატომ, როგორ დაეთანხმე ბიჭის წაყვანაზე? გინდა მორმა დაიტანოს ქვეშ? ან დაიღრჩოს? ის გეცოტავება, ერთხელ ურემმა რომ დაიტანა და სასწაულმა გადაარჩინა? აბა ფანჯარაში გაიხედე, რა ხდება, დღეს თუ არა, სვალ ჭექა-ქუხილი იქნება, გაწვიმდება, თქვენ კი მდინარე გაქვთ გადასასვლელი!..

მამაჩემმა, ეტყობა, თავდაპირველად გაჩუმება არჩია, უსმინა, უსმინა დედაჩემს, ბოლოს ველარ მოითმინა, ცოტახნით ჩაფიქრდა და თითების ერთმანეთზე კაკუნით ჩაიღიღინა:

როცა ჯამარინცას დაესხა მტრის ჯარი,
თავადის შვილი საწოლქვეშ შეძვრა, ლაჩარი.
ასეთი მშობარა ნეტავი რად იყო,
მათი გვარი რომ არ ამომწყდარიყო.

და დაუმატა: შენ გინდა რომ ლაგანი იმ თავადის შვილს დაემსგავსოს? იცი როგორია მცენარეები, რომლებიც მყუდრო ადგილას არ-

იან უმზეოდ და უწვიმოდ? ასეა ეს... დიახ, მეც ვამჩნევ რაღაცეებს. მაგალითად ვამჩნევ, რომ ბოლო დროს ყველაფრის გეშინია, საკუთარი ჩრდილისაც კი. არ ვარგა ასე, სირცხვილია. ბიჭისთვის ცუდია.

დედაჩემი კი ამ დროს პერანგის ამარა იჯდა საწოლზე, მკერდზე თეთრი ხელები მიედო და მხურვალედ შესთხოვდა ~~დაეძინებოდა~~ შერეულ მოგზაურობაში მყოფი ერთადერთი ვაჟიშვილის მშვიდობიან დაბრუნებას.



მზე ჯერ კიდევ არ ამოწვერილიყო, ჩვენ რომ გზას გავუღეპით. ჩემთვის ბიდას ურემზე ნაბადი გაეფინათ, ვიჯექი ზედ და მიხაროდა. ბიდა ჩემს გვერდით ჯორკოზეა ჩამომჯდარი, ურმის ქიმს დაყრდნობია და დაბნეულად იქნევს თხმელის წკნელს. როგორც კი ქორფა ბალახით ცდუნებული კამეჩები გზის ნაპირისკენ გაიწევიან, ბიდა მაშინვე აგრძნობინებთ, რომ წამითაც არ აცილებს მათ თვალს.

მას შემდეგ, ქალაქში კინალამ რომ დაგვარგე დანა და ბიდა რომ დამეხმარა მის დაბრუნებაში, კიდევ უფრო შემიყვარდა ეს წითურულვაშა გოლიათი.

წინ ხაზართის ურემი მიჭრიალებს, მისი კამეჩები არც მაინცა და მაინც ჩქარობენ და ჩვენც იძულებული ვართ, მათ ავყვეთ.

ჩვენს უკან კი ლამის ჩვენს ურემზე დრუნჩმოდებული მამაჩემის კამეჩები მოიხლაზნებიან. გზა მთის გარშემო ეხვევა. აქა-იქ სიძინდის ყანებია, საიდანაც თოხების წკრიალი ისმის, ქვიან ხიადაგს რომ აფხვიერებენ...

— აი, ჩიტის წყაროც! — წამოიძახა ბიდამ, რომელიღაც ბინულს რომ ჩავუარეთ.

— ამას მხოლოდ ჩიტები სვამენ? — ვიკითხე ასეთი სახელით გაოცებულმა.

— არა, კაცო... თუმცა ზამთარში რომ თოვს, აქ მართლა მოფრინავენ უცნაური ფრინველები. ხალხი მათ მთის ფრინველებს უწოდებს. ნახევარი ფრთა თეთრი აქვთ, ნახევარი — წითელი. ჩამოსხდებიან წყაროს ირგვლივ, ხეებზე და წარა-მარა წყალს სვამენ, თითქოს წყურვილით კვდებიანო... ასეა მთელი ზამთარი. თოვლი რომ დადნება, მხოლოდ მაშინ მიფრინავენ ხოლმე...

ჭრიჭინით, ქვებზე ბრახუნით ნელა მიიწევდა წინ ჩვენი ქარავანი. მე თვალეზღაყეტილი ვათვალეირებდი ჩემთვის უცნობ ადგილებს. ბიდა კი შეკითხვებს აღარ უცდიდა, ისე მიაბზობდა ყველაფერზე, რაც გზაში გვხვდებოდა.

— ...ამ ადგილს ხუაშტარას ეძახიან, რაც „შქერის ტევრს“ ნიშნავს. მართლაც, აბა შეხედე, რა დაბურულია! — მითხრა, როცა გზის ახლოს შქერის ბუჩქები გაიჭიმა, ისეთი ხშირი, ერთმანეთზე მიჯრილი, გეგონებოდათ, ზედ დავდგები, ვირბენ და ფეხიც კი არსად ჩამივარდებოდა. ბუჩქნარისაგან გარშემორტყმული გზა ისე ვიწროვდებოდა, რომ ურემი ძლივს მიძვრებოდა წინ...

შუადღისთვის ტყეში შევედით და მალე ნამდვილ ულრანში აღმოვჩნდით. მზეს ბინდი გადაეფარა, მისი მცხუნვარე სხივები ცაზე მჭიდროდ აფარებული ფოთლების ფარდაში ველარ ატანდნენ. ჩამობრუნდა, თითქოს ღამე მოგვიანლოვდა, მხოლოდ გზის პირას ჩარიგებული წიფლის ხეები ქათქათებდნენ თეთრად გრილ წყვედიადში.

როცა ბოლოს და ბოლოს ტყე გათავდა და მზემ იხსნა, მზესთან, გზის მარჯვნივ კლდე გამოჩნდა, საიდანაც ჩანჩქერი გადმოქუხდა. ჩანჩქერები ნანახი მქონდა და ამიტომ არც მაინცა და მაინც გამკვირვებია, შემდეგ კი რაღაც უცნაურობა შევნიშნე: რაღაც ნაცნობი და ჩვეულებრივი აკლდა, მაგრამ ვერ მოვიფიქრე. რა, კლდე რომ უკან მოვიტოვეთ, მხოლოდ მაშინ მივხვდი, ხმაური აკლდა. წყალი უხმაუროდ ვარდებოდა ძირს, თითქოს სადღაც, სიღრმეში ჯადოქარი იჯდა და დაღებულ ხახით ნთქავდა წყალს.

ბილამ ჩემი გაოცება შენიშნა, მიზეზსაც მიხვდა და სწრაფად ამიხსნა:

— როგორც არ უნდა უსმინო, სულერთია, ვერაფერს გაიგონებ. საქმე ისაა, რომ აქ წყალი უძირო ორმოში ვარდება და იქიდან გასული გადაიქცევა მდინარედ. აი, მაშინ კი ისე ღრიალებს, კაცს დააყრუებს. რომ არ გვეჩქარებოდეს, უსათუოდ მიგიყვანდი იქ, გაჩვენებდი იმ ადგილს... სწორედ იქ, დინების ცოტა ქვემოთ არის ყურე, რომელსაც კალმანის აკვანს ეძახიან. ტყუილად კი არ ეძახიან, მართლა უთვალავი კალმანი იცის. დაჯდები ნაპირზე ანკესით და ნახევარ საათში იმდენს ამოაგდებ, სახლამდე ძლივს მიიტან...

ბილამ გატაცებით დამიწყო საუბარი თევზების ცხოვრებასა და ჩვევებზე. ეტყობა, ძალიან უყვარდა ისინი. მერე აბრსკილი გაახსენდა.

— დიდი ხნის წინათ, როცა აბრსკილი თავისუფალი იყო და უამრავ საგმირო საქმეებს სჩადიოდა, ერთ გოლიათს შეხვდა...

ბილა მიამბობდა, რა ხარბი და გაუმადლარი იყო ეს გოლიათი, რამდენიც არ უნდა ეჭამა, მაინც შიოდა, მაგრამ განსაკუთრებით თევზი უყვარდა. ჩაყოფდა ხელს ზღვაში და ყველაზე დიდ თევზებს ამოიყვანდა. ტორით მალლა ასწევდა, მზის სხივებზე შეწვავდა და დაუღეჭავად გადასანსლავდა ხოლმე...

კეტუანის ნაპირზე გავედით. მდინარე შფოთავდა და ბობოქრობდა. წყალი გაცილებით მუქი მეჩვენა, ვიდრე სხვა მდინარეებში მინახავს ხოლმე. იმ ადგილებში კი სადაც ქვეები ეღობებოდა, თვალისმომჭრელად ქათქათებდა ქაფი. მდინარიდან ნოტიო სიგრილე გველამუნებოდა. წყნარი სიო ნელა არხევდა მდინარის პირას ჩარიგებული ხეების ფოთლებს.

მეორე მხარეს გადავედით და გზა განვაგრძეთ. მდინარის ნაპირს გავუყევით. ურემი, რომელზეც მე და ბილა ვისხედით, ჩვენი პაწია ქარავნის ბოლოში მოექცა. ასე მივუახლოვდით ტყის საჭრელს... უზარმაზარი ხმელი ხეები ერთმანეთს მისწოლოდნენ. ყველგან ჩამონაკაფი ტოტები ეყარა, თეთრად მოჩანდა ახლად გადახერხილი კუნძები, გარ-

შემო კაკლის ხის ნელლი ნაფოტების მომქავო სუნი იდგა. ყველაფერი ხის ქერქითა და მომჭკნარი ფოთლებით იყო დაფარული. ტყის პირას თხმელის ჩრდილში შეკანთული ცხები იდგნო. გუადახნი. ვიცანი. ესე იგი ძია ელიზბარს, რემას რომ მიჰყვებოდა ბაგადაძდე, გაუსწრია ჩვენთვის. აი, ისიც, მამაჩემსა და ხაზარათს უღუპაყვებოდა.

შუადღე უკვე გადასული იყო. მზე ხან ღრუბლებს უფარებდა, ხან ისევ გამოანათებდა. ქარი უფრო ძლიერდებოდა, ღონივრად წამოუბერავდა ხოლმე, მაგრამ ხვატს არაფერი შველოდა. პაპანაქება იყო, სულს ძლივს ვითქვამდით. ამას ისიც დაუმატეთ, რომ კოლოები და კრაზანები სულ გაცოფდნენ, ამინდის ცვლილებას გვანიშნებდნენ და განსაკუთრებულად მწარედ ინესტრებოდნენ.

კაცები მარჯვედ შეუდგნენ საქმეს. კამეჩები უღლიდან გამოუშვეს, ღველერჭით შეკრული ხეები ურმებთან მიათრიეს და დატვირთვა დაიწყეს.

— სადაც არაფერი გესაქმება, იქ ნუ მიძვრები. მორმა არ დაგიტანოს, თორემ კარგი დღე დაგვადგება. — ბიდამ დამიჭირა, ამიყვანა და ბებერი ნეკერჩხლის ბორჯოყოში დამსვა.

უნაგირზე რომ სხედან, ისე ვიჯექი და კარგად ვხედავდი, როგორ ამხნევენდნენ კაცები ერთმანეთს შეძახილით და ურმებზე აგორებდნენ უზარმაზარ მორებს. „მიდი, მიდი, მოჭიმე, ჩქარა“, „აბა, მოვქაჩოთ, ერთი, ორი და...“ „ოჰ, ეს ოხერი ქვაზე მძიმეა!“ — მესმოდა ქვემოდან. განსაკუთრებით ძია ელიზბარი და ბიდა ცხარობდნენ.

უფრო და უფრო მიყვარს ბიდა. ზღაპრისთვისაც, დანისთვისაც და იმისთვისაც დღეს ურემზე რომ შემომსვა, მესაუბრებოდა, არ მომაწყინა, მთელი გზა რალაცეებს მიყვებოდა და მეც სიამოვნებით ვუსმენდი. ჩემი აზრით ბიდა ყველაზე უფრო კეთილი და ღონიერი იყო, ყველაზე მაგარ კაკლის ხეზე მაგარი. წითური და აგრეხილი უღვაშები კაკლის ტოტებზე უფრო უდრეკელი ჰქონდა. ასეთად მეხატება ის წარმოდგენაში და ვამაყოფ ჩემი უფროსი მეგობრით.

ააგორებდა თუ არა, ბიდა ურემზე მორს, მხნედ და მხიარულად დაიძახებდა:

ჩვენი საქმე იოლია, — ძმაო, ბოსტნებიდან გადავდენოთ ხბოები და თხოო...

ესეც ძალიან მომწონდა...

უკანასკნელი მორი რომ გაწვა ურემზე, ყველანი ოფლად იყვნენ გაღვრილი, აჭარხლებულები, ოხშივარადენილები. ძია ელიზბარს აღვირით მოჰყავდა გუადახნი, ბიდამ რომ შემასკუბა, იმ ნეკერჩხალთან მოვიდა და ძირს ჩამომსვა.

— ნეტა მდინარე ნაპირებს არ გადმოვიდოდეს, — აწრიალებულმა ახედა ცას.

გასამგზავრებლად მომზადებულ ურმებთან მივედით. ამჯერად ალალის თავში ბიდა მოექცა, მერე მამაჩემი, სულ ბოლოს კი ხაზარათი იყო.

ჩემგან ბიდამდე თხუთმეტობდე ნაბიჯი იყო და კარგად ვხედავდი, როგორ იდგა ის თავის დატვირთულ ურემზე — ბოძივით მაღალი, ღო-

ნიერ მხრებზე რუსი ყაბალანის ბოლოები ეფინა. წკნელი მოიქნია, მსუბუქად გადაჰკრა კამეჩებს და ჭრიჭინით, ნელა და მძიმედ დაიდრა ურემი, ქანაობით წავიდა წინ.

ამ დროს ხმაურით დაეტა მიწას წვიმის კაკლის სიმსხო წვეთები. ისე ჩამობნელდა, რომ ჩემს გვერდით მდგარ ძია ელიზბარმა აღმოვიცნა ვარჩევდი. ქარი ჩადგა, ერთი ფოთოლიც კი არ იძროდა — ხეებსა და კარუსიჩუმეში გაისუსნენ.

ის-ის იყო ბიდა კენწეროგამხმარ კაკლის ხეს უნდა გასცლოდა, რომ უცბად შედედებული სიბნელე გამაყრუებელი გრუხუნით გაჰკვეთა ელვამ. დავინახე მისი ცისფერი მათრახი როგორ გადაეჭირა პირდაპირ კაკლის ხის კენწეროს და თითქოს ხანჯალიაო, ისე გაკვეთა. მერე გარშემო დამაბრძავებელი ნაპერწკლები გაჰყარა, მთელი ხე ნაფოტებად აქცია, შემდეგ უკუიქცა, ცეცხლოვან რგოლად შეიკრა, ბიდას გადაუქროლა და ურემის ხელნას დააცხრა. აუტანელი წვრილი ხმით შეჰყვირეს კამეჩებმა და მოცელილივით ჩაიკეცნენ. ბიდას კი თითქოს ვილაყამ არაადამიანური ძალით ჰკრა ხელი ზურგში, წამში მოწყდა ურემს, წინ გადავარდა, უღელს დაესეთქა, პაერში გადატრიალდა და ძირს მოადინა ზღართანა.

პაერი დამწვარი გოგირდის მხუთავი სუნით გაიჟლინთა. ყველანი გაშეშდნენ. დაუჯერებელმა მოულოდნელობამ, რაც ჩვენ წინ მოხდა, ყველას თავგზა აუბნია. არ იცოდნენ, რა ექნათ. როცა გადარჩენილ ურემებში შებმულმა კამეჩებმა საშინელება იგრძნეს, შეტოკდნენ და ამ აგბედითი ადგილიდან გაქცევა მოინდომეს, მხოლოდ მაშინ მეცა ძია ელიზბარი, თავიდან ფეხებამდე სინჯვა დამიწყო თან მეკითხებოდა: „გადარჩი? მითხარი, გადარჩი?“. მერე ნაბადში გამახვია და ქოხისკენ გაიქცა. კოკისპირულმა წვიმამ მაშინვე დაუშვა.

მე ისე შეშინებული ვიყავი, ხმის ამოღება არ შემეძლო. ვკანკალებდი, ციებიანივით მაძაგდაგებდა, კბილს კბილზე ვერ ვაჩვრებდი.

— ბიდა, ბიდა... ბიდას რა მოუვიდა, — ამოვიღულულუდე როგორც იქნა

— არაფერი, არაფერი, ყველაფერი კარგად იქნება, დაწყნარდი, — მიპასუხა ძია ელიზბარმა რალაცნაირი ყრუ და ჩახლეჩილი ხმით. ეს ძია ელიზბარის ხმას არ ჰგავდა. ქოხში შემიყვანა და კუნძზე დამსვა.

— აქ იჯექი, გარეთ გამოსვლა არც იფიქრო! — დამიბარა და უკან გაიქცა.

მარტო დავრჩი... ბიდა ურმიდან გადავარდა, ყველას თვალწინ გადავარდა, ეს მაწამებდა და არ მასვენებდა. ქოხში ვწრიალებდი. თან მეშინოდა, თან მინდოდა გამეგო, რა მოხდა. ველარ მოვითმინე, ნაბადში გავეხვიე, ქოხიდან გავედი და კაცებს მივეპარე. ისინი გზაზე იდგნენ და მიწას ჩასჩერებოდნენ. არც კი შევუმჩნევივარ ვინმეს. ზედ გზაზე კამეჩების ახლოს ბიდა იწვა პირქვე, ხელში რცხილის წნელი ჰქონდა ჩაბლუჯული.

კაცებმა მოითათბირეს, დაიხარნენ და ბიდა გადმოაბრუნეს და მისი სახე დავინახე: სისხლისგან მთლად გამავეებული, თითქოს დანახშირებული. ღია თვალები დაუხამხამებლად მისჩერებოდნენ ცას.

— სანამ ღმერთების სიმღერას არ ვიმღერებთ, ხელის ხლება არ შეიძლება, — გააფრთხილა კაცები ხაზარათმა და მიცვალებულს ნაბადი გადააფარა. ახლა წვიმა აღარ უშხაპუნებდა ბიდას სახეზე.

მერე კამეჩებთან მივიდნენ. ისინი როგორც დაეცნენ გადამტვრეულ წინა ფეხებზე, ისევ ისე იყვნენ გაშეშებული, თუთქოსებმა არიან გამოთლილიო. ღვედები გადაჭრეს, უღელი მთხუნველი კი ურმის წინა მხარე დამტვრეული იყო, ბორბლებს ჩაეჭიდნენ და ძლივს გადააგორეს გზის ნაპირას.

გზაზე გარდი-გარდმო ეგლო კაკლის ხის გამხმარი კენწერო და მოცისფრო აღის ენებს ისროდა აქეთ-იქით...

— აბა, ელიზბარ, რას ვიზამთ! ცხენზე შეჯექი, აქ ახლო-მახლო ხალხი ცხოვრობს, უნდა გავაგებინოთ, რაც შეგვემთხვა. — თქვა ხაზარათმა, როგორც ყველაზე უფროსმა და უცბად მეც მომკრა თვალი. — აი, სად ყოფილხარ ჩვენო მფარველო ანგელოზო, შენი წყალობით ვართ გადარჩენილი, მაგრამ ღმერთს არ ნებავს, აქ ფეხებში რომ გვებლანდებოდე. აბა, მოუსვი აქედან!

ხაზარათმა საყელოში ჩამავლო ხელი და ქონისკენ წამიყვანა.

ძია ელიზბარი კი ამ დროს შარავნაზე მიჰქროდა.

მალე წვიმამ გადაიღო და ცა მოკრიალდა.

ნაბადში გახვეული ისევ ქონში ვიჯექი. რალაც უცნაური გრძნობა მეუფლებოდა; საოცრად უსუსური წიწილასავით მეჩვენებოდა თავი. გვერდით სიკვდილი მედგა, მე კი დამალვა არსად შემეძლო, თითქოს ხელისგულზე ვყავდი. თანაც საშინელი ცნობისმოყვარეობა მიპყრობდა. რეტი მესხმოდა, აზრები მერეოდა და ამავე დროს მინდოდა, ყველაფერი დაწვრილებით გამეგო, მაგრამ რას ვიზამდი, თუკი უფროსებს ჩემთვის არ სცხელოდათ. ახლა ისინი მარგილებს ასობდნენ ფიცარნავის გასაკეთებლად, ზედ დახოცილი კამეჩები რომ დაედოთ.

ჩამობნელდა, ძია ელიზბარის შეტყობინებულმა ხალხმა მოსვლა დაიწყო. უკვე საკმაოდ მოეყარათ თავი, მაგრამ ჩემამდე არავითარი ხმაური არ აღწევდა, თუ ვინმეს რაიმეს თქმა უნდოდა, ჩურჩულებდა, პირდაპირ მეზობლის ყურთან მიჰქონდა ტუჩები. ორი უზარმაზარი კოცონი აგიზგიზდა და გარემო გაანათა. უცბათ ხაზარათის ხმა გაისმა:

— ახლოს მოიწიეთ, პატივცემულებო, გთხოვთ! თითონ ხედავთ, რა უბედურებაც გვეწვია, მაგრამ არ ვბუზღუნებთ, რადგან ყველაფერი ღვთის ნებაა. ახლა კი მიცვალებული ცოტა ხნით ქონში დავასვენოთ...

ყველანი ბიდას ცხედართან დადგნენ და სანამ ასწევდნენ ხაზარათმა სიმღერა წარმოსთქვა:

ბედნიერი ის არის,
ვისაც ღმერთი სწყალობს,
ის ადგილიც, რომელსაც
კეთილ მზერას აპყრობს.
ატლარ-ჩოპა, ტემირ-კუარა, —
ამყევით ხმაშეწყობილად...

ხალხიც აპყვა, სიმღერით ასწიეს ბიდას ცხედარი და ფრთხილად, თითქოს ეშინოდათ, ტკივილი არ მივაყენოთო, ქოხისკენ წაასვენეს, შიგ შევიდნენ და წინასწარ მომზადებულ სარეცელზე დაასვენეს.

ერთხელ კიდევ გაისმა ღმერთების სიმღერა. ახლა ერთად ასწიეს ელვისგან დახოცილი კამეჩები. სიმღერა არ შეუწყვეტიათ, ბერძენებით მარჯვედ მოიხმარეს მსხვილი ლატნები და დახოცილი კამეჩები ფიცარნაგზე აიტანეს. — ძაღლები მძორს ველარ მისწვდებიან... ჩვენ წავალთ. კამეჩები კი ყვაავ-ყორნების კერძი გახდება... — შეძრწუნებულნი ვუცქეროდი ღონიერ რქებს, უზარმაზარ სხეულებს, გაშეშებული ფეხები რომ უქანავებდათ აქეთ-იქით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეს კამეჩები ქარიშხალს მოეტანოს საიდანღაც და ფიცარნაგზე შეევდოს.

მამაჩემი მომიახლოვდა და ზურგში ხელისბიძგებით ძია ელიზბართან მიმიყვანა. ის მოსართავს უჭერდა გუადასს.

— დაუყოვნებლივ უნდა წახვიდეთ, — უთხრა მამამ და ცხენს აღვირში მოჰკიდა ხელი. — თორემ მერე გვიან იქნება. წყალი თვალდათვალ მატულობს და მეორე ნაპირს ველარ გადახვალთ... რომ მიხვალთ, მოხუცებს დაეკითხეთ, იმათ გადაწყვიტონ, როგორ გააგებინონ ბიდას ოჯახს ისე, რომ ცრემლი აგვაშორონ. ცრემლის დაღვრა ცოდვია. საკაცის სატარებლადაც ღონიერი ხალხია საჭირო.

ძია ელიზბარმა თავი დაუქნია და უნაგირს მოახტა. მამაჩემმა უკან შემსვა, გავაზე, და დავიძარით სახლისკენ.

კეტუანს რომ მივაღექით, უკვე მთლად ბნელოდა. მდინარე ნაპირებიდან გადმოსულიყო. წყალი ახლა კიდევ უფრო მუქი ჩანდა, ვიდრე დღის სინათლეზე, უფრო სწრაფად მოედინებოდა, ჭუჭყიანი ქაფის ნაფლეთებით იყო დაფარული, მაგრამ მაინც მშვიდობიანად გადავედით. მხოლოდ ფეხები დაგვისველდა, სხვა არაფერი გაგვჭირვებია.

მომხდარმა ყველანი შეაძრწუნა, უფროსებიც, რომლებსაც ბევრჯერ ჰქონდათ ნანახი ადამიანის სიკვდილი, მე კი ისეთ უფსკრულში გადამჩხა, რასაც ჩემი საცოდავი გონება ვერა და ვერ აღწევდა თავს. თვალებს ისევ მიბრმავებდა მათრახივით დაგრეხილი ელვა, ყურებში ისევ შედგა კამეჩების ბლავილი. მინდოდა ყოველივეს დავიწყება და არ შემეძლო. გავცქეროდი წინ გზას და მელანდებოდა სიბნელიდან გამოსული ციცაბო კლდე. სული მძვრებოდა საშინელებისაგან... აი, საცაა შევასკდებით და დავილენებებით, საცაა დავეჯახებით და უფსკრულში ჩავინთქებით. ძია ელიზბარმა შენიშნა, რომ მეთვლიმებოდა და წინ გადამსვა. ხელად ჩამეძინა, მაგრამ სახლში მისვლა მახსოვს. მახსოვს, როგორ ჩამომსვეს ცხენიდან, როგორ შემიყვანეს ამხარში, ტანთ გამხადეს და საწოლში ჩამაწვინეს...

მეორე დღეს მთელი სოფელი გამოვიდა ბიდას შესახვედრად. ბაბუაც გამოვიდა. მეც მინდოდა ავტორღიალებოდი, მაგრამ დროზე შემნიშნა და სანამ ძალით არ გამაგდეს სახლში, გვიმრებში ვიწექი.

და აი, შორს გამოჩნდა სამგლოვიარო პროცესია, რომელიც ნელა უახლოვდებოდა სოფელს. ცოტა ხნის შემდეგ კაცებიც გავარჩიე. რა-

დაც გრძელი და შავი ჰქონდა გადებული მხრებზე. როცა მომლოდინე მდუმარე ხალხამდე ცოტალა დარჩათ, ბიდას დედა და დები წამოვიდნენ მათ შესახვედრად. ქვითინს ვერ ბედავდნენ და ცოცხალ-მკვდრებივით მოდიოდნენ. დანაც რომ დაგერტყათ, არცერთი მათგანი არ შეირხეოდა, არ შეკრთებოდა. ადამიანები კი არა, თითქოს მუჭყინებები მოლასლასებდნენ გზაზე.

კაცებმა ბიდას ახლობლები რომ დაინახეს, გაჩერდნენ, საკაცე მიწაზე დადეს და განზე გადგნენ.

ბიდას დედა მოტრიალდა და მკაცრად გადახედა ქალიშვილებს:

— სისულელე არ ჩაიდინოთ! ისეთი რამ არ მომხდარა, ცრემლის დაღვრის უფლება რომ გვქონდეს. ღმერთმა მოგვცა და ღმერთმა წაიყვანა! — გადაულაპარაკა აცანცახებული, ჩაწყვეტილი ხმით. მერე საკაცესთან მივიდა, დაინხარა, ფრთხილად და სათუთად გადასწია ნაბადი, რომელშიც მისი მკვდარი შვილი იყო გახვეული, ასევე სათუთად, თითქოს ეშინოდა არ გავაღვიძოო, ააძრო სახიდან თეთრი ცხვირსახოცი.

დედა ეფერებოდა შვილს, მის გაშეშებულ, ქვასავით გაცივებულ გულზე დაკრეფილ ხელებს, სისხლის გამხმარი კოლტებით დაფარულ სახეს, ყელს, მკერდს და ჩუმად ელაპარაკებოდა:

— ბიდა, ბიდა, ჩემო ბიჭო! ალბათ შენმა მტრებმა და ორგულებმა დაგიყარეს ხმა, ვითომ კეტუანის ნაპირას ხე დაგცემოდეს... არა ჩემო საყვარელო, შენ ცოცხალი და ჯანსაღი ხარ, შენ ისევ ისე ლამაზი ხარ. უბრალოდ დაღლილი ხარ, დაქანცული და დასასვენებლად მიწოლილ-ხარ, გძინავს და ველარ იღვიძებ... ერთი რამ მაღარდებს მხოლოდ: შენი მეგობრები ისევ მხრებით თუ წაგიყვანენ, როგორღა გადაუხდი სიკეთეს? ვაი თუ ვერ მოასწრო. ადექი, ჩემო ბიჭო, გეყოფა ძილი, გაიღვიძე! იმ სიშორიდან მოგიყვანეს და რალა დაგრჩენია სახლამდე, ხელით მიწვდები. ადექი გენაცვალე, წავიდეთ, ჩემო ძვირფასო. შენი მეგობრებიც მოიწვიე, უთხარი: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება-თქო“.

ასე ჭადაგებდა საცოდავი დედა და ველარ შორდებოდა შვილს. დაჰლულუნებდა, ეფერებოდა, ხელს უსვამდა ტანზე. ბიდას დები კი ერთმანეთს ჩახვეოდნენ, ერთმანეთს აკავებდნენ და უსიცოცხლოდ ედგნენ დედას გვერდით.

დედის სიტყვები სულს გვიწეწკავდა, ბურთი გვეჩხირებოდა ყელში, ცრემლები გვალრჩობდა. ზოგიერთი ველარ უძლებდა, მოშორებით გადიოდა და ხელებში მალავდა სახეს. მეც შემეშინდა, არ ავლრიალდემეთქი და ნიკაპზე მუშტი მივიჭირე.

მონუცმა ცხვირსახოცი დააფარა შვილს სახეზე, ნაბადი დაახურა და უკანასკნელად შესძახა:

— წავიდეთ, შვილო, წავიდეთ, საყვარელო, წაუძეხი შენს მეგობრებს, ყველანი წამოიყვანე... — წელში გასწორდა, ღირსეულად გაშორდა მიცვალებულს და უკანმოუხედავად წალასლასდა სახლისკენ, აჩრდილებივით გაჰყვნენ ქალიშვილები უკან.

საკაცე ასწიეს. ხალხი მდუმარედ მიდიოდა. მხოლოდ ფეხების ფხაკა-ფხუკი ისმოდა.

უცბად უკან ჭიხვინი გაისმა. გზის გასწვრივ სამგლოვიარო პროცესიისკენ ყველასთვის ნაცნობი ბიდას თეთრი ცხენი მოჰქროდა... სულ ახლოს რომ მოვიდა, ერთ ადგილას დატრიალა, მერე გაჩერდა, მთელი ძალით შეიფერთხა ტანი და ისე დაიჭიხვინა, თითქოს პატრონს ეუბნებოდა: სადა ხარ ამდენ ხანს, მომენატრეო.

— ტყუილად არ ამბობენ, ცხენის ძარღვებში ადამიანის ნიშნები ჩქეფსო. — შენიშნა ვილაცამ და დაუმატა, — შეგვიწყალო უფალო, ჩვენ, მოკვდავნი!

ველარც ბაბუამ შეიკავა თავი, მწარედ ამოიოხრა და თქვა:

— დედაო, ჩემო, მრავალტანჯულო, ვინ იცის, ვის როგორი ბოლო მოგველის?..



ბიდას დაკრძალვიდან სამი-ოთხი დღე გავიდა...

მხარზე გუდურა გადებული გაბობილი ქვისკენ მივდიოდით, სადაც ჩვეულებრივ ვატარებდით ხოლმე დროს. იქ, ცაცხვის ქვეშ ოდესღაც სახლი მედგა და ბელელიც. სულ წვრილი წკნელით მქონდა მოწნული და გვიმრით გადახურული, მაგრამ ვილაცამ დამინგრია ჩემი სახლ-კარი და ახლა ხელახლა უნდა ამეშენებინა. რამდენიმე დღე საჭირო მასალას ვაგროვებდი. შევაგროვე კიდეც და ახლა გორაკზე მიმქონდა.

ის-ის იყო გორაკისკენ მიმავალ გზასთან უნდა მივსულიყავი, რომ სამი მხედარი წამომეწია: ორი კაცი და ერთი ახალგაზრდა ქალი.

ქალი ქალურად იჯდა ცხენზე, გვერდულად. მისი ორი კუპრივით შავი ნაწნავი ცხენის ზურგს წვდებოდა. სახეს შავი თავსაფარი უფარავდა, რომ გამისწორდნენ, ქალი დაჟინებით დამაცქერდა და თვალი არ მოუშორებია, სანამ არ ჩამიარა...

რატომ, რისთვის მიცქეროდა, რა უნდა ეთქვა? ველარასოდეს გავიგებ ამას... წარმოსადეგი, ცეცხლოვანი მზერა, მაღალი სპეტაკი შუბლი, ნახშირივით შავი მორკალული წარბები...

იმ ქალზე ფიქრებში გართული ავედი გორაკზე... ტვირთი მოვიშორე და გარშემო მივიხედ-მოვიხედე... სოფლის განაპირას თეთრად ქათქათებდა ახალი ყავრის ფარდული ბიდას საფლავზე და უცბად გადავწყვიტე, რომ ისინი სწორედ იქიდან ბრუნდებოდნენ. „ისინი“ — ის ქალიშვილი და ორი მისი მსლებელი. „ალბათ ბიდას დანიშნული იყო, ცოლად უნდა შეერთო და ვერ მოესწრო, — ვფიქრობდი მე, — დაკრძალვაზე არ მოსულა, უფლება არ ჰქონდა. ახლა კი, როცა ყველაფერმა ჩაიარა, საფლავზე მივიდა და გამოემშვიდობა... აი რატომ აქვს ასეთი ნაღვლიანი თვალები და სამგლოვიარო თავსაფარი. მე კი იმიტომ მიყურებდა, რომ ალბათ ბიდა უამბობდა ხოლმე ჩემზე... რა კარგი, რა კეთილი კაცი იყო“. — და თვალები ცრემლით ამევსო.

X

რატომღაც კარგა ხანს არ გამოჩენილა ჩვენთან ჩინის შვილი ჩინი. მეც და დედაჩემიც უკვე ვწუხდით — ნეტავი რამე ხომ არ მოუვიდა?

მაგრამ აი, ერთ საღამოს ჩვენს ეზოში შემოვიდა. მე სიხარულით გამოვქანდი მის შესახვედრად, ცხენი ჩამოვართვი და ცხენსაბმელისა-

კენ წავიყვანე, უკან რომ მოვბრუნდი... ჩინის შვილი ჩიჩინი ისევ იმ ადგილას დავინახე. დონინჯემოდგმული იდგა და ღიმილით მელიოდებოდა.

— ლაგან, — მითხრა, რომ დავბრუნდი, — ვიცი ჩემი სიმღერები მოგწონს, ამასწინათ ორჯერ მთხოვე ერთი და იგივე სიმღერა, გახსოვს, რომელი იყო?

შეკითხვა სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის და შევყოყმანდი. ჩინის შვილი ჩიჩინი კი დაიხარა, თვალებში ჩამაჩერდა და პასუხს დაელოდა.

— იფიქრე, ლაგან, იფიქრე, კარგად იფიქრე და უსათუოდ ვიახსენებ. ერთ მოხუცზეა...

— გამახსენდა, გამახსენდა, — ვიყვირე მე.

— თუ გაგახსენდა თქვი! — მიბრძანა მან.

ასე ვშვებოდით ხოლმე; მოვიდოდა თუ არა, ჩვენთან ჩინის შვილი ჩიჩინი, პირველ რიგში წინ დამიყენებდა და მაიძულებდა გამემგორებინა, რაც მისი სიმღერიდან დამამახსოვრდა, რა თქმა უნდა ყველაფერს ზუსტად ვერ ვიხსომებდი, ზოგჯერ მავიწყდებოდა, მერეოდა: უმეტესად კი წაუბოროძიკებლად ვამბობდი.

ეს სიმღერა კი წყალივით ვიცოდი.

ჩინის შვილმა ჩიჩინმა ხელში ამიტაცა და „პოპ პოპის“ ძახილით მალლა მისროდა. არაქათი რომ გამოეღია, მაშინლა დამსვა ძირს. ჩვენ სიცილითა და ხტუნვა-ხტუნვით გავიქეციით ამაცურტისკენ.

— კარგი ამბავი მოგიტანეთ, გიხაროდეთ! დრო მოვა და ამ ბიჭს ვერავინ აჯობებს სიმღერაში! — გამოუცხადა მთელ ჩვენს ოჯახს ჩინის შვილმა ჩიჩინმა.

თითქოს რაღაც დაარტყესო, ისე შეირყა ბაბუა, მოიღუშა და ზურგი შეგვაქცია. ეს მისი ჩვეულებრივი რეაქცია იყო უსიამოვნო ამბავის გაგონებაზე.

— დავლუპულვართ და ეს არის, ჩემი ერთადერთი შვილიშვილი თუ ამ გზით წავიდა. — ბაბუას არ უცდია დაეფარა, რა ცუდ გუნებაზე დააყენა ჩინის შვილმა ჩიჩინმა.

— ვითომ რატომ? — გაიკვირვა მან.

— დიდი ხანია შევნიშნე, ვინც ზედმეტად გატაცებულია ხუმრობითა და ჩონგურით, ის აბუჩად იგდება შრომას.

როგორც ჩანს ბაბუამ ჩინის შვილს ჩიჩინს გადაჰკრა. მას კი თავის თავზე და თავის ხელობაზე სხვა აზრი ჰქონდა და ამიტომ წყენით ჰკითხა:

— საინტერესოა, ვინ გინდა შენი ერთადერთი შვილიშვილი რომ გამოვიდეს?

— ვინ? ვინ და ვისაც ყველაფერი ემარჯვება, ვისაც სავსე აქვს სახლი. მინდა, ლაგანი სტუმართმოყვარე და პატიოსანი გაიზარდოს. მინდა, რომ ხალხი ვის შორისაც ის იცხოვრებს, პატივს სცემდეს, ანგარიშს უწევდეს, მისი დანახვა უხაროდეს. სწავლას თუ მოისურვებს, ისწავლოს, მაგრამ ისე უნდა ისწავლოს, ყველაფერს ბოლომდე ჩასწავდეს, ზერელედ კი არა! არასოდეს აღმოჩენილიყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ არც აფრენა შეეძლოს და არც დაფრენა. ყველაზე მეტად

ადვოკატი მინდა რომ გამოვიდეს. ხალხი მოვა და მკითხავს: „ძვირფა... სო ბეჟან, გავიგეთ, შენი შვილიშვილი ადვოკატი გამხდარა, მართალია?“ მე კი ვუპასუხებ: „სწორია, ჩემი შვილიშვილი ადვოკატია“... მაგრამ ჩვენნაირ გაჭირვებულებს მხოლოდ ოცნება შეგვიძლია ამაზე...
 — ღმერთმა გაგახაროს შვილიშვილის წარმატებებით!

და სულთ უსურვა ბაბუას ჩინის შვილმა ჩიჩინმა.

კარგი ხასიათის კაცი იყო, არავის ეკამათებოდა. ისეთ რამეს თუ მოისმენდა, რასაც არ ეთანხმებოდა, თითონ დუმილს არჩევდა და ჩონგურს ალაპარაკებდა. მახსოვს დაიწყებდა დაკვრას და სანამ ეშხში შევიდოდა, თავჩაქინდრული იჯდა, თითქოს თავის ინსტრუმენტში ეძებდა რაღაცას. მერე კი ისე ამღერდებოდა, მთელი კუთხე მოვარდებოდა მის მოსასმენად. მამლის ყივილამდე შეეძლო ემღერა და დაეკრა ჩონგურზე. მსმენელები მოხიბლული ჩურჩულებდნენ: „ეტყობა, ჩინის შვილი ჩიჩინი მაგარ გუნებაზეა“, ნაირ-ნაირ სიმღერებს მღეროდა — მხიარულსაც და ნალვლიანსაც. ენა კი სამართებელივით უჭრიდა. ვინლა არ გაუკენწლავს, ვინლა არ გაუმახსრებია, ჩინის შვილს ჩიჩინს. გასივებული, უქნარა, უძვლო ლოქორასათვის შეუდარებია, არც ყოყლოჩინა უღვაშაჯეჯილებული ბიჭი დაუნდვია, არც ცბიერი მატყუარა, რომელსაც ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: საკუთარი — სიცრუე და შვილობილი — სიმართლე, ღორმუცელა — გაძლომა რომ არ იცოდა, მოლაყბე — ვისი სიტყვაც აგორებულ ქვას ჰგავდა, ბინძური კაცი — ლოგინში ფეხებდაუბანელი რომ წვებოდა, წუნია საპატარძლო, ბოლოს მშრალზე რომ დარჩა, მოკლედ, ვინლა არა... ბოლო არ უჩანდა მის სიმღერას!.. დამთავრებით კი თითქმის ყოველთვის ასე ამთავრებდა:

თქვენ გელოდებათ ჩიჩინი,
 მინდორში გინდა სხვენში,
 ყველას ძმაა და მეგობარი,
 თუ კი ვინმეს უჭირს ჩვენში.

ჩიჩინს რომ ვუსმენდით, ლამის იატაკზე გვეგორავა, სიცხლისგან ვიფხრიწებოდით, სულს ვეღარ ვითქვამდით და თვალებიდან ცრემლი გვდიოდა...

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მომწონდა ჩინის შვილი ჩიჩინი. უიმისოდ მოწყენილი ვიყავი. თუნდაც ასი ღამე მესმინა მისი სიმღერები, მონუსხული გავრბოდი ყველაზე წინ, ის რომ შემოაბიჯებდა ჩვენს ეზოში. ცხენს ჩამოვართმევდი და ცხენსაბმელში მიმყავდა. რა თქმა უნდა, ჩინის ვაჟი ჩიჩინი ამჩნევდა, რას განვიცდიდი მის გამოჩენაზე და საუკეთესო მეგობარივით გადამეხვეოდა ხოლმე და ერთად შევიდოდით სახლში.

ჩემს ქალაქის ბინაში ახლაც ინახება დედაჩემის ჩონგური, რომელიც სულ ახალგაზრდას ჩავარდნია ხელში. დღემდე ხელუხლებლადა მაქვს, მხოლოდ აბრეშუმის სიმები შევუცვალე, ეს არის და ეს. ხე კი ცოტა დაიბინდა, ჩამუქდა, ჟამთა სვლისაგან ძველებური სასიამოვნო ვარდისფერი დაეკარგა....

ყოველთვის, როცა კი ჩონგურს მოვკიდებ ხელს, მეჩვენება, თითქოს ჩემ წინ ჩინის ვაჟი ჩიჩინი ზის, ამ ინსტრუმენტზე დაკვრის უბაღლო ოსტატი და მისი ბრწინვალე, ხან ცად აჭრილი და ხან მოგუდული ხმა ახლაც ელამუნება ჩემს სმენას. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მეჩვენება, მაგრამ შემთხვევით როდი მეჩვენება. ჩინის ვაჟი ჩიჩინი რომ სწორედ ამ ჩონგურზე, დედაჩემის ჩონგურზე უკრავდა, ჩვენთან რომ სტუმრობდა. ზოგჯერ ისიც კი მგონია, რომ მისი თითების ნაკვალევს გარჩევაც შეიძლება ამ ჩონგურზე.

ჩვენს სოფელში ერთმანეთს ყველა შენობით მიმართავდა, მამის სახელით არავის განადიდებდნენ. ჩინის ვაჟს ჩიჩინს კი მამის არა და დედის სახელით მიმართავდნენ. ამბობენ, საეკლესიო წიგნშიც ჩინის შვილად წერიაო. ბევრს უკვირდა, ჭეშმარიტების დადგენას ცდილობდნენ, მარჩიელობდნენ, მაგრამ ბუნებრივია, ვერაფერს გონივრულს ვერ იგებდნენ. თუ გაბედავდნენ და თვითონ მას პკითხავდნენ ამის შესახებ, ჩიჩინი უცვლელი ღიმილით უპასუხებდა ხოლმე, „მერე რა მოხდა, განა დედაჩემმა არ მშობა?“. ეტყობა, სულაც არ აღელვებდა, როგორ ეძახდნენ. პირიქით, თითქოს ეამაყებოდა კიდევ, ან ისე იჭერდა თავს, ვითომ ეამაყებოდა.

გარდა ამისა, მის სახელთან (და მგონი, დედამისის სახელთანაც) განუყოფლად იყო დაკავშირებული ისეთი ცნებები როგორც არის „მაჭანკალი“ და „მუსიკოსი“. — „მაჭანკალი მოდის!“ იძახდნენ ჩინის ვაჟის ჩიჩინის დანახვაზე ისინი, ვისაც ქორწილების მოკვარახჭინება ეხატებოდა გულზე. მისი ნიჭის თაყვანისმცემლები კი ბურთს ჩრიდნენ პირში — „არაფერიც, მაჭანკალი კი არა მუსიკოსია!“ ერთნიც მართალი იყვნენ და მეორენიც, რადგან ენამჭევრობისთვის არ ერთვოდა მის სახელს ეს ორი მოკლე დახასიათება. ყოველივე სინამდვილეს შეეფერებოდა.

ზოგჯერ თავის საქმეზე მიმავალ ჩინის ვაჟს ჩიჩინს ნაცნობები შეხვდებოდნენ და „გამარჯობას“ კი არ ეტყოდნენ, როგორც წესი დერიგია, ისე კი არ მიესალმებოდნენ, ეშმაკური ღიმილით გადასძახებდნენ: „ერთი გოგო გელოდება, კარგა ხანია, გათხოვების ყავლი გაუვიდა“. „თუ კი ასეა, ბედიც ეწვევა!“ — უპასუხებდა ჩინის შვილი ჩიჩინი.

ჩინის ვაჟი ჩიჩინი ადრე დავაჟვაცდა, ადრე გახდა დამოუკიდებელი. მე მას იმ დროს შევხვდი, როცა კაცის ცხოვრება შუა ხანს გადაცილებულია, თუმცა მხნედ იყო, ჭალარა არ ერია და მთელი დღე სოფელში დაჰქროდა. სოფლის ბოლოში მოჰკრავდნენ თვალს და უცბად სოფლის თავში იყო. „მთელი გზები გაგვიცვითა, რა!“ — ხუმრობდნენ გლეხები.

აბა სხვა რა უნდა ექნა? არც მიწა ჰქონდა და არც სახლი. დედა ადრე დაკარგა, ობლობაში გაიზარდა. გაუცვთებოდა ჩოხა და გულმოწყალებე ქალები მაუდს მოუქსოვდნენ, ახალს შეუკერავდნენ. წალები დაუძველდებოდა და მოქნილი ტყავისაგან ისეთებს დაავიკრისტებდა, ნაკერსაც ვერ უპოვნიდით. ცხენი თუ გამოეცლებოდა ხელიდან, არც ეს იყო დიდი უბედურება; მადლიერი მსმენელები გავარდებოდნენ და ახალს უყ-

იდდნენ და ჩინის ვაჟი ჩიჩინი ცხენის გავაზე მათრახის ტყლაშუნით ისევ მიჰქროდა თავის დაუსრულებელ გზაზე...

ხალხი ამბობდა, ჩიჩინს ახალგაზრდობაში დიდი დარდი შეწვდაო; ქალიშვილმა, რომელიც სიცოცხლეს ერჩია, თავი მოიკლა, რადგან ძმებმა საყვარელი კაცის ცოლობაზე უარი უთხრეს... სამაჟეროდუდღა ყველგან მოფარლალალებული იყო კარი მისთვის, ყველგან უჭიხდნენ, ყველგან გულში იკრავდნენ, იმიტომ მასთან ერთად სახლში მხიარულება, სიხარული და სიმღერა შედიოდა, რის გარეშეც ადამიანის სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

იმ საღამოს, მე რომ ეზოში ზეპირად ვამბობდი ლექსს მოხუცზე, ჩინის ვაჟი ჩიჩინი ჯერ მხიარული იყო, მერე კი გუნება წაუხდა, მოიწყინა, მოიქუფრა და ჩაფიქრებული იჯდა. ეტყობა, ბაბუას სიტყვები მტკივნეულ ადგილას მოხვდა.

ჩონგურის მოტანა მაინც მთხოვა და ჩუმად და ნაღვლიანად დაიწყო სიმღერა.

ის ბიჭი ტოლებში ყველას ჯობდა,
სასიძო იყო ნანატრი,
ხმებოდნენ, დნებოდნენ გოგოები,
ვერ ამორებდნენ თვალს.
ტანი მოქნილი და
ბეჭები ფართო,
სახე მწყაზარი და კეთილი...
საპატარძლოები ჩუმ-ჩუმად
თხზავდნენ, უმღერდნენ სიმღერებს:
„ეს, ბიჭო, ნეტავი ჯვარი იყო,
პაწია ოქროს ჯვარი,
რომ ყელზე მეკიდო დღედაღამ,
არაფრის არ მქონდეს ჯავრი“.
წლები კი მიჰქროდნენ,
მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ,
და მერე რა შერჩა ხელში?
თვლებში ჩამქრალი ცეცხლი,
ჭალარა, ჭალარა თმებში,
უკან დარჩენილი გაზაფხული,
წინ კი ზამთრის სუსხი და თოში.
იმ გოგოს, ვინც იმ ბიჭს უყვარდა,
სულ სხვაზე რჩებოდა თვალი.
აბა, ყოფილიყო ჩიჩინი!
ხელად იქნებოდა ქორწილი.
ბიჭს ექნებოდა ოჯახი,
შვილები: გოგო და ბიჭები,
სახლი იქნებოდა სავსე
სიხარულით და სიკეთით.
ეჰეი, ქვრივებო და ბერბიჭებო,

გოგოებო და ჭაბუკებო!
დღეცა და ღამეც, ყოველთვის
თქვენ გელოდებათ ჩიჩინი.
ზამთარშიც გელოდებათ და ზაფხულშიც,
ის არის კეთილი მაჭანკალი,
თუკი ვინმეს უჭირს ჩვენში,
ყველას ძმად და მეგობარი.



XI

საგვარეულო შტო იმას არა აქვს, ვინც ფულუროში გაჩნდა... — აბა, ლავან, ერთი გვითხარი, როგორ გახსოვს შენი წინაპრები! — მეტყობდა ზოგჯერ ბაბუა.

ამ შეკითხვის მოცემა განსაკუთრებით ვახშობისას უყვარდა, როცა ჩვენთან ერთად მეზობლები ან ნათესავები ისხდნენ. ბაბუას, რომელიც ჩემი ნიჭიერებით, ცოტა არ იყოს, ტრამახობდა, ეტყობა, ამის გაგონება უნდოდა: „დედა, დედა რა ნათელი თავი აქვს ბეჟანის შვილიშვილს“.

მე მაშინვე წამოვხტებოდი და ვიცდიდი, არ ვიცოდი, საიდან დამეწყო.

— აბა, იმედი მაქვს, მამაშენის სახელი გახსოვს, — ღიმილით მიცქეროდა ბაბუა.

— მამა — ბადრა, ბაბუა — ბეჟანი, — მღელვარებისგან წკრიალასმით ვიწყებდი ჩამოთვლას, იმისი მამა — აზნაური, მისი მამა — ხიზა, მისი მამა — ჩიტა, მისი მამა — ჩარგნახვა, მისი მამა... მისი მამა... — ენა დამებმობდა და შექრწუნებული ვფიქრობდი, რომ ჩარგნახვას მამის — ჩემი პაპისპაპისპაპისპაპის სახელი დავიწყებული, მესხიერებიდან ამოვარდინილი მქონდა. როგორ არ ვცდილობდი გახსენებას, მაგრამ ვერ ვიხსენებდი. გვერდით ძია ელიზბარი მეჯდა, იქნებ იმან მიკარნახოს, ჩამიჩურჩულოს-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!

— ეს, შენ რა გითხრა, ჩვენ გვარში ყველაზე ღირსეული კაცის სახელი დაგავიწყდა? რა თქმა უნდა, მე არ ვიცნობდი, მაგრამ უფროსები ამბობდნენ, რომ კუიანი... ბოლო სიტყვებს ბაბუა ოდნავ ხმამაღლა წარმოთქვამდა და ჩემი წინაპრის დავიწყებული სახელი მაშინვე ამომიტივტივდებოდა მესხიერებაში:

— მისი მამა — კუიანი, მისი მამა — კვაკვა...

მარჯვედ ვამთავრებდი წინაპართა ჩამოთვლას და შუბლი ცივი ოფლით მეცვარებოდა. წარმატება ჯერ კიდევ ადრე იყო.

— სად განისვენებენ ისინი? — მეკითხებოდა ბაბუა.

— ყველა ჩვენი წინაპარი გორაკზეა დაკრძალული, ყველა, გარდა ერთისა.

— ყოჩაღ! ღმერთმა დიდხანს და ბედნიერად გაცხოვროს... რა გვეთქმის, შენმა შვილიშვილმა, ბეჟან, ამ გონიერმა ბიჭმა დაგვიმტკიცა, რომ ფულუროდან არ მოსულა, — ესმოდა ბაბუას ის, რისი გაგონებაც ასე ეწადა.

თითონ ცამეტ მუხლამდე იცოდა თავისი წინაპრები და შეილებსაც უბარებდა, არ დავიწყნოდათ ისინი. „მამაკაცი მემკვიდრეობის ფუძეა, ამიტომ ვალდებულია, ახსოვდეს თავისი ვენიალოგია“, — ამბობდა ის.

— ახლა აბა ის დამისახელე, ლაგან, ვინც თავის სამშობლოს გარეთაა დამარხული, ამ შეკითხვას რომ მომცემდა, ბაბუა თქვენი ნავდა და მოლუშული ჩასცქეროდა იატაკს.

— ბაბუაჩემის მამა — აზნაური, — სწრაფად ვუბასუხებდი მე, მაგრამ არც მაინცა და მაინც მხიარულად. ვიცოდი, ეს ამბავი ბაბუას მძიმე და მწარე მოგონებებს აუშლიდა ხოლმე.

„საწყალი დედაჩემი, საწყალი მამაჩემი, საწყალი ჩემი დები“, — დაიწყებდა ის კვნესას და ხელებს თავზე შემოიჭერდა. — სადა ხართ სამშობლოსგან დაკარგულებო? არაფერი მინდა, ოღონდ ის ვიცოდე, სად განისვენებს თქვენი ნეშტი...“

აი რა მომხდარა თურმე: 1878 წელს აფხაზების მორიგი, რიგით შესამე და იძულებით უკანასკნელი გადასახლება ყოფილა თურქეთში. გადასახლებულთა სიაში ბეჟანის ოჯახიც მოხვედრილა — დედა, მამა, თითონ ცოლით, ძმა და დები. მოგვიანებით ბეჟანმა გაქცევა მოახერხა და თავს უშველა ცოლთან ერთად. სხვები კი თვალით აღარ უნახავს. სამუდამო განშორების აუტანელი მწუხარება მძიმე დარდად დააწვა მის გულს. ამის დავიწყება არც მხიარულობის დროს შეეძლო.

ბაბუას არ უყვარდა იმის გახსენება, როგორ დაკარგა ოჯახის წევრები, მაგრამ თუ ბევრს სურდა ამის გაგება და თუ ძალიან სთხოვდნენ, დაჰყვებოდა ხოლმე მათ ნებას. „რაკი მთხოვთ, რას ვიზამ, გიაძობობთ, — ოხრაუდა ხოლმე ის, — თუმცა, სიმართლე გითხრათ, ასე მგონია, მათ საფლავეებს ვაწუხებ... — ერთადერთი ის მამშვიდებს, რომ იქნებ რომელიმე თქვენგანს სარგებლობა მოუტანოს ჩემმა ნაამბობმა“. — მხრით ხელჯოხს დააწვებოდა, თავს ჩაქინდრავდა, ცოტა ხანს გაჩუმდებოდა და მერე დაიწყებდა მოყოლას;

ძველი ამბების თხრობისას იმ ადგილას რომ მივიდოდა, როგორ გამოემშვიდობა მძინარე მშობლებს გაქცევის წინ, ხმა ჩაუწყდებოდა, თითქოს ენა გადაყლაბათ. „ასე ობლად დავრჩი ამ ქვეყანაზე“ — ამოიკვნესებდა ხოლმე. შავი თვალები, ყოველთვის რომ უციმციმებდა, დაებინდებოდა, ჩაუქრებოდა, ღიბრი გადაეკვროდა, უსიცოცხლო გაუხდებოდა, ნიკაპი კი აუცახცახდებოდა.

ასეთ დროს განსაკუთრებულად მეცოდებოდა ჩემი ბაბუა. ერთხელ კი თავი ვერ შევიკავე და ავტირდი კიდევ, მაგრამ მაშინვე გარეთ გამოვვარდი, ჩემი ცრემლები ვინმეს რომ არ დაენახა. ეზოში, ამაცურტას მოწნულ კედელზე აკრული ვისმენდი ბაბუას ნალვლიან ამბავს.

თხრობას რომ დაამთავრებდა, ბაბუა მთელი საღამო მღუმარე და ჩაფიქრებული იყო. გვიან წვებოდა, მეორე დღესაც კი არავის ელაპარაკებოდა, ქვეშ-ქვეშ იხედებოდა და თითქმის პირს არ აკარებდა საჭმელს.

ბაბუა გვიან დაქორწინდა, მისი სიტყვებით, ორმოცამდე წლის ყოფილა. ქორწილიდან ერთი წლის თავზე რუსეთ-თურქეთის ომი ამტყდარა.

აფხაზეთში ცხოვრება, განსაკუთრებით სანაპიროზე, საშიში გამ-
ხდარა, სამხედრო მზადების ორომტრიალი დაწყებულა.

ქალაქებსა თუ სოფლებში უამრავი მუსულმანი ღვთისმსახური, მეწ-
ვრილმანე ვაჭარი და მაწანწალა დახეტიალობდა. დადიოდნენ ჩვენს მი-
წაზე, წინასწარმეტყველებდნენ, ქადაგებდნენ, შულღსა და უნდობლო-
ბას თესავდნენ, ხმას ავრცელებდნენ — თურქეთის სახელმწიფოს კალაპის
ნაცვალია დედამიწაზე და ყველა მართლმადიდებლის მბრძანებელიაო,
მალე გადმოსხამს აქ თავის ურიცხვ მხედრიონს, რუსები უკან დაიხე-
ვენ და აქაურობას გაეცლებიანო. როცა გიაურები აქედან წაეთრევიან,
აფხაზეთი ისევ ისლამის ქვეყანა გახდებაო... თურქი მსტოვრებისგან
ცდუნებული ზოგიერთი აფხაზი მათ მიერ დაგებულ მახეში გაება, მაგ-
რამ უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობდა: „აი, უკვე სამოცი წელია,
რაც რუსეთს შევუერთდით, შევეთვისეთ რუსებს, ერთმანეთს გაფუ-
გეთ... „არა გვგონია, რუსულმა კანონმა დაგვიმონოს... თქვენი ნამ-
დვილი სახე კი უკვე ვიცი, გვინახავს, ისიც საკმარისია, რაც უკვე
გაგვიკეთეთ... პო და, იქითკენ წაბრძანდით, საიდანაც მობრძანებულ-
ხართ, ჩვენ კი დაგვეხსენით... თავი მოგვაბერზეთ უკვე!“ — ასე ფი-
ქრობდა ბევრი და ეკამათებოდა მათ, ვისაც სისხლი და ძმათა შორის
ომი სწყუროდა, ასე იყო თუ ისე ხალხის მღელვარება არ წყდებოდა რა-
ღაც საშინელების მოლოდინში.

და აი, თითქოს ყვავეების შავი გუნდი დაეშვა სანაპიროზე. ეს იყო
სულთანის დანაპირები ლაშქარი. ცოტა აფხაზი როდი მსახურობდა მის
რიგებში. ეს ის აფხაზები იყვნენ, წინა მაჰაჯირობის დროს რომ მოხ-
ვდნენ თურქეთში. თურქეთის ექსპედიციის კორპუსის მხედართმთავა-
რიც კი აფხაზი იყო — მაან ქამლათი, რომელსაც სულთანი ფაშობას
დაჰპირდა, გამარჯვებული თუ დაბრუნდებოდა უკან. მხედართმთავრის
მარჯვენა ხელი იყო მისი უმცროსი ძმა — უაზბაკი. უაზბაკი ერთი ნა-
ბიჯითაც კი არ შორდებოდა ქამლათს და ყველაფერში მის ნება-სურ-
ვილს ემორჩილებოდა.

სტრატეგიის თვალსაზრისით რუსებს არავითარი წინააღმდეგობა
არ გაუწევიათ თურქებისთვის, დაუტოვეს სოხუმი და ენგურისკენ და-
იხიეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო ბრძოლა, სადაც თურ-
ქეთის ძალები განადგურდა. ვინც ცოცხალი გადარჩა, ჩუმად მიიპარე-
ბოდა ზღვისკენ, სოხუმის ახლოს ღუზარაშვილებს გემებზე რომ ეპოვ-
ნათ თავშესაფარი.

სწორედ იმ დღეებში გამოაშკარავდა მაან ქამლათის მთელი ვე-
რაგობა. შენიშნულია, ვინც ერთხელ უღალატებს თავის ხალხს, ის
მთელი სიცოცხლე გამყიდველისა და მოღალატის გზით ივლის...

ქამლათმა თავისი გადარჩენილი მეომრებიდან აფხაზები შეაგრო-
ვა, რაზემბად დაჰყო და სოფლებში დააგზავნა. ბრძანა: ყველა აფხაზი
დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს თურქეთში მუსულმანთა აღთქმულ
მიწაზე. ვინც გაბედავს და არ დამემორჩილება, ის ოჯახსაც დაკარ-
გავს, სახლკარსაც და სიცოცხლესაც კი. ყველანი გამოყარეთ სახლები-
დან, დიდი და პატარა, არავინ დაინდოთ. არცერთი აფხაზი, მთლად
წყალწალეულიც კი არ უნდა დარჩეს გიაურებისგან საწამებლად!..

ამ ადგილს რომ მიუახლოვდებოდა ბაბუა, მზერას ცად ალაპყრობდა, ხმა უმკაცრდებოდა, უმძიმდებოდა, თითქოს ტყვია ჩაესხაო, გულზე ცეცხლი ედებოდა.

— ოხ, ქამლათ, იმ ქვეყნადაც არ გელირსოს მოსვენება... ისიც ხომ აფხაზი დედისგან იყო ნაშობი, აფხაზმა დედამ აწოვავაქვძუნა ქვეყნიდან იანანას უმღეროდა, ჩვენი ჰაერით სუნთქავდა, ჩვენსაჟინტ—~~დასრულდა~~ მწვანე მოლზე, ჩვენი მთების ცქერით ტკბებოდა... ახლა რა დაემართა, რომელმა ცოფიანმა ძალღმა უკბინა? იმიტომ უნდა უღალატო შენს ხალხს, ფაშას სახელი რომ გერქვას? წყეულიმც იყავ, ქამლათ! საუკუნეებიც კი ვერ გააქარწყლებს შენს ჩადენილ დანაშაულს. შენი ცოდვა ზიდოს შენმა შვილებმა, მთელმა შენმა შთამომავლობამ!

ბაბუა აჩქარებით გატენიდა თავის თიხის ჩიბუხს და რამდენჯერმე სწრაფად მოქაჩავდა, თითქოს კვამლით უნდოდა ჩაესმო მის სულში აზავთებული ზიზლი და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძობდა თხრობას.

ჩვენს სოფლამდეც მოაღწიეს ქამლათის გამოგზავნილებმა — თავისი ბატონისა და მბრძანებლის ბოროტი ზრახვების ამსრულებლებმა, — ახლა უკვე მშვიდად ლაპარაკობდა ბაბუა. — მაშინ მთელი ჩვენი გვარი, ყველა მათი შტო საკუთარ კერიებთან შეიკრიბა, რათა ერთად გადაეწყვიტათ, როგორ მოვქცეულიყავით. მამაჩემის ძმები და მათი შვილები მამაჩემის ეზოში შეგროვდნენ. თავი მოიყარეს თუ არა, მე სიტყვა წარმოვთქვი: „ჩვენ ჩვენს სახლში ვართ და რატომ, რისი გულისთვის უნდა წავიდეთ აქედან? ან სად უნდა წავიდეთ?! ქუდზე კაცი გამოვალთ და წინ აღვუდგებით იმათ, ვინც ჩვენი ქვეყნის გაუკაცრიელება მოინდომა.

მაშინ მამაჩემის ძმა ალგერი წამოდგა ფეხზე და სიტყვა შემაწყვეტინა. ის მეორე კაცი იყო მამაჩემის შემდეგ და ყოველთვის ყურადღებით უსმენდნენ ხოლმე. „ეპ ბეჟან, ბეჟან, — დაიწყო მან. — პირდაპირ არ ვიცი რა გითხრა. ახალგაზრდა ხარ და იმიტომ მსჯელობ ასე თავქარიანად-მეთქი, არ იქნება სწორი, მაგრამ ასეა თუ ისე, შენი სიტყვები კაცის კი არა, ბიჭის ნათქვამს მომაგონებს. ქამლათის ხალხს უამრავი იარაღი და საბრძოლო მასალა აქვთ. ხელად დაგვხვრეტენ ყველას — კაცებსაც და ქალებსაც, ბავშვებს კი ხიშტებზე წამოაკებენ. მერე სახლებს დაგვიწვავენ და ფერფლად გვიქცევენ. ქარს გაატანენ ჩვენს ტანჯვა წვალეებით შეძენილ ქონებას. ასე, რომ ასარჩევი არაფერი გვაქვს, რა უნდა ავირჩიოთ? ერთადერთი გზალა დაგვრჩენია — უნდა დავემორჩილოთ. როგორც ჩანს, ასეთი ყოფილა ჩვენი ხვედრი. მოდით, პატივცემულებო, და გამოვემშვიდობოთ მშობლიურ მიწას, ნულარ დავაყოვნებთ და დავადგეთ გზას, უარესს ნუ დაველოდებით“.

(გავრძელება იქნება)



ინგოზორგ ბასმანი



გერმანულიდან

თარგმნა დუღუ დარინაშა

არავითარი სინათიშე

აღარაფერი მომწონს, არ მსიზღავს.

მეტაფორები
აყვავებული ნუშის რტოებით
უნდა შევამკო?
ანდა სინტაქსიმივიუსადაგო
ჯვარედინად შუქ-ჩრდილის ეფექტს?
თავს ვინლა იტეხს
ამდაგვარი უსაქმურობით —

მე არსის წვდომა შევისწავლე
იმავე სიტყვებით,
რაც გვაბადია
(მრწემ შეგირდთა გამოსადეგი)

შიმშილი
სირცხვილი
ცრემლები
წყვდიადი.

მე დავჯერდები გაურანდავი,
გულამომჯდარი ამოკვნესით,
უსასოობით
(სასომიხდილი ისევ ვუფროთხი
სასოწარკვეთას)

მომრავლებულ სიდუხჭირესე,
სნეულუბასა და ყოფით ხარჯზე
ამოთქმულ სიტყვას.

ნაწერებს კი არ გავიმეტებ მე
ხელალებით,
მხოლოდ საკუთარ თავს
ვემართლები.

სხვებმა იციან,
ასე თუ ისე უფალმა უწყის
სიტყვით ფონს გასვლა.
მე ჩემს შემწედ არ გამოვდგები.
თუ დავატყვევო
ჩემივე ფიქრი,
შევუძლვე სიტყვის
გაცისკროვნებულ სენაკის წიაღ?
ვაამო თვალს, ყურს
ნაღები სიტყვის ნუგბარი ლუკმით?
გამოვიკვლიო ვნება ხმოვანთა
და თანხმოვანთა ფასი ვაუწყო
სიტყვის გურმანებს?

თუ
დასეტყვილი, ვნებული თავით,
წერისგან კრუნჩხვაშემდგარი
ხელით,

სამასი ღამის სიმძიმის ქვეშ
დავხიო უმალ ქალალდი და
ზედ მივყოლო სმაშეწყობილი
ნატიფი სიტყვა,
ძირ-ფესვიანად, დავტოვო ასე:
მე შენ ის ივი

ჩვენ და ისინი?

(უსათუოა შეიძლონ სხვებმაც)

ჩემი წილხვედრი განქარდეს უნდა.

გ ა ნ დ ე ჯ ნ ა

მე ცხედარი ვარ მოხეტიალე
უკვე აღარსად აღნუსხული
უცხო, პრეფექტთა სამეფოში
ზედმეტი ყველგან

ოქროსფერდაკრულ

ქალაქსა თუ ხასხასა ბარში
გაძარცული კარგა ხანია
უსახლკარო მარტოეული
მხოლოდ ქარია ჭამი და
კენესა მეგზური ჩემი
მე ის ვარ ვისაც ძეკაცთა

შორის არ ძალუძს ყოფნა
და გერმანული ენის წყალობით
ღრუბელივით რომ მახვევია
და სახლივით თავს რომ დაკარგავს
ვეპაექრები ყველა სხვა ენას
რა მრუმე ელფერს იძენს ღრუბელი
წვიმის შავბნელი ყრუ ტონებიდან
მხოლოდ მცირედი თუ აღწევს მიწას
შემდეგ კი უფრო მჭვირვალ

ნათელში

ღრუბელი ცხედარს მიარწევს ზევით

ჰ ა რ ლ ე მ ი

დიღკილოები დააწყდა ღრუბლებს,
წვიმა ცრის ყველა ღრმულსა თუ
შახტში,

აჟღერებს რკინის ჩარაზულ ყუთებს,
სახანძრო ხვეულ კიბეზე დახტის.

შავი ქალაქი ბრიალთვალება
შუკა-შუკებით მიიძალება.
წვიმის რიტმს უცებ ცვლის

მდუმარება

და წყდება წვიმის ლივლივა ბლუზი.

ე ნ ი ზ ე ა

ჰანს ვერნერ ჰანცეს, არიოზის
დროიდან*


აღარაფერი იქნება მეტად.
აღარასოდეს გაზაფხულდება.
წინასწარ გვამცნობს კალენდრები
ათასწლოვანი.

აღარც ზაფხული და რაც მშვენიერ
„საზაფხულო“ სახელს ატარებს —
აღარასოდეს იქნება მეტად.

შენ არ ატირდე,
ამბობს მუსიკა.

სხვა
არაფინ
ამბობს
რაიმეს.

* იგულისხმება პ.ვ. ჰანცეს
კომპოზიცია „არიოზი“ შექმნილი
ტ. ტასოს სიტყვებზე.



სარგაი ასენინი



რუსულიდან

თარგმნა გურთ პირველი

არც ვნანობ რამეს, არც გიხმობ და არც ვიცრემლები,
წავა ყოველი, ვით ვაშლის ხის თეთრი ფიფქები,
შემეპარება გარდუვალი ჭკნობა ფარული,
მე ახალგაზრდა აღარ ვიქნები.

შენ, ჩემო გულო, ძველებურად ველარ იძგერებ,
რადგან დამზრალა ჩვენი დროის წილი ყვავილი,
და ამ მიწაზე, გადაპენტილ თეთრი არყებით,
მე ფეხშიშველა ველარ გავივლი.

მშფოთვარე სულთ, რაც დრო გადის, ბორგავ ნაკლებად,
ველარ აღვიძებ ჩამქრალ ვნებებს ჩვეულ ანცობით,
ჩანავლდა მზერა ჟინიანი, გრძნობა წამლეკი,
მივტირი დღეებს ყმაწვილკაცობის.

მე სურვილებშიც, ვატყობ, გავხდი დიდად მომჭირნე,
ცხადი იყო თუ ჩამითრია სიზმრის მორევმა,
თითქოს ერთ დილას ვარდისფერი ცხენის ჭენებით
გადავიქროლე მთელი ცხოვრება.

ჩვენ, ამ ქვეყნიდან წარმავალებს, ვერვინ დაგვიცავს,
იწყება ფოთლის ნეკერჩხლიდან ცვენა ფარული,
კურთხეულ იყოს საუკუნოდ დედამიწაზე
აყვავილებაც და აღსასრულიც!

მოუწყენიათ ამ უღრანებსაც,
ველარ ლაღობენ სიცოცხლის ფერით,
წეროები კი დაუნანებლად
მიფრენენ, სადაც არავინ ელით.
ან რად ინანონ, როს ყველა მგზავრი
მიდის და უკან ბრუნდება ბოლოს,
წეროები კი მთვარიან ლამით
მოაგონდებათ ველ-მინდვრებს
მხოლოდ.
ვდგავარ ბალში და არავინ მახლავს,

წეროები კი აპობენ ლამეს,
წარსულზე ფიქრით სავსე ვარ ახლა
და არც მე ვნანობ ამჟამად რამეს.
ჩავლილ დღეებზე დარდი არ ვიცი,
ყვავილთა სურნელს იოლად
დავთმობ,
ცირცელი ბალში უცეცხლოდ იწვის,
იწვის ცირცელი, თუმცა არ მათბობს.

ბოლომდე მაინც არ დაიწვება
და ვერც სიყვითლე გააქრობს
ბალახს,
რა სევდაცა სდევს ფოთოლთა
ცვენას,
ამ ჩემს ლეწებსაც ის სევდა
ახლავს...

და თუ წამლევკი დროის მორევი
ჩაითრევს ყველას დაუნანებლად,
იტყვიან მაშინ სევდამორევი
გმადლობა
ჩაიყვავილეს ამ უღრანებმაც.

ძ რ ო ხ ა

წლების სიმრავლე ატყვია რქებზე,
კბილებდაცვეთილს და უკვე
ბეხრეკს,
ახლაც კი ესმის შოლტის ტლაშუნი,
გამეჭებით რომ უქნევდა მეხრე.

და ქანაობდა სარზე ვით ჩრდილი
მისი ნაშობის გამხმარი ტყავი.
სულ მალე ძროხის დადგება ჯერი,
თოკს შეაბამენ იქვე, კალოზე,
და უდღეური შვილივით მერე
წინ გაიგდებენ სასაკლავოსკენ...

აკრთობს ყოველი ფაჩუნი, ჩქამი,
თავის წრიპინიც, მგონი, აშინებს
და დასტრიალებს ფიქრებით ღამით
თავის თეთრფენა ღამაშ ნაშაერს...

ჩაეჭიდება ბებერი რქებით
მიწას, განწირულ უტყვის გოდებით,
ჯერ კი სიზმრებში ისევ ფეთქავენ
აყვავებული მთა და კორდები.

დიდი ხნით როდი დაუთმეს შვილი,
ბედნიერება არგუნეს წამით

სიმღერა ძალზე

ჭვავის საბძელში დილაადრიან
ოქროში ნავლებ ჭილოფებს უკან
შვიდი წითური ლეკვი დაყარა,
შვიდი წითური დაყარა ძუკნამ.

ბრუნდება მარტო ძალღი ნალველით,
ძლივს მოლასლასებს, თითქოს
დამძიმდა,
და მხოლოდ მთვარე
ყოვლისმნახველი
ღამეულ ციდან ეტყვის სამძიმარს.

სულ სათითაოდ გალოკა ყველა
აღსავსემ მათზე ზრუნვით და
ფიქრით,
მიწანწკარებდა მუცლის ქვეშ ნელა
მისი სითბოთი გამლღვალა ფიფქი.

ახედავს ზეცას მალლა წკმუტუნით,
შეუყფეს მნათობს, ლეკვს რომ
აგონებს,
დედის წუხილით გულდათუთქული
მიეფარება მთვარე მთა-გორებს.

გვიან კი, როცა ბინდი ბატონობს,
თითქოს დუმილი დვას საუკუნო,
ტომრით პირქუში მოდის პატრონი
და მცივან ლეკვებს შიგ ყრის
უგულოდ.

ძალღი კვლავ თავის გაჩენას
წყევლის,
გაწბილებული ჩუმად წკავწკავებს,
მერე კი ორი ობოლი ცრემლი
ვარსკვლავებშივით სწყდება
წამწამებს.

უკან მოჰყვება ძალღი საწყალი,
გაყურსულია მიდამო თეთრად,
და მერე ცოდვას მღელვარე წყალი
გაინაწილებს პატრონთან ერთად.

წერილი დედას!

ხომ კარგადა ხარ, ძვირფასო დედა!
მე შენზე ფიქრი სხვაგვარად
მათბობს,
ვიცი, დღედაღამ თანა გდევს სევდა
და მუდამ ჩემთან შეხვედრას
ნატრობ.

მწერენ, მისხენებ ისევ წუხილით,
შენ ჩემზე დარდი გაწევს ლოდინით
და ძველმანებში გამოწყობილი
გაჭყურებ შარას კვლავ მოლოდინით.

საშინელ სიზმარს ხედავ ბურანში
ერთ და იმავეს, ყოველღამ თანაც:
უაზრო ჩხუბში, სადღაც დუქანში
შენს უბედურ შვილს უყრიან დანას.

ნუ შეგაწუხებს შენ ჩემი ბედი,
ეს არ მომხდარა, არც უნდა მოხდეს!
მე არც ისეთი ლოთი ვარ, დედი,
შენს უნახავად შემეძლოს მოვკვდე!

იქნებ შიშობ, რომ გამოვიცვალე,
მიყვარხარ ძლიერ, კვლავ
ძველებურად...

შენ იცი მხოლოდ, როგორ ვიწვალე
და ჩემს სულს ისევ რა ნისლიც
ერივნენ უბედურავს.

მე მოვალ მაშინ, როცა ალუბლებს
დაასკდებიან კვირტები თეთრად,
როს მიწა კარებს ფართოდ გაუღებს
სითბოს და გულიც სხვაგვარად
ფეთქავს!

ნუ შეეხები, დედი, იცოდე,
მოუშუშებულ ჯერაც იარებს,
ნუ გაჰახსენებ, როგორ იწვოდა
სული და რა გზაც გამოვიარე.

ცუდ მოგონებებს სულ დავივიწყებ,
მძიმე ფიქრისთვის არც მიმეტუბდი,
ახლა სიცოცხლეს თავიდან ვიწყებ,
შენა ხარ ჩემი ხსნაც და იმედიც.

ნუ მომიგონებ, დედი, წუხილით,
ნუ გაწევს დარდი ჩემზე ლოდინით,
და ძველმანებში გამოწყობილი
შარას ნუ გასცქერ კვლავ
მოლოდინით.



ბი და მოპასანი



ქო ლ ბ ა

(ნოველა)

ფრანგულიდან

თარგმნა ნანა ახალაძემ

მადამ ორეილის მთელ საახლობლოში მომჭირნე ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. კარგად იცოდა თითოეული სუს* ყადრი და მის დაზოგვაშიც საკუთარი მკაცრი პრინციპები გააჩნდა. საყიდლებიდან დაბრუნებული შინამოსამსახურე, ცხადია, ვერაფერს გამოაპარებდა, ხოლო ბატონ ორეილს (ქმარს) დიდი წვალეების ფასად უხდებოდა მისგან დღიური ხარჯების გამოცანცვლა.

ცოლ-ქმარი შეძლებულად ცხოვრობდნენ, საუბედუროდ შვილები არ ჰყავდათ, თუმცა ქალბატონს ეს სულაც არ ადარდებდა, მას მხოლოდ ის აწუხებდა, მის ქისას ვერცხლის მონეტები არ დაჰკლებოდა, ყოველი ეკიუს ხელიდან გასვლას მძიმედ განიცდიდა და თუ საქმე სოლიდურ ხარჯს ეხებოდა, იმ ღამეს ძილი და მოსვენება წართმეული ჰქონდა.

— ვერ გამიგია, მაინც რა გვიშლის ხელს უფრო ხელგაშლილად ვიცხოვროთ, ნათესავებში ვიაროთ, ზქეთ მოვიპატიჟოთ. რაც გაგვანინია, სიცოცხლის ბოლომდე არათუ გვეყოფა, დაგვრჩება კიდევ. — ეტყოდა შიგადაშიგ ქმარი მეუღლეს.

— ეჰ, ჩემო კარგო, განა ვინმემ იცის წინასწარ, რა შეიძლება ზვალ-ზეგ ან კიდევ იქეთ მოხდეს? ზედმეტი ქონება ვის მოყირჭებია, ვის გადაუყრია წყალში. — მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა მადამ ორეილი ქმარს.

მადამ ორეილი ორმოციოდე წლის ქალი გახლდათ. ერთი შეხედვით, კაცი იტყოდა, ფაქიზიანო, მაგრამ ნამეტანი მოუსვენარი და მოძრავი პიროვნება იყო. რატომღაც, ნაადრევად დანაოჭებული სახითა და მუდამ უკმაყოფილო იერით გამოიყურებოდა. ქმარი მასზე თხუთმეტიოდე წლით უფროსი გახლდათ. აღბათ, ესეც აღიზიანებდა ქალბატონს...

ქმარი ვერა და ვერ ეგუებოდა ცოლის ასეთ უზომო ყაირათიანობას, რაც ზოგჯერ ისეთი აუტანელი ხდებოდა, რომ საწყალი კაცი თავმოყვარეობაშელახული გრძნობდა თავს, სამხედრო სამინისტროში მაგიდის უფროსობა, სიმართლე უნდა ითქვას, დიდად არ ეპიტნავებოდა,

* სუ — ფულის, ერთეული საფრანგეთში.

მაგრამ ესეც ცოლის ნება იყო, რათა მისი დიდი ხელფასით ოჯახის ქისა უფრო რომ გაზრდილიყო.

ალბათ, ორი წელი მაინც იქნებოდა, რაც ბატონი ორეილი გაცრეცილი, ალაგ-ალაგ დაკემსილი, ერთი და იმავე ქოლგით რომ დადიოდა სამსახურში, რაზედაც მისი ხელქვეითი კოლეგები დასცინოდნენ და კულისებში გულიანადაც ხითხითებდნენ. ეს ყველაფერი ბატონი ორეილის ყურამდეც მიდიოდა. ერთხელაც ამოუვიდა ყელში თანამშრომლების ტაკიმასხარაობა და სახლში რომ დაბრუნდა, მოთმინებიდან იყო გამოსული, ცოლს ახალი ქოლგის შეძენა დაავალა. ქალმა რაღაც იაზრა და ამჯერად, რატომღაც, არ დაიზარა და უნივერსალის სარეკლამო სამსახურიდან რვა ფრანკად და ორმოცდაათ სანტიმად ღირებული ერთი უსასური ქოლგა შეარჩია, არადა, ასეთები ათასობით ეყარა ყველა სავაჭრო ჯიხურებში...

ახალი ქოლგა სამინისტროში მაშინვე შეამჩნიეს, თუმცა სასუქმარო განწყობა სრულიადაც არ შეცვლიათ. ბატონმა ორეილმა ეს მაშინვე შენიშნა და გუნება შეეცვალა.

ქოლგა მართლაც არაფრად ღირდა, სამ თვეში ხელში დასაჭერადაც არ ვარგოდა. ხელქვეითებმა სიცოცხს ვინ ჩივა, სიმღერაც კი ააწყვეს უფროსის ქოლგაზე. ბატონი ორეილი ამან უფრო გაახელა და სახლში მისვლისთანავე ცოლს ოცფრანკიანი ქოლგის შეძენა უბრძანა, თან გააფრთხილა, ნაყიდობის ანგარიშის წამოღება არ დაგავიწყდესო.

ქალბატონი მიხვდა რაღაც რთულად რომ იყო საქმე და უკან დაიხია. მაშინვე წავიდა და იმდენი ეძება, ქოლგა თვრამეტ ფრანკად იშოვა და როცა სახლში სასომიხდელი დაბრუნდა, ქმარს მკვახედ მიახალა:

— იცოდე, სულ ცოტა, ხუთი წელი მაინც უნდა ატარო!

ბატონი ორეილი სახეგახსნილი მივიდა სამინისტროში. იმ დღეს ლამის გამირად აქციეს მაგიდის უფროსი.

საღამოს, როცა სახლში დაბრუნდა ბატონი ორეილი, ცოლს ლოყაზე ეამბორა, ქოლგას თავის ადგილი მიუჩინა და სავახშმოდ განეწყო.

— ქოლგა რეზინით არ უნდა შეგეკრა, ასე შეიძლება აბრეშუმში გაიხეხოს და ისევ გაფუჭდეს, იცოდე, თუ კარგად არ მოუარე, კარგახანს ქოგიწევს მოცდა, ვიდრე ახალს გიყიდდე. — გააფრთხილა ქმარი ცოლმა.

ვახშამი მომთავრებული არცკი ჰქონდა ბატონი ორეილს, რომ ქალმა ქოლგა, რატომღაც, ხელში აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, შემდეგ ნაკეცებიც შეუსწორა და მოულოდნელად სახეზე ფერი შეეცვალა — ქოლგის შუაგულში სანტიმის ზომის მრგვალი გამონაწვავი შენიშნა. ცხადია, სიგარისა იყო, თქმა არ უნდოდა.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები, რა დამართე ახალთახალ ქოლგას? — სახეზე ფერი უფრო შეეცვალა ქალს.

— რაო, რა თქვი? რა მოხდა? — მშვიდად იკითხა ბატონმა ორეილმა ისე, რომ ცოლისკენ არცკი გაუხედავს.

მადამ ორეილი ამან უფრო გაახელა და ხმას უფრო აუწია:

— შენი ნამოქმედარია, ეს, ვაჟბატონო! შენი! შენ ძალით ამოწვი, რადგან ფასი გეცოტავა! მე მგონი, სრულ ჭკუაზე არ უნდა იყო! ნათელია, ოჯახის გაკოტრება გაქვს განზრახული.

მადამ ორეილმა სტუმარს სკამზე დაჯდომაც არ აცალა, ყველაფერი სხაპასხუპით მოუყვა, ბოლოს დააყოლა, რომ ახალი ქოლგის შექმნაზე ფიქრიც შედგენილი იყო და რომ მისი ქმარი ამერიკიდან უქოლგოდ ივლიდა სამინისტროში.

მეგობარი კაცი უმაღლე დაეკვირა ვითარებაში და საქმედო ჩაერია: — კი, ბატონო, მაგრამ უქოლგოდ თუ ივლის, აქვე ისევე არ გაუფუჭდება? მისი ფასი ხომ ბევრად აღემატება ქოლგისას...

— კეთილი! თუ ასეა, ის ქოლგა ატაროს, რითაც მე დავდივარ ბაზარში... აბრეშუმის ახალ ქოლგას იგი ჩემგან ვეღარ ელირსება! — მტკიცედ თქვა აღელვებულმა ქალმა.

— მე უმაღლე სამსახურს დავანებებ თავს, ვიდრე საბაზრო ქოლგას დავიჭერ ხელში. — ასევე მტკიცედ მიუგო ქმარმა ცოლს.

— იქნებ, ახალი ქსოვილი გადაგეკრათ მასზე, სულაც არ დაგიჯდებათ ძვირი. — ურჩია ცოლ-ქმარს მეგობარმა.

გაავებულმა ქალბატონმა ხელები გაასავსავა.

— გადასაკრავად, სულ მცირე, რვა ფრანკი მაინცაა საჭირო. რვა და თვრამეტი ოცდაექვსია. ეს კი ბევრია, ერთი ქოლგისთვის... არა, არა! შეიძლება ჭკუიდან გადავიდე.

მოულოდნელად ოჯახის მეგობარს ახალი აზრი გაუჩნდა:

— იქნებ გეცადათ და იმ საზოგადოებისთვის მიგეკითხათ, სადაც ქონება გაქვთ დაზღვეული. სადაზღვეო კომპანიები დამწვარი ნივთის კომპენსაციას იძლევიან, ოღონდ ეს უბედურება სახლში უნდა იყოს მომხდარი.

ასეთმა რჩევამ მადამ ორეილი ცოტათი დააშოშმინა...

— ხვალვე, სამსახურში როცა წახვალ, აუცილებლად შეივლი სადაზღვეო კომპანიაში თუ კანტორაში, აჩვენებ ამ ქოლგას და საკომპენსაციო თანხასაც გამოაწერინებ. — დავალება მისცა ცოლმა ქმარს.

— ჩემს სიცოცხლეში არ ვიზამ ამას, ჯანდაბას წაუღია თვრამეტი ფრანკი. უქოლგოდაც კარგად ვივლი, ბოლოს და ბოლოს ტროსტი ნომ მაქვს.

— მე რაც ვითხარი, ისე მოიქცევი! — მკაცრად გაუმეორა ცოლმა.

ოჯახის მეგობარი ცოლ-ქმრის კინკლაობას გაერიდა.

მეორე დღეს ბატონი ორეილი სამსახურში ტროსტით გაიპარა საბედნიეროდ, მშვენიერი ამინდი იყო.

— „ესე იგი, არ წაიღე, არა? მე შენ გაჩვენებ...“

მადამ ორეილმა დამწვარი ქოლგა მაგიდაზე დადო და ირგვლივ უტრიალებდა. ერთი კი იყო, სადაზღვეო კომპანიაზე ფიქრი არ ასვენებდა, თან იმასაც ფიქრობდა, როგორია იქ მისვლა, როგორი ასატანია ის დამცინავი გამოსხედეები ამ წვრილმანის გამო... თუმცა რატომაა წვრილმანი? სულაც არაა წვრილმანი... ბოლოს და ბოლოს ქოლგაა! თვრამეტი ფრანკი წყალს გავატანო? მაინც წავეალ, იმათთვის თუ არაფერია, ჩემთვის დიდი ფულია. — ქალმა ძალა მოიკრიბა, თავი გაიმხნევა და წასასვლელად განეწყო.

მადამ ორეილმა, სანამ სახლიდან გავიდოდა, ქოლგა ალაგ-ალაგ უფრო გამოწვა, მეტი დამაჯერებლობა რომ მიეღო ზარალის ასანაზღაურებლად, შემდეგ „დელიკატურად“ შეახვია, რეზინა შემოუჭირა,

თავად შალი მოისხა, შლიაპაც დაიხურა და ჩქარი ნაბიჯით რიკულის ქუჩისკენ გაუყვა, სადაც სადაზღვეო კომპანია იყო განთავსებული. გზად მიმავალს, ფიქრი არ ასვენებდა: რას იტყვის თვითონ, ან რა პასუხს მიიღებს, როგორ შეხვდებიან, რა შთაბეჭდილებას მოახდენს მათზე...

მადამ ორეილი მაღალ შენობასთან შეჩერდა, რომელიმე ელექტროვილი ასობით ეწერა: „დედობრივი დახმარება. ხანძარსა და სხვა შემთხვევებზე დაზღვევა კომპანია“.

— „აი, მოვსულვარ!“

ერთი წუთით შეჩერდა, წინ და უკან გაიარ-გამოიარა, მერე თავისთვის ჩაილაპარაკა:

— „სჯობს შევიდე, რაც აღრე, მით უკეთესი“.

მადამ ორეილი დიდ სარკმელებიან დარბაზში აღმოჩნდა, სადაც ბატონებს მიღმა მყოფთა მხოლოდ თავები მოჩანდა. დარბაზში ვიღაც ბატონი გამოჩნდა, მას ხელში ქალაღები ეჭირა, ქალი მასთან მივიდა და მოკრძალებული ხმით ჰკითხა:

— უკაცრავად, ბატონო, ხომ ვერ მიმასწავლით, ვის უნდა მივმართო დამწვარი ქონების დაზღვევის თაობაზე?

— დამწვრობის შესახებ მეოთხე სართულზე უნდა აბრძანდეთ, მარცხნივ, მესამე კართან. — მიიღო ქალმა პასუხი.

— „რა ავა ახლა მეოთხე სართულზე... ეშმაკსაც წაუღია ეს თვრამეტი ფრანკი! — გაიფიქრა ქალმა, მაგრამ თანხის გახსენებამ ძალა შემატა, — სვენებსვენებით აიარა კიბის საფეხურები, ცოტა ხნით კართან შეჩერდა, სული მოიბრუნა, მერე კი ფრთხილად დააკაკუნა.

— შემობრძანდით! — გაისმა ხმა.

ქალმა კარი შეაღო. ეს იყო საკმაოდ მოზრდილი ოთახი, რომლის შუაგულში სამი ორდენიანი, ფეხზე მდგომი მამაკაცი ერთმანეთში კამათობდნენ.

— რით შემიძლია გემსახუროთ, ქალბატონო? — ჰკითხა ერთერთმა მათგანმა სტუმარს.

— მე... იცი... მე ზარალის გამო მოვედი...

მოდელემ ქალს თავაზიანად მიანიშნა სკამზე, თან დააყოლა:

— დაბრძანდით, ქალბატონო, ერთი წუთიც და მე თქვენს განკარგულებაში ვიქნები.

ბატონი თავის თანამოსაუბრეებს მიუბრუნდა.

— ბატონებო! კომპანია თავს ვალდებულად თვლის, გადაგიხადოთ არაუმეტეს 400.000 ფრანკისა! ჩვენ ვერ დავეთანხმებით თქვენს პრეტენზიას დამატებით კიდევ ასი ათასი ფრანკის კომპენსაციის თაობაზე! გადაწყვეტილება საბოლოოა ჯერჯერობით, აქ მე განვაგებ ყველაფერს!

— გასაგებია, ბატონო! საქმეს სასამართლო გადაწყვეტს, ვნახავთ, ვინ რას განაგებს! — დაიმუქრნენ ორთავენი და ოთახიდან გავიდნენ.

— „ნეტავ გამებედა და მეც იმ ორ კაცს გავყოლოდი და ყველაფერზე უარი მეთქვა“.

— ერთი გაფიქრება გულში გაივლო ქალმა.

— გისმენთ, ქალბატონო! რამ შეგაწუსათ?

— მე აქ მოვედი... აი, ამისთვის... აი, ნახეთ. — ენის ბორძიკით ლაპარაკობდა ქალი.

კანტორის უფროსმა გულწრფელი გაოცებით შეხედა ნივთს.

ქალმა აცახცახებული ხელებით, როგორც იქნა, გახსნა რეზინი და ჩონჩხადქცეული, დაფერფლილი ქოლგა მოხელის თვალწინ გაშალა.

სადაზღვეო კომპანიის უფროსს ირონიულად გაეღიმა.

— „არა! უკან არ დავიხევ! რაღაი აქამდე მოვედი, ვბრძობლებ!“ — ქალი რატომღაც უფრო თვითდაჯერებული გახდა და მიშვიც და მორიდებაც თანდათან გაუქრა.

ბიზნისმენჯა

კანტორის უფროსი აღარ იღიმებოდა.

— მე მხოლოდ შეკეთების საფასურს ვითხოვ, მე თვითონ მივიტან სახელოსნოში.

— ქალბატონო, ამდენი წელია აქ ვმუშაობ და ასეთი უბრალო, წვრილმანი ზარალის ასანაზლაურებლად არავის მოუმართავს. ჩვენ არ ვცემთ თანხებს ამომწვარ ცხვირსახოცებზე, ხელთათმანებზე...

ქალს სიბრაზისაგან სახე აელეწა.

კანტორის უფროსმა სიგარა გააბოლა...

— შარშან, ბატონო, ჩვენს საკვამლე მილს ცეცხლი გაუჩნდა და დაახლოებით ხუთასი ფრანკის ზარალი ვნახეთ. ჩემმა ქმარმა თავი შეიკავა და თქვენი საზოგადოებისთვის არ მოუმართავს. ამის შემდეგ, ვფიქრობ, უსამართლობა არ უნდა იყოს, მე რომ დამწვარი ქოლგის კომპენსაცია მოვთხოვოთ!

კანტორის უფროსი მიხვდა, რომ ქოლგის დაწვის ამბავი რაღაც სხვა რამესთან იყო დაკავშირებული და ქალს დაბალ ხმაზე მიმართა:

— ქალბატონო, ძალზე საეჭვოდ მეჩვენება ის, რომ ბატონმა ორეალმა საჭიროდ არ ჩათვალა ზარალის ანაზლაურება ხუთას ფრანკზე და ამ დროს პროტენზიები უჩნდება რაღაც ხუთ თუ ექვს ფრანკზე.

ქალმა ყურად არ იღო უფროსის ნათქვამი და განაგრძო:

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მაგრამ ხუთასი ფრანკის ზარალი ბატონ ორეილის ქისას ეხებოდა, თვრამეტი ფრანკისა კი მაღამ ორეილისას ეხება, რაც არცთუ ისე წვრილმანია ჩემთვის, წელან რომ ბრძანეთ.

კანტორის უფროსი მიხვდა, რომ ამ ქალისგან თავს ადვილად ვერ დაიძვრენდა, ამიტომ სასხვათაშორისოდ დაუწყო გამოკითხვა, თუ როგორ მოხდა ეს „უბედური“ შემთხვევა.

მაღამ ორეილმა იგრძნო, რომ ახლოს იყო გამარჯვება და დაწვრილებით მოუყვა ქოლგის დაწვის ისტორია:

— ბატონო ჩემო, პოლში ბრინჯაოს საკიდარი მაქვს ქოლგებისა და ტროსტებისათვის რომლის ზედა თაროს ასანთებისა და სანთლებისათვის ვხმარობთ. ამ ორი დღის წინ მე და ჩემი მეუღლე სეირნობიდან დავბრუნდით, ქოლგები საკიდარზე ჩამოვკიდეთ. რომ შეღამდა, ასანთი ავიღე, ერთს გავკარი, არ აენტო, მეორე მოვსინჯე, აინთო, მაგრამ მაშინვე ჩაქრა, მეორე მესამე ვცადე, მეოთხე, მეხუთე... ბოლოს შეექვსე...

ხუმრობის ხასიათზე მოსულმა მოხელემ შეაწყვეტინა:

— იქნებ ეს აქსიზური ბანდეროლების ბრალია?

ქალი ვერაფერს მიუხვდა და განაგრძო:

— შესაძლებელია. ისე, ბანდეროლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მეექვსე რომ აენტო, სანთელს მოეკიდა, მე საძინებელ ოთახში შევედი და დასაწოლად გავემზადე. მეუღლეს უკვე გვარიაანად ეძინა. თხუთმეტი

წუთიც არ იქნებოდა გასული, დამწვრის სუნი ვიგრძენი. ჩვენი ბუსრის დაწვის შემდეგ ცეცხლის შიში გამიჩნდა, ამიტომაც იყო, რომ მაშინვე წამოვვარდი საწოლიდან და ოთახები შემოვირბინე და რას ხედავს ჩემი თვალები! ქოლგა იწვის! როგორ მოხდა, ამას მე ვერ ავხსნი, ფაქტი კი სახეზეა! — თქვა ქალმა და ქოლგა შეატრიალ-შემოატრიალა!

მოხელეს ჯერ გაეღიმა, მერე მორიდებული ირონიის ზარბაზნაღობა და-ზარალებულს:

— მაღამ, მაინც რამდენად აფასებთ ზარალს?

— ეგ თქვენი გადასაწყვეტია! — ენა გამართა ქალმა, — თქვენ თვითონ შეაკეთეთ, მე სავსებით გენდობით, ჩემო ბატონო!

— ქალბატონო, მე მკერავი კი არ ვარ, ბიუროს უფროსი ვარ, თქვენ მხოლოდ ის მითხარით, რამდენს ითხოვთ!

— მე თქვენი საზოგადოებისგან გამდიდრებას ნამდვილად არ ვაპირებ! მოდით, ასე შევთანხმდეთ, მე თვითონ მივიტან სახელოსნოში ნაჭერსაც მე შევარჩევ! თანახმა ხართ?

— რასაკვირველია, ძალიან კარგი, ასე რომ მოვრიგდით! აი, ინებეთ სალაროს ორდერი, სადაც შეაკეთებთ, ისინი თვითონ შეავსებენ ხარჯებს და ბიუროს დაუბრუნებენ!

მოხელე ფეხზე აღგა, ქალს სალაროს ორდერი გადასცა, ამ უკანასკნელმაც უმაღლესე გამოართვა, სამადლობელო სიტყვებიც არ დაიშურა უფროსისადმი, მერე სწრაფად დატოვა იქაურობა იმის შიშით, ვაითუ გადაიფიქროსო.

შენობიდან გამოსული მაღამ ორეილი ლალი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას, თან თვალების ცეცებით ეძებდა სახელოსნოებს. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს იპოვა ერთი. არ მოეწონა, შემდეგ მეორე მოინახულა, იქაც ტუჩები აიბზუა, მესამესთან შეჩერდა, იქაურობა შეათვალერა და ხმამაღლა განუცხადა იქ მყოფთ:

— ბატონებო, მე თქვენ მოგიტანეთ დამწვარი ქოლგა და რაც შეიძლება საუკეთესო აბრეშუმის ქსოვილით უნდა ვადამიჭიმოთ, თანახმა ხართ ლაპარაკი არ გვექნება, სადაზღვეო კომპანია იხდის, აგერ სალაროს ორდენიც თან მაქვს! — გამარჯვებული ტონით თქვა ქალბატონმა და თან დააყოლა, სამ დღეში გამოვივლიო.

— ესეც ასე! მე გავიმარჯვე! — თქვა ქუჩაში გამოსულმა მაღამ ორეილმა, მერე ისევ საკუთარ ფიქრს გასდია, — ამ ქოლგას ვერ ეღიროსები, ბატონო მეუღლე, შენ ისევ ჩემი საბაზრო ქოლგით ივლი, რადგან ამდენი ტყუილი მათქმევინე, თავი დამამდაბლებინე ... სხვა მეტი რა უნდა ითქვას, თუ ის არა, რომ შენი ხელქვეითები უკვე გიგდებენ, თორემ რა უნდა მოსვლოდა კარადაში ჩამოკიდებულ ქოლგას! ...

ქუჩაში ლამაზ-ლამაზი ქოლგიანი ქალები მიმოდიოდნენ.

— „ქალს ჭკუა უნდა გეყოს, ჭკუა! ბებრუხუნას არ უნდა წაყვე ცოლად ფულისა და ქონების გამო!“ — ერთი გაფიქრება კი გაიფიქრა მაღამ ორეილმა, მაგრამ ქუჩას მაინც ამაყად, გამარჯვებულის იერით გაუყვა.



ნიკოლაი გოგოლი

წ ე რ ო ლ ე ბ ო



რუსულიდან

თარგმნა ლევან აბუღაძემ

X

ლირიზმი ჩვენი პოეტებისა

(წერილი ვ. ა. ჟ. — სკის)*

ვისაუბროთ იმ სტატიაზე, რომლისთვისაც სასიკვდილო განაჩენია გამოტანილი, ანუ სტატიაზე: „ლირიზმი ჩვენი პოეტებისა“. უწინარეს ყოვლისა, მადლობა სასიკვდილო განაჩენისთვის! აი, უკვე მეორედ ვარ შენგან გადარჩენილი, პოი, ჩემო ჭეშმარიტო დამრიგებელო და მასწავლებელო! გასულ წელს შენივე სული გადამეღობა წინ, როცა მე ის-ის იყო უნდა გამეგზავნა ჩემი თქმულებები რუს პოეტებზე პლენენვისათვის „სოვრემენიკში“, ახლა კი ისევ შენ მიეცი განადგურებას ახალი ნაყოფი ჩემი უგუნურებისა. შენ ერთი ხარ, რომ მაჩერებ, მაშინ, როცა სხვები ყველანი მაჩქარებენ, არ ვიცი, რატომ. რამდენი სისულელის ჩადენას მოვასწრებდი, სხვა მეგობრებისთვის რომ მესმინა! ასე რომ, მიიღე ჩემგან, უპირველეს ყოვლისა, სამადლობელო საგალობელი!

ტექსტში გამოყენებულია პწკარედები.

* იგულისხმება ვასილი ანდრეევიჩ უუკოვსკი, პოეტი, რუსული რომანტიზმის დამფუძნებელი (1783-1852 წ.წ.).

ახლა კი შევეხოთ თავად სტატიას. მე სირცხვილი მწვავეს ყოველთვის, როცა კი ვიხსენებ, რა სულელი ვარ ჯერ კიდევ და არაფრის ჭკვიანურის თქმა არ შემიძლია. რა აზრსმოკლებულია ლიტერატურის შესახებ ჩემი მსჯელობები და შეხედულებები. სწორედ ამ დროს ვხდები მაღალფარდოვანი, გაუგებარი და უშინაარსო. ხოლო საკუთარი აზრი, რომელსაც არათუ ვხედავ გონებით, არამედ ვგრძნობ კიდევ გულით, ვერ გამომიტყვამს. ბევრი რამ ესმის სულს, ხოლო თქმა, ან დაწერა არაფრისა შემიძლია. საფუძველი ჩემი სტატიისა სამართლიანია, მაგრამ გამოვხატე ისე, რომ ყველა გამოთქმამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ იგივეს: ჩვენი პოეტების ლირიზმში არის რაღაც ისეთი, რაც არა აქვთ სხვა ეროვნების პოეტებს — სახელობრ, რაღაც მშობლიური სიახლოვე ბიბლიასთან. ეს არის ლირიზმის ის უმაღლესი მდგომარეობა, რომლისთვისაც უცხოა მიწიერი, მგრძნობელობითი ვნებათაღელვანი და წარმოადგენს გონიერების

შუქში მტკიცე აღმასვლას, ის უზუნაესი ზეიშია სულიერი სიფხიზლისა. რომ არაფერი ვთქვათ ლომონოსოვსა და დერჟავინზე, პუშკინშიც კი იგრძნობა ეს ძეგლი ლირიზმი ყველგან, სადაც საქმე მეტნაკლებად მაღალ საგნებს ეხება. გაისვენე თუნდაც მისი ლექსები: „ეკლესიის მოძღვარს“, „წინასწარმეტყველი“, და ბოლოს ის იდუმალეებით მოცული გაქცევა ქალაქიდან, უკვე მისი სიკვდილის შემდეგ რომ დაიბეჭდა. გადაათვალიერე კიდევ ერთხელ იაზიკოვის ლექსები და შენ დაინახავ, რომ იგი შეუდარებლად მაღლა დგას როგორც ვნებებზე, ისე საკუთარ თავზე, როცა რაიმე ამალღებულს ეხება. ერთ მის თუნდაც ადრინდელ ლექსს მოგიყვან მთლიანად, არ არის დიდი:

როცა აღმოდებული
წინასწარმეტყველი
ზეცისკენ ილტვოდა ქუხილით,
ძლიერი ცეცხლი განჭოლაჲდა
მბორგაჲს სულს ელისეისა.
პირთამდე სავსე წმინდა
გრძნობებით,
ის იზრდებოდა და მალდებოდა,
ზეშთაგონებით ბრწყინდებოდა
და ღმერთსაც უსმენდა იგი.
ასე თრთის ხოლმე სიხარულით
გენიოსი
საკუთარი სიდიადის შეცნობისას
როდესაც მის წინ ქუხს და კასკადებს
კვალი სხვა გენიოსის გაეღვებისა.
მკვდრეთით აღდგენილი
ძაღვები მისი
მყისვე მზად არიან სასწაულისთვის
იბადებიან ახალნი გარსკვლავნი
— ეს საქმენია განგების რჩეულთა.

რაოდენი სინათლე და როგორი მკაცრი სიდიადეა! მე ამას იმით ვხსნი, რომ ამალღებულ საგნებს ჩვენი პოეტები ჭვრეტენ და განიხილავენ ლირიკის უზუნაეს წყა-

როსთან — ღმერთთან მის კანონიერ მიმართებაში, ზოგნი ცნობიერად, სხვანი შეუცნობლად, რამეთუ რუსულ სულს თავისი რუსული ბუნებისა გამო ისედაც ესმის ეს კავშირი რალაცნაირად თავისთავად, არ ვიცი რატომ.

მე ნათქვამი მაქვს, რომ ჩვენში ამ, ბიბლიურთან მიახლოებულ, ლირიზმს აქვს ორი საწყისი. პირველი მათგანი რუსეთია. ამ სახელის მართო გაგონებაზეც კი უბრწყინავს სახე ჩვენს პოეტს, უფართოვდება თვალსაწიერი, ყველაფერი მასში თითქოს სიდიადის მარავანდელით იმოსება — ის უკვე აღემატება ჩვეულებრივ ადამიანს.

ეს ცოტა მეტია, ვიდრე მამულის სიყვარული. ამასთან შედარებით მამულის სიყვარული გულისმომყირჭებელი ბაჭიობაა. ამის კარგი საბუთი ჩვენი გადამკვდარი პატრიოტები არიან: ისინი რომ სამშობლოს, სხვათა შორის, გულწრფელ ქებადიდებას მოჰყვებიან, გინდება, მიაფურთხო რუსეთს. მაგრამ დაილაპარაკებს დერჟავინი რუსეთზე და — საკუთარ თავში ძალთა არაჩვეულებრივი მოზღვაება გაკრთობს — თითქოს თავად შეისრუტავ რუსეთის სიდიადეს. უბრალოდ სამშობლოს სიყვარული არათუ დერჟავინს, თვით იაზიკოვსაც კი ვერ შთააგონებდა ასეთ ძლიერ და საზეიმო გამოთქმებს სამშობლოს მიმართით. ავიღოთ თუნდაც ლექსი, სადაც ის აკვიწერს, როგორ დაესხა რუსეთს ბატორი:

უძლეველმა სტეფან ბატორმა
ერთ დიდ ბანაკში
უკვე შეპყარა მოსახლეობა,
დე, დაიჩოქონ ფსკოველებმაო,
დაე, მოისპოს მთლად რუსეთიო.
მაგრამ შენ, სიყვარულო
სამშობლოის,

შენ, ვისითაც ჩვენი მამები
 ამაყობდნენ,
 შენ შეებრძოლე
 სამკვდრო-სასიცოცხლოდ და —
 — არ აზვიამე მას გამარჯვება.

ეს დევგმირულად ჯანსაღი ძალა, რომელიც დროდადრო ამართლებს კიდევ რუსეთის შესახებ სადღაც უნებურად წარმოთქმულ წინასწარმეტყველებას, წარმოიშვება აზრის უნებური მიახლოებით ზეციურ ძალასთან, რომელიც ასე აშკარად იგრძნობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. სიყვარულზე მეტად აქ მონაწილეობს შეგრძნება საშინელებისა და ტრიალებულ უბედურებათა გამო ამ მიწაზე, რომელიც უფლის ნებით ჩვენს სამშობლოდ იქცა, უნარი ახალი მშვენიერი შენობის წარმოდგენისა, რომელიც ჯერჯერობით ყველასთვის ხილული ვერ არის, მაგრამ მას გრძნობს პოეტი გამახვილებული მზერითა და სმენით, ან ისეთი სულთმაძიებელი, რომელსაც ძალუძს თქულში ნაყოფი ამოიციონოს... ამას თანდათანობით სხვა ადამიანებიც გრძნობენ, მაგრამ ისე ბუნდოვნად გამოხატავენ, რომ მათი სიტყვები უგუნურებას წააგავს.

შენ ტყუილად ფიქრობ, რომ თანამედროვე ახალგაზრდები, პირზე რომ ერთთავად სლაგური საწყისები და რუსეთის მომავალი აკერიან, რაღაც მოდური იდეების ქარს არიან აყოლილნი. ისინი, უბრალოდ, თავს ვერ იკავებენ, ერთი სული აქვთ, სანამ საქვეყნოდ გააცხადებენ, და არ უკვირდებიან, რომ მათი აზრები უმწიფარ ბაღლსა ჰგავს. ეს არის და ეს. გაიხსენე ებრაელი ერის ისტორია, იქაც ასე იყო. ოთხასი წინასწარმეტყველი ქადაგებდა ერთდროულად და მხოლოდ ერთი იყო მათგან ღმერთის რჩეული, რომლის

ნათქვამი წმინდა წიგნებში შეიტანებოდა; სხვა დანარჩენები, როგორც ჩანს, ბევრ ზედმეტს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ისინიც იმავე გრძნობდნენ ბუნდოვნად და გაუჩინებლად, რასაც რჩეულნი წითლად და გასაგებად ლაპარაკობდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, მათ ქვეებით ჩაქოლავდნენ.

ახლა ვიკითხოთ, რატომ არ არიან ალტაცებულნი ზემოთხსენებულის მსგავსი მოდური იდეების ქარისაგან, ეთქვათ საფრანგეთი, გერმანია ან ინგლისი და არაფერს უწინასწარმეტყველებენ საკუთარ თავს, და რატომ წინასწარმეტყველებს მხოლოდ რუსეთი? იმიტომ რომ სხვაზე მეტად გრძნობს უფლის ხელს ყველაფერში, რაც მასში ხდება და გრძნობს განსხვავებული მეუფების მოახლოებას. აი, ამან გახადა ჩვენი პოეტების ხმები მიბლიური. ეს არ შეიძლება დაემართოს სხვა ეროვნების პოეტს, რანაირადაც არ უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო და რა მსურვალედაც არ უნდა გამოთქვამდეს ამ სიყვარულს. პოდა, ამაზე ნულარ დამიწყებ კამათს, ჩემო მშვენიერო მეგობარო!

მაგრამ გადავიდეთ სხვა საგანზე, სადაც ასევე ძალუმად ისმის ჩვენს პოეტთა ის ღრმა ლირიზმი, რომელი ზღადაც მსურს გელაპარაკო — სიყვარულზე მეზისაღმე. მეფეებისაღმი მიძღვნილი უამრავი პიმნისა და ოდის წყალობით ჩვენმა პოეზიამ, ლომონოსოვისა და დერჟავინის დროიდან მოყოლებული, სწორედ რომ მეფური ზრწყინვალეზა და სიღიადე შეიძინა. მათი გრძნობა რომ გულწრფელია, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. მხოლოდ ის, ვინც წვრილმანი მახვილგონიერებითაა დაჯილდოებული, და ოდენ

წამიერი, მსუბუქი მოსაზრებების გამოთქმა შეუძლია, დაინახავს მათში მლიქვნელობას და გამორჩენის სურვილს. თავიანთ მოსაზრებას ასეთი ადამიანები იგივე ავტორების სხვა, უხეირო და სუსტ ოდებზე აფუჭნებენ; სამაგიეროდ ისინი, ვისაც რაღაც უფრო მეტი აქვთ, ვიდრე მახვილგონიერებაა, ვინც მართლა ბრძენია, ის ქედმოდრეკით გაირინდება დერჟავინის ოდების წინაშე, სადაც პოეტი ხელმწიფეს მის კეთილმოქმედებათა ფართო წრეს მოუხაზავს, სადაც თავად აცრემლებული, მას იმ ცრემლებზე მოუთხრობს, რომლებიც იღვრება არა მარტო რუსი, არამედ იმპერიის დასასრულს მცხოვრებ უგრძნობ ველურთა თვალებიდან იმ დიდ სიყვარულსა და მოწყალებასთან ოდენ შეხების გზით, რომელიც უსაზღვრო ძალაუფლების მქონე მონარქს შეუძლია გამოაჩინოს ხალხთან. ამ ოდებში ბევრი რამ ისე ძლიერად არის ნათქვამი, კიდევ რომ გამოჩინდეს ხელისუფალი, ვისაც დროებით თავისი ვალი დავიწყებია, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ კვლავ გაიხსენებს მას და გული აუჩვილდება თავისი წოდების სიწმინდის გამო. მხოლოდ გაყინული გულის ადამიანებს შეუძლიათ უსაყვდურონ დერჟავინს ეკატერინეს ქების გადაშეტება, ხოლო ვისაც გულის მაგივრად ჭვა არ უდევს მკერდში, ის ვერ წაიკითხავს აუღივლებლად შესანიშნავ სტრიქონებს, სადაც პოეტი ამბობს, რომ თუ მის მარმარილოს ქანდაკებას შთამომავლობაში სიცოცხლე უწერია, იმის გამო მხოლოდ, რომ:

მე ვუმღერე რუსთ იმ დედოფალს რომლისა მსგავსსა ვერ ვპოვებთ ვერსად

ვერც აქ, ვერც სხვაგან, და ვერასოდეს,
 მით იამაყე, შენ, ჩემო ჩანგო!
 ვერც ამ, თითქმის სიკვდილის
 წინ წარმოთქმულ ლექსებს წაიკითხავს იგი მოჩვენებითობისგან თავისუფალი სულიერი ალტყინების გარეშე

სულის სიბერე მძიმე რამაა, ხმას კარგავს ქნარი
 ეკატერინეს საქებარად მუზა თვლემს თითქოს
 ... სიმღერისთვის არა ვვარგვიარ დაე, სხვათ იმღერონ
 აღარ ჩამოვკრავ ჩემს დაცვეთილ სიმებს
 დე კვლავაც ჰპოვონ მათგან ახალ მგოსნებმა
 ის წმინდა ცეცხლი,
 რითაც ვუმღერდი სამთა მეფეთა.

სამარის კართან არა ტყუიან მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებდა იგი ამ სიყვარულს, ელოლია ვებოდა ვითარცა წმიდათა წმიდას და წარიტანა კუბოში, ვით წმიდათა წმიდა. მაგრამ საქმე ამაში არ არის. საიდან მოდის ეს სიყვარული? — აი, რა არის საკითხავი. თქმა იმისა, მთელი ხალხი განიცდის ამ სიყვარულს, და რაკი პოეტი თავისი ხალხის უსუფთავესი ანარეკლია, ამ გრძნობას უმაღლესი ხარისხით უნდა განიცდიდესო — საქმის მხოლოდ ნახევარი იქნებოდა. ჩამოყალიბებული, სრულყოფილი პოეტი არანაირ გრძნობას არ ეძლევა უანგარიშოდ, გონების ქურაში გატარების გარეშე. მას ძლიერად აქვს განვითარებული წინასწარი ხედვა, გამსჭვალულია სწრაფვით — ალადგინოს მთლიანობაში საგანი, რომელსაც სხვანი ხედავენ ნაწილობრივ, ერთი ან ორი მხრიდან, და არა ოთხივედან. ამიტომ მას არ შეუძლია

მთელი სისრულით არ დაინახოს სამეფო ძალაუფლების მომავალი. რა ბრძნულად განსაზღვრავდა პუშკინი სრულუფლებიანი მონარქის მნიშვნელობას და, საერთოდ, რა დიდ ჭკუას ამჟღავნებდა იგი სიცოცხლის პოლო წლებში! „რისთვის არისო საჭირო, — ამბობდი იგი, — რომ ერთი ჩვენგანი იდგეს სხვაზე მაღლა, ის კი არადა, თვით კანონზე მაღლა? იმისათვის, რომ კანონი ხესავით მოუქნელია. კანონში ადამიანი რაღაც რკინისებურსა და არაძმურს ხედავს. მარტოდენ კანონის სიტყვასიტყვით შესრულებით შორს ვერ წახვალ; ამავე დროს მისი დარღვევა და არშესრულება არც ერთ ჩვენთაგანს არ შეუძლია; სწორედ ამისთვის არსებობს და საჭიროა უზენაესი შეწყალება, იმ კანონის შემამსუბუქებელი, რომელიც ადამიანებს მხოლოდ შეუპასუხებელი სახით ეძლევათ.

სრულუფლებიანი მონარქის გარეშე სახელმწიფო — ავტომატია და მეტი არაფერი. მან დიდი-დიდი მიაღწიოს იმას, რასაც მიაღწიეს შეერთებულმა შტატებმა. შეერთებული შტატები რაღაა? უსულო გვა-მია. ადამიანი იქ ისე გამოფიტულია, რომ ჩირად არა ღირს. სრულუფლებიანი მონარქის გარეშე სახელმწიფო იგივეა, რაც გუნდი უკაპელმეისტეროდ. რა ნარჩევი შემუსიკეებისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, თუ არ არის მათში ერთი ისეთი, რომელიც ჯოხის ოდნავი მოძრაობით იძლევა ნიშანს, კონცერტი ჩაფლავდება. არადა თითქოს არაფერს აკეთებს, არც ერთ ინსტრუმენტზე არ უკრავს, მხოლოდ ოდნავ იქნევს ჯოხს და აქეთ-იქით იყურება, და მხოლოდ მისი ერთი შეხედვაა საკმარისი, რათა შერბილდეს აქ თუ იქ ხაოიანი ბგერები,

უტვინო დოლი და მოუხეშავი ტულუპური რომ გამოსცემენ. მისი იქ ყოფნისას ისტატური ვიოლინოც კი ვერ გაინავარდებს სხვათა ხარჯზე: დიას, მისი მტკიცე საერთო წესრიგს, ყოველთვის სწულს ჩამდგმელ, უმაღლეს წესრიგს“.

რა ზუსტად გამოხატავდა აზრებს პუშკინი, რა ღრმად ესმოდა დიდ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა! ამ შინაგან არსს — სრულუფლებიანი მონარქის ძალას იგი ნაწილობრივ თავის ერთ ლექსშიც კი გამოხატავს, რომელიც, სხვათა შორის, შენ თვითონ გამოაქვეყნე მის თხზულებათა სიკვდილის შემდგომ კრებულში, ლექსში შეუსწორე კიდევ რაღაც, მაგრამ აზრს ვერ ჩასწვდი. მის საიდუმლოს მე გეტყვი ახლა. მე ვლაპარაკობ ოდაზე, რომელიც ეძღვნება იმპერატორ ნიკოლოზს და გამოიცა მოკრძალებული სათაურით „ნ-სადმი“. მისი წარმოშობის ისტორია ასეთია:

იყო დედოფალ ანას სასახლეში მეჯლისი, ერთი იმ მეჯლისთაგანი, სადაც მხოლოდ რჩეულთ იწვევდნენ. სტუმართა შორის იყო პუშკინიც. სტუმრები კარგა ხანია შეკრებილიყვნენ, თვით ხელმწიფე კი არსად ჩანდა. ის სასახლის მეორე ნახევარში განმარტოებულიყო, და, სარგებლობდა რა ხელში მოგდებული თავისუფლების წუთებით, გადაეშალა „ილიადა“ და ისე გაიტაცებინა კითხვას, ვერც კი შეემჩნია, რომ დარბაზებში რა ხანია, ქუხს მუსიკა და ცეკვა-თამაშია გაჩაღებული. მეჯლისზე იგი დაგვიანებით გამოცხადდა, სახეზე ამ ვითარებისათვის სრულიად შეუფერებელი ჭმუნვა ეხატა. ეს შეუსაბამობა სხვათა თვალთაგან უხილავი დარჩა, მაგრამ პუშკინის სულში მან დიდი შთაბეჭდილება დატოვა, და ამის შედე-

გად იშვა დიდებული ოდა, რომელიც აქ მთლიანად მომყავს, რადგან ის სულ ერთი სტროფისაგან შედგება:

პომეროსს დიდხანს ესაუბრე*
შენ მარტოდ-მარტო,
დიდხანს გელოდით ჩვენ.
ნათებით ჩამოსვედ იდუმალ
მწვერვალებიდან
და მოვევითაღწე რჯულის ფიქალები.

და მერე რა? უდაბნოს კარვის ქვეშ
გვანახე უაზრო ღრეობაში.
გიჟურ აზარტით მოღრიალენი
ჩვენს მიერ შექმნილი კერპის
გარშემო.

ჩვენ შევცბით, შენი უცხო
სხივმოსილების გამო,
სიბრაზითა და ტანჯვით
შეპყრობილმა
ჩვენ დაგვწყევლე შენ,
ჩვენ — უაზრო ბავშვები.

არა, შენ არ დაგვწყევლე!
შენ გიყვარს
ზეციდან დაბლა ჩასვლა მომცრო
მდელოს ჩრდილში ყოფნა.
გიყვარს ცის ქუხილი,
გიყვარს სმენა
ფუტკრის ბზუილისა, რომელიც
წითელ ვარდს დასტრიალებს.

დავანებოთ თავი იმპერატორ
ნიკოლოზის პიროვნებას და ვიმს-
ჯელოთ იმაზე, რას წარმოადგენს
თვით მონარქი, როგორც ღმერთი-
სგან მირონცხებული, რომელიც ვა-
ლდებულია მის სამეურვეო ხალხს
იმ ნათლისკენ წარუძღვეს, სადაც
შინაღრობს ღმერთი, და იყო თუ
არა მართალი პუშკინი, როცა მეფე
ძველი დროის ღვთისმხილველ მო-
სეს შეადარა? კაცთაგან ის, ვის კი-
სერზეც მილიონობით თანამოძმეთა

* ლექსი თარგმნა ჯემალ ჭელიძემ.

ბედი ჰკიდია, ვისაც მათ გამო ღვთის
წინაშე საშინელი პასუხისმგებლო-
ბა აკისრია და ამიტომ ადამიანთა
წინაშე პასუხისმგებლობისაგან გან-
თავისუფლებულია, შეცნობილმა პა-
სუხისმგებლობით შექმნილს, კრიტიკას
ღვთის და ისეთი ტანჯ-
ვით იტანჯება, აზრადაც რომ არ
მოუვა დაბლამდგომ ადამიანს, ვი-
საც გართობათა შორისაც მარად ჩა-
ესმის სმა ღვთიური, განუწყვეტლივ
მისკენ მიმართული, დიას, ის მარ-
თლა ღირსია წარსულის ღვთისმხი-
ლველთან შედარებისა, აქვს უფლე-
ბა ფესქვეშ მიუმსხვრიოს ფიქალებ-
ი, გაკიცხოს გიჟურად პროკავი
გვარ-ტომი, რომელიც, ნაცვლად
იმისა, ისწრაფოდეს მიზნისკენ, რა-
ისკენ სწრაფვაც ყველა მიწიერის
ვალთა, ამოდ დახტის მისსავე გა-
მოგონილი კერპის გარშემო. მაგ-
რამ, გარდა ამისა, პუშკინს აფიქ-
რებდა უმაღლესი დანიშნულებაც
ძალაუფლებისა, რომელიც ზეცას
გამოსთხოვა ადამიანის უმწეობამ,
გამოსთხოვა არა ზეციური მართლ-
მსაჯულების მოძების ხეწნა-მუდა-
რით, არამედ თხოვნით — მიენი-
ჭებინა მისთვის ძალა ღვთიური სი-
ყვარულისა, რომელიც შეაძლები-
ნებდა ყველაფერი ეპატებიანა კაც-
თათვის — ისიც, რომ ვივიწყებთ
მთავარ მოვალეობას ჩვენსას, ასევე
უმაღური წუწუნის ჩვენი, ეპატიე-
ბინა ყველაფერი, რასაც არ პატი-
ობს კაცი კაცს, რათა ერთ მათგანს
მხოლოდ იმ მიზნით მოექცია მთე-
ლი ძალაუფლება თავის ხელში, გა-
ნრიდებოდა ყველას და უმაღლეს
საფეხურზე ასულიყო, და სწორედ
ამ გზით დაახლოებოდა ყველას თა-
ნაბრად, მწვერვალიდან ყველასთან
თანაბრად დაშვებულყო და ესმი-
ნა ყველაფერი, ცის ქუხილითა და
პოეტის ქნარით დაწყებული, ვიდ-

რე ჩვენს უბაღრუკ გასართობებამდე.

შეიძლება მოგეჩვენოს, რომ პუშკინი ამ ლექსში საკუთარ თავს ეკითხება, რა არისო ეს ძალაუფლება და იქვე მუსტაფაზე ეცემა მის სულში გახშირებული პასუხის სიდიადით შექრწუნებული. ზედმეტად არ იქნება ითქვას, რომ პუშკინი სწორედ ის პოეტია, ვინც არასოდეს გამოირჩეოდა მოკრძალებულობით, პირიქით, ზედმეტად ამაყიც იყო და თავი მოჰქონდა თავის შესედულებათა დამთუქიდებლობით, ასევე სხვა პირადი ღირსებებით. ჯერ არავის შეუქია თავი მასავით:

ძველი ავიგე მე ხელთუქმნელი
არ წაიშლება ბილიკი მისკენ
ალიმართება იგი ამაყად
ნაპოლეონის სვეტზედაც მალლა.

ისე კი, ნაპოლეონის სვეტის ამბავი შენი ზრალია, თუმცა ლექსი ძველი სახითაც რომ დარჩენილიყო, იგივეს დაამტკიცებდა (და უფრო მეტადაც), — რომ პუშკინი, მართალია, გრძნობდა თავის პიროვნულ უპირატესობას მრავალ გვირგვინოსანთან შედარებით, მაინც ამკარად იცნობიერებდა თავისი წოდების სიმცირეს, და მოწიწებით ქედს იხრიდა იმათ წინაშე, ვინც ქვეყანას ამ წოდების სიდიადე წარმოუჩინა.

ჩვენი პოეტები განჭვრეტდნენ უზენაეს მნიშვნელობას მონარქისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მთლად სიყვეპარულად გარდაიქმნება და ყველასთვის ცხადი გახდება, რატომ არის ხელმწიფე სახე ღვთისა, რასაც უმაღლესი იგრძნობს, ვიდრე ცხადად დაინახავდეს მთელი ქვეყანა.

ხელმწიფის მნიშვნელობა ევროპაშიც აუცილებლად მიუახლოვდება იმავე სახეს. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ხელმწიფეში შთაინერგოს უმაღლესი, უფრო სიყვარული ხალხისადმი, ვიდრე გაისმის სმა მთელი კაცობრიობის სულიერი ტანჯვისა, რასაც დღეს თითქმის ყველა ევროპელი ერი განიცდის — აწყდებიან, საწყლები, აქეთ-იქით და არ იციან, რით და როგორ უშველონ თავს. მათ გაღიზიანებულ იარებზე ყოველი მიკარება სისასტიკეა; ყველანაირი დახმარება, ჭკუაგონებით ნაკარნახები, მათთვის ტლანქი და უშედეგოა. ეს ტანჯვის კვილი ბოლოს ისე გაძლიერდება, რომ საცოდაობისაგან უგრძნობი გულებიც დაიჭრებიან და არნახული ძალა თახატახჯვისა წარმოშობს ასევე ჯერ არნახულ ძალას სიყვარულისა. აინთება ადამიანი მთელი კაცობრიობის მიმართ ისეთი სიყვარულით, ჯერ რომ არ ანთებულა. ჩვენგან, წვრილმანი ადამიანებისაგან, ასეთი სიყვარული ვერ მიიღწევა, ისინი ოცნებებად და იდეებად დარჩებიან და ვერ იქცევიან საქმედ. ასეთი სიყვარულით მხოლოდ ისინი შეიძლება განიმსჭვალონ, ვისთვისაც უცილობელ კანონად არის ნაბრძანები ყველას სიყვარული, ვითარცა ერთის.

თავის სახელმწიფოში ყველას შეიყვარებს ხელმწიფე, ყველა ფენისა და წოდების უკანასკნელ ადამიანსაც, ყველაზე ფიქრით დაიტანჯება, დამწუხრდება და იქვითინებს, დღით და ღამით თავის ტანჯულ ხალხზე ილოცებს და ამით სიყვარულის იმ მძლეთამძლე სმას შეიძენს, რომელსაც, ერთადერთს ძალუძს მიაღწიოს დაავადებულ საზოგადოებამდე, არ გააღიზიანოს სწეულის ჭრილობები, ვისაც ერთადერთს შეეძლება შეარიგოს სხვადასხვა ფენე-

ბი და სახელმწიფო მწყობრ ორკესტრად აქციოს. მხოლოდ იქ განიკურნება ერთხელ და სამუდამოდ ხალხი, სადაც მონარქი თავის უმაღლეს დანიშნულებას ჩასწვდება — იყოს იმის ხატად დედამიწაზე, ვინც თავად სიყვარულია.

ევროპაში არავის მოსვლია აზრად განესაზღვრა მონარქის უმაღლესი დანიშნულება. სახელმწიფო პირნი, კანონმდებლები და სამართალმცოდნენი ყოველთვის მის მხოლოდ ერთ მხარეს ხედავდნენ, სახელდობრ, ხალხისგან დანიშნული სახელმწიფოს უმაღლესი ჩინოვნიკისა, ამიტომ ისიც კი არ იციან, რა უყონ ამ ძალაუფლებას, როგორ ჩაკეტონ იგი სათანადო ჩარჩოებში, მაშინ როცა ყოველდღიურად ცვალებად მიზეზთა გამო ხან ამ ჩარჩოების შევიწროებაა საჭირო, ხან კი პირიქით — გაფართოება. ამის გამო ხელმწიფე და ხალხი უცნაურ ვითარებაში მოექცნენ. ისინი ერთმანეთს უყურებენ, ვითარცა მოქიშპენი და იმაზე არიან გაფაციცებულნი, როგორ დაასწრონ და ისარგებლონ ერთმა მეორის უფლებით. მონარქის უზენაესი დანიშნულება ჩვენთან განჭვრიტეს პოეტებმა და არა კანონმდებლებმა, თრთოლვით ისმინეს ღვთის ბრძანება — დაეკანონებინათ იგი რუსეთში; ამიტომაც იძენს მათი ხმა ბიბლიურ ჟღერადობას ყოველთვის, როგორც კი მათ ბაგეთ დასცდება სიტყვა მეფე. ბრძანება იგი ესმით არა მხოლოდ პოეტებს, რამეთუ ჩვენი ისტორიის ფურცლები ასევე ადასტურებენ ნებას უფლისა — იყოს რუსეთში ხელისუფლება ერთიანი და სრულყოფილი. ყველა ღირსშესენიშნავი მოგლენა, რომელსაც კი ადგილი ჰქონია ჩვენს მამულში, თათართა შემოსევებიდან დაწყებული, იმას მიგვანიშნებდა, რომ ძლევამოსილება ერთი კაცის

ხელში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი, რათა მხოლოდ ერთს შეძლებოდა დიდი გადატრიალება მოეხდინა: იმ ერთს უნდა შეენჯღვრია და გამოეფხიზლებინა, შეეიარაღებინა ყოველი ჩვენგანი უმაღლესი ოცნება-ხედვის განსჯის უნარით, ურომლისოდაც ვერავინ შეაფასებს საკუთარ თავს და ვერც იმგვარ ბრძოლას გამოუცხადებს საკუთარ უვიცობასა და სულის სიბნელეს, როგორსაც ხელმწიფე თავის სახელმწიფოში გამოაცხადებს. ხოლო მას შემდეგ, რაც ამ წმინდა ბრძოლის უინით აინთება ყოველი ჩვენგანი და თითოეული ირწმუნებს საკუთარ ძალას, კვლავ იმ ერთს შეეძლება გვიწინამძღვროს ხელში ლაშპრით და ყველა, ვით ერთი, იმ უზენაესი სინათლისკენ მიგვმართოს, რასაც მოითხოვს რუსეთი.

იმასაც შევხედოთ, თუ რა სასწაულით, ჯერ კიდევ მანამ, სანამ სრულად იქნებოდა გაცნობიერ-განმარტებული უმაღლესი ხელისუფლების მნიშვნელობა ხელმწიფისა და მის ხელქვეითთა მიერ, რა საოცრებით იყო დათესილი მათ გულებში ურთიერთსიყვარულის თესლი. არც ერთი სამეფო კარის შექმნა არ დაწყებულა ისე, როგორც რომანოვებისა. თვით ეს დაწყება იყო გმირობა სიყვარულისა. სახელმწიფოს ყველაზე უკანასკნელმა და უმდაბლესმა ქვეშევრდომმა საკუთარი სიცოცხლე მიიტანა მსხვერპლად მეფის დასამკვიდრებლად, და ამ წმინდა მსხვერპლმა უწყვეტი კავშირით შეკრა ხელმწიფე ხელქვეითებთან. სიყვარული შეიჭრა ჩვენს სისხლსა და ხორცში და დავამყარეთ სისხლისშიერი ნათესაობა მეფესთან. და ისე გადაეწნენ ერთმანეთს, ერთ მთლიანობად იქცნენ მბრძანებელი და ხელქვეითი, რომ ახლა შესაძლო უბედურებალა გვალეღვებს — ხე-

ლმწიფემ არ დაივიწყოს ხელქვეითი და არ განშორდეს მას, ან ხელქვეითმა არ დაივიწყოს და არ მიატოვოს თავისი ხელმწიფე. თან რა თვალნათლივ გამოიხატა ნება უფლისა — არჩეულიყო სწორედ გვარი რომანოვისა, და არა სხვა რომელიმე. რაოდენ გონებაში უწვდომელია ტახტზე ყველასთვის უცნობი ყმაწვილის აყვანა! იქვე სომ უძველესი წარმომავლობის, და თან ღირსეული ვაჟკაცები იდგნენ, არაერთხელ რომ ეხსნათ სამშობლო განსაცდელისგან: პოჟარსკი, ტრუბეცკოი, და ბოლოს, რიურიკის პირდაპირი შთამომავალი თავადები. არჩევა ყველა მათგანის თანდასწრებით მიმდინარეობდა. არც ერთი ხმა არ იყო წინააღმდეგი: ვერვინ გაბედა თავისი უფლებების წამოყენება. და ყველაფერი ეს იმ არჩეულ ჯარში ხდებოდა, როცა ყველას შეეძლო აჯანყებულიყო, ეკამათა, თანამშრახველთა რაზმები შეექმნა! და ვინ აირჩიეს. ის, ვინც დედის მხრით ნათესავად მოხვდებოდა მეფეს, ვისი სისასტიკისგანაც სულ ახლო წარსულში ძრწოდა ქვეყანა. ასე რომ, არა მარტო მის მიერ შევიწროებული სიკვდილმისჯილი ბოიარები, არამედ უბრალო ხალხიც კი, ვისთვისაც არაფერი დაუშავებია, დიდხანს იმეორებდა მასზე შეთხზულ სხარტულას: „კარგი კაცი კი იყო, მაღლით მიწამ წაიღო“. და ამ დროს, ბოიარიდან მოყოლებული უკანასკნელი მათხოვრის ჩათვლით, ყველამ ერთხმად დაადგინა, რომ სწორედ ის უნდა მჯდარიყო ტახტზე. აი, რა ამბები ხდება ჩვენში! მაშ როგორ გინდა, რომ ლირიზმი ჩვენი პოეტებისა, რომელთაც მეფის განსაზღვრება ძველი აღთქმის წიგნებში აქვთ ამოკითხული და ღვთის ნება ჩვენს სამშობლოში მომხდარ ყველა მოვ-

ლენაში ასე ახლოდან აქვთ დანახული, — დიან, როგორ გინდა, რომ ლირიზმი ჩვენი პოეტებისა ბიბლიური ელერადობით არ იყოს განმანებული? გიმეორებ, ნათესავებო უბრალო სიყვარული არ იქნება სხვათა სიძვისათვის, ამგვარი მკაცრი სიფხიზლით აღეჭურვა ეს ხმები: ამისთვის საჭიროა სრული და მტკიცე გონებისმიერი რწმენა, და არა მხოლოდ ანგარიშმიუცემელი აყოლა გრძნობისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხმები ისეთივე რბილი და ნაზი გამოვიდოდა, როგორიც შენს ახალგაზრდობის დროინდელ ლექსებში გაისმოდა, როცა სიყვარულის მოსურნე მხოლოდ შენი საკუთარი სულის ძახილს მიენდობოდი ხოლმე.

არა, არის რალაც მტკიცე, ზედმიწევნით მტკიცე ჩვენს პოეტებში, რაც სხვა ეროვნებათა პოეტებს არ გააჩნიათ. თუ შენ ამას ვერ ხედავ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობს. გაიხსენე, რომ შენში ყველაფერი არ არის რუსული; პირიქით, ზოგი ნიშან-თვისება ისე მაღალ ხარისხშია აყვანილი და გაფართოებული, რომ მათ გამო სხვანი ვერ განვითარებულან. შენში სრულადაა თავმოყრილი ყველა რბილი და ფაქიზი სიმი ჩვენი სლავური ბუნებისა; მაგრამ ის მსუყე და ძლიერი ძარღვები, რომელთაგან იღუმალი ძრწოლა მომდინარეობს და ერთიანად გაკანკალებს ადამიანს, შენთვის არც ისე ცნობილია. არადა სწორედ ისინი არიან სათავენი იმ ლირიზმისა, რომელზედაც ვლაპარაკობ, ეს ლირიზმი უკვე სხვა არაფრისკენ არ შეიძლება იყოს ზემომართული, გარდა ერთადერთი, უზენაესი სათავისა, ანუ — ღმერთისკენ. იგი მკაცრია და შიშისმომგვრელი, ვერ იტანს ჭარბსიტყვაობას, მისთვის ყოველივე

მომყირჭებელია, რაც იმ ზომამდე მიწიერია, რომ ნიშანიც არ დაჰკრავს ღვთაებრიობისა. ვისშიც ამ ღირიზმის ერთი მარცვალი მაინც არსებობს, იმას აქვს კიდევ, მიუხედავად მრავალი ნაკლის და არასრულყოფილებისა, ის მკაცრი, უმაღლესი კეთილშობილება, რომლის წინაშე თავადვე თრთის, და რომელიც აიძულებს, განერიდოს ყველაფერს, რაც წააგავს ადამიანთა მხრიდან მადლიერების გამოხატვას. ყველაზე საუკეთესოც კი მის გმირობათაგან საშიზლარი ხდება მისთვის, თუ მას რაიმე ჯილდო მოსდევს: იგი მეტისმეტად ამკარად გრძნობს, რომ ქმნა უმაღლესი მადლისა ყველა ჯილდოზე მეტია.

ჭეშმარიტი დამოკიდებულება პუშკინისა ხელმწიფისადმი და ორი საუკეთესო ნაწარმოების საიდუმლო მისი სიკვდილის შემდეგ იქნა აღმოჩენილი. სიცოცხლეში იგი არავის უმხელდა, თუ რა გრძნობებით იყო სავსე, და ჭკუითაც იქცეოდა. მას შემდეგ, რაც ჩვენს გაზეთებს ათასნაირი გულსგარეთა შეძახილების გამოქვეყნება დასჩემდათ, რომლებიც დაშაქრული განცხადებების ენით არიან შეთხზულნი და შემკულნი კი ბრაზიანი, უხვიროდ მგზნებარე მოწოდებებით, რომელსაც ყველა ჯურის მეავე და არამეავე პატრიოტები აწარმოებენ, და ამის გამოისობით ჩვენთან, რუსეთში, მკითხველმა დაკარგა რწმენა ყოველგვარი ბეჭდური გზით გადმოღვრილ გრძნობათა გულწრფელობისა, — პუშკინისთვის საშიში იყო ხმის ამოღება: მას სწორედ მოსყიდულად ან რაღაცის მაძიებელ პიროვნებად ჩათვლიდნენ. მაგრამ რაკი ეს ნაწარმოებები მხოლოდ ახლა, მისი სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა, მთელ რუსეთში ვერ მოძებნით ადამიანს, რომელიც პუშკინზე იტყვის, მლიქვნელი, ან

ვინმეს მაამებელი იყო. ამით მაღალ გრძნობათა სიწმინდე შენარჩუნებულია — ახლა ყველას ისინიც კი, ვისაც გონების ძალით არ ძალუძთ ჩასწვდნენ ამ ჭეშმარიტებას, უბრალოდ ირწმუნებოდნენ და იტყვიან: „რაკილა პუშკინი ფიქრობდა ასე, ეტყოდა სრული სიმართლე“.

მეფისადმი მიძღვნილი ჰიმნები ჩვენი პოეტებისა უცხოტომელებსაც კი ანცვიფრებენ ენის სიდიდით. სულ ახლახან მიცკევიჩმა აუწყა ეს პარიზს, და აუწყა იმ ღროს, როცა თავადაც გაღიზიანებული იყო და სხვაც ცოფებს ყრიდა ჩვენს წინააღმდეგ. ამ მიზეზთა მიუხედავად, მან განაცხადა, რომ რუსი პოეტების ოღებსა და ჰიმნებში არაფერია მონური და სულმდაბლური, არამედ, პირიქით, მათში არის რაღაც ლალი და დიდებული, — და იმავ წამს, თუმც ეს არავის მის თანამემამულეთაგან არ მოსწონებია, მან ამკარად გამოხატა პატივისცემა ჩვენი მწერლების ბუნებრივი კეთილშობილების მიმართ. მიცკევიჩი მართალია: ჩვენს მწერლებს თითქოსდა მართლა აქვთ შეთვისებული უმაღლესი ბუნების მახასიათებელი ნიშნები. თვითგაცნობიერების წუთებში მათ შექმნეს და დაგვიტოვეს თავიანთი სულიერი პორტრეტები, რომლებიც შესაძლოა ყოყლოჩინობად აღქმულიყო, მთელი მათი ცხოვრება მათი ღრმა კეთილშობილების დამადასტურებელი რომ არ ყოფილიყო. აი, რას წერს პუშკინი თავისი მომავალი დიდების შესახებ:

და მით ვიქნები მე ხალხისთვის მარად ძვირფასი,
რომ ჩემი ჩანგით ვალვიძებდი
კეთილსა გრძნობას,
სიტყვის მშვენიერებას ვმსახურობდი
— ვიყავ საჭირო

და მოვითხოვდი შებრალებას ჩავრულელებსა.

პუშკინის გახსენებაც საკმარისია, რომ დავინახოთ ამ პორტრეტის უტყუარობა. როგორ ცოცხლდებოდა და ინთებოდა ხოლმე, როცა საქმე ვინმე დევნილის ხვედრის შემსუბუქებასა და გაჭირვებულთათვის დახმარების ხელის გაწვდენას შეეხებოდა! რა სასოებით ელოდა მეფის მისდამი კეთილმოწყალების პირველსავე წუთს, რათა ეთხოვა არა საკუთარი თავისთვის, არამედ საწყალი და უბედური ადამიანისთვის! პირწმინდად რუსული თვისებაა! გაიხსენე ის გულისამაჩუყებელი სანახაობა, როცა ხალხი საციმბიროდ გამწესებულა აცილებს ხოლმე, ყველა რაცას აწვდის — ვინ საჭმელს, ვინ ფულს, ვინ კი, უბრალოდ, ქრისტიანული კეთილი სიტყვით ამხნევებს უბედურს... არ არის არავითარი სიძულვილი დამნაშავისადმი, არც დონკისოტური თავგამოდება შეიმჩნევა მათგან, არც თავის გმირად წარმოჩენის მცდელობა. არავინ აგროვებს მათ ფაქსიმილეებს, პორტრეტებს და არც უსაქმურის ცნობისმოყვარეობით ათვალთქვამს ტუსადებს, როგორც ეს განათლებულ ევროპაში ხდება ხოლმე. აქ სხვა რამეა: არც მათი გამართლებისა თუ მართლმსაჯულების ხელიდან მათი მოტაცების მცდელობა, არამედ მხოლოდ ცდა მათი დაცემული სულის აღდგინებისა და იმნაირი მოფერება, როგორც ძმა ეფერება ძმას ისე, როგორც ქრისტე გვიბრძანებს — მოვეფეროთ ერთმანეთს.

პუშკინისათვის მეტისმეტად ძვირფასი რამ იყო დაცემულის თანადგომის ნებისმიერი გამოვლინება. ამიტომ აძგერდა ასე ამაყად მისი გული. ხელმწიფის მოსკოვში ჩამო-

ბრძანების ამბავი რომ შეიტყო, როცა იქ საშინელი ქოლერა მძვინვარებდა — ასეთი ნაბიჯი ძნელად რომ გადაეღვა სხვა რომელიმე გვირგვინოსანს, ამან კი შემდეგი შესანიშნავი სიტყვებით ამქმევინა:

ვფიცავარ ზეცას ვისაც თამაშად უჩნდა სიკვდილი და არ უფრთხოდა მძვინვარესნებას,

— რათა მიმქრალი მზერა აენთო ვფიცავ, ის ზეცის მეგობარია, რაც უნდა იყოს მსჯავრი მკაცრი ბრმა წუთისოფლის.

მას შეეძლო ასეთივე საკადრისი პატივი მიეგო მეორე გვირგვინოსნის, პეტრეს სხვა სანაქებო თვისებისათვის. გაიხსენე ლექსი „ლხინი ნევაზე“, სადაც იგი განცვიფრებით კითხულობს მეფის სასახლეში გამართული ზეიმის მიზეზს, რაზედაც მთელი პეტერბურგი ლაპარაკობს და ნევა კი ზარბაზნების ქუხილით მღელვარებს. იგი ჩამოთვლის ყველა შესაძლო ვარიანტს, რაცას შეეძლო ასერიგად გაემხიარულებინა მეფე და ესოდენ თავაწყვეტილი ღრეობის მიზეზად ქცეულიყო: ხომ არ შეეძინა ხელმწიფეს ტახტის მემკვიდრე, ან იქნებ მისი ცოლის დღეობაა, ან იქნებ უძღვეველ მტერზე გამარჯვებას ზეიმობს, მისი საყვარელი ფლოტი ხომ არ დაბრუნებულა შორეული ნაოსნობიდან, და ყველაფერს ასე პასუხობს.

შერიგებაა ხელქვეითებთან რომ დაივიწყოს მტრობა და შუღლი ერთ ფიალიდან შესვამენ ღვინოს მიტომაცაა ლხინი ხალასი მთვრალი სტუმრების ისმის ყაყანი და ქვემეხების მძიმე გრუხუნით მღუმარე ნევა ტალღებად იქცა.

მხოლოდ პუშკინს შეეძლო ასე

ძალუბად ეგრძნო მეფის ამგვარი საქციელის მთელი სილაშავე. სურვილი და უნარი — არათუ აპატიოს ქვეშევრდომს შეცოდება, ზეიმათაც აღნიშნოს ეს პატიება, არანაკლებ მტერზე გამარჯვებისა, ჭეშმარიტად ღვთიური თვისებაა. მხოლოდ ზეცის ბინადართ ძალუბით ამგვარი საქციელი; იქ და მხოლოდ იქ ხარობენ ცოდვილთა მოქცევით უფრო მეტად, ვიდრე მართალი კაცის მართალი საქმით, პუშკინი იყო ადამიანში ყოველივე ღიაღის ღრმა და შეუცდომელი შემფასებელი; ან სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა სულიერი კეთილშობილება თითქმის ყველა ჩვენი მწერლის მახასიათებელი საერთო თვისებაა! აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნის მწერლები რალაცნაირად ვერ არიან დაფასებულნი საზოგადოებაში თავიანთი პიროვნული ხასიათების წყალობით, ჩვენთან კი პირიქითაა. ჩვენთან ისინიც კი, ვინც მხოლოდ წერს და ვერ კი

არის მწერალი, და არათუ სულით მშვენიერი არ არის, არამედ ხანდახან ჩამოყალიბებული არამზადაცაა, რუსეთის სიღრმეებში სულაც არ აღიქმება ამისთანავე, ჩვენთან მათშიც კი, ვისაც მხოლოდ ყუთმოკვრით სმენიათ მწერალსა და მწერლობაზე, დიას, მათშიც კი ცოცხლობს გაუცნობიერებელი რწმენა, რომ მწერალი რალაც უმაღლესი არსებაა, უსათუოდ კეთილშობილი, რომ მას ბევრი რამ არ შეჰფერის და ამიტომ არ ეპატიება ის, რაც ეპატიება სხვას. იყო შემთხვევა ჩვენს გუბერნიაში, როცა ერთმა თავადმა, რომელიც ამავე დროს ლიტერატორიც გახლდათ, სათავადაზნაურო არჩევნებზე ხმა მისცა ცოტა არ იყოს სახელგატეხილ ადამიანს. მთელი თავადაზნაურობა სწრაფად შეიკრიბა და დიდი საყვედური გამოუცხადეს, ასე უთხრეს სინანულით: „შენც მწერალი უნდა გერქვასო!“

1846

XI

კამათის შესახებ*

(ლ-სადმი წერილიდან)**

... ჯერ კიდევ არაფერი მოხდებოდა, მთელი ეს კამათები და დავიდარაბა სასტუმრო ოთახებსა და ჟურნალებს რომ არ გასცილებოდა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ დაპირისპირებულმა აზრებმა ჩვენს ევროპულ და სლავურ საწყისებზე, რომელთაც ჯერ ვერ მოუხწრიათ დასრულებული და განსაზღვრული სახის მიღება, ბევრ თანამდებობის პირთა თავებში გა-

დაინაცვლეს. მე გავიგე, რომ ხშირად ასეც ხდება ხოლმე (განსაკუთრებით იქ, სადაც ძალაუფლება ერთის არის და თანამდებობა კი — მეორესი) — როცა ერთნაირ ვითარებაში ერთნი სავსებით ევროპულად მოქმედებენ, ხოლო მეორენი ცდილობენ ძველრუსული კანონების მიდევნებას, რომელიც მისი მოძმის ჩაფიქრებულს ეწინააღმდეგება, ამით საქმეც ფუჭდება და ხელქვეით მოხელეებსაც არ ადგიათ კარგი დღე: არ იციან, ვის ემორჩილონ, და რაკი ეს შეხედულებანი, მიუხედავად თავიანთი სიმძაფრისა, ჯერ არავისგან გამოთ-

* ითარგმნა შემოკლებით (ლ. აბულაძე).

** ადრესატი არ არის დადგენილი.

მომხარტაველა მე, მთხოვდნენ რჩევას და დახმარებას. მხოლოდ მაშინ შევიგნე სულთა შორის ნათესაური კავშირი. დიდი ტანჯვის გამოვლავლიადავინებს სხვათა ტანჯვის გაგებას და უკვე იცი, რა უნდა უთხრა მათ. უფრო მეტიც, გონება გინათდება: აქამდე უცნობი გარემოებანი და ადამიანთა ვალდებულებანი უცებ ნაცნობნი ხდებიან შენთვის და ხედავ, ვისთვის რა არის საჭირო. ბოლო ხანებში მე ვლებულობდი წერილებს თითქმის სრულიად უცნობ ადამიანთაგანაც, და ვბასუსობდი ისე, როგორც ვერ ვუბასუსებდი ადრე, და სხვათა შორის, მე არავისზე ჭკვიანი არა ვარ. მე ვიცნობ ჩემზე გაცილებით ჭკვიან და განათლებულ ადამიანებს, რომლებსაც ბევრად უკეთესი რჩევების მოცემა შეუძლიათ. მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ და არც იციან, როგორ გააკეთონ. დიდია ღმერთი, ვინც ჩვენ გვაბრძენებს! და რით გვაბრძენებს? — მივეჩვიოთ სწორედ იმ ტანჯვას, რომელსაც ასე გავურბივართ და ვეძალეებით. ტანჯვისა და მწუხარების გზით გვიწერია მოვიპოვოთ სიბრძნის მარცვლები, რომელთაც წიგნში ვერ ამოიკითხავ. მაგრამ თუ ვინმეს ერთი მაინც უპოვნია ამ მარცვალთაგან, მას არა აქვს უფლება იგი სხვას დაუმალოს. ის შენი კი არა, ღვთის მონაპოვარია. ღმერთმა იგი შენში დათესა; ხოლო ღვთის ყველანაბოძვარი მხოლოდ იმას გვაგალებს, რომ მათი საშუალებით ჩვენს მეგობრებს ვემსახუროთ: მან გვიბ-

რძანა, რომ ყოველწუთიერ ვასწავლიდეთ ერთმანეთს. ასე რომ, ნუ შეჩერდები, ასწავლე და აძლიე რჩევები! ხოლო თუ გსურს, რომ ამ სეკემე შენც გარგოს, მოიქეცი ასე: — ჩემსგანც მე ვფიქრობ და რისი ქმნაც ღლეიდან დავუწესე ჩემს თავს: ნებისმიერი რჩევა-დარიგება, რაც კი ვინმესთვის მიგიცია, თუნდაც განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფთათვის, ვისთანაც თითქოს რა უნდა გაკავშირებდეს, შენთვის მოცემულ რჩევად აქციე და რაც ურჩიე სხვას, შენს თავსაც ურჩიე. მერწმუნე, ყველაფერი შენც შეგეხება: არც კი ვიცი, თუ შეიძლება არსებობდეს ისეთი საყვედური, რომლის მიყენება არ შეიძლებოდასაკუთარი თავისადმი, თუ კარგად დაფიქრდები. ორლესული მახვილით იბრძოლე! თუ ვინმე გაგაბრაზებს, შენს თავზეც გაბრაზდი, თუნდაც იმიტომ, რომ გაბედესხვაზე გაბრაზება. მხოლოდ და მხოლოდ ასე ქქენი! არავითარ შემთხვევაში არ მოაცილო თვალი საკუთარ თავს. ყოველთვის და ყველაზე მეტად საკუთარი თავი იყოლიე მხედველობაში. იყავ ეგოისტი! ეგოიზმი არც ისე ცუდი რამაა. ზედმეტი ფუფუნება იყო კაცთათვის მისთვის ესოდენ უხიაკი, აზრის მინიჭება. საფუძველი ეგოიზმისა ღრმა ჭეშმარიტებაა: ჯერ შენს თავზე იფიქრე და მერე სხვებზე; ჯერ შენ გასუფთავდი და მერე იზრუნე, სხვანიც იყვნენ სუფთები.

XVII

ბანათლევა

(წერილი მ. ა. შ...-ის)*



კიდევ ერთხელ გწერ გზიდან. მადლობას გიხდის ყველაფრისათვის, ძმაო! უფალს შევევედრები მის კუბოსთან მდგომი, გადამახდევინოს ნაწილი მაინც იმ ამაგისა, რაც შენი გონივრული რჩევებით დამდე. ირწმუნე და ნუ შეშფოთდები! მოსკოვში ისე იცხოვრებ, როგორც საკუთარ სახლში. ის იქნება შენთვის სასურველი ნავსაყუდელი, სადაც უფრო თავისუფლად იქნები, ვიდრე აქ. არ შეგაშფოთებს უაზრო ხმაური ამაოებისა და არც ეკიპაჟთა გრუსუნის — ნარნარად აუვლიან გვერდს იმ ქუჩას, სადაც შენ იცხოვრებ. თუ ვინიცობაა, ვინმე ძველი მეგობარი გადაწყვეტს მოგინახულოს, ან ვინმე უცხო მოიწადინებს შენს გაცნობას, გარწმუნებ, მოსკოვისთანავე იმის თხოვნას დაგიწყებს, არ მოგახსენონ მისი სტუმრობის ამბავი — რათა წუთითაც არ მოსწყდე საქმიანობას. იციან ჩვენებმა, როგორ დახვდნენ ვალმოსდილ ადამიანს და მხოცა აქვთ ამის. ვინც ასე პირუთვნელად და პატიოსნად გამოიყენა თავისი ნიჭი, ცხოვრებაში არ უზარმაცნია, ახალგაზრდული სული მოხუცობამდე შემოუნახავს, მაშინ როცა მის გარშემო სხვებმა თავისი ახალგაზრდობა ფუჭ ცთუნებათა დევნაში გახარჯეს და ასაკით ახალგაზრდები სხეულთ ჩაჩანაკ ბებრებად იქცნენ, ის ადამიანი იმსახურებს კიდევ მოწიწებასა და ყურადღებას. პატრიარქივით იმბრძანებლებს მოსკოვში და ახალგაზრდები ოქროს ფასად შეაფასებენ შენს ბებრულ სიტყვებს.

შენი „ოდისეა“ შევერ საყოველთაო სიკეთეს მოიტანს, ამას მე შენ გიწინასწარმეტყველებ. იგი გამოაცოცხლებს და აღრინდელ სიხალისეს დაუბრუნებს ადამიანს, დალიღს ცხოვრებისა და აზრის უწესრიგობით. იგი განაახლებს მის თვალში ბევრ რამეს ისეთს, რაც მან მიატოვა, როგორც მოძველებული და ყოფიერებისათვის უსარგებლო; იგი დააბრუნებს მას უბრალობაში. მაგრამ მეტს თუ არა, ნაკლებ სიკეთეს არ მოიტანენ შრომები, რომლებიც თვით ღმერთის კარნახით შექმნი და კეთილგონიერად კი ინახავ ცხრაკლიტულში. მათაც მოითხოვს საზოგადოება.

იყურე წინ და ნუ შედრკები! ნუ შეგაშინებს ცხოვრების მოუწყობლობა. არის ჩვენი ქვეყნის შიგნით ყოვლისშემრიგებელი ძალა, რომლის შესახებ ბევრმა არ იცის — ეს ჩვენი ეკლესიაა. ის უკვე ემზადება თავისი უფლებამოსილებისთვის, რათა მთელ ქვეყანას მოჰფინოს ნათელი. მასში ყველაფერია, რაც საჭიროა ჭეშმარიტი რუსული ცხოვრებისათვის, ოჯახური წვრილმანებიდან დაწყებული ვიდრე სახელმწიფო საკითხებამდე. მასშია ყველაფრის გასაღები, ყველაფრისთვის მიმართულების მიმცემი, კანონიერი და უტყუარი გზის მიმითებელი. მე თუ მკითხავთ, ფიქრიც კი უაზრობაა ეკლესიისათვის გვირდის ავლით, მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე რუსეთში რაღაც სიხალეთა შემოტანაზე. ის კი არა და, შეუძლებელიცაა ჩვენებურ აზრებზე თუნდაც საუკეთესო ევროპული იდეების მიშენება, სანამ ისინი ქრისტესმიერი ნათლით არ შეიმოსებიან. ნახავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს

* იგულისხმება ვასილი უუკოვსკი.
254

ჭემპარიტება ერთბაშად იქნება აღიარებული მთელს რუსეთში როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა მიერ; ჩვენი ეკლესია უცებ ყველასთვის ცნობილი გახდება. უზენაესის ნება იყო უთუოდ, რომ გაუგონარი სიბრძავე გადაეფარა მრავალთა თვალებს.

როცა გამოწვლილით ვიკვლევ ცხოვრების მოვლენებს, ვჭვრეტ სიბრძნეს ღვთისა, რომელმაც დროებით ორ ნაწილად გაჰყო ეკლესია: ერთ ნაწილს უძრავად და თითქოსდა ადამიანთაგან მოშორებით ყოფნა უბრძანა, მეორეს კი — ღელვა და შფოთვა ადამიანებთან ერთად; პირველს უბრძანა — არ მიეღო არაფითარი სიახლენი გარდა იმისა, რაც ქრისტიანობის საუკეთესო დროთა წმინდანების და ეკლესიის უპირველესი მამების მიერ იქნენ შემოღებული, მეორეს — განეცადა ცვალებადობა და მორგებობა დროის გარემოებებს, ადამიანთა განწყობილებებსა და ჩვეულებებს, შემოეტანა ყველანაირი სიახლენი, თუნდაც მანკიერი, არაწმინდა ეპისკოპოსების მიერ ნაკარნახებნი, პირველს — დროებით თითქოს მომკვდარიყო სოფლისთვის, მეორეს — დროებით თითქოს მთელი მსოფლიოს მბრძანებელი ყოფილიყო, პირველს მსგავსად მოკრძალებული მარიამისა, ვინაც ქვეყნის ყველა საზრუნავი გვირდზე გადადო, რათა უფლის ფეხებთან მოკალათებულიყო და უკეთ ესმინა სიტყვები მისი, ვიდრე მათ გამოყენებას, ანუ სხვისთვის გადაცემას შეუდგებოდა, ხოლო მეორეს — მსგავსად ყურადღებიანი და გულისხმიერი მასპინძლის, მართასი, სტუმართმოყვარულად ეფუძლუსა ადამიანთა სიახლოვეს, მოეთხრო მათთვის გონების სისწორით ჯერ აუწონ-დაუწონავი სიტყვები უფლისა. დალოცვილი ხვედრი ირგუნა

პირველმა, ასე ხანგრძლივად რომ აყურადებდა სიტყვებს უფლისა და მოთმინებით იტანდა თავისი დის საყვედურებს, რომელიც სერიოზულად გათამამდა, რომელიც უკვე მკვდარ გვამს დასაფლავებულ ღვთისგან განდგომილსა და გზააბნეულს უწოდებდა.

არ არის აღვილი ქრისტეს სიტყვების გამოყენება ადამიანებზე სამოქმედოდ, ჯერ თავად უნდა განვიმსჯვალოთ მათით. სამაგიეროდ ჩვენს ეკლესიაში შემონახულია ყველაფერი, რაც კი სჭირდება ახლადგამოღვიძებულ საზოგადოებას. მასშია საჭე და სახელმძღვანელო მომავალი ახალი წყობილებისა, და რაც უფრო ღრმად შევდივარ მასში გულთა და გონებით, მით უფრო მეტად მანცვიფრებს იმ წინააღმდეგობათა შერიგების შესაძლებლობა, რომელთა შერიგება არ ძალუძს დასავლეთის ეკლესიას. დასავლეთის ეკლესია კიდევ კმაროდა წინანდელი მარტივი წყობილებისთვის, შეეძლო რაღაცნაირად ემართა ქვეყანა და ნაწილობრივ შეერწყა იგი ქრისტესთან — ადამიანთა მოდგმის მხოლოდ ცალმხრივი, არასრული განვითარებისათვის. დღეს კი, როცა კაცობრიობამ მიადწია თავისი ყველა, როგორც კარგი, ისე ცუდი თვისებების განვითარების უმაღლეს საფეხურს, დასავლეთური ეკლესია მხოლოდ განგვაშორებს ქრისტესაგან: რაც მეტს ზრუნავს შერიგებისთვის, მით მეტ განსეტქილებას თესავს, მისგან გამოსხივებული სინათლის კონა მეტისმეტად ვიწროა თანამედროვეობის ნებისმიერი საგნის ყველა მხრიდან გასანათებლად. დღეს უკვე ყველა აღიარებს იმას, რომ ამ ურიცხვ დადგენილებათა შემოღებამ იმ ეპისკოპოსთა მიერ, ვისაც თავიანთი ცხოვრების სიბრძნით ჯერ არ მიუღწევიათ სრული და მრავალმხრი-

ვი ქრისტიანული სიბრძნისთვის, დაავიწროვა ხედვის არე დასავლეთის ეკლესიისა და ველარ მოიცავს ცხოვრებას მთლიანად. ცხოვრებაზე სრული, ყოველმხრივი შეხედულება აღმოსავლური ეკლესიის მხარეს დარჩა და, როგორც ჩანს, იგი ღმერთმა ადამიანის სრული შეძგომი განვითარებისათვის შემოინახა — იქ არის ფართო გასაქანი არა მარტო სულისა და გულისათვის, არამედ ადამიანის გონების უმაღლესი ძალებისთვისაც; მასშია გზა და საშუალება იმისა, როგორ წარვმართოთ ადამიანში ყველაფერი უზენაესი არსისადმი მიმართული ერთიანი ჰიმნის თანახმად.

ნურაფერი შეგაშფოთებს, ჩემო მეგობარო! შვიდგზის უარესადაც რომ იყოს დახლართული დღევანდელი გარემოებანი — ყველაფერს ახსნის და შეათანხმებს ჩვენი ეკლესია. თვით მაღალი წრის ადამიანებიც კი რაღაც გამოუცნობი აღლოთი უკვე იწყებენ იმის შეგნებას, რომ ვფლობთ უძვირფასეს განძს, რომლისგანაც არის ხსნა, — ის ჩვენს სიახლოვესაა და ვერ ვხედავთ კი. გაბრწყინდება იგი განძი და განათებს ყოველივეს თავისი ბრწყინვით.

შორს არ არის ეს ნანატრი დრო. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაქსოვთ აზრს

სიტყვა „განათლებაში“. იმასაც არ ვუკვირდებით, საიდან წარმოსდგა იგი და რას აღნიშნავს. ეს სიტყვა არც ერთ სხვა ენაში არ მოიპოვება, რუსულის გარდა. განათლება არ ნიშნავს სწავლებას არც დაკვალიანებას, არც განვითარებას. წარმოიღვინეთ, არც განათებას, არამედ ნიშნავს ადამიანის შიგნიდან ნათლითმოსვას, მისი ყველა მამოძრავებელი ძალის, და არა მარტო გონების, არსებაში რაღაც განმწმენდი ცეცხლის გატარებას. ეს სიტყვა ჩვენი ეკლესიიდან არის აღებული, რომელსაც თითქმის ათასი წელია, წარმოთქვამს, მიუხედავად გარემომცველი უკუნეთისა და უმეტრების წყვდიადისა, და იცის, რისთვის წარმოთქვამს.

ტყუილად არ ბრძანებს არქიელი საზეიმო მსახურების უამს: „ქრისტეს ნათელმა გაგანათლოს თქვენ!“ როცა იგი ორივე ხელით აღმართავს სამთითა შანდალს, და ორთითს, რომელიც მიწაზე დასული სიტყვის ორმაგ ბუნებას გამოხატავს, ღვთიურსა და ადამიანურს. სწორედ ასევე გრგვინავს, ვით ზეცის მოძახილი, ორად-ორი სიტყვა: „ნათელი გაგანათლებთ“, და სხვა აღარაფერი ემატება მათ.

1846

XV

სადღეისო საქმენი ღირიული პოეტიისათვის

(ორი წერილი ნ. მ. იან...-სადმი)*

1.

შენმა „მიწისძვრამ“ აღტაცება მომგვარა. უუკოვსკიც ასევე აღფრთოვანებულია. მისი აზრით, იგი

* წერილის ადრესატია ნ. მ. იანიკოვი — რუსი პოეტი, გოგოლის მეგობარი.

საუკეთესოა არა მარტო შენს, არამედ ყველა რუსულ ლექსს შორის. გარდასულ დროთაგან მოვლენის მოხმობა და მისი გარდაქმნა დღევანდელობაში — რა ჭკვიანური და მდიდარი აზრია! ხოლო ამ ოდის დასკვნითი ნაწილი, რომელიც პო-

ეტს ეძღვნება, ყველა შემოქმედმა თავის თავზე უნდა მიიღოს, მსოფლიო მიწისძვრის ამ ძნელბედობის უამს მისი საქმიანობის მიუხედავად, როცა გარეშემო ყველაფერი მომავლის წინაშე მიშით ცახცახებს.

მეგობარო! შენს წინაშე მაცოცხლებელი წყარო იღვრება. შენი სიტყვები პოეტისადმი —

და მოუვლინე ხალხს მოცახცახეს
ლოცვა ხეცითგან ნაკარნახები. —

თავად შენვე გეხება. შენთვის აშკარავდება საიდუმლო შენივე მუშისა. დღევანდელი დღე სწორედ ღირიულ პოეტს ეკუთვნის. სინამდვილის მარტივი, თანამედროვე მაღალი საზოგადოების მიერ აღქმული სურათის ჩვენებით ვერავის გააღვიძებ: დევგმირივით თვლემს ჩვენი საუკუნე. არა, შენ ოლონდ ჰპოვე გარდასულ მოვლენებში რაიმე აწმყოს მიმგვანებული უკეთურობა, ის წარმოაჩინე ნათლად და განგმირე ყველას დასანახად, ვით თავის დროზე იყო ის ღვთის რისხვით განგმირული; ჩასცხე წარსულში თანამედროვეს და შენი სიტყვა ორმაგ ძალას შეიმენს. ამით წარსული წინ წამოიწევს და ახმაურდება ძახილით დღევანდელობა.

გადაშალი ძველი აღთქმის წიგნები. იქ ჰპოვებ ყველა თანამედროვე მოვლენას, დღეზე უნათლესად დაინახავ, რა დანაშაული იქნა ჩადენილი ღმერთის წინაშე — იქ ისეთი სიმართლით არის ასახული წარსულის თავზე დატრიალებული ღვთის რისხვის სურათები, რომ მათი წარმოჩენით შეიძლება თანამედროვეობა. შენ ამისათვის საკმაო იარაღი და საშუალება მოგეპოვება. შენს ლექსში იგრძნობა ძალა საყვედურისა და მხარდაჭერისაც. ერთიც და მეორეც სწორედ

ახლაა საჭირო. ზოგიერთს წამოყენება სჭირდება, სხვებს — საყვედური: წამოყენება ერთ ვინც თავგზა დაკარგა შიშისა და უსამართლობისაგან, საყვედური კი — საც ციური რისხვის წინაშე მუშობში, საყოველთაო გაჭირვების უამს, ჰყოფნის თავხედობა ათასნაირი სტუნვა-თამაშით და სამარცხვინო მხიარულებით მიეცეს შმაგ თავდავიწყებას. საჭიროა, რომ შენი ლექსები ყველას თვალწინ ედგას, ვით ბალთაზარის ნადიმზე პაერში დაწერილი სიტყვები, რომელმაც საშინელება მოჰგვარა ყველას ჯერ კიდევ მანამ, სანამ მის აზრს ჩასწვდებოდნენ.

კიდევ ამას გეტყვი: თუ გსურს უკეთესად გაგიგონ, განიმსჭვალე ბიბლიური სულით და ჩაეშვი მასთან ერთად, ვით ლამპრით ხელში, ძველი რუსული სინამდვილის სიღრმეებში და იქ შემუსრე დღევანდელი დღის სამარცხვინო სინამდვილე, და უფრო ღრმად შთანერგე ადამიანებში ის, რის წინაშეც ჩვენი სირცხვილი კიდევ უფრო სამარცხვინო გამოჩნდება. არ იქნება შენი ლექსი დუნე და უსახური. არ შეშინდე. ის სიძველე შენ აღგჭურვავს საღებავებით, და მარტო იმით, რომ ის სიძველეა, მოგანიჭებს აღმაფრენას! რა ცოცხალივით ფეთქავს ის ჩვენს მარტიანებში. ამ დღეებში ხელთ ჩამივარდა ასეთი წიგნი „მეფეთა გამოსვლები“. თითქოსდა რა უნდა იყოს ამაზე მოსაწყენი, მაგრამ აქაც კი თუნდაც მხოლოდ სიტყვები და დასახელებანი მეფური სამოსლების, ქსოვილების და ძვირფასი ქვებისა — ნამდვილი განძია პოეტისათვის. გაოგნებს ჩვენი ენის ძვირფასოვნება — თითოეული ბგერა ღვთის საჩუქარია, ყოველი სიტყვა პირდაპირ ლექსში ჩასმას თხოულობს, ყველაფერი მსხვილმარცვლოვანია

მარგალიტივით და ზოგიერთი სა-
ხელწოდება თითქოს მართლაც მე-
ტი ღირებულებისაა, ვიდრე მისით
გამოსატული საგანი. თუკი ასეთი
სიტყვებით მორთავ შენს ლექსებს
— მთლად წარიტაცებ მკითხველს
წარსულში. ამ წიგნის სამიოდ გვე-
რდის წაკითხვის შემდეგ სულ ჩვენი
მეფეები მეღანდებოდნენ, დინჯად
მიმავალნი საღამოს წირვაზე, თა-
ვიანთ მეფურ სამოსელში გამოწ-
ყობილნი.

1844

2.

ამ წერილს ისევ შენი „მიწისძვ-
რის“ გავლენით გწერ. ღვთის გუ-
ლისათვის, ნუ მიატოვებ დაწყებულ
საქმეს. დაკვირვებით გადაიკითხე
ბიბლია, შეისწავლე რუსული სიძვე-
ლეები და მათ შუქზე მიმოიხილე
დღევანდელიობა. ბევრი, ბევრი რამ
შეგხვდება ცხოვრებაში და ცოდვად
ჩაგეთვლება მათი არდანახვა. ყუ-
კოვსკი ტყუილად არ ამბობდა შენს
პოეზიაზე — ეს არსაით მიმართუ-
ლი აღტაცებააო. სირცხვილია ლი-
რიული ძალა ჰაერში ფუჭ გასრო-
ლებზე ხარჯო, მაშინ, როცა იგი
მისთვის მოუცია ღმერთს, რომ ატ-
რილო ლოდები და ამსხვრიო
კლდეები. მიმოიხედე გარშემო:
დღეს ყველაფერი პოეტის სამოქმე-
დო საგანია. თითოეული ადამიანი
იქვე მოითხოვს, ლირიული მოწო-
დებით მიმართონ. საითაც არ გა-
იხედავ, ყველგან ან საყვედურს ელ-
იან, ან გამხრევებას.

უპირველეს ყოვლისა შენი ძლი-
ერი ლირიული საყვედურით გაკი-
ცხე ძლიერი, მაგრამ ყურჩამოყრი-
ლი ადამიანები. ისინი მოგისმენენ,
თუ ნამდვილ საქმეს აჩვენებ, ანუ
დაარწმუნებ იმაში, რომ დარღსმი-
ცემული და სასოწარკვეთილი ადა-
მიანი ყოველმხრივ უვარგისია, გა-

ნურჩველად იმისა, რა არის მისი
სულიერი დაძაბუნების მიზეზი, იმ-
იტომ, რომ ღმერთი გმობს სასოწა-
რკვეთილებას. შეშმაღიტი რუსი
სასოწარკვეთილების წინააღმდეგ
საბრძოლველად გმობს გმობს, შე-
ნი შემწეობით იგი მიშა და მიწის
ბიძგებზე მალდა დადგება, როგორც
პოეტი „მიწისძვრის“ წაკითხვის
შემდეგ.

მოუწოდე მძლავრი ლირიული
მოწოდებით მშვენიერ, მაგრამ
მთვლემარე ადამიანს. ესროლე ნა-
პირიდან ფიცარი, შესძახე, რაც ძა-
ლი და ღონე გაქვს, უბრძანე, გადა-
არჩინოს თავისი ცოდვილი სული:
იგი ჯერ კიდევ შორსაა ნაპირისა-
გან, მალალი საზოგადოების კენ-
წერო მიაქანებს, მიაქანებენ საღი-
ლები, მოცეკვავე ქალთა ფეხები,
ყოველდღიური სიმთვრალე და ძი-
ლი; მისდაუნებურად იმატებს
ხორცს და ლამისაა მთლად ხორცად
იქცეს, აღარაფერი რჩება მასში სუ-
ლისა. ღრიალით ამცნე და დაანახე
მისკენ მიმავალი ალქაჯი — სიბე-
რე, ისეთი მტკიცე მასალით ნაგები,
რომ მასთან შედარებით ნამდვილი
რკინა ღვთის წყალობად მოეჩვენე-
ბა, გრძნობის ნამრეცხვად რომ არ
გიტოვებს გულის მოსაძიმად და სა-
ნუგეშოდ. ო, შენ რომ შეგძლებო-
და მისთვის გეთქვა ის, რაც უნდა
თქვას ჩემმა პლიუშკინმა, თუ ში-
ვალწიე „მკვდარი სულების“ მესა-
მე ტომამდე!

პრისხანე დითირამბით მკაცრად
დასცინე ახალი ჯურის მტაცებლებ-
სა და მათ წყეულ ფუფუნებას, და
უგვანო ცოლებს მათსას, კოსტა-
პრუწობითა და ძონძებზე ზრუნვით
ქმარსაც რომ ღუპავენ და თავსაც,
მკაცრად დასცინე ბილწ ზღურბლს
მათი მდიდრული სახლისა და მყრალ
ჰაერს, რომლითაც ისინი სუნთქა-


ვენ, ისე რომ ყველანი კისრისტეხით და უკანმოუხედავად გარბოდნენ მათგან, როგორც შავი ჭირისაგან. განაღდიდე და საზეიმო ჰიმნით შეამკე უბრალო მშრომელი ადამიანი, როგორნიც, რუსული ბუნების სასახელოდ, თვით ყველაზე თავზესხელალებულ მექრთამეთა გარემოცვაშიც არსებობენ, ქრთამს არ იღებენ მაშინაც კი, როცა მათ გარშემო ყველა მექრთამეა. განაღდიდე ის და მისი ოჯახი, მისი კეთილშობილი მეუღლე, რომელმაც არჩია ძველმოდური ჩაჩი ჰსურებოდა თავზე და ამის გამო მრავალ უღირსთაგან დაცინვა ეწვნია, ვიდრე აუძულებინა ქმარი უსამართლობა და სიგლახე ჩაეღინა. წარმოაჩინე მათი მშვენიერი სიღარიბე ისე, რომ ყველას თვალწინ იბრწყინოს და წმინდა ხატით ყველას მოუხდეს ღარიბულად ცხოვრება.

მიეაღერსე ჰიმნით იმ ბუმბერაზს, რომელიც მხოლოდ რუსულმა მიწამ შეიძლება შვას, რომელიც უკვე იღვიძებს სამარცხვინო ძილისგან და სხვანაირი ხდება. იგი ზიზლით იშორებს თავიდან ძველ სისაძაგლეებს და უხამს მანკიერებებს და სიკეთისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებში დგება. აჩვენე, როგორ ხორციელდება ეს დევგმირული საქმე ჭეშმარიტ რუსულ სულში; მაგრამ აჩვენე ისე, რომ ყველა რუსში უნებურად შეირხეს მამულის გრძნობა და ყველამ, დაბალი და უხეში ფენების ჩათვლით, წამოიძახოს: „ყოჩად, ბიჭო!“ — და იგ-

რძნოს, რომ ასეთი რამ მის თავზეც შეიძლება მოხდეს.

ბევრი, ბევრი რამა აქვს სათქმელი ლირიულ პოეტს — წიგნში ვერ ჩატევ, არათუ წერილში, ვიდრე რუსული შეგნება და მშვენიერად ჩანს! თვლემს ჩვენი სივაჟაკე, თვლემს სიმტკიცე და გამბედაობა, თვლემს ჩვენი ძალა, — თვლემს ჩვენი გონება მაღალი წრის ქალაჩუნური და მოღუნებული ცხოვრების პირობებში, რომელიც განათლებად წოდებული, არაფრისმაქნისი და უმნიშვნელო სიახლეების შემოტანით შეგვიქმნეს.

განდევენე ძილი შენს თვალთაგან და სხვაც გააღვიძე! მუნღებზე დაეცი ღვთის წინაშე და გამოსთხოვე სიყვარული და მრისხანება; რისხვა მის მიმართ, რაც ღუპავს ადამიანს, სიყვარული კი — სიბრალულად ადამიანის საწყალი სული-სა, რომელსაც ყოველი მხრიდან უტევენ და არც თვითონ უფრთხილდება მას. მოძებნი სიტყვებს, მოიძებნება გამოთქმები, სიტყვა კი არა, ცეცხლი გამოიტყორცნება შენი პირიდან, თუკი ამ საქმეს, ჰვილწინასწარმეტყველთა დარად, ღვიძლ და სისხლხორცეულ საქმედ აქცევ, თუ მათ მსგავსად თავზე ნაცარს დაიყრი, სამოსს ტანზე შემოიხვევ და ქვითინით გამოითხოვ ღმერთისგან ძალას, ისე მოინატრებ საქმეს ქვეყნის გადარჩენისა, როგორც მათ მოინატრეს თავიანთი ღვთისგან რჩეული ხალხის გადარჩენა.



აღსარება

(გამოუქვეყნებელი თხზულების შესავალი)

მაგშვოზიდან მონათლული და აღწრდოლი ვიყავ მართლმადიდებელ ქრისტიანად. საღვთო სჯულს ყრმობისა და სიყმაწვილის წლებშიც მასწავლიდნენ, მაგრამ 18 წლისას, უნივერსიტეტის მეორე კურსიდან რომ გამოვედი, უკვე აღარაფერი მჯეროდა ყოველივე იმისა, რასაც მანამდე მინერგავდნენ.

თუ მოგონებებს დავუჯერებ, სერიოზულად არც როდის მწამდა. უბრალოდ, ვენდობოდი, რასაც მასწავლიდნენ და რასაც ჩემ წინ უფროსები აღიარებდნენ, თუმცაღა ეს ნდობა მეტისმეტად მერყევი იყო.

მასხოვს, როცა თერთმეტი წლისა ვიყავი, კვირა დღეს ერთი ბიჭი ვალოდენკა გვესტუმრა, რომელიც უკვე კარგა ხნის მკვდარია — მაშინ იგი გიმნაზიაში სწავლობდა, — და ვაგვანდო ახალი აღმოჩენა, გიმნაზიაში რომ გაეკეთებინათ. აღმოჩენა განლდათ ის, რომ ღმერთი არ არსებობს და ყოველივე, რასაც გვასწავლიან, მხოლოდ გამოგონილი ამბავიაო (ეს იყო 1838 წელს). კარგად მასხოვს ისიც, როგორ დაინტერესა ახალმა ამბავმა ჩემი უფროსი ძმები, რომელთაც რჩევის საკითხავად მეც მიმიხმეს. ამ ამბავმა ყველანი მეტისმეტად ვაგვანდლისა, გამოგვაცოცხლა და იგი თავ-

შესაქცევ და სრულიად შესაძლებელ რასმედ მივიჩნიეთ.

მაგონდება ისიც, როცა ჩემი უფროსი ძმა დიმიტრი უნივერსიტეტში სწავლობდა, მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი მგზნებარებით როგორ გაიტაცა საღვთო სჯულმა. დაიწყო სიარული ეკლესიაში, ესწრებოდა ყველა წირვას, მარხულობდა და უმწიკვლო და ზნეობრივ ცხოვრებას მისდევდა. ჩვენ კი, ყველანი, თვით უფროსებიც, გამუდმებით დავცინოდით და რატომღაც ნოეს ვეძახდით. მაგონდება მუსინ პუშკინიც, ყაზანის უნივერსიტეტის მაშინდელი მეურვე, რომელმაც ცეკვებზე მიგვიწვია და როცა ჩემმა უფროსმა ძმამ ამაზე უარი განუცხადა, დამცინავი ღიმილით დაუწყო მტკიცება, თვითონ დავითი კიდობნის წინ ცეკვავდაო. მე ვუთანაგრძნობდი ამ ხუმრობებს უფროსების მხრიდან და მჯეროდა, რომ საჭიროა კატეხიზმოს სწავლა, საჭიროა ეკლესიაში სიარულიც, მაგრამ ყოველივე ამისათვის მეტად სერიოზული მნიშვნელობის მინიჭება არ ეგებოდა. მასხოვს ისიც, რომ სიყმაწვილეში ვოლტერს ვკითხულობდი და მისი დაცინვები არათუ ჩემს გულისწყრომას არ იმსახურე-

ბდა, არამედ ძალიანაც მამხიარულებდა.

რწმენისაგან განდგომა ჩემშიც ისევე მოხდა, როგორც მოხდა და დღესაც ხდება იგი ჩვენნაირი განათლების მქონე ადამიანებში. ეს განდგომა, ჩემი დაკვირვებით, უმეტესად შემდეგნაირად მიმდინარეობს: ადამიანები ისე ცხოვრობენ, როგორც ყველა ცხოვრობს, ყველა კი ცხოვრობს იმ საწყისების საფუძველზე, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო საღვთო სჯულთან, არამედ უმეტესწილად ეწინააღმდეგებიან კიდევ მას. საღვთო სჯული არ მონაწილეობს ცხოვრებაში და სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას არასოდეს გვიხდება მასთან დაპირისპირება, ეს არც ჩვენს პირად ცხოვრებაში გვიწევს. საღვთო სჯულის აღიარება სადღაც იქ, ცხოვრებისაგან შორს და მისგან დამოუკიდებლად ხდება; და თუ მაინც გვიწევს შეჯახება, გვიწევს როგორც ცხოვრებასთან დაუკავშირებელ გარეშე მოვლენასთან.

ადამიანის ცხოვრების, მისი საქმიანობის მიხედვით წინათ თუ ახლად ვერ გაიგებ, მორწმუნეთ თუ არა იგი. და თუკი მაინც არსებობს განსხვავება მართლმადიდებლობის ამკარა აღმსარებელსა და მის უარმყოფელს შორის, ეს არ ხდება აღმსარებელთა სასარგებლოდ. დღესაც, როგორც მაშინ, მართლმადიდებლობის ამკარა აღიარებას მეტწილად ვხვდებით გონებაჩლუნგ, სასტიკ და უზნეო ადამიანებში, თავი დიდი ვინმე რომ ჰგონიათ. ჭკუაგონება, პატიოსნება, პირდაპირობა, გულკეთილობა, ზნეობრიობა უფრო იმ ხალხში მოიძიება, რომლებიც თავს არამორწმუნეებად თვლიან.

სკოლებში ასწავლიან კატეხიზმოს და მოსწავლეებს მოუწოდებ-

ენ იარონ ეკლესიაში, ჩინოვნიკებისგან ითხოვენ ზიარების დროს მოწმობას, მაგრამ ჩვენი წრის ადამიანი, ვინც სწავლას უკვე კი მორჩა და სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფება, დღესაც, უფრო მეტად კი ძველად, ისე ვალევეს თავის წუთისოდებს, ერთხელაც არ გაიხსენებს, ქრისტიანთა შორის რომ ცხოვრობს და თავადაც მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებლად ითვლება.

ასე რომ, დღეს, ისევე, როგორც წინათ, საღვთო სჯული, რომელიც მინდობით აღიარეს და გარეშეთა ძალდატანებით მხარი დაუჭირეს, ცოდნის შემოქმედებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით თანდათან კარგავს ძალას და ხშირად ადამიანს კარგა ხნის მანძილზე ჰგონია, მასში კვლავ მყარად ცოცხლობს ის მოძღვრება, ბავშვობაში რომ აზიარეს, თუმცა დიდი ხანია მისი კვალიც კი გამქრალა.

ერთმა ჭკვიანმა და ალაღმაართალმა კაცმა, ს...მ, მიამბო, როგორ აიღო ხელი რწმენაზე. ის ოცდაექვსი წლისა იყო, როცა ერთხელ, ნადირობის შემდეგ, საღამოს, როგორც ბავშვობაში სჩვეოდა, ლოცვად დადგა. უფროსი ძმა, თან რომ ახლდა, თურმე თივაზე იწვა და თვალს ადევნებდა. ს...მ ლოცვა დაასრულა თუ არა, ძმამ ჰკითხა: „შენ კიდევ ლოცულობ?“ ეს იყო და ეს. მეტი მათ ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. მაგრამ იმ დღიდან ს...მ ლოცვას თავი ანება და ეკლესიაში სიარულიც შეწყვიტა. ისე რომ, უკვე ოცდაათი წელია, არც ულოცია, არც ზიარებულა და არც ეკლესიაში შესულა. განა იმიტომ, რომ თავისი ძმის მრწამსს იცნობდა და მას დაუჯერა, ან თითქოს სულის სიღრმეში რაღაც

გადაწყვეტილება მიიღო, არამედ, — მხოლოდ იმიტომ, რომ ძმის სიტყვებმა ითამაშეს რალაცნაირი დარტყმის როლი კედელზე, რომელიც საკუთარი სიმძიმით ისედაც ჩამოსაქცევად იყო მზად. ძმის სიტყვებმა მიანიშნეს, რომ იქ, სადაც მისი ვარაუდით რწმენას უნდა ეარსებოდა, სიცარიელეს დაესადგურებინა. ამიტომ სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამს, პირჯვრის წერა და თაყვანი ლოცვისას, არსებითად, სრულიად გაუაზრებელი მოქმედებებია. ეს რომ გააცნობიერა ს...მ, მათი გაგრძელება ვეღარ შეიძლო.

ვფიქრობ, ასე იყო და არის ხოლმე ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრებაში. მე ვლაპარაკობ ისეთებზე, ჩვენისთანა განათლება რომ მიუღიათ, ისეთებზე, საკუთარი თავის წინაშე მართლები რომ არიან, და არა იმათზე, რწმენას ამა თუ იმ მიზნის მიღწევის საშუალებად რომ იყენებენ (ეს ადამიანები არსებითად ურწმუნონი არიან, რადგან თუ რწმენა მათვის რალაც ცხოვრებისეული მიზნის მიღწევის საშუალებად ქცეულა, ის უკვე აღარ არის რწმენა); ჩვენნაირი განათლების მქონე ადამიანები იმ მდგომარეობაში იმყოფებიან, როცა ცოდნისა და გამოცდილების სხივი ალღობს ხელოვნურ ნაგებობას, მათ კი ან უკვე დაინახეს ეს და ადგილი გამოათავისუფლეს, ან ჯერ კიდევ არ შეუძენიათ ეს ამბავი.

ბავშვობიდანვე მოწვეული საღვთო მოძღვრება ჩემშიც გაქრა სხვების მსგავსად, ოღონდ, რაკი მე ძალზე ადრე დავიწყე კითხვა და ბევრსაც ვკითხულობდი და ვფიქრობდი, ჩემი განდგომა საღვთო სჯულისაგან ადრევე გავიცნობიერე და თექვსმეტი წლისამ შევწყვიტე ლოცვად დადგომა, საკუთარი სურვილით ეკლესიაში სიარული და მარხვა. აღარ

მჯეროდა იმისა, რასაც ბავშვობაში მაზიარეს, თუმცა რალაც მაინც მწამდა. რა მწამდა, ამის თქმას ვერ შევძლებდი. მწამდა ღმერთი, უფრო სწორად, არ უარყოფდი ღმერთს, მაგრამ როგორც ღმერთი მწამდა, არ ვიცოდი; არც ქრისტეს უარყოფდი და არც ძის მოძღვრებას, მაგრამ რაში მდგომარეობდა მისი მოძღვრების არსი, ამის თქმა არ შემიძლო.

ახლა, როცა იმ დროს ვიხსენებ, ნათლად ვხედავ, რომ მრწამსი, რაც ცხოველურ ინსტინქტებთან ერთად წარმართავდა ჩემს ცხოვრებას — ერთადერთი მრწამსი — იყო რწმენა სრულყოფილებისა. მაგრამ რაში გამოიხატებოდა სრულყოფილება და რა იყო მისი მიზანი, ამის თქმა არ შემიძლო. ვცდილობდი მიმეღწია გონებრივი სრულყოფისათვის — ამიტომ ვსწავლობდი, ვეწაფებოდი ყოველივეს, რაც შესაძლებელი იყო და რისკენაც ცხოვრება მიბიძგებდა. ვცდილობდი სრულმეყო საკუთარი ნებისყოფა, რისთვისაც შევადგინე ჩემი საკუთარი წესები და მივსდევდი მათ დაცვას, ვცდილობდი მიმეღწია ფიზიკური სრულყოფისათვის და ათასგვარი ვარჯიშით ვხვეწდი საკუთარ ძალებსა და მოქნილობას, ვთოკავდი სურვილებს, ვეჩვეოდი ამტანობასა და მოთმინებას. და ყოველივე ეს მიმაჩნდა სრულყოფილებად. ყველაფრის საწყისი, რალა თქმა უნდა, ზნეობრივი სრულყოფა იყო, მაგრამ მალე იგი შეცვალა ზოგადად სრულყოფილების სურვილმა, ანუ იმის სურვილმა, რომ ვყოფილიყავი უკეთესი არა საკუთარი თავის ან ღმერთის წინაშე, არამედ უკეთესი სხვების წინაშე. ძალიან მალე ეს მისწრაფება შესცვალა სხვა სურვილმა — ვყოფილიყავი უფრო ძლიერი სხვებზე, ანუ სხვებზე სახელოვანი, პატივდებული და მდიდარი.

როდესმე გიამბობთ ჩემი ახალგაზრდული ცხოვრების გულისამაჩუყებელ და ჭკუის სასწავლებელ ისტორიას ამ ათ წელიწადში. ვფიქრობ, ბევრს გამოუცდია ამგვარი რამ. მე მთელი გულით ვცდილობდი ვყოფილიყავი კარგი; მაგრამ ვიყავი ახალგაზრდა, მქონდა უამრავი გატაცება და მე მარტო, სრულიად მარტო გახლდით კარგის ძიებისას. როცა მიხდოდა ჩემი სახუკვარი სურვილების გამჟღავნება, მაგალითად, როცა მსურდა ვყოფილიყავ უმწიკვლო ზნეობისა — ჩემი გულწრფელი სურვილის პასუხად ყოველთვის აბუჩად მიგდებდნენ და დამცინოდნენ, ხოლო თუკი ჟინის ხმას ავყვებოდი, მაქეზებდნენ და ქებას მასხამდნენ. დიდ პატივში იყო პატივმოყვარეობა, ძალმოძრეობა, ანგარება, თავაშეებული სიყვარული, ამპარტავნება, მრისხანება, შურისძიება. თუ ამ უკეთურ გატაცებათ მივენდობოდი, მოზრდილს ვეძსგავსებოდი და უფროსების კმაყოფილებასაც ვგრძნობდი. კეთილი დეიდაჩემი, სპეტაკი და ფაქიზი არსება, ვისთანაც მაშინ ვცხოვრობდი, ხშირად მეტყოდა ხოლმე, არაფერი ისე ძალიან არა მსურს შენთვის, როგორც გათხოვილ ქალთან კავშირით, რადგან, მისი აზრით, „Rien ne forme un jeune homme comme une liaison avec une femme comme il faut“;¹ სხვა ბედნიერებასაც მისურვებდა, ნატრობდა გავმხდარიყავი ადიუტანტი, რაღა თქმა უნდა, ხელმწიფე იმპერატორისა;

1. არაფერი ისე არ აკეთილშობილებს ახალგაზრდა კაცს, როგორც წესიერ ქალთან კავშირი (ფრ.).

ყველაზე დიდი ბედნიერება კი, მისი აზრით, იქნებოდა ჩემი დაქორწინება მდიდარ ქალიშვილზე, რომ ამ ქორწინების წყალობით რაც შეიძლება ბევრი ყმა მყოფიყავი.

ზიზღის, ძრწოლისა და სასტიკის გულისტკივილის გარეშე არ შემოიძლია გავიხსენო ეს წლები. მე ვკლავდი ადამიანებს ომში, ვიწვევდი მათ დუელში, ვაგებდი ფულს კარტში, ვახიავებდი გლეხების ნაწვავნადავს, ვსჯიდი, ვმრუშობდი, ვცრუობდი. ტყუილი, ქურდობა, უხამსი სასიყვარულო ინტრიგები, ლოთობა, ძალადობა, მკვლელობა...: არ იყო ისეთი დანაშაული, მე რომ არ ჩამედინა. ყველაფერ ამისათვის კი მაქებდნენ და ჩემი თანატოლები შედარებით წესიერ კაცად მოვლიდნენ და მოვლიან.

ასე ვიცხოვრე ათი წელი.

ამ წლებში დავიწყე წერა, დავიწყე პატივმოყვარეობის, ანგარებისა და ამპარტავნობის კარნახით. ჩემს ნაწერებში იმასვე ვაკეთებდი, რასაც ცხოვრებაში.

დიდებისა და ფულის მოპოვებისათვის, რისთვისაც ვწერდი, საჭირო იყო კარგი დამემალა და ცუდი წარმოემეჩინა. სწორედ ასე ვიქცეოდი. არაერთგზის შევეცადე და შევძელი კიდევ ჩემს ნაწერებში გულგრილობისა და მსუბუქი დაცინვის ნიღაბქვეშ დამემალა სიკეთისაკენ მისწრაფებანი, ჩემი ცხოვრების აზრს რომ შეადგენდა. ამას ვახერხებდი, ამისათვის მაქებდნენ და მადიდებდნენ.

ოცდაექვსი წლისა ომის შემდეგ პეტერბურგში ჩავედი და მწერლებს დაგუახლოვდი. მათაც თავისიანად მიმიღეს და ცდილობდნენ ჩემთვის ეამეზინათ. უკან მიხედვაც ვერ მოვასწარი, რომ ამ ადამიანების წოდებრივი შეხედულებანი ცხოვრე-

ბაზე სწრაფად შევითვისე და მათ ჩემში სრულიად გააქარწყლეს ადრინდელი ცდები უკეთესი რომ გავმხდარიყავი. თავაშვეებული ცხოვრების გავლენით ძველი შეხედულებები ახალმა თეორიამ შესცვალა, ჩემს ამჟამინდელ ყოფას რომ ამართლებდა.

ამ ადამიანების, ანუ ჩემი მწერალი ამხანაგების აზრი ცხოვრებაზე ასეთი იყო: ცხოვრება, საერთოდ, მიღის და ვითარდება. ამ განვითარებაში ძირითადად ვმონაწილეობთ ჩვენ — მოაზროვნე ადამიანები, ხოლო მოაზროვნე ადამიანებს შორის ყველაზე დიდ ზემოქმედებას ცხოვრებაზე მხატვრები, პოეტები ვახდენთ. ჩვენი მოწოდებაა — ვასწავლოთ ადამიანებს. იმისთვისვე რომ არ წამოგვჭროდა ბუნებრივი კითხვა: რა ვიცი და რა უნდა ვასწავლო, ეს თეორია იმთავითვე გვაიმედებდა, რომ ამის ცოდნა არც იყო საჭირო, რომ მხატვარი და პოეტი თავისთავად, გაუცნობიერებლად ასწავლის ხოლმე. მე შესანიშნავ მხატვრად და პოეტად ვითვლებოდი, ამიტომ უმტკივნეულოდ — ბუნებრივად გავითავისე ეს თეორია. მე — მხატვარი, პოეტი — ვწერდი, ვასწავლიდი, თუმცა თავად არ ვიცოდი, რას. ამისათვის კი ფულს მაძლევდნენ. პოდა, მქონდა კარგი სასმელ-საჭმელი, მშვენიერი სახლი, მყავდნენ ქალები, ვტრიალებდი საზოგადოებაში, გავითქვი სახელი. მაშასადამე, რასაც ვასწავლიდი, იყო ძალზე კარგი რამ.

პოეზიის მნიშვნელობისა და ცხოვრების განვითარების ეს რწმენა თავისთავად რწმენაა და მეც მისი ერთ-ერთი ქურუმთაგანი ვიყავი; რწმენის ქურუმად ყოფნა ფრიად სასიამოვნო და, ამასთან, დიდი უპი-

რატესობაც იყო. მე საკმაოდ დიდხანს გამყვა ეს რწმენა და მის ჭეშმარიტებაში არც დავეჭვებულვარ. მაგრამ მერე და მერე, აგვარი ცხოვრების მეორე ~~მეორე~~ მესამე წელს გამიჩნდა მხრეთის ქვეყნი ამ რწმენის შეუმცდარობაზე და შევუდექი მის გამოკვლევას. დაეჭვების პირველი ბზარი ამ რწმენის ქურუმთა შორის უთანხმოებამ გააჩინა. ერთნი იძახდნენ: ყველაზე კარგი და სასარგებლო მასწავლებლები ჩვენა ვართო — ჩვენ ვასწავლით იმას, რაც/საჭიროა, სხვები კი არასწორად ასწავლიანო. მეორენი კი ამბობდნენ: არა, ეს ჩვენა ვართ ჭეშმარიტი მასწავლებლები, თქვენ კი არასწორად ასწავლითო. პოდა, დაობდნენ, ჩხუბობდნენ, ლანძლავდნენ, ატყუებდნენ ერთმანეთს, აქეზებდნენ ერთიმეორის წინააღმდეგ. მაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არად დაგიდევდნენ, მოდავეთაგან ვინ იყო მართალი თუ მტყუანი. პირიქით, ჩვენი ამგვარი მოღვაწეობის წყალობით თავიანთ ანგარებიან მიზნებს აღწევდნენ. აი, ყველაფერმა ამან მაიძულა დავეჭვებულიყავი ჩვენი რწმენის უტყუარობაში.

რაკი თავად მწერალთა რწმენის ჭეშმარიტებაში შევიტანე ეჭვი, უფრო მეტი ყურადღებით დავაკვირდი ამ მწერალ-ქურუმებს და დავრწმუნდი, რომ ისინი — ყველანი უზნეო ადამიანები იყვნენ, მეტწილად ცუდი, უბადრუკი ხასიათისანი, და გაცილებით დაბლა იდგნენ იმათზე, ვისაც ჩემს ადრინდელ თავაშვეებულსა და სამხედრო-საომარ ცხოვრებაში შევხვედროდი, მაგრამ უფრო თავდაჯერებულნი და თვითკმაყოფილნიც, როგორც ყოველად წმინ-

დანი ხალხი ან ისეთები, რომელთაც არც უწყიან, რა არის სიწმინდე. მე შემზიზლდნენ ეს ადამიანები, შემზიზლდა საკუთარი თავიც, რადგან მივხვდი, რომ რწმენა ესე იყო სიცრუე.

საოცრია, რომ, თუმცა ამ რწმენის სიცრუეში ძალე დავრწმუნდი და ზურგიც ვაქციე, უარი არ მითქვამს მხატვრის, პოეტის, მოძღვრის ჩინზე, იმ ადამიანებმა რომ მომანიჭეს. მე გულუბრყვილოდ დავიჯერე, რომ ვარ პოეტი, მხატვარი და შემძლია ყველას ვასწავლო, თუმცა თავადაც არ ვიცი, რა ვასწავლო. ასედაც ვიქცეოდი.

ამ ადამიანებთან სიახლოვემ ერთი ნაკლიც შემძინა — ეს იყო სიამაყის ავადმყოფური შეგრძნება და უგუნური თავდაჯერება, რომ ჩემი მოწოდებაა, ვასწავლო ადამიანებს, ოღონდ რა ვასწავლო, ეს თავადაც არ ვიცი.

როცა იმ დროს ვიხსენებ, ვიხსენებ ჩემსა თუ იმ ადამიანთა მაშინდელ განწყობას (თუმცა ასეთები დღესაც ათასობით არიან), შიშის, სიბრალულისა და სიცილის გუნებაზე ვდგები — და ისეთი შეგრძნება მიტანს, როგორსაც საგიჟეთში განიცდი.

მაშინ ყველას გვეჯეროდა, რომ ჩვენ უნდა გველაპარაკა და გველაპარაკა, გვეწერა და გვებეჭდა — რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება ბევრი, რომ ეს ყველაფერი კაცობრიობის კეთილდღეობას წაადგებოდა. და ათასობით ჩვენგანი, ერთმანეთის უარყოფელნი და მაგინებელნი, ვბეჭდავდით და ვბეჭდავდით, ვმოძღვრავდით და ვმოძღვრავდით სხვებს დაუსრულებლივ და ვერ ვამჩნევდით, რომ არაფერი ვიცოდით, არ ვიცოდით რა პასუხი უნდა გავვეცა ყველაზე მა-

რტივ ცხოვრებისეულ კითხვაზე — რა არის კარგი და რა არის ცუდი. არ ვუსმენდით ერთმანეთს, ვლაპარაკობდით ერთად, ზოგჯერ ვაქეზებდით და ქებას ვასწავლავდით ერთმეორეს, რათა მეტიც მხატვრობა ვაქეზებდით და ქება შეესხათ ჩვენთვის, ხანდახან კი, გაღიზიანებულნი, სწორედ ისევე ვაუყვიროდით, როგორც გიჟები საგიჟეთში.

ათასობით მუშა დღესა და ღამეს ასწორებდა, გამწარებით აწყობდა და ბეჭდავდა მილიონობით სიტყვებს და ფოსტა ავრცელებდა მათ მთელს რუსეთში. ჩვენ კი უფრო მეტსა და მეტს ვასწავლიდით, ვასწავლიდით და ვასწავლიდით, და ვერა და ვერ ვასწრებდით გვესწავლებინა ყველაფერი და სულ ვბრაზობდით, რომ ნაკლებად გვისმენდნენ.

საოცარი კია, მაგრამ ახლა კარგად მესმის. ჩვენი ნამდვილი, გულწრფელი წადილი იყო რაც შეიძლება მეტი და მეტი ფულისა და ქება-დიდება მოხვეჭა. ამ მიზნის მისაღწევად სხვა არაფერი გვეხერხებოდა, გარდა წიგნებისა და გაზეთების წერისა, რასაც ვიქმოდით კიდეც. მაგრამ ასეთი უნაყოფო საქმიანობისა და თავდაჯერებისა, დიახაც საჭირო ხალხი ვართ-თქო, გვეჭირდებოდა კიდეც ისეთი რამ, ჩვენს მოღვაწეობას გამართლებას რომ მოუძებნიდა. და მოვიფიქრეთ აი რა: ყოველივე, რაც არსებობს, გონივრულია, ასევე — ყოველივე, რაც არსებობს, ვითარდება. ყოველივე კი ვითარდება განათლების წყალობით. განათლების დონე განისაზღვრება წიგნებისა და გაზეთების გავრცელებით. ჩვენ კი ფულს გვიხდიან და პატივს მოგვაგებენ იმიტომ, რომ ვწერთ წიგნებსა და გაზეთებს. აი, ამიტომ ვართ ჩვენ, ყველანი, სასარგებლო და კარგი

ხალხი. ეს მოსაზრება მართლაც კარგი აღმოჩნდებოდა, თუკი ჩვენში თანხმობა იქნებოდა, მაგრამ რაკი ყოველ მოსაზრებას, რომელსაც ერთი გამოთქვამდა, დიამეტრულად საწინააღმდეგო მეორე აზრი უპირისპირდებოდა, ამ ამბავს უნდა ჩავეფიქრებინეთ, მაგრამ არა, ამას ჩვენ ვერ ვამჩნევდით. რაკი ფულს გვიხდიდნენ და ჩვენი პარტიის ადამიანები გვაქებდნენ, — მაშასადამე, ყოველი ჩვენგანი თვლიდა, რომ მართალი ვიყავით.

ახლა ჩემთვის ნათელია, რომ სავიყუთისგან არაფრით განვსხვავდებოდით, ოღონდ მაშინ ამას ბუნდოვნად ვგრძნობდით, და, როგორც ყველა გიჟი, გიჟად ვთვლიდი ყველას, საკუთარი თავის გარდა.

III

ამ გიჟურ ცხოვრებაში გავლიე კიდევ ექვსი წელი დაქორწინებამდე. იმ ხანებში საზღვარგარეთ ვავემგზავრე. სრულყოფილების რწმენა, რომლითაც აქამდე ვცხოვრობდით, ჩემში კიდევ უფრო განამტკიცა ევროპაში მოგზაურობამ და მოწინავე და სწავლულ ევროპელებთან დაახლოებამ, რადგან ეს რწმენა მათშიც აღმოვაჩინე. ამ რწმენამ ჩემში ისეთივე ჩვეულებრივი ფორმა მიიღო, როგორიც იგი გააჩნდა ჩვენი დროის განათლებულ ადამიანთა უმრავლესობას. რწმენა იგი სიტყვა „პროგრესით“ გამოითქმოდა. მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს სიტყვა რაღაცას გამოხატავდა და ჯერ კიდევ არ მესმოდა, რომ იმ კითხვით ტანჯული, უკეთესად როგორ ვიცხოვროო, ყოველი ცოცხალი ადამიანის მსგავსად, რომ ვპასუხობდი პროგრესის შესაბამისად-

მეთქი, ამით იმასვე ვამბობდი, რასაც ქარისა და ტალღებისაგან აყანყალეზულ ნავში მჯდომ ადამიანი ამ გარემოებისათვის დაზიანებისათვის მისთვის უმთავრესად და ერთადერთ შეკითხვას უპასუხებდა „რა გზას ვეწიოო?“ და თუ კითხვას არ უპასუხებდა, თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „სადღაც მივექანებითო“.

მაშინ მე ამას ვერ ვამჩნევდი. მხოლოდ ხანდახან თუ აუჯანყდებოდა გრძნობა, დიას, გრძნობა და არა გონება, ჩვენი დროის ამ საყოველთაო ცრურწმენას, ადამიანები ფარად რომ ხმარობენ, როცა ცხოვრებისა ვერაფერი გაუგიათ. პროგრესისადმი ჩემი ცრურწმენის მერყეობა სავსებით გაამულავნა პარიზში ნანახმა სიკვდილით დასჯამ, იმის ხილვამ, როგორ განეყო თავი ტანს და ერთი ცა და მეორეც ბრახუნ-ბრახუნით ჩავარდა საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის მომზადებულ ყუთში. და მე მივხვდი, არა გონებით, — არამედ მთელი ჩემი არსებით მივხვდი, რომ პროგრესისა და გარდაუვალის გონივრულობის არავითარ თეორიას არ ძალუძს გაამართლოს ეს მოქმედება და, თუ ყოველი ადამიანი ამ ქვეყანაზე — სამყაროს შექმნის დღიდან ამა თუ იმ თეორიის ძალით ჩათვლიდა, რომ ეს საჭიროა, მე მაინც ვიცი, რომ ეს არაა საჭირო, რომ ეს ამაზრზენია და რომ ამიტომ განმსჯელი ყოველივესი — კარგისა თუ ცუდის, ის კი არ არის, რას ამბობენ და აკეთებენ ადამიანები, და არც პროგრესი, — განმსჯელი მე ვარ და ჩემი გული. პროგრესის ცრურწმენის ცხოვრებისათვის არასაკმარისობის გაცნობიერების დასტურის მეორე შემთხვევა იყო ჩემი ძმის სიკვდილი. ჭკვიანი, კეთილი,

დინჯი ადამიანი სულ ახალგაზრდა დაავადდა, ერთ წელზე მეტი იტანჯებოდა და ტახჯვითვე ისე დალია სული, ვერ გაეგო რატომ იცოცხლა და, მით უფრო, ახლა რატომ კვდებოდა. ამ ტანჯვით სიკვდილის მთელი ხნის მანძილზე ვერც მას და ვერც მე პასუხი ვერანაირმა თეორიამ ვერ გაგვცა.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ დაეჭვების იშვიათი შემთხვევები. სიხადვილეში მე ვაგრძელებდი სიცოცხლეს და მწამდა მხოლოდ და მხოლოდ პროგრესისა. „ყოველივე ვითარდება და მეც ვვითარდები. მაგრამ რისთვის ვვითარდები ყოველივესთან ერთად, ამას მომავალი გამოაჩენს“. აი, ასე შეიძლებოდა ჩამომეყალიბებინა ჩემი იმჟამინდელი რწმენა.

უცხოეთიდან რომ დავბრუნდი, სოფელში დავსასხლდი და იქაურ სკოლებში მომიხდა გაკვეთილების ჩატარება. ეს გაკვეთილები საოცრად ესალბუნენ ჩემს გულს, რამეთუ მათში არ იყო ის სიცრუე, თვალს რომ მჭრიდა ლიტერატურულ მასწავლებლობანაში. მე აქაც პროგრესის სახელით ვმოქმედებდი, თუმცა უკვე კრიტიკულად ვეკიდებოდი მას და ჩემს თავს ვეუბნებოდი: პროგრესი რამდენადმე არასწორად მიმდინარეობს ზოგიერთ შემთხვევაში და საჭიროა უფრო თავისუფლად მოვეპყროთ გლეხის შვილებს, პირველყოფილ ადამიანებს, და მივცეთ საშუალება — აირჩიონ პროგრესის ის გზა, რომელსაც თავად მოისურვებენ.

სინამდვილეში მე ისევ იმ გადაუწყვეტელ ამოცანას ვუტრიალებდი, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა — როგორ უნდა ასწავლო სხვას ისე, თუ თავად არ იცი, რა უნდა ასწავლო. ლიტერატურული

მოღვაწეობის მაღალ წრეებში ნათლად ვხედავდი, რომ შეუძლებელია ვინმეს ასწავლო, თუ არ იცი, რა უნდა ასწავლო, რადგან ყველანი სხვადასხვას ასწავლიდნენ და ურთიერთშორის დაუსრულებლად კამათით მხოლოდ საკუთარ თავს უმაღლავდნენ თავისივე უცოდინარობას. აქ, გლეხის ბავშვებთან, ამ სიძნელეს იოლად დავძლევი, თუკი მათ მივცემდი უფლებას, ესწავლათ ის, რაც სურდათ. ახლა, როცა ვიხსენებ, ჩემს ეშმაკობაზე მეცინება. მე ხომ ვცდილობდი ამესრულებინა ჩემი ახირება — მესწავლებინა, თუმცა სულის სიღრმეში ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ვერ ვასწავლიდი ისეთ რამეს, რაც საჭირო იყო, რადგან არ ვიცოდი, რა იყო საჭირო. სკოლაში მუშაობის ერთი წლის შემდეგ კვლავ საზღვარგარეთ გავემგზავრე. ეგების იქ მაინც გაძეგო, როგორ მესწავლებინა სხვებისთვის ისე, როცა თავად არაფერი ვიცოდი.

მე მეგონა, ამჯერად ეს შევძელი, და სიბრძნით შეიარაღებული გლეხთა განთავისუფლების წელს დავბრუნდი რუსეთში, დავიჭირე მომრიგებლის ადგილი და შევუდექი გაუნათლებელ ადამიანთა მწავლებას სკოლაში, ხოლო განათლებულებისას ჟურნალში, რომლის გამომცემაც იმხანად დავიწყე. ჩანდა, საქმე ცუდად არ მიდიოდა, მაგრამ ვგრძნობდი გონებრივ გადაღლილობას და არ შეიძლებოდა ასე დიდხანს ვაგრძელებულიყო. ვინ იცის, იქნებ მაშინ შევეპყარი იმ სასოწარკვეთას, რომელიც ორმოცდაათი წლის ასაკში განვიცადე, რომ არა ის გარემოება, მანამდე რომ არა მქონდა განცდილი და რაც ხსნას მპირდებოდა: ეს იყო ჩემი დაოჯახება.

მთელი ერთი წელი ვასრულებდი მოძრიგებლის მოვალეობას, ვმუშაობდი სკოლებსა და ჟურნალში და ისე ვავწვალდი, ისე ამებნა თავგზა, რომ გამიძნელდა მოძრიგებლობა, — ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო ჩემი საქმიანობა სკოლებში, არ მაკმაყოფილებდა ჩემი გავლენა ჟურნალშიც, ანუ ჩემი სურვილი და ცდა, დამემოდვრა სხვები და დამეფარა ის ამბავი, რომ თავად არ ვიცოდი, რით დამემოდვრა სხვები, — ამის შედეგად დავსნეულდი უფრო სულიერად, ვიდრე ფიზიკურად, — ამიტომ ყველაფერს მოვეშვი და ბაშკირებს მივაშურე სტუპებში, რათა მათთან ერთად მესუნთქა სუფთა ჰაერი, მესვა კუმისი და მეცხოვრა ველური ცხოვრებით.

იქიდან დაბრუნებულმა ცოლი შევირთე. ბედნიერმა ოჯახურმა ცხოვრებამ სულ გადამავიწყა სიცოცხლის საზრისის ყოველგვარი ძიება. მთელი ჩემი ცხოვრება მიეჯაჭვა ოჯახს, ცოლს, შვილებს და იმაზე ზრუნვას, როგორ გამეზარდა შემოსავალი. სრულყოფილები-საკენ ლტოლვა, უფრო ადრე კი პროგრესისა და საერთოდ სრულყოფისაკენ სწრაფვა ამჯერად პირდაპირ დაემორჩილა ერთ წადილს — რაც შეიძლება უკეთ გვეგრძნოთ თავი მე და ჩემს ოჯახს.

ასე გავიდა კიდევ თხუთმეტი წელი.

იმის მიუხედავად, რომ მწერლობას წვრილმან საქმედ მივიჩნევდი, ამ თხუთმეტი წლის მანძილზე მაინც განვაგრძობდი წერას. უკვე გემო გავუსინჯე მწერლობით, უზარმაზარი ანაზღაურებისა და უმნიშვნელო შრომისათვის ტაშის კვრით მიღებული სიამოვნების საცთურს და მივსდევდი მას, რო-

გორც საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საკუთარ სულში სიცოცხლის საზრისის ძიების ყოველგვარი/სურვილის ჩახშობის საქმეადღებამს.

მე ვწერდი და ვახდენდი ჩემთვის ერთადერთ ჭეშმარიტებას — მეცხოვრა ისე — მე და ჩემს ოჯახს რაც შეიძლება უკეთ რომ გვეგრძნოთ თავი.

ასე ვცხოვრობდი, მაგრამ ამ სუთიოდე წლის წინათ რაღაც უცნაური რამ დამემართა, რომელიც უამაად მეორდებოდა: თავდაპირველად რამდენიმე წუთს რაღაც გაოგნება ამიტანდა, თითქოს ცხოვრება გაჩერდა, თითქოსდა აღარ ვიცოდი, როგორ მეცხოვრა, რა მეკეთებინა, და ნაღველი შემომაწვებოდა. მაგრამ თანდათან ყველაფერი გაივლიდა და ცხოვრებას ძველებურად ვაგრძელებდი. მერე გაოგნების წუთები გამიხშირდა ერთი და იგივე სახით. ცხოვრების შეჩერების ეს განწყობილება მუდამ ერთი და იგივე კითხვით გამოიხატებოდა: რისთვის? რა იქნება ამის შემდგომ?

თავდაპირველად ეს უმიზნო, უადგილო კითხვები მეგონა, მეგონა, — ეს ყოველივე ცნობილია და, თუკი მოვისურვებ და მოვიცლი ამისათვის, დიდად არ გამიჭირდება მათზე პასუხის გაცემა-მეთქი. მაგრამ კითხვები უკვე ხშირ-ხშირად მეორდებოდნენ, პასუხსაც დაუიხებით ითხოვდნენ. ეს პასუხგაუცემელი კითხვები მერე წერტილების მსგავსად ერთსა და იმავე ადგილას ეცემოდნენ და ბოლოს ერთ დიდ შავ ლაქად იქცნენ.

მობნდა ის, რაც ემართება შინაგანი სნეულებით სასიკვდილოდ დაავადებულ ყოველ ადამიანს: ჯერ თავს იჩენს სისუსტის უმნიშვნელო

ნიშნები, რომელსაც ავადმყოფი ყურადღებას არ აქცევს, მერე ის ნიშნები ხშირ-ხშირად მეორდება, ერთმანეთს ერწყმის და უწყვეტ ტანჯვად იქცევა, ტკივილი იზრდება და ავადმყოფი უკან მიხედვასაც ვერ ასწრებს, რომ უკვე აცნობიერებს, — ის, რაც მას სისუსტე ეგონა, ყოფილა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ამ ქვეყანაზე — სიკვდილი.

მეც ასე დამემართა. მივხვდი, ეს შემთხვევითი სისუსტე და უღონობა კი არა, უფრო მნიშვნელოვანი რაღაცაა და თუ ის კითხვები გამუდმებით მეორდება, უსათუოდ უნდა გაეცეს პასუხი. მეც შევეცადე მეპასუხა მათზე. თითქოს ისეთი მარტივი, სულელური და ბაღმურთი კითხვები ჩანდნენ, მაგრამ როგორც კი მათი ახსნა დაეპირე, მაშინვე ვირწმუნე, რომ, ჯერ ერთი, ისინი სულაც არ არიან ბავშვური და სულელური, არამედ სიცოცხლის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღრმა კითხვებია, მეორეც, მე არ ძალმიძს მათზე პასუხის გაცემა და არ ძალმიძს, რამდენიც არ უნდა ვეცადო ამას. ვიდრე შევუდგებოდე სამარაში ჩემი მამულის მოვლას, ვაჟიშვილის აღზრდას, წიგნების წერას, მანამდე ის უნდა გავარკვიო, რისთვის უნდა ვაკეთო ეს ყოველივე. და ვიდრე არ მეცოდინება — რისთვის, ვერც ვერაფრის გაკეთებას შევძლებ. მეურნეობის საქმეებზე რომ ვფიქრობდი, ასე რომ ჩამითრია იმ ხანებში, უცებ თავში გამიელვებდა: „კარგია, 6000 დესეტინა მიწა რომ გექნება სამარის გუბერნიაში, გეყოლება 300 ცხენი, მაგრამ მერე?...“ ჰოდა, ისე ვაგბრუვდებოდე, აღარ ვიცოდი, როგორ გამეგრძელებინა ფიქრი. ანდა, როცა ფიქრს დავიწყებდი, როგორ

აღმეზარდა შვილები, ჩემს თავს იქვე ვეუბნებოდე: „რატომ და რისთვის-მეთქი“, ან თუ გაგანაოიზებდი, როგორ მიაღწიოს ხალხმა კეთილდღეობას, უცებ ჩემს თავს ვეტყოდი: „მერედა, მერედა... მესაქმება ყოველივე ამასთან?“ და ან როცა დიდებასა და სახელზე დავფიქრებოდე, ჩემი თხზულებები რომ მომიტანდნენ, თავს შევუძახებდი: „ვთქვით, და, გოგოლზე, პუშკინზე, შექსპირზე, მოლიერზე და მსოფლიოს ყველა მწერალზე სახელოვანი გახდე, მერედა, ვითომ რა? რის მაქნისია ყოველივე ეს?“

და მე ამაზე არანაირი, არანაირი პასუხი არ გამაჩნდა.

IV

ჩემი ცხოვრება გაჩერდა. მე შემძლო სუნთქვა, ჭამა, სმა, ძილი და არ შემძლო არ მესუნთქა, არ მეჭამა, არ მესვა, არ დამეძინა. მაგრამ ეს არ იყო ცხოვრება, რადგან არ მქონდა ისეთი სურვილები, რის აღსრულებასაც გონივრულად მივიჩნევდი. თუკი რაიმეს მაინც მოვიწადინებდი, წინდაწინვე ვიცოდი, — დავიკმაყოფილებდი თუ არ დავიკმაყოფილებდი მას, ამით მაინც არაფერი გამოვიდოდა.

ჯადოქარიც რომ მოსულიყო და აღეთქვა სურვილთა აღსრულება, ვერაფერს ვეტყოდი, რადგან არ ვიცოდი, რა უნდა მეთხოვა. სურვილები კი არა და, ნატვრის ადრინდელი ხალისი თუ მაინც შემრჩენოდა — ისიც მხოლოდ თრობის წუთებში, გამოფხიზლებულს კი მესმოდა, რომ ეს თავის მოტყუებაა და სანატრელიც არაფერია. სინამდვილის შეცნობის წყურვილიც არ მქონდა, რადგან ისედაც ვხვდებოდი,

რასაც წარმოადგენდა, — დიას, სინამდვილე იყო ის, რომ სიცოცხლე უაზრობაა.

თითქოს ვცოცხლობდი და ვცხოვრობდი, მივუყვებოდი ცხოვრების გზას და უფსკრულს მივადექი. ნათლად დავინახე, წინ არაფერი მელის დაღუპვის მეტი. არადა, არც შეჩერება შემიძლია, არც უკან დახვევა, არც თვალის დახუჭვა, რათა არ დავინახო, რომ წინ არაფერია ცრუ ცხოვრებისა და ცრუ ბედნიერების, ტანჯვისა და სიკვდილის, — ერთი სიტყვით, სრული განადგურების მეტი.

სიცოცხლემ თავი მომაძულა — რაღაც დაუძლეველი ძალა მიმიძებდა განვთავისუფლებულიყავი მისგან. ვერ ვიტყვი, თითქოს თავის მოკვლა მსურდა. ძალა, სიცოცხლეს რომ მაშორებდა, სურვილზე ძლიერი, სრული და ზოგადი იყო. იგი ჰგავდა სიცოცხლისაკენ ადრინდელ მისწრაფებას, ოღონდ ახლა მას საპირისპირო მიმართულება მიეღო. მე მთელი ძალით ვესწრაფოდი სიცოცხლისაგან გაქცევას. თვითმკვლელობაზე ფიქრი ისე ბუნებრივად მეწვია, როგორც მანამდე მეწვეოდა ხოლმე ფიქრები ცხოვრების გაუმჯობესების თაობაზე. ეს ისეთი მაცდური ფიქრი იყო, საკუთარი თავის წინაშე რაღაც ეშმაკობა უნდა გამეთამაშებინა, რათა აჩქარებით სისრულეში არ მომეყვანა. არ მინდოდა მეჩქარა მხოლოდ იმიტომ, რომ მეწადა ყველა საშუალება მესინჯა თავის დასაძვრენად. თუ ვერ დავეხსნები, თავის მოკვლას ყოველთვის მოვასწრებ-მეთქი, ვამბობდი ჩემთვის. მაშინ იყო, რომ მე, ბედნიერმა კაცმა, ჩემი ოთახიდან გამოვიტანე თოკი, სადაც ყოველ საღამოს ვიყავი მარტო ტანსაცმლის გახდისას, რათა კარადებს შორის

გადებულ კედონზე თავი არ ჩამომეხრჩო. შევწყვიტე თოფით სანადიროდ სიარულიც, სიცოცხლისაგან განთავისუფლების მეტისმეტად იოლ საშუალებას რომ არ ვეცდუნებინე. თვითონ არ ვიცოდი, რა მსურდა: მაშინებდა სიცოცხლე, ვესწრაფოდი მასთან განშორებას და ამასთან კიდევ რაღაცას ველოდი მისგან.

აი, ასეთ დღეში ვიყავი მაშინ, როცა ყველაფერი მქონდა, რასაც სრულყოფილი ბედნიერება ჰქვია: ჯერ კიდევ ორმოცდაათისაღ არ ვიყავი, მყავდა კეთილი, მოსიყვარული და საყვარელი ცოლი, კარგი შვილები, მქონდა დიდი მამული, ჩემი ძალისხმევით გარეშეც რომ დიდდებოდა და ღონიერდებოდა, პატივს მცემდნენ შინაურებიც და ნაცნობებიც, გარეშენიც ადრინდელზე მეტად მასხამდნენ ხოტბას და ყოველგვარი თავის მოტყუების გარეშე შემეძლო მეფიქრა, რომ ვიყავი სახელგანთქმული, არც სულიერი და ფიზიკური ძალები მლაღატობდნენ, პირიქით, ასეთ სრულყოფილ ძალმოსილებას იშვიათად შევხვდარივარ ჩემი ასაკის ადამიანებში. ძალღონით საკუთარ გლებებს არ ჩამოვუვარდებოდი — მათთან ერთად ვავდიოდი თიბვაში, რვა-ათი საათი ყოველდღიურად ვმუშაობდი გონებრივად და, დაძაბულობის მიუხედავად, რაიმე გართულებას არ ვგრძნობდი. ამ ყოფაში მივედი სიცოცხლის უარყოფამდე, მაგრამ სიკვდილისა მეშინოდა და ვცდილობდი საკუთარი თავის წინაშე მეშმაკა, ნაადრევად რომ არ გამოვსაღმებოდი ამ ქვეყანას.

ეს სულიერი მდგომარეობა შეიძლება ასე გამოთქმულიყო: ჩემი ცხოვრება ერთი რაღაც სულელუ-

რი და უკეთური თამაშია, რომელიც ჩემს თავს ზემოთ ვილაცამ განითამაშა, და თუმცა მე არანაირ „ვილაცას“ არ ვიცნობ, ვინაც ვითომდა შემქმნა, ისეთი წარდგინება, თითქოს იმ ვილაცამ ბოროტად და სულელურად იხუმრა, როცა ამ ქვეყანაზე გამაჩინა, ზემოდან ყველაზე ბუნებრივად წარმოსადგენი შეჩვენებოდა.

იქ, სადაც არის ვილაც, — ვფიქრობდი უნებურად, — ვინაც ახლართობა ჩემი ცქერით, იმით, თუ როგორ ვიცხოვრე მთელი 30-40 წელიწადი, როგორ ვსწავლობდი, როგორ ვვითარდებოდი, ვიზრდებოდი სულიერად და ფიზიკურად; ახლა კი, ასე ძლიერი გონებრივად, ისეთ მაღალ საფეხურზე ასული, საიდანაც მთელი ცხოვრება სარკესავით მოსჩანს, მე სულელივით ვდგავარ იმ სიმაღლეზე და ცხადად ვხედავ, რომ ცხოვრება არარაობაა, რომ ის ყოველთვის არარაობა იყო და არარაობადვე რჩება. „ის კი იცინის...“

მაგრამ მართლა არის თუ არა ის „ვილაც“, მე რომ დამცინის, ეს ჩემს მდგომარეობას არ ამსუბუქებს. მე ვერ შევძელი გონივრული აზრი მიმენიჭებინა რომელიმე ჩემი ქმედებისათვის, მთელი ჩემი ცხოვრებისათვის. მე მხოლოდ ის მაოცებდა, როგორ ვერ მივხვდი ამას თავიდანვე. ხომ დიდი ხანია ცნობილია ყველასათვის, რომ დღეს თუ ხვალ გვეწვევა ესა თუ ის სწიულე, სიკაოილი (უკვე გავწვივნენ კიდევ), მეწვევა მეც, ნებისმიერ სხვასაც და აღარაფერი დარჩება ჩვენგან გახრწნისა და ჭიალუას მეტი. ყველა ჩემი საქმევ ადრე თუ გვიან მიეღება დაიწყებას, აღარც მე ვიქნები. მამ რისთვისღა ვწვალვობთ? როგორ შეუძლია ადამიანს,

არ დაინახოს ეს. არ დაინახოს და იცხოვროს — საოცარია პირდაპირ! სიცოცხლე მხოლოდ მანამა შესაძლებელი, სანამ მისით ხარ მთვრალი, გამოფხიზლდები, — იმასაც შეამჩნევ, ^{და შეამჩნევ} ^{სადაც სიცილი} სიცრუეა, სულელური სიცრუესწორედაც რომ ასეა. სასაცილო და მახვილგონივრულიც აქ არაფერია. აქ მხოლოდ სისასტიკე და სისულელეა.

უკვე დიდი ხანია არსებობს აღმოსავლური იგავი მეზავრზე, ტრიალ მინდორზე გამძვინვარებული მხეცი რომ წამოეწია. ნადირს რომ თავი დააღწიოს, მეზავრი ამომშრალ ჭაში ჩახტება, მაგრამ ჭის ფსკერზე ურჩხულს დაინახავს, რომელსაც ხახა დაუღია მის შესასანსლავად. უბედური მეზავრი ვერც ორმოდან ამოძვრომას ბედავს გამძვინვარებული ნადირის შიშით, ვერც ჭის ფსკერზე ჩახტომას, სადაც ურჩხულის ხახა ელოდება. ჰოდა, ცდილობს ჭის ნაპრალეებში ამოზრდილ ბუჩქის ტოტებს მოეჭიდოს. ხელები თანდათან უსუსტდება, გრძნობს სადაცაა უნდა დაემორჩილოს მწარე ხვედრს, ორი მხრიდან რომ ემუქრება. თავს ძლივს იმაგრებს და ამდროს შენიშნავს ორ თავგს — ერთი შავია, მეორე თეთრი — ორივე მხრიდან თანაბარი მანძილით დაშორებულთ იმ ბუჩქისაგან, რომელზეც თვითონ ჰკიდია. თავვეები დაცოცავენ და თან ღრღნიან ბუჩქის ტოტებს. სადაცაა ტოტი მოტყდება და ჩვენი მეზავრიც ურჩხულს ხახაში მოექცევა. ხედავს ამას მეზავრი, იცის, რომ განწირულია დასაღუბად და უცებ, ტოტზე დაკიდებული, აქეთ-იქით რომ ააცეცებს თვალებს, ბუჩქის ფოთლებზე თაფლს შეამჩნევს. დაუწყებს ენით ლოკვას. მეც ასე ვკიდივარ ცხოვ-

რების ტოტზე, ვიცი, რომ ვარდაუვალად მელის სიკვდილის ურჩხული, რომელიც მზადაა ჩემს დასაფლეთად, და ვერ გამიგია, რისთვის ჩავვარდი ამ სატანჯველში. სასოწარკვეთილი ვწუწნი თაფლს, წინათ ასე რომ მამშვიდებდა, ახლა კი აღარ მშველის. თეთრი და შავი თაგვები ყოველ დღე და ღამე ღრღნიან იმ ტოტს, რაზეც ვკიდევარ. ნათლად ვხედავ ურჩხულს და თაფლის სიტკბოსაც უკვე ველარ შევიგრძნობ. თვალწინ ისევ ურჩხული და თაგვები მიდგანან და არ ძალმძს მზერა მოვარიდო მათ. ეს იგავი არ არის, ეს ჭეშმარიტებაა, ყველასათვის გასაგები უდავო სიმართლე.

ცხოვრების სიახეთა წინანდელი სატყუარა, ურჩხულის შიშს რომ მიხშობდა, უკვე ველარ მაცდუნებს. რამდენიც არ უნდა მელაპარაკონ: მენ ვერ ჩასწვდები ცხოვრების არსს, ფიქრებს ნუ აპყვები, ისე იცხოვრო, — ამას ვერ შევძლებ, რადგან ადრე მეტისმეტად ბევრჯერ მოვქცეულვარ ასე, ახლა არ შემიძლია არ შევამჩნიო, როგორ მოქრიან დღეები და ღამეები და სიკვდილისაკენ მიმაქანებენ. მარტო ამას ვხედავ, რადგან მარტო ესაა ჭეშმარიტება. დანარჩენი ყველაფერი სიცრუეა.

ის ორიოდე წვეთი თაფლი — ხელოვნებას რომ ვუწოდებდი — ოჯახისა და მწერლობის სიყვარული, — რომელთაც სხვებზე ხანგრძლივად მოარიდეს ჩემი მზერა უწყალო სინამდვილეს, — უკვე აღარ მეტკბილება.

„ოჯახი...“ — ვამბობ ჩემთვის; მაგრამ ოჯახი ხომ ცოლი და შვილებია; ისინიც ხომ ადამიანები არიან; ისინიც ხომ ჩემისთანა პირობებში ცხოვრობენ: მათაც ხომ ან

სიცრუეში უნდა იცხოვრონ ან თვალი გაუსწორონ საშინელ სინამდვილეს. მაგრამ რისთვის უნდა იცხოვრონ? რისთვის უნდა მიყვარდნენ ისინი, რისთვის გავუფრთხილდე, მოვუარო, მოვსარძო და ვიცვა? — იმ სასოწარკვეთისათვის, მე რომ ვარ ჩავარდნილი, თუ დოჟლაპიობისათვის? მე ისინი მიყვარს და არ შემეძლია დავუშალო ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება კი არის სიკვდილი.

„ხელოვნება, პოეზია?...“ ადამიანთა მხრიდან მოსმენილი ქების გავლენით დიდხანს ვირწმუნებდი თავს, ეს ის საქმეა, რომელიც უნდა აკეთო-მეთქი იმის მიუხედავად, რომ გვეწვევა სიკვდილი და გაანადგურებს ყოველივეს, — მეც, ჩემს საქმესაც და მათზე ხსოვნასაც-მეთქი. მაგრამ მალე მივხვდი, რომ ესეც სიცრუე იყო. ნათელი გახდა, რომ ხელოვნება ცხოვრების სამკაულია, — მისი სატყუარა, მაგრამ ცხოვრებამ ჩემს თვალში დაკარვა მიმზიდველობა. მაშინ როგორღა შევძლო სხვას დაგანახო მისი მიმზიდველობა? სანამ საკუთარი ცხოვრებით არა ვცხოვრობდი და სხვათა ცხოვრება მაქანაძებდა თავის ტალღებზე, სანამ მწამდა, რომ სიცოცხლეს აზრი გააჩნდა, თუმცა კი მისი გამოთქმა არ შეემძლო, — ცხოვრების ყველა ანარეკლი პოეზიასა და ხელოვნებაში დიდ სიხარულს მანიჭებდა, მახარებდა მისი ხილვა ხელოვნების სარკეში; მაგრამ როცა ცხოვრების არსის ძიება დავიწყე, როცა ვიგრძენი აუცილებლობა — თავადაც მეცხოვრა — სარკე იგი ჩემთვის არატურის მაქნისი, ზედმეტი და სასაცილო, მეტიც — მტანჯველი შეიქნა. მე უკვე აღარ მანუგეშებდა ის, რასაც სარკეში ვხედავდი, რომ ჩემი მღვობარეობა იყო

სულელური და უსასოო. როცა სულს სიღრმეში მწამდა, ჩემს ცხოვრებას აზრი აქვს-მეთქი, ხელოვნების სარკვეც სიხარულს მანიჭებდა. კომიკურისა და ტრაგიკულის, შემადრწუნებლისა და მშვენიერის, ცხოვრების საშინელებათა შუქჩრდილების თამაში მართობდა. მაგრამ როცა ვირწმუნე, ცხოვრება უაზრო და თავზარდამცემი იყო, — სარკვეში თამაშს აღარ შეეძლო ჩემი შექცევა. თაფლის სიტკბო მიწყივ აღარ იყო სიტკბოება, რაკი ვხედავდი, რომ ურჩხული და თავგები ჩემს საყრდენს ღრღნიდნენ.

მაგრამ ესეც ცოტა იყო. უბრალოდ რომ მიუმხვდარიყავი, ცხოვრებას აზრი აღარა აქვს-თქო, მაშინ მშვიდად შევხვდებოდი ამას, მშვიდადვე შევეგებებოდი იმ აზრს, რომ ეს იყო ჩემი ხვედრი. მაგრამ ამას არ შეეძლო ჩემი დამშვიდება. ის კაცი რომ გყოფილიყავი, რომელიც ტყეში ცხოვრობს და კარგად იცის იქიდან გამოსავალი არაა, მაშინ შემეძლო მშვიდად მეცხოვრა, მაგრამ მე ვიყავი ის კაცი, ვისაც ტყეში გზა აებნა და თავზარდამცემული აწყდება აქეთ-იქით, რათა როგორმე გზაზე გამოვიდეს. თუმცა იცის, რომ ყოველი ნაბიჯი კიდევ უფრო უბნებს გზა-კვალს, მაინც არ შეუძლია გამწარებით არ ეძიოს გზა.

აი, ეს იყო საშინელება, და ამ საშინელებას რომ ვავქცევოდი, მინდოდა თავის მოკვლა. თავზარს მცემდა მოსალოდნელი, — გიცოდი ეს იყო ყველაზე დიდი საშინელება, მაგრამ არ შემეძლო მისგან თავის დაღწევა, არც ის შემეძლო მოთმინებით დავლოდებოდი დასასრულს. დიახ, რაც არ უნდა დამაჯერებელი ყოფილიყო ფიქრი, რომ სულ ერთია სადაცაა მაინც გასკდება სისხლძარღვი მკერდში ან სხვა რაღაცა

და ყოველივე დასრულდება-მეთქი, არ შემეძლო მოთმინებით დავლოდებოდი დასასრულს. მეტისმეტად დიდი იყო უკუნეთის შიში და მსურდა სასწრაფოდ, სასწრაფოდ ვავთავისუფლებულიყავი მისგან. ვერყუყუის ან ტყვიის საშუალებით.

აი, რა გრძნობა მიზიდავდა ყველაზე ძლიერ თვითმკვლელობისაკენ.

V

„მაგრამ იქნებ მე გამომრჩა ან ვერ გავიგე რაღაც? — ვუმეორებდი საკუთარ თავს. — შეუძლებელია ასეთი სასოწარკვეთა ჩვეულგბრივი იყოს ადამიანებისათვის“. და მეც ვეძებდი პასუხს ჩემს კითხვებზე ყველა იმ ცოდნის წყაროდან, უკვე რომ დაეგროვებინათ ადამიანებს. ვეძებდი დიდხანს, გამწარებით, მაგრამ არა ფუჭი ცნობისმოყვარეობის კარნახით, ზანტად კი არ ვეძებდი, არამედ ტანჯვით, ჯიუტად, ღლისით და ღამით, ისე, როგორც დაეძებს ხსნას დასაღუპად განწირული კაცი, და მაინც ვერაფერს მივაგენი.

პასუხს ვეძებდი ცოდნის ყველა წყაროში, მაგრამ არათუ ვიპოვე რამე, იმაშიც დავრწმუნდი, ვერც იმათ იპოვის, ჩემსაკვით რომ ეძებდნენ მანამდე, ეძებდნენ და გულწრფელად აღიარეს, რომ ის, რაც სასოწარკვეთილებაში მაგდებდა — სიცოცხლე უაზრობაა — არის ერთადერთი უღავო ცოდნა, რომლის მიღწევაც ხელეწიფება ადამიანს.

ასე ვეძებდი ყველგან და სწავლაში გატარებული ცხოვრებისა და იმ კავშირების წყალობით, სწავლულთა სამყაროსთან რომ გავაბი, ხელმისაწვდომი გახდა ურთიერთობა ცოდნის მრავალი დარგის მეცნიერებთან, რომლებიც არ მამადლი-

დნენ გადაეშალათ ჩემთვის მთელი თაფიანთი ცოდნა მხოლოდ წიგნებისა კი არა, საუბრების საშუალებითაც, — და მე ყველაფერი შევიტყვე, რასაც სიცოცხლის არსზე პასუხობს მეცნიერება.

დიდხანს არა და არ მეჯერა, რომ სიცოცხლის რაობის შესახებ ცოდნა და მეცნიერება იმაზე მეტს არას ამბობდა, რაც უკვე ცნობილი იყო. მეცნიერების დარწმუნებულ, სერიოზულ ტონს რომ ვაკვირდებოდი, როცა თავის დებულებებს ასაბუთებდა, რასაც საერთო არაფერი ჰქონდა ადამიანის სიცოცხლის აზრთან, დიდხანს მეგონა, თვითონ რაღაც არ მესმის-მეთქი, დიდხანს ვიდექი რაღაცნაირი მოკრძალებით ცოდნის წინაშე და მეჩვენებოდა, რომ ჩემს შეკითხვებზე პასუხების შეუსაბამობა მეცნიერებისა კი არა, ჩემი უმეცრების დამსახურება იყო. მაგრამ ეს ჩემთვის სახუმარო ამბავი სულაც არ გახლდათ, არც გასართობი რამ, ეს მთელ ჩემს ცხოვრებას შეეხებოდა და მე ნება-უნებურად მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩემი კითხვები საფუძვლიანი კითხვებია და ყოველგვარი მეცნიერებისა და ცოდნის ძირისძირს წარმოადგენენ, და მე კი არა ვარ დამნაშავე, ასეთ კითხვებს რომ ვაყენებ, არამედ მეცნიერება, თუკი იგი მისწრაფებულია პასუხი გასცეს ამ კითხვებს.

ჩემი კითხვა, — ის კითხვა, რომ ცოდნათი წლის ასაკში თვითმკვლელობა რომ მაფიქრებინა, ყველაზე მარტივი კითხვა იყო, რომელიც ყოველი ადამიანის სულში ბუდობს — სულელი ბავშვი იქნება იგი თუ ბრძენი მოხუცი, — კითხვა, ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელია, როგორც თავად გამოვცადე სინამდვილეში. კითხვა ასეთია: „რა

გამოვა იქიდან, რასაც ახლა ვაკეთებ, რასაც სვალ ვაკეთებ, — რა გამოვა მთელი ჩემი ცხოვრებიდან?“

სხვაგვარად ეს კითხვა ასე გამოითქმის: „რისთვის უნდა ვიცხოვრო, რისთვის უნდა ვაყუთო, რისთვის უნდა ვაკეთო რამე?“ შეიძლება კიდევ ასეც: „აქვს კი ჩემს სიცოცხლეს ისეთი აზრი, რასაც ჩემი გარდაუვალი სიკვდილი არ განადგურებს?“

აი, ამ სხვადასხვაგვარად გამოთქმულ ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხს ვეძებდი კაცობრიობის დაგროვილ ცოდნაში, და აღმოვაჩინე, რომ ამ საკითხთან მიმართებაში კაცობრიობის მთელი ცოდნა თითქოს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო სფეროდაა გაყოფილი, რომელთა საპირისპირო ბოლოებზე ორი პოლუსია განლაგებული: უარყოფითი და დადებითი; მაგრამ არც ერთსა და არც მეორე პოლუსზე სიცოცხლის აზრზე პასუხი არ მოიპოვება.

ცოდნის ერთი რიგი თითქოს არა სცნობს კითხვას, სამაგიეროდ საფსებით ნათლად და ზუსტად პასუხობს მისგანვე დამოუკიდებლად დაყენებულ საკითხს: ესაა გამოცდილებით მიღებულ ცოდნათა რიგი და მათ უკიდურეს წერტილზე დგას მათემატიკა; ცოდნის მეორე რიგი კითხვას კი აღიარებს, მაგრამ მასზე პასუხს არ იძლევა; ესაა გონებაჭვრეტით ცოდნათა რიგი და მათ ბოლო წერტილზე დგას მეტაფიზიკა.

მე სულ ადრეული სიამაფილიდან მიზიდავდნენ გონებაჭვრეტითი ცოდნის წყაროები, მერე მათემატიკურმა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება და ვიდრე ნათლად არ დავეყენე ჩემს თავს კითხვა, ვიდრე იგი თავად ჩემში არ ამოიზარდა და დაუწინებლად არ მოითხოვა პასუხის გა-

ცემა, მანამდე იმ ყალბ პასუხებს ვჯერდებოდი, ცოდნა რომ იძლევა. აი, გამოცდილებით მიღებული ცოდნის სფეროში რომ ჩავდრმა ვდებოდი, ჩემს თავს ვეუბნებოდი: „ყოველივე ვითარდება, იწყებს დიფერენცირებას, ყოველივე თანდათან რთულდება, სრულყოფილი ხდება და მდინარებას თავისი კანონებით მართავს. შენ მთელის ნაწილი ხარ, შეიცნობ რა, რამდენადაც შესაძლებელია, მთელს და შეიცნობ რა განვითარების კანონს, ამით შეიცნობ შენს ადგილს მთელში და შეიცნობ საკუთარ თავს. იყო დრო, თუმც კი მრცხვენია ამის აღიარება, როცა ასეთი პასუხი თითქოსდა მაკმაყოფილებდა. ეს სწორედ მაშინ იყო, როცა მე თავად სიღრმე მემატებოდა. მეხსიერება ჩემი გამდიდრდა, აზროვნებისა და წვდომის უნარი გამიფართოვდა. ერთი სიტყვით, ვიზრდებოდი და ვვითარდებოდი და, ამ ჩემს ზრდას რომ ვგრძნობდი, ბუნებრივად მეგონა, აი, ეს არის სამყაროს განვითარების კანონი, რომელშიც საკუთარი სიცოცხლის რაობის შესახებ პასუხს ვიპოვი-მეთქი. მაგრამ დაღვა დრო და ზრდა შეჩერდა — ვიგრძენი, განვითარებაც შეწყდა, თითქოს ვიფიტები, კუნთები მომიღუნდა, კბილები დამცვივდა, — და დავიანახე, რომ ეს კანონი არაფერს მინსნის, ის კი არა, არც არასოდეს არსებულა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. ეს მე მივიღე კანონად ის, რაც ჩემს თავში აღმთვაჩინე ჩემი სიცოცხლის იმ გარკვეულ ხანაში. მე უფრო მეტად მოვეკიდე ამ კანონის დადგენას და ნათლად დავიანახე, რომ უსასრულო განვითარების კანონის არსებობა შეუძლებელია. თქმა იმისა, რომ უსასრულო სივრცესა და დროში ყოველივე ვი-

თარდება, სრულიქმნება, რთულდება და დიფერენცირდებაო, ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არაფერი თქვა. ეს მნიშვნელობას მოკლებული სიტყვებია, რამეთუ უსასრულობაში არ არსებობს არაფერი, არც მარტივი, არც წინა და არც უკანა, არც კარგი და არც ცუდი.

მთავარი კი ის არის, რომ ჩემი პირადი კითხვა — რას წარმოვადგენ მე ჩემი სურვილებით-თქო? — დარჩა პასუხგაუცემელი, და მე მივხვდი, რომ ცოდნა ამისა მეტად საინტერესო, მიმზიდველი კი არის, მაგრამ ეს ზუსტი და ნათელი ცოდნა უკუპროპორციულია სიცოცხლის რაობის შესახებ კითხვისა; რაც უფრო ნაკლებ უახლოვდებიან კითხვებს სიცოცხლის აზრზე, მით უფრო ზუსტი და ნათელია ისინი, მაგრამ რაც უფრო ცდილობენ ამოხსნან კითხვები სიცოცხლის აზრზე, მით უფრო ბუნდოვანი და ნაკლებმიმზიდველნი ხდებიან. ცოდნის იმ განხრებს თუ მიადგები, რომლებიც ცდილობენ ამოხსნან სიცოცხლის აზრი, — ეს არის ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, ბიოლოგია, სოციოლოგია, — იქ წააწყდები აზროვნების გასაოცარ სიმწირეს, დიდ ბუნდოვანებას, ყოვლად გაუმართლებელ სწრაფვას მოუხელთებელი კითხვების ამოხსნაზე და დაუსრულებელ ურთიერთწინააღმდეგობას მთაზროვნეთა შორის, მეტიც — ასეთსავე წინააღმდეგობას თითოეული მთაზროვნის საკუთარ ნააზრეშიც. თუ ცოდნის იმ სფეროს მიადგები, რომელიც სიცოცხლის რაობით არ არის დაკავებული და მხოლოდ საკუთარ მეცნიერულ, სპეციფიკურ-კონკრეტულ კითხვებზე მუშაობს, აღფრთოვანებული დარჩები ადამიანის გონებრივი ძალმოსილებით, მაგრამ წინასწარვე იცი, რომ სიცოცხლის

აზრზე პასუხს აქ ვერ მიიღებ. ეს მეცნიერებანი უკუაგდებენ, იგნორირებას უკეთებენ კითხვას სიცოცხლის აზრზე და პირდაპირ ამბობენ: „იმაზე, რას წარმოადგენ და რისთვის ცხოვრობ ამქვეყნად, ჩვენ პასუხი არ გავვაჩნია და საერთოდაც ეს ჩვენ არ გვაინტერესებს; მაგრამ თუკი გჭირდება იცოდეს სინათლის, ქიმიური შენაერთების, ორგანიზმთა განვითარების კანონები, თუკი ასევე გჭირდება სხეულთა, მათ ფორმათა კანონების ცოდნა, რიცხვთა და სიდიდეთა დამოკიდებულება, თუ გჭირდება საკუთარი გონების კანონთა ცოდნაც, ყველა ამათზე ჩვენ ნათელ, ზუსტ და უდავო პასუხებსა ვფლობთ“.

საერთოდ მეცნიერებათა დამოკიდებულება სიცოცხლის აზრთან მიმართებით ასე შეიძლება გამოითქვას: რისთვის ვცხოვრობ? — პასუხია: უსაზღვროდ დიდ სივრცეში, უსაზღვროდ სანგრძლივ დროში უსაზღვროდ წერილი ნაწილაკები სახეს იცვლიან უსაზღვროდ რთული სახით და როცა ამ სახეცვლილების კანონთ ჩასწვდები, შეიცნობ იმასაც, რისთვის ცხოვრობ ამ ქვეყანაზე.

გონებაჭვრეტით მეცნიერებათა სფეროს რომ მივუბრუნდებოდით, თავს ვეუბნებოდი: „მთელი კაცობრიობა ცხოვრობს და ვითარდება სულიერი საწყისების — იდეალების საფუძველზე. ეს იდეალები აისახება რელიგიებში, მეცნიერებებში, ხელოვნებებში, სახელმწიფოებრიობის ფორმებში. ეს იდეალები სულ უფრო მაღლდებიან და მაღლდებიან, კაცობრიობა უახლოვდება უზენაეს სიკეთეს. მე — კაცობრიობის ნაწილი ვარ, ამიტომაც ჩემი მოწოდებაა ხელი შევუწყო საკაცობრიო

იდეალების აღიარებასა და აღსრულებას“. ასე ვამბობდი და ჩემი გონებაჩლუნგობის ქამს კმაყოფილიც ვიყავი ამით. მაგრამ როგორც კი ჩემში სიცოცხლის აზრის საკითხი წამოიჭრა, იმდენად აღიშინებდა ეს თეორიაც, რომ არაფერი ვთქვათ არაკეთილსინდისიერ უზუსტობაზე, რომლის პირობებშიც ამ სახის ცოდნა გამოიტანს დასკვნებს, კაცობრიობის უმცირესი ნაწილის შესწავლის შედეგად რომ მიიღო, და მათ საყოველთაოდ დასკვნებად აცხადებს, რომ არაფერი ითქვას იმ თვალსაზრისის — რა არის ეს საკაცობრიო იდეალები, — მრავალრიცხოვან მომხრეთა ურთიერთდაპირისპირებულობაზე, ამ თვალსაზრისის უცნაურობა, თუ არ ვიტყვით სისულელე-თქო, ის ვახლავთ, რომ თუ გვიხდა პასუხი გავცეთ კითხვას, ყოველი კაცი რომ დაუსვამს თავს: „ვინა ვარ მე“, ანდა „რისთვის ვცხოვრობ მე“, ანდა „რა უნდა ვაკეთო მე“, — ადამიანმა ჯერ უნდა უპასუხოს კითხვას: „რას წარმოადგენს მისთვის მთელი უცნობი კაცობრიობის ცხოვრება, რომლიდანაც მისთვის ნაცნობია ერთი პაწაწინა ნაწილი პაწაწინა დროის პერიოდში?“, რომ გაიგოს რას წარმოადგენს ის, ადამიანმა ჯერ უნდა გაიგოს, რას წარმოადგენს ეს იღუმალი კაცობრიობა, ისეთივე ადამიანებისაგან რომ შედგება, როგორიც თვითონაა, და საკუთარი თავი ვერ შეუცვნია.

უნდა გამოვტყდეთ, რომ იყო დრო, როცა ამისი მჯეროდა, როცა საკუთარი სანუკვარი იდეალები მქონდა, ჩემს ახირებებს რომ ამართლებდნენ, და ვცდილობდი ისეთი თეორია მომეფიქრებინა, რაზე დაყრდნობითაც საკუთარ ახირებებს

საკაცობრიო კანონად მივიჩნევდი. მაგრამ როცა სულში საოცარი სისწრაფით წაშლიმართა კითხვა სიცოცხლის აზრზე, ეს პასუხიც ფერფლივით გაიფანტა. მე მივხვდი, რომ თუკი ცდისეულ მეცნიერებებში არსებობენ ნამდვილი და ნახევარმეცნიერებანი, რომლებიც ცდილობენ პასუხი გასცენ მათზე დაქვემდებარებულ კითხვებს, ამ სფეროშიც (გონებაჭვრეტით მეცნიერებებში — მთარგმნ.) არსებობს მთელი წყება ყველაზე გავრცელებულ ცოდნათა, დაუქვემდებარებელ კითხვებზე პასუხის გაცემას რომ ცდილობენ. ამ სფეროს ნახევარმეცნიერებანი — იურიდიული, სოციალური, ისტორიული მეცნიერებანი ცდილობენ უპასუხონ ადამიანის მიერ დასმულ კითხვას იმით, რომ ყოველი მათგანი მოჩვენებითად, თუმცა თითოეული თავისებურად, ახერხებს პასუხი გასცეს სრულიად კაცობრიობის სიცოცხლის საკითხს.

მაგრამ თუ ცდისეულ მეცნიერებათა სფეროში ადამიანი, გულწრფელად რომ კითხულობს, როგორ ვიცხოვროს, ვერ დაკმაყოფილდება პასუხით: შეისწავლე განუსაზღვრელ სივრცეში განუსაზღვრელ დროში განუსაზღვრელი სირთულის ნაწილაკების ცვალებადობა და მაშინ გაიგებ შენი ცხოვრების აზრსო, ასევე — გულწრფელი ადამიანი ვერ დაკმაყოფილდება ასეთი პასუხით: შეისწავლე მთელი კაცობრიობის ცხოვრება, რომლის არც ბოლო ვიცით და არც დასაწყისი, და რომლის თვით უმცირესი ნაწილიც ჩვენთვის უცნობია, და მაშინ გაიგებ, რა არის შენი ცხოვრება. ასევე შესტად ცდისეულ ნახევარმეცნიერებებშიც და ეს ნახევარმეცნიერებანი მით უფრო მეტად არიან აღსავსენი ბუნდოვანებით, უზუს-

ტობებით, სისულელებითა და წინააღმდეგობებით, რაც უფრო მეტად უვლიან გვერდს საკუთარი ამოცანების გადაჭრას. ცდისეული მეცნიერების ამოცანათა მატერიალური მოვლენების მიხედვით შედეგობრიობის კვლევა, საკმარისია ცდისეულმა მეცნიერებამ შემოიტანოს საკითხი საბოლოო მიზეზებზე და სისულელეც არ დააყოვნებს. გონებაჭვრეტითი მეცნიერების ამოცანაა სიცოცხლის მიზეზგარეშე რაობის გაცნობიერება, მაგრამ როგორც კი მიზეზობრივი მოვლენების კვლევას დაისახავს, როგორცაა სოციალური და ისტორიული, კვლავ სისულელე გამოდის.

ცდისეული მეცნიერება მხოლოდ მაშინ გვაძლევს დადებით ცოდნას და ცხადყოფს ადამიანის გონების სიდიადეს, როდესაც თავისი კვლევა-ძიების საგნად საბოლოო მიზეზს არ სახავს. და პირიქით, გონებაჭვრეტითი მეცნიერება მხოლოდ მაშინაა მეცნიერება და ცხადად წარმოაჩენს ადამიანის გონების სიდიადეს, როდესაც იგი სავსებით უკუაგდებს მიზეზობრივი მოვლენების შედეგობრიობის საკითხს და ადამიანს განიხილავს საბოლოო მიზეზთან მიმართებაში. ასეთი მეცნიერება გონებაჭვრეტით მეცნიერებათა სფეროში, ამ ნახევარსფეროს პოლუსს რომ წარმოადგენს, — არის მეტაფიზიკა, ანუ გონებაჭვრეტითი ფილოსოფია. ეს მეცნიერება ნათლად სვამს კითხვას: ვინა ვარ მე და რას წარმოადგენს მთელი სამყარო? მას შემდეგ, რაც ეს მეცნიერება არსებობს, პასუხიც ყოველთვის ერთია. სიცოცხლის რაობას ფილოსოფოსი უწოდებს იდეას თუ სუბსტანციას, სულსა თუ ნებას, რომელიც არსებობს ჩემში და ყოვე-

ლივე არსებულში, ფილოსოფოსი აძობს ერის, — ეს ყოფიერება არსებობს და იგივე ყოფიერება ვარ მე. მაგრამ რატომ არსებობს, ფილოსოფოსმა არ იცის და ვერ პასუხობს, თუ იგი ზუსტი მოაზროვნეა. მე ვკითხულობ: რატომ ვარ მე ეს ყოფიერება? რა გამოდის იქიდან, რომ ეს ყოფიერება არსებობს და იარსებებს?... ფილოსოფია ამაზე პასუხს არ იძლევა, მეტიც — თვითონაც მხოლოდ აყენებს საკითხს. და თუ ის ჭეშმარიტი ფილოსოფიაა, მისი საქმე მხოლოდ ისაა, ნათლად დააყენოს ეს საკითხი. თუკი იგი მტკიცედ ისახავს თავის ამოცანას, არც შეუძლია სხვანაირად უპასუხოს კითხვას: — „ვინა ვარ მე და რას წარმოადგენს მთელი სამყარო?“ — თუ არა ამგვარად: „ყველაფერი და არაფერი“. ხოლო კითხვაზე: „რისთვის არსებობს მთელი სამყარო და რისთვის ვარსებობ მე?“ — უპასუხოს: „არ ვიცი“.

ასე რომ, როგორც არ უნდა ვატრიალო ფილოსოფიის ეს გონებაჭვრეტითი საკითხები, პასუხის მსგავსს მაინც ვერაფერს მივიღებ. არა იმიტომ, რომ ნათელ, ცდისეულ სფეროში პასუხი ჩემს კითხვას არ ეხმიანება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ აქ პასუხი არ არსებობს იმის მიუხედავად, რომ მთელი გონებრივი ქმედება სწორედ ჩემი კითხვისკენაა მიმართული, პასუხის სანაცვლოდ კი ვღებულობთ იგივე კითხვას, კიდევ უფრო გართულებული ფორმით.

VI

სიცოცხლის აზრის შესახებ პასუხის ძიებისას შემთხვევით ისეთივე განცდამ, რასაც გრძნობს ტყეში გზააბნეული ადამიანი.

გავდივარ მინდორზე, მივძვრები ხეზე და ვხედავ ნათელ, უკიდევანო სივრცეს. მაგრამ ამ მინდორზე არ ჩანს სახლი და არც შეიძლება იყოს. შევდივარ უღრან, დაბურულ ტყეში, ვიჭრებ წყვილიადში, არც იქ იღანდება სახლის კვალი.

ასე დავეხეტები კაცობრიული ცოდნის წყვილიადში, მათემატიკურ და ცდისეულ ცოდნათა სხივებს შორის, ნათელ პორიზონტებს რომ აფენენ ჩემს თვალწინ, თუმცა ამ სხივების შუქზე არა ჩანს სახლი; დავეხეტები გონებაჭვრეტითი ცოდნის ლაბირინთებში და, რაც უფრო შორს მივიწევ და ვეფლობი მის სივრცეში, საბოლოოდ ვრწმუნდები, ტყიდან გასასვლელს ვერ მივაკვლევ, რადგან ასეთი გასასვლელი არ შეიძლება არსებობდეს.

ცოდნის ნათელ მხარეს რომ მივაშურებ, ვხვდები, თვალს ვარიღებ პასუხს. რა ნათელი და მიმზიდველიც არ უნდა იყოს ჩემთვის ეს პორიზონტები, რა მაცდუნებელიც არ უნდა იყოს ცოდნის უსასრულობაში ჩაძირვა, მე უკვე ადვილად ვხვდები, რომ ეს ცოდნა მით უფრო ნათელია, რაც უფრო ნაკლებად მჭირდება და რაც უფრო სუსტად პასუხობს ჩემს შეკითხვებს.

მე ხომ ვიცი უკვე ყოველივე, — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — რისი ცოდნაც ასე ჯიუტად მოუსურვებია მეცნიერებას, თუმცა პასუხი ჩემი სიცოცხლის აზრის შესახებ ამ გზაზე არ არსებობს. გონებაჭვრეტით სფეროშიც, იმის მიუხედავად ანდა სწორედ იმიტომ, რომ ცოდნის მიზანი პირდაპირ ჩემი კითხვის პასუხის გაცემას ცდილობს, პასუხი არის ისეთივე, მე თვითონ რომ ვუთხარი საკუთარ თავს: რა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას? — არავითარი. — ანდა: რა გამო-

ღის ჩემი ცხოვრებიდან? — არა-
ფერი. — ან: რისთვის არსებობს ის
ყოველივე, რაც არსებობს, რისთვის
ვარსებობს მე? — იმისთვის რომ
არსებობს.

კაცობრიული ცოდნის ერთ მხა-
რეს თუ მივმართავდი შეკითხვით,
უსასრულო რაოდენობის ზუსტ პა-
სუსს ვიღებდი იმაზე, რაც მე არ
მაინტერესებდა. ეს იყო პასუსი
ვარსკვლავთა ქიმიურ შედგენი-
ლობაზე, მზის მრუნივაზე პერკუ-
ლესის თანავარსკვლავედის გარ-
შემო, გვართა და ადამიანთა წარ-
მოშობაზე, უსასრულო სიმცირის
ატომთა ფორმებზე, უსასრულო
სიმცირის ეთერის უწონადო ნაწი-
ლაკების ცვლილებათა შესახებ,
მაგრამ ცოდნის ამ სფეროს პასუსი
კითხვაზე: რა არის ჩემი სიცოცხ-
ლის აზრი? — იყო ერთადერთი:
შენ ხარ ის, რასაც შენ სიცოცხლეს
უწოდებ, შენ — ნაწილაკთა დრო-
ებითი, შემთხვევითი ერთობლიობა
ხარ. ამ ნაწილაკების ურთიერთშე-
მოქმედება, მათი ცვალებადობა შე-
ნში წარმოქმნის იმას, რასაც შენ
შენს სიცოცხლეს უწოდებ. ეს ერ-
თობლიობა რამდენიმე ხანს კი გა-
გრძელდება, შემდეგ ამ ნაწილაკე-
ბის ურთიერთქმედება შეწყდება და
შეწყდება ის, რასაც შენ სიცოცხ-
ლეს უწოდებ. შეწყდება ყველა შენი
კითხვაც. შენ შემთხვევით შეწყბე-
ბული რაღაცის გუნდა ხარ. გუნდა
იგი ისრწინება. სრწინას, ლპობას შენი
სიცოცხლე ჰქვია. გუნდა ვაიფანტე-
ბა — შეწყდება სრწინა და ყველა კი-
თხვაც გაქრება. ასე პასუსობს ცო-
დნის ნათელი მხარე და მეტს ვერც
გერაფერს იტყვის, თუკი მკაცრად
მისივეს თავისი საფუძვლების შე-
ნარჩუნებას.

ხოლო ის ბუნდოვანი გარიგება-
ნი, ცდისეული, ზუსტი ცოდნა რომ
დებს გონებაჭვრეტით ცოდნასთან,

რომელიც ამბობს, სიცოცხლის აზ-
რი არის განვითარება და ამ გან-
ვითარების ხელშეწყობაო, არ ჩაი-
თვლება პასუსად თავისი უზუსტო-
ბისა და ბუნდოვანების გამო?

გონებაჭვრეტით ცოდნა მკაც-
რად რომ იცავს თავის საფუძვლებს
და პირდაპირ პასუსობს კითხვაზე,
ყველგან და ყოველ საუკუნეში ამ-
ბობს ერთსა და იმავეს: სამყარო
უსასრულო და შეუცნობადი რაღაც
არის. ადამიანის სიცოცხლე ამ
მიუწვდომელი „რაღაცის“ მოუხელ-
თებელი ნაწილია. მე კვლავ გამოვ-
რიცხავ გონებაჭვრეტითსა და ცდი-
სეულ ცოდნათა გარიგებათ, ნახე-
ვარ მეცნიერებათა სრულ ბალასტს
რომ შეადგენს. ესენია — იურიდი-
ული, პოლიტიკური და ისტორიუ-
ლი მეცნიერებანი, რომლებიც
კვლავაც ძველებურად არასწორად
აყენებენ განვითარების, სრულყო-
ფის ცნებებს, ოღონდ განსხვავება
ერთია. იქ ყოველივეს განვითარე-
ბაა, აქ ადამიანის სიცოცხლე. უზუ-
სტობაც ერთნაირია: განვითარებას,
სრულყოფას უსასრულობაში არ
შეიძლება ჰქონდეს მიზანი, მიმარ-
თულება და არც ჩემს შეკითხვაზე
იძლევა იგი პასუსს.

იქ კი, სადაც გონებაჭვრეტითი
ცოდნა ზუსტია ანუ სწორედ ჭეშმა-
რიტ ფილოსოფიაში, არა იმაში,
რასაც მოპენჰაუერი პროფესორულ
ფილოსოფიას უწოდებს, რომელიც
მხოლოდ ყველა არსებულ მოვლე-
ნას ანაწილებს ახალ ფილოსოფი-
ურ გრაფებში და ახალ სახელებს
არქმევს მათ, — არამედ იქ, სადაც
ფილოსოფოსი მხედველობიდან არ
უშვებს არსებით კითხვას, ყოველ-
თვის იძლევა ერთსა და იმავე პა-
სუსს, იმ პასუსს, რომელიც მოგვ-
ცეს სოკრატემ, მოპენჰაუერმა, სო-
ლომონმა და ბუღამ.

„ჩვენ ვუახლოვდებით ჭეშმარი-
ტებას მხოლოდ იმდენად, რამდენა-

დაც ვმორდებით სიცოცხლეს“ — ამბობდა სოკრატე სიკვდილის წინ. — „მაშ რისთვის ვესწრაფით სიცოცხლეს ჩვენ, ჭეშმარიტების მოყვარულნი? იმისათვის, რათა გავთავისუფლდეთ სხეულისაგან და იმ ყოველივე ბოროტისაგან, რაც სხეულის სიცოცხლისაგან გამომდინარეობს. თუკი ასეა, რატომ არ უნდა გავიხაროთ, როდესაც სიკვდილი კარზე მოგვიკაკუნებს?“

„შრძენი სულ მუდამ სიკვდილს ეძებს და ამიტომაც სიკვდილი მას არ აშინებს“.

„როცა შევიცნობთ სამყაროს რაობას, როგორც თავისუფლებას, — ამბობს შოპენჰაუერი, — და ყველა მოვლენას — ბუნების ბნელ ძალთა გაუცნობიერებელ სწრაფვასა თუ ადამიანის საქმიანობის სრულ შემეცნებას, — ამ ნების ოდენ საგნობრიობას რომ აღიარებს, — ჩვენ ვერაფრით დავაღწევთ თავს იმ შედეგს, რომ ნების თავისუფალ უარყოფასთან, თვითგანადგურებასთან ერთად გაქრება ყველა ის მოვლენაც — თუ გამუდმებული სწრაფვა და უმიზნო ლტოლვა და საგნობრიობის ყოველ საფეხურზე ჩამოსვენება, რისგან და რომელთა გადაღახვის შედეგადაც არსებობს სამყარო, გაქრება თანმიმდევრულ ფორმათა მრავალფეროვნება და ყველა მისი მოვლენა საერთო ფორმებით, დროითა და სივრცით, და დასასრულს — გაქრება ნების უკანასკნელი ძირითადი ფორმაც — სუბიექტი და ობიექტი. არ არის ნება, თავისუფლება, არ არის წარმოსახვა, არ არის სამყაროც. ჩვენ წინაშე, რასაკვირველია, არის არარა. მაგრამ ის, რაც ეწინააღმდეგება არყოფნაში ამ გადასკლას, ხომ ჩვენი ბუნებაა და ხომ სწორედ ისაა ნება არსებობისა (*Wille zum Leben*), რომელიც სუფევს თავად ჩვენში

ისევე, როგორც ჩვენს სამყაროში. ის, რომ ჩვენ ასე ვუფრთხით არყოფნას, ანუ, რაც იგივეა, ასე გვსურს სიცოცხლე, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სხვა არაფერი არაა, გარდა სიცოცხლის სურვილისა, ანუ არაფერი ვიცით ამ სურვილისა თუ მისწრაფების მეტი. ამიტომ, ის, რაც ჩვენ დაგვრჩება ნების სრული განადგურების შემდეგ, ჩვენ, ვინაც ჯერ კიდევ აღსავსენი ვართ ამ ნების არსით, ცხადია, არის არარა. ხდება შებრუნებითაც, ვისშიც ნება გარდაისახა და უარი თქვა საკუთარ თავზე — მათთვისაც ჩვენი ესოდენ რეალური სამყარო თავისი მზეებითა და ირმის ნახტომებით იქცევა არარად“.

„ამაოება ამაოებათა, — თქვა სოლომონმა, — ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა.“

ადამიანს რას მატებს შრომა, რომელსაც იგი მზისქვეშ ეწევა? თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე.

რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი.

ნახავენ რასმე და იტყვიან: აჰა, ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში.

არ დარჩენილა ხსოვნა იმათი, ვინც წინათ იყო; და მომდევნოთაც, ვინც იქნებიან, არ გაიხსენებს მათი მიმყოფი.

მე ეკლესიასტე, მეფე ვიყავ ისრაელისა იერუსალიმში; ვიწყე კვლავა გულმოღვინებით, გონებით განსჯა ყოველივესი, რაიც მომხდარა ცისქვეშეთში; ეს მძიმე საქმე მიუჩინა უფალმა ადამის ძეთ სატანჯველად. განვიცადე ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზისქვეშეთში; და, აჰა, ვცანი — ამაო არის ყოველი და ქარის დეგნა.

ვუთხარი ჩემს თავს: აჰა, მოვიპოვე და განვიმრავლე ცოდნა ყოვე-

ლთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს უწინარეს იერუსალიმში და ეწიარა გონება ჩემს განუზომელ სიბრძნეს და ცოდნას. როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეტრება და სისულელე, მივხვდი, — ამასაც არა აქვს აზრი, რადგან როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს.

ვუთხარი ჩემს თავს: მოდი, გამოვცდი მხიარულებას და მივეცემა სიამეითა — და, აჰა, ესეც ამაოება ყოფილა მხოლოდ. მივხვდი, გართობა ფუჭი საქმეა; მხიარულება რის მაქნისია? ვიფიქრე, ღვინით ღამეზანგა ჩემი სხეული, ხოლო გონებას სიბრძნით ეფხიზლა; დავდგომოდი გზას სიბრიყვისას, ვიდრე ვნახავდი, რა სიკეთეა კაცთათვის მასში, რასაც იქმნიან ცისქვეშეთში, სანამ ცოცხლობენ. დიდი საქმე ჩავიძინე, ავაგე სახლნი, ჩავყარე ვაზი, გავიჩინე ჩემთვის ბაღები და წალკოტები, დავრგე ხეხილი ყოველი გვარი, წყალსატევები მოვაწყვე, რომ მოერწყათ ნორჩი ტევრები. შევიძინე მონა-მხეველნი, და მრავლად მესხნენ სახლში სახლეულნი; მყავდა ცხვარ-ძროხა იმათზე მეტი, ვისაც ჩემს წინ უმეფია იერუსალიმში. დავაგროვე ოქრო და ვერცხლი, მეფეთა განძი ყოველი მხარის; გავიჩინე მგალობელნი, კაცნი და ქალები, და სიამენი ხორციელნი ულამაზეს ხარჭათა დასი. განვიდიდე და გავმდიდრდი უმეტეს მათს, ვინც ჩემს წინარე არსებულა იერუსალიმს; და სიბრძნე ჩემი მეფე მეყუდნა. არ უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, არ დავაოკე გული ჩემი სიხარულისგან, რადგან ხარობდა ჩემი გული ჩემი ნაღვაწით. ეს ყოველივე იყო ხვედრი ჩემი შრომისა.

მერმე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ, და ყოველს საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, მივხვდი, ამით რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარის ნაბერი, და რომ არ არსებებდა ამ მზისქვეშეთში.

ოდეს ვიკვლიე, რა არის სიბრძნე, ანუ სიბრიყვე და უმეტრება, ვნახე, რომ სიბრძნე სიბრიყვეზე უპირატესობს, ისევე როგორც ნათელი ბნელზე. ბრძენი კაცი გონებით ჭკრეტს, უგუნური კი ბნელში დავალს. და ვუწყი, მაინც მოწევნაღი ერთი აქვს ყველას. გულს ვუთხარ მაშინ: მეც უგუნურის ბედი მეწევა; მაშ, რაღა ვიყავ მე სხვაზე ბრძენი? და გულსვე ვუთხარ: ამაოება ყოფილა ესეც. მარადიულად არ ესსომებათ არც ბრძენკაცი, არც უგუნური; გაივლის ჟამი, ყველაფერი დაივიწყება. ვაგლახ, რომ კვდება ბრძენი კაცი უგუნურივით! და შევიძულე მე ეს ცხოვრება, რადგან შემწარა ყველაფერი, რაც მზისქვეშ ხდება, რადგან ყოველი ამაოა, ქარების დევნა. და მოვიძულე ყოველივე ნაღვაწი ჩემი, რაც მიღვაწია ამ მზისქვეშეთში, და რაც სხვას უნდა დავუტოვო, ჩემს შემდგომ მოსულს. არავინ უწყის, ვის შესვდება ჩემი ნაღვაწი, ბრძენს თუ უგუნურს, რაიც სიბრძნით მიმოღვაწია ამ მზისქვეშეთში? აჰა, კიდეც ამაოება. მაშ, რაღა რჩება ადამიანს შრომისა და ზრუნვის შედეგად, რომელსაც იგი მზისქვეშ ეწევა? დღენი მისნი სატანჯველია, საზრუნავი მისი — წუხილი, ღამითაც არ ასვენებს, შფოთავს გული. აჰა, კვლავ ამაოება. კაცისათვის არაფერია იმაზე კარგი, რომ ჭამოს, სვას და დატკბეს თავისი ნაღვაწით. ეს გამოვცადე, რადგან ესეც ღმერთის ხელთაა.

ერთი სვედრი აქვს ყველას: მართალს და უკულმართს, კეთილსა და ბოროტს, სუფთას და მირეულს, მსხვერპლის შემწირველს და მსხვერპლის არ შემწირველს, როგორც კეთილს, ისე ცოდვილს, როგორც მოფიცარს, ისე ფიცის მოშიშს. უბედურებაა მზისქვეშეთში, რომ ყველას ერთი სვედრი აქვს; ადამის ძეთა გულებიც აღსავსეა სიბოროტით და სიშლეგეა მათ გულებში, ვიდრე ცოცხლობენ, ამის შემდგომ კი მკვდრებში გადავლენ, რადგან სიცოცხლეში შერაცხილს კიდევ აქვს იმედი; რადგან ცოცხალი მკვდარი ლომის უმჯობესია, რადგან ცოცხალმა იცის, რომ მოკვდება; მკვდრებმა კი არაფერი იციან და აღარც საზღაური მიეზღვებათ, რადგან მათი თხოვნა დავიწყებას მიეცა, წარხდა მათი სიძულვილიც, შურიც და მტრობაც, აღარ ექნება აწ და მარადის წილი იმაში, რაც მზის ქვეშ ხდება“.¹

ამას ამბობს სოლომონი, ანუ ის, ვინც ეს სიტყვები დაწერა.

ახლა ვნახოთ, რას გვეუბნება ინდური სიბრძნე:

იყო ერთი ახალგაზრდა, ბედნიერი უფლისწული — საქია-მუნი. ისე გაიზარდა, არ იცოდა, რა იყო ავადმყოფობა, სიბერე, სიკვდილი. გამოვიდა ერთხელ სასეირნოდ და რას ხედავს, — მოდის ვიღაც შემზარავი მოსუცი, კბილებჩაცვივნილი და პირდორბლიანი. უფლისწულს, როგორც გითხარით, აქამდე უმაღლაუდნენ, რა იყო სიბერე. გაუკვირდა და ჰკითხა მეეტლეს — რამ ჩაგდო ეს საბრალო ადამიანი ამ საზარელ მდგომარეობაში? როცა შეიტყო, ეს ყველა ადამიანის სვედრი იყო, რომ მასაც, ახალგაზრდა

უფლისწულსაც, იგივე დღე მოეღოს, დაღონდა, სეირნობის გავრძელება ველარ შეძლო და უკან დაბრუნება ბრძანა, რათა ეს ამბავი აეწონ-დაეწონა, ოთახში მარტო ჩაიკეტა და ფიქრებში ჩაიძირა. ალბათ მიაგნო რალაც სანუგეშოს, რადგან კვლავ მზიარული და ბედნიერი გამოვიდა სასეირნოდ. ამჯერად გზად სნეული შემოეყარა. ხედავს ბედნიერი უფლისწული ღონემიხდილ, სახეჩაშავებულ, აცახცახებულ, თვალმზამბებულ ადამიანს. უფლისწულმა, რომელმაც არც ავადმყოფობის შესახებ იცოდა მანამდე რაიმე, ნაბიჯი შეანელა და იკითხა, თუ რა იყო ეს? როცა აუხსნეს, ამ მდგომარეობას ავადმყოფობა ჰქვია, რომ, სიბერისა არ იყოს, ესეც ყველა ადამიანის სვედრია, რომ თავადაც, ბედნიერი და ჯანმრთელი უფლისწული, ხვალ შეიძლება იოლად დაავადდეს, გუნება მოეწამლა და ისეც უკან დაბრუნება ისურვა. იგი კვლავ ჩაიკეტა განმარტოებით და, როგორც ჩანს, კვლავაც მიაგნო რალაც სანუგეშოს, რადგან მესამე დღეს ისეც გამოვიდა სასეირნოდ. მაგრამ მესამედაც იხილა ახალი სანახაობა: ხედავს, ადამიანებს რალაც მოაქვთ, რალაცას ეზიდებიან. „ეს რა არის?“ — ეს მკვდარია. „რას ნიშნავს მკვდარი?“ — დაინტერესდა უფლისწული. აუხსნეს, რომ მკვდარი ის არის, რასაც უყურებს. უფლისწული მკვდარს უახლოვდება, გადახდის და აკვირდება. „რა მოუვა მას ამის შემდეგ?“ — იკითხავს ისეც უფლისწული. ეუბნებიან, რომ ამის შემდეგ მკვდარს დამარხავენ მიწაში. „რატომ?“ — იმიტომ რომ ის აღარასოდეს აღარ იქნება ცოცხალი, მას ჭია-ღუა დაესევა და ამყრალდება. „და ესეც ყველა ადამიანის სვედრია? ჩემი სვედრიც ესაა, მეც

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. 1989 წ.

დამფლავენ მიწაში, მეც გავიხრწ-
ნები და მატლები დამესევა?“

— დიას, — იყო პასუხი. „დავ-
ბრუნდეთ სასწრაფოდ შინ და მეტად
აღარასოდეს გამოვალ სასეირნოდ“.

საქია-მუნმა ვერ ჰპოვა ნუგეში
ცხოვრებაში და გადაწყვიტა, რომ
სიცოცხლე ბოროტებაა და დიდი
სულიერი ძალა მოიკრიბა, რათა მი-
სგან განთავისუფლებულიყო და
სხვებიც გაეთავისუფლებინა, რათა
სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე
კვლავ ველარ აღსდგეს, რათა იგი
ძირშივე მოსპოს. ამას ამბობს
მთელი ინდური სიბრძნე.

აი, ყველა ის პირდაპირი პასუხი,
რასაც სიცოცხლის აზრზე იძლევა
კაცობრიული სიბრძნე.

„სხეულის სიცოცხლე ბოროტება
და სიცრუეა. ამიტომ მისი განადგუ-
რება დიდი სიკეთეა და ჩვენ უნდა
ვინატროთ იგი“. — ამბობს სოკრა-
ტე.

„სიცოცხლე ისაა, რაც არ შეიძ-
ლება იყოს, — სიცოცხლე ბორო-
ტებაა და არყოფნაში გადასვლა სი-
ცოცხლის ერთადერთი სიკეთეა, —
ამბობს შოპენჰაუერი.

„რაც ყოფილა, იგივე იქნება და
რაც მომხდარა, იგივე მოხდება.
არაფერია მზის ქვეშ ახალი. ამაო-
ება ამაოებათა, ყოველივე ამაოა.
მარადიულად არ ეხსომებათ არც
ბრძენკაცი, არც უგუნური; გაივლის
ჟამი, ყველაფერი დაივიწყება“. —
ამბობს სოლომონი.

„არ შეიძლება იცხოვრო ტანჯ-
ვის, უძლურების, სიბერისა და სიკ-
ვდილის გარდაუვალობის შეგნებით,
— უნდა განთავისუფლდე სიცოცხ-
ლისაგან, უნდა იხსნა თავი შენი
სიცოცხლის ყოველგვარ მოსალოდ-
ნელობათაგან“. — ამბობს ბუდა.

ასე ამბობდნენ, ფიქრობდნენ, გა-
ნსჯილდნენ და გრძნობდნენ ძლიერი
გონებანი ამა ქვეყნისა. მათსავით

გრძნობდა მილიონობით ადამიანიც.
მეც ამასვე ვფიქრობ და ვგრძნობ.

ასე რომ, ცოდნის ლაბირინთებში
ხეტიალმა ვერ მისხნა სასოწარკვე-
თილებისაგან, ის კი ვინა, უფროც
გამიძლიერა იგი. ^{ესივე ცოდნა სი-}
ცოცხლის აზრზე პასუხს არ იძლევა,
მეორე პასუხობს, მაგრამ ისე, რომ
განამტკიცებს ჩემს სასოწარკვეთას.
იგი მასწავლის, რომ რასთანაც მი-
ვედი, არ არის ნაყოფი ჩემი დაბნე-
ულობისა და ჩემი გონების ავადმ-
ყოფური მდგომარეობისა, — პი-
რიქით, — მან დამიდასტურა ის,
რასაც მეც ვფიქრობდი და რასაც
კაცობრიობის უძლიერეს გონება-
თა დასკვნებში მივაკვლიე.

თავი არ უნდა მოიტყუო. ყვე-
ლაფერი და ყოველივე ამაოა. ბედ-
ნიერია ის, ვინც არ დაბადებულა,
რადგან სიკვდილი სიცოცხლეზე
უმჯობესია. საჭიროა სიცოცხლეს
თავი დააღწიო.

VII

რაკი მე ვერ ვიპოვე განმარტება
კაცობრიულ ცოდნაში, მოვიწადინე
იპოვა იგი ცხოვრებაში. იმედი მქო-
ნდა მივაკვლევდი ამას ჩემ გარშე-
მო მყოფ ადამიანთა შორის. და ვა-
კვირდებოდი მათ, ჩემთა მსგავსთ—
როგორ ცხოვრობდნენ ისინი ჩემ
ირველივე, რას ფიქრობდნენ იმ სა-
კითხზე რომელმაც მე სასოწარკ-
ვეთამდე მიმიყვანა.

აი, რას მივაგენ იმ ხალხში, რო-
მლებიც განათლებითა და ცხოვრე-
ბის წესით ჩემს მდგომარეობაში იმ-
ყოფებოდნენ. აღმოჩნდა, რომ იმ სა-
შინელი მდგომარეობიდან, რომელ-
შიც ჩვენ, ყველანი, ვიმყოფებოდით,
არსებობს თავის დაღწევის ოთხი
გზა.

თავდახსნის პირველი გზა ემყა-
რება უცოდინარობას, არცოდნას,

ანუ იმას, რომ არ იცოდე და არ გე-
სმოდეს, სიცოცხლე ბოროტება და
უაზრობა რომაა. ამ ყაიდის ადამია-
ნები — უმეტესად ქალები — ან ძა-
ლიან ახალგაზრდები, ან ძალზე გო-
ნებაჩლუნგნი, ჯერ კიდევ ვერ ჩას-
წვდომიან სიცოცხლის საზრისს, რო-
მლის გარკვევასაც ცდილობდნენ
შოპენჰაუერი, სოლომონი, ბუდა...
ისინი ვერც ჩასაფრებულ ურჩხულს
ხედავენ, ვერც თავგები შეუმჩნე-
ვიათ, ძირს რომ უთხრიან იმ ბუჩქს,
რომელზედაც თვითონ შემომსხდა-
რან და თავლის ლოკვით არიან გა-
რთულნი, სანამ რაიმე არ მიაპყრობს
მათს ყურადღებას ურჩხულსა და
თავგებს, — მაშინ კი ინებებენ და
შეწყვეტენ თავლის ლოკვას. ასეთი
ადამიანებისაგან რაიმეს სწავლა ნი-
შნავს, რომ დაივიწყო ის, რაც უკვე
იცო.

მეორე გზა ეპიკურელობა გახ-
ლავთ. გესმოდეს სიცოცხლის უიმე-
დობა და მაინც ტკბებოდე ყველა
სიკეთით, რაც კი არსებობს, ტკბე-
ბოდე ისე, თვალს არ აპყრობდე ურ-
ჩხულს თუ თავგებს, და უდარდე-
ლად წუწნიდე თავლს, მით უფრო,
თუკი იგი ასე უხვად ჩამოწვეთებუ-
ლა ბუჩქის ტოტზე. აი, ეს არის
ეპიკურელობა. ამ აზრს სოლომონი
ასე გამოთქვამს:

„და შევაქე მე მხიარულება, რა-
დგან არ ყოფილა სხვა სიკეთე ადა-
მიანისათვის მზისქვეშეთში, გარდა
იმისა, რომ სვას, ჭამოს და იმხიარ-
ულოს; ეს ყოველივე ახლავს მას
მის საშრომელში დღენი მისნი, ღმე-
რთმა რომ უბოძა მზისქვეშეთში.

წადი, მხიარულად ჭამე შენი პუ-
რი და გულის სიხარულით სვი შენი
ღვინო... რაკი ღმერთმა მოგიწო-
ნა ნამოქმედარი. დატკბი სიცოცხ-
ლით ქალთან ერთად, რომელიც გი-
ყვარს შენს წუთისოფელში, და რო-
მელიც მოგცა ღმერთმა მზისქვეშ

შენს წუთისოფელში, რადგან ესაა
შენი ხვედრი სიცოცხლეში, და იმ
შრომაში, რასაც შენ მზისქვეშ ეწე-
ოდ... რისი კეთების ძალაც შეს-
წევს შენს ხელებს, რადგან
არც საქმე, არც ~~საფუძვლები~~ ცოდნა
ან სიბრძნე არ გაგყვება შავეთში,
სადაც მიდინარ“.

ამ მეორე გზას მისდევს ჩვენი
წრის ადამიანთა უმრავლესობა. ის
პირობები, რომელშიც ისინი იმყო-
ფებიან, უფრო მეტ სიკეთეს მია-
გებს მათ, ვიდრე ბოროტებას, ხო-
ლო ზნეობრივი სიჩლუნგე შეაძლე-
ბინებს დაივიწყონ თავიანთი კე-
თილდღეობის შემთხვევითობა, და-
ივიწყონ, რომ არ შეიძლება სოლო-
მონივით ყველას 1000 ქალი ჰყავ-
დეს და ჰქონდეს ამდენივე სასახ-
ლე, რომ, თუკი ერთ კაცს 1000 ცო-
ლი ჰყავს, ეს მოასწავებს, რომ 1000
კაცი რჩება უცოლოდ, რომ ყოველ
სასახლეზე მოდის 1000 კაცი, ოფლ-
ში გახვითქული რომ აგებს მას,
რომ შემთხვევითობა, რომელმაც
დღეს სოლომონად აღმაზევა, ხვალ
სოლომონის მონად გადამაქცევს.
წარმოსახვის სიჩლუნგე ამ ადამია-
ნებს შეაძლებინებს, დაივიწყონ ის,
რაც მოსვენებას უკარგავდა ბუ-
დას, — გარდაუვალობა ავადმყო-
ფობისა, სიბერისა და სიკვდილისა,
რომელიც თუ დღეს არაა, ხვალ მა-
ინც არად აქცევს ყველა სიამოვნე-
ბას. ის, რომ ზოგიერთი მათგანი
გვარწმუნებს, თითქოს მათი აზრო-
ვნებისა და წარმოსახვის სიჩლუნგე
არის ფილოსოფია, თანაც პოზიტი-
ური ფილოსოფია, ჩემი აზრით, ამ
ხალხს სრულიადაც არ განასხვავებს
იმ ტიპის ადამიანთაგან, სიცოცხლის
საზრისის ძიების გარეშეც რომ ლო-
კავენ თავლს. მე არ შემწევს ძალა
მივბაძო მათ, რამეთუ არ გამაჩ-
ნია წარმოსახვის მათეული სიჩლუ-
ნგე, და არც ის ძალმიძს, ხელოვ-

ნურად გამოვიწვიო იგი ჩემში; არ ძალმიძს ყველა ცოცხალი ადამიანის მსგავსად, მოვარიღო მზერა უჩრხულსა და თავებზე, თუკი ერთხელ უკვე შევასწარ მათ თვალი.

მესამე გზა არის გზა ძალისა და ენერჯიის, რომლის არსი გამოიხატება შემდეგნაირად: რაკი შეიცან, რომ სიცოცხლე ბოროტება და უაზრობაა, გაანადგურე იგი. ასე იქცევინ იშვიათი სიძლიერის მედგარი ადამიანები, რაკი შეიგნეს იმ ხუმრობის მთელი უაზრობა, მათ თავზე რომ გათამაშდა. და რაკი ისიც შეიცნეს, უმჯობესია იყონ მკვდარი, ვინემ ცოცხალი ამ ქვეყანაზე, სათანადოდ იქცევინ და ამ სულელურ ოხუნჯობას, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია, სწრაფად უღებენ ბოლოს. მაღლობა ღმერთს, არსებობს ამის საშუალებანი: მარყუჟი ყელზე, წყლის ტალღები, რკინიგზის მატარებელი თუ დანა, რომლითაც მკერდს გაიპობენ. ჩვენი წრის ადამიანთა რიცხვი, ამგვარად რომ იქცევა, თანდათან იზრდება და იზრდება. საცნაური, რომ ასე იქცევინ ისინი თავიანთი სიცოცხლის საუკეთესო წლებში, როცა სულიერი ძალები გაფურჩქნულია, ადამიანის გონების დამამცირებელი ჩვევები კი ჯერ კიდევ ნაკლებად გათავისებულნი. მე დავინახე, რომ ეს ყველაზე ღირსეული გზაა და მოვისურვე ამგვარადვე მოვქცეულიყავ.

მეოთხე გზა არის გზა სისუსტისა, ანუ, როცა იცი, რომ სიცოცხლე ბოროტება და უაზრობაა, და მაინც აჭიანურებ მას, თუმცა წინასწარ ისიც იცი, მისგან არაფერი გამოვა. ამ ტიპის ადამიანებს ესმით, სიკვდილი რომ სჯობს სიცოცხლეს, მაგრამ რაკი ძალა არ შესწევთ გონივრული ქმედებისა — სასწრაფოდ მოუღონ ბოლო სიცრუეს და გამოესაღმონ სიცოცხლეს — რაღაცას

თითქოს კიდევ გამოელიან მისგან. ეს სისუსტის გამოსავალია, რამეთუ, თუკი მე ვიცი, რაც არის უმჯობესი, და ის ჩემს ხელთაა, რატომ არ უნდა მივენდო უმჯობესს? მე ამ თვისების ადამიანებს უკვე ვუთხრებ

აი, ამ ოთხი გზით აღწევენ თავს ჩემ მიერ დახარისხებული ადამიანები საზარელ წინააღმდეგობებს. გონებრივ ძალთა შემართების მიუხედავად, სხვა გზას ვერ მივაკვლი. ერთი გზა რომ გვეუბნება: არ გესმოდეს, რომ სიცოცხლე უაზრობა, ამაოება და სიბოროტეა და უკეთესია თუ ცოცხალი არ იქნებიო, ვერ შევძელ ეს არ გამეგო, და როცა გავიგე, თვალი ვერ დავხუჭე ამაზე. მეორე გზა რომ გვასწავლის, მიიღე ცხოვრება ისეთი, როგორიც არის სინამდვილეში, არ იფიქრო მომავალზეო, ვერც ეს შევძელი. საქამუნის მსგავსად მეც ვერ შევძელი წავსულიყავი სანადიროდ, რაკი ვიცოდი, რომ არსებობს სიბერე, ტანჭკვა, სიკვდილი, რადგან წარმოსახვა მეტისმეტად გამძაფრებული მქონდა, ამას გარდა არ შემეძლო გამეხარა იმ წუთიერი შემთხვევით, წამიერად რომ მარგუნა სიტკბოება. მესამე გზის აზრი, — შეიცან, სიცოცხლე ბოროტება და სიცრუე რომაა და მოიკალი თავიო, — შევიცან ეს, მაგრამ რატომღაც ვერ ისევ ცოცხალი ვარ. მეოთხე გზა — იცოცხლო სოლომონის, შოპენჰაუერის მსგავსად, იცი, რომ სიცოცხლე შენს თავზე გათამაშებული ხუმრობაა და მაინც ცოცხლობ, — იბან პირს ყოველდღე, იცვამ, სადილობ, საუბრობ და წიგნებსაც კი სწერ, ჩემთვის ეს მეტად გაუსაძლისი სატანჯველი იყო, მაგრამ კვლავაც ამ მდგომარეობაში ვრჩებოდი.

ახლა კარგად ვხედავ, რომ თუ თავი ვერ მოვიკალი, ამის მიზეზი

იყო ბუნდოვანი გაცნობიერება ჩემთა მოსაზრებათა უმართებულობისა. რაოდენ სარწმუნო და უდავოც არ უნდა მომჩვენებოდა ჩემი აზრები იმ ბრძენთა შეხედულებებზე, სიცოცხლის უაზრობად აღიარებამდე რომ მიგვიყვანეს, მაინც მრჩებოდა ეჭვი ჩემი მსჯელობის ამოსავალი წერტილის უეჭველობისა.

ეს ეჭვი აძგვარად გამოითქმოდა: მე და ჩემმა გონებამ ვალიარეთ, რომ სიცოცხლე უგუნურებაა. თუკი უმაღლესი გონი არ არსებობს (ის კი არ არსებობს და მისი დამტკიცება არავის შეუძლია), მაშინ გონი სიცოცხლის შემოქმედია ჩემთვის. არ ყოფილიყო გონი, არ იქნებოდა სიცოცხლეც. როგორღა უარყოფს ეს გონი სიცოცხლეს, თავად კი სიცოცხლის შემოქმედია? ანდა, მეორე მხრივ: სიცოცხლე რომ არ ყოფილიყო, ჩემი გონიც არ იქნებოდა, — მაშასადამე, გონი სიცოცხლის ძეა. სიცოცხლე ყველაფერია, გონი სიცოცხლის ნაყოფია და ეს გონი თვით სიცოცხლეს უარყოფს. აქ მე ვგრძნობდი რაღაც შეუსაბამობას.

უეჭველია, სიცოცხლე უაზრო ბოროტებაა, —ვეუბნებოდი თავს. — მაგრამ მე ხომ ვარსებობდი, ახლაც ვარსებობ. არსებობდა და არსებობს კაცობრიობა. როგორ? რისთვის არსებობს, როცა შეუძლია არ იარსებოს?

რა, ეს მე და შოპენჰაუერი ვართ იმზომამდე გონიერნი, რომ შევიცანით სიცოცხლის უაზრობა და ბოროტება?

მსჯელობა სიცოცხლის ამაოებაზე არც ისე ძნელი რამაა და ამაზე ოდითგანვე საუბრობენ და მსჯელობენ უბრალო ადამიანები, თუმცა კი არსებობდნენ და კვლავაც არსებობენ. მაშ, რა, ყველანი ცოცხლობენ და

არ ფიქრობენ დაეჭვდნენ სიცოცხლის გონიერულობაში?

ბრძენი ადამიანების სიბრძნით განმტკიცებულმა ცოდნამ გამაგებინა, რომ ყოველივე ამ ქვეყანაზე — ორგანულიცა და არაორგანულიც — საოცრად გონიერულადაა მოწყობილი, მხოლოდ ჩემი მდგომარეობაა სულელური. იმ სულელებმა კი — უბრალო ადამიანების უზარმაზარმა მასამ — არ იციან, როგორაა მოწყობილი ყოველი ორგანული და არაორგანული ქვეყნიერებაზე, არ იციან — ცხოვრობენ და ჰგონიათ, რომ მათი ცხოვრება ერთობ გონიერულადაა მოწყობილი.

და ვიფიქრე: იქნებ კიდევ არის რაღაც, რაც მე არ ვიცი? ასე ხომ სწორედ არცოდნა იქცევა. არცოდნა ხომ, როცა რაიმე არ იცის, ყოველთვის სწორედ იმას ამბობს, რომ სისულელეა ყველაფერი, რაც მან არ იცის? სინამდვილეში კი არის მთელი კაცობრიობა, რომელიც ცხოვრობდა და ცხოვრობს ისე, თითქოსდა ესმოდეს, რა არის მისი სიცოცხლის აზრი, რამეთუ, რომ არ ესმოდეს, ვერც იცოცხლებს, მე კი ვამბობ, ეს სიცოცხლე უაზრობაა და არ შეიძლება სიცოცხლე-თქო.

არავინ გვიკრძალავს მე და შოპენჰაუერს, უარყოფთ სიცოცხლე, მაგრამ მაშინ უნდა მეყოს ძალა — მოვიკლა თავი. — არ მოგწონს სიცოცხლე, არ შეგიძლია ჩასწვდე მის საზრისს? — განუდექ მას, შეწყვიტე იგი, ნუ ტრიალებ ამ ცხოვრებაში, ნულა მოგვითხრობ და გამალებით წერ, რომ არ გესმის სიცოცხლის აზრი. შეუერთდი მხიარულ კამპანიას, სადაც თავს ყველა კარგად გრძნობს, ყველამ იცის თავისი საქმე, შენ კი მოგიწყენია და გული გერევა? რაღას უცდი — ადექი და გაეცალე.

მართლაცდა ვინა ვართ ჩვენ, ასე დარწმუნებულნი თავის განადგურების აუცილებლობაში, მაგრამ მაინც ვერ გადაგვიწყვეტია მისი აღსრულება, თუ არა უმწეო, მერყევი და, უბრალოდ რომა ვთქვათ, ბრიყვი ადამიანები, ისე რომ ელოლიავებიან საკუთარ სიბრიყვეს, როგორც პამპულა მოხატულ თოფრას?

ჩვენმა სიბრძნემ, რა შეუვალღც არ უნდა იყოს იგი, ხომ ვერ აგვისხნა ჩვენი სიცოცხლის აზრი. მთელი კაცობრიობა კი — მილიონობით ადამიანი, — არსებობს და ეჭვით არ უცქერის სიცოცხლის საზრისს.

სინამდვილეში, შორეული წარსულიდან მოკიდებული, რაც სიცოცხლე არსებობს დედამიწაზე, რომლის შესახებაც ასე თუ ისე რალაც გამეგება, ცხოვრობდნენ ადამიანები, იცნობდნენ მოსაზრებებს სიცოცხლის ამაოებაზე, და მაინც ცოცხლობდნენ, ცხოვრობდნენ, ცდილობდნენ მიენიჭებინათ აზრი სიცოცხლისათვის. მას აქეთ, რაც ადამიანებმა დაიწყეს არსებობა, მათ ჰქონდათ ეს საზრისი და ამ საზრისით იცხოვრეს ჩემამდე. ყოველივე, რაც ჩემში და ჩემს ირგვლივაა, ნაყოფია ცხოვრების მათეული ცოდნისა, აზროვნების იარაღია, რითაც ამ ცხოვრებაზე ვმსჯელობ და განვსჯი, და იგი ჩემი კი არა, მათი მოპოვებულია; თავად მეც დავიბადე, გავიზარდე და აღვიზარდე მათი წყალობით. მათ მოიპოვეს რკინა, გვასწავლეს ტყის გაჩეხვა, მოიშინაურეს ძროხები, ცხენები, ისწავლეს თესვა, ერთად ცხოვრება, ჩამოყალიბებული სახე მისცეს ადამიანთა ცხოვრებას. მასწავლეს ფიქრი, საუბარი. მე კი, მათი ნაყოფი, მათგან ნაჭამ-ნაკვები, ნასვამი, მათგან გაწვრთნილი, მათი აზრებითა და სიტყვებით მოფიქრალი, ვუმტკიცებ მათ, რომ ეს ყოველივე უაზრო-

ბაა! „აქ რალაც ისე ვერ არის, — ვუთხარი თავს, — დიან, ვერ არის. მე რალაცაში შევცდი“. მაგრამ რაში შევცდი, ამის პოვნა ვერ შევძელი.

ეჩინენული
ზიზლიქიქი

VIII

ჩემი ეჭვების გამოთქმა, რომელთა შესახებ ახლა ასე თუ ისე მწყობრად ვიამბობთ, მაშინ აგრერიგად არ შემედლო. მაშინ მხოლოდ ვგრძნობდი, რომ, რა შეუვალღც არ უნდა ყოფილიყო ლოგიკურად უდიდეს მოაზროვნეთა მიერ დადასტურებული ჩემი დასკვნები ცხოვრების ამაოებაზე, რალაც შეუსაბამობა მათში მაინც არსებობდა. სად იყო შეუსაბამობა — თავად მსჯელობაში სიცოცხლის ამაოებაზე თუ საკითხის დასმაში, — აღარ ვიცოდი. მე მხოლოდ ვგრძნობდი, რომ სრულყოფილი იყო გონის მტკიცება, მაგრამ ეს ცოტას ნიშნავდა. დასკვნებს არ ჰქონდა საკმარისი ძალა, რათა ის ჩამედინა, ჩემი მსჯელობიდან რომ გამომდინარეობდა, ანუ თავი მომეკლა. სიცრუე იქნებოდა, თქმა, თითქოს გონებამ მიმიყვანა იქამდე, თავი რომ არ მოვიკალი. გონება და ჭკუა მუშაობდა, მაგრამ მუშაობდა კიდევ რალაც, რასაც ცხოვრების — სიცოცხლის შეგნება-გაცნობიერების მეტს ვერაფერს ვუწოდებდი. მუშაობდა კიდევ სხვა ძალაც, რომელიც მაიძულებდა ყურადღება მიმეპყრო იმაზე და არა ამაზე. სწორედ ამ ძალამ გამომიყვანა სასოწარკვეთილებიდან და სულ სხვაგვარად წარმართა ჩემი გონება. მან მაიძულა ყურადღება მიმეექცია იმისათვის, რომ ათასობით ადამიანის მსგავსად არც მე ვარ მთელი კაცობრიობა, რომ კაცობრიობის ცხოვრებას მე ჯერ არ ვიცნობ.

ჩემი ასაკის ადამიანთა ვიწრო წრეს რომ გადავაველე გონების თვალის, მხოლოდ ისინი დავინახე, რომელთაც არ ესმოდათ ამ კითხვის არსი, ან ესმოდათ, მაგრამ მას თრობით ახშობდნენ, ან ესმოდათ და სიცოცხლეს ისწრაფებდნენ, ან ესმოდათ, იცოდნენ, მაგრამ სისუსტის გამო ავრძელებდნენ უიმედო სიცოცხლეს. სხვებს მე ვერ ვხედავდი. მე მეგონა, რომ ის ვიწრო წრე, რომელსაც ვეკუთვნივოდი, ანუ სწავლულები, მდიდრები და მოცალეობაში მყოფნი, შეადგენდა მთელ კაცობრიობას, ხოლო ის მილიარდები, რომლებიც ჩემამდე ცოცხლობდნენ და ახლაც ცოცხლობენ, ადამიანები როდღე იყვნენ, არამედ ისე რაღაც პირუტყვის ფარა.

რა უცნაური, დაუჯერებელი და გაუგებარიც არ უნდა მეჩვენებოდეს ახლა, თუ როგორ შემეძლო ცხოვრების განსჯისას სათვალავში არ ჩამეგდო ჩემ გარშემო მყოფი კაცობრიობის ცხოვრება, ან ასე სასაცილოდ როგორ შევცდი, რომ ჩემი, სოლომონებისა და შოპენჰაუერების სიცოცხლე ჩავთვალე ნამდვილ, ჭეშმარიტ, ნორმალურ ცხოვრებად, ხოლო მილიარდობით ადამიანისა კი სიცოცხლედ, იოტისოდენ ყურადღებასაც რომ არ იმსახურებდა, რა უცნაურიც არ უნდა ჩანდეს ახლა ეს ჩემთვის, ვხედავ, რომ მაშინ პართლაც ასე იყო. საკუთარი ჭკუა-გონების სიამაყით დაბრმავებულს არ მეეჭვებოდა, რომ ჩვენ — მე, სოლომონმა და შოპენჰაუერმა დავსვით საკითხი ზუსტად და მართებულად; მეგონა, ის მილიარდი ადამიანი ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდომოდა საკითხის სიღრმეს. ეს მე ვიყავი მხოლოდ და საკუთარი სიცოცხლის საზრისის ძიებისას არც კი მიფიქრია: „რა აზრს ანიჭებდა და ანიჭებს სიცოცხლეს მილიარდობით

ადამიანი, ჩემამდე და ახლაც რომ ცოცხლობენ დედამიწაზე?“.

დიდხანს დავყავი ამ გიუურ ყოფაში, რაც უდავოდ გვწვევია მომეტებულად ლიბერალურ და ნასწავლადამიანებს, მაგრამ იმდენად, რაღაც უცნაური სიყვარულის წყალობით ჭეშმარიტი მშრომელი კაცისადმი, რაც მაძულებდა გამეგო მისი და დამენახა, რომ იგი არც ისეთი სულელია, როგორაც ჩვენ ვფიქრობთ, ან იქნებ ჩემი გულწრფელი რწმენის წყალობითაც — რომ არაფრის გაგება თუ ცოდნა არ ძალმიძლა გარდა იმისა, ყველაზე საუკეთესო, რისი გაკეთებაც შემიძლია, ეს თავის ჩამოხრჩობაა-მეთქი, — ვგრძნობდი, რომ თუ სიცოცხლე მინდოდა და მინდოდა ჩავწვდომოდი მის აზრს, ეს იმ ადამიანებში კი არ უნდა მეძებნა, ვინაც დაკარგა სიცოცხლის საზრისი და თავის მოკვლა სცადა, იგი უნდა მეძებნა გარდასულ და დღეს მცხოვრებ მილიარდობით ადამიანში, რომლებიც ქმნიან და საკუთარი ზურგით ეზიდებიან საკუთარსა თუ ჩვენს ცხოვრებას. და რომ გადავაველე თვალი სწავლულებსა და მდიდრებს კი არა, არამედ იმ მილიარდობით უბრალო ადამიანს, სულ სხვა რამ დავინახე, ანუ მილიარდობით გარდასული თუ ამჟამად ცოცხალი ადამიანი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ ემორჩილება ჩემს დაყოფას. საკითხის გაუგებართათვის მათი მითვლაც არ შემიძლია, რადგან ისინი თავად აყენებენ საკითხს და პასუხსაც უჩვეულო სიცხადით იძლევიან. ვერც ეპიკურელებს მივაკუთვნივ მათ, იმიტომ რომ მათი სიცოცხლე ტკბობაზე მეტად გაჭირვებითა და ტანჯვითაა დაღდასმული; კიდევ უფრო ნაკლებად შემიძლია ვთქვა, უჭკუოდ ატარებენ-თქო უაზრო სიცოცხლეს, რადგან მათი სიცოცხლის

ყოველი აქტი, თვით სიკვდილის ჩათვლით, მათ მიერვეა განმარტებული და ახსნილი. თავის მოკვლას ისინი უდიდეს ბოროტებად მიიჩნევენ. ასე რომ, აღმოჩნდა, — მთელს კაცობრიობას აქვს ჩემგან მიუღებელი და უგულვებელყოფილი ცოდნა სიცოცხლის საზრისისა. რა გამოდის? გონივრული ცოდნა აზრს არ ანიჭებს სიცოცხლეს, პირიქით, უარყოფს მას. ხოლო საზრისი, მილიარდობით ადამიანის, მთელი კაცობრიობის მიერ რომ ენიჭება სიცოცხლეს, ეფუძნება რაღაც ახირებულ, ცრუ ცოდნას.

სწავლულ და ბრძენ ადამიანთა გონისეული ცოდნა უარყოფს სიცოცხლის საზრისს, ხოლო ადამიანთა უზარმაზარი მასა, მთელი კაცობრიობა — აღიარებს ამ საზრისს არაგონიერ ცოდნაში — რწმენაში. დიან, არაგონიერი ცოდნა გახლავთ რწმენა, სწორედ ის, რაც მე არ შემიძლო არ უკუშეგდო. ეს არის ღმერთი 1 და 3, ეს არის სამყაროს

შექმნა ნ დღეში, ეს არის ეშმაკები და ანგელოზები და ყოველგვ, რისი აღიარებაც არ შემიძლია, ვიდრე ჭკუაზე არ შევცდები.

საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდი. მე ვიცოდი, რომ გონისეული ცოდნის გზაზე ვერაფერს ვპოვებდი ცხოვრების უარყოფის მეტს, რწმენაში კი გონების უარყოფის მეტს. ეს უკანასკნელი კი კიდევ უფრო შეუძლებელია, ვიდრე სიცოცხლის უარყოფა.

გონისეული ცოდნის მიხედვით სიცოცხლეს არის ბოროტება და ადამიანებმა ეს იციან, იციან და მათზევეა დამოკიდებული არ იცოცხლონ. ისინი კი ცოცხლობდნენ და კვლავაც ცოცხლობენ, მეც ვცოცხლობდი, თუმც კი დიდი ხანია ვიცი აზრი, რომ სიცოცხლეს უაზრობა და ბოროტებაა. ხოლო რწმენის მიხედვით, სიცოცხლის აზრს რომ ჩავწვდეთ, გონი უნდა უარვყო, უნდა უარყოფს ის, რისთვისაც საჭიროა აზრი.

(დასასრული იქნება)



ზურაბ აბაშიძე



გეორგ ბიუხნერი

„... დიდი გასაჭირი კაცს თავგზას აუბნევს და ზომიერების გრძნობას დააკარგვინებს ხოლმე... ალბათ გოცდებით, თქვენი კარი უეცრად რომ შემოვადო, შემოგეჭრათ, ეს ხელნაწერი გულზე დაგადოთ და ფული მოგთხოვოთ... მე გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად წაიკითხოთ ხელნაწერი და თუ თქვენი, ვით კრიტიკოსის ალღო გიკარნახებთ, იგი ბ-ნ ზაუერლენდერს შესთავაზოთ და მყისვე მიპასუხოთ.“

თუ ჩემი წერილის ტონი გემწუთნებათ, გაითვალისწინეთ, რომ მე მირჩევნია პისტოლეტით ხელში შევძახო „la bourse, ou la vie“! (ფრანგ. ფული ან სული), ვიდრე ათრთოლებული ხმით მაღლი მოვახსენო შეწყალეებისათვის“.

დარმშტატი, 1835 წ. თებერვალი

ამრიგად შესთავაზა გეორგ ბიუხნერმა, გისენის უნივერსიტეტის ოცდაერთი წლის სტუდენტმა, მწერალ კარლ გუცკოს თავისი მეღან-შეუმშრალი, სულ რაღაც ხუთიოდ კვირაში შეთხზული დრამა „დანტონის სიკვდილი“.

გეორგ ბიუხნერს, სიტყვაკაზმული მწერლობის ჯადოქარს, — დრამატურგს, პროზაიკოსს, პოეტსა და პამფლეტისტს, მეცნიერ-ექსპერიმენტატორს და ფილოსოფოსს სულ ოცდასამი წლის სიცო-

ცხლე მიაგო გამჩენმა. 1813 წლის 17 ოქტომბერს იხილა კარლ გეორგ ბიუხნერმა დარმშტატისპირა პაწია სოფელ გოდელაუში დღის სინათლე. იგი იყო ექიმ კარლ ბიუხნერისა და კაროლინე ბიუხნერ-როისის უფროსი ვაჟიშვილი.

1816 წელს ოჯახი დარმშტატში, ჰესენის საჰერცოგოს დედაქალაქში გადასახლდა, სადაც მამამ მედიცინის ასესორის თანამდებობა მიიღო. უამრავ სახელმწიფოდ დაყოფილი გერმანიის ტერიტორიაზე მეფეები, ჰერცოგები და გრაფები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავიანთი სატახტოების უკეთესად წარმოჩენაში და დარმშტატი იმხანად უკვე იყო გერმანული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი, ამის გამო ბიუხნერების ოჯახის შვილთა აღზრდისათვის ამ ქალაქის გარემო ფრიადი მნიშვნელობისა იყო. კარლ გეორგის შემდეგ ბიუხნერებს კიდევ შვიდი შვილი შეეძინათ (ორი მათგანი ჩვილობაშივე გარდაიცვალა), — მათილდე, ვალჰელმი-ფარმაცევტი, ჰესენის სამხარეო და გერმანიის ფედერალური პარლამენტის — რაიხსტაგის დეპუტატი, ლუიზე, მწერალი, ქალთა უფლებების დამცველი, ლუდვიგი — გერმანული მატერიალისტური ფილოსოფიის გამოჩენილი წარმომადგენელი და, ბოლოს, ალექსანდერი, ლიტერატურის პრო-

ფესორი. ლუდვიგმა 1850 წელს შეკრიბა ძმის ხელნაწერები და გამოსცა გეორგი ბიუსნერის თხზულებათა პირველი კრებული, რითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო მის პოპულარიზაციას.

ექიმების დინასტიის წარმომადგენელი, თავად ნიჭიერი მკურნალ-დასტაჟარი, სახელგანთქმული შვილების მამა, ერნსტ ბიუსნერი ერთგულად ემსახურებოდა თავის პერცოგს და ცდილობდა საფრანგეთის რევოლუციის „მაკნე“ იდეების ზეგავლენისაგან ეხსნა საკუთარი შვილები, მაგრად ამაოდ. დედა, — კაროლინე როის-ბიუსნერი, განათლებული, ღვთისმოსავი, პოეტური ბუნების ქალი, შვილებზე გადაგებული, დიდებული აღმზრდელი. დედამ ასწავლა ვაჟიშვილს წერა-კითხვა, არითმეტიკა და ჩაუნერგა წიგნის სიყვარული. დაწყებითი განათლება მან მიიღო კარლ ვაიტერსჰაუზენის სასწავლებელში, ხოლო თორმეტი წლის გეორგი მიაბარეს დარმშტატის პუმანიტარულ-პედაგოგიურ გიმნაზიაში. იგი თანატოლებსადაც და უფროსებსაც სიყრმიდანვე ჯანაყვიფრებდა მოვლენებში ღრმად წვდომის, კრიტიკულ-სპეკულატიური განსჯისა და განზოგადოების უნარით, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის მახვილი გრძნობით.

გიმნაზიაში მისი პროფილის შესაბამისად აქციენტი კეთდებოდა გზრაულ, ბერძნულ, ლათინურ ენებზე, ასალი ენებიდან ისწავლებოდა ფრანგული. ენების შესწავლის შედეგები გამოჩნდა თუნდაც იმაში, რომ შემდგომ გეორგი უპრობლემოდ ჩაერთო სტრასბურგის ფრანგულენოვანი უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

თუმცა ენებს კარგად სწავლობდა, მაგრამ კლასიკურ ფილოლოგიას შემდგომში იგი „მკვდარ მეც-

ნიერებათა სანეხველად“ მოიხსენებს. ბიუსნერი სიყმაწვილითვე დაეწაფება კითხვას და თანდაყოლილი გემოვნებისა და ტალანტის წყალობით არჩევს საუკეთესოებს და განსაჯიფრებლად დიდი ერუდიცია, მის ნაწერებში არსებული უამრავი ალუზიით რომ დასტურდება. საბუნებისმეტყველო დისციპლინებს ყმაწვილი გულმოდგინედ ეუფლებოდა იმისდა მიუხედავად, რომ მათი ხვედრითი წონა გიმნაზიის პროგრამებში უმნიშვნელო იყო. იგი ადრიდანვე ჩაულრმაჟდა რელიგიის, მეტაფიზიკისა და ეთიკის პრობლემებს ბუნებისმეტყველებასთან მიმართებაში... მე დარწმუნებული ვარ, ჩემი სიყრმის დაუფიწყარი მეგობარი უფრო ფილოსოფოსად იყო დაბადებული, ვიდრე პოეტადო, — იხსენებს ერთი მისი თანაკლასელი.

ბიუსნერის არქივში შემონახულია გიმნაზიის პერიოდში დაწერილი თხზულებები: „ულრის ფონ პუტენის ცხოვრება“, „მეგობრობის შესახებ“, „ეპამინონდასის ცხოვრება“, „მესინის ომის ისტორია“, ლექსები, მოთხრობის ფრაგმენტი და გიმნაზიის საზეიმო აქტებზე წარმოთქმულ სიტყვათა ტექსტები, რომლებიც ნათელს პფენენ გენიალური ყმაწვილის ჩამოყალიბების პროცესს. სამყაროს შეცნობის მოსურნე ყმაწვილი ხარბად ეწაფებოდა ცოდნის ყოველ წყაროს, ბეგრს კითხულობდა და მამისეულ ლაბორატორიაში ცდებს ატარებდა. ბუნებასა და ისტორიას იგი ერთ კოსმოსურ მთლიანობაში მოიაზრებდა მის ცენტრში მდგომი თავისუფლებაწართმეული, გატანჯული ადამიანით.

გიმნაზიაში იგი შესანიშნავად დაეუფლა ძველ ენებს, ანტიკურ ისტორიასა და ფილოსოფიას. მისი მაძიებელი გონი მიესწრაფოდა სა-

მყაროს კანონებში ღრმად გარკვე-
ვას. გეორგი სარბად ნთქავდა პო-
მეროსის, შექსპირის, ესქილეს, სო-
ფოკლეს თხზულებებს, ხალხურ პო-
ეზიას, დიდ თანამედროვეთაგან თა-
ყვანს სცემდა გოეთეს, დიდად აფა-
სებდა ჟან-პოლს, შილერს, თუძცა
არც დიდად ეთნეოდა ამ უკანას-
კნელის რიტორიკული პათოსი. გი-
მნაზიის მეგობარი, ფრიდრიხ ცი-
მერმანი იგონებს: „მისი გემოვნე-
ბისათვის ნიშანდობლივი იყო მო-
ქნილობა. როცა გატაცებით კითხუ-
ლობდა პერდერის „ხალხების
ხმებს“, იმავედროულად ეცნობოდა
ფრანგული ლიტერატურის ნიმუ-
შებს“.

გიმნაზიაში სწავლის პოლო წე-
ლიწადს ვუნდერკინდი უკვე საკუ-
თარი ფილოსოფიურ-ესთეტიური და
პოლიტიკური მრწამსის მქონე ჩა-
მოყალიბებული ყმაწვილკაცია. ამ-
ის დასტურია საზეიმო აქტის
დროს მის მიერ წარმოთქმული სი-
ტყვა „უტიკელი კატოს დასაცა-
ვად“, კაცისა, ვინც თავი მოიკლა
იმპერატორის ძალაუფლების დამკ-
ვიდრების საწინააღმდეგო პროტე-
სტის ნიშნად. თხზულებას რიტო-
რიკის შედევრად, ენამზეობის ყო-
ველი რეგისტრის დახვეწილი თან-
ხმოვანების ნიმუშად მიიჩნევენ:

„დიდება და ამაღლებულია
ადამიანი, ოდეს იგი ბუნებას შე-
ერკინება, თავაწყვეტილ სტიქიო-
ნებს წინაღუდგება და საკუთარი
გონების კარნახით ლაგამს ამოს-
დებს უსემ ძალებს ბუნებისა, მაგ-
რამ უფრორე ამაღლდება კაცი, უკ-
ეთუ იგი წინააღუდგება საკუთარ
ზედ-იღბალს, მსოფლიო ისტორი-
ის მსვლელობაში ჩარევას გაბედავს
და თავს დადებს მიზნის მისაღწე-
ვად. ამგვარმა კაცებმა მაშინ, რო-
ცა ცა და ქვეყანა ქედს იღრეკდა თა-

ვზე დატრიალებული დროის ბორ-
ბლის ტვირთქვეშ, საკუთარი ძა-
ლისხმევის ფასად ან შეაბრუნეს
ბორბლის ტრიალი, ანდა, ორომტ-
რიალში ჩათრეულნი დაიხოც-
ნენ, თავათაც სიტუაციას გასწირეს
და მით უკვდავებას ეზიარნენ, გან-
სხვაებით მილიონთაგან, ვიეთნი
დედამიწის წიაღიდან გამოძვრები-
ან, მუდამ მტვრით გარემოცულნი
მტვრადვე განქარდებიან და დავი-
წყებას მიეცებიან, — ამგვარი კა-
ცები, თავისი საქმით მარადისობას
თან წილნაყარნი, მეტეორებივით
გაიელვებენ ხოლმე და ადამიანის
ტანჯვა-ვაების წყვდიადს მყისიე-
რად გადაანათებენ. ისინი კომეტე-
ბივით გადაკვეთენ ხოლმე საუკუ-
ნეთა ორბიტას. როგორც ასტრონო-
მიას არ ძალუძს ზეგავლენა მოა-
ხდინოს კუდიან ვარსკვლავზე, ასე-
ვე უძლურია პოლიტიკა მართოს
ცხებულნი, ექსცენტრულ რბოლას
აყოლილნი ისინი თითქოს მხოლოდ
ცთომილი გზებით იარებიან, ვიდ-
რე ამგვარ ფენომენთა დიდი გავ-
ლენა არ გვაჩვენებს, რომ მათი გა-
ჩენა თურმე კარგახნით აღრე ინება
ზეგარდმო ძალამ, ვისი კანონებიც
შეუცნობადიცაა და მარად უცვლე-
ლიც“.

მარკუს პორციუს კატოს დასა-
ცავი სიტყვა ბიუსნერმა 1830 წ.
სექტემბრის დასასრულს წარმოთ-
ქვა, როდესაც საფრანგეთის ივლი-
სის რევოლუციის ქარიშხალმა გე-
რმანელი ბიურგერიც გამოათხიზ-
ლა და მთავრების წინააღმდეგ სა-
ბრძოლველად განაწყო. სწორედ
იმ დღეებში დაიწყო ჰესენის გლეხ-
თა და ხელოსანთა გამოსვლები, ის-
ინი თავისუფლებისა და თანასწო-
რობის ლოზუნგებით გამოდიოდ-
ნენ და ანგრევდნენ საბაჟოებს. ოთ-
ხი წლის შემდეგ თავის პოლიტიკურ
ჰამბლერში „ჰესენის მხარის მა-
ლემსრბოლი“ — ბიუსნერი ამრი-

გაუ აღწერს ვითარებას იმჟამინდელ გერმანიაში.

„მაშინ ხალხის რისხვისაგან თავის გადასარჩენად ზჭობად დასხდნენ გერმანიის მთავრები და მათ შორის ყველაზე ცბიერებმა თქვეს:
— მოდი, დავთმობ ნაწილი ჩვენი ძალაუფლებისა.

ისინი წარსდგნენ ხალხის წინაშე და თქვეს:

— ჩვენ გიბოძებთ თავისუფლებას, რის მოპოვებასაც თქვენ ზრპოლთ ლამობთ!

და შიშის კანკალით, დამადლებით გადაუყარეს ორიოდ ნამცეცი. სამწუხაროდ, ხალხი მათ ენდო და დაშოშმინდა. ამრიგად მოატყუეს გერმანია, ვით საფრანგეთი“.

როდესაც ჭაბუკი სტრასბურგში ჩავიდა, ახალ ჩანავლებული იყო საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციის ცეცხლი.

1831 წ. სექტემბერში გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ბიუსნერი მამის რჩევითა და ხელშეწყობით ჩაირიცხა სტრასბურგის უნივერსიტეტში, მედიცინის განხრით. აქვე უნდა ითქვას, რომ მას არ იზიდავდა პრაქტიკული მედიკოსის, მკურნალი ექიმის საქმიანობა. გეორგთან ერთად შეუდგა მედიცინის დაუფლებას თეოლოგიის ფაკულტეტებიდან გადმოსული სტრასბურგელი მღვდლის ვაჟიშვილი, ევგენი ბიოკელი, შემდგომში მისი მეგობარი. უნივერსიტეტში ბიუსნერი თავდაპირველად მეტ ყურადღებას უთმობს შედარებითი ანატომიის და ზოოლოგიის შესწავლას. ევგენი ბიოკელის მეშვეობით იგი დაუახლოვდა თავისუფლად მოაზროვნე სტუდენტების ჯგუფს და ჩაება სტუდენტური პოლიტიკური გაერთიანების „ევგენიას“ საქმიანობაში. მრავალმხრივი ინტერესების ჭაბუ-

კი იმავედროულად ხარზად ეწაფება ფრანგული კაზმულსიტყვაობის ოსტატთა — ვიქტორ იუგოს, ალფრედ დე მიუსეს და სხვათა შემოქმედებას.

ერყენული

ბიუსნერი და მისი კალატული მოძიენი და პოპულარიზატორი კ. გუცკო ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს — ისინი ერთნაირად პირამტქმელნი არიან. აი, რას სწერს გუცკო ბიუსნერს:

„გამოვიდა გრაბეს ორი დრამა. თუ დავაკვირდებით მის გახვევებულ, ნაძალადევ, გაძვალტყავებულ მანერას, მაშინ თქვენეულ ცინცხალ, მჩქეფარე, სტიქიონურ ძალას უაღრესად მომგებიანი ჰოროსკოპი უნდა მივაკუთვნოთ“ (29. VI. 1835). გავითვალისწინოთ, რომ გუცკოს გამონათქვამი ესება ქრისტიან ღიტრის გრაბეს (1801—1836), რომელმაც მყარი და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა გერმანული ლიტერატურის ისტორიაში, მას მოიხსენიებენ კლაისტისა და ჰებელის გვერდით. გერმანული ისტორიული დრამის განვითარებაში გრაბეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი, ხოლო თავად კარლ გუცკო, თავის პროტეჟეზე სულ ორი წლით უფროსი, თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გერმანული ლიტერატურის განახლებისათვის შემრძოლი მწერალთა დაჯგუფებისა „ახალგაზრდა გერმანია“, იყო რომანსიე და აღიარებული კრიტიკოსი. იგი XX საუკუნის ოციანი წლების საქართველოში ფრიად პოპულარული გახდა „ურიულ აკოსტას“ კ. მარჯანიშვილისეული დადგმის წყალობით.

გუცკოსა და მისი ლიტერატურული გაერთიანების სხვა წევრებთან სიახლოვის გამო ბიუსნერს ზოგნი „ახალგაზრდა გერმანიის“ წევრად მიიჩნევენ, რასაც იგი უარყოფდა.

1836 წლის 1 იანვარს ოჯახისადმი მიმართულ წერილში ბიუხნერი წერს:

„მე სულაც არ მივეკუთვნები ეგრეთწოდებულ „ახალგაზრდა გერმანიას“, გუცკოსა და ჰაინეს ლიტერატურულ გაერთიანებას. უთუოდ ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობების სრულმა არცოდნამ აფიქრებინა მათ, რომ ბანალური ლიტერატურის მეშვეობით შეიძლება ჩვენი რელიგიური და საზოგადოებრივი იდეების სრული გარდაქმნა... მე ჩემი გზით მივდივარ და ვრჩები დრამის სფეროში, ხასიათებს ვძერწავ ბუნებისა და ისტორიის შესაბამისად და იმ ხალხზე მეცინება, ვისაც ნებავეს მათი ზნეკეთილობისა თუ უზნეობის გამო მე დამაკისროს პასუხისმგებლობა“.

ბიუხნერმა სტრასბურგში თავის ნათესავეებს მიაკითხა, უღუარდ როისი, მისი დედისძმა, თეოლოგიის პროფესორი იყო იქაურ უნივერსიტეტში, ბიუხნერმა ბინა დაიდო მღვდლის, იოჰან იაკობ იეგელეს ოჯახში, აქ იგი მოაჯადოვა მასპინძლის ქალიშვილმა, მშვენიერმა, გონიერმა, ღვთისმოსავემა ლუიზე ვილჰელმინემ, შინაურობაში მინამ, განგებით მოვლენილმა საბედომ. რამდენიმე თვის შემდეგ შეყვარებული წყვილი (ფარულად) დაინიშნა. მინა გეორგის დარჩენილი ხანმოკლე სიცოცხლის ერთგული თანამგზავრი გახდა. მისი თავგადაკლულ მზრუნველობისა და მოვლის წყალობით გეორგმა შედარებით ადვილად დაძლია ტვინის ქერქის ანთება. ნიშნობიდან რამდენიმე თვის შემდგომ. გეორგი ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა უნივერსიტეტში სწავლას, დაეწაფა იმას, რის ნაკლებობასაც ასე მწვავედ განიცდიდა გიმნაზიაში, — საბუნებისმეტყველო დისციპლინებს. თავ-

დაპირველად იგი ესწრება ზოოლოგიისა და მედიცინითი ანატომიის ლექციებს. მედიცინა/ზოოლოგიის წარმოდგენდა სამყაროს/მისეული ფართო მსოფლმეტყველებას. კარლ ფოგტი, ბიუხნერის მომხრე უნივერსიტეტში, იგონებს:

„ბიუხნერი იმთავითვე ცდილობდა ჩასწვდომოდა საგანთა არსის გულსგულს, მეცნიერებაში, განსაკუთრებით ფილოსოფიაში, სწავლობდა ხალხის პოლიტიკურ მოთხოვნებს, ვერ იტანდა ხალხის უმეცრების ბოროტად გამოყენებისა და ბრმა იარაღად გადაქცევის, მისი მოტყუების მცდელობებს... დიდი ერუდიციის მქონე ბიუხნერი დაუნდობლად აკრიტიკებდა ყველაფერს, რაც ერთადერთობის პრეტენზიას აცხადებდა ადამიანთა საზოგადოებაში, ფილოსოფიაში თუ ხელოვნებაში. იგი არ ერიდებოდა ავტორიტეტებს. აქ შეიძლება მოვიხსენიოთ ჰეგელის დიალექტიკისა და ცნებათა დეფინიციის მისეული გამანადგურებელი კრიტიკა, მაგალითად: „ყველაფერი, რაც ჭეშმარიტია, გონივრულია და რაც გონივრულია — ჭეშმარიტია“.

სტრასბურგის უნივერსიტეტის მედიკოს სტუდენტის, ევგენი ბიოკელისა და თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ ადოლფ შტიობერის დახმარებით, რომელთათვისაც ელზასი სამშობლო იყო, ბიუხნერი ჩაერთო თეოლოგ სტუდენტთა „ევგენიად“ სახელდებულ პოლიტიკურ წრეში, შტიობერის ოჯახს, ადოლფის მამას, დანიელს, და ძმას, ავგუსტს ოიდი დამსახურება მიუძღვით ელზასური (გერმანული ენის დიალექტის) ფოლკლორის შეკრება-დამუშავებაში. ადოლფმა, რომელიც იმხანად მუშაობდა მონოგრაფიაზე „შტურმ უნდ დრანგის“ მოძრაობის თვალსაჩინო წარმო-

მადგენლის, იაკობ მისხელ რაინ-
პოლდ ლენცის შესახებ, შთააგონა
მას ინტერესი ამ ტრაგიკული ბედის
ლიტერატორის მიმართ, რის შე-
დეგადაც შეიქმნა ბიუსნერის (ფრა-
გმენტად დარჩენილი) გენიალური
ნოველა „ლენცი“.

ბიუსნერის არქივში დაცულია
მისი ბიოგრაფიისათვის ფრიად მნი-
შვნელოვანი ეპისტოლარული მემ-
კვიდრეობა, — მინას, ოჯახისა და
შეგობრებისადმი მიმართული წე-
რილები, აგრეთვე მის სახელზე გა-
მოგზავნილი ბარათები, სადაც ვე-
ცნობით მისი ყოფის უაღრესად სა-
ინტერესო დეტალებს, — სტუდენ-
ტი გეორგი სწავლობს ფარიკაობას,
თუმცა თავისი ყოყლოჩინა და ჩხუ-
ბისთავა თანამოძმე სტუდენტები-
საგან განსხვავებით ერიდება ლამის
მოდად ქცეულ კინკლაობასა და
დუელს, საღამოობით ხანდახან კა-
ფეს თუ ესტუმრება, თავს იკავებს
თამბაქოს მოწევისაგან.

ე. ბიოკელისადმი გაგზავნილ
ერთ-ერთ წერილში ბიუსნერი ახსე-
ნებს მაშინდელ გერმანიასა და
ავსტრიაში სახელგანთქმულ მსახი-
ობ ქალს, ტერეზა პეშეს, ეს ფაქტი
მოწმობს მის გატაცებას თეატრით.
ვინ იცის, იქნებ სწორედ იმხანად
ეწვია ჭაბუკს შთაგონება დიდებუ-
ლი დრამატურგიული თხზულებე-
ბის შესაქმნელად. სამწუხაროდ,
დრამატურგი ველარ მოესწრო თა-
ვისი თხზულებების სცენურ ხორც-
შესხმას, ღმერთს საამისოდ მისთ-
ვის ხანგრძლივი სიცოცხლე უნდა
ეჩუქებინა, — „დანტონის“ პირვე-
ლი დადგმა სცენაზე განხორციელ-
და ბერლინში 1902 წელს, „ლენა
და ლეონსისა“ — შვიდი წლით ად-
რე მიუნხენში (1895), ხოლო „ვო-
იციკი“ ლამის მთელი საუკუნე ელ-
ოდა სცენურ სიცოცხლეს, — იგი

მხოლოდ 1913 წელს დაიდგა მიუნ-
ხენში პირველად.

1831 წ. დეკემბერში სტრასბურ-
გიდან მშობლებისთვის მიწერილი
ბარათი მოწმობს, რომ ჭაბუკი სტუ-
დენტი ინტერესით ყურადღებდა
თვალს ევროპის ქვეყნებში საფრან-
გეთის 1830 წ. რევოლუციის მი-
ერ აგორებულ ტალღას და ფხიზ-
ლად აფასებდა მოვლენებს. „...დე-
ნთის სუნი დატრიალდა. თუ საქმე
ომამდე მივიდა, მაშინ გერმანიაში
ბაბილონისდარი აღრევა დაისად-
გურებს და, ღმერთმა იცის, რო-
დის დაედება ზღვარი ვაებას... თუ
რუსები ოდერს გადმოლახავენ, მა-
შინ გინდა საფრანგეთში ვიყო, მა-
ინც ავიღებ თოფს ხელში“.

1831 წ. დეკემბერში რევოლუცი-
ურად განწყობილმა სტუდენტო-
ბამ სტრასბურგში აღტაცებული
მიღება მოუწყო (წარმოშობით იტ-
ალიელ) პოლონეთის არმიის გე-
ნერალს, ჯეროლამო რამორი-
ნოს, ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელი მოძრაობის გამირს, რომელიც
დამარცხების შემდეგ ავსტრიის
გავლით ჩავიდა საფრანგეთში. ამ
დღეს დაწერილ ბარათში გეორგი
აღწერს ხსენებულ მოვლენას და
ირონიულად მოიხსენიებს ცერემო-
ნიალის კომიკურ შტრიხებს.

გერმანიიდან საფრანგეთს გად-
მოსვენეწილი ლტოლვილთა ნაკადი
მიწყვი ახსენებს სამშობლოს ბედ-
იღბალზე დაფიქრებულ სტუდენტს
თავის მამულს. 1832 წ. მაისში
„ევგენიას“ სხდომაზე ბიუსნერი კი-
თხულობს მოხსენებას გერმანიაში
შექმნილი პოლიტიკური ვითარე-
ბის თაობაზე. მშობლებს ეფიქრე-
ბოდათ სასწავლად წარგზავნილი
შვილის თავისუფლებისმოყვარული
იდეებისა. კონსერვატული მსოფლ-
მხედველობის მქონე, ტრადიციების
ერთგული მამა ამტკიცებდა, მდ.
რაინი ორი სამყაროს მიჯნას წარ-

მოადგენსო, — და გულისხმობდა კონსერვატულ გერმანიასა და რევოლუციურ საფრანგეთს. ბიუხნერის მამა ყოველ ღონეს ხმარობდა აეცილებინა გეორგიისთვის ფრანგული სენი, რაკი იგი გიმნაზიაშივე ამჟღავნებდა შესაბამის სიმპტომებს.

ფრაიბერგში არ წავალო, — ამჟღავნებდა სტუდენტი მშობლებს, როცა იქაური უნივერსიტეტი სტუდენტური მღელვარების გამო დაიხურა. გეორგი ვერ ფარავდა მოზღვავებულ გრძნობებს მოძალებული სოციალური უსამართლობის გამო: „ჩვენ გვიკიჟინებენ, მოძალადენი ხართო, მაგრამ ჩვენ განა თავათ მუდმივად არ განვიცდით ძალადობას? რაკი დილეგში დავიბადეთ და გავიზარდეთ ველარა ვგრძნობთ, რომ ხაროში ვყრივართ, ხელფეხშეკრულნი და პირში ბურთგაჩრილნი“ (სტრასბურგი, 1833 წ. აპრილი). იმავე წერილში ნახსენები ფრანკფურტის მოვლენები გერმანიის საზოგადოების რევოლუციურად განწყობილი ფენების, განსაკუთრებით კი სტუდენტობის (ბურშენშაფტ) წიაღში არსებული ფიცხელი ლავის ამოფრქვევა იყო. მეამბოხენი გეგმავდნენ 1833 წ. 3 აპრილს ფრანკფურტის მთავარი საყარაულოს შტურმით აღებას, ბუნდესტაგის დათხოვნასა და გერმანიის რესპუბლიკის გამოცხადებას. ბიოგრაფებს მიაჩნიათ, რომ ბიუხნერი თავის „ევგენიდეზთან“ ერთად ჩართული იყო ადამიანის უფლებათა დაცვის სტრასბურგის ორგანიზაციის საქმიანობაში.

ჰესენისა და გერმანიის სხვა თვითმმართველ მხარეს-სახელმწიფოთა კანონმდებლობის თანახმად საზღვარგარეთის ქვეყნებში უმაღლესი განათლების მისაღებად წასული მოქალაქე ვალდებული იყო წელიწადნახევრის შემდეგ გერმა-

ნულ უნივერსიტეტში დაესრულებინა სწავლა. ამიტომ სტრასბურგის შემდეგ გეორგი ბრუნდა სამშობლოში და გისენის უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას.

დაბრუნდა, მსგავსად გული იქ დარჩა, თამამი სოციალური გარდაქმნების ქვეყანაში, საცა სატროფო ეგულებოდა. ბიუხნერი შინა ემიგრანტად იქცა საკუთარ მამულში. გაიხარა მშობლებისა და დაძმის ნახვით, თუმცა „შემოგარენი საშინლად, კოლოსალურად მოსაწყენია. არის რაღაც დიადი ამ ტიალ მიდამოში, საპარის უდაბნოა ყოველ თავსა და გულში“... (წერილი მეგობრისადმი, 1833 წ. აგვისტო, დარმშტატი). დიდი ერუდიციის ჭაბუკი ყოველთვის ვერ თოკავდა ხოლმე თავის ფიცხელ ტემპერამენტს და ამიტომ მისი იმპულსური გამოხდომები ხანდახან ქედმაღლობად აღიქმებოდა ნაცნობ-მეგობართა წრეში. თუმცა მას, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა, რაოდენ დიდი ცოდვაა ქედმაღლობა. ... „მე არავის ღირსება შემიბღალავს. მით უფრო ვისიმე ჭკუის, ან განათლების გამო... მაგრამ სიბრიყვე ადამიანის ბუნების ზოგად თავისებურებათაგანია და მისი არსებობის წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობ. ვერცვინ დამიშლის თავისი სახელი დავარქვა ყოველს და განვერიდო იმას, რაც არ მსიამოვნებს. აბა რას მემართლებიან, ქედმაღლობაში რად მითვლიან, თუ წუნი დავდე მათს გართობას და საქმეებს? კაცის ღირსების შემბღალავნი, დამცინავები და ქედმაღლები ისინი არიან, საკუთარი თავის მიღმა რომ ეძებენ სიბრიყვეს. მაგათი ვითომ-არისტოკრატიზმი ყოვლად უგბილ უგულუბელყოფას წარმოადგენს ადამიანში სულიწმინდის მყოფობისა“.

სტილისმიერი ცნება დაცინჯისა, გ. იანკეს აზრით, აქ ამბივალენტუ-

რადაა ნახმარი, ჯერ ერთი, — ვით მეღანქოლიის, ბიუხნერის მსოფლხატის მიუცილებელი კომპონენტის გამოხატულება, რის ფონზედაც ადამიანის ყოველ საქმეს წარმავალი ხასიათი ენიჭება, და მეორეც — არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მწვავე კრიტიკის მიზნით.

მშობლიური დარმშტატი სტრასბურგთან შედარებით თვალში ეპატარავება და ევიწროება ჭაბუკ სტუდენტს, ხოლო გისენი სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტი „სტუდენტთა სოფელი, სადაც სახლები ერთმანეთს ეყრდნობიან, რომ არ წაიქცნენ“. „როცა ვიწრო ქუჩაბანდზე ერთმანეთს პირისპირ შეეყრება ორი მოქალაქე, მათ ცალი ფეხი ნებსში უნდა ჩადგან, გვერდი რომ აუქციონ ერთმანეთს. შვიდიათას ბინადართაგან უმრავლესობა გლენი და ხელოსანია, დანარჩენ მესამედს შეადგენენ ბიურგერები, ინტელექტუალები და მოხელენი. სტუდენტების რიცხვი მერყეობს 400-დან 600-მდე“. — მოგვითხრობს ძმა, ალექსანდრ ბიუხნერი, ლიტერატურის პროფესორი.

ბევრი რამ არც გისენში მოსწონს გეორგს, მაგრამ სტუდენტთა შორის იქ რამდენიმე გიმნაზიელი მეგობარი დახვდება, ვისი წყალობითაც მალე გაუშინაურდება ახალ გარემოს და ახალ მეგობრებსაც შეიძენს. „ლუდოვიციანაში“, (ჰერცოგ ლუდვიგის უნივერსიტეტში) ჭაბუკი ცოლნის შეძენის დაუოკებელ წყურვილს იკმაყოფილებს. უნივერსიტეტის პედაგოგთა შორის ბიუხნერის დროს იყო ქიმიკოსი იუსტუს ლიბიგი, რომელიც სწორედ იმხანად ჰქმნის შემდგომში სახელგანთქმულ ლაბორატორიას. ამჟამად (დასავლეთ) გერმანიის ერთერთ პრესტიჟულ გისენის უნივერსიტეტს იუსტუს ლიბიგის სახელი

ჰქვია (სხვათა შორის იქ მოღვაწეობს თეოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს დიდი ქომაგი, პროფესორი ადოლფ ჰამბელი).

სამედიცინო სავანთა გარდა გეორგს უამრავი სხვა რამ აინტერესებს — პირველ ყოვლისა, რაღათქმა უნდა, ბელეტრისტიკა, სადაც შემდგომ მან უკვდავი სახელი მოიხვეჭა. — აგრეთვე ისტორია და ფილოსოფია...

ბიუხნერის მშობლიურ პესენში ჰერცოგ ლუდვიგ II-ის მმართველობას ლიბერალიზმის ნიშანწყალი არ გააჩნდა, იგი თავისი ნებით ნიშნავდა და დაითხოვდა მოხელეებს, თრგუნავდა პრესას და პოლიციის ხელით ახშობდა თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლინებას. აქ აღმასულ გეორგს დათხოვნილი დახვდა ლანდტაგი — საჰერცოგოს პარლამენტი. სტატუს კვოთი ბიუხნერის უკმაყოფილება მარტო მეგობრების წრეში გაკეთებული და პირად წერილებში გამოთქმული პროტესტით არ შემოფარგლულა, მან დაბრუნებისთანავე, 1834 წ. დასაწყისში, მეგობრის, აგუსტ ბეკერის თანადგომით გისენში დააარსა ფრანგულ თარგზე მორგებული „ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოება“. „ჩემი აზრით, ჩვენს დროში ერთადერთი საშველილა დაგვრჩენია, — ძალის გამოყენება. მატერიალური სიღუხჭირე და რელიგიური ფანატიზმი წარმოადგენენ იმ ორ ბერკეტს, რომელთა ამოქმედება შესაძლებელს გახდის ხალხის რევოლუციური სულისკვეთების ჩამოყალიბებას“. ბიუხნერისა და მის თანამოაზრეთა მიერ დაარსებული საზოგადოების მიზანი იყო რევოლუციური მოწოდებების, პროკლამაციების შეთხზვა და გავრცელება.

1833 წლის მიწურულს ზოგადსაკაცობრიო და ფილოსოფიურ

პრობლემებს ვარდა გეორგის სულს აწუხებს და სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს სამი კონკრეტული ცხოვრებისეული კითხვა — დაემორჩილოს თუ არა მამის მოთხოვნას და სწავლა განაგრძოს როგორც მომავალმა პრაქტიკოსმა მედიკოსმა? გაუმხილოს თუ არა მშობლებს მინა იეგელესთან მიჩუმათებული ნიშნობის ამბავი? და ბოლოს — დაიწყოს თუ არა აქტიური პოლიტიკური საქმიანობა? ამასობაში იგი ავად გახდება (თავის ტვინის ქერქის მსუბუქი ანთება) და მამისეულ სახლს მიაშურებს დარმპტატში. მომღვენო წელიწადი ზემოსხენებულ კითხვებს მიაგებს პასუხს.

გლობალური, საკაცობრიო პრობლემატიკის გამო თავისტეხა, საკუთარი გარემოცვისაგან გაუცხოება და ფიზიკური ტკივილი ერთმანეთს ემატება, და ჭაბუკი გენიოსი სიზმარ-ცხადში სიკვდილს ჩახედავს თვალეში და პამლეტივით იტყვის — „სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიჩუმე მხოლოდ“.

წლის დასაწყისში მეგობართა წრეში ბიუსნერი გაიცნობს თეოლოგიის დოქტორს, ფრიდრიხ ლუდვიგ ვაიდიგს, ბუტსბახის გიმნაზიის რექტორს. ვაიდიგი გერმანიის ერთიანობისათვის მებრძოლი, ავტორი პამფლეტის „ჰესენის მანათობელი შუქურა“ გარკვეული კამერტონის როლს შეასრულებს ბიუსნერის ბრწყინვალე პოლიტიკურ და პამფლეტის, „ჰესენის მხარის მალემსრბოლის“ შექმნაში. პამფლეტის შექმნის ჩანაფიქრი მას ჯერ კიდევ სტრასბერგში ყოფნისას გაუჩნდა.

ვაიდიგმა იკისრა ტექსტის რედაქტორობა და თავადვე შეურჩია სათაური პამფლეტს. თუმცა მან იმდენად შეცვალა ტექსტი, რომ აღშფოთებული ბიუსნერი ავტორო-

ბაზე უარის თქმას აპირებდა. ტექსტოლოგები დღემდე იმტვრევენ თავს ინტერპოლაციებისა და ჩასწორებებისაგან პამფლეტის გაწმენდისა და ნაღდი ვარიანტის დადგენა-აღდგენისათვის.

ა. ბეკერი იგონებს: „საზოგადოების წევრები ერთმანეთს ვაიდიგს, რომ ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეობა მხოლოდ ერთობლივი ქმედების შედეგად შეძლებდა გარკვეული წარმატების მიღწევას. ბიუსნერი საზოგადოების ჩამოყალიბებას თვლიდა საჭიროდ, ვაიდიგს კი მიაჩნდა, რომ საკმარისი იქნებოდა, თუ ადგილებზე ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ პატრიოტები. ხალხის, ამბოხებული მასების მონაწილეობა რევოლუციის პროცესში ვაიდიგისათვის ოდენ საშუალება იმისათვის, რომ შეიცვალოს მთავრობა, ხოლო ბიუსნერი დემოკრატიულ პროცესებში ხალხის აქტიურ ჩართვას ემხრობა ამერიკული გამოცდილებისდა კვალად. ბიუსნერის პოლიტიკური მიზანია ევალიტარული საზოგადოება, გერმანიის ერთიანი კონსტიტუციური რესპუბლიკა.“

გდრ-ისა და საბჭოთა გერმანიისტიკაში ბიუსნერი წარმოჩენილი იყო ვით რევოლუციონერი, რომელმაც მარქს-ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტზე“ 15 წლით ადრე მიუთითა ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობაზე, მაგრამ რომ ეცოცხლა, ვფიქრობთ იგი მაინც არ გახდებოდა მარქსისტი, რადგან ხალხის მასების მიერ არსებული ვითარების გაცნობიერებას თვლიდა საჭიროდ (რაც მან კიდევაც სცადა თავისი „მალემსრბოლით“), — რასაც შემდგომ შესაძლოა მოჰყოლოდა რევოლუციური გარდატეხა და საერთოდ, ბიუსნერი ოდენ მწერალი იყო რევოლუციუ-

რად განწყობილი და არა რევოლუციონერი კალმოსანი.

ბიუსნერმა მშვენივრად იცოდა, რომ პამფლეტი და პროკლამაცია რევოლუციას ვერ გამოიწვევდა. ამგვარი თხზულებების დანიშნულებად იგი მიიჩნევს ხალხის განწყობილებისა და გარდაქმნებისათვის მისი მზადყოფნის ხარისხის გამოკვლევას.

„ჰესენის მალემსროლმა“ ბევრი სახლ-კარი მოიარა, მაგრამ მასებზე ზემოქმედება ნაკლებად იქონია, სამაგიეროდ მთავრობა შეაშფოთა და ბევრი მისი გამავრცელებელი, გეორგის მეგობარი დილეგში ჩაყარეს. გამცემლის დასმენის შედეგად ჰესენის პოლიციამ უნივერსიტეტს გაუგზავნა ბრძანება სტუდენტ ბიუსნერის დაპატიმრების თაობაზე. ქალაქში გამოკრულ საჯარო წერილებში აღწერილი იყო მისი გარეგნობა და მოქალაქეებს მოუწოდებდნენ დახმარებოდნენ „დამნაშავის“ შეპყრობაში.

„ახალგაზრდები გვიკიჟინებდნენ მოძალადენი ხართო, მაგრამ განა ჩვენ მუდმივ ძალადობას არ განვიცდით? რაკი დილეგში დავიბადეთ და გავიზარდეთ, ვეღარც კი ვამჩნევთ, რომ დილეგში დანთქმულთ, ხელფეხ შებოჭილთ ბურთი გვაქვს გაჩრილი პირში“.

(წერილი ოჯახს).

შემოდგომა გეორგმა მამისეულ საცდელ-საექსპერიმენტო ლაბორატორიაში გაატარა, საზოგადოებას ემალებოდა და მამის დავალებებს ასრულებდა. ღამღამობით კი დრამატურგიის მუშით მთავონებული, გატაცებით სწავლობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მასალებს და ერთი ამოსუნთქვით, ხუთიოდ კვირის განმავლობაში შეთხზა „დანტონის სიკვდილი“ — გენიალური

ტრაგედია, ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი დასრულებული დრამატული ნაწარმოები; ამგვარი აჩქარების საბაბი სხვა გარემოებათა გარდა გახდა ის, რომ მისი პოლიტიკური აქტივობით განრისხებულმა მამამ ვაჟიშვილს ყოველგვარი მატერიალური დახმარება შეუწყვიტა და ისიც ლიტერატურული ქმნილებებით ცდილობდა საარსებო სახსრებისა და გაქცევისათვის საჭირო ფულის მოპოვებას.

მცირე ხნით ადრე, ვიდრე დარმშტატიდან გაიქცეოდა, ბიუსნერმა „დანტონი“ გუცკოს გაუგზავნა იმ უცნაური წერილის თანხლებით, რომელიც ჩვენ დასაწყისში მოვიხსენიეთ. ნაწარმოებით მოხიბლულმა გუცკომ საოცარი ოპერატიულობა გამოიჩინა — ხელნაწერი იმავე დღეს წაიღო გამომცემელ ზაუერლენდერთან და იქ შეკრებილ საზოგადოებას თავად წაუკითხა. შედეგმაც არ დააყოვნა, — ღრამა ჯერ გაზეთ „ფენიქსში“ დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა, ხოლო ავტორმა მიიღო თავისი პონონარი. თუმცა გუცკომ, გამომცემლობის რედაქტორმა, ავტორის მიერ მიცემული ნებართვა გარკვეული კორექტირებისა ზედმეტად გამოიყენა და ძალიან შეცვალა ტექსტი, როგორც თვითონ განაცხადა „ცენზორისათვის რომ წაერთმია ჩიჩქნის ხალისი“. ხოლო თავათ ავტორი ოჯახისათვის გაგზავნილ ბარათში 1835 წ. ივლისში წერს: „თითქმის ყოველ გვერდზე არის რაღაც გამოტოვებული, ან ჩამატებული, ყოველთვის ტექსტის საზიანოდ. ხშირად აზრი დამახინჯებულია, ან საერთოდ უაზრობაა. გარდა ამისა წიგნი აჭრელებულია საშინელი კორექტურული შეცდომებით“. აუთენტური ტექსტი დრამისა ლუდვიგ ბიუსნერმა 1850 წელს შე-

იტანა გეორგის ოხსულებათა კრებულში.

„დრამატურგი, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ისტორიკოსი, ვინც ხელმეორედ ქმნის ისტორიას და უშუალოდ განგვაცდევინებს ეპოქის სიცოცხლეს. მისი უმთავრესი ამოცანაა, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს მოვლენებთან და სიმართლით ასახოს ისინი“, — წერს ბიუსნერი. სწორედ ამიტომ დასახეს იგი შემდგომ ნატურალისტური მიმდინარეობის წინამორბედად. რაც შეეხება იმჟამად გახმიანებულ ბრალდებას ამორალობის თაობაზე, დრამატურგი მას იმავ წერილში პასუხობს: „დრამატურგის წიგნი არც უფრო ზნეკეთილი შეიძლება იყოს და არც უფრო უზნეო, ვიდრე თავთ ისტორიაა. დიდებულ ღმერთს ისტორია ყმაწვილქალთა გასართობად არ შეუქმნია და ამიტომ არც მე უნდა მიწყინონ, თუ ჩემი დრამაც არ გამოდგება საამისოდ. აბა მე როგორ შემიძლია დანტონისა და ზანდიტი რევოლუციონერისაგან ქველსათნო კაცი გამოვიყვანო“.

დრამა ფრანგული ისტორიოგრაფიის მასალების გულდასმითი შტუდირების შედეგად დაიწერა. ნაწარმოების დროითი ჩარჩო სულ ექვსიოდ დღეს მოიცავს. რევოლუციის ტერორის ტალღამ ეს-ესაა შეიწირა დეცემვირები და ახლა დანტონსა და მის გუნდს ემუქრება. იაკობინელთა კლუბის სხდომაზე ლიონელი დეპუტატები წერილგანცხადებით (პროკლამაციით) უკიყინებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რევოლუციურმა აღტკინებამ სიფხიზლე დაგაკარგვინათ, რის გამოც გამოცოცხლებული რეაქციული ძალები საფრთხეს უქმნიან რევოლუციასო. „მტრის ღანდობა რევოლუციის სიკვდილია, არისტოკრატიის ყოველი სულთქმა რე-

ვოლუციის სასიკვდილო ხროტინს მოასწავებს“.

მაქსიმილიან რობესპიერი დანტონთან და მარატთან ერთად საფრანგეთის დიდი რევოლუციის უმნიშვნელოვანეს მოღვაწეთაგანია, მისი ხელმძღვანელობით წარიმართა ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, მისივე წინადადებით მოკვეთეს თავი მონარქს, ლუი მეტექსმეტეს. ბიუსნერის რობესპიერი ძალიან ჰგავს თავის ისტორიულ პროტოტიპს, იგი მოითხოვს რადიკალურად დაუპირისპირდნენ რევოლუციის მტრებს. რევოლუციის მსახვრალმა ხელმა უკვე მოიშორა ებერტისტები და ახლა ჯერი მიდგა დანტონისა და მისი გუნდის განადგურებაზე. „სოციალური რევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა“, — აცხადებს რობესპიერი, — „ვინც სანახევროდ დაასრულებს რევოლუციას, თვითონ გაითხრის საკუთარ საფლავს“.

„რესპუბლიკის იარაღი არის ტერორი, ძალას რესპუბლიკისა წარმოადგენს სიკეთე, რაღვან ტერორი უმწეოა თვინიერ სიკეთისა“. — ცდილობს იგი პარადოქსული მოსაზრებით გაამართლოს რევოლუციის დაუნდობელი მეთოდები.

რობესპიერი გადასწვდება მანსარდების ყოფილ ბინადრებს, რევოლუციის ბელადებს, ახლა რომ ელეგანტური ეკიპაჟებით დაბრძანდებიან, ბარონესებისა და მარკიზის ქალთა ამქარში გარყვნილების მორევში იძირებიან და დიდებულთათვის ჩამორთმეული ზიზილიპიპილა სამოსით ირთვებიან. მოუსყიდველობისა და პირდაპირობის გამო ხალხი რობესპიერს აღარებდა ანტიკურ არისტიდეს და ღვთითმოვლენილ მხსნელად, მესიად მოიხსენიებდა ხოლმე მას. ამ უკანასკნელი ზედწოდების გამო იგი ამდაგვარი რევოლუციური კაზუისტი-

კით თავმოქმედობებს (თუ თავს იმართლებს):

„მაცხოვარმა ადამიანი საკუთარი სისხლით დაიხსნა, მე მისივე სისხლით დავიხსენ იგი. მან ცოდვათა ანაბარა დაუტევა, მე თავად ვიკისრე მისი ცოდვები. მან ხორციელი ვნება იკისრა, მე კი — ჯალათის სატანჯველი. მაშასადამე რომელს წილხვდა უფრო მეტი თვითუარყოფა, მე — თუ იმას?“

რობესპიერი ბრალად სდებს დანტონს ჰედონიზმსა და სამშობლოს ღალატში. მისი რწმენით სოციალური რევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა და ვინც ეცდება შეწყვიტოს სანახევროდ ქმნილი, ოდენ შუაგზაზე მიყვანილი რევოლუცია, მას მოღალატედ მიიჩნევენ, — იგი თავისი ხელით გაითხრის საფლავს. ათასგზის თავმოჭრილი კლასი, რევოლუციონერთათვის ეგზომ საქულველი არისტოკრატია, ბოლომდე უნდა იქნას განადგურებული, რათა ხალხის ჯანსაღმა ძალებმა დაიჭირონ მისი ალგილი. რობესპიერის აზრით, სათნოების ცნების კონვენციური გაგება რევოლუციის ჟამს აღარაა მართებული, — რევოლუციონერმა არ უნდა დაინდოს მტერი. დანტონს კი მიაჩნია — ბრალეულისთვის მოქმედი არა და არ უნდა მოხვდეს უბრალოს! (რამდენი მილიონი სიცოცხლე გადარჩებოდა ოცდაათიანი წლების ტერორის მძვინვარების ჟამს, სსრკ-ში რომ ყურად ეღოთ ეს მაქსიმა!)

მთავარი სამიზნე ლიონელთა და რობესპიერის მრისხანებისა არის დანტონი. ჟორჟ ჟაკ-დანტონი, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, მრავალი სადამსჯელო ღონისძიების განმახორციელებელი, დახატულია თავისი კარიერის დასასრულს, როცა იგი ტერორის შემცირებისა და ზომიერების მოძრევა-

ხდა. ახლა მას ურჩევნია თავად ავიდეს გილიოტინაზე, ვიდრე სხვათა თავის მოკვეთა განაგოს. „უნდა გავეცალო, ამათმა პოლიტიკამ ქანცი გამაცალა“, — მიმართავს დანტონი კოლეგებს, — „ერთი რამ მსურს გიწინასწარმეტყველოთ, — თავისუფლების ქანდაკება ჯერ ლითონში არ ჩამოასხათ, ღუმელი გავარვარებულია და ფრთხილად, თითები არ დავიწვათ!“ მეგობრები აფრთხილებენ დანტონს, რომ მის თავზე ქუფური ღრუმელი იკრიბება, ხოლო თვით დანტონს კი ჰგონია, რომ დიდი დამსახურების გამო ხელს ვერ ახლებენ, შემდეგ მეგობრებს იგი იმასაც გაუმხელს, რომ დაიღალა და სურვილიც აღარ გააჩნია ცხოვრების ნირი შეიცვალოს. არც მაშინ იღონა რამე. როცა აცნობეს კეთილდღეობის კომიტეტის გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების შესახებ. რობესპიერმა თავისი გაიტანა და სისრულეში მოიყვანა განზრახვა — დანტონი და მისი მეგობრები დელეგში ჩაყარეს. პატიმარს მაინც ჰგონია და იმედი აქვს ტრიბუნალზე გამოსვლით შემოაბრუნოს განწირულთა ბედი. მისმა სიტყვამ მართლაც შეძრა მოსამართლენი:

— „ჩემთა საქმეთა მასშტაბები თავისუფლად იკმარებდა თქვენს დასანთქმელად, თუმც ეს მე დიდად როდი მეთნევა. ბედისწერა ამოძრავებს ჩვენს ხელებს, მაგრამ ოდენ დიდბუნებოვანნი ხდებიან ხოლმე მისი ორგანონი. მარხის მოედანზე მე ომი გამოვუცხადე სამეფოს, 10 აგვისტოს მას დამარცხება ვაგებე, 21 იანვარს ბოლო მოვუღე და მეფის თავი ხელმწიფეთ ვსტყორცნე ვით დუელის ხელთათმანი! ... იმ უსულგულო არამზადებს [ბრალმდებელთ — ზ. ა.] იმავე არარაობა-

ში გავტყორცნი უკან, საიდანაც, ერჩივნათ, რომ არასოდეს გამოძევრალიყვნენ... სექტემბერში რევოლუციის ახალნერგი მორჩები არისტოკრატთა სხეულის ნაფლეთებით გავაპოხიერე. ჩემს დაძახილზე არისტოკრატთა და მდიდართა ოქრო იარაღად გადაადნეს ხალხისათვის. ჩემმა ძახილმა, ვით ქარიშხალმა, დესპოტიზმის ლაქიები ხიშტების ტყეს გადააყოლა“. — ბრძანებს დანტონი. მჭუსარე ოვაციას მოიძვის, მაგრამ წერამწერლის მიერ განწირულს ვედარა ძალა უშველის. თავის მოკვეთის წინა დღეს მისი მოყვარული და ერთგული ცოლი მოიკლავს თავს.

ბიუხნერმა, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, რომ დრამატულ ნაწარმოებს მოქმედება სჭირდება, თუმცა „დანტონის სიკვდილში“ მოქმედება კონვენციური აზრით არა გვაქვს. ავტორი უფრო რიტორის როლში გამოდის, ვიდრე არქიტექტორისა. დრამატული მოქმედების გამოგონების ნაცვლად ბიუხნერი ახდენს — კოლაჟის მსგავსად — ისტორიულ გარემოებათა და პოზიციათა დაპირისპირებას ერთმანეთთან... ისტორიული პროცესები ბიუხნერისათვის იშვიათად ვითარდებიან სწორხაზოვნად. პოლარიზაცია, დანტონი — რობესპიერი არ დაიყვანება უბრალოდ კეთილისა და ბოროტის, მართებულისა და მცდარის ცნებებზე, ამის გამო შეუძლებელია მათი ცალსახა ინტერპრეტაცია. ფიგურებისათვის დამახასიათებელი შინაგანი დინამიკა, მათი სხვადასხვა რაკურსით წარმოჩენა ქმნის დრამატურგიის ამ შედევრის ხიბლს. ადამიანის ფსიქეს საოცარი მცოდნე ავტორი ათქმევინებს კამილ დესმოლინს, დანტონის თანამოაზრესა და მეგობარს: „ერთმანეთისგან დიდად არაფრით განვირჩევით, ყოველი ჩვენგანი არ-

ამზადაა და ანგელოსი, რეგენიცაა და გენიოსიც“. ავტორმა დიფერენცირებულად დაგვიხატა პიესის ყოველი პერსონაჟი, რათა „ისტორიული ტილო შეექმნათ რეგინალს მიმგვანებული“. „მე და დანტონი“ უფრო საკითხავი დრამაა, ვიდრე სცენური; ნაწარმოების მრავალპლანიანობა და ხასიათთა სირთულე განაპირობებენ ტექსტის სხვადასხვაგვარი წაკითხვის შესაძლებლობას. ყოველი ფიგურა — პროტაგონისტიცა და თვით ყველაზე ეპიზოდურიც, განუმეორებელი ინდივიდუალობით გამოირჩევა. ფრიად შთამბეჭდავია სახალხო სცენები, ჭრელი ხალხი, — სანკიულოტები, რევოლუციის რიგითი ჯარისკაცები; ბოგანო სიმონი, ცოლისა და კახპა ქალიშვილის პატრონი, მდაბიურად მოქილიკე, ენაგესლიანი, არც სხვას რომ არ დაინდობს და არც საკუთარ თავს. იგი ცოლს გალახავს, ვინც პანელზე გაუშვა საკუთარი ქალიშვილი — „შე მეძავით დალალო, სახელდაღმეჯილო ათაშანგო, ჭიით დაღრღნილო ცთუნების ვაშლო! შენი სხეულის ყოველ ნაკვთში გარყვნილებაა დაბუდეებული!“ მერე თითქოს ყურად იღებს ცოლის არგუმენტებს: „ნეტაჯ ერთი რა შარვალს ჩაიცვამდი, ყმაწვილკაცთა შარვლის ჩახდა რომ დაგვეშალა იმ გოგოსათვის, შე მართლა არყის ბოლლიწო, სულ ჩამოსმები, თუკი ის წყარო დაწდა, პე დიახ! ჩვენი სხეულის ყოველი ნაკვთით ვირჯებით და ამან რალა დააშავა!“ და ბოლოს სიმონი ისევ მოღბება, დაუყვავებს მეუღლეს და პამლეტის სიტყვების პარაფრაზით მიმართავს: „ზურგს ნუ შემაქცევ, თუ შეგიძლია, მომიტევე, ჩემო პორცია. გცემე? ეს ჩემი ხელი როდი იყო, არც მკლავი ჩემი, უგუნურობა იყო ჩემი“.

„ლიტერატურული და ფილოსოფიური ავანგარდის წრეებში პიესამ ჰპოვა საკმაოდ დაგვიანებული, მაგრამ მხურვალე მოწონება. ახალგაზრდა ავტორი გასაოცარი ანტიციპატორული სიღრმით სწვდება პოლიტიკას, რელიგიას, ხელოვნების თეორიას, მსოფლიო სევდასა და სენსუალიზმს — წინარემარტის სუბკულტურის მოღურ თემებს და შთამაგონებელი ლიტერატურული ფორმით ასხამს მათ ხორცს“ (იურგენ ზაიდელ.)

1835 წლის დასაწყისში გეორგ ბიუხნერი ორჯერ დაკითხეს, მას ემუქრება დაპატიმრების საფრთხე, მაგრამ იგი მოახერხებს, გაარღვიოს ეშმაკის წრე და საფრანგეთს მიასუროს. 12 მარტს სტრასბურგის ხელისუფალთ გამოეცხადა ვინმე ჟაკ ლუციუსი, 20 წლის ვითომ ელზასელი მეღუქნე, ვისაც ცხრა თვე დასჭირდა, სანამ დევნილის სტატუსს მიიღებდა და თავისი ნამდვილი სახელით გაბედავდა საზოგადოებაში გამოჩენას.

სტრასბურგში მინა, მშვენიერი გულიანსწორი, ერთგული ქალი, დახვდება და თავდადებული ზრუნვითა და სიყვარულით გაუადვილებს დევნილის ყოფას. „ვინც ექსორიას არ იცნობს, ვერ მიხვდება, თუ რა ღამეული შხამით წამლავს იგი ჩვენს ცნობიერებას. დანტემ თავისი ჯოჯოხეთი გადასახლებაში დაწერა. ოდენ ექსორიაში ნამყოფმა უწყის, რას წარმოადგენს სიტკბონარევი ნაღვლითა და მონატრების კაემნით შეზავებული სიყვარული შენი ქვეყნისა“, — წერს ჰაინრიხ ჰაინე.

ერნსტ ბიუხნერმა, როგორც ჩანს, სრულად ვერ გაისიგრძეგანა ვაჟიშვილის თავს დატეხილი საფრთხის მთელი სერიოზულობა. მას უკვირდა, რატომ არ გამოცხადდა გეორგი პოლიციაში დაკითხ-

ვაზე და რად გადაიხვეწა საფრანგეთში. მამის გულმა მთლად მაინც ვერ გაიმეტა პირმშო და დედის მეშვეობით უგზავნიდა საარსებოდ აუცილებელ სახსრებს.

1835 წლის ბოლოს კონცეფციითქმის ცხრა თვის შემდგომ ფრანგულმა ბიუროკრატიაში როგორც იქნა, მიანიჭა პოლიტიკური თავშესაფარი, ბიუხნერი ამცნობდა თავისიანებს: „შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ აქ ლტოლვილთა შორის პოლიტიკური საქმიანობა მინიმუმამდღეა დაყვანილი“.

სტრასბურგში ბიუხნერის ყურადღებას ამჯერად აღარც ლექცია-სემინარები და არც პოლიტიკური საქმიანობა განიზიდავენ და იგი მთლიანადაა კონცენტრირებული ლიტერატურასა და ბუნებისმეტყველებაზე. აქ გატარებული წელიწადნახევარი მისი ხანმოკლე სიცოცხლის ყველაზე ნაყოფიერი ხანაა. კარლ გუცკოს შუამავლობით მან თარგმნა ვიქტორ ჰიუგოს, იმჟამად პოპულარობის ზენიტში მყოფი ბუმბერაზი ფრანგი რომანტიკოსის, ორი დრამა „ლუკრეცია ბორჯია“ და „მარია ტიუდორი“ და მიიღო 100 გულდენი ჰონორარის სახით, რამაც საკმაოდ შეამსუბუქა მისი მატერიალური შეჭირვება. გახარებული დევნილი თავისიანებს აცნობებს, ამიერიდან შემიძლია ლიტერატურული შრომით ვირჩინო თავიო. ორივე თარგანს ატყვია დახვეწილ ლიტერატორის სტილის უბადლო ოსტატის ხელი. ისინი მიჩნეულია ადექვატური, კონგენიალური თარგმანის ნიმუშად. ის კი არა, ჭაბუკმა მთარგმნელმა შებედა დიდ ავტორიტეტს და მიუთითა იუგოს სტილის ზოგიერთ უხერხულობაზე.

შემდეგ ბიუხნერის გულისყური მიიპყრო მწერალ ლენცის ტრაგი-

კულმა თავგადასავალმა. იაკობ მი-
ხაელ რაინჰოლდ ლენცი „შტურმ
უნდ დრანგის“ დრამატურგიის
ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წა-
რმომადგენელია გოეთესა და ში-
ლერის შემდეგ. ლენცის შემოქმედე-
ბამ გარკვეული ანარეკლი ჰპოვა
ბიუხნერის დრამატურგიაში, ხო-
ლო ლენცის ბიოგრაფიის შვეიცა-
რული მონაკვეთი დაედო საფუძვ-
ლად ბიუხნერის გენიალურ ნოვე-
ლას „ლენცი“. „ხელში ჩამივარდა
ფრიად საინტერესო მასალები გო-
ეთეს ერთი მეგობრის, უბედური
მწერლის, ლენცის შესახებ, რომე-
ლიც აქ (სტრასბურგში — ზ. ა.)
გოეთესთან ერთად იმყოფებოდა და
კინალამ შეიშალა“ (მშობლებისა-
დმი მიმართული ბარათიდან). ბი-
უხნერის ყურადღება მიიქცია ელ-
ზასელი მღვდლის, ობერლინის
დღიურის ჩანაწერებმა, რომელმაც
თავის სახლში ერთხანს შეიფარა
ავადმყოფი პოეტი. თავდაპირვე-
ლად ბიუხნერმა დიდი და გავლენ-
იანი ლიტერატურული გაზეთის
„დოიჩე რევიუ“-სთვის დააპირა
სტატიის დაწერა ლენცის შესახებ.
ბიუხნერისათვის, ფილოსოფიურად
მოაზროვნე მწერლისა და მედი-
კოსისათვის, ამ ადამიანის სული-
ერი ბიოგრაფია აღმოჩნდა ღრმა
ფსიქოლოგიური წიაღსვლების სა-
ბაზი.

ლტოლვილის აფორიაქებული
ყოფა, ავადმყოფობა, სამშობლოს
მონატრება, გულისსწორ მინა იე-
გელესთან და ოჯახთან განშორება,
გაჭიანურებული კონფლიქტი მამა-
სთან განაპირობებენ გეორგის სუ-
ლიერ კრიზისს და ეს ყველაფერი
ესმიანება ლენცის სულიერ განწყ-
ობილებას, აქედანაა ნოველის ავ-
ტობიოგრაფიული შტრიხები. „სა-
კუთარი და სხვათა განცდების ლი-
ტერატურულმა ურთიერთდაკავში-
რებამ ორმაგი ზეგავლენა იქო-

ნია: — საკუთარი გამოცდილებისა
და გრძნობათა პროექცია მეორე
მე-ზე და უცხო ფენომენის გათავი-
სება. აქედან წარმოსდგება ტექს-
ტის საგანგებო შემოქმედება მკი-
თხველზე, რომელზეც იმსჯელება
ავტორის ღრმა სიმპატიით ავადმ-
ყოფი ლენცისადმი, რომლის გაუ-
კულმართებული, საცოდაობის აღ-
მძვრელი მსოფლალქმა ძუნწი სტი-
ლური საშუალებებითაა გადმოცე-
მული და მიწყევ პროეტირებული
სუბიექტურ სამყაროზე. აქ ყვე-
ლაფერი საოცრად მცირეა, ახლო-
ბელი, წყნარი, სიმშარეული და
იღუმალი სისუფთავითა და სით-
ბოთი გამორჩეული. ბიუხნერს
მცირეოდენი საშუალებით ხელე-
წიფება სულ ახლოს მიგვიყვანოს
ლენცის თვალთახედვასთან, რათა
ცხადად გადმოსცეს სხვადასხვა ში-
ზოფრენულ უკულმართობითა და
დანაშრევთა გულ-გონების შემძ-
რავი საშინელება“. (იურგენ ზაი-
დელ).

ტექსტოლოგებს, ბიუხნერის შე-
მოქმედების მკვლევართ, დიდი გა-
რჯა დასჭირდათ, რათა განესაზღვ-
რათ ნაწარმოების ქანრი — ნოვე-
ლა იყო იგი, თუ *Bericht* — ამბის
მთხრობელი სტატია. დღემდე გრძე-
ლდება დავა. ფრაგმენტია იგი, თუ
დასრულებული ნაწარმოები, იქნებ
ავტორმა შეგნებულად დასვა წერ-
ტილი. იქ, საცა თავდება ნოველა.

„დოიჩე რევიუ“ იმავე, 1835 წ.
ნოემბერში დახურეს და გუცკოს, ჰა-
ინესა და „ახალგაზრდა გერმანიის“
სხვა წარმომადგენლების მიმართ რე-
პრესიები განახორციელეს. გეორგ
ბიუხნერი ველარ მოესწრო თავისი
თხზულების პუბლიკაციას, „ლენ-
ცი“ 1839 წელსდა დაიბეჭდა ჰამ-
ბურგში მინა იეგელეს მიერ გადა-
წერილი ვერსიით, რაც ალბათ ახ-
ლოსაა ავტორისგული მანუსკრიპ-
ტის ტექსტთან. ასეა თუ ისე, ნო-

ველა გერმანულენოვანი ლიტერატურის შედევრად, მოღერნის პროზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად არის მიჩნეული. დღევანდელი მკითხველისთვის იგი უალრესად მასობელი და გასაგებია, როგორც მარადი საკაცობრიო პრობლემების დიდებული მხატვრული ხორცშესხმის ნიმუში.

ლიტერატურათმცოდნეები ნაწარმოების სტილის უჩვეულობისა და იმუაპინდელი ლიტერატურული იზმებისაგან სრულიად განსხვავებულობის გამო წერის მანერაში ეძებენ და პოულობენ მომდევნო პერიოდის მიმდინარეობათა, კერძოდ — იმპრესიონიზმის, ნატურალიზმისა და ექსპრესიონიზმის ანტიციპაციას. ჭეშმარიტი პოეტის მოქცევა ერთი რომელიმე იზმის მარწუხებში მისი პროკრუსტეს სარეცელზე მორგების ტოლფასი იქნებოდა. აკი ბრძანა არტურ შნიცლერმა: „ყოველი პოეტი მიწყვიტარის რეალისტიცა და იდეალისტიც, ექსპრესიონისტიცა და იქნებ სიმბოლისტიც, ანდა იგი საერთოდ არ იმსახურებს პოეტის სახელს. რატქმა უნდა, ჭარბობს ხოლმე რომელიმე სკოლა და მსოფლმხედველობა ტემპერამენტის, განწყობილებისა და ეპოქისადაკვალ. ჭეშმარიტი შინაგანი აუცილებლობით თხზულ ხელოვნების ნაწარმოებში მზისებრ ჩახჩახებს იდეა, როგორც იეცხლმოდებული გული. შეკოწიწებულ თხზულებებში კი, რაგინდ დიდი ტექნიკური დახვეწილობითაც არ უნდა გამოირჩეოდნენ ისინი, იდეა მოჰგავს მბჟუტავ ლამპარს, რომელიც მანამ ჩაქრება, ვიდრე ფონს გავიდოდეს“.

უალრესად საინტერესოა ლენცსა და ობერლინთან იმხანად სტუმრად ჩამოსული ქრისტოფ კაუფმანის საუბარი ესთეტიკის საკითხე-

ბზე. კაუფმანი — ექიმი, ფილანთროპი, აღიარებული მწერალი, სხვათა შორის იმითაცაა ცნობილი, რომ მან ფრიდრიხ მაქსიმილიან კლინგერის დრამას დაარქვა „ქარიშხალი და შეტევა“¹ — და ამით თავისდაუნებურად მოახდინა გერმანული ლიტერატურის მთელი ამ მიმდინარეობის სახელდება.

აი ბიუნენის სპინოზასეული პანთეიზმით გატაცებისა და მეცხრა მეტე საუკუნის მიწურულის ლიტერატურული მიმდინარეობის, ნატურალიზმის ანტიციპაციის დამადასტურებელი პასაჟი ამ დიალოგიდან: „ობერლინმა მთიელები გაიხსენა, იქაური გოგოები მიწის ქვეშ წყლისა და ლითონის ბუდობს მიაკვლევენ ხოლმე, ხოლო მამაკაცები მთის კალთებზე სულებს ერკინებიანო. ისიც დასძინა, ერთხელ მთის ღრმა მდინარის წყალში ცქერამ კინალამ სომნამბულად მაქციაო. ახლა ლენცმა გაანდო, ვივრძენი, წყლის სული როგორ გადმოვიდა ჩემზე და მაშინ მივხვდი ჩვენი ყოფის უცნაურობასო. შემდეგ განაგრძო: — უბრალო, ალალი ადამიანები სტიქიონებთან უფრო მეტად არიან წილნაყარნი; რაც უფრო დახვეწილი სულისა და ცხოვრების ნირისაა კაცი, უფრო ჩლუნგდება მისეული განცდა ბუნებისა, თუმცა ამგვარი ცხოვრება ყოფიერების მაღალ ფორმად არ მიმჩნია მისი არასაკმაო თავისთავადობის გამო, მაგრამ ისიც მჯერა, რაოდენ უკიდევანო უნდა იყოს ნეტარების გრძნობა, როცა კაცი შეესწრება პირველქმნილი სიცოცხლის რაგინდარა გამოვლინებას. დიდებულია, ოდეს მავანს ესმის ქვათა და ლითონთა ღალადი და აქვს უნარი მომადლებული, ისე შთაეგრძნოს მოვლენას ბუნებისა, ვითარც ყვავილი ეგუება

ჰაერს მთოვარის მატებისა თუ კლემბისდაკვალად“.

აქ ლერს სოტბა ბუნების ჰარმონიისა და სტიქიონებთან თანაზიარობის მისწრაფება, მომდევნო პასაჟი გადმოგვცემს ბიუხნერის რეალისტური ესთეტიკის კრედოს, მის მოსაზრებას ლიტერატურისა და სინამდვილის მიმართებათა შესახებ. იგი ლენცის, ნაწარმოების პერსონაჟის პირით ილაშქრებს სინამდვილის შელამაზებისა და ბუნებაზე აღმატებული ხატების შექმნის პრეტენზიების წინააღმდეგ. „ღმერთმა სამყარო ისეთი შექმნა, როგორც ჯერარს და ჩვენი ნაცოდვილარი იმას ტოლს ვით დაუდებს. ერთადერთ რასმე უნდა ვესწრაფოთ, — ნაწარმოები მცირეოდენ მაინც მივამგვანოთ მას და მივბაძოთ ყველგან, როგორც ცნობიერების, ასევე ყოფიერების გარემოებათა გადმოცემისას, მაშინ ზედმეტი აღმოჩნდება თხზულების აკვარგზე მსჯელობა. შემოქმედი შეიგრძნობს, — ქმნილებას სიცოცხლეს თუ შთაბერავს, — და ამგვარი შეგრძნება თავისთავად უგულუბელპყოფს წილადობილას ავკარგინობის თაობაზე და იგი ერთადერთი კრიტერიუმია ხელოვნების საგანთა განსასჯელად. თუმცა მას იშვიათად თუ საღმე კპოგებ; შექსპირთან და ხალხურ პოეზიაში იგი ნაღდა, ხანდახან ნახაჯ გოეთესაც; სხვა ყველაფერი ციცხლში დადაგდის ღირსია... აბა მოსინჯეთ და შთაეგრძნეთ თუნდაც ყველაზე კნინი სუღდამულის სიცოცხლეს და აღნუსხეთ მისთა ნაკვთთა თრთოლვა ძლივს სახილველი, უფაქიზეს წადილ-მურაზის მიმოფენა... მზისქვეშეთში ბეგრია პროზაული ბუნების ადამიანი, თუმცა ძარღვი გრძნობისმერი თითქმის ყოველ კაცს ერთნაირი აქვს, მეტ-ნაკლები სისქის გარსით გარემოცული. საამისოდ ხამს

ჩუბინი თვალი და მახვილი ყური...“

შიშით შეპყრობილი ლენცი აფექტის ჟამს ბუნებაში გაძვრება სოლმე და მის ავადმყოფურ მსოფლალქმაში გარდატეხილ ქუნების სურათები ნოველში სუფლესმემძვრელი სიღიადითაა ნახატი. მსოფლიო ლიტერატურაში ცოტა თუ დაიძებნება მათი ბადალი, მაგრამ ლენცის ცნობიერება ხშირად ველარ აღიქვამს სოლმე გასულიერებულ ბუნებას, ადამიანის ნღობასა და მოწიწებას რომ იწვევს. ესაა ღვთისგან განკვეთა, რწმენით მოქებული სიმყურროვის გაქრობა და ლენცი თავს შერაცხავს „მარად ურიად და „საუკუნოდ დაწყველილად“. რწმენის დაკარგვას თანა სღევს შეგრძნება ამაოებისა, — ემოციებისა და სიყვარულის განცდის დაცხრობა, დაბორგუნველი დამბლადამცემი მოწყენილობა. მოწყენილობის მოტივი გასდევს ბიუხნერის მთელ მხატვრულ შემოქმედებას, განსაკუთრებით „დანტონსა“ და „ლენასა და ლეონსს“. „რას აღარ სჩადის ადამიანი მოწყენილობის გადაძკიდე! მოწყენილობის გამო უნივერსიტეტში სწავლობს ხალხი, ან ლოცულობს მოწყენის გამო, ადამიანს სიყვარულსა და ქორწინებას, გამრაფლებას აიძულებს მოწყენილობა, და ბოლოს, კაცი კვდება კიდევ მოწყენის გამო, ყიგლადირზე სასაცილო კი ისაა, რომ ამას ყველაფერს მედიდური დამომეტყველებით სჩადის. რატომ, — თავადაც არ იცის და არც ღმერთმა უწყის“ („ლენა და ლეონსი“).

პოლიტიკური საქმიანობისაგან ბიუხნერი იმიტომაც იკავებს თავს, რომ ფიქრობს შვეიცარიაში კპოგოს ნავსაყუდელი, ქაგყანაში, რომელმაც იმ ხანებში იქ თავშეფარებული გერმანელი ემიგრანტები სწორედ პოლიტიკური აქტივობის გამო გამოაძევა. სამაგეროდ იგი

განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას როგორც მეცნიერ-ბუნებისმეტყველი და ლიტერატორი. გუცკო სერიოზულად ურჩევდა პროფესიული მწერლის კარიერას, მაგრამ დროის წნეხის ქვეშ მყოფმა გეორგმა მაინც უნივერსიტეტის პროფესორობისათვის სამზადისი არჩია, ანატომიაზე შეჩერდა და დაიწყო ექსპერიმენტები თევზებზე: 1835 წლის შემოდგომაზე შეუდგა წერას და მომდევნო წლის გაზაფხულზე უკვე მზად ჰქონდა საკვალიფიკაციო ნაშრომი „ჭანარის ნერვული სისტემის შესახებ“, რომელიც სტრასბურგის საბუნებისმეტყველო ჟურნალში დაიბეჭდა და ამის საფუძველზე ციურისის ახლად დაარსებულმა უნივერსიტეტმა 1836 წ. სექტემბერში ახალგაზრდა მეცნიერს ფილოსოფიის დოქტორობა მიანიჭა.

დისერტაციის დესკრიპტულ-ანატომიური თეზისები ავტორმა ფილოსოფიურ განზოგადობათათვის გამოიყენა და შემდგომ ციურისში წაკითხულ საცდელ ლექციაში ჩამოაყალიბა საბოლოო სახით. ბიუსნერი აკრიტიკებს ორგანული ბუნების კვლევის ინგლის-საფრანგეთში გავრცელებულ ტელეოლოგიურ? (მიზანმიმართულობის — განვითარების | მიზანშეწონილობის მალიარებელ მიდგომას) და აყალიბებს საპირისპირო თვალსაზრისს, რომელსაც იგი ფილოსოფიურს უწოდებს. „ყველაფერი, რაც მათთვის (ტელეოლოგიის მიმდევართათვის — ზ. ა.) მიზანს წარმოადგენს, ჩვენთვის არის შედეგი, საცა ტელეოლოგიური სკოლა გამზადებულ პასუხს პოულობს, იქ დასაბამს იღებს ფილოსოფიური კითხვა. ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება დაიძებნოს ოდენ მთელი სტრუქტურის უზოგადესი კანონის ძიების მეშვეობით. ამიტომ ფილო-

სოფიური მეთოდისათვის ინდივიდის ფიზიკური არსებობა თვითშენახვით კი არ შემოიფარგლება, არამედ მასში ხდება მანისფესტაცია დასაბამისეული მშვენიერების კანონისა, რისი ძალისხმევითაც როგორც უმარტივესი, ასევე უმაღლესი და უაღრესად სუფთა ფორმები“.

დოქტორის დიპლომთან ერთად ბიუსნერმა მიიღო უნივერსიტეტის მოწვევა, რათა წაეკითხა საცდელი ლექცია დოცენტის თანამდებობის დასაკავებლად. დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში იგი თავს გრძნობდა მსოფლიოს ყველაზე მოსაწყვენ ციხეში, დღე და ღამე რომ გულისამრევი საქმით იყო გართული (იგულისხმება თევზების პრეპარირება ზ. ა.), არ ვიცი საიდან ვბოვე საამისო მოთმინებაო, — ამბობს იგი ერთ წერილში.

ამასობაში კოტას გამოცემლობამ გამოაცხადა ლიტერატურული კონკურსი „ერთ ან ორმოქმედებიან პიესაზე ლექსად ან პროზით“. ბიუსნერიც ჩაუჯდა, ერთ თვეში დაწერა და გააგზავნა კომედია „ლენა და ლეონსი“. გააგზავნა, მაგრამ ოდნავ დაუგვიანდა და გაუხსნელი კონვერტი უკან დაუბრუნდა. საკონკურსო (აღმათ) ორმოქმედებიანი ვერსია აღარაა შემონახული და შემორჩენილი სახით კომედია სამმოქმედებიანია. საბაბი დრამატული ლიტერატურის ამ მარგალიტის შექმნისათვის საარსებო სახსრის, ფულის შოვნის გარდა იყო სურვილი ვოლფგანგ მენცელზე შურისძიებისა. მენცელი, გავლენიანი მწერალი და გამოცემელი, ცნობილი იყო თავისი ნაციონალისტური მსოფლმხედველობით და მკვახე გამოხდომებით გოეთესა და ჰეგელის წინააღმდეგ. მისი დასმენის შედეგად დაიწყო „ახალგაზრდა გერმანიის“ წევრი მწერ-

ლების დევნა და აიკრძალა სტუდენტური ორგანიზაცია ბურშენ-შაფტი, რომლის დაარსების ინიციატორთაგანი თავად იყო, მანვე დაიწუნა ბიუსნერის „დანტონი“.

როგორც ზემოთ ითქვა, ლუდვიგ ბიუსნერმა შეკრიბა და 1850 წ. გამოსცა თავისი ძმის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, წინასიტყვაობაში იგი წერს: „კომედია „ლენა და ლეონსი „აქ პირველად იბეჭდება სრული სახით“. გუცკომ 1838 წელს ჟურნალში პირველად გამოქვეყნებული ტექსტი ძალიან შეცვალა.

პიესის მოქმედება ვითარდება ჯუჯა სამეფოში — პოპო ესაა იმჟამინდელი უამრავ დამოუკიდებელ-ადმინისტრაციულ ერთეულად დაქუცმაცებული გერმანიის ციციქნა პროვინციის გროტესკულ-პაროდული ხატი. პერსონაჟები რეალურ სამყაროს მოწყვეტილი, ეფემერულ იდეებს აყოლილი ადამიანები არიან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბიუსნერმა აქ უარი თქვა საკუთარ რეალისტურ პრინციპებზე, მაგრამ ირონია, კალამბურები, სიტყვათა თამაში და გროტესკი გაუცხოების ეფექტს ახდენენ და აბათილებენ რომანტიკულ აურას.

იტალიელი დრამატურგების ვიტორიო ალფიერის და კარლო გოცის ფრაზების თაობაზე, ნაწარმოებს რომა აქვს წამძღვარებული — *e la lama* (და სახელის მოხვეჭა), — და *e la lame* — და შიმშილი) რომელთაც ბიუსნერის ტექსტთან უშუალო მიმართება არ გააჩნიათ, აზრთა სხვადასხვაობაა. თვლიან, რომ ეს შესაძლოა იყოს საკონკურსოდ გაგზავნილი ნაწარმოების დევიზი, მოიხსენიებენ აგრეთვე ბიუსნერის მიერ ნათქვამ ფრაზას „ოდენ სახელს ვესწრაფვი ამით, არა ლუკმაპურს“.

ლიტერატურათმცოდნეებმა დაადგინეს, რომ კომედიის ტექსტში ბევრია პერაფრაზი, მარბნება ან პირდაპირ გადმოღებული / ციტატა ბიბლიიდან, იტალიური კომედია დელ არტედან, მაგისტრანოს, აინდორფის, გოტიეს, გოეთეს, შამისოს, შექსპირის ნაწარმოებებიდან. ვალტერ ჰინდერერის აზრით, „ლიტერატურული ციტატა „ლენა და ლეონსში“ წარმოადგენს კომპოზიციის გადამწყვეტ ესთეტიურ პრინციპსა და საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილს“. ციტატები ისე ორგანულად არიან ჩაწნული ბიუსნერის ტექსტში, რომ კი არ ამცირებენ პიესის ორიგინალობას, არამედ პირიქით, იმ ასოციაციების წყალობით, ისინი რომ იწვევენ, მატებენ კიდევ თავისებურ სიბლს, და ხელს უწყობენ ავტორისეული ინტენციის განხორციელებას.

პოპოს მეფე პეტერი (*popo-ქართ. ტაკუნები*), დილას ტანთ ჩაცმის დროს ცხვირსახოცის კიდებზე გაკეთებულ სამახსოვრო ნასკვს აღმოაჩენს და უცებ ველარ გაიხსენებს, რისთვის გამოსკვნა იგი, ვერც ქვეშევრდომთაგან ეხმარება ვინმე; სახელმწიფო სამჭოს ხსენებაზე ბოლოს თავათ მოაგონდება — პო, მართლა ჩემი ხალხი მინდოდა გამეხსენებიაო.

მოწყენილობით გაბეზრებული პრინცი ლეონსი (კდილობს როზეტასთან, მღაბიური წარმოშობის მოცეკვავე გოგოსთან ფიქრთვასართველი სიყვარულობანა გაითამაშოს, მაგრამ მიხვდება, რომ მოწყენილობის მიზეზი სწორედ ეს კავშირია და მოიშორებს მას. მერე შეიტყობს რომ „ხვალ მოელლიან პიპის ქვეყნის (*pipi* — ქართ. ფიშიფიში) მეფის ასულის, უავგუსტოესი თქვენი საცოლის ჩამობრძანებას“. არც უავგუსტოეს პრინცესა

ლენასთვის უკითხავთ, სურდა თუ არა უცნობ მეფისწულზე დაქორწინება; და არასასურველი ქორწინებიდან თავის დახსნის მიზნით მეფისწული გაიქცევა პოპოს ქვეყნიდან, ხოლო ლენა ზურგს შეაქცევს პიპის სამეფოს. გაქცეული ბატონიშვილი გზადაგზა თავის მეგობარ ვალერიოსთან ბჭობს და არჩევს, აწ რას ეწიოს — მეცნიერებას მიპყოს ხელი, საგმირო საქმეები ჩაიდინოს, თუ გახდეს გენიოსი და აღამიანთა სასარგებლო საქმეთ ჩამდენი. ბოლოს მისვდება: „ო, ეშმაკი ხომ კონტრასტის გულისთვისაა, ზეციურის არსებობა რომ მიგვანიშნოს. (წამოხტება). პეი, ვალერიო, ახლა კი მივხვდი! გესმის სამხრეთის ქარის ქროლვა? გრძნობ, როგორ ღვივის და თან ღიფლივებს მუჭლურჯი ეთერი? ნათლის სვეტი დასდგომია თქროსგარაყიან, მზისფერ მიწას, მადლმოსილ ზღვას, მარმარილოს სვეტებთან და ქანდაკებებით შემკულ სასახლეებს. ჩასძინებია ფავნს, ჩრდილდაფენილ ბრინჯაოს ფიგურებსაც რული მოპგვარა ტალღების ტლაშუნმა. პოდა, ეზმანებათ ვირგილიუსი, ძველი ჯადოქარი, ტერანტელა და ტაბურიანი, შფოთიანი, უკუნი ღამეები — გიტარები, ნიღბები, მამხალეები, ლაზარონი, ვალერიო, ლაზარონი! იტალიას გავემგზავროთ!“

მაგრამ შემთხვევისა თუ მოირას განგებით მშვენიერ ასულს შეეყრება და მყისვე თავდაჯიწყებით შეუყვარდება უცნობი. ქალიშვილსავე ერთი ნახვით შეუყვარდება ყმაწვილკაცი. ამასობაში პეტერ მეფემ შეპყარა დიდებულები და ცდილობს აღასრულოს თავისი განზრახულობა — იმხიარულოს და, რაკი მისი ვაჟიშვილი გაქცეულია და არც სარძლო, პოპოს მეფის ასული ჩამო-

უვიდა, ბრძანებს, სტუმრად მოსულ ნილაბაფარებულ წყვილს დასწერონ ჯვარი. მეფის გასართობად მოგონილი ჯვრისწერის ცერემონიის დასასრულს მოხდება კონცერტება, — მოსულეებმა მისი ბჭობა ჩაიხდიან და — ყველა მისვდება, რომ მეფის კაპრიზის გამო სწორედ პრინცსა და პრინცესას დასწერეს უნებლიეთ ჯვარი. პეტერ მეფე უარს ამბობს ხელმწიფობაზე და ლეონსს გადასცემს ხელისუფლებას. ვალერიო სახელმწიფო მინისტრის პოსტს ჩაიბარებს და ასე აყალიბებს საკუთარ კრედოს:

„როცა მინისტრი გავხდები, დეკრეტს გამოვცემ: ვისაც ხელებზე კოყრები გაუჩნდება, — ზედამხედველობა დაუწესონ, ვინც მუშაობით თავს შეიწუხებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრონ; ყველა, ვინც წვითა და დავით მოიპოვებს პურს არსობისას, შერაცხონ შლეგად და კაცთა მოდგმისათვის სახიფათოდ; ჩვენ კი ჩუროში დავივანებთ და ღმერთი მოგვივლენს მაკარონს, ნესვენს, ლედვს, მადლს სიმღერისა, ტანის სიმრთელეს და მარგებელ რელიგიას!“

ნიღბებით თამაში ფილოსოფიურად მოაზროვნე ავტორისათვის პიროვნების მეობის გამოვლენების პოტენციურ მრავალგვარობას უნდა ნიშნავდეს. „ლეონსი და ლენა“ წარმოადგენს რეალობის ბავშვურ-ფანტასტიურ გაზვიადებას და იმავდროულად მის უღმობველ განქიქებას, ვერბალურ ცირკსა და დენუნციაციას, მასკარადსა და მეტაფორას, ფარსსა, ზლაპარს და დაუდეგარ მიმოკვეთებას ხასხასა კომიზმსა და ცრიატ სილინჯეს შორის (იურგენ ზაიდელ).

დარმშტატში, მამის მდიდარ ბიბლიოთეკაში დაცულ უურნალ-

გაზეთებში გეორგის ყურადღება მიიქცია 1821 წელს ლაიფციგში მომხდარმა მკვლელობამ, რომელმაც მაშინ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია — უმუშევრად დარჩენილმა ხელოსანმა, იოჰან ქრისტიან ვოიცეკმა, ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა თავისი საყვარელი. სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილი მიუსაჯა. განაჩენმა ააფორიაქა საზოგადოება და ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ ჩაეტარებინათ ვოიცეკისათვის ფსიქო-სომატური ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნით განსასჯელი შერაცხადი აღმოჩნდა და განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

1835-1836 წ. ზამთარში ბიუნხერი თავდაუზოგავად მუშაობდა და ერთდროულად ქმნიდა ზემოთ განხილულ კომედიას, სადოქტორო დისერტაციას და დრამას, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა და არც ლუდვიგის მიერ გამოცემულ თხზულებათა კრებულში იყო შეტანილი. კარლ ემილ ფრანცოზმა, შემდგომში სახელგანთქმულმა, იმჟამად ახალგაზრდა მწერალმა, ბიუნხერის შემკვიდრობაში დაცული ფოლიოს და კვარტის ფორმატის ხელნაწერის სამი ვარიანტი, ვოიცეკის თემით გაერთიანებული, გამოართვა ლუდვიგს 1875 წელს. მანუსკრიპტი ბაცი მელნითაა შესრულებული. ძნელად წასაკითხი და ალაგ-ალაგ საერთოდ ვერ გასაშიფრი ხელნაწერი ფრანცოზმა ჭიმბიურად დაამუშავა და ბიუნხერის პუბლიკაციის დარგში საკუთარ დიდ დამსახურებასთან ერთად თავისდაუნებლიეთ გარკვეულად გაუძნელა საქმე (თუ დაასაქმა?!). „ვოიცეკის“ ფილოლოგიის მომდევნო მკვლევართ. მან თავისუბურად დააღაგა, დასაბუჭლად მოამზადა და ლუდვიგს გაუგზავნა იგი.

ლუდვიგ ბიუნხერმა, იმჟამად თავისი ფილოსოფიური ნაშრომის — „ენერგია და მატერიალზ“ — წყალობით ძალიან პოპულარულმა პიროვნებამ მანუსკრიპტი უკან დაუბრუნა ფრანცოზს ^{1835 წელს} და აცნობა, თავს ნება მივეცი ორიოდ კორექტურული და სტილისტური შეცდომის გასწორებისათ. არც ფრანცოზმა დააკლო ტექსტს ხელი და თავადც ვითომდა ესთეტური კრიტიკრიუმებიდან გამომდინარე ჩასწორებები და ჩანართები გააკეთა. დრამატულ ფრაგმენტს მან უწოდა „ვოიცეკი“ — არაზუსტ წაკითხვაზე დაფუძნებული ისტორიული შეცდომა — აქედანაა ალან ბერგის ცნობილი ოპერა, ამ სახელწოდების მატარებელი. დამკვიდრებული ტრადიციით ნაწარმოები მომდევნო გამოცემებში (კორექტირებული) ამ სახელწოდებითაა შესული — Woyzeck, თუმცა ზოგი მკვლევრის ვარაუდით „ლეონსი და ლენას“ ანალოგიით ნაწარმოებისთვის ავტორს შეეძლო „ფრანცი და მარია“ დაერქმია.

ბიუნხერის ვოიცეკი საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელი, ჯარისკაცია, მცირე ხელფასის გადამკიდეს არ შეუძლია ცოლად შეირთოს მარია, მეგობარი ქალი, ვისთანაც უკვე შვილი ჰყავს. გაჭირვება აიძულებს ვოიცეკს იმუშაოს როგორც დალაქმა, შეასრულოს თავისი უფროსის, კაპიტანის ათასნაირი კაპრიზი და იყოს ახირებული ექიმის სამედიცინო ექსპერიმენტის ობიექტი, — ექიმი მას მუხუდოს ულუფაზე დასვამს და აკვირდება, რა ზემოქმედებას ახდენს ამგვარი დიეტა ადამიანის ორგანიზმზე. მდაბიოსა და უპოვარანტიგმირს ჰალუცინაციები აწუხებს.

დრამატულ ფრაგმენტ „ვოიცეკისთვის, ისე როგორც ბიუნნერის ყველა დანარჩენი მხატვრული ნაწარმოებისათვის, უმთავრესი სტილური ფიგურატაგანია გროტესკი. ვოიცეკის ავადმყოფურ აღქმაში აღრეულია მიზეზშედეგობრიობის კატეგორიები, მოვლენეთა განვითარების ლოგიკა, საგანთა სიმეტრია და იერარქიები. იგი საკუთარი ფანტაზიით შექმნილ სამყაროში ცხოვრობს და მისი საქციელი მუდამ ტრაგიკომიკურად აღიქმება თანამოქალაქეების მიერ.

„ვოიცეკის“ ინტერპრეტატორები მიუთითებენ მთავარი პერსონაჟის, ფრანც ვოიცეკისათვის ნიშანდობლივ რესტრინგულ (შემოზღუდულ) ენობრივ კოდზე. „დანტონის“ არისტოკრატი, მალალგანათლებული გმირების მალალფარდოვან, დახვეწილ ენისაგან განსხვავებით ვოიცეკის, მისი მეგობრის, ანდრესის და მეტნაკლებად მათი წრის სხვა წარმომადგენელთა მეტყველება ნაკლულოვანია და მწირი.

კაპიტანი თავად არ გამოირჩევა დიდი ინტელექტითა და წესიერებით, მაგრამ იგი, როგორც შემორჩე მდგომი სოციალური ფენის წარმომადგენელი და სამსახურებრივი რანგით უფროსი, თავს უფლებას აძლევს აგდებით ელაპარაკოს ვოიცეკს, მას არ მოსწონს, ვოიცეკი რომ „ფეთიანივით იარება“, რაც „არ შეჰფერის კეთილ კაცს, სუფთა სინდისის პატრონს“ და რომ „ვოიცეკს თურმე შვილი ჰყოლია ეკლესიის კურთხევის გარეშე შობილი“ და „მორალი არ გააჩნია“. ამაზე ვოიცეკი მიუგებს:

„ბატონო კაპიტანო, მოწყალე ღმერთი აბა პაწიას ხომ არ მოჰკითხავს, დართო თუ არა მან მშობლებს ნება, ვიდრე ისინი მის კეთე-

ბას შეუდგებოდნენ!“ კაპიტანიცა და ექიმიც ოფიციალურ წარმომადგენლები, ჩინოსნები არიან, ვოიცეკისაგან ისინი ბრმა მორჩილებას მოითხოვენ, თუმცა ყოველთვის როდი ახერხებენ ამას.

„ვოიცეკის“ ხელნაწერის (ძეორე ვარიანტის) მეშვიდე გვერდის კიდულე შემონახულია ბიუნნერის კალმით შესრულებული ამ ორი პერსონაჟის გრაფიკული ნახატი. ექიმი ენერგიული ნაბიჯით საითკენაც მიეშურება. ის გამხდარი, ცქვიტი კაცია. კარიკატურის მანერით დახატულ სახეზე მედიდურობა და თვითკმაყოფილება აწერია, ასე რომ ვერბალური და გრაფიკული პორტრეტები სავსებით ერთხვევა ერთმანეთს. იგივე შეიძლება ითქვას კაპიტანზეც.

ამქვეყნიური ყოფის ამაოების წარმოსახვა, როგორც დიდი თეატრისა, ბაზრობისა (თუ კირმესისა) მსოფლიო ლიტერატურის მოარული მოტივია დიდი შექსპირიდან მოკიდებული, თეკერემ ხომ „ამაოების ბაზარი“ უწოდა თავის დიდებულ რომანს. „ვოიცეკის“ ბაზრობის სცენები „შტურმ უნდ დრანგის“ ლიტერატურამ შთააგონა ბიუნნერს. „ვოიცეკის“ ბაზრობაზე ირევა მილეთის ხალხი, უმთავრესად მდაბიორთა წარმომადგენელი. აქ მოპატიუილენი სიზილ-პიპილებით მორთულ მაიმუნს, გაწრთვნილ ცხენსა და იადონებს აჩვენებს ხალხს და ენამშეობს, აფრქვევს თავის განსწავლულობას, პოპულარული ენით განმარტავს ადამიან-ცხოველის მსგავსება-განსხვავებას, რაც ადამიანისა და ცხოველის სულისა და სხეულის დაპირისპირების კარტეზიანული (დეკარტესეული) თეორიის განქიქებას წარმოადგენს (*res cogitans* მოაზროვნე სუბსტანცია და *res externa* — განფენილი სუბსტანცია).

თავის კონსპექტში ბიუხნერი ამ-
რიგად აყალიბებს დეკარტეს თვალ-
საზრისს: „ცხოველები სხვა არა-
ფერი არიან, თუ არა უსულო მა-
ნქანები, ავტომატები. მთავარი
მიზეზი, რატომაც უარყოფენ, რომ
მათ სული აქვთ, ისაა, რომ ისინი
მოკლებულნი არიან ენას. მეტყვე-
ლების უნარი რომ გააჩნდეთ, ცხო-
ველები მოახერხებდნენ თავიანთი
აზრების ერთმანეთთან დაკავშირე-
ბას და გადმოცემას.

გაუცხოებული ვოიცეკის პირით
ავტორი გვამცნობს: „ყოველი კა-
ცი უფსკრულია, ჩაიხედავ და თავ-
ბრუ დაგეხვევა“. ბიუხნერის აზ-
რით მჭიდროდ არიან ერთმანეთთან
დაკავშირებული კონკრეტული და
ზოგადი; ერთმანეთზე გადახლარ-
თულნი, ისინი განაპირობებენ ერთ-
მანეთს და გადადიან ერთმანეთში.
იმ ადამიანის სიცოცხლე, ვის მა-
მოძრავებელ ძალასაც მატერიალუ-
რი მოთხოვნები წარმოადგენენ,
ტკივილითა და სილატაკით არის
დაღდასმული. ბიუხნერისეულ სპი-
ნოზას კონცეპტში აღნიშნული
თვალსაზრისი შემდგომ თეორიულ
განვითარებას პოულობს. სპინოზას
ფილოსოფია აღიარებს ადამიანის
ქმედების ამაოებას ბუნებისა და სა-
ზოგადოების პროცესებთან მიმარ-
თებაში. კითხვას — რა ვქნათ, —
იგი პასუხობს, — შეიმეცნეთ! აქე-
დან წარმოსდგება ბიუხნერის წინა-
აღმდეგობა, იგი უარყოფს ღმერთის
სპინოზასეულ ღეფინიციას: „მაშ
რა გვაძლევს საფუძველს ამ ღეფი-
ნიციის ჩამოყალიბებისათვის? გო-
ნება? — იგი არასრულყოფილია.
გრძნობა? — იგი ტკივილთანაა წი-
ლნაყარი“. მაშასადამე უარყოფი-
ლია ღმერთი, როგორც პერსონი-
ფიცირებული პრინციპი, ვით შემო-
ქმედი, თუმცა შემდეგ დასძენს:
„აბსოლუტური არასათვის არც სა-

ფუძველი არსებობს და არც მიზე-
ზი“. მაშასადამე აღიარებულია
არა ღმერთი — შემოქმედი, ვით
დასაბამისა და მიზნისეული სიღი-
დე, არამედ უსასრულო პრინციპი,
სუბსტანციის არყოფნის უკუაქო-
ცხავი. ბიუხნერისეულ მსოფლსა-
ტში მჭიდროდაა ერთმანეთთან გა-
დახლართული საბუნებისმეტყველო,
ფილოსოფიური, მხატვრული და
პოლიტიკური შეხედულებანი“ (მა-
რიანე ბეეზე).

ვოიცეკი თავის მეგობარ ანდრე-
სთან ერთად (აღმათ კაპიტნის და-
ვლებით, რეკრუტებისათვის ჭკუ-
ის სასწავლებლად) წკეპლებს ჭრის
და სმენითი და ვიზუალური პალუ-
ცინაციები აწუხებს (გუგუნი ესმის
მიწის სიღრმიდან და ცაზე ცეცხ-
ლის მოვანება ელანდება).

სალამოხანს ვოიცეკი და მარია
ბაზრობაზე გაისეირნებენ. აქ მშვე-
ნიერ, შავთმიან მარიას ყურადღე-
ბას მიაქცევს ტამბურმაჟორი, აედ-
ევნება და... რამდენიმე დღის შემ-
დეგ ვოიცეკი მარიას ყურებზე შეამ-
ჩნევს უცხო საყურეს, მარია მოა-
ხერხებს როგორღაც თავის მართ-
ლებას. ბაზრობის გარდა ვოიცეკი,
მარია და პიესის სხვა პერსონაჟები
თავს იყრიან იაფფასიან სამიკიტ-
ნო-ფუნდუკებში, სადაც ქეიფი
ხშირად ხმაურიან, თავაწყვეტილ,
ავხორც ღრეობაში გადაიზრდება
ხოლმე. ამა ქვეყნის ამაოების გან-
ცდისა და ღმერთის და მიღმური
სამყაროს რწმენის არქონის გამო
ისინი აქ ეძებენ თავდავიწყებას.

(კაპიტნის) ბოროტი ენა აცნო-
ბებს ვოიცეკს, მარია გღალატობსო.
ფუნდუკში ღრეობის უამს იგი ნა-
ხავს, ერთმანეთთან ჩახუტებულ
მოცეკვავე მარიასა და ტამბურმა-
ჟორს, მაშინ კი დარწმუნდება ლა-
ლატში და შურისძიების გეგმას და-
სახავს, ებრაელი მეწვრილმანისა-

გან შეიძენს დანას, ქალაქგარეთ გაიტყუებს ქალს და ტბისპირას, ზინდბუნდში, ალერსის უამს გაუყრის მუცელში.

გაბოროტებული ანტიგმირი თავის რისხვას იმათ წინააღმდეგ კი არ მიმართავს, ვინც იგი დაამცირა და გააბოროტა, არამედ უმწეო და დაუცველი არსების, მარიას წინააღმდეგ, ერთადერთი ადამიანისა, ვისაც იგი უყვარს.

„ბიუსნერი ცდილობს დაადგინოს დანაშაულის სოციალური ფესვები და სვამს კითხვას, როგორ ჩამოყალიბდა ვოიცეკი როგორც ადამიანი, როგორია მისი სტატუსი საზოგადოებაში და რა ურთიერთ-მიმართებაა მკვლელის ვითომდა ამორალურობასა და მის სოციალურ ყოფას შორის. აქა ჰპოვა ბიუსნერმა თავის მიერ დასმული პრობლემის თავი და ბოლო. ნაწარმოები უაღრესად მწვავედ განაქიქებს იმდროინდელ ურთიერთობებს, რომელთაც ადამიანი ბოლოს და ბოლოს სიგიჟემდე და დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანეს“ (მარიანე ბეეზე).

დრამის პერსონაჟისა და მისი ისტორიული პროტოტიპის შედარება გვიჩვენებს, — ბიუსნერმა არ გადმოიღო რეალური ვოიცეკის ის ნიშნები, რომლებიც მას წვრილობურჟუაზიული ორიენტაციის მქონე, გადაგვარებულ და გაუცხოებულ ხელოსნად წარმოაჩენდა, ავტორმა საქსონიიდან ვოიცეკი პესენის პატარა ქალაქში გადაასახლა. პირველწყაროს გარდა მან დაამუშავა და გამოიყენა ზღაპრები და სიმღერები მდიდარი გერმანული ფოლკლორიდან.

სტრასბურგის ექსორიის ბოლო ხანებში ბიუსნერი გეგმავდა გამოცვა თავისი სამი ახალი დრამატული თხზულების კრებული. რაკი „დან-

ტონი“ მაშინ უკვე დასტამბული იყო, იგულისხმებოდა „ლენა და ლეონსი“, „ვოიცეკი“ და ჩვენამდე არმოდწეული „პიეტრო არეტინო“, რომელსაც მისი ოჯახის წევრები გეორგის შემოქმედების მწვერვალად მიიჩნევდნენ.

„ვოიცეკის“ ავტორი შემთხვევით არ დაინტერესებულა პიესის პროტაგონისტის პიროვნებით, პიეტრო არეტინომ, მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელმა პოეტმა თავისი ცხოვრების ნირით, შემოქმედებით და დამკვიდრებული მორალური პრინციპების უარყოფით გაითქვა სახელი. იგი დაუნდობლად განაქიქებდა თავისი დროის უზნეო საზოგადოებას, ხატავდა კურტიზანთა ცხოვრების ვულგარული, უხამსი ყოფის მართალ სურათებს და იმავედროულად ქმნიდა მაღალმხატვრულ, დახვეწილი ესთეტიური ხერხებით თხზულ ნაწარმოებებს (შესაძლოა არეტინო იცნობდა ფრანგი მგოსნის, ფრანსუა ვიიონის პოეზიას, რომელსაც აგრეთვე წითელ ზოლად გასდევდა მორალისა და იერარქიული სტრუქტურების უგულვებელყოფის პათოსი).

ზოგიერთი მკვლევარი მინას აბრალებს გაუგონარ მკრეხელობას, — თითქოს მან თავისი დანიშნულის დღიურებთან ერთად, ცეცხლს მისცა „არეტინო“ მისი ანტირელიგიური სულისკვეთების გამო, მაგრამ მწერლის არქივი მამისეულ სახლში ინახებოდა და იქნებ თხზულება სწორედ იმ სახლში გაჩენილ ხანძარს ემსხვერპლა. ალბათ იმავე ხანძარმა შეიწირა ბიუსნერის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნაწილიც.

ვასაოცარი შრომისუნარიანობის წყალობით გეორგი სტრასბურგის ექსორიის პერიოდში უამრავ

სხვა საქმესთან ერთად ამზადებს ლექციების კურსს „გერმანული ფილოსოფიის განვითარების შესახებ კარტეზიუსის შემდგომ“. „ფილოსოფიის შესწავლამ სულ მთლად გადაპრია, ადამიანის სულის სილატაკე ახალი კუთხით მეცნაურა“ (გუცკოსადმი მიწერილი ბარათიდან).

როგორც ითქვა, 1836 წ. სექტემბერში ციურიხის ახალდაარსებულმა უნივერსიტეტმა ბიუნენერს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიანიჭა და მისივე თხოვნის საფუძველზე მიიწვია იგი საცდელ ლექციის წასაკითხად. 18 ოქტომბერს სამშობლოდან დევნილი მგოსანი ერთი უცხო ქვეყნიდან მიაშურებს მეორეს, — შვეიცარიას, — იმხანად კონსტიტუციური დემოკრატიის ერთადერთ რესპუბლიკას ევროპაში.

პროფესორთა საბჭოს მიერ მოწონებული, წარმატებით წაკითხული საცდელი ლექციის შემდეგ გეორგს ციურიხის უნივერსიტეტის დოცენტობას ანიჭებენ. აქ იგი რამდენიმე სემინარსაც ჩაატარებს (ზოოტომიური დემონსტრაციები) და მოზრდილ ოთახს დაიქირავებს ციურიხის ტბაზე. მშვენიერი მინაიეგელეს ხატება მუდამ თანა სდევს უზომოდ შეყვარებულ ჭაბუკ პოეტს და განშორების უამს თითქმის ყოველდღე წერილით ესაუბრება სატრფოს: „ნუთუ არ გესმის უკან, შენკენ მომავალი ჩემი ფეხის ხმა? შესედე, მე ყვავილებს გიგზავნი, იაიებს, ფურისულებს, ყოჩივარდებს, დედამიწის პირველ აკრძალულ მზერას მზეჭაბუკის ანთებულ თვალში. ნახევარი დღე ვზივარ შენს ხატებასთან განმარტოებული და გესაუბრები!“ და „ჩემო კარგო ნინველა, შენი ჩვილი გული კაეშანს

შეუპყრია, შიშმა კინალამ ავად გაგხადა, მეგონა მომიკვებოდნი, — მე კი სულაც არ შეპრიანება სიკვდილი და უფრო ტანმრთელი ვარ, ვიდრე ოდესმე. შენმგონი ჩემის შიშით, რომ მოსაუღლებელი არ გავმხდარიყავ, — გამოვჯანმრთელდი. სტრასბურგში ეს ამბავი სასიამოვნო იქნებოდა და მე დიდი ხალისით დავწვებოდი თოთხმეტი დღე, გიომის ქ. ნნ-ში მეორე სართულზე მარცხენა მხარეს, მწვანეშპალერიან, ოდნავ გადაფერდილ ოთახში. ამოდ ხომ არ დავშვრებოდი კარზე კაკუნით?..

ჩემი სახლის პატრონი მთვრალ კურდღელსა ჰგავს, თავის დიდებულ სახლში ქალაქის განაპირას მან დიდი, ელეგანტური ოთახი დამითმოქირით. სახლი ტბის სიახლოვესაა, ჩემი ფანჯრიდან მოჩანს ტბის ლაჟვარდი და მზით გაჩახჩახებული ღრუბელივით ილანდებიან ყოველი მხრით მოჯარული ალპები...“

დამწყები დოცენტის ჰონორარები ძალიან მცირეა, მაგრამ იგი ჩვეული ოპერატიულობით ყველაფერს ასწრებს: — კონტაქტს შვეიცარიელ კოლეგებთან და გერმანიიდან დევნილ ემიგრანტებთან, ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს, კაფესა და სამორინეს სტუმრობას, — ალბათ, მშობლების მიერ აღმოჩენილი ფინანსური მხარდაჭერის წყალობით. ყარიბმა მგოსანმა უცხოობაში თითქოს ჰპოვა ნავსაყუდელი, — იწყება ბრწყინვალე სამეცნიერო-პედაგოგიური კარიერა, გამოსაცემად მზადდება დრამების კრებული, სურვილი, — ციურიხის ტბისპირა დიდებული სახლის ბინა მალე უნდა დაუმშვენოს გულისსწორმა, მაგრამ სიყრმიღანვე აკვირებული თუ ქვეშეცნეულად ნაგრძნობი — არ დავბერდებიო — უნდა აუხდეს, — მის თავზე თით-

ქოს აღმართულია ბედისწერის ულ-
მობელი, მსახვრალი ხელი. იანვა-
რში ის იყო დაძლია გაჭიანურებუ-
ლი გაცივებით გამოწვეული ულო-
ნობა და თებერვლის ორს უკვე გა-
მოაჩნდა ტიფის ნიშნები (რაოდენ
ოპერატიული იყო მაშინდელი ცხე-
ნების ფოსტა, — ტელეგრაფი ჯერ
ხომ ჩანასახოვან მდგომარეობაში
იმყოფებოდა!). 17 თებერვალს ერ-
თგული მინა უკვე ჩამოვიდა, რათა
თავზე დასდგომოდა ავადმყოფ და-
ნიშნულს. მაგრამ ვერც თავათ მე-
დიცინაში განსწავლულმა ავადმ-
ყოფმა და ვერც მისმა მკურნალმა
ექიმმა დასვეს დროულად დიაგნო-
ზი და, როდესაც დაადგინეს, უკვე
გვიან იყო — *typhus contagisus*,
მძიმე, მაგრამ არა უკურნებელი სე-
ნი. უგონოდ მყოფმა გეორგმა ვერ
იცნო სანახავად მოსული სათაყვა-
ნებელი ქალი, „მერე მყისიერად
გაუთბა გაშტერებული მზერა, კო-
ნვულსიისგან შეცვლილ სახეზე
ამო ღიმილმა გადაურბინა — შეი-
ცნო ქალი და ისევ ჩავარდა საზა-
რელ დელირიუმში“.

1837 წ. 19 თებერვალს 23
წლის გეორგ ბიუხნერი გარდაიც-
ვალა, ჩაქრა გერმანული ლიტერა-
ტურის ცარგვალზე მეტეორივით
გაუღვებული გენია. მინამ დანიშ-
ნულის გარდაცვალების შემდეგ

კიდევ 43 წელიწადი იცოცხლა და
გაუთხოვარი წავიდა ამ ქვეყნიდან.
კარლ გუცკო ასე დაემშვიდობა
მეგობარს:

ბიუხნერი

„რასაც ხელს მრძაღმდებ, ყვე-
ლაფერს ჯეროვან ყალიბში მოაქ-
ცევდა ხოლმე. ფიქრიც და სიტყ-
ვაც ერთნაირად ემარჯვებოდა და
ახალგაზრდა მეცნიერისთვის გა-
საოცარი სიღინჯით ემარჯვებოდა
საკუთარი იდეების გამოკვეთა —
გამოკრისტალება. მისი საკვალი-
ფიკაციო ნაშრომი მიჩნეულია
ღრმა და საფუძვლიანი მეცნი-
ერული კვლევის ნიმუშად. რომ
დასცლოდა, ბიუხნერი ალბათ სა-
კუთარ პოეტურ ნიჭს ფილოსოფი-
ის დარჯაკში გამოაწრთობდა და
ფილოსოფიის ასპარეზზე მგოსნის
მიერ დანთებული თავისუფლების
მაშხალით ბნულეთის ყველაზე უკუნ
კუნჭულებს მოჰფენდა შუქს. მაგ-
რამ, ვაგლახ, ქარბორბალამ დაშ-
რიტა და გაფანტა ეს იმედები“. ბი-
უხნერისადმი მიძღვნილ ლექსში
ჰერვეგი ამბობს:

„შეწყდა სიმღერა, ისამარა მიწამ
მგოსანი,
ნატიფთა ლექსთა თან წარილო
კრიალოსანი“.





AMNESIE IN LITTERIS

... რა მკითხეთ? ჰო, რა თქმა უნდა: რომელმა წიგნმა მოახდინა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, მახსოვრობაში ისე აღმებეჭდა, რომ სამუდამო დაღი დამასვა, შემძრა, თუ სულაც რაღაც, ყალიბში მომაქცია ან კიდევ, გეზი მიცვალა.

მაგრამ ყოველივე ეს ხომ შოკისმომგვრელად უღერს ან ტრავმას მოგვაგონებს, ასეთი რამ კი ადამიანს ყოველთვის შიშნარევ ზმანებებში ემართება და არა ფხიზელი ცნობიერებისას, რომ აღარაფერი ვთქვათ (ასეთი რამეების) წერილობით გამოქვეყნებაზე. ამის შესახებ, თუ არ ვცდები, ერთმა ავსტრიელმა ფსიქოლოგმა უკვე მიუთითა, რომლის სახელიც ამ წუთას თავიდან ამომივარდა, ერთ-ერთ ნამდვილად ღირებულ სტატიაში, რომლის სათაურსაც ასევე გარკვევით ვერ ვიხსენებ, მაგრამ ის ერთ-ერთ ტომში იყო საერთო სათაურით „მე და შენ“ ან „ის და ჩვენ“ ან კიდევ „თავად მე“ თუ რაღაც ამდაგვარი (ის მგონი ახლახანს Rowolt-მა, Fischer-მა, dtv-მ ან კიდევ Surkamp-მა ხელახლა გამოსცა, ამ წუთას ვერ გეტყვით, მაგრამ ყდა მგონი მწვანე და თეთრი თუ მოციისფრო-მოყვითალო ან სულაც მორუხო-მოლურჯო-მომწვანო იყო).

მაგრამ ამჯერად ეს კითხვა ალბათ სულაც არაა მკითხველის ნევროტრაემატული გამოცდილებისადმი მიმართული, არამედ უფრო იმ სულისშემძვრელ შემოქმედებით განცდას გულისხმობს, ცნობილ ლექსში რომაა, სახელად „მშვენიერი აპოლონი“... არა, მე ვფიქრობ, მას „მშვენიერი აპოლონი“ კი არა, სხვა რამ ერქვა, რაღაც უფრო არქაული „ყმაწვილის ტორსი“ თუ „უძველესი მშვენიერი აპოლონი“, რაღაც ამგვარი, მაგრამ ამას საკითხთან კავშირი არა აქვს... — ე. ი. როგორც ამ ცნობილ ლექსშია, ვიპოვა ეს ლექსი?.. ამ წუთას მის სახელს ვერ ვიხსენებ, მაგრამ ნამდვილად ძალზე ცნობილი პოეტი განლდათ ნუკრის თვალებით და გაბურძენული წვერით, იმ სქელ ფრანგ მოქანდაკეს (მოიცა, რა ერქვა?) ბინა რომ აშოვნინა რიუ დე ვარენის ქუჩაზე — ბინა არასწორი ნათქვამია, მთელი სასახლე განლდათ დიდებული ბალით, ათ წუთშიც რომ ვერ შემოივლი (კაცს უნებურად კითხვა გიჩნდება, ნეტა რა სახსრები ჰქონდათ ყოველივე ამისათვის იმ დროში?) — ყველა შემთხვევაში, როგორც თავის შესანიშნავ ლექსში ამბობს, რომლის ციტატასაც ახლა ზუსტად ვერ მოვიყვან, ბოლო სტრიქონი მარადიულ მორალურ მოწოდებად აღმებეჭდა მესხიერე-

ბაში, იგი ასე უღერს: „უნდა შეცვალო ცხოვრება შენი“. რა შუაშია აქ ის წიგნები, რომელთა კითხვამაც, შემიძლია ვთქვა, შეცვალა ცხოვრება ჩემი? ამ საკითხში გასარკვევად წიგნების თაროსთან მივდივარ ხოლმე (რამდენიმე დღის წინათ ასე მოხდა) და თვალს ვავლებ წიგნის ყუებს. როგორც ყოველთვის, ასეთ შემთხვევებში — კერძოდ, როცა ვინმე დიდი მწერლის განსაკუთრებით ბევრი ეგზემპლარი, როგორც ერთი ლაქა, თავს იყრის და თვალებს მიჭრელებს — პირველ რიგში თავბრუ მესხვევა და ამ თავბრუსხვევის შესაჩერებლად, ალაღბედზე მთელ მასაში ერთ ცალკეულ წიგნს დაგწვდები, გამოვადრობ, შემოვბრუნდები ამ ჩემი ნადავლით, გადავშლი, ვფურცლავ და ვიძირები მასში.

მალე ვხვდები, რომ კარგი არჩევანი გამიკეთებია, ზედმეტად კარგიც კი. ესაა ნატიფი პროზისა და ნათელ აზრთა მსვლელობის ნიმუში, შეზავებული ძალზე საინტერესო, ჯერ უცნობი ინფორმაციებით და აღსაესე შესანიშნავი მოულოდნელობებით — სამწუხაროდ, წიგნის სათაური ამ წუთას, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, არ მაგონდება, ასევე ნაკლებად მახსოვს ავტორის გვარი ან შინაარსი, მაგრამ ამას, როგორც თავად დარწმუნდებით (საქმესთან კავშირი არა აქვს, მეტიც: პირიქით, გვეხმარება კიდევ მის ახსნაში. როგორც მოგახსენეთ, ეს გახლავთ ცნობილი წიგნი და მე იგი ახლა ხელთა მაქვს, ყოველი წინადადება წარმატებულია, კითხვითვე მივდივარ ჩემ სკამამდე, კითხვით ვჯდები, კითხვაშივე მაღიწყდება, რის გამო ვკითხულობ საერთოდ. მხოლოდ კონცენტრირებულ მოთხოვნილებად ვარ ქცეული ღირებულისა და სრულიად ახლის მიმართ, რასაც აქ ყოველ გვერდზე ვპოუ-

ლობ. ნაუცბათევი აღნიშვნები ტექსტში ანდა მინდორზე ფანქრით გაჩნაპნილი ძახილის ნიშნები — წინა მკითხველის ნაკვალევი, რასაც წიგნებში ჩვეულებრივად დიდად არ ვაფასებ — ახლა შექმნილია მიშლის, რადგან იმდენად საინტერესოდ მიმდინარეობს თხრობა, იმდენად ღონივრად ბრწყინავს თავად პროზა, რომ ფიქრის ნაკვალევს ვეღარც კი ვამჩნევ. და თუ ამას ზოგჯერ მაინც ვიქმ, მხოლოდ ვეთანხმები ჩემ წინამორბედ მკითხველს და ოდნავი წარმოდგენაც კი არა მაქვს, ვინ შეიძლება იყოს იგი, — ხოლო შემდეგ ირკვევა, რომ ეს შენიშვნები სწორედ იმ ადგილებზეა გაკეთებული, რომლებმაც ასევე მეც ყველაზე მეტად აღმაფრთოვანა. ვაგრძლებ კითხვას ტექსტის უბაღლო ხარისხითა და ჩემი უცნობი წინამორბედის სულიერი თანამოაზრეობით ორმაგად ფრთაშესხმული, სულ უფრო ღრმად ვიძირები შეთხზულ სამყაროში, სულ უფრო მეტი გაცეებით მივსდევ ავტორის მიერ გაკვალულ ამ საოცარ ბილიკს...

მოთხრობის კულმინაციამდე ჯერ არ მივსულვარ, რათა შემეძლოს ხმამაღლა წარმოვთქვა: „ო, რა კარგადაა გააზრებული! რა დიდებულად ნათქვამი!“ რალაც მომენტში თვალს ვხუჭავ წაკითხულის გასააზრებლად, მაშინვე ელვასავით გამიკრთება ცნობიერებაში და ამ ქაოსს გამინათებს. სრულიად ახალი პერსპექტივები, ახალი შემეცნება მეხსნება და ჩემში ასოციაციების მთელ ნაკადს იწვევს და მართლაც მთლიანად მმსჭვალავს, როგორც ეს სტრიქონი: „უნდა შეცვალო ცხოვრება შენი!“ და ავტომატურად ხელი ფანქრისკენ გამიბრძის, „ეს უნდა აღნიშნო“, — ვფიქრობ, — „ძალიან კარგია“, დაწერ ალბათ მინდორზე და მსხვილ ძახილის ნი-

შანსაც დაუსვამ ბოლოში და რამდენიმე ძირითად მოსაზრებასაც მოინიშნავ აზრთა მთელ რიგ მსვლელობაზე, რომელიც ამ პასაჟმა გამოიწვია ჩემში — ნიშნად ავტორისადმი ჩემი მხარდაჭერისა და თაყვანისცემისა, ესოდენ დიდებულად რომ გააშუქა ყოველივე!“

მაგრამ შეხე საოცრებას! როცა ფანქარს ამ გვერდისკენ ვხრი, რათა ჩემი „ძალიან კარგია!“ დავაფიქსირო, აქ უკვე წერია „ძალიან კარგია!“ და ძირითადი აზრის შემცველი რეზიუმეც, ჩემმა წინამორბედმა მკითხველმა უკვე მოინიშნა და თან იმ ხელწერით, რომელიც ჩემთვის კარგად ნაცნობია, კერძოდ — ჩემი საკუთარი ხელწერით, რადგანაც წინამორბედი მკითხველი სხვა არავინაა, თუ არა მე თავად. ეს წიგნი დიდი ხნის წინ წამიკითხავს.

ამ დროს ენით უთქმელი სევდა მიპყრობს. ძველმა დაავადებამ *Amnesie in litteris* — ანუ ლიტერატურული მეხსიერების სრულმა დაკარგვამ ისევ იჩინა თავი. იმედგაცრუების ტალღა მითრევს, შემეცნებისადმი ყოველგვარ ლტოლვას, ყოველგვარ მისწრაფებას მტაცებს. მაშ რილასთვის ვიკითხო, ან რა საჭიროა ამ წიგნის კიდევ ერთხელ გადაკითხვა როცა უკვე ვიცი, ცოტა ხნის შემდეგ პატარა მოგონების მცირე აჩრდილიც აღარ დამრჩება მისგან? რილას მაქნისია რაიმეს კეთება საერთოდ, თუ ყოველივე არარაობაში დაინთქმება? რილასთვის ვიცოცხლოთ, თუ ისედაც უნდა მოგკვდეთ? და მე ვხურავ ამ მშვენიერ წიგნს, ვდგები და ნაცემივით, გამათრახებულებით უკან მივდივარ თაროსთან და წიგნს ვუერთებ აქ მყოფ ანონიმურ და დავიწყებულ სხვა ტომთა უშველებელ რიგს.

ჩემი მზერა თაროს ბოლოს ჩერდება. რა არის აქ? (ა)ჰო: ალექსანდრე დიდის სამი ბიოგრაფია. ოდესღაც ყველა წავიკითხე. მაგრამ რა ვიცი ალექსანდრე დიდის შესახებ? არაფერი! — მთხვეწნო თაროს ბოლოში აწყვია რამოდენიმე გამოცემა ოცდაათწლიან ომზე, მათ შორის ხუთას გვერდიანი ნაშრომი ვერონიკა ვედგვულისა და გოლომანის ათასგვერდიანი ტომი ვალესტაინზე. ყოველივე ეს მე გულმოდგინედ წავიკითხე. მაგრამ რა ვიცი ოცდაათწლიან ომზე? არაფერი. ქვედა თარო თავიდან ბოლომდე გაჭედლილია წიგნებით ბავარიელი ლუდვიგ II-ეს შესახებ და მის პერიოდზე. ისინი მე არა თუ წავიკითხე, არამედ გადავამუშავე კიდევ მთელი ერთი წლის განმავლობაში და ამის შედეგად დავწერე სამი სცენარი მის შესახებ, მე თითქმის ექსპერტიც კი გახლდით ლუდვიგ II-ეს საკითხში. მაგრამ რა მახსოვს ამჟამად ლუდვიგ II-ისა და მისი პერიოდის შესახებ? არაფერი. აბსოლუტურად არაფერი. მაშ კარგი, ვფიქრობ ჩემთვის, ამ ტოტალურ ამნეზიას ლუდვიგ II-ეს მიმართ ალბათ გადავიტან. მაგრამ რა ვუყოთ იმ წიგნებს, იქით, საწერი მაგიდის უკან რომ აწყვია უფრო დახვეწილი ლიტერატურის განყოფილებაში? მეხსიერებაში რა შემომრჩა ანდერშის თხუთმეტტომიანი თხზულებებიდან? არაფერი. რა დამრჩა ბიოლის, ვალსერის ან კიოპენისგან. ჰანდკესის ათი ტომიდან? — უფრო ნაკლები, ვიდრე არაფერი. რა ვიცი ტრისტრამ შენდიზე, რუსოს აღიარებაზე, ზოიმეს გასეირნებაზე? არაფერი, არაფერი და არაფერი. — აი, შექსპირის კომედიები? შარშან სულ ერთიანად გადავიკითხე. აქედან ხომ უნდა დამრჩენოდა რამე, რალაც გა-

ურკვეველი შთაბეჭდილება, ერთი სათაური, ერთადერთი სათაური შექსპირის რომელიმე კომედიისა მაინც ხომ უნდა მახსოვდეს! ნურას უკაცრავად, არაფერი. მაგრამ, ღმერთო ჩემო, გოეთე მაინც. გოეთე. აი აქ, ეს თეთრი ტომები მაგალითად: „არჩევითი ნათესაობა“, სულ ცოტა სამჯერ მაინც მაქვს წაკითხული — და არანაირი შთაბეჭდილება ამ წიგნიდან. თითქოს ყველაფერი გამიფრინდა. აბა მითხარით, არსებობს წიგნი ქვეყანაზე, რომელსაც გავიხსენებ? ეს ორი წითელი ტომი, სქელები, წითელი ქსოვილის გარეკანით, მათ ხომ მაინც უნდა ვიცნობდე, ისინი ძველი ავეჯივით ნაცნობია ჩემთვის, როცა ისინი გადავიკითხე, მე ვცნობდები ამ ტომებში კვირეების მანძილზე არც თუ ისე დიდი ხნის წინ, მაგრამ რა არის ეს, რა ჰქვია მას? „დემონები“, დიახ, დიახ. აჰა, საინტერესოა. — და ავტორი? მ. ფ. დოსტოევსკი. ჰმ! თითქოს რაღაც ბუნდოვნად მახსენდება: მე მგონი მოქმედება მე-19 საუკუნეში ვითარდება და მეორე ტომში ვილაც პისტოლეტით თავს იკლავს. მის შესახებ მეტიც თქმა აღარ შემიძლია.

საწერი მაგიდის წინ სკამზე ვეშვები. სამარცხვინოა, სკანდალი. ოცდაათი წლის განმავლობაში, რაც კითხვა ვიკი, მას შემდეგ რაღაც წამიკითხავს, ბევრი თუ არა, რაღაც მაინც და ყოველივე, რაც აქედან დამრჩა, მხოლოდ დაახლოებითი გახსენებაა, მაგალითად ის, რომ ათასგვარდიან ძლიერ რომანში ვილაც პისტოლეტით თავს იკლავს. ოცდაათი წელი ტყუილად ვკითხულობდი! ჩემი ბავშვობის, სიჭაბუკისა და კაცობის წლების ათასობით საათი კითხვაში გაატარე და აქედან აღარაფერი დამრჩა, ერთი დიდი დავიწყების გარდა. და ეს დაავადება უკან როდი იხევს, პირი-

ქით, ძლიერდება კიდევ. მაგალითად, დღეს, როცა წიგნს ვკითხულობ, სანამ ბოლოში ვაგაღ, დასაწყისი უკვე მავიწყდება. სოფხერ ჩემი მახსოვრობის ძალა იმისთვისაც კი არ არის, საგმარნო, რომ კითხვისას თუნდაც ერთი გვერდი დავიმახსოვრო. ასე გაჭირვებით მივიწვევ აბზაციდან აბზაცამდე, წინადადებიდან წინადადებამდე და მალე ალბათ საქმე იქამდე მივა, რომ მხოლოდ ცალკეული სიტყვების დამახსოვრებასლა შევძლებ, რომლებიც ყოველთვის უცნობი ტექსტის წყვილიდან მოედინება, კითხვის მომენტში ვარსკვლავით გაიბრწყინებს, რათა მალე ისევ სრული დავიწყების მდინარეში ჩაიძიროს. ლიტერატურული კამათის დროს უკვე კარგა ხანია სმას ველარ ვიღებ, საქვეყნოდ თავი რომ არ მომეჭრას, რადგან მიორიკე პოფმანსტალში მერევა, რილკე პიოლდერლინში, ბეკეტი ჯოისში, იტალო კალჯინო იტალო სვევოში, ბოდლერი შოპენში, ყორყ სანდი მადამ დე სტალში და ა. შ. როცა გონებაში ბუნდოვნად შემორჩენილ რაიმე ციტატას ვეძებ, დღეებს ვანდომებ წიგნების ფურცლას, რადგან ავტორი აღარ მახსოვს და სრულიად უცნობ ავტორთა ტექსტებს შორის ვიკარგები, ვიდრე საბოლოოდ არ მავიწყდება, თავიდან რას ვეძებდი. აბა როგორღა შემიძლია სულის ამგვარ ქაოსურ მდგომარეობაში თავს ნება მივცე ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემისა: რომელმა ცალკეულმა წიგნმა შეცვალა ჩემი ცხოვრება? არც ერთმა? ყველამ? რომელიმემ? — რა გითხრათ!..

მაგრამ იქნებ კითხვისას (ისევე როგორც ცხოვრებაში) მოულოდნელი გადახრები და ბედის მკვეთრი შემობრუნება სულაც ბევრს არაფერს ნიშნავს — ვიმშვიდებ ხოლმე საკუთარ თავს. იქნებ კითხვა

უფრო შეწოვის აქტია, როცა ჩვენი ცნობიერება თუმცა ძირფესვიანად იქლინთება, მაგრამ თავად კითხვის პროცესი შეუმჩნეველი და მოუხელთებელი რჩება. ლიტერატურული ამნეზიით დაავადებული მკითხველი, როგორც ჩანს, იცვლება კითხვის მეშვეობით, მაგრამ ვერ ამჩნევს, რადგან ამ დროს მასთან ერთად იცვლებიან მისი ტვინის ის კრიტიკული ინსტანციები, რომლებსაც შეუძლიათ მას უთხრან, რომ ის იცვლება. და იმისთვის, ვინც თავად წერს, ეს დაავადება მაღლიც კი შეიძლება იყოს, თითქმის სავალდებულო პირობა, რომელიც დაიცავს მას დამაბრკოლებელი თაყვანისცემისაგან, რომელიც ყოველ დიდ ლიტერატურულ ნაწარმოებს ახლავს თან და შეუქმნიდა სრულიად მარტივ მიმართებას პლაგიატისადმი, რის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ორიგინალურის შექმნა.

მე ვიცი, რომ ეს იძულებითი, უღირსი და უსიაცობლო ნუგეშია და ვცდილობ განვთავისუფლდე მი-

სგან: შენ არ უნდა დაემორჩილო ამ საშინელ ამნეზიას, ვფიქრობ ჩემთვის, მთელი ძალით უნდა წინ აღუდგე დავიწყების მდინარეს, არა გაქვს უფლება ყველაფერს ჩაიძირო ტექსტში უაზროდ, არამედ ნათელი, კრიტიკული ცნობიერებით უნდა ამალდე მასზე, ჩანაწერები, ანალიზი უნდა აკეთო, მეხსიერების ვარჯიშს უნდა მიჰყო ხელი — ერთი სიტყვით: შენ უნდა — და მე აქ ციტატას მოვიყვან ერთი ცნობილი ლექსიდან, რომლის ავტორი და სათაურიც ამ წუთას არ მახსენდება, მაგრამ რომლის ბოლო სტრიქონიც, როგორც მარადიული მორალური იმპერატივი (ან: შეგონება) სრულიად წარუშლელად აღმებეჭდა მეხსიერებაში: „შენ უნდა“, ასეა იქ ნათქვამი, „შენ უნდა... შენ უნდა...“

რა სისულელია! ახლა კი სიტყვათა სრულ წყობას ზუსტად ველარ ვიხსენებ. მაგრამ ეს არაფერია, არსი და აზრი ხომ სრულიად ნათელია. იქ ამის მსგავსი რამ იყო: „უნდა შეცვალო ცხოვრება შენი!“



629 / 35

ფასი 3 ლარი



შედეგ მოძიებუი ნაიკითხავთ:

ბრიტოლ რობაჟიკა –

„ადოლოფ ჰიტლერი“

(უცხოელი მწერლის თვალით)

**გერმანიიდან თარგმნა
დალი ფანჯიკიძემ**

მილორად კავიჩი –

„ხაზარული სიტყვის კონა“

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა
